გიული ალასანია

საისტორიო კრებული

თბილისი
2007

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიები.

კრებულში შესული გამოკვლევები ეხება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხს, წარმოადგენს ქართული წყაროების ანალიზს, აშუქებს ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესს.

კრებულში შესულია სხვადასხვა ნაშრომზე დაწერილი რეცენზიებიც, რომლებიც საინტერესო კუთხით წარმოაჩენს საქართველოს ისტორიას.

წიგნი გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გოჩა ჯაფარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ანა რუაძე
მარიამ ბუტიკაშვილი

© გ. ალასანია, 2007

ISBN 978-99940-67-42-8

თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის*

არაბობა საქართველოში მრავალსპექტრიანი პრობლემაა, სადაც შედის ქრონოლოგია, ლაშქრობების მარშრუტები და მასშტაბები, დაპყრობილი ტერიტორიის მოცულობა და გამგებლობის ხასიათი, ხარკის ოდენობა, შესაბამისი ინსტიტუტები და სხვ. ცნობილია, რომ რაღაც პერიოდიდან საქართველოში იქმნება თბილისის საამირო და მკვიდრდება ამირას ინსტიტუტი, მაგრამ მისი დაარსების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასზე დამოკიდებულია არაბობის ბატონობის პერიოდიზაცია, რომელშიც განმსაზღვრელია დაპყრობილი ქვეყნის დამოკიდებულების სიმძიმის ხარისხი.

ი. ჯავახიშვილი არაბობაზე მსჯელობისას ამოსავლად იღებს „ქართლის ცხოვრების“ ჯუანშერისეული მონაკვეთის ცნობას იმის შესახებ, რომ „დააცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად და ვითარცა მურვანის წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდა ათსა არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“. მაგრამ, როგორც ირკვევა, მკვლევარი იღებს ამ ინფორმაციას ნაწილობრივ, მხოლოდ მის მეორე ნახევარს: „წელიწადსა ორმეოცდა ათსა არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“. რაც შეეხება ცნობის პირველ ნაწილს, ი. ჯავახიშვილის ინტერპრეტაციით, „ქართლის ცხოვრების“ ავტორი უზუსტობას უშვებს და ეს ცნობა მურვანის შემდეგდროინდელ ამბებს კი არ ეხება, არამედ საქართველოში არაბთა ბატონობის დამყარების პირველ ხანას. „ე. ი. 645 წლითგან მოყოლებული 695 წლამდე არაბები თვითონ კი არ მოდიოდნენ ხარკის ასაკრებად, არამედ ქართველი ერისთავები თვითონა ჰკრეფდნენ და თვითვე აბარებდნენ არაბებსაო“[1].

ამგვარად, მეცნიერის აზრით, ჯუანშერის გადმოცემა არაბთა პირველ გამოჩენას გულისხმობს, რომელიც ქართველ

მემატიანეს შეცდომით მარვან იბნ მუჰამადის დროისთვის მიუკუთვნებია. და ეს მოხდა იმიტომ, რომ, ი. ჯავახიშვილის მსჯელობით, „სწორედ მურვანის შემდგომ გამეფდა აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა მკაცრი მმართველობა. სწორედ ამ დროს შემოიღეს საშინელი მეხარკეობა“. უკანასკნელი თეზისი არ არის გაშლილი. არ არის დაზუსტებული თარიღი, მარვანის შემდგომ როდის, რას ნიშნავს მკაცრი მმართველობა და, რაც მთავარია, არ არის მითითებული წყარო.

თბილისის საამიროს დაარსება ი. ჯავახიშვილს ზუსტად დათარიღებული არა აქვს, მაგრამ ამ ფაქტზე მსჯელობა მოსდევს სომეხი ისტორიკოსების ღევონდისა და ასოღიკის მონაცემებს VIII ს-ის შუა წლებიდან ხარკის გაზრდაზე და იოანე საბანისძის ცნობებს ქართლში 70-იანი წლების ვითარების შესახებ. ცნობები ამირაზე, „ქართლის ცხოვრების“ „მატიანე ქართლისაჲს“ მონაკვეთის გარდა, დამყარებულია იმავე იოანე საბანისძის აბო თბილელის მარტვილობაზე. „როდესაც არაბებმა საქართველოსა და კავკასიაში ფეხი მაგრად მოიკიდეს, დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შეიქმნეს სახლად საყოფელად თუსად (და) მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰრქჳან ხარაჯა“ (მტ¯ნე ქ¯ჲ); თავიანთ უმთავრეს სადგურად, ზღუდედ და თავშესაფრად თბილისი გაუხდიათ, იქვე იჯდა ხალიფას წარმომადგენელი ამირა (ც¯ჲ აბო ტფლ¯ჲ, მტ¯ნე ქ¯ჲ). არაბები და მათი ხალიფა იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს „ზედამდგომელნი მფლობელნი“ (ც¯ჲ აბო ტფ¯ლსჲ), „სოფლის მპყრობელნი ზედამდგომელნი“[2], ხოლო ამირა იყო „ჴელმწიფე ქუეყანისა“ და „მსაჯული ამირაჲ“ (იქვე) და სხვ.

ეს საკითხი დეტალურად დაამუშავა ს. ჯანაშიამ, რომელიც შემდეგ დაკვირვებას გვთავაზობს: „ტფილისის საამირო სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანიზაციაა, რომელიც, ცვალებადი მოცულობით, აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს არაბთა მფლობელობის ქვეშ“[3]. საინტერესოა, რა ქრო-

ნოლოგიურ ფარგლებში განიხილავს მკვლევარი არაბთა მფლობელობას? როგორც ირკვევა, იგი არაბთა ბატონობას სხვადასხვა პერიოდად ყოფს. მისი აზრით, „VII ს. მეორე ნახევარში, თუ ამ საუკუნის მიწურულს არ ვიანგარიშებთ, არაბთა პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, ქართლში, მეტად მერყევი იყო. მმართველობის სადავე ხალიფას ადგილობრივ წარმომადგენლებს ხშირად ეცლებოდათ ხელიდან. ამიერკავკასიის ნამდვილი დაპყრობა არაბების მიერ მხოლოდ VIII ს. პირველ ნახევარში ხდება“[4]. „ნამდვილი დაპყრობა“, მკვლევრის აზრით, როგორც ჩანს, უკავშირდება მარვან იბნ მუჰამადის, იგივე მურვან ყრუს თავდასხმას, ს. ჯანაშიას დათარიღებით, 736-738 წწ.[5], თუმცა, მისივე მსჯელობით, „VIII ს. დამდეგს არაბები მსხდარან ტფილისში. ამას მათი აქ 704-705 წ. მოჭრილი ფული ამტკიცებს“. „მურვანის მოქმედებამ საბოლოოდ დაამკვიდრა არაბთა ბატონობა ქართლში“, ამასთანავე, „განსაკუთრებით დამძიმდა ქართლის ვითარება VIII ს. შუა წლებიდან, როცა ხალიფების ხელისუფლება აბასიდების ხელში გადავიდა“[6]. ამგვარად, არაბებმა საქართველო რამდენჯერმე დაიპყრეს, მაგრამ საბოლოოდ და ნამდვილად VIII ს. პირველ ნახევარში და განსაკუთრებით მარვანის მოქმედების შედეგად, თუმცა უკვე VIII ს. დამდეგს არაბები თბილისში მსხდარან და სწორედ ამ ხანიდან ქართლი იხდის როგორც ჯიზიას, ასევე – ხარაჯას. მაგრამ ქართლის ვითარება განსაკუთრებით მძიმდება VIII ს. შუა წლებიდან, აბასიანების ხელში.

ახლა რაც შეეხება ამირას ინსტიტუტს. ს. ჯანაშიას აზრით, „უზენაესი არაბთა მოხელე ქართლში არის ამირა, რომლის მუდმივი რეზიდენცია ტფილისშია და რომელიც აზერბაიჯანის მმართველობის მეშვეობით ხალიფას ემორჩილება... თავდაპირველად ტფილისის ამირას განკარგულებას ალბათ მთელი აღმოსავლეთი საქართველო... ექვემდებარებოდა, მაგრამ თანდათანობით ეს ტერიტორია იზღუდებოდა[7]... ამასთანავე, ს. ჯანაშიას აზრით, „ამირას მდგომარეობა თვით

ტფილისშიაც კი ყოველთვის ერთნაირად მტკიცე არ არის. VIII ს. დამდეგს არაბებს რამდენჯერმე მოუხდათ ქართლის მოთარეშება, რათა როგორმე იმ ქვეყანაში ჩამდგარიყვნენ". როგორც ვხედავთ, არსადაა მითითებული თარიღი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თბილისის საამიროს ისტორიას მეცნიერი იწყებს VII ს. შუა წლებიდან, ანუ არაბების პირველი გამოჩენიდან, თუმცა, იმის გამო, რომ მკვლევარი გარდამტეხ მომენტად მიიჩნევს VIII ს-ის დამდეგს, არც ეს პერიოდია გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, მისი მსჯელობიდან გამომდინარე, VIII ს. დამდეგს, თბილისში ამირა იყარაუდებს. ეს დასკვნები ი. ჯავახიშვილის აზრისაგან ერთგვარად განსხვავებულია.

მოგვიანებით ამ საკითხს დაუბრუნდნენ სხვა მკვლევრები და თბილისის საამიროს დაარსების თარიღში მეტი სიცხადე შეიტანეს. ამ თვალსაზრისით, ერთგვარი გარდატეხა შეინიშნება მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევაში, სადაც პირველად გაჩნდა თბილისის საამიროს დაარსების კონკრეტული თარიღი. მეცნიერის აზრით, „მართალია არაბები თბილისში VIII ს-ის დამდეგსაც იმყოფებიან (ამ დროისათვის თბილისში მოჭრილი არაბული ფულიც მოგვეპოვება), მაგრამ ქართლის პოლიტიკური ცენტრი მათ მტკიცედ უნდა დაეპყროთ მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ, როდესაც თბილისი საბოლოოდ იქცა არაბ ამირათა რეზიდენციად"[8]. იგივე აზრი გამეორდა სხვა ნაშრომებშიც: „ურთიერთობის სულ სხვა ფორმა დამყარდა ქართველებსა და არაბებს შორის VIII ს. 40-იანი წლებიდან მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ. ქართლის პოლიტიკური ცენტრი არაბებმა მტკიცედ დაიპყრეს და ამიერიდან ქ. თბილისი იქცა ხალიფას ადგილობრივი არაბი მოხელის რეზიდენციად". „თბილისის ამირას დანიშვნის შემდეგ თავისებურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართლის ერისმთავარი. ამიერიდან ერისმთავარი ამირას ხელქვეით მოხელედ იქცა"[9]. ერთ-ერთ არგუმენტად აღნიშნული დასკვნისათვის გამოყენებულია XVIII ს-ის ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის

ცნობა: „მურვან ყრუს შემდგომ შემუსრეს ხაზართა ტფილისი და აღაშენა ამირა აგარიანმა“. მაგრამ რამდენად გამოდგება ამ შემთხვევაში ქრონოლოგიურ ორიენტირად ვახუშტის ინფორმაცია? მარვანის შემოსვლიდან ცნობაში მოხსენიებულ ხაზართა 764 წ. თავდასხმას შორის საკმაო ინტერვალია, ხოლო რა მანძილია უკანასკნელსა და ამირას მიერ თბილისის აღდგენას შორის, წყაროდან არ ჩანს. ნათელია მხოლოდ ის, რომ მარვანის ლაშქრობიდან კარგა ხნის შემდეგ თბილისში ზის ამირა. სტატიაში მოცემული თბილისის ამირათა სია[10] 754 წლით იწყება. სიაში პირველია იაზიდ იბნ უსეიდ ას-სულამი (754-764 წწ.), მეორე – აბუ ჰასან ალ-ჰუსეინ იბნ კაჰტაბა (765 წ. შემდეგ), მესამე – თბილისის უცნობი ამირა ხალიფა ალ-მანსურის (754-775) და ქართლის ერისმთავრის ნერსეს დროს (იოანე საბანის ძის აბო თბილელის მარტვილობის მიხედვით, 772 წ.) და ა. შ. მათგან პირველი ორი, მართალია, არმენიის გამგებლები არიან, მაგრამ, მკვლევარის ვარაუდით, პარალელურად ქართლის ამირას ფუნქციასაც ასრულებენ. აზრი ქართლში არაბთა ხელისუფლების განმტკიცების და თბილისში ამირას დანიშვნის შესახებ უშუალოდ მარვანის ლაშქრობის შემდეგ გამეორდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ და მ. ლორთქიფანიძის ახალ ნაშრომებშიც[11].

თბილისის საამიროს თარიღთან დაკავშირებით აღნიშნული დასკვნა გაიზიარა ა. ბოგვერაძემ: „მირვან იბნ მუჰამადის (მურვან ყრუს) დამსჯელმა ლაშქრობამ 735-736 წლებში ქართველების წინააღმდეგობის უნარი კარგა ხნით გატეხა, რის შემდეგ იწყება არაბების ნამდვილი ბატონობა ამ ქვეყანაში“. იგივე გაიმეორა ავტორმა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამის მონაკვეთში, სადაც აღნიშნულია, რომ მურვან ყრუს ლაშქრობის შედეგად ქართლის საბოლოო დაპყრობის შემდეგ არაბებმა ქვეყნის სათავეში დააყენეს თავისი მოხელე, რომელიც ამირას წოდებას ატარებდა. მისი მუდმივი რეზიდენცია იყო თბილისი[12].

ტრადიციად ქცეული ეს შეხედულება გაიზიარა ო. ცქი-

ტიშვილმა. მან ორი ნაშრომი მიუძღვნა არაბი ავტორების აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობათა კომენტარს[13]. მკვლევარის აზრით, „სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამწვავება არაბთა მფლობელობის ხანაში VIII ს. მეორე ნახევრის ქართლში სავსებით ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ მდგომარეობას, შექმნილს აღნიშნული საუკუნის 30-იან წლებში ქართველი ხალხისათვის სრულიად უცხო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზმის - თბილისის საამიროს დაარსებით და იმ ახალი მკაცრი და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური პოლიტიკის გამო, რომელსაც ახალმა აბასიანთა დინასტიამ მიმართა დაპყრობილ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე". უკრიტიკოდ მიიღო მან აზრი არმენიის გამგებელთა იაზიდ იბნ უსეიდ ას-სულამისა და ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას მიერ თბილისის ამირათა ფუნქციის შეთავსების შესახებაც და, იბნ ა'სამ ალ-ქუფის მონაცემებზე დაყრდნობით, დააზუსტა იოანე საბანისძესთან მოხსენიებული მესამე უცნობი ამირას სახელი – იბრაჰიმ იბნ ჰასან იბნ კაჰტაბა[14].

ა.ე. ნოეოსელცევის ახალ ნაშრომში ქართველი მეცნიერებისაგან განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული: „ას-სულამის გვარი შეწყდა ამიერკავკასიაში ჰარუნ არ-რაშიდის (786-806) დროს და მაშინვე საბოლოოდ მოწესრიგდა გამგებლობა ამიერკავკასიის ქვეყნებში. კერძოდ, ქართული წყაროები აღნიშნავენ, რომ ყრუს (ე. ი. მურვან იბნ მუჰამედის) წასვლის 50-ე წელიწადს სარაცინები (ე. ი. არაბები) შეეცადნენ შემოსულიყვნენ (ა. ი. განმტკიცებულიყვნენ) ქართლში. მანამდე კი ისინი იღებდნენ ხარკს ერისთავთაგან (ე. ი. ქართველ გამგებელთაგან). თუ 737 წლიდან დავითვლით, 50-ე იქნება 787 წელი, ხოლო თუ ვიანგარიშებთ 743/744 წლიდან, არაბული ადმინისტრაციის დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში მოვა 793/794 წლებზე. იმავე დროს განამტკიცეს თავისი ხელისუფლება არაბებმა არმენიაში"[15]. როგორც ვხედავთ, გამოყენებულია ჯუანშერის ზემოაღნიშნული ცნობა. მიღებუ-

ლი დასკვნა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მკვლევარმა დასაშვებად მიიჩნია, დაერღვია ის სტერეოტიპი, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა, მისი აზრის გაზიარება შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ იოანე საბინისძის ნაშრომის მიხედვით, თბილისში ამირები ჩანან უკვე VIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში. „შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამე ქრისტჱსი და მიიყვანეს იგი მსაჯულსა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა ტფილისს, და ქრისტჱს აღსარებისათჳს შეაყენეს იგი საპყრობილესა. ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა. და შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შემასმენელნი ამის მოწამისანი, განრისხებულნი და აღბორგებულნი, სავსენი შურითა ქრისტჱნეთაჲთა, შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა და შეევიდეს წინაშე მსაჯულისა მის, რამეთუ სხვა მსაჯული და ამირა შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს“[19].

არაბობისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ბ. სილაგაძე ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს: „მურვანის ლაშქრობის შემდეგ არაბ-საქართველოს ურთიერთობაში ცვლილება მოხდა: საქართველო გამოცხადდა ცალკე საამიროდ, რომელსაც განაგებდა ამირა“[17]. სამწუხაროდ, არ არის მითითებული წყარო.

საკითხის განხილვისას აუცილებელია ნუმიზმატიკის სპეციალისტების აზრის გათვალისწინება, რომლებიც კომენტარს უკეთებენ არაბული მონეტის მოჭრის თარიღს თბილისში (85/704-5 წ., შემდეგი – 825 წ.). ე. პახომოვის ვარაუდით, „თბილისი აშოტ კურაპალატის (787-826) დრომდე ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ მის დროს საბოლოოდ დაიკავეს არაბებმა, რომლებმაც აქციეს სასაზღვრო სიმაგრედ. მის ამირას ნიშნავდა უშუალოდ ხალიფა, ან არმენიის და აზერბაიჯანის გამგებლები“[18]. იმას, რომ 704 წლის შემდეგ 825 წლამდე თბილისური მონეტა ნაპოვნი არ არის, მკვლევარი იმით

ხსნის, რომ „არაბები დედაქალაქში მაინცდამაინც მყარად არ ისხდნენ და დროდადრო იძულებულნი იყვნენ ის დაეტოვებინათ“. დ. კაპანაძის აზრით, „არაბული ყაიდით მოჭრილი ნიმუშები გეიმტკიცებენ, რომ VIII საუკუნის დაწყებისთანავე ჩვენში ახალი წესები მყარდება და ძალიან მტკიცედ იკიდებს ფეხს“[19]. რა იყო ეს „ახალი წესები“, მკვლევარი, სამწუხაროდ, არ აზუსტებს.

ის, რომ VIII საუკუნის დამდეგს ქართველებისა და არაბების ურთიერთობაში რაღაც ცვლილებები მოხდა და რომ არაბთა კონტროლი ქართლში გამკაცრდა, თუნდაც მოკლე ხნით, ეს უდავო ფაქტია. მაგრამ რამდენად გამოდგება საამიროს ინსტიტუტის დასათარიღებლად თუნდაც არაბული მონეტის მოჭრის ფაქტი? ის, რომ უცხო მონეტის, ან ეროვნული მონეტის უცხოური სიმბოლიკით მოჭრა მუდამ არ არის პოლიტიკური დამოკიდებულების ნიშანი და უცხოური ძალის ბატონობის სინქრონული, ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ დავით IV შემდგომი გამგებლობის ხანა, ან XIV საუკუნის საქართველო.

ყველაზე ადრეული ცნობები თბილისის ამირათა შესახებ გეხვედება ორ წერილობით ძეგლში. ესენია არაბი ავტორის აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის „დაპყრობათა წიგნი“ (IX-X სს.) და ქართველი ჰაგიოგრაფის იოანე საბანისძის აბო ტფილელის მარტვილობა (VIII ს.). „დაპყრობათა წიგნში“ მოვლენები თარიღების გარეშეა გადმოცემული, რაც ერთგვარი გამონაკლისია არაბულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც, როგორც წესი, ქრონიკის პრინციპითაა აგებული. მაგრამ იმის გამო, რომ გვაქვს პარალელური წყაროები, იბნ ა'სამ ალ-ქუფის მონაცემების დროში ლოკალიზება ხერხდება. „ალ-მანსურმა ბარათი გაუგზავნა იაზიდ იბნ უსაიდს, გადააყენა იგი არმენიის (გამგებლობიდან) და მის ნაცვლად მმართველად დანიშნა ბაქარ იბნ მუსლიმ ალ-უკაილი. შემდეგ ალ-მანსურმა ისიც გადააყენა და მის ადგილზე გამგებლად დანიშნა ალ-ჰასან იბნ ქაჰტაბა ატ-ტაი“. შემდეგ ნათქვამია, რომ რო-

დესაც „ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა შევიდა არმენიის ქვეყანაში, მას აუჯანყდნენ ას-სანარია (წანარები), ჯურზანის (ქართლის) ურწმუნონი. ალ-ჰასან იბნ კაჰტაბამ ვერ შეძლო მათი დაწყნარება და (ამის შესახებ) მისწერა ალ-მანსურს. მაშინ ალ-მანსურმა დახმარება აღმოუჩინა მას ოთხი სარდლით... ამბობს (მემატიანე). ას-სანარია და კაჰტის (კახეთის) მცხოვრებნი, რომლებიც აგრეთვე ურწმუნონი არიან, გაერთიანდნენ. ისინი შეერთდნენ დიდი რაოდენობით მუსლიმთა წინააღმდეგ და ბრძოლა გაუმართეს. მაშინ ალაჰმა აჩუქა მუსლიმებს გამარჯვება, ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა დარჩა არმენიაში, გაემგზავრა, დასახლდა ბარზაას (ბარდავს) და იხმო თავისი შვილები. კაჰტაბა დანიშნა ალ-ბაბ ეა ალ-აბვაბის (დარუბანდი) გამგებლად, იბრაჰიმი დანიშნა ჯურზანის ქვეყნის, თბილისის და იმ ტერიტორიის მმართველად, რომელიც მას ეკვრის, ხოლო მუჰამედი – მეოთხე არმენიაში მდებარე ახლატის (ხლათი), კალიკალასა და მათი შემოგარენის გამგებლად“[21].

წყაროში მოხსენიებული პირების გამგებლობის წლები დგინდება სხვა წერილობითი ძეგლებით. ირკვევა, რომ აღნიშნული ჰასან იბნ კაჰტაბა არმენიის გამგებლად ორჯერ ყოფილა – 754-759 წწ. და 771-775 წწ. მეორე შემთხვევაში მან ბაქარ იბნ მუსლიმ ალ-უკაილი შეცვალა[22]. ე. ი. ალ-ქუფის ცნობა ამ უკანასკნელ წლებს ეხება. მისი მეორედ დანიშვნა ქრონოლოგიურად ემთხვევა იოანე საბანისძის გადმოცემულ ამბებს. სწორედ იოანე საბანისძე გვაწვდის ყველაზე ადრეულ ინფორმაციას თბილისის ამირათა შესახებ. თუ გავყვებით იმ ლოგიკას, რომ არმენიის გამგებლები თბილისის ამირებიც იყვნენ, მივალთ ს. ჯანაშიას ვარაუდთან იმის შესახებ, რომ „ტფილისის საამირო სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანიზაციაა, რომელიც, ცვალებადი მოცულობით, აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს არაბთა მფლობელობის ქვეშ“. ასეთ შემთხვევაში თბილისის ამირათა სია დაიწყება არა იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამით და ჰასან იბნ კაჰტაბათი, არამედ ბევრად უფრო ადრე. სხვათა შორის, ა. ტერ-გევონდი-

ანის შედგენილი სიის მიხედვით, იაზიდ იბნ უსაიდ ალ-სულამი (759-769) არმენიის რიგით 31-ე გამგებელია. მას მოსდევს ბაქარ იბნ მუსლიმ ალ-უკაილი (769-771), ხოლო უკანასკნელს - ჰასან იბნ კაჰტაბა (771-775), რომელიც, როგორც აღინიშნა, ამ თანამდებობაზე ადრეც იყო (754-759).

ვფიქრობთ, მეტი საფუძველია ალ-ქუფისთან აღნიშნული ფაქტი ჯურზანის ანუ ქართლის არაბი გამგებლის იბრაჰიმ იბნ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას დანიშვნის შესახებ თბილისის საამიროს დასაწყისად მივიჩნიოთ, რასაც მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიც, რომ მურვანის ლაშქრობის შემდეგ ქართლში არაბთა გამგებლობის დამყარებამდე 50 წელი იყო გასული. აქ ავტორი (ან გადამწერი), როგორც ჩანს, არაზუსტად უთითებს რიცხვს. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის მისაწვდომ წყაროებში თბილისის ამირა ამაზე ადრე არ ჩანს. მისი დანიშვნა იყო ალბათ საქართველოს ტერიტორიაზე 770-72 წწ. არაბთა წინააღმდეგ წანარ-კახთა აჯანყების საპასუხო ღონისძიება. ამ გამოსვლების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა და მათ შორის ალ-ქუფის ნაშრომშიც იკითხება[23]. თუ ჩვენი ვარაუდი მისაღებია, გამოდის, რომ თბილისის საამირო, რომელიც IX ს. შუა წლებიდან, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობას აღწევს, შეიქმნა VIII ს-ის არა 30-იან ან 40-იან, არამედ 70-იან წლებში, და არსებობდა, დაახლოებით, 350 წლის მანძილზე[24].

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

* წაკითხულია მოხსენებად 1994 წელს, რ. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

1. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. - *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბ., 1983, გვ. 86-87.

2. იქვე, გვ. 88-89.
3. ს. ჯანაშია, *არაბობა საქართველოში*, ტფ., 1936, გვ. 3.
4. იქვე, გვ. 28.
5. იქვე, გვ. 34.
6. იქვე, გვ. 35-36.
7. იქვე, გვ. 49.
8. მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან. - *მიმომხილველი*, II (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი), 1951, გვ. 186.
9. მ. ლორთქიფანიძე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. - *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.* ნაკე. 35, თბ., 1963, გვ. 82.
10. მ. ლორთქიფანიძე, *თბილისის საამიროს ისტორიიდან*, გვ. 199.
11. მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, II, თბ., 1973, გვ. 489; მისივე. Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, II, Тб., 1988, გვ. 339-354, 343; მისივე, *Тбилиси (IV- начало XII в.)*, Тб., 1991, გვ. 33; M. Lortkipanidze, *Essays on Georgian History*, Tbilisi, 1994, გვ. 24-25.
12. ა. ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, თბ., 1979, გვ. 97; მისივე, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, II, გვ. 290; მისივე, Раннефеодальные грузинские государства в VI-VII вв. - *Очерки истории Грузии*, II, გვ. 178.
13. ო. ცქიტიშვილი, არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, 1986, გვ. 74-82; მისივე, ქართლის ერისმთავრის ნერსეს პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხისათვის. - *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*,

ტ. 129, №1, გვ. 205-208.

14. ო. ცქიტიშვილი, *არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ*», გვ. 75, 78.

15. А. П. Новосельцев, *Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа*, М., 1990, გვ. 190.

16. იოანე საბანისძე, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეჱსა ჰაბოჲსი. - *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 63-64.

17. ბ. სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში* (არაბული ცნობების მიხედვით), თბ., 1991, გვ. 107.

18. Е. А. Пахомов, *Монеты Грузии*, 1970, გვ. 38-39.

19. დ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, თბ., 1969, გვ. 54.

20. გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, თბ., 1995, გვ. 241.

21. იხ. ო. ცქიტიშვილის თარგმანი ნაშრომში: არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ», გვ. 81; Ахмад ибн А'сам Ал-Куфи. *Книга завоеваний*, Извлечения по истории Азербайджана VII-IX вв., Перевод с арабского языка акад. Ан. Азерб. ССР З. М. Буниятова, Баку, 1980.

22. А. Н. Тер-Гевондян, *Армения и Арабский халифат*, Ереван, 1977, გვ. 271.

23. ო. ცქიტიშვილი, *არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ*»

24. დავითის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ *ალილო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა*, თბილისის საამიროს დაარსების თარიღის დასადგენად მყარ ქრონოლოგიურ საყრდენად არ გამოდგება. *ქონებული* შეიძლება სხვადასხვა სახის პყრობას ნიშნავდეს. ამასთანავე, არც „ქართლის ცხოვრების" ძველი მონაკვეთების რიცხობრივი მონაცემებია ხშირ შემთხვევაში ზედმიწევნით ზუსტი.

ქართული წერილობითი წყაროების „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“

საქართველოს მდებარეობას დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მრავალი გამოვლენა აქვს. ეს ძალზე მკაფიოდ აისახა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში, სადაც, გარკვეული დროიდან, „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ დამკვიდრება, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი. მეფე, რომელიც შუა საუკუნეებში სახელმწიფოს სინონიმია, ხოლო მთელი საზოგადოება იგულისხმება გამოთქმაში „მეფე და ყოველი ერი“, ძალზე დიდი უფლებრივი და ფუნქციური დატვირთვის მატარებელია. ამიტომ ყველაფერი, რაც მეფის სახელს უკავშირდება, ძალზე მნიშვნელოვანია.

„დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“ საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ერთად პირველად გიორგი II-სთან დაკავშირებით იხსენიება. რუის-ურბნისის ძეგლისწერის დანართში - „მეფესა დაეითს მონაზონი არსენი“ - გიორგი მეფე შემდეგ კონტექსტშია: „გიორგი მეფეთა მეფისა, და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა“. 1089-91 წწ. საბუთი იგივე გიორგი მეფეზე ამბობს: „ადიდე ორკერძოითავე დიდებითა შენ მიერ გვირგვინოსანი ბრწყინვალე და უძლეველი მეფეთა მეფე გ̃ი და მაღალი კესაროსი“ (ქრონიკები, I, გვ. 236; II, გვ. 70, 1892, 1897). მოგვიანებით „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“ გვხვდება გიორგი III-ის, თამარის, გიორგი ლაშას, დავით ნარინის, გიორგი ბრწყინვალის ტიტულატურაში (ი. დოლიძე, 1965, გვ. 24, 25, 73, 97) „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან“, „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“, „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელი“, „სრულსა საქართველოსა, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ხელმწიფე ფლობითმპყრობელსა“ (მ. სურგულაძე, 1993, 151).

უფრო ადრე დავით III იხსენიება, როგორც „ყოელისა აღმოსაელეთისა კურაპალატი“. იგივე ტიტული აქვს ბაგრატ IV-ს (მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, 1991, გვ. 231), ხოლო ლიპარიტ ბაღვაში იხსენიება როგორც „ყოელისა აღმოსაელეთისა წინამძღვარი“ (შ. ბადრიძე, 1974, გვ. 86).

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ციტატების „აღმოსაელეთი“ და „დასაელეთი“ სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული. თ. ჟორდანიას „აღმოსაელეთი“ ესმოდა როგორც საქართველო. ასეთი განმარტებაა მოცემული თეოფილე ხუცესმონაზონის ანდერძისათვის დართულ კომენტარში (ქრონიკები, I, გვ. 229). ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიაში“ (რედ. ს. ჯანაშია) „აღმოსაელეთი და დასაელეთი“ გაგებულია როგორც აღმოსაელეთის მართლმადიდებელი სამყარო მთლიანად (ს. ჯანაშია, 1958, 219-220).

ვ. კოპალიანის აზრით, „აღმოსაელეთი“ კურაპალატების ტიტულატურაში ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა და „საერო თუ კონფესიური წრეების, ანდა ხსენებულ ძეგლთა ავტორების პირადი შეხედულებების ნაყოფი უნდა იყოს“. მისი ინტერპრეტაციით, „ყოელისა აღმოსაელეთში“ მართლმადიდებელი ყოველი საქართველო უნდა იგულისხმებოდეს (ვ. კოპალიანი, 1972, გვ. 174).

შ. ბადრიძეს „აღმოსაელეთის“ გეოგრაფიული არეალი ფართოდ ესმის: „რაც შეეხება მთელ აღმოსაელეთს, იგი შეესაბამება კაეკასიური და მცირე აზიური ტერიტორიების ერთობლიობას, რომელიც განიხილებოდა არა როგორც ბიზანტიური აღმოსაელეთი, არამედ როგორც საერთოდ აღმოსაელეთი. უფრო მეტიც, ქართველთა გაგებით, ესაა აღმოსაელეთი, რომელიც მათი ხმლითაა დაპყრობილი და მათივე უნდა იყოს“. მისი აზრით, თვით ტერმინი თავისი პოლიტიკური შინაარსით ბიზანტიის პოლიტიკურ წრეებში უნდა გაჩენილიყო და აღმოსაელეთის ტერიტორიების მიმართ ბიზანტიის პოლიტიკურ პრეტენზიებს გამოხატავდა. ქართველთა აზრით კი,

აღმოსავლეთი ბიზანტიურ დასავლეთთან დაპირისპირებული სამყაროა, რომელიც „შედარებით სტაბილურად კუთვნილ ოლქებთან ერთად მოიცავდა უზარმაზარ მხარეებსაც“. აქ მოტანილია ლიპარიტის და გიორგი II მაგალითები, რომლებსაც აღმოსავლეთი დაუკავშირეს, პირველს – მესხეთის მხარის გადაცემის, ხოლო მეორეს – კარის, ოლთისისა და კარინის მხარეების დაუფლების შემდეგ (შ. ბადრიძე, 1974, გვ. 84-86).

ი. ანთელავას დაკვირვებით, „ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში „დასავლეთი“ ნიშნავდა ბიზანტიას, ცხადია, გიორგი II-ის წოდებულება „მეფეთ-მეფე და ყოელისა აღმოსავლეთისა (საქართველო) და ყოელისა დასავლეთისა (ბიზანტია) კესაროსი“ ფართო პოლიტიკური პრეტენზიაა“ (ი. ანთელავა, 1988, გვ. 97-116). აქვე მოტანილია აზრი იმის შესახებ, რომ „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ გულისხმობს აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა სამყაროს მთლიანად, რის შემდეგაც ავტორი შენიშნავს: „შეიძლება მხოლოდ დავუმატოთ, რომ ეს პრეტენზია გაჩნდა არა დავით აღმაშენებლის შემდგომ, არამედ უკვე ფიქსირებულია გიორგი II-ის ტიტულატურაში“ (ი. ანთელავა, 1988, გვ. 104).

მ. სურგულაძის მსჯელობით, „აღმოსავლეთი“, მართალია, მეფეთა ტიტულატურაში შედის, მაგრამ სრულიად არ არის აუცილებელი, რომ იგი პოლიტიკური შინაარსის ტერმინი იყოს. პოლიტიკური ფორმულა ტიტულატურაში ცალკე არსებობს - „აფხაზთა, ქართველთა“, რომლის ფუნქცია სწორედ ქართველ მეფეთა პოლიტიკური უფლებების არეალის გამოხატვაა“. მისი აზრით, „აღმოსავლეთი“ მთლიანი, განუყოფელი ცნებაა, რომელიც სარწმუნოებრივ ერთობას გულისხმობს - „მეფეთა ტიტულატურაში „აღმოსავლეთი“ ნიშნავს ერთიან, განუყოფელ, მართლმადიდებელ საქართველოს, როგორც სარწმუნოებრივ – კულტურულ ერთობას“. იგივე ავტორი დასავლეთზე აღნიშნავს: „დასავალი“ ქართულ წყაროებში ბიზანტიას ეწოდება, მაგრამ ბიზანტიაც კულტურულ-სარწმუნოებრივი არეალის მნიშვნელობით შემოდის და არა პოლი-

ტიკურის", „ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ამ ელემენტის გაჩენა მართლაც გარკვეულ პრეტენზიას გულისხმობს, მაგრამ არა პოლიტიკურ პრეტენზიას, არამედ კულტურულ-სარწმუნოებრივი გათანაბრებისა და ტოლობის" (მ. სურგულაძე, 1993, გვ. 154-155).

თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართველი ავტორები ახდენდნენ თვითიდენტიფიკაციას არა მარტო ბიბლიურ სამყაროსთან და შუამდინარეთთან, არამედ გარკვეული ნიშნებით ირანულ სამყაროსთანაც. საქართველოს ხელმწიფე იყო „ნაყოფი ხისგან დავითიანთაგან პანკრატონიანთა". ყურადღება მიექცა აგრეთვე შემდეგ სიტყვებს - „ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა", სადაც „შარავანდედობა" სპარსული სიტყვისაგან მომდინარეობს. იმ დროს, როდესაც ქართველი მეფის ტიტული ხდება „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა და შაჰინშა და შარვანშა", იგი იხსენიება როგორც „მეფობისა და სულთნობისა ერთად მქონებელი" (ი. ჯავახიშვილი, 1984, გვ. 97-98).

თ. ნატროშვილის დაკვირვებით, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება გამოთქმა „მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფე", მაგრამ ჟამთა მსვლელობამ განდევნა ისინი ზეპირი სიტყვიერებიდან და მხოლოდ წერილობით ძეგლებში შემოგვინახა" (თ. ნატროშვილი, 1991, გვ. 3). შემდეგ აქვეა მოტანილი თამარის ისტორიკოსის ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური და პოლიტიკური კაეშირები ჰქონდა – ბიზანტია, ჯვაროსანთა სამთავროები, ეგვიპტე, სირია, ბაღდადის სახალიფო, ხვარაზმი - „ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე", ე. ი. აღმოსაელეთიდან დასაელეთამდე (იქვე).

თამარის ქებას იოანე შავთელი შემდეგი სიტყვებით იწყებს - „შემოკრბით ბრძენნო, ათონელთ ძენო, თამარს ვაქებდეთ, მეფეთ ცხებულსა, კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ-მაჩინეთს, თარიშს ქებულსა".

მოტანილი ციტატები თამარის ეპოქიდან სიახლოვეს იჩენს ძველი აღმოსავლეთის ძეგლებთან. მაგალითად, ძვ. წ. IX ს-ის ბოლო მეოთხედის ყარათეფეს ბილინგვაში, რომელიც იეროგლიფურ-ლუვიურ და ფინიკიურ ენებზეა შედგენილი, ნათქვამია: „მე აზითავათა ვარ, მზით კურთხეული კაცი, თარხუნთის მსახური და მე განვავრცე ადანის ველის მიწები აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით“. ძვ. წ. VIII ს-ის 60-40 იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში ნათქვამია: „მე ვარ იარირისი დასავლეთსა და აღმოსავლეთში განდიდებული, კაცი ღვთაებათა მიერ შეყვარებული; ჩემი სამართლიანობის (ამბავი) თარხუნთამ და მზის ღვთაებამ ცას ამცნეს. ჩემი სახელი ღვთაებებმა უცხოეთში გაიტანეს. მე განმადიდეს ეგვიპტეში, მე განმადიდეს ბაბილონში, მე განმადიდეს მიზიელების, მუსქებისა და სირიელების ქალაქებში“ (გ. გიორგაძე, 1990, გვ. 239). თელ-ახმარის სტელაზე ნათქვამია: „მე ვარ ქვეყნის მპყრობელი, როდესაც (ჩემი პაპის) მამა მეფე იყო, იგი თავის (ქვეყანას) განაგებდა, მეფობდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“ (გვ. 241). ამ წარწერებში გარკვეულად ასახულია სინამდვილე, რომელიც მნიშვნელოვნად გაზვიადებულია.

სამყაროზე ბატონობის პრეტენზია არის დამახასიათებელი აქემენიანთა ეპოქის სპარსეთისათვის, რომლის სუვერენი თავის თავს უწოდებდა „მეფეთა მეფეს“ და „მიწათა მეფეს“, „მხარეთა“, „ქვეყანათა“, სადაც მიწები მთელ ცივილიზებულ სამყაროს გულისხმობდა, ვინაიდან იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც დაუმორჩილებელი რჩებოდა, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით, მათი აზრით, ძალზე უმნიშვნელო იყო (Britanica, 1768, გვ. 551).

მაგრამ მსოფლიოს დაპყრობის იდეამ განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა ალექსანდრე მაკედონელის პიროვნებაში. მსოფლიოს დაუფლებაში აქ ხედავენ არა „მსოფლიო სამეფოს“, რაც ალექსანდრე მაკედონელის მიერ ხმელთაშუა ზღვის ნაპირების დაკავებას გულისხმობს, არამედ უფრო

ზოგად და მიღებულ ტრადიციას, რომელიც სპარსეთის ერცელ იმპერიას უკავშირდება. უკანასკნელის გამგებლები ყველაზე ახლოს იდგნენ უნივერსალური მეფის აღმოსავლეთის უძველეს იდეალთან. დასავლეთის და აღმოსავლეთის სამუდამოდ დაკავშირებამ რიტუალური გამოხატულება ჰპოვა 324 წელს სუზაში მოწყობილ ცნობილ „საქორწინო დღესასწაულში“, რომლის დროსაც რამდენიმე ათასმა მაკედონელმა იქორწინა სპარსელ ქალზე (Britanica,1768, Alexander).

ლეგენდები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფლობაზე აღმოსავლეთში, კერძოდ, ისლამამდელ არაბულ სინამდვილეში, ძველი დროიდან იყო გავრცელებული. ვარაუდობენ, რომ ყურანში შესული ზუ ლ-კარნაინის (ორრქიანის) სიუჟეტის წყარო ალექსანდრეზე შექმნილი გადმოცემების სირიული ვერსიები გახდა. ზუ ლ-კარნაინი ალაჰის ბრძანებით წავიდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მიაღწია ადგილს, სადაც მზე ჩადის და დასაჯა იქ ცუდი ხალხი და შეუმსუბუქა ცხოვრება კარგ ხალხს. შემდეგ წავიდა იქ, საიდანაც მზე ამოდის, შეხვდა იქ დაუცველ ხალხს, მიაღწია ადგილს ორ ზღუდეს შორის, სადაც ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც მისი ენა არც კი ესმოდა. იქ, ორ ზღუდეს შორის, მან კედელი ააშენა, რათა დაეცვა იქაურობა ხალხისაგან, რომლებიც იაჯუჯისა და მაჯუჯის შთამომავლები იყვნენ და დედამიწაზე სიბილწეს თესავდნენ. ზუ ლ-კარნაინის სახელით აღმოსავლეთის ტრადიცია იცნობს ლაჰმიდ მეფეს ალ-მუნზირს, იემენის მეფეს ალ-აკრანს, მაგრამ ყველაზე მეტად ზუ ლ-კარნაინის სახელით ცნობილია ალექსანდრე მაკედონელი (კ. კუცია, 1999, გვ. 67; М. Б. Пиотровский, 1991; Коран, 1986, 82(83)).

აღმოსავლეთის და დასავლეთის დაუფლება ყველა ძლიერის ოცნება იყო. მას შემდეგ, რაც სელჩუკებმა ხორასანი, ირანი, აზერბაიჯანი, ერაყი და ბაღდადი დაიპყრეს, აბასიანთა ხალიფა კაიმმა .მათი წინამძღოლი თოღრული „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ მეფედ ცნო (СИЭ, 1969, с. 719). თურქულ მონეტებზე სულთნები იხსენიებოდნენ როგორც

„სულთანი ორი ხმელეთისა და ხაკანი ორი ზღვისა“ (მ. ანთაძე, 1982, გვ. 60, 86-87, 99). სულთნის სასახლის კარზე ბაბ-ი ჰუმაიუნზე, შემორჩენილია წარწერა: „სულთანი მეჰმედი... ღმერთის ჩრდილი და სული. ადამიანთა შორის... ორი კონტინენტის და ორი ზღვის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ბატონი“ (Кинросс, 1999, გვ. 161).

ორთავიანი არწივი, რომელიც IV ს-დან ბიზანტიის სამეფო გერბი იყო, ხოლო მოგვიანებით რუსეთში დამკვიდრდა, აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფლობას განასახიერებდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, ნათელია, რომ ქართულ წყაროებში მეფეთა ტიტულატურაში სხვადასხვა დროს დადასტურებული „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ არ იძლევა კონკრეტული გეოგრაფიული ან კულტურული არეალის დანახვის შესაძლებლობას. ეს, ერთი მხრივ, შუამდინარეთთან და შუა აღმოსავლეთთან უძველესი და მუდმივი ურთიერთობების დადასტურებაა და უკავშირდება უნივერსალური მეფის ძველაღმოსავლურ იდეალს, ხოლო, მეორე მხრივ – ერის პოლიტიკურ-კულტურული იდენტიფიკაცია, ან დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარე გაერთიანებული ქვეყნის ადგილის განსაზღვრა იმდროინდელ საყმაროში.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. მ. ანთაძე, 1982 – მ. ანთაძე, *საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა მე-15-18 სს-ში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, თბ., 1982.
2. ი. ანთელავა, 1988 – ი. ანთელავა, ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ XI-XIV სს. - *ქართული საისტორიო წყაროები*, თბ., 1988.
3. შ. ბადრიძე, 1991 – შ. ბადრიძე, დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის. - *თსუ შრომები*, 8-9 (155-156), 1974.
4. Britanica, 1768 - Britanica, I, Chicago – London – Toronto, 1768.
5. გ. გიორგაძე, 1990 – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 1990.
6. ი. დოლიძე, 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1965.
7. Коран, 1986 – Коран. Пер. и комментарий И. Ю. Крачковского. Изд., второе, М., 1986.
8. ვ. კოპალიანი, 1972 – ვ. კოპალიანი, ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის საკითხი. - *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 3, 1972.
9. კ. კუცია, 1999 – ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გ. ჯაფარიძისა, რედ. გ. ბერაძე, თბ., 1999.
10. თ. ნატროშვილი, 1991 – თ. ნატროშვილი. *მაშრიყით მალრიბამდე*, თბ., 1991.
11. М. Б. Пиотровский, 1991- Ислам, Энциклопедический словарь, М., 1991.
12. СИЭ, 1969 – Советская историческая энциклопедия, სტატია "Сельджукское государство", 1969.

13. მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, 1991 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, რედ. მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, 1991.
14. მ. სურგულაძე, 1993 – მ. სურგულაძე, პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ფორმულები. - *ქართული წყაროთმცოდნეობა*, 8, თბ., 1993.
15. ქრონიკები, 1892, 1897 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I-II, ტფ., 1892, 1897.
16. ჯავახიშვილი, 1984 – ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, სახელმწიფო სამართალი. - *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VII, თბ., 1984.
17. ს. ჯანაშია, 1958 – ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, *საქართველოს ისტორია*, I, თბ., 1958.
18. Кинросс, 1999 – Лорд Кинросс, *Расцвет и упадок Османской империи*, под. ред. М. С. Мейера, М., 1999.

ქართველებისა და დანიშმენდიანების ურთიერთობების წარსულიდან

„მატიანე ქართლისაჲში“, გიორგი II-ის მეფობის დასასრულს, ნათქვამია: „და შემდგომად ამისა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი, წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯაველეთისა და არტანისა. და შემდგომად ამისსა ესეცა მომადლა ღმერთმან, აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“[1]. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. ამის შესახებ დაწვრილებით ისტორიკოსისაგან ვიგებთ, რომელიც, ამასთანავე, „მატიანე ქართლისაჲს“ ინფორმაციას საინტერესო დეტალებით ავსებს: „ხოლო მუნ (ბანას – გ.ა.)... მოვიდა წინაშე მათსა (მეფე გიორგი II-სა გ.ა.) ზორეარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუკალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს, და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკუდრნეს მას შინა. და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრაველდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა, რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოჯრებად, წუად, სრვად და ტყეობად ჩუენ ქრისტიანეთა. რამეთუ მათ ჟამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს გარედგომასა, დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიღნი, რომელთა თავადი იყო აჰმად, ამირა, ძლიერი და მაგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აელო კარი, მოვიდეს ესენი შინაგანცემითა ქრისტეანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხჳ“[2].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ცნობა რამდენჯერმე არის კომენტირებული.

თ. ჟორდანიამ გიორგი მეფის დამარცხება 1078-1079 წწ. დაათარიღა. მისი აზრით, „პირველი შემოსევა სელჩუკთა საქართველოში და სამშვილდის აღება იქნებოდა 1077 წელს, კარის აღება და პირველად გიორგის დამარცხება – 1078-1079 წწ., პირველი დიდი თურქობა 1080 წელს მოდის“[3].

ი. ჯავახიშვილის მსჯელობით, „1074 წელს დადებული ხელშეკრულებისამებრ ბერძნებმა თურქებს აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნები დაუთმეს... 1074 წლის შემდგომ საქართველო დიდ განსაცდელში ჩავარდა. ეხლა მას ორთავ მხრივ მტერი ერტყა... თურქებმა თურმე ჯერ კარი აიღეს და შემდეგ ისე გათამამდნენ, რომ ა(ჰ)მად ამირას მეთაურობით ისინი გიორგი მეფეს... დაეცნენ... ამ მაგალითით სხვა თურქებიც წაქეზდნენ და ვინმე იასისა და ბუჟღოშის მეთაურობით საქართველოს მოადგნენ“[4]. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მკვლევარი განასხვავებს პირველად შემოჭრილ თურქებს მეორეებისაგან.

ნ. შენგელია ნაშრომში „სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში“ ორჯერ ახსენებს ვინმე აჰმედს. მეორე შემთხვევაში სწორედ დავითის ისტორიკოსთან მოტანილ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც არ ათარიღებს[5]. აჰმედის პირველად ხსენებისას მოტანილია თურქი მეცნიერის ი. კაფესოღლუს ცნობა, რომ ქართველთა წინააღმდეგ წასული ამირა აჰმედის გასაძლიერებლად გაიგზავნა ამირა ბარსუკი, ემირ ბოზანი და ფახრ ად-დაულე. აქვე გაკეთებულია შენიშვნა, რომ, ”სამწუხაროდ, ი. კაფესოღლუ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ეს ლაშქრობა. საამისოდ იგი წყაროსაც არ უთითებს”[6]. ორივე ფაქტი ეკუთვნის სულთან მელიქ შაჰის ბატონობის წლებს (1072-1092) და, საფიქრებელია, ერთსა და იმავე პიროვნებას ეხება.

ე. კოპალიანს მოაქვს სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის (XIII ს.) ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გადასცა

თურქების მიერ შევიწროებულმა კარის (ყარსის) მეფემ გაგიკ აბასის ძემ თავისი სამფლობელო ბერძნებს და სამაგიეროდ მიიღო ქალაქები ცამენდავი, ლარისა (სევასტიის ახლოს), ამასია (პონტოში) და კომანა (კაბადოკიაში). „ქართველების მიერ იქიდან თურქთა განდევნა ბიზანტიის ინტერესებში შედიოდა... ბიზანტიის მთავრობამ გრიგოლ ბაკურიანის ძის საშუალებით საქართველოს მეფის ხელისუფლებას გადასცა კარი და მსგავსი მიდამოები, მაგრამ, სამწუხაროდ ეს მიწა-წყალი დიდხანს არ დარჩენილა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მფლობელობაში. 1074 წელს იგი ისევ დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა“[7].

მ. ლორთქიფანიძე არაერთგან აშუქებს აღნიშნულ ფაქტს. თუ ერთგან კომენტარს უკეთებს დავითის ისტორიკოსის ცნობას[8], სხვაგან უთითებს თ. ჟორდანიას და ი. ჯავახიშვილის მიერ მოტანილ თარიღებს – 1078-1079 და 1074-1080[9]. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ კი ისაა შენიშნული, რომ „გრიგოლ ბაკურიანის ძემ, როგორც ბიზანტიის იმპერიის მოხელემ, გიორგი მეფეს სელჩუკთაგან ამ მიწების (ყარსის – გ.ა.) წართმევის უფლება მისცა, რაც საქართველოს მეფემ განახორციელა კიდეც– გიორგი მეფის მიერ კარის აღებისთანავე მელიქ შაჰმა დიდძალი ლაშქრით გამოგზავნა საქართველოში ამირა აჰმადი. სელჩუკებმა აიღეს ციხე ქალაქი კარი... მოულოდნელად დაესხნენ თავს ყუელს მდგომ მეფეს და დაამარცხეს ის“[10].

რ. მეტრეველი არ აზუსტებს, რომელი თურქები იგულისხმებიან, როდესაც კარის ციხის შემოერთების, ხოლო შემდეგ მისი დაკარგვის საკითხებს ეხება[11].

ზ. პაპასკირი აღნიშნავს, რომ „ამირ აჰმადი სულთან მელიქშაჰის მიერ იყო გამოგზავნილი“[12].

გ. ჯაფარიძის მსჯელობით, „მანასკერტის ბრძოლამ“ (1071 წ.) ცხადყო, რომ ბიზანტია ეეღარ შეინარჩუნებდა თავის აღმოსაელურ პროვინციებს. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ თეოდოსიუპოლის თემის მმართველმა გრიგოლ ბაკურიანმა,

XI-ის 70-იანი წლების შუა ხანებში, ალბათ, 1074 წელს, ყარსი და მისი „მიმდგომი ქუეყანა“, რომელიც, ფაქტობრივად, თურქებს ჰქონდათ ოკუპირებული, გიორგი II-ს გადასცა. მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. 1080 წლისათვის მელიქ-შაჰის სარდალმა აჰმადმა „შინაგაცემითა ქრისტეანეთა“ აღიღო ყარსი და ამიერიდან XIII ს-ის დამდეგამდე ის თურქების ხელში იმყოფებოდა[13].

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, XI ს-ის 70-იანი წლების დასასრულს ქართველებთან დაპირისპირებული თურქები ქართულ ისტორიოგრაფიაში ან, ზოგადად, თურქებად, ან თურქ-სელჩუკებად არიან მიჩნეულნი, ახალი თავდამსხმელი აჰმადი დიდ სელჩუკთა სულთნის ერთ-ერთ ხელქვეითად, ხოლო საქართველოში მისი ლაშქრობა 1074, 1078-1079 ან 1080 წლებით არის დათარიღებული. ეს ძირითადად სწორია, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართული წყაროს ჩვენთვის საინტერესო ცნობას უფრო ერცელი კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, დაადგინოს ძველ ქართულ ქრონიკაში მოხსენიებული თურქი ამირას ვინაობა, რის შესახებაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია მკითხველს ზემოთ გავაცანით. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ისლამურ სამყაროში, კერძოდ, მცირე აზიაში XI ს-ის II ნახევარში შექმნილი ვითარების გათვალისწინება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისი წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის კიდევ ერთხელ გადახედვას.

XI ს-ის შუა წლებიდან თურქი სელჩუკები ააქტიურებენ თავის დაპყრობებს და მათ შორის ანატოლიაშიც, რაც, განსაკუთრებით, გაადვილდა მანასკერტის ბრძოლაში მათ მიერ ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ (1071 წ.). მცირე აზიის დაპყრობისას თურქ-სელჩუკებს არა მარტო აქ მცხოვრები ქრისტიანები – ბერძნები და სომხები, არამედ მუსლიმანებიც გადაეღობნენ. მცირე აზიაში გაბატონებული პირველი სელ-

ჩუკი სულთნის სულეიმან I კუტალმიშის გარდაცვალების (1085/6) შემდეგ, უმეფობის ხანაში (1092 წლამდე), ამირებს შორის მიმდინარე ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდა ამირა დანიშმენდი. უკანასკნელი კიდევ უფრო გაძლიერდა კილიჩ არსლან I-ის დროს (1092 წლიდან), რომელთანაც დაპირისპირება დამოუკიდებელ ბრძოლაში დანიშმენდიანთა გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ჯვაროსანთა შიშით გამოწვეული მათი კავშირი დროებითი და არამყარი გამოდგა[14]. ჯვაროსნებთან ბრძოლაში ამირა დანიშმენდმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი. მისი მონაწილეობა ივარაუდება დორილეუმსა და ჰერაკლიასთან ბრძოლებში, რომელთაგანაც პირველში თურქები დამარცხდნენ, აგრეთვე წარმატებულ ბრძოლაში მელიტენასთან (მალატიასთან)[15]. მალატიის დაპყრობის თარიღად აღმოსაველურ წყაროებში 493 (1100) და 495(1101/2) წლებია დასახელებული. მიხეილ სირიელი 1102 წლის 18 იელისს, ხუთშაბათს უთითებს, რაც, როგორც ჩანს, არ არის ზუსტი. ო. თურანის შენიშვნით, 18 იელისი, ხუთშაბათი 1101 წელს იყო[16]. სწორედ 1101 წელს უთითებს ბარ ჰებრეი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში და ამჯერადაც, მიხეილ სირიელს ეჯრდნობა. დანიშმენდის სახელთან არის დაკავშირებული ანტიოქიის უფლისწულის ბოჰემუნდის დატყვევებაც, რასაც თურქი მეცნიერები ა. სევიმი და ე. მერჩილი[17], ისევე როგორც გ. ჯაფარიძე, 1100 წლით ათარიღებენ[18].

XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, XII ს-ის 80-იან წლებამდე, კაბადოკიაში დანიშმენდიანთა დინასტია იყო გაბატონებული. მათი თავდასხმები აღნიშნულ ტერიტორიაზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ცნობები დანიშმენდიანთა დინასტიაზე შემოგვინახეს ბიზანტიურმა, ლათინურმა, სომხურმა, სირიულმა, არაბულმა, სპარსულმა, თურქულმა ზეპირმა და წერილობითმა წყაროებმა, ნუმიზმატიკურმა ძეგლებმა და წარწერებმა. შესაბამისად, დანიშმენდიანთა დინასტიის ისტორიას ეხებიან ის მეცნიერები, რომლებსაც საგანგებოდ უკვლევიათ აღნიშნული წყაროები, პირველ რიგში, ნუმიზმატი-

კური (ა. მორდტმანი, ა. სალე, პ. კაზანოვა, ფ. შლუმბერჟე, ა. ტეჰიდი და სხვა) ქრონიკების გამომცემლები, XI-XII სს-თა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარები და, განსაკუთრებით, დინასტიის დამაარსებლისადმი მიძღვნილი თურქული ეპიკური ძეგლის შემსწავლელები. მაგრამ, იმის გამო, რომ წყაროთა მონაცემები ფრაგმენტული ხასიათისაა და, ამასთანავე, ერთმანეთისგან განსხვავებული, ან ზოგჯერ საწინააღმდეგოც, ზოგიერთი რამ დანიშმენდიანთა ისტორიაში დღესაც დაუზუსტებელი და საკამათო რჩება. მკვლევარები, რომლებიც საგანგებოდ სწავლობენ დანიშმენდიანთა ისტორიას, აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით ბუნდოვანია დინასტიის პირველი წლები[19].

. შემორჩენილ წყაროთაგან თავისი ინფორმაციულობით გამოირჩევა ეპიკური რომანი „დანიშმენდ-ნამე", რომელიც, როგორც ნებისმიერი ფოლკლორული ძეგლი, ფრთხილ და კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს. აღნიშნული ძეგლი იქმნებოდა თანდათან, სხვადასხვა საუკუნეში (პირველი ჩანაწერი მეელანა იბნ ალამ განახორციელა 642/1245 წელს იზედდინ ქეიქავუს II-ისათვის, ხოლო მეორე – 762/1360 წელს არიფ ალიმ და ა.შ.) და სხვადასხვა ხანის ფაქტები დალექა. ანაქრონიზმების მიზეზების ახსნა და ფაქტების ატრიბუცია არცთუ იოლია, თუმცა კი, იმის გამო, რომ ძეგლის წერილობითი ვერსია ქრონოლოგიურად მოვლენებთან საკმაოდ დაახლოებულია, მან მნიშვნელოვანი სანდო პლასტი შემოგვინახა[20].

რომანი სხვადასხვა თვალსაზრისით არის საინტერესო, მათ შორის საქართველოსა და ქართველების წარსულისა და თურქულ სამყაროსთან მათი ურთიერთობის შესწავლისათვის. ქართველებს რომანში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა და ისინი სომხებსა და ბიზანტიელებთან ერთად მთავარი გმირის ძირითად დაპირისპირებულ ძალად არიან მიჩნეულნი. აღსანიშნავია, რომ, სიმღერის მიხედვით, სწორედ ქართველებთან ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობებით იღუპება

რომანის მთავარი გმირი. სიმღერისვე მიხედვით, დანიშმენდიანები მცირე აზიაში უფრო ადრე დამკვიდრდნენ, ვიდრე სელჩუკები. აქ ამირა დანიშმენდის მიერ დაპყრობილ ადგილებად მითითებულია სივასი, ტოკატი, კომანა, თურხალი, კარგარი, ჩანკირი, ანკარა. დანიშმენდსა და მის დინასტიაზე გვხვდება ცნობები ისტორიულ ქრონიკებში, რომელთა შორის არის თანადროული ძეგლებიც, რაც რომანის ზოგიერთ ცნობას ადასტურებს, ან იძლევა მათი შემოწმების შესაძლებლობას. წყაროები დინასტიის ისტორიის სხვადასხვა ქრონოლოგიას უთითებენ.

მხითარ აირივანეცის ცნობით, დინასტიის ისტორია 1041 წლიდან იწყება, რაც არ დასტურდება სხვა წყაროებით და საეჭვოა. სომეხი ავტორის გადმოცემით, „1041 წელს სულეიმანი გამეფდა სომხებსა და ბერძნებზე, ანტიოქიის წმინდა პეტრეს (ტაძარი) მიზგითად აქცია. ეს იყო დანიშმენდის სახლის ბატონობის დასაწყისი კაბადოკიაში“. სომხური ტექსტის ქართულ ენაზე გამომცემელი აღნიშნავს თარიღის უზუსტობას[21]. თურქი ისტორიკოსის (XVII ს.) მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, დანიშმენდი, რომელიც აზერბაიჯანში ცხოვრობდა, სელჩუკთა სულთნის ალფ არსლანის 1063 წლის კავკასიის ლაშქრობას შეუერთდა[22]. ო. თურანის შენიშვნით, მუნეჯიმბაშის წყარო ამ შემთხვევაში უცნობია. მიხეილ სირიელის თხზულების მოკლე ვარიანტი ამირა დანიშმენდს აგრეთვე ალფ არსლანის დროს იხსენიებს (1063-1072). მისი გადმოცემით, ის სწორედ ალფ არსლანის ბრძანებით შეიჭრა კაბადოკიაში და დაიპყრო ქალაქები სებასტია და კესარია, სადაც თავისი ბატონობა დაამყარა და შექმნა მნიშვნელოვანი სახელმწიფო. იგი დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებელია, რომელსაც თავისი სახელი მისცა. დანიშმენდი წინასწარმეტყველის ერთ-ერთი თაეგამოდებული დამცველი გახდა[23].

აბუ ჰამიდ მუჰამედ ბ. იბრაჰიმის და, მასზე დაყრდნობით, ჰაფეზ აბრუს მიხედვითაც, იგი ალფ არსლანის ერთ-ერთი ამირა და მანასკერტის ბრძოლის მონაწილე იყო, რის

შემდეგაც დაიპყრო კაისერი, სივასი, ტოკატი, ნიკსარი და ამასია მიდამოებით და შექმნა საამირო. ამასვე აღნიშნავს აბუ ლ-ფიდა. ქერიმ ად-დინ მაჰმუდ აყსარაის ცნობით, მანასკერტის ბრძოლაში მონაწილეობის შემდეგ, ამირა დანიშმენდმა დაიპყრო ნიკსარი, ტოკატი, სივასი, ელბისტანი და მათი მიდამოები. იმავეს იმეორებს ნიგდელი ყადი აჰმედი[24]. ეელია ჩელების ცნობით, „სელჩუკები პირველად შეუთანხმდნენ და შეუკავშირდნენ დანიშმენდიანთა ამირებს. დაიპყრეს მალატიის, კაისერის, ალაიეს, ანტიოქიის, კონიის ქვეყნები, კონია სატახტო ქალაქად გაიხადეს და დამოუკიდებელი ფადიშაჰები გახდნენ. დანიშმენდიანთა ხელმწიფეებმა კი დაიპყრეს სივასის და არზრუმის მხარეები და არზრუმი სატახტო ქალაქად გამოაცხადეს. ქალაქ ნიკსარაში წმინდა მელიქ ყაზი დარჩა და იქვე დაიმარხა“[25].

მიხეილ სირიელის ცნობით, ამირა დანიშმენდი კაბადოკიაში 1085 წლიდან მკვიდრდება[26]. აბულ ფარაჯს, იმავე ბარ ჰებრეის (XIII ს.) ნათქვამი აქვს, რომ „ართუკ-ბეგმა, რომელიც წარმატებით განაგრძობდა დაპყრობებს სივასის, ტოკატისა და ჭოროხის აუზში, მელიქ-შაჰის ბრძანებით დატოვა ანატოლია... მის ნაცვლად მოვიდა ამირა დანიშმენდი, რომელმაც თითქმის დაასრულა ამ რაიონში დაპყრობები და ამასიისა და მისი სანახების საზღვრებამდე მივიდა“[27]. ბიზანტიური წყაროებიც დაპყრობათა დიდ ნაწილს, რომელსაც, ჩვეულებრივ, დანიშმენდს უკავშირებენ, მელიქ-შაჰის ერთერთ ამირას ართუკს მიაწერს, ხოლო ამირა დანიშმენდს გვიან იხსენებს. ამავე აზრისაა მ. ჰ. ინანჩიც[28], რასაც, არ იზიარებს ი. მელიქოვი, რომელიც ყურადღებას მიაქცევს უთანხმოებას მელიქ-შაჰსა და ართუკს შორის[29].

ამირა დანიშმენდს გვიან იხსენიებენ ლათინური წყაროებიც, ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობებთან დაკავშირებით – 1096-98 წწ., რაც ბუნებრივია, ვინაიდან მათი ინტერესების საგანი სწორედ ჯვაროსანთა ომებია.

ლეგენდა და საისტორიო წყაროები ერთმანეთს ეთანხ-

მება იმ საკითხში, რომ დანიშმენდმა ერთ-ერთი პირველი დაიპყრო სივასი და გაიხადა ის შტაბ-ბინად. მაგრამ ამ ქალაქის დაპყრობის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, ისევე როგორც იმ ტერიტორიის დაპყრობათა დიდი ნაწილის ქრონოლოგია, რომელსაც ამირა 1097 წლისათვის აშკარად ფლობდა. როგორც სიმღერის, ასევე სხვა წყაროების მიხედვით, ამირა დანიშმენდს დაპყრობილი ჰქონდა ყიზილ ირმაკის, იეშილ ირმაკის, ქელქით სუს მიდამოები, ამასია, კომანა, ტოკატი, ნეოკესარია, განგრა, მელიტენა. მას ხარკს უხდიდნენ პონტოსპირეთის ქალაქები. მისი რაზმები ესხმოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს და მისი დაპყრობები არმენიამდე ერცელდებოდა. ამირა დანიშმენდს ეკუთვნოდა ჩრდილოეთ კაბადოკია ქალაქებით ამასიით და ნეოკესარიით, ადასტურებენ ჯვაროსანთა ომების ისტორიკოსები და ანა კომნენე[30]. ეელია ჩელების ცნობით, დანიშმენდიანებმა ქალაქი ნიკსარი 476 (1083-1084) წელს დაიპყრეს[31]. ი. მელიქოვის ვარაუდით, ნეოკესარიას თურქი ამირა მხოლოდ ტრაპიზონის გამგებლის, თეოდორე გაბრას დაღუპვის (1098 წ.) შემდეგ დაეუფლა. მკვლევრის ვარაუდით, სწორედ ამირა დანიშმენდისგან იცავდა პონტოს ზღვისპირა ქალაქებს ტრაპიზონის გამგებელი თეოდორე გაბრა, რომელიც თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა[32]. მასთანვე, აქტიური ბრძოლები ჰქონდათ ტრაპიზონის მომდევნო გამგებლებსაც, რაც კარგად ჩანს ახრიდის არქიეპისკოპოსის, თეოფილაქტეს, ტრაპიზონის გამგებელ გრიგოლ ტარონელისათვის მიწერილი წერილებიდან[33]. უკანასკნელის მოკავშირეები იყვნენ სომხები და ქართველები, ხოლო ამ კოალიციის შედეგი კაბადოკიის ქალაქების ხელახალი დაპყრობა იყო. ი. მელიქოვის ვარაუდით, გრიგოლ ტარონელი ტრაპიზონის გამგებლად სწორედ პონტოსპირეთში დანიშმენდზე გამარჯვებისათვის ჯილდოდ დაინიშნა[34]. ანა კომნენეს დათარიღებით, ტარონელი ტრაპიზონის გამგებლად დაინიშნა მე-12 ინდიქტიონს, ე.ი. 1103 წლის სექტემბრიდან 114 წლის აგვისტომდე[35]. 1105 წელს, როდესაც გრიგოლ ტარონე-

ლი ბიზანტიის იმპერატორს დაუპირისპირდა, იგი ამირა დანიშმენდის მიმხრობას ცდილობდა, მაგრამ ვიდრე მის დახმარებას მიიღებდა, ტყვედ ჩავარდა[36].

მკვლევართა უმრავლესობა ამირა დანიშმენდის გარდაცვალების თარიღად 1104 წელს მიუთითებს[37], სომეხი ავტორის ვარდანის ცნობაზე დაყრდნობით[38]. თურქი მეცნიერის ო. თურანის შენიშვნით, აქ დაშვებულია უზუსტობა, სომხური კალენდრის არასწორად გაგების გამო, ხოლო მათეოს ურჰაეცი დანიშმენდის გარდაცვალებას 1105 წლით ათარიღებს[39]. ვ. ა. გორდლევსკი მელიქ ღაზის გამგებლობის პერიოდად 1083-1106 წლებს მიიჩნევს[40]. მონეტების მიხედვით, ეს ფაქტი 20 წლით უფრო ადრე თარიღდება, როგორც პ. კაზანოვა უთითებს – 1084 წლით[41].

სხვადასხვა წყარო დინასტიის დამაარსებლის სხვადასხვა სახელს იცნობს. სიმღერის მიხედვით, მისი სახელია აჰმედ ბინ ალი. აჰმედი, როგორც ალფ არსლანის ან მელიქ-შაჰის ერთ-ერთი ამირას სახელი, იხსენიება წყაროებში. ზემოხსენებული თურქი მეცნიერის ი. კაფესოღლუს გარდა[42], ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ვ. გარბუზოვამაც, რომელიც იმოწმებს სათანადო წყაროების ცნობებს და აღნიშნავს, თუ როგორ ესხმოდა ალფ არსლანის ერთ-ერთი ამირა აჰმედი მცირე აზიის მიწებს[43].

ი. მელიქოვის აზრით, დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებლის სახელი უცნობია[44]. აჰმედი მას საეჭვოდ და ამირას შვილიშვილის სახელის მუჰამედის გაელენით გაჩენილად მიაჩნია. აბუ ჰამიდ მუჰამედ ბ. იბრაჰიმის და, მასზე დაყრდნობით, ჰაფიზი აბრუს მიხედვით, დანიშმენდის ისლამური სახელი მუჰამედია, რაც, სხვა წყაროების მიხედვით, მის შვილიშვილს ერქვა[45]. ფრანგულ ენაზე მიხეილ სირიელის თხზულების მთარგმნელი და კომენტატორი ვ. ლანგლუა დინასტიის ფუძემდებელს მუჰამედს უწოდებს, ხოლო მის მეორე სახელად გუმუშ თეგინს მიიჩნევს[46]. სტ. ლენ-პული დინასტიის დამაარსებელად იხსენიებს მუჰამედ გუმუშ

თეგინ ბ. ტილეს[47]. ვ. ვარბუსოვას შენიშვნით, მკვლევრები უსუსტობას უშვებენ, როდესაც მეტსახელ გუმუშ თეგინს ახმედის შვილის სახელად მიიჩნევენ. მკვლევარი აიგივებს ამირა დანიშმენდს, ახმედს და გუმუშ ტეგინს და სამივეს ერთ პიროვნებად თვლის[48]. ამირას შერქმეული სახელი თითქმის ყველა წყაროს მიხედვით დანიშმენდია, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება – ტანიშმანი, ტანუშმანი, ტანისმანი, ნესმანი, დანისმანი და დონისმანი[49]. გამონაკლისი არიან არაბი ავტორები იბნ ალ-ასირი და, მასზე დაყრდნობით, აბუ ლ-ფიდა, რომლებთანაც ამირის სახელია „გუმუშ თეგინ იბნ ელ-დანიშმენდ ტაილუ“. ო. თურანის შენიშვნით, სელჩუკთა ხანის ყველა თურქი ბეგი ატარებდა თურქულ და ისლამურ სახელს. მის აზრით, ამირას თურქული სახელია გუმუშ თეგინი, ისლამური – ახმედი, მამამისის – ტაილუ და ისლამური – ალი, ხოლო ალის მეტსახელი დანიშმენდია (მასწავლებელი)[50].

სომხური წყაროების მიხედვით, ამირა დანიშმენდს 12 შვილი დარჩა. მათი სახელებია – ისმაილი, გუმუშ ტეგინი, იაღიბასანი, იბრაჰიმი და სხვა. მონეტების და სომეხი ავტორების მიხედვით, ამირა დანიშმენდის მემკვიდრე და შვილი იყო მელიქ ღაზი, აბუ ლ-ფიდას და მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით – გუმუშ თეგინი, ჰეზარფენის და ქათიბ ჩელების მიხედვით, რომლებიც მელიქ ღაზის მის შვილში ურევენ – მელიქ ღაზი მუჰამედი[51].

ზოგჯერ, დინასტიის ფუძემდებელს მელიქად იხსენიებენ, რაც არ არის სწორი. ფაქტობრივად, მელიქის ტიტული მიენიჭა მის შვილს ბაღდადის ხალიფას მიერ 528 /1134 წ.[52], მაგრამ, ვინაიდან ხალიფას ელჩებმა მას ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრეს, ტიტული მის შვილს მუჰამედს გადასცეს. თვითონ დანიშმენდი და მისი შვილი მხოლოდ ამირას ტიტულს ატარებდნენ, რასაც მონეტებიც ადასტურებენ[53].

სომხური წყაროების – მათეოს ურჰაეცი, ვარდანი (XII-XIII სს.), ჩამიჩი (XVIII ს.) – მიხედვით, ამირა დანიშმენდი

სომხური წარმოშობისა იყო, არშაკიანთა დინასტიის სამეფო ოჯახიდან, ხოლო ბიზანტიელი კინამოსის ცნობით, იგი პერსარმენიელი იყო. უკანასკნელი, ი. მელიქოვის განმარტებით, მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია და არა ეთნიკური[54]. აღსანიშნავია, რომ კილიჩ არსლანი დანიშმენდისათვის მიწერილ წერილში ადრესატს ასე მიმართავს: "თურქული მოდგმის შვილო, ძმაო დანიშმენდ"[55]. სომხური წყაროების ცნობები უკრიტიკოდ გაიზიარა მ. ჰ. ინანჩმა. ი. მელიქოვი ამირას თურქმენულ წარმოშობას უჭერს მხარს. თავის დროზე, ს. ერემიანმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებელია რატი ბაღვაში, ლიპარიტის ძე, ხოლო ბაღვაშები მას სომხებად მიაჩნია[56]. აღნიშნული მოსაზრება ამირა დანიშმენდის და რატი ბაღვაშის იგივეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არ არის. კლ. კაენის არგუმენტაციით, რომელსაც ამირა თურქმენად მიაჩნია, არათურქული წარმოშობის პირის ბელადად არჩევა ან გმირად ქცევა ძალზე საეჭვოა, თუნდაც ენობრივი ბარიერის გამო[57].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამირა დანიშმენდის საქმიანობა ჩრდილოეთ კაბადოკიაში და მისი ურთიერთობა ქართველებთან, რის შესახებაც, მართალია, მცირე, მაგრამ დამაჯერებელი მასალა მოიპოვება. ი. მელიქოვის აღნიშვნით, კათალიკოს გრეგუარ II-მ, რომელმაც, მათეოს ურჰაეცის მიხედვით, 1064 წელს გაგიკ ყარსელთან შეაფარა თავი, სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა გოღ ვასილისთან კარმინ ვანქის მონასტერში, ტერიტორიაზე ჯეიჰუნსა და ევფრატს შორის, რომელსაც გოღ ვასილი 1082-1112 წწ. ფლობდა. გრეგუარის წასელის მიზეზად კაბადოკიიდან მკვლევარი იქ ამირ დანიშმენდის დამკვიდრებას მიიჩნევს[58].

ყარსის საკითხს როცა ეხება, კ. იუზბაშიანი აღნიშნავს, რომ 1023-64 წწ. „იქ გაგიკი მართავდა, რომელმაც სელჩუკთა თაედასხმების პირობებშიც დიდხანს შეინარჩუნა ხელისუფლება. მაგრამ 1064 წელს, მას შემდეგ, რაც ალფ-არსლანის

ჯარებმა ანისი დაიპყრეს, გაგიკ ყარსელმა თავისი სამეფო ბიზანტიას დაუთმო, თვითონ კი მესოპოტამიაში დასახლდა. ყარსის სამეფო შევიდა იერიის შემადგენლობაში, რომელმაც იმ დროს ანისი დაკარგა. 1074 წელს ყარსის და თეოდოსიუპოლის-კარინის (არზრუმი – გ. ა.) გამგებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო, რომელმაც ის გიორგი მეფეს გადასცა"[59]. 1074-1080 წწ. საქართველოს მეფემ კვლავ დაკარგა აღნიშნული ტერიტორია, რომელსაც ამირა აჰმედი დაეუფლა. ეს უკანასკნელი, ე. გარბუზოვას ვარაუდით[60], იგივე ამირა დანიშმენდია. ი. მელიქოვი აღნიშნულ ვარაუდს არ განიხილავს და, როგორც აღვნიშნეთ, ეპიკურ რომანში ნაჩვენებ სახელს – აჰმედს, ამირას საკუთარ სახელად არ მიიჩნევს, თუმცა კი გაკვრით ახსენებს ქართულ ქრონიკებს, სადაც, მისი აღნიშვნით, არის ცნობები დანიშმენდიანთა დროის მცირე ანიაზე[61]. ო. თურანი გიორგი II-ის დროს საქართველოში შემოჭრილ ამირა აჰმედს, ისევე როგორც ე. გარბუზოვა, დანიშმენდიანთა დინასტიის ფუძემდებლად მიიჩნევს[62].

ის, რომ დანიშმენდიანებმა თავისი გავლენა საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე გაავრცელეს, კარგად ჩანს ბულგარეთში ახრიდის არქიეპისკოპოსის თეოფილაქტეს 26-ე და 37-ე წერილებიდან ტრაპიზონის გამგებელ გრიგოლ ტარონელისადმი[63].

წერილების ავტორი აქებს ადრესატს, როგორც დანიშმენდის, ასევე ფრანკების გავლენის შეკვეცისათვის და აღნიშნავს, თუ ვისგან იღებდა ხარკს თურქი ამირა. „... რაც ჩემთვის სულ ახლახან გადმოუცია, დიდ პატივისცემად უნდა მითვლილიყო ჭეშმარიტების მოყვარე ყურებისათვის, რომლებიც უცხო არიან ყოველგვარი შურისაგან. დიაღ, ერთი ძლევით და ძეგლით ორი ერის ამპარტავნება და გულზვიადობა მოგიკვეთია და, ამასთან სპარსული (ე.ი. თურქული – გ.ა.) გონს გადასული სიმაგრე გაფრანგების უმაღლეს საზომად გადაგიქცევია, ვიდრე შენს ძლიერ ისარს განწონა შეეძლო ორი გვარტომისა, უწმინდურის, უპატიოსი, უფლის წინა-

შე...“ ამას მოსდევს ცნობები ნესმანზე. ე.ი. დანიშმენდზე, რომ ის „გადასახადის აკრეფას ჩვეული იყო სხვა ბერძნული ყაიდის ქალაქებისაგანაც, რომლებიც პონტოს გარშემო მდებარეობს და ტანაისის დინებით არის გარემოცული და იმით, რაც ეკერის ფაზისით შემოსაზღერულ კოლხების მიწას, და აგრეთვე უღელტეხილის ქვეშ მდებარე მცირე არმენიის მიწებით...“, შემდგომ არის ცნობები ტარონელის მონაწილეობაზე ბოჰემუნდის ტყეობიდან დახსნაში, რომელიც „იმდენად გაამაყებული იყო, რომ ბასილევსის პირველ ადგილს არ სჯერდებოდა“, „ახლა კი, ცვილზე უფრო დამთმობი გახდაო“ და სხვა.

მართალია, წერილის ტექსტით მაინც არ ჩანს ზუსტად, თუ სადამდე ვრცელდება დანიშმენდიანთა სამფლობელო, ან რა იგულისხმება ამ შემთხვევაში კოლხეთში, ამასთანავე, სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება ექცევა წყაროში დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობას და გაზვიადებას[64], მაგრამ ნათელია, რომ დანიშმენდიანები XII ს-ის დასაწყისში საქართველოს მეზობლები არიან და რომ ასეთი ვითარება კარგა ხანია არსებობს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დანიშმენდიანთა სახელი უცნობი არ არის, მაგრამ მათ შესახებ აქ ძალზე მცირე ინფორმაციაა. დანიშმენდიანები იხსენიებიან ნ. შენგელიას, გ. ფუთურიძის, ლ. დაელიანიძის, მ. სვანიძის, გ. ჯაფარიძის ნაშრომებში, უკანასკნელში – შედარებით ხშირად. ამასთანავე, ის სხვაობები, რაც დამახასიათებელია წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურისათვის, აქაც შეინიშნება. თუ გ. ფუთურიძის გამოკვლევაში ამირა დანიშმენდის გამგებლობა 1086 წლამდე გრძელდება, ნ. შენგელიას ერთ-ერთ ნაშრომში დინასტიის ისტორია 1097-1165 წწ-ში განიხილება[65]. ლ. დაელიანიძე იმავეს, კ. ბოსეორსის ნაშრომზე დაყრდნობით, 1171 წლით ათარიღებს[66]. მ. სვანიძე დანიშმენდიანთა საამიროს ისტორიას 1067 წლით იწყებს[67]. გ. ჯაფარიძე აღნიშნავს დანიშმენდიანთა მხრიდან სიეასისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ

ანატოლიის დაუფლებას და ყურადღებას აქცევს მტრულ ურთიერთობას ტრაპიზონის მხარეში გაბატონებულ გაბრას საგვარეულოსთან და რუმის სასულთნოსთან, რომელთანაც დაპირისპირება მოკავშირეობით ჯვაროსანთა საფრთხემ შეცვალა; საუბრობს მათ წარმატებებზე ჯვაროსნებთან ბრძოლაში: "1100 წ. დანიშმენდიანმა მალიქლახი გუმუშ თეგინმა პირველი გამარჯვება მოიპოვა და დაატყვევა იგი". მკვლევარი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მათ სიძლიერეს და იმ ფაქტს, რომ XII ს-ის 40-იან წლებამდე რუმის სასულთნო თამაშობდა დანიშმენდიანთა საამიროს უმცროსი პარტნიორის როლს და წარმოადგენდა ბუფერს ამ საამიროსა და ბიზანტიას შორის[68].

რამდენადაც ვიცით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსად მიქცეულა ყურადღება იმ ფაქტს, რომ დანიშმენდიანებს ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან და საქართველოსთან.

წყაროთა მრავალფეროვან ჩვენებებში, ისევე როგორც გამოკვლევებში გამოთქმულ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებში გარკვევა, როგორც ვხედავთ, არც ისე იოლია. მაგრამ განხილული მასალა, ეფიქრობთ, ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა.

XI საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით დანიშმენდიანთა თურქული დინასტია გაუმეზობლდა, რომლის ფუძემდებელი, თავდაპირველად, სელჩუკი სულთნების სამსახურში იყო, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დანიშმენდიანთა მიერ დაპყრობილმა ტერიტორიამ მოიცვა ის მიწებიც, რომელთაც განაგებდნენ 1064 წლამდე გაგიკ II, 1074 წელს – გრიგოლ ბაკურიანის ძე, ხოლო შემდეგ, ერთხანს, საქართველოს მეფე გიორგი II.

დავითის ისტორიკოსი ადასტურებს თურქული ეპიკური რომანის „დანიშმენდ-ნამეს" ცნობას იმის შესახებ, რომ დანიშმენდიანთა დინასტიის დამაარსებელს ერქვა აჰმედი და რომ მას ჰქონდა ბრძოლები ქართველებთან, ისევე როგორც

იმ წყაროთა ჩვენებებს, რომელთა მიხედვითაც დანიშმენდიანთა ამირა აჰმედი უკვე XI საუკუნის 70-იან წლებში აქტიურად იფართოებდა თავის სამფლობელოს მცირე აზიის ტერიტორიაზე.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება") გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილ. აბულაძემ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996, გვ. 243.
2. იქვე, გვ. 244.
3. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი პირველი, ტფ., 1897, გვ. 229.
4. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, II, თბ., 1983.
5. ნ. შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, თბ., 1968, გვ. 309.
6. იქვე, გვ. 159.
7. ვ. კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში*, თბ., 1969.
8. М. Д. Лордкипанидзе, *История Грузии XI- нач. XII вв.*, Тб., 1973, გვ. 84.
9. М.Д.Лордкипанидзе, Из истории византийско-грузинских взаимоотношений.- *Византийский временник*, 40. 1979, გვ. 92-96.
10. მ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 1979, გვ. 203.
11. რ. მეტრეველი, *დიდნი საქმენი*, თბ., 1978, გვ. 51-52.
12. ზ. პაპასკირი, *შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე*, თბ., 1991, გვ. 42.

13. გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, თბ., 1995, გვ. 75-76.
14. M. H. Yinanç, Danişmendiler. *Islam Ansiclopedisi*, III., გვ. 468-478; I. H. Mordtmann, Danishmendiya – *Encyclopaedie des Islam* I, Leiden-Leipzig, 1913, გვ. 952-953; I. Melikoff, Danishmendids. *The Encyclopaedia of Islam*, vol. II, London, 1960, გვ. 110-111; В. А. Гордлевский, *Избранные сочинения*, I, М., 1960, გვ. 52-55; O. Turan, *Selçuklar Zamanında Turkiye*, 5 Baski, Istanbul, 1998, გვ. 140-147.
15. La geste de Melik Danishmend, par Irene Mélikoff. t. I, Paris, 1960, გვ. 92-93.
16. O. Turan, გვ. 142.
17. A. Sevim, E. Merçil, *Selçuklu Devletleri Tarihi. Siyaset, Teşkilât ve Kültür*, 1995, გვ. 411.
18. გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.
19. В. С. Гарбузова, *Сказание о Мелике Данышменде*. М., 1959, გვ. 19-29; La Geste, გვ. 71-109.
20. В. Д. Смирнов, Мнимый турецкий султан, имеyемый у европейских писателей XVI в.Calepinus Cyriscelles (К вопросу о происхождении и значении слова `челеби`). – *Записки Восточного отделения Императорского русского археологического общества*. т. XVIII. вып. IV. С-П, 1908, გვ. 19.
21. მხითარ აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დალიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 104; В. С. Гарбузова. *Сказание*, გვ. 100.
22. O. Turan, გვ. 115.
23. Chronique de Michel le Grand, Traduite par Victor Langlois, Paris, 1868, გვ. 293.
24. M. H. Yinanç, გვ. 468; ნ. შენგელია, გვ. 281.

25. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნარკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 40, Chronique de Michel le Grand, გვ. 40.
26. M. H. Yinanç, გვ. 469; O. Turan, გვ. 113.
27. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ 281.
28. M. H. Yinanç, გვ. 469.
29. La Geste... გვ. 123.
30. იქვე, გვ. 109; Анна Комнина, *Алексиада*. Вступительная статья. Перевод и комментарий Я. Н. Любарского. М., 1965, გვ. 300, 407.
31. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, I, გვ. 184.
32. La Geste... გვ. 110.
33. Theophylacti Bulgarial Archiepiscopi. Patrologiae Graecae. Tomus 126. I. P. Migne. Turnholti (Belgium), გვ. 410-416; 438-439.
34. La Geste... გვ. 112-116.
35. Анна Комнина, *Алексиада*, გვ. 593.
36. O. Turan, გვ. 146.
37. I. H. Mordtmann, გვ. 952; La Geste... გვ. 119.
38. Всеобщая история Вардана Великого, Пер. Н. Эмин. М. 1861, გვ. 140.
39. M. H. O. Turan, 146.
40. В В. А. Горделевский, *Избранные сочинения*, I, გვ. 54.
41. M M. H. Yinanç, გვ. 469.
42. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 159.
43. В. С. Гарбузова, გვ. 98.
44. La Geste... გვ. 104, 105.
45. M. H. Yinanç, გვ. 468.
46. Chronique de Michel le Grand, გვ. 293.
47. Ст. Лэн-Пуль, *Мусульманские династии*, СПб. 1899, გვ. 129.
48. В. С. Гарбузова, გვ. 100.
49. G. Moravcsik, *Byzantinoturcica*, II, Berlin, 1958, II, გვ. 298; O. Turan, გვ. 116.

50. იქვე, გვ. 117.
51. M. H. Yinanç, გვ. 468; I. H. Mordtmann, გვ. 952.
52. I.Mélikoff, *Danishmendids*, გვ.110;
Ст. Лэн-Пуль, Мусульманские династии, М., 2004, გვ. 115.
53. Chronique de Michel le Grand, გვ. 302, La Geste... გვ. 106.
54. I. H. Mordtmann, გვ. 952; M. H. Yinanç, გვ. 468; La Geste... გვ. 73-75.
55. O. Turan, გვ. 144.
56. С. Т. Еремян, Преемники полководца Липарита и вопрос о происхождении рода Данышмендидов. *Известия АН Армянской ССР*, № 8, 1947 (სომხურ ენაზე, გვითარგმნია ე. კვაჭანტირაძემ).
57. К. Н. Юзбашян, *Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв.* М., 1988.
58. La Geste... გვ. 109.
59. К. Н. Юзбашян, გვ. 189-190.
60. В. С. Гарбузова, გვ. 98.
61. La Geste... გვ. 78.
62. O. Turan, გვ. 115-116.
63. Theophylacti, გვ. 410-414; 438-439.
64. La Geste... გვ. 117-118.
65. ეელია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები გ. ფუთურიძის, თბ., 1973, გვ. 59; ნ. შენგელია. მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა და ქართული დიპლომატია - *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, V, 1998, გვ. 64.
66. მხითარ აირივანეცი, გვ. 104.
67. მ. სვანიძე, *ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.)*, თბ., 1999, გვ. 12.
68. გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

1913 წელს „ისლამის ენციკლოპედიის“ პირველ გამოცემაში გამოქვეყნდა ვ. ბარტოლდის სტატია „აბხაზი“[1], რომელიც მოგვიანებით, ვ. მინორსკისეული მცირე რედაქციული ცვლილებებით, დაიბეჭდა იმავე ენციკლოპედიის ხელახალ გამოცემაში[2]. სტატიაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობამ შერვაშიძეების წარმომავლობის შესახებ, რომელმაც, ძირითადად, სწორედ ამ გამოცემების წყალობით ფართო გავრცელება ჰპოვა. სტატიებში აფხაზეთის მთავართა დინასტია დაკავშირებულია შარვანშაჰებთან და მითითებულია ზოგიერთი თარიღი: „დაახლოებით 1325 წელს ბაგრატიდებმა აფხაზეთი ლენის სახით უწყალობეს შარვაშიძეების დინასტიას (რომლებიც თითქოს შარვანშაჰთა დინასტიის შთამომავლები იყვნენ), ხოლო 1462 წელს (მეფე ბაგრატ VI-ის დროს) ამას მოჰყვა შარვაშიძეთა დამტკიცება ქვეყნის მთავრებად (ერისთავებად)“.

ვ. ბარტოლდის სტატიას იმოწმებს თურქი მკვლევარი მ. ფ. კირზიოღლუ, როდესაც აღნიშნავს, რომ „შედადიანთა შთამომავალი შერვაშიძეთა დინასტია 1325 წელს ბაგრატიონთა მიერ აბაზას გამგებლად იქნა დანიშნული და ერისთავის ტიტულით დამოუკიდებელი გახდა“[3]. ავტორი აქვე ამატებს, რომ „შერვაშიძეთა დინასტია არის 1124 წელს ანისში შეპყრობილი თურქი შედადიანების შთამომავალი“[4], რაც, სხვათა შორის, არ წერია „ისლამის ენციკლოპედიის“ სტატიაში, მაგრამ ამისთვის გამოყენებულია, როგორც ჩანს, მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია“, რომელსაც თურქი მკვლევარი აგრეთვე იცნობს, ისევე, როგორც ვ. ალენის მიერ გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიას“.

ერთ-ერთი წყარო, რომელსაც ვ. ბარტოლდი იმოწმებს, არის მ. ბროსეს გამოკვლევა. მართლაც, მ. ბროსეს შენიშვნით, ანისის დაპყრობის შემდეგ დავით აღმაშენებელმა „დაატყვევა და წაიყვანა აფხაზეთში ემირი თავისი შვილებით. ისინი იქიდან არასოდეს შინ აღარ დაბრუნებულან და შეიქ-

ნენ წინაპარნი შერვაშის გვარისა"[5]. „შარვაშიძე, ე. ი. შვილი შირვან შაჰის, ქართულად შარვანშა, იყო შთამომავალი ბენი-შედადის ოჯახისა, რომელიც ჰფლობდა ოდესმე შირვანს და რომლის უმცროსი შტო ქ. ანიში ბატონობდა. ერთი ანელი მთავართაგანი, რომელიც ერგო ტყვედ მეფე დავით აღმაშენებელს, 1222 წ. წაიყვანეს აფხაზეთში და იქიდან აღარ დაბრუნებულა თავის მამის მამულში"[6].

1932 წელს გამოცემულ ნაშრომში ვ. ალენიც აღნიშნავს, რომ შერვაშიძეებს აქვთ პრეტენზია, რომ ისინი წარმომავლობით ძველი შირვანშაჰებისაგან მომდინარეობენ[7]. დაწვრილებით შერვაშიძეების წარმომავლობაზე იმსჯელა ზ. ანჩაბაძემ, რომელმაც ფაქტობრივად გაიზიარა მათი კავშირი შირვანშაჰებთან[8]. ამავე საკითხს შეეხო ზ. პაპასკირიც[9].

უკანასკნელ ხანებში უკრიტიკოდ გაიზიარა მ. ბროსეს ვარაუდი გ. როგავამ. მისთვის თითქმის ერთადერთი არგუმენტი მ. ბროსეს მეცნიერული ავტორიტეტია: „რა საფუძველზე უნდა შევიტანოთ ეჭვი ამ მსჯელობათა ჭეშმარიტების და დასკვნების სისწორეში"? – სვამს ის შეკითხვას[10].

საიდან გაჩნდა ვ. ბარტოლდის სტატიაში თარიღი 1325 წელი? აღსანიშნავია, რომ იგივე თარიღი მითითებულია იოანე ბაგრატიონის ნაშრომში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა გვარებისა"[11]. ავტორი მოგვითხრობს ქართლში შარვაშიძეთა მოსვლაზე, მაგრამ არა უცხოეთიდან, არამედ აფხაზეთიდან: „ესენი არიან გვარითვე აფხაზთა მთავრისა შარვაშიძეს მონათესავენი და მუნითგან მოსრულნი საქართველოსა შინა დროსა გიორგი მეფისასა, ქრისტეს აქეთ წელსა 1325-სა, რომელმაც მიიღო კარგად და უბოძა ადგილნი თეგამის (იგივე თეძამის) ხეობასა ზედა"...

ამგვარად, მ. ბროსეს და ვ. ბარტოლდის ნაშრომებში გამოთქმულია აზრი, ერთი მხრივ, შარვაშიძეების შარვანშაჰებიდან წარმომავლობის შესახებ (როგორც მ. ბროსე, ასევე ვ. ბარტოლდი), ხოლო, მეორე მხრივ, ანისის შედადიან გამგებ-

ლებთან მათი დაკავშირების თაობაზე (მხოლოდ მ. ბროსე).

დავითის ისტორიკოსი მართლაც გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, რომ ანისის აღების შემდეგ მეფემ „წარმოიყვანა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა და მჭეველთა და სძალთა, და ჩაგზავნა აფხაზეთად; ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად. და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თჳსთა. და მერმე წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი...“[12]. აშკარაა, რომ აქ გამიჯნულია ერთმანეთისაგან აფხაზეთი და ქართლი, მაგრამ რამდენად ნიშნავს აფხაზეთი ამ შემთხვევაში საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიას, როგორც ეს გაიგეს, მაგალითად, მ. ბროსემ და სხვებმა, და რამდენად სანდოა დავითის ისტორიკოსის ცნობა? გარდა ამისა, რამდენად სწორია ანისის მმართველი შედადიანების და შარვანშაჰების გაიგივება?

შედადიანები ქურთული წარმოშობის მმართველი დინასტიაა არანსა და სომხეთში დაახლოებით 951-1199 წლებში. ანისში შედადიანების დინასტიამ არსებობა შეწყვიტა 1199 წელს, როდესაც ქართველებმა შეიერთეს ეს ტერიტორია. რაც შეეხება შირვანშაჰებს, ისინი შირვანის გამგებლები იყვნენ 861-1382 წლებში. ისინი თავის წარმოშობას უკავშირებდნენ სასანიანებს[13]. ამდენად, ეს ერთი და იგივე არ არის და მათი გაიგივება გაუმართლებლად მიგვაჩნია.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობის შემოწმების შესაძლებლობას იძლევა სომხური წყაროები, სადაც იგივე ამბებია გადმოცემული.

XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი (გარდ. 1138-1144) მათეოს ურჰაეცი, რომელსაც თავისი ქრონიკა 1136 წლამდე მოჰყავს, ანუ აღწერილი მოვლენების თანამედროვეა, ამ ამბავს ოდნავ განსხვავებულად გადმოგვცემს: „1124 წელს ქართველთა ჩეფცე დავითმა მოახდინა სპარსთა ჯარების სასტიკი ჟლეტა, თითქმის 20000 კაცი მოსპო და აიღო სომეხთა ქალაქი ანი, ხოლო მანუჩეს შვილები გააძევა ანიდან და თბილისს გაგზავნა“[14].

მეორე სომეხი მემატიანის სამუელ ანეცის გადმოცემით,

რომელსაც ისტორიული მოვლენები 1180 წლამდე მოჰყავს, დავითმა „შეპყრობილი აბულსუარი ძეებითურთ თან წაიყვანა ქართველთა ქვეყანაში და მომაკედინებელ ადგილას დაასახლა ისინი, სადაც ორი ვაჟთაგანი მამასთან ერთად გარდაიცვალა“[15] (ცნობა გვითარგმნა ნ. თორთლაძემ). ცოტა უფრო გვიანდელი სომეხი მემატიანე მხითარ აირივანეცი, რომლის ქრონიკა 1289 წლამდეა მოყვანილი, აგრეთვე ეხება იმავე ფაქტს და აღნიშნავს: „აბულსოვარმა ხლათიდან მოიტანა ოქროს ნალი და დაამაგრა ანისის კათოლიკე ეკლესიის თავზე, მაგრამ მოქალაქეებმა მოიყვანეს ქართველთა მეფე დავითი და გაუღეს მას ქალაქის კარი. (იმან) შეიპყრო აბულსოვარი და გაგზავნა სვანეთში შვილთან ერთად“[16]. „სვანეთი“ აღნიშნულ ნაშრომში რამდენიმეჯერ იხსენიება და ყველა შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს ნიშნავს[17]. მაგალითად, ჰაიკის დამორჩილებულ ტერიტორიებს შორის ჩამოთვლილია „ხალდვა, ქართლი, სონეთი და კავკასია“[18], ან ამავე ავტორის მიხედვით, რუსუდანის და ლაშა გიორგის შვილები, „ორივე დავითი სვანეთში გაიქცნენ“[19]. მხითარ აირივანეცი ხშირ და, საფიქრებელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობა. ცხადია, დავითის მემატიანის აფხაზეთს სომეხი ისტორიკოსი კითხულობს როგორც დასავლეთ საქართველოს.

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდან არეველცის გადმოცემით ანისის „ქრისტიანებმა მოუხმეს დავითს და ჩააბარეს ქალაქი ანისი. ტაძრის წმინდა გუმბათიდან ჩამოაგდეს საძულველი ნიშანი, რომელსაც ის მოთმინებით ატარებდა 60 წლის განმავლობაში ჩვენი ცოდვების გამო. დაადგეს თავზე სამკაული, იესოს გვირგვინი, პაულეს სიამაყე, მზე ჩვენი ხსნის ჯვარი უფლის გამოსახულებით, დაიწყეს ზარის რეკვა... მეფემ აბულეთი და მისი ძე ივანე დატოვა ანისში, დაბრუნდა თავის ქვეყანაში, თან ჩამოიყვანა აბულსუარი თავისი შვილებით, რომლებიც აღარ დაბრუნებულან, იქვე გარდაიცვალნენ“[20].

მოყვანილი ცნობებიდან გამომდინარე, უფრო მეტი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავითის ისტორიკოსი ამ შემთხვევაში გულისხმობს დასავლეთ საქართველოს. მაგრამ რას წარმოადგენდა ამ დროს დასავლეთ საქართველო და საერთოდ დავითის საქართველო? აქვე უნდა მიექცეს ყურადღება სომეხი მემატიანეების ცნობას, რომ საქართველოში გადასახლებულები აღარ დაბრუნებულან და იქვე გარდაიცვალნენ. არცერთ ცნობაში არავითარი მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ მათი ოჯახის რომელიმე წარმომადგენელი აფხაზეთის გამგებლად დაინიშნა. სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად არის დანახული „მატიანე ქართლისაჲს“ ოთაღო ჭაჭას ძეში („იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; ... მოვიდეს ტფილელნი ბერნი, ...უქადეს ქალაქი და უჴმეს სასწრაფოდ. წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა“[21], იგივე შარვაშიძე[22], ხოლო თვით ამ გვარის ეტიმოლოგიაზე საუსებით დამაჯერებელი ჩანს მ. ანდრონიკაშვილის განმარტება, რომლის თანახმადაც მსგავსი სახელები საქართველოში გავრცელებული ჩანს ძველი დროიდან. მკვლევარი სახელებს – სავარსამ, სიაუში, შიოში, სავარსან=სავარსამ, აგრეთვე გვარს - სავარსამიძე=სავარსიმიძე, სომხურში შაავარშ, ან შაავაშ, ქართულში შარვაშ – აკავშირებს ავესტას სიავარშან-თან. ირანელი მთავრის სახელთან, ქავიანთა დინასტიიდან. აღნიშნული სახელი, თავის მხრივ, იშლება ორ სიტყვად: სიავა+შავი+არშან, მამრი, მამაცი[23].

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გაედევნა თვალი ტერმინ „აფხაზეთის“ გაფართოებას. დადასტურებულია მისი სამი მნიშვნელობა. ერთ-ერთი ნაშრომი, სადაც აღნიშნული შეხედულებაა წარმოდგენილი, ეკუთვნის თ. გვანცელაძეს. I. „აფხაზეთის სამეფოს შექმნამდე ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“აღნიშნავდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილსა და იქ მცხოვრებ ხალხს“; II. „მომდევნო ეტაპზე აღნიშნული ტერმინები იფართოებს მნიშვნელობას

და აღნიშნავს, ერთი მხრივ, იმავეს, რასაც აღნიშნავდნენ პირველ ეტაპზე და, მეორე მხრივ, მთელ დასავლეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიის ყველა მკვიდრს"; III. „XI ს-ის დასაწყისიდან, როცა მეფე ბაგრატ III აერთიანებს თითქმის მთელ საქართველოს, ტერმინები „აფხაზი" და „აფხაზეთი" კიდევ ერთხელ იფართოებს მნიშვნელობას და აღნიშნავს ერთიან საქართველოსა და მის ნებისმიერ მკვიდრს". მაგრამ, მკვლევრის შეხედულებით, „ასეთი რამ თითქმის არ არის დამახასიათებელი ქართული წყაროებისათვის. ქართულ წყაროებში გვაქვს მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როცა ქართველ მეფეებს შემოკლებით აფხაზთა მეფეებს უწოდებენ, ხოლო არაბულ, სპარსულ, სომხურ, ბერძნულ წყაროებში ტერმინები „აფხაზი" და „აფხაზეთი" ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა-დაქუცმაცებამდე თითქმის მხოლოდ უფართოესი მნიშვნელობით იხმარება"[24]. მსგავსი აზრი გამოთქმული ჰქონდა ნ. ბერძენიშვილს, რომლის შენიშვნითაც „აკი ეწოდებოდა საქართველოს „აფხაზეთი" მუსლიმანურ სამყაროში"[25].

იმას, თუ რატომ ეწოდებოდა უცხოურ წყაროებში გარკვეული დროიდან „აფხაზეთი", მოგვიანებით ასეთი ახსნა მოეძებნა: „ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე „მეფე აფხაზთა" რომ დგას, ამის შედეგად უცხოურ წყაროებში „აფხაზი" იხმარება ზოგადად ქართველის და „აფხაზეთი" საქართველოს მნიშვნელობით"[26]. აღნიშნული მოსაზრება არაერთხელ გამეორდა. „ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „მეფე აფხაზთა" პირველ ადგილზე დგას. სწორედ ეს გარემოება, როგორც ჩანს, გახდა იმის მიზეზი, რომ უცხოურ წყაროებში „აფხაზმა" მიიღო ზოგადად ქართველისა და „აფხაზეთმა" საქართველოს მნიშვნელობა"[27]. ზუსტად იგივე გაზიარებული აქვს ბ. ხოშტარია-ბროსეს[28]. ერთგარი გამონაკლისია ჯ. გამახარიას და ი. გოგიას მსჯელობა ამავე საკითხზე, რომელიც თუმცა საკმაოდ ზოგადია: „ქართულ წერილობით წყაროებში იმ დროიდან „აფხაზეთი". და „აფხაზები" გამოიყენებოდა როგორც „საქართველოს" და

„ქართველთა“ სინონიმები[29].

დავითის ისტორიკოსთან გვხვდება როგორც „საქართველო“, ასევე - „აფხაზეთი“. ტერმინ „საქართველოს“, რომელიც უკვე X საუკუნიდან არის დადასტურებული, როგორც ჩანს, თავდაპირველად და ძირითადად კულტურულ-ეთნიკური დატვირთვა ჰქონდა, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან კულტურულ-რელიგიური გაერთიანება უსწრებდა პოლიტიკურ გაერთიანებას, თუმცა კულტურულ-ეთნიკური და პოლიტიკური შინაარსის გამიჯვნა არც ისე იოლია. მართალია, უკვე ე. წ. ჯუანშერის, თუ ფსევდო-ჯუანშერის მითითებით „კლისურა“ წარმოადგენდა „საზღვარს საბერძნეთისა და საქართველოსა“[30], მაგრამ გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ქართლის ცხოვრების“ სწორედ ეს მონაკვეთი წარმოადგენს გვიან ჩანართს, რომელიც, თ. გვანცელაძის აზრით, შეიძლებოდა გაჩენილიყო XII ს-ის მეორე ნახევარსა და XV საუკუნეს შორის. აღნიშნული ვარაუდისათვის ძირითადი არგუმენტია ცნობის არარსებობა „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, რომელიც შესრულდა XII ს-ის მეორე ნახევარში[31]. დავითის ისტორიკოსთან ტერმინ საქართველოს საკმაოდ ფართო მნიშვნელობა აქვს. თხზულების დასაწყისში თურქების ერთი ჯგუფი, „საბერძნეთს მიმავალთა“ თურქების მეორე ჯგუფისაგან რჩევას იღებდა: „რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“. ხოლო მათ მყის მოაქციენეს გზანი მათნი და მოუფინნეს პირსა ყოელისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი... და ასისფორნი და კლარჯეთი ზღვისპირამდის, შაჵშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი და არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი“... ყველაფერი ეს იყო ქუეყანა საქართველო[32]. უფრო მოგვიანებით იგივე ისტორიკოსი ამბობს, რომ „მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყიჩაყთა ატთრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თუსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“[33]. ყოველივე ამის მიუხედავად, სამეფოს, როგორც ჩანს, ჯერ

კიდევ სხვა სახელი ჰქვია, თუმცა, პარალელურად სულ უფრო აქტიურად შემოდის ტერმინი საქართველოც.

დავითის ტახტზე ასვლისას „იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღულისთავი. და ოდესმე ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს... ცხენკეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან; ეგრეთღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა“. ნიშნავს ეს, რომ დავითის განკარგულებაში მხოლოდ დასაელეთ საქართველოა ლიხის ქედს გაღმა? ალბათ, არა. ამავე წყაროში, მართალია, ნათქვამია, რომ „რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოჴრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამე არასადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“, აქვე ირკვევა, რომ „მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი და მიმდგომნი მისი ქუეყანა ივანე ლიპარიტის ძესა, და მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად. ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადაცე და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“[34]. ე. ი. ამ მონაცემების მიხედვით ქართლის საკმაო ნაწილი დავითს ემორჩილება, ვინაიდან „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით უკვე რატი ბაღვაშს ბაგრატ III-ის დროს „ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისგან მტკუარსა სამხრით – კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისჴევი და სკჳრეთი“[35], თუმცა მაშინ ის დავითის დროინდელი ივანესაგან განსხვავებით, „არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა“.

დავითის მეფობის დასასრულს ცნობილი ხდება სამეფოს სახელიც, როდესაც ქართველი მემატიანე აჯამებს მეფის ნამოღვაწარს, იგი მას ალექსანდრე მაკედონელს ადარებს და აღნიშნავს: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“[36]. მაგრამ არაფერი ეს

ქართველ მეფეს არ ჰქონდა და ამის ნაცვლად „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო, და ტყეობათა და ზემოჴსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მჴედრობისა და იგინიცა დაჭაბნებულნი, მრავალგზის მტეროთაგან სიელტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი...“[37]. როგორც ვხედავთ, დავითი „სამეფო აფხაზეთისა“-ს მეფეა.

ამასთანავე, დავითის ისტორიკოსთან ტერმინ „აფხაზეთის“ სამიეე მნიშენელობა დასტურდება: საკუთრივ აფხაზეთი, დასავლეთ საქართველო და გაერთიანებული ქართული სამეფო, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს გარდა ქართლის დიდ ნაწილსაც მოიცავს. ზემოთ დამოწმებული უკანასკნელი შემთხვევის გარდა, არის სხვა მაგალითებიც: „მასვე ზამთარს ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინთამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი...“[38], სადაც ტერმინი საკუთრივ აფხაზეთს უნდა გულისხმობდეს. განსხვავებული ვითარებაა სხვაგან: „რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა“[39]. ან „განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუენის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა...“[40], სადაც აშკარად დასავლეთ საქართველოში გადასვლაზეა ლაპარაკი. „როცა აფხაზთა მეფე თავის სატახტო ქალაქს, სამეფო საჯდომს ქართლში გადმოიტანდა, ისევე, როგორც აფხაზთა მთავარმა თავისი საჯდომი ქუთაისში გადმოიტანა, ქართლსაც, ბუნებრივია, აფხაზეთი ეწოდებოდა, როგორც ეს დავით აღმაშენებელმა მოიმოქმედა“, - შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი[41], მაგრამ მოხდა ისე, რომ მას შემდეგ, რაც თბილისი სატახტო ქალაქად იქცა, ტერმინს „სამეფო აფხაზეთისა“ ჩაენაცვლა ტერმინი საქართველო, რომელიც საკმაოდ ხშირია თამარის ე. წ. პირველ ისტორიკოსთან, რომელიც, ალბათ ე. წ. მეორე ისტორიკოსზე უფრო გვიანდელია, და XIV საუკუნის ანონიმის თხზულებაში. ხოლო ე. წ. ლაშა-გიორგის დროინდელ ისტორიკოსთან თამარისადმი მიძღვნილ მონაკვეთში ნათქვამია, „ძუელი სამე-

ფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა“[42]. იმ დროისათვის ეს სამეფო სრულიად უეჭველად საქართველოა, რომელიც „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ვრცელდება, რაც გაცხადებულია თამარის ე. წ. პირველ ისტორიკოსთან. „უბრძანე სპათა საქართველოსათა – მ'ხა იყვნენ ლაშქრობად ხუარასანს. დალათ'ე არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხ'უარასანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მ'ხა იყვნენ“[43].

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ გაერთიანებულმა საქართველომ დიდხანს შეინარჩუნა „სამეფო აფხაზეთისა“-ს სახელი, რომლის მეფედაც მიიჩნეოდა თავს ბაგრატ III, რაზედაც მისი ინიციატივით შედგენილი (სავარაუდოდ 1008-1014 წწ.) აფხაზ მეფეთა დიპლომი მიუთითებს[44]. თუმცა ამ სამეფოს საზღვრები საკმაოდ გასცდა აფხაზეთის ფარგლებს. მართალია, ამის დამადასტურებელი მონაცემები ქართული წყაროებიდან მხოლოდ დავითის მემატიანემ შემოგვინახა, წყაროთა სიმცირის პირობებში, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. უფრო მეტი მონაცემი გვაქვს უცხოურ წყაროებში, რომლებშიც ეს ტრადიცია, რომელიც ქართული სინამდვილიდან მოდის, უფრო გამძლე აღმოჩნდა. ამასთანავე, კიდევ ერთხელ უნდა მიექცეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ იმ დროსაც, როცა ეს პოლიტიკური გაერთიანება ცნობილი იყო როგორც „სამეფო აფხაზეთისა“, კულტურულ-ეთნიკურად იქ ქართული დომინირებდა, რასაც წყაროებში სხვადასხვაგვარად ესმება ხაზი. მაგალითად, გადმოცემულია საქართველოს მეფის გიორგი I და ბიზანტიის კეისრის ბასილი II-ის ბრძოლის ეპიზოდები და ნათქვამია „მეოტ იქმნნეს სპანი ქართველთანი“[45]; დავითმა საღმრთონი წერილნი... მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან“[46]; „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა“[47]; დაბოლოს, დავითის ისტორიკოსი გულისტკივილით შენიშნავს, რომ მეფის ქვეშევრდომნი დიდი ერთგულე-

ბით არ გამოირჩეოდნენ, „ვინათგან ნათესავნი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თუსთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგუთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“[48].

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. W. Barthold, Abkhaz. - *Encyclopädie des Islam*. I, Leiden-Leipzig, 1913, გვ. 74-75. В.В.Бартольд, *Абхазы*. – В.В.Бартольд, Сочинения, II (I), М., 1963, გვ. 861-65.
2. W. Barthold, V. Minorsky, Abkhaz. - *The Encyclopedia of Islam*. I, New Edition, Leiden-London, 1960, გვ. 36, 509.
3. M. F. Kırzıoğlu, *Osmanlılarin Kafkas -Ellerini Fethi (1451-1590)*, Ankara, 1998, გვ. 3.
4. იქვე, გვ. 3.
5. მ. ბროსე, *საქართველოს ისტორია*, ნაწილი პირველი, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით, ტფ., 1895, გვ. 154.
6. მ. ბროსე, *საქართველოს ისტორია*, ნაწილი მეორე, თფ., 1900, გვ. 167.
7. W. E. D. Allen, *A History of the Georgian people*. From the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century. London, 1971, First Published in 1932, გვ. 137.
8. З. В. Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии*, Сухуми, 1959, გვ. 190-195.
9. ზ. პაპასკირი, ფურცლები აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან (XI-XII სს.). - *აფხაზეთის მოამბე*, №1, 1998, გვ. 26.
10. გ. როგავა, შარეაშიძეთა საგვარეულოს წარმოშობის შესახებ. - *აფხაზეთის მოამბე*, №1, 1998, გვ. 54.

11. იოანე ბაგრატიონი, *შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა გვარებისა*, თბ., 1997, გვ. 32.
12. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება"), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1995, გვ. 264.
13. პ. თოფურია, შედადიანები - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 10, თბ., 1986; პ. თოფურია, შირვანშახი. - *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 11, თბ., 1973, გვ. 8.
14. ლ. დავლიანიძე, მათეოს ურჰაეცის ცნობები საქართველოს შესახებ - კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966, გვ. 248.
15. სამუელი ქაჰანაიი ანეცეოი ჰავაქმუნქ ი გროც პატმაგრაც, (ანეცი, ანისელი მღვდლის სამუელის ამონაკრეფი ისტორიკოსთა ნაწერებიდან), ვაღარშაპატ, 1893, გვ. 126.
16. მხითარ აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 80.
17. იქვე, გვ. 107.
18. იქვე, გვ. 47.
19. იქვე, გვ. 84.
20. ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002, გვ. 139.
21. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება"), გვ. 230.
22. З. В. Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии*, Сухуми, 1949, стр. 190-195; Летопись Картли, перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982, გვ. 97.
23. მ.ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბ., 1966, გვ. 36, 509.

24. თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზის“ და მასთან დაკავშირებულ ტერმინთა შესახებ. - კრ. *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, რედ., გ. პაიჭაძე, თბ., 1993, გვ. 573.
25. ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბ., 1990, გვ. 583.
26. მ. ლორთქიფანიძე, *აფხაზები და აფხაზეთი*, თბ., 1990, გვ. 17.
27. გ. ჯაფარიძე, ქართველების და საქართველოს არაბული სახელწოდებები. - კრ. *საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, რედ. გ. პაიჭაძე, თბ., 1993, გვ. 134.
28. ბ. ხორავა, *ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.*, თბ., 1996, გვ. 35.
29. Дж. Гамахария, Б. Гогия. *Абхазия – историческая область Грузии*, 1997, გვ. 37.
30. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“), გვ. 235.
31. თ. გვანცელაძე, *აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის ტექსტში*, თბ., 1997, გვ. 20.
32. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“), გვ. 245.
33. იქვე, გვ. 257.
34. იქვე, გვ. 249.
35. იქვე, გვ. 219.
36. იქვე, გვ. 275.
37. იქვე, გვ. 274-275.
38. იქვე, გვ. 260.
39. იქვე, გვ. 254.
40. იქვე, გვ. 259.
41. ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბ., 1990, გვ. 583.
42. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“), გვ. 299.

43. იქვე, გვ. 374-375.
44. Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრომი, გვ. 198-199; ძველი საქართველო II, თფ., 1913, გვ. 46-47.
45. ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება"), გვ. 224.
46. იქვე, გვ. 266.
47. იქვე, გვ. 275.
48. იქვე.

ორი ტერმინის განმარტებისათვის თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში

1. ფანჯანობათი

თამარის მეორე ისტორიკოსი შამქორის ომგადახდილ ქართველთა ლაშქრის მიერ განძის აღების შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ესრეთ მოწყალებათაგან ღმრთისათა აღესებულნი მიიწევნეს განძად და გამოეგებნეს მოქალაქენი, თავთა თჳსთა მშჳდობა ითხოვეს და ქალაქი ნებსით შესწირეს. შეიყვანეს დავით დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტნოსა ზედა დასუეს, **ფანჯანობათასა** (გამოყოფილია ჩვენ მიერ – გ.ა.) სასულტნოსა უკრეს, და ღორის ჴორცითა დიდად ძალი პურობა გარდაიჴადეს“[1].

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტექსტში მოხსენიებულმა ტერმინმა *ფანჯანობათ*[2]. თხზულების უახლესი გამოცემის ლექსიკონში ეს ტერმინი განმარტებულია, როგორც „ერთგვარი ნობათი“[3].

ამაეე ტერმინის ახსნის ცდას ეხედებით „სსრ კავშირის ისტორიის ქრესტომათიაში“. ამ წიგნში, როგორც ჩანს, რედაქტორის (ვინაიდან ე. დონდუას თარგმანში[4] ამგვარი განმარტება არ მოიპოვება) კომენტარით, *ფანჯანობათი* – ხუთი სამხედრო მუსიკალური საკრავისაგან შემდგარი ორკესტრია[5];

ფანჯანობათის ასეთი განმარტება ერთი შეხედვით თითქოს ლოგიკური ჩანს. მართლაც, *ფანჯ* (ﭙﻨﺞ) _ სპარსულად ხუთს ნიშნავს, ხოლო ნობათის (ﻧﻮﺑﺖ) ერთ-ერთი მნიშვნელობა, ბ. მილერის მიხედვით[6], არის მუსიკა დოლითა და დაფ-დაფებით, რომელიც გარკვეული ინტერვალებით სრულდებოდა შაჰის ან დიდებულის კარზე. მიუხედავად ამისა, ეს განმარტება ვერ ასახავს სრულად ჩვენთვის საინტერესო სიტყვის არსს.

საბასთან ნობათი საყვირდაფია[7]. ნ. ჩუბინაშვილი *ნობათს* განმარტავს როგორც ბუკს, ნაღარას და საყვირს[8]. ე. თაყაიშვილის მიხედვით, *ნობათია* დაფი, დაული, ბარაბანი[9].

ბ. ზახოდერის კომენტარი ნობათთან დაკავშირებით მილერისეულ განმარტებას უახლოვდება: ნაუბათი – დიდებულის სახლის კარის წინ დოლის დარტყმაა[10]. ამ განმარტებების მიხედვით ნობათი მართლაც სამხედრო მუსიკალური საკრავებისაგან შედგება და დაკავშირებული ჩანს მეფესთან ან რომელიმე წარჩინებულ პიროვნებასთან, გამოიყენებოდა მეფის ან დიდებულთა პატივსაცემად. ნობათის ცემის ტრადიციის სათავე აღმოსავლეთშია საძიებელი, რაზედაც თვით სიტყვის არაბული წარმოშობაც მიგვანიშნებს. თურქული ენციკლოპედიური ლექსიკონი ამ ტრადიციას სელჩუკიან სულთნებს მიაწერს: „ნობათი მუსიკაა, რომელსაც ოდესღაც საზეიმო ადგილებში ან დიდებულთა კარზე გარკვეულ დროს უკრავდნენო. სელჩუკთა სულთანმა რომ ოსმან ღაზის სამსახურისათვის ჯილდოდ ბეილიქის ნიშნები გაუგზავნა, მათ შორის დოლისა და ზურნის მსგავსი მუსიკალური საკრავებიც იყო. ამათ შემდეგ კიდევ სხვა საკრავები მიემატა. მეჰთერხანად წოდებული ეს ორკესტრი ყოველდღე იქ, სადაც ფადიშაჰი იყო, ლაშქრობაში თუ სასახლის კარზე, ნაშუადღევს, მესამე ლოცვის დროს გარკვეულ ადგილას ნობათს უკრავდა, ანუ ნობათს სცემდა, ამას „სულთნის ნობათ“ ეწოდებოდა“[11].

ნობათის დაკვრა რომ მართლაც დიდებულების პიროვნებასთან იყო დაკავშირებული, ეს წყაროებითაც დასტურდება. ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის ვეზირი ნიზამ ალ-მულქი მოგვითხრობს, რომ ამირ-ე ჰარასს (ციხის უფროსს) ყოველთვის აქვს დოლი, დროშა და ნობათი[12]. რავენდის ისტორიაში მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის ილდეგი'ხიან ათაბეგ ყიზილ-არსლანს ხალიფამ საპატიო ხალათი და შუადღის ნაღარა გამოუგზავნა[13].

შიჰაბ ად-დინ მუჰამად ან-ნასაჲი მოგვითხრობს, რომ მუჰამად ხორე'ხმშაჰმა შეცვალა კარის ტრადიციები და უფრო საზეიმო გახადა ცერემონიები. „ჯერ კიდევ ძველ დროში მისთვის, სხვა სულთნების მსგავსად, დადგენილი იყო დღეში ხუთი ნაუბი, ხუთი ლოცვის დროის შესაბამისად. ეს გრძელ-

დებოდა, ვიდრე ალაჰმა მისი მდგომარეობა არ აამაღლა და არ გააძლიერა მისი ხელისუფლება. ერაყში ლაშქრობის დროისათვის მან ხუთი ნაუბის უფლება თავის ვაჟ-სულთნებს მიანიჭა, რომ ეს ნაუბები იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ დაუსახელა, შესრულებულიყო იქ არსებული სულთნის სასახლის კართან".[14]

ზეიმზე, ან მეფისა და დიდებულების პატივსაცემად ნობათის დაკვრის ცერემონიალი არც ქართული ადათ-წესებისათვის ყოფილა უცხო. XIV ს-ის ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, ნობათის ცემა რიტუალურად დაკავშირებული ჩანს მეფის პიროვნებასთან: „აწ განცხადება ესთქვათ, დიდი დღესასწაული და წესი არის, რომე მეფე, სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველიევე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ: და დროშა, განაღამცა – წინა, ამართული, და მერმე ჯვრისმტჯრთველი, შემოსილი და ძელი ცხოვრებისა ჭელთა და წყალი აკურთხონ, აგრეთვე წამოვიდნენ. ეკლესიას მიეა მეფე და მენობათენი აღარა სცემენ ნობათსა და დროშა ეკლესიის კარსა დგას"[15].

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ნობის ცემა, ისევე, როგორც ტაბლაკისა, ზეიმისა და სიხარულის ნიშანი იყო[16]. ნობათი (ნობა, ნობი) რამდენჯერმე მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანშიც" (414, 710, 1290, 1404). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" თამარის გამეფებას ამგვარად აგვიწერს: „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედოქმნილთა. თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შუდისაევე სამეფოსათა"[17]. თეიმურაზ I-ის „იოსებ ზილიხანიანში" ნობა საქორწილო დღესასწაულზე სიხარულისა და ზეიმის მაუწყებელ საკრავად მოჩანს. „ჭირნი წავიდეს გლოვასა, აწ მოვლენ ქორწილობანი, დრო არის შეყრა მიჯნურთა მაღლად იძახდეს ნობანიო" (294).

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში „სასულთნო ფანჯანობათის" დაკვრა დაკავშირებულია განძაში დაეი-

თის სულთნის ტახტზე დაჯდომასთან. რაც შეეხება „ფანჯის“ (ხუთი) მნიშვნელობას, ამაზე პასუხს, ჩვენი აზრით, რაშიდ ედ-დინის შემდეგი ცნობა იძლევა: „ყიზილ-არსლანი გაძლიერდა, ჯარი შეკრიბა, სულთანი შეიპყრო, ბორკილი დაადო მას და ხუთჯერ დღეში სახლში შესასვლელთან თავისი კარის წინ ნაღარას სცემდა და სახელმწიფო მფლობელობაზე პრეტენზიას აცხადებდა“[18]. ო. სმირნოვას განმარტებით, ნაღარა დაფდაფს, ხოლო სპარსული გამოთქმა „ნაკკარე ბე ნამ-ე ხოდ ზადან“ ტერმინოლოგიურად „თავისი თავის გამგებლად გამოცხადებას“ აღნიშნავს[19]. როგორც ვხედავთ, რიცხვი ხუთი უნდა გამოხატავდეს არა საკრავების, არამედ ნობათის დაკვრის რაოდენობას. ს. ჰაიმი საგანგებოდ განმარტავს, რომ (نوبت پنج) (ფანჯ ნობათ) არის მუსიკა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდებოდა, გარდა ამისა, ყოფილა نوبت سه [20] (სე ნობათ), რომელსაც უკრავდნენ დღეში სამჯერ მეფის სასახლის წინ.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სელჩუკიანი სულთნების კარზე ნობათს უკრავდნენ ნაშუადღევს, მესამე ნამაზის დროს, რის შემდეგაც ლოცვას იტყოდნენ. ამას „სულთნის ნობათი“ ეწოდებოდა. რაკი ნობათის ცემა და ნამაზი ერთდროულად სრულდებოდა, შარიათის მიხედვით კი ყოველი მუსლიმი ვალდებული იყო ნამაზის ლოცვა ხუთჯერ წარმოეთქვა, ამიტომ ნობათის ცემაც ნამაზის მსგავსად, ჩანს, დასაშვები იყო დღეში ხუთჯერ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ნობათის ხუთჯერ დაკვრის უფლება მხოლოდ სულთნებს ჰქონდათ და ეს ცერემონიალი სიმბოლურად ამა თუ იმ პირის ტახტზე ასვლის გამოხატვას წარმოადგენდა. ამას გვაფიქრებინებს როგორც რავენდის ცნობა იმის შესახებ, რომ ილდეგიზიან ათაბაგს ყიზილ-არსლანს ხალიფამ ხალათი და მხოლოდ შუადღის ნაღარა გამოუგზავნა, ასევე რაშიდ ედ-დინის ცნობაც, რომ ყიზილ-არსლანი დღეში ხუთჯერ აკერევინებდა თავისი კარის წინ ნაღარას და სახელმწიფოს მფლობელობაზე პრეტენზიას აცხა-

დებდა. ამასვე ადასტურებს თვით თამარის ისტორიკოსის სიტყვებიც: „შეიყვანეს დავით დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტნოსა ზედა დასუეს, ფანჯანობათასა სასულტნოსა უკრეს“.

ამგვარად, თამარის მეორე ისტორიკოსის გამოთქმა — „ფანჯანობათასა სასულთნოსა უკრეს“ ტერმინოლოგიურად ნიშნავს, რომ დავითი განძაში სულთნის ტახტზე ავიდა და მის პატივსაცემად, ტრადიციის მიხედვით, ხუთჯერ დაუკრეს ნობათი.

2. უჯი

ბასიანის ბრძოლის წინ რუქნ ად-დინმა მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებს ლაშქრის გამოყვანა უბრძანა, „ხოლო თვით ამოისწრაფა და მიიწია უჯად სახელდებულთა მათ თურქთა თანა, რომელ არიან მჭნე ბრძოლასა შინა და არიან სიმრავლითა ვითარცა მკალნი, გინა ჭინჭუელნი. ამათ მისცნა ოქრო მრავალნი, და კუალად ნიჭნი დიდნი ესეოდენ, ვიდრე ასი ათასი მჭედარი შეკაზმული გამოიყვანა მათგან“[21].

ტერმინი „უჯი“ სხვადასხვა ავტორს სხვადასხვაგვარად ესმოდა. თავის დროზე აკად. მ. ბროსე ფიქრობდა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის „უჯი“ იგივეა, რაც „საქმე მოციქულთაჲ“-ში „პართნისა და მიდნის“ შემდეგ, ელამიტელების წინ მოხსენიებული „უჟიკი“. მაგრამ აშკარაა, რომ ბიბლიის „უჟიკის“ არაფერი აქვს საერთო ჩვენთვის საინტერესო „უჯთან“[22].

მ. ჯანაშვილმა „უჯი“ ტოპონიმად მიიჩნია (როგორც ჩანს, დაუკავშირა ირანის აზერბაიჯანის ქალაქ უჯანს) და ამასთან დაკავშირებით განმარტა: „რუქნადდინი რომ საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა, უჯანიდან 100 ათასი კაცი მოინადაო“[23].

ი. ცინცაძე „უჯს“ ტომის სახელწოდებად თელის და თამარის მეორე ისტორიკოსის სათანადო ადგილს ამგვარად განმარტავს: „რუქნადდინს თურქთა ის ტომები შეურჩევია,

რომელნიც სახელგანთქმული მეომრები იყვნენ. აგრეთვე ეს ტომები მრავალრიცხოვანიც ყოფილან[24].

„უჯი“ ტომის სახელწოდებად სხვა ავტორებსაც მიუჩნევიათ, რის შესახებაც აკად. ვ. გორდლევსკი შენიშნავს: „დიდხანს ეგონათ, რომ სიტყვა ج (uç) თურქთა ტომს ნიშნავს, – ძველი შეცდომაა, რომელიც ჯერ კიდევ ს. გიუარმა დაუშვა (აბულ ფიდას მთარგმნელმა) და შემდეგ გაიმეორა კ. ჰიუარმა (აფლაკის მთარგმნელმა)“[25]. თამარის ისტორიკოსის თხზულების ივ. ჯავახიშვილისა და ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემებში „უჯი“ საკუთარ სახელთა საძიებელშია შეტანილი[26]. სრულიად განსხვავებულ ვერსიას ეხვდებით ო. სმირნოვას მიერ თარგმნილ რაშიდ ედ-დინის ტექსტში, სადაც გამოთქმა „ამირი აზ უმარაძე უჯი“, ანუ უჯის ერთ-ერთი ამირა გაგებულია, როგორც „უმაღლესი რანგის ერთ-ერთი ამირა„[27].

როგორც ვხედავთ, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა „უჯის“ გაგების საკითხში.

არაბული სიტყვა „აუჯუნ“ (جون) ნიშნავს უმაღლეს წერტილს, მწვერვალს, აპოგეას. დაახლოებით ასევე განმარტავენ „უჯს“ სპარსული და თურქული ლექსიკონებიც: მიზეზი, გზა, ასპექტი, მიმართულება, კურსი, აპოგეა, უმაღლესი წერტილი[28]. დაწყება, დასასრული, ფრთა, ფლანგი, ნაპირი. უკანასკნელის ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს „უჯის“ კიდევ ერთი მნიშვნელობა – საზღვარი. მაჰმუდ ქაშღარელის ტექსტის მიხედვით შედგენილ ლექსიკონში „უჯის“, ერთ-ერთი მნიშვნელობა საზღვარია[29]. ასევე განმარტავს „უჯს“ იბნ ბიბის გერმანულ ენაზე მთარგმნელი ჰ. დუდაც[30], აქედან, ძველი თურქული ლექსიკონის მიხედვით, uç el საზღვართან მცხოვრები ხალხია[31]. თურქეთში რომ „უჯს“ უფრო კონკრეტული აზრი შეუძენია და გარკვეული კატეგორიის ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა, ამაზე თურქული ენციკლოპედიური ლექსიკონიც მიგვითითებს: უჯ (uc) სახელწოდებაა, რომელიც თურქეთის სახელმწიფოში საზღვრებთან მდებარე

ვილაიეთებსა და სანჯაყებს ჰქონდათ მიცემული. მათი მეთაურები ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ[32].

ისლამის ენციკლოპედიაში *უჯბეი* განმარტებულია როგორც „მეზობელ ქრისტიანებთან მებრძოლი ტერიტორიული ერთეულის სამხედრო მფლობელი. ოსმალეთის სახელმწიფოს ადრეულ წლებში სამხედრო ექსპანსია, განსაკუთრებით რუმელიის მიმართულებით, მნიშვნელოვანწილად განხორციელდა ამ გამგებლების წყალობით, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და ამკვიდრებდნენ თავიანთ დინასტიებს. ამასთანავე, კრიტიკულ მომენტებში, ე.ი. უმეფობის ხანაში არავინ მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისაკენ და ერთგული რჩებოდნენ ოსმანთა დინასტიის მიმართ... უჯბეების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს სულთანი ცნობდა მათ სრულ საკუთრებად. მოგვიანებით ისინი გადაიქცნენ ვაკფად, რომელსაც მათი შთამომავლები მართავდნენ"[33].

საზღვრის ან უჯის მოსახლეობა შედგებოდა ოღუზური ტომებისაგან, რომლებსაც اوج اتراك – „უჯის თურქები" ეწოდებოდათ[34]. „უჯის თურქები" კარგი მეომრები და, განსაკუთრებით, მეამბოხე ხალხი იყო, რაც თამარის მეორე ისტორიკოსსაც აქვს შენიშნული – „არიან მჴნე ბრძოლასა შინა". თურქ სულთნებს ხშირად გარეშე მტერზე მეტად უჯის მოსახლეობისა ეშინოდათ, ვინაიდან ისინი ყოველ ხელსაყრელ მომენტში სახელმწიფო ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგებოდნენ. ამის ერთგვარ კომპენსაციას თურქეთის ლაშქარში ომების დროს მათი თავდადებული ბრძოლა წარმოადგენდა. „უჯის" მოსახლეობას ევალებოდა აგრეთვე მენაპირეობაც, სახელმწიფოს საზღვრების დაცვა.

ქართველი ავტორი „უჯს" თურქების გარკვეულ ნაწილს უწოდებს, რასაც ვ. გორდლევსკიმაც მიაქცია ყურადღება: „აღმოსავლური ქრისტიანული წყაროებიც (მაგალითად, ქართველი ისტორიკოსი თამარ მეფისა, ბასილი) „უჯების" ქვეშ თურქებს გულისხმობს"[35].

ამგვარად, თამარის მეორე ისტორიკოსის აზრით, „უჯი“ ეწოდება თურქთა გარკვეულ კატეგორიას, რომელიც სახლვარ'ხე (უჯზე) სახლობდა და სახელიც ამის მიხედვით ჰქონდა შერქმეული.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ქველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 127. იგ. ჯავახიშვილის გამოცემაში იკითხება „ჟანჯანობათსა სასულთნოსა უკრეს“ (ბასილი ე'ხოსმოძღუარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამოცემა იგ. ჯავახიშვილისა, თბ., 1944, გვ. 21).
2. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შერწყმულ ტექსტში შესაბამისი ადგილი შეტანილია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-დან: „განახჳნეს კარნი ქალაქისანი, და მოუფენდეს სტავრასა კართამდის სრასა სასულტნოსა, და გარდაასხმიდეს თავსა ოქროსა და ეეცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა: და ვითარცა შევიდა სრასა სასულტნოსა, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტანისასა, და შეიქნა დარბაზობა, და დასხნეს ამირ-მირან და შარვაშე, თითოეული თჳსსა ადგილსა“ (ქართლის ცხოვრება, გამოც. მ. ბროსესი, ნაწ. I, სპბ, 1849, გვ. 308; შდრ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 72, 73).
3. იქვე, გვ. 609.
4. В. Дондуа, Басили, историк царицы Тамары. - сб. *Памятники эпохи Руставели*, Ленинград, 1938, გვ. 53.
5. Хрестоматия по истории СССР, Сост. В.И. Лебедев, М.Н. Тихомиров, В. Е. Сироечковский, т.I,М., 1949, გვ. 112. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვითაც ნაღარახანა

შედგენილი ჩანს 5 საკრავისაგან – ქარნა, ნაფირი, ზურნა, ნაღარა, ზინჯი (ი. სურგულაძე, *ქართული სამართლის ძეგლები*, თბ., 1949, გვ. 661).

6. Персидско-русский словарь, сост. проф. Б.Миллер. изд. 3-е, М.1960, გვ. 992.
7. სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა*, თბ., 1949, გვ. 490.
8. ნიკო ჩუბინაშვილი. *ქართული ლექსიკონი*, თბ., 1961, გვ. 320.
9. ე. თაყაიშვილი. *ჴელმწიფის კარის გარიგება*, ტფ., 1920, გვ. 25.
10. Сиасет-наме, Книга о правлении вазира 1X столетия Низам ал-Мулька, Перевод Б.Н. Заходера, М.,-Л., 1949, გვ. 331.
11. Resimli yeni lûgat ve ansiklopedi, Y. A. Gövsa, გვ. 4; საყურადღებოა, რომ არაბულში ნობათს ჯერ კიდევ არა აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც შეუძენია თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებში. არაბულში ნობათის (نوبة) მნიშვნელობაა მუსიკალური ნომერი, საყვირზე დაკერა, ან დოლის დარტყმა (Арабско-русский словарь, составил проф. Х. К. Баранов, т.II, М., 1970, გვ. 1640).
12. Сиасет-намэ.
13. The Rahat-us-sudur wa ayat-us-surur being a history of the Saljuks, by Muhammad ibn Ali ibn Sulayman ar- Rawandi. Ed. by M. Iqbal, London, 1921, გვ. 345.
14. Шихаб ад-дин Мухаммад ан-Насави. *Жизнеописание султана Джелал ад-Дина Манкбурны*, Перевод с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Буниятова, Баку, 1973, გვ. 65, 313.
15. სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 33.
16. ივ. ჯავახიშვილი. *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*, თბ, 1938, გვ. 212, 213.
17. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 27.
18. Рашид-ад-Дин, *Сборник летописей*, пер. с персидского О.И. Смирновой, прим. Б.И. Панкратова и О.И. Смирновой, т. 1. кн. 2, М., -Л., 1952 გვ.104.

19. იქვე.
20. New Persian-English Dictionary. by S. Haim, Tehran, 1936, ტ. I. გვ. 369; ტ. II, გვ. 140.
21. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 132.
22. Histoire de la Géorgie. Traduite du Géorgien par. M. Brosset, I re partie, St-Pétersbourg, 1849, გვ. 457; მ. ბროსეს მხედველობაში აქვს „საქმე მოციქულთაჲ„-ს შემდეგი ადგილი: „პართნი და მიდნი და უჟიკნი და ელამიტელნი და მკვიდრნი შუამდინარისანი, ჰურისტანისანი და კაპადუკიაჲსნი, პონტოჲსანი და ასიაჲსანი“ (1, 2, 9).
23. მ. ჯანაშვილი, *თამარ მეფე*, ტფ., 1917, გვ. 63.
24. ცინცაძე, *ბასიანის ბრძოლა*, თბ., 1971, გვ. 13.
25. Вл. Гордлевский, *Государство сельджукидов Малой Азии*, М.-Л. 1941, გვ. 46.
26. ბასილი ეზოსმოძღვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გვ. 41; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 688.
27. Рашид-ад-Дин, *Сборник летописей*,. 1 ,2, стр. 156.
28. როგორც ჩანს, ო. სმირნოვამ „უჯის“ სწორედ ეს მნიშვნელობა გაითვალისწინა.
29. Mitteltürkischer Wortschatz nach Mahmud al-Kašgarıs Divan Iugat at-turk, Bearbeitet von C. Brokelmann. Budapest, 1928. გვ. 227.
30. Herbert W.Duda, *Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi*, Munksgaard/Copenhagen, 1959, გვ. 6, 37.
31. Древнетюркский словарь, Л., 1969, გვ. 603.
32. Mehmet Zeki Pakalin. *Osmanlı Tarih deyimleri ve terimleri sözluğu*, ტ. III, Istanbul. 1956.
33. Elizabeth A. Zachariadou, Udj. - *The Encyclopaedia of Islam* (Web-CD edition. Brill Academic Publishers), vol. X, 2003, გვ.777.
34. В. Гордлевский. დასახ. ნაშრ., გვ. 118.
35. იქვე, გვ. 46.

„ბარმიან“, „ბარმიანელი“-ს განმარტებისათვის

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენიებული გარდმან//გარმიანი-ს მნიშვნელობის შესახებ ჩვენ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ისტორიკოსის გადმოცემით, 1161 წელს „შარიარმან სულთანად წოდებულმან თავისამან მცველ იქმნა ყოელისა შამისა, ჯაზარასა და დიარბაგისა თურქთა თანა გარდმანისათა“[1].

ტექსტი საკმაოდ შერყვნილია. მისი შესწორება-გამართვა სცადა ჯერ კიდევ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიამ. შეესებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ნაწყვეტი შემდეგი სახით შევიდა – „და შარიარმან, სულტნად მწოდებელ-მან თავისა თჳსისა-მან, მაწუეველ ექმნა ყოელსა შამსა, ჯაზირასა და დიარბეგისა, თურქთა თანა გარდმანისათა“[2].

ტექსტის შემდგომი დაზუსტება სცადა ვახუშტი ბაგრატიონმა. მისი სიტყვით, „ესე მაწუეველ ექმნა შამსა, ჯაზირასა დიარბექირისა, თურქთა თანა გარმიანელთა“[3], იოანე ბაგრატიონს არაფერი გაუუმჯობესებია: „ამან მოიწვია შამელთა მხედრობანიცა, და დიარბაქელთა თურქთა, და გარმანელთა“[4].

„ისტორიათა და აზმათა“ აღნიშნული ნაწყვეტი აღადგინა ი. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული ნუსხების წაკითხვათა გათვალისწინებით: „მწ[ვე]ველ იქმნა ყოელისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა, თურქთა თანა გარმ[ი]ანისათა“[5] (შდრ. კ. კეკელიძე: „მწუეველ იქმნა ყოელისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა თურქთა თანა გარმიანისათა“...)[6].

მ. ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოხსენიებული „გარდმანის“ გამო შენიშნა: „ვახუშტი სწორად წერს გარმიანს, ვინაიდან გარდმანი[7] საქართველოს მხარეა, მაშინ როდესაც გარმიანი, ან კარმრი (Carmr) ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც ორთოკის ვაჟს ილ-ღაზის ექვემდებარებოდა... და მე-4 არმენიაში მდებარეობდა“[8]. ეს განმარტება გაიზიარა ი. ჯავახიშვილმა[9].

ვ. დონდუასთვის „გარმიანი“ აგრეთვე ტოპონიმია – „თურქნი გარმიანისანი, უთუოდ ქირმანისანი„[10]. ს. ყაუხჩიშვილმა ისტორიათა და აზმათა უკანასკნელ გამოცემაში „გარდმანი“ ამჯობინა[11]. კ. კეკელიძემ „ისტორიათა და აზმანთა“ რუსულ თარგმანში „გარმიანი“ თარგმნა როგორც 'чужеземный» («Шах-Армен, называвший себя султаном, призвав на помощь всю Шами, Джазиру и Диярбакир вместе с чужеземными турками»)[12].

„გარმიანის“ მეორედ ხსენება თამარის მეფობის პირველ წლებს უკავშირდება. „და მასვე ჟამსა მოვიდეს კარნუ ქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმნისანი ცხენოსანნი და ქოითნი“[13]. ეახტანგის კომისიამ შეესებული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში შეიტანა „თურქნი გარმიანელნი“, ვახუშტიმ – „თურქ-გარმიანელნი“, იოანემ – „გარმიანელთა თათართა“. ი. ჯავახიშვილმა აღადგინა „თურქნი გარმ[ია]ნისანი“, რაც გაიზიარეს კ. კეკელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა[14].

„გარმიანი“ გვხვდება XIV ს-ის ანონიმურ ავტორ ჟამთააღმწერელთან: „ესე რა ხუარაზმელნი განიბნიენეს და უმრავლესნი იელტოდეს გარმიანსა და სულტანი ჯალალდინ მოიკლა. და აქა შინა დასრულდა სრულიად ჴელმწიფობა მაღალი“[15].

XI საუკუნეში მცირე აზიაში მომთაბარე თურქული ტომები ბიზანტიელი იმპერატორებისაგან ითხოვდნენ მფარველობას, რის სანაცვლოდ სახელმწიფოს საზღვრების დაცვას აღუთქვამდნენ. მათ უჯის, ანუ საზღვრის, თურქები ეწოდებოდათ და ძირითადად ანატოლიის განაპირა მხარეებში, მალათიის, ტარსუსის და არზრუმის მიდამოებში ბინადრობდნენ. სელჩუკთა მცირე აზიის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ უჯის თურქების ფუნქციები იგივე დარჩა. ისინი ნახევარდდამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მეტწილად მხოლოდ ნომინალურად ცნობდნენ სელჩუკიან სულთანთა სუვერენობას და არაიშვიათად ეგვიპტის სულთანსაც მიმართავდნენ მათ წინააღმდეგ დახმარებისათვის. უჯის თურქები კარგი მე-

ომრები იყვნენ და მათი ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა სულთნების ლაშქრობებში მონაწილეობა იყო. ცნობილია, რომ ბასიანის ბრძოლის წინ რუქნ ად-დინმა მოუწოდა სწორედ „უჯად სახელდებულთა მათ თურქთა თანა, რომელ არიან მჭნე ბრძოლასა შინა და არიან სიმრავლითა ვითარცა მკალნი, გინა ჯინჭუელნი“[16].

უჯის თურქები სხვადასხვა ტომისაგან შედგებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო გერმიანის (გარმიანის) ტომი[17], რომლის ისტორია მოკლედ ასეთია: თავდაპირველად გერმიანელები შუა მესოპოტამიის აღმოსავლეთ მხარეში იყვნენ დასახლებულნი. XII-XIII საუკუნეებში ისინი მალათიის მიდამოებში არიან, სადაც 1231 წელს სულთან ჯალალ ად-დინის სიკვდილის შემდეგ, „ესე რა ხუარაზმელნი განიბნიენეს და უმრავლესნი იელტოდეს“, ლტოლვილი ხვარაზმელები შეუერთდნენ გერმიანთა ადგილობრივ ტომს და 1283 წლიდან უკვე ქუთაჰიის მიდამოებში ერთ-ერთი უძლიერესი დაჯგუფება შექმნეს. სელჩუკთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, 1300-დან 1428 წლამდე ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ბაიაზედ I-ის (1389-1402) დროს სახელმწიფოსათვის მათი დამორჩილების ცდა თემურ ლენგის თავდასხმის გამო უშედეგოდ დამთავრდა. ხოლო მურად II-ის[18] ზეობის წლებში გერმიანის ტომი საბოლოოდ შევიდა ოსმალეთის შემადგენლობაში, როგორც ყარამანის ბეილიქის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი.

თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტით შეუძლებელია დადგენა, რას გულისხმობს ავტორი გამოთქმაში „თურქნი გარმიანისანი“, ეთნიკურს თუ გეოგრაფიულ სახელწოდებას. რაც შეეხება ჟამთააღმწერელს, „გარმიანი“ მასთან აშკარად გარკვეულ მხარეს აღნიშნავს – „უმრავლესნი იელტოდეს გარმიანსა და სულტანი ჯალალდინ მოიკლა“. XIV საუკუნის ავტორს უკვე აქვს საფუძველი ტომის სახელწოდება გაიაზროს ტოპონიმად, ვინაიდან ამ პერიოდში გერმიანელები მტკიცედ არიან დამკვიდრებული ქუთაჰიის მიდამოებში.

ზემოთ აღინიშნა, რომ კ. კეკელიძემ „თურქნი გარმიანისანი“ თარგმნა როგორც «Чужеземные турки». მის ინტერპრეტაციას, როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო ქართული ენის ზოგიერთი საინტერესო მონაცემი. ქართულ ენაში უცხოს, შორეულის, არაღვიძლის, გადამთიელის, უცხოურის, უცხო წარმოშობის სინონიმებად გამოიყენებოდა სიტყვები – „გარმიანელი“ და „გარმიანული“. ქართული ენის გარმარტებით ლექსიკონში მოტანილია მაგალითები – „მე მგონია, ეს ლოთი გარმიანელი მებაღე სულაც დავითხოვოთ და ბაღი გიორგის ჩავაბაროთ“. ან „უწინაც „ცისკარში“ შეგხვედრია ქართულ სტატიაში რაღაც გარმიანული სიტყვები“ (ილია)[19]. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართული „გარმიანელი“, „გარმიანული“, უცხოს მნიშვნელობით სწორედ თურქული გერმიანული ტომის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც კარგად ჩანს შემდეგი მაგალითებიდანაც. ქართული ენის დიალექტებში (კახ.) გარმიანელის ტრანსფორმირებული სახე „გამრიელ“-ია. „საცა ყმაწვილს დაინახავთ, გამრიელი თათარიც რომ იყოს, გაუყრით ხელსა და გაჰყვებით“! (მელანია)[20]. შევუდაროთ იოანე ბატონიშვილის ცნობას: „შემდგომად ამისა მოუწოდეს იდუმალ კარნუქალაქელთა, შამელთა და გარმიანელთა თათართა მხედრობასა, და შეკრბენ მხედრობანი ქვეყითნი და ცხენოსანი საკმაოდ“[21].

ამრიგად, თამარის პირველ ისტორიკოსთან მოხსენიებული „გარმიანი“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც ეთნიკური სახელი. მისგან განსხვაებით, ჟამთააღმწერელთან „გარმიანი“ უკვე მხარის აღმნიშნელია.

„თურქნი გარმიანისანი“ შეესაბამება XI-XIII საუკუნეებში მალათიის, ხოლო XIII საუკუნის დასასრულიდან – ქუთაჰიის მიდამოებში მოსახლე თურქულ ტომს, რომელმაც ოსმალეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ბეილიქი შექმნა.

ქართულ ენაში სიტყვები „გარმიანელი“, „გარმიანული“, „გარმიელი“ თურქული გერმიანის ტომის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 368.
2. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც, სპბ, 1849, გვ. 266.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 166. ვახუშტიმ პირველმა შეცვალა გადამწერთაგან შეცდომით შეტანილი „გარდმანისათა“ სწორი ფორმით „გარმიანელთა“.
4. იოანე ბაგრატიონი, *ისტორია ქართლისა* - საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნ, H 2134, ფ. 622 ბ.
5. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, თბ., 1965, გვ. 230.
6. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოც., თბ., 1941, გვ. 57.
7. მ. ბროსე გულისხმობს, როგორც ჩანს, გარდაბანს.
8. M. Brosset. *Histoire de la Géorgie*, I, Spb., 1849, გვ. 387.
9. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, გვ. 230.
10. ვ. დონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები; – კრებ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966, გვ. 239.
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 6, 553.
12. К. Кекелидзе, История и восхваление венценосцев. – კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, XII, თბ., 1974, გვ. 175.
13. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 418-419.

14. ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., გვ. 286; ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 173; იოანე ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., ფ. 629-ა; ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, გვ. 256; კ. კეკელიძე, *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*, გვ. 82; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 38.
15. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 184.
16. იქვე, გვ. 132.
17. გერმიანის ტომის შესახებ იხ. G. Le Strange, The Lands of the Eastern Caliphate, Cambridge, 1930, გვ. 144, 153; Islam Ansiclopedisi, c. IV, Istanbul, 1964, გვ. 767; Alâettin Gövsa, *Resimli yeni lûgat ve ansiklopedi*, c. II, გვ. 928; I. H. Uzunçarşılı, *Anadolu Beylikleri ve Akkoyunlu Karakoyunlu Devletleri*, Ankara, 1969, გვ. 39-54; O. Turan, *Selçuklular ve Islâmiyet*, Istanbul, 1971, გვ58,59; В. А. Гордлевский, Государство сельджукидов Малой Азии. - В. А. Гордлевский, *Избранные сочинения*, т. I, М., 1960, გვ. 147, 471, 496. მცირე ცნობები მათ შესახებ არის იბნ. ბიბისთან, აყსარაისთან, აფლაკისთან, ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ანონიმურ ისტორიაში, იბნ ბატუტასთან (H. W. Duda, *Die Seltchukengeschichte des Ibn Bibi*, Munksgaard /Kopenhagen, 1959, გვ. 218, 220, 221, 314, 335, 336, 346 – Selçuki Devletleri Tarihi, Aksaraylı Kerimeddin Mahmud' un Müsameret alahyar adlı Farsça Tarihinin Tercümesi. Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman, Ankara, 1943; Ahmet Eflâki, *Ariflerin menkibeleri*, Ankara, 1953, ტ. II, გვ. 411; Feridun Nafiz Uzluk,. *Anadolu Selçulkulari Devleti Tarihi*, III, Ankara, 1952, გვ. 47, 48, 49, 50, 62; Ibn Battuta, *Travels in Asia and Africa 1325-1354*, Translated and selected by H. A. R. Gibb, London, 1929, გვ. 128).
18. Alaettin Gövsa, დასახ. ნაშრომი, გვ. 928; ვ. გორდლევსკის აზრით, მეჰმედ II-ის (1451-1481) დროს (В. А. Гордлевский, *Избранные сочинения*, т.I, გვ. 496).
19. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 1074.
20. იქვე, გვ. 925.
21. იოანე ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., ფ. 629ა.

ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის

ქართული საისტორიო წყაროები ღარიბია თარიღებით, ხოლო მკვლევარის განკარგულებაში არსებული მცირე ქრონოლოგიური მასალაც ყოველთვის სანდოდ არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამის გამო საქართველოს ისტორიის ბევრი საყურადღებო ფაქტის დათარიღება შემდგომ კვლევას საჭიროებს.

საინტერესოა ამ მხრივ ბასიანის ბრძოლის თარიღი – საკითხი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში რამდენიმე ავტორი შეეხო საგანგებოდ[1]. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ დამატებით. მონაცემს ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებით. ეფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, აგრეთვე, თარიღის ირგვლივ გამოთქმული ვარაუდებისა და მათი საფუძვლიანობის კიდევ ერთხელ გადასინჯვა.

აზრი იმის შესახებ, რომ ბასიანის ბრძოლას წინ უსწრებდა ტრაპიზონის საკეისროს შექმნა და ყარსის აღება, ამჟამად უარყოფილია. რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღისა[2] და მისი წინა მოვლენების გათვალისწინებით, მკვლევარნი ბასიანის ბრძოლას, ძირითადად, 1202 და 1203 წლებით ათარიღებენ. ამდენად, არჩევანი ამ ორ თარიღს შორის უნდა მოხდეს. შევეცდებით წარმოვადგინოთ საფუძვლები, რომლებსაც ემყარება თითოეული მათგანი.

მ. ბროსესთვის მთავარი არგუმენტი რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღი იყო: „რადგან სულთანი 600 (1203/4) წელს გარდაიცვალა, ქართველების გამარჯვებაც დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო", - წერდა იგი. შემდეგ მკვლევარი თითქოს ეწინააღმდეგება თავისსავე მოსაზრებას და აღნიშნავს: იმ მოვლენათა მიხედვით, რომლებიც წინ უსწრებდა ამ ბრძოლას, 1202 წლამდე მიეედიო. ამგვარ მსჯელობას მ. ბროსე ისევ პირველი ვარაუდით ამთავრებს: „მაინც არა მგონია, რომ რუქნ ად-დინის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად უფრო ადრე იყო, ვიდრე ვთქვი", ე. ი. ვიდრე 1203/4 წელს[3]. მ. ბროსეს აზრს არ დაეთანხმა თ. ჟორდანია.

ისევე როგორც მ. ბროსეს, უშუალო საბუთი არც თ. ჟორდანიას გააჩნდა და იგი მსჯელობით მივიდა 1202 წლამდე. რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღს მან შემდეგი არგუმენტი დაუმატა: „1203 წელს იკონიის სახელმწიფო მისუსტებულა და ფრანგთა გაელენის ქვეშ ჩავარდნილა. ძნელი დასაჯერებელია, რომ 1203 წელს და მის შემდეგ როკნ-ედ-დინს თამარ მეფეზე გალაშქრება გაებედოს“[4]. ასეთ დათარიღებას (1202 წელს) იზიარებს დ. კარიჭაშვილიც[5], თუმცა წყარო, რომელსაც იგი ეყრდნობა, ჩვენთვის უცნობია. ი. ლოლაშვილი არჩევანს 1205-6 წლებსა და 1203 წელს შორის აკეთებს. დასაბუთებაც საესებით საკმარისია, როდესაც იგი უპირატესობას 1203 წელს ანიჭებს: რუქნ ად-დინი „ისტორიკოსთა ცნობებით გარდაცელილა 1204 წელს, მაშასადამე, ქართველ სელჩუკთა ბრძოლა ბასიანთან უნდა მომხდარიყო რუქნ ად-დინის გარდაცვალებიდან ერთი წლით ადრე მაინც“[6]. დაახლოებით იმავე წანამძღვრებიდან ამოდის ა. გამყრელიძეც, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს როგორც 1202, ასევე 1203 წელს[7]. ბ. სილაგაძის მიზანს, როგორც ჩანს, არ წარმოადგენდა ამ ფაქტის ზუსტი თარიღის დადგენა. მისთვის მთავარი იყო, გაერკვია, რომ ბასიანის ბრძოლა წინ უსწრებდა ტრაპიზონის იმპერიის შექმნას და, ამდენად, შეიძლებოდა მომხდარიყო 1203 ან 1204 წელს[8].

როგორც ვხედავთ, განხილულ მოსაზრებათაგან სავსებით ნათელი მხოლოდ ერთი რამ ხდება: ბასიანის ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროს შექმნისა და ყარსის აღებამდე მოხდა. უფრო ზუსტი დათარიღება კი მკვლევართა მიზანს არ შეადგენდა, ან მასალის სიმცირის გამო შეუძლებელი იყო.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით ბასიანის ბრძოლას სხვადასხვაგვარად ათარიღებენ ა. აბრამიანი, ა. მათევოსიანი[9] (1202 წ.) და ა. აბდალაძე (1203 წ.)[10].

მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერში ბასიანის ბრძოლის ზუსტი თარიღი არ არის ნაჩვენები. მიუხედავად ამისა, მისი შინაარსი ა. აბრამიანს ბრძოლის თარიღად 1202 წლის

გაზაფხულს ავარაუდებინებს. ამავე ანდერძ-მინაწერის შედგენის დროის დასაზუსტებლად, გარდა დასაბუთებისა, ა. მათეოსიანი სტეფანოს ეპისკოპოსის ჟამთააღმწერლობის ცნობას იშველიებს: „იმავე წელს (1202) სულთანი რუქნ ად-დინი, (რომელმაც) კარნუ ქალაქი აიღო, ზაქარიამ დაამარცხა“[11].

ა. აბდალაძის აზრით, უფრო ანგარიშგასაწევია „ხარბერდის სახარების“ ანდერძ-მინაწერი, რომლის მიხედვითაც ბასიანის ბრძოლა 1203 წლით თარიღდება. ანდერძ-მინაწერის შემდგენელი გვაუწყებს, რომ მან ამ „წმიდა სახარების“ გადაწერა დაიწყო და დაასრულა 1203 წელს, და შემდეგ განაგრძობს: „ამავე წელს დასაელეთიდან მოვიდა სულთანი, დაიმორჩილა თეოდოსიოპოლი და ბრძოლა გაუმართა ქართველებს“[12]. ე. ი. ამ ცნობის მიხედვით, სულთანს თეოდოსიოპოლი, ანუ არზრუმი დაუპყრია 1203 წელს და ამავე წელს უბრძოლია ქართველებთან.

ქართველებთან ბრძოლის წინ რომ რუქნ· ად-დინს არზრუმი დაუმორჩილებია, ამას ყველა მემატიანე აღნიშნავს. აყსარაი გადმოგვცემს, რომ რუქნ ად-დინმა ლაშქარი შეჰყარა და საქართველოზე გალაშქრება გადაწყვიტა – ჯერ არზრუმი აიღო და თავის ძმას მოღის ად-დინ თოღრულს ჩააბარა, მერე ოცი ათასი კაცით საქართველოსკენ გაემართა[13]. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობითაც, „მან დაიპყრო არზრუმი და თავის ძმისწულს მისცა. იქიდან მან აფხაზეთსა და საქართველოზე გაილაშქრა“[14]. იმავეს იმეორებს იბნ ბიბიც[15]. დაბოლოს, სტამბოლის დაპყრობამდე შედგენილი ერთ-ერთი თურქული ქრონიკა[16] და XVII ს-ის თურქი ავტორები ქათიბ ჩელები[17] და აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკიც[18] ამ ორ მოვლენას ერთად მოიხსენიებენ.

ამგვარად, არზრუმის დაპყრობა უშუალოდ უსწრებდა წინ ბასიანის ბრძოლას. იბნ ბიბი იმასაც კი ამბობს, თითქოს რუქნ ად-დინმა სწორედ იმიტომ გადააყენა არზრუმის მბრძანებელი ალა ად-დინ სალიკი, რომ მან ქართველებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არ ისურვაო[19].

რუქნ ად-დინის მიერ არზრუმის აღების თარიღები არ გადმოსცილდება 698 (1201/2 წ.) წელს. შერიფ-ხან ბითლისის (XVI ს.) მიხედვით, რუქნ ად-დინმა არზრუმი 596 (1199-1200) წელს დაიპყრო[20]. 597 (1200/01) წელს ვხვდებით იბნ ალ-ასირთან, აბუ ლ-ფიდასა და რაშიდ ად-დინთან[21]. თურქული წყაროების თარიღი 598/1.X.1201 - 20.IX.1202 წელია[22], რასაც მხარს უჭერს იბნ ბიბის თხზულების თურქული თარგმანიც[23]. თურქული წყაროების მონაცემები მცირედით სცილდება იბნ ალ-ასირის, აბუ ლ-ფიდასა და რაშიდ ად-დინის ჩვენებებს, ვინაიდან ამ ავტორთა მიხედვით, 597 წლის რამაზანში, ე. ი. 1201 წლის ივნის-ივლისში რუქნ ად-დინმა მალათია დაიპყრო, შემდეგ კი (თვე მითითებული არ არის) არზრუმი. ხოლო ჰიჯრის 598 წელი 1201 წლის 1 ოქტომბერს იწყება.

განხილული წყაროების მონაცემები ეჭვქვეშ აყენებს „ხარბერდის სახარების" ცნობის სარწმუნოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გადასინჯვას მოითხოვს რუქნ ად-დინის მიერ არზრუმის დაპყრობის თარიღი[24].

1. თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში არაბული, სპარსული, თურქული და ქართული წყაროების გათვალისწინებით ბასიანის ბრძოლა 1202 წლით არის დათარიღებული. თურქ მეცნიერებს ამ ფაქტის დამათარიღებელი რამდენიმე პირდაპირი მონაცემი აქვთ:

2. „წელი 598(1201-2) – სალიკიეს (სალთუკიანთა – გ.ა.) დინასტიის მოსპობა არზრუმში, დიდი მიწისძვრა ისლამის ქვეყნებში, დამარცხება სულეიმან სელჩუკისა ქართველებთან ბრძოლაში", - ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის თურქი ავტორი ქათიბ ჩელები[25].

3. რუქნ ად-დინ სულეიმან სელჩუკიანმა არზრუმის ვილაიეთი დაიპყრო. როდესაც 598 (1201/2) წელს ხსენებულმა მალიქშაჰ სულეიმანმა იბრძოლა, ქართველებმა დაამარცხეს. ინფორმაცია მომდინარეობს ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმადან", მაგრამ მისი ავტორია თხზულების გამგრძელებელი აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკი[26].

4. სელჩუკთა ისტორიის ქრონიკა ქართველებთან ბრძოლაში რუქნ ად-დინის დამარცხებას აგრეთვე 598 წლით ათარიღებს[27].

5. XVII საუკუნის თურქ ავტორს მუნეჯიბ-ბაშის, როგორც ჩანს, ხელთ რაღაც სხვა წყაროც ჰქონია. მან ამ ბრძოლის უფრო ზუსტი თარიღი იცის 598 წლის ზილკადეს თეის პირველი რიცხვები, ანუ 1202 წლის იელისი (23-დან)[28], რაც გაზიარებულია თურქულ ისტორიოგრაფიაში. თუ მივიღებთ ამ დათარიღებას და გავიხსენებთ იოანე ბაგრატიონის, შესაძლოა, სარწმუნო მითითებას იმის შესახებ, რომ „დღე ესე იყო შაბათი, ოდეს შეიბნენ მხედრობანი თამარისა და სულთანისანი“[29], მივალთ 1202 წლის 27 იელისამდე.

ამგვარად, ბასიანის ბრძოლის 1203 წლით დათარიღების ცდები საკმარისად არ არის დასაბუთებული. ამავე დროს, თურქულ წყაროებში ნაჩვენებ თარიღს 598 (1201-2) წ. მხარს უჭერს რიგი მკვლევრებისა (მ. ბროსე, შენიშვნით, რომ მსჯელობით იგი 1202 წლამდე მივიდა; თ. ჟორდანია, დ. კარიჭაშვილი, ნაწილობრივ ა. გამყრელიძე, ა. აბრამიანი, ა. მათევოსიანი, ო. თურანი) და ზოგიერთი სომხური წყაროს ჩვენება (სტეფანოს ეპისკოპოსის ჟამთააღმწერლობა, მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერი).

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ი. ლოლაშვილი, *ძველი ქართული მეხოტბენი*, II, თბ., 1964, გვ. 112; ა. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი. – კრ. *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*, თბ., 1966; ბ. სილაგაძე, XII-XIII სს-ის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. - კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966, გვ. 119; ა. აბდალა-

ძე, ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის შესახებ. - *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, 1972, გვ. 134-139.

2. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში რუქნ ად-დინის ზეობა 1196-1204 წწ. ისაზღვრება (T. Yılmaz Öztuna. *Türkye Tarihi*, Ankara, 1964, გვ. 101, 102; მისივე, *Resimlerle Türkye Tarihi*, Istanbul, 1970, გვ. 35; Osman Turan, *Selcuklar Tarihi ve Islam Medenyeti*, Ankara, 1965, გვ. 206; Islam Ansiklopedisi, II, Istanbul, 1970, გვ. 229; К. Босворт, *Мусульманские династии*, М., 1971, გვ. 178).
3. M. Brosset, *Histoire de la Géorgie*, S-Pb., 1849, ტ. I, გვ. 463, მ. ბროსე, *საქართველოს ისტორია*, ნაწ. I, ტფ., 1895, გვ. 368.
4. თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, ნაწ. I, ტფ., 1892, გვ. 290-291.
5. დ. კარიჭაშვილი, *საქართველო მეთორმეტე საუკუნეში*, ტფ., 1902, გვ. 135.
6. ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 112.
7. ა. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 257.
8. ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119.
9. ა. აბრამიანი, რუქნ ად-დინის განადგურება - *სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 1945, №5-ბ (10-11) (სომხურ ენაზე), ა. მათეოსიანი, სად და როდის დაიწერა მუშის მრავალთავი. – *მატენადარანის მაცნე*, №9, ერევანი, 1969 (სომხურ ენაზე). ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტები გვითარგმნა ლ. დავლიანიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.
10. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137.
11. ა. მათეოსიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 145.
12. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134, 135.
13. Mūsâmeret ūl-ahbar, Mogollar Zamanında Türkye Selçuklulari Tarihi, Aksarayli Mehmed oğlu Kerimüddin Mahmud, Ankara, 1944, გვ. 31.
14. Târîkhê Gozîdè par Hamd Ollâh Mostooufi Gazuînî par Juls Gantin, Tome premier, Paris, 1903, გვ. 344-345; ვ. ფუთურიძე, *ისთახრი, ჰოდუდ ად-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი*, თბ., 1937, გვ. 33.

15. H. Duda, Die Seltchukengeschichte des Ibn Bibi, Munksgaard/Kopenhagen,, 1959, (შემდეგში იბნ ბიბი), გვ. 35.
16. O. Turan, Istanbul' un Fethinden Önce Yazılmıs Tarihî Takvimler - *Türk Tarih kurumu yayınlarından XI seri-not*, Ankara, 1954, გვ. 77.
17. كاتب چلبي، تقويم التواريخ، قسطنطينيه, ١١٤٥ (ქათიბ ჩელები, *თაკვიმ ათ-თავარიხ*), გვ. 76.
18. „ჯიჰან-ნუმას" ერთ-ერთი გამგრძელებელი, XVII ს-ის ავტორი (გარდ. 1691 წ.).
19. იბნ ბიბი, გვ. 35; ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, თბ., 1965, გვ. 278.
20. Шараф-хан Бидлиси. *Шараф-наме*, пер. Р. И. Васильевой, М., 1967, გვ. 220, ვ. ლუდშუვეიტის აზრით, სელჩუკებმა არზრუმი დაახლოებით 1200 წელს აიღეს (იხ. В. Гордлевский, *Избранные сочинения*, т. I, М., 1968, вступительная статья, გვ. 11).
21. იბნ ალ-ასირი, *ალ-ქამილ ფი-თ-თარიხ*, კაირო, 1938, ტ. IX (ნაჯჯარის გამოცემა), გვ. 255; Abu-l Fida. *Muhtasar fi Akhbar al-Bashar*, Cairo, t. III, გვ. 100 (ცნობები მოგვაწოდა გ. ჯაფარიძემ); Рашид ад-Дин, *Сборник летописей*, Перевод О. И. Смирновой, I, 2, М.-Л., 1951, გვ. 14).
22. O. Turan, *Istanbul' un: Fethinden Önce Yazılmıs Tarihî Takvimler*, გვ. 77; ქათიბ ჩელები, *თაკვიმ ათ-თავარიხ*, გვ. 76.
23. Anadolu Selçukî Devleti Tarihi, Ibni Bibinin Farsça Muhtasar Selçuknâmesin den Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman, Notlar Ilâve Eden F. N. Uzluk, Ankara, 1941, გვ. 37.
24. 1201 წელია მიღებული სომხურ ისტორიოგრაფიაში (История армянского народа, ч. I Ереван, 1951, გვ. 162), თურქი მეცნიერები ჰ. ინალჯიკი და ო. თურანი არზრუმის აღების თარიღად, აგრეთვე 1201 წელს სდებენ (Halil Inalcik. *Erzurum*. - The Encyclopaedia of Islam, vol. II, New Edition, 1962, გვ. 712; O. Turan, *Selcuklar Tarihi ve Türk Islam Medeniyeti*, გვ. 269; მისივე, *Selcuklular ve Islamiyet*, Istanbul, 1971, გვ. 51).

25. ქათიბ ჩელები, თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 76.
26. ١١٤٥ قسطنطينيه نما، جهان كتاب چلبي، كاتب (ქათიბ ჩელები, *ჯიჰან-ნუმა*), გვ. 427.
27. O. Turan, *Istanbul' un: Fethinden Önce Yazılmıs Tarihî Takvimler*, გვ. 77; O. Turan, *Selçuklular Zamanında Türkiye*, Istanbul, 1971, გვ. 254-259.
28. Islam Ansiklopedisi, c. 11, გვ. 228, 229.
29. იოანე ბაგრატიონი, *ისტორია ქართლისა*. - საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, 2134, ფ. 640.

ИЗ ИСТОРИИ СЕЛЬДЖУКСКОЙ ДИПЛОМАТИКИ

Доклад, прочитанный в ИВАН СССР в Москве на конференции, посвященной 100-летию акад. В. А Гордлевского

Доклад касается предположения акад. В. А. Гордлевского, высказанного им в труде «Государство сельджукидов Малой Азии» относительно одного сведения грузинских источников. В настоящее время в Грузии в связи с постановлением Президиума АН Груз. ССР о необходимости критического издания всех грузинских исторических источников идёт интенсивная подготовительная работа. Исследование на основе недоступного когда-то или обнаруженного впоследствии материала проливает свет на многие неясные вопросы, подтверждая или опровергая ранее высказанные мнения.

* * *

История Грузии 1156-1213 годов, т.е. в период царствования Георгия III и Тамар была известна в том виде, каком она была представлена в «Картлис цховреба» издания М. Броссе, но впоследствии было обнаружено несколько исторических сочинений того периода: анонимное, условно названное «Историей и восхвалением венценосцев», «Жизнь царя царей Тамар» неизвестного автора и короткая летопись историка сына и преемника царицы Тамар Лаши Георгия. Таким образом, эпоха царицы Тамар в настоящее время представлена следующими сочинениями 1) История и восхваление венценосцев, или как принято считать сочинение первого историка Тамар; 2) Сочинение второго историка Тамар «Жизнь царя царей Тамар»; 3) летопись историка Лаши Георгия и 4) вариант представленный в издании М. Броссе.

В начале XIII века сельджукидский султан Малой Азии Рукн ад-Дин Сулейманшах II (1196-1204) совершил поход в Грузию. Сражение, в котором султан потерпел поражение, произошло в июле 1202 года, в Басиани. В названных сочинениях сохранены све-

дения об этом сражении, одно из которых привлекло внимание акад. В. А. Гордлевского, «Грузинские рукописи, - отмечает ученый, - приводят витиеватое послание султана Рукнеддина к царице Тамар, но, очевидно, это апокрифический документ, сфабрикованный религиозно настроенным человеком, который хочет вызвать отвращение к исламу». Имеется в виду письмо Рукн ад-Дина к царице Грузии Тамар, посланное перед походом.

***

Создание исторического свода «Картлис цховреба» к концу XI - в начале XII века связано с образованием централизованного государства на территории Грузии. В сборник первоначально вошло несколько сочинений: «История царей», «История Мириана и обращение Картли Нино», «История царя Вахганга» и «Мученичество великого и святого Арчила». Последующие сочинения были включены в три приема; I) «Летопись Картли» и «История царя Давида», 2) «История Багратионов» Сумбата сына Давида, 3) История царицы Тамар и сочинение анонимного автора XIV века т.н. «Жамта-агмцерели», летописца XIV века. «Картлис цховреба» завершалась царствованием Георгия V, прозванного Блистательным (1314-1346).

Наметившаяся с XV века тенденция ослабления центральной власти завершилась распадом государства на отдельные княжества, в результате чего перестала пополняться «Картлис цховреба» и писаться последовательная единая история Грузии. С этого периода, помимо документов, дошли до нас незначительные грузинские хроники.

С заключением турецко-иранского мирного договора 1639 года в Грузии устанавливается некоторая стабильность, использованная местными правителями для восстановления разрушенной жизни. Возрождение культуры, как это часто бывает, началось с художественной литературы. В XVII веке широко развернулось создание исторических поэм, что явилось предпосылкой для дальнейшего развития историографии. Передышка была получена тяжёлой

ценой: с 1633 года до 1744 года на престоле Картли - принявшие ислам грузинские ставленники Ирана. Большую роль в культурно-восстановительном процессе сыграли первый омусульманившийся царь Картли Ростом и его супруга Мария. По ее инициативе был заново переписан свод «Картлис цховреба» (т.н. список царицы Мариам).

Возрождение историографии к этому времени стало необходимостью. Именно поэтому такая цель почти одновременно, независимо друг от друга, была поставлена воспитанником царя Ростома Парсаданом Горгиджанидзе, деятельность которого протекала в Иране, и наследником престола Картли Вахтангом VI. Последний поручил это задание созванной им комиссии «учёных мужей». «История Грузии» Парсадана Горгиджанидзе охватила события с древнейших времен до 1694 года. Труд «ученых мужей» был связан с историческим сводом «Картлис цховреба» и предусматривал не только редактирование, исправление и дополнение старых списков сборника, но и продолжение, и доведение его до XVIII столетия. Рукописи, прошедшие Вахтанговскую редакцию, получили наибольшее распространение. Если с XV, XVI и XVII веков дошли до нас четыре рукописи «Картлис цховреба», то только в XVII веке имеется 13 списков.

До 1884 года «Картлис цховреба», в том числе и эпоха Тамар, как уже было сказано, была известна лишь в Вахтанговской редакции и широкому кругу читателей доступна в издании М. Броссе. М. Броссе использовал три списка «Картлис цховреба»: Палавандишвили, Румянцевский и Теймуразовский. Все три рукописи относятся к XVIII веку и прошли редакцию «ученых мужей». В основу издания был положен наиболее полный из трёх, список Палавандишвили. К нему М. Броссе добавил разницу из 2-х других списков, не делая при этом никаких указаний. В результате был получен уже совершенно самостоятельный, или как говорит в таких случаях Д. Лихачев, «смешанный текст», который никогда не существовал. По мнению М. Броссе, только такое издание могло вместить в себя все

редакционные изменения, которые были внесены «учеными мужами» в «Картлис цховреба». В издании М. Броссе, таким образом, текст шире, чем в использованных им трёх рукописях. Кроме того, издание снабжено богатыми примечаниями, уточняющими многие даты или места текста. С интересующим нас посланием В. А. Гордлевский ознакомился во французском переводе М. Броссе, где оно имеет следующий вид:

«Я, Нукардин, наиболее возвышенный среди султанов всей земли, уподобленный ангелам, совосседающий с Богом[1], явленный великим Мухаммедом, уведомляю тебя, Тамар, царицу Грузии: все женщины слабы разумом. Ты повелела грузинам извлечь мечи, истребить людей ислама, мусульман, возлюбленных богом и, кроме того, наложить дань вассальную на свободное племя. Направляюсь ныне, чтобы водворить правосудие рода персов, т.е. мусульман и научить тебя и твой народ не извлекать более меча, который бог вложил лишь в наши руки. Оставляю в живых лишь тех, кто до моего прибытия, преклонив колени пред моим зонтом, уверует в посланничество Мухаммеда, отречется от своей веры, разломает в моем присутствии крест, на который имеешь тщетное упование`. Вручая письмо, посол произнес следующие слова: «Если ваша царица отречется от своей веры, султан возьмет её в жены, а в случае отказа, сделает её наложницей».

В 1884 году Д. Бакрадзе обнаружил список «Картлис цховреба», переписанный по поручению царицы Марии. Благодаря этому, подтвердилось существование «Картлис цховреба» до царя Вахтанга VI, долгое время приписываемое последнему, было получено некоторое представление о редакционных изменениях, внесенных в сборник его комиссией и стало известно сочинение 1-го историка царицы Тамар «История и восхваления венценосцев». Но, как выяснилось, в труде комиссии это сочинение дополнено сведениями из других источников. Еще в начале XX века И.А.Джавахишвили предполагал, что у Тамар должно было быть несколько историков, произведения которых не сохранились.

В обнаруженной им в 1913 году рукописи «Картлис цховреба» действительно была помещена летопись историка Лаши Георгия IV. Летопись касается царствования Давида III, Деметре I, Георгия III, Тамар и Лаши Георгия, т.е. охватывает 1089-1222 годы. Как выяснилось, сочинение послужило источником лишь для периода Деметре I в труде комиссии. В 1923 году И. Джавахишвили выявил другую рукопись «Картлис цховреба» с сочинением еще одного историка Тамар, названном «Жизнь царя царей Тамар», которое оказалось вторым источником вахтанговской комиссии для эпохи Тамар. А в 1959 году был открыт довахтанговский список 1697 года, в котором имеется также сочинение первого историка Тамар. Рукопись переписана с недошедшего до нас мцхетского списка, самое раннее упоминание о котором встречается в документе 1540 года.

Таким образом, имеется четыре довахтанговских рукописей, и в каждой из них представлено по одному сочинению периода царицы Тамар.

Рукопись II половины XVI века, списанная, по мнению ученых со списка царицы Анны (1478-98 гг.), - супруги царя Кахети Александра. Эпохи Тамар касается здесь сочинение историка Лаши Георгия. В нем нет нужных нам сведений.

Список Чалашвили, состоящий из двух частей, вторая переписана в 1731 году, первая датируется II-ой половиной XVI века. Сочинение второго историка, написанное, по предположению ученых, современником, помещено в первой части, у которой недостает конца. Сочинение обрывается на предшествовавших походу Рукн ад-Дина сведениях. Следовательно, в нем также отсутствует письмо Рукн ад-Дина.

В довахганговском «Картлис цховреба» некоторые периоды освещены в двух или нескольких сочинениях. Так, например, для VI-XI веков «Летопись Картли» и «История рода Багратиони». Годы царствования Тамар также представлены несколькими сочинениями. В труде «ученых мужей» эти произведения слиты по такому принципу: за основу берется, какое-нибудь одно, более подробное,

и дополнятся сведениями из других сочинений. В летописи историка Лаши Георгия эпоха Тамар представлена настолько кратко, что выбор фактически касался историков Тамар. Начиная с эпохи Тамар, приводятся сведения лишь из сочинений двух историков царицы. За основу взято более богатое сведениями анонимное сочинение «История и восхваления венценосцев». Издатель текста второго историка И. Джавахишвили, обратив внимание на то, что труд «ученых мужей» в данной части представляет собой слияние сочинений двух историков Тамар, восстановил недостающую часть путем исключения из вахганговской редакции «Картлис цховреба» сведений «Истории и восхваления». Метод этот, единственно возможный, тем не менее небезупречен и даёт лишь приблизительное представление о первоначальном тексте. Письмо Рукн ад-Дина в нем восстановлено таким образом (в переводе В. Дондуа):

«Я, Нукардин, султан всего поднебесья, высочайший, уподобленный могущественным ангелам, совосседающий с богом[2], явленный великим Мухаммедом, уведомляю царицу Грузии Тамару. Ты повелела грузинам взяться за меч и перебить богом возлюбленный исламский народ, да еще наложить на свободное племя дань вассальную. Теперь я иду, чтобы дать правосудие роду персидскому и исправить тебя и народ твой, чтобы вам никогда не дерзать браться за меч, который бог нам даровал. А жить только тому, кто челом будет мне бить, явясь перед моей палаткой до того, пока я не вступил в вашу страну и исповедует веру пророка Мухаммеда и отвергнет твою веру и своей рукой станет ломать крест, на который иместе тщетное упование».

Два следующих списка - царицы Марии и 1697 года включают сочинение первого историка царицы Тамар «Историю и восхваления венценосцев». В сочинении помещено интересующее нас письмо Рукн ад-Дина к царице Тамар (в переводе К. Кекелидзе).

«От обладателя всех стран, нижайшего раба божья! Каждая женщина глупа. Ты, оказывается, приказала грузинам взять меч для истребления мусульман. Это есть меч, который дарован богом

великому пророку Мухаммеду, главе своего народа. Теперь я посылаю все мое войско, чтобы истребить всех мужчин в вашей стране; в живых останется только тот, кто выйдет навстречу мне, поклонится чадре моей, растопчет предо мной крест, который является вашей надеждой и исповедует Мухамеда!»... Когда посланный явился пред царицей Тамар, он, выступив вперед, отдал письмо и начал говорить дерзкие слова: «Если царица ваша оставит веру, султан возьмет ее в жены, если же не оставит, быть ей наложницей султана».

Сравнивая сведение с текстом вахтанговской комиссии издания М. Броссе, можно заметить, что последний шире. Нет основания предположить, что комиссия «ученых мужей» заимствовала недостающее в тексте «Истории и восхваления» у второго историка Тамар. Сравнение сведений двух историков показывает довольно большую разницу между ними. Обычно, того, что интересует автора «Истории и восхваления», второй историк или вовсе не касается, или излагает коротко и совершенно иначе. Скорее всего, письмо должно было быть лишь в сочинении первого историка. Исходя из вышесказанного, В. А. Гордлевский был совершенно прав, сомневаясь в подлинности приведенного в издании М. Броссе текста послания. Вставки «ученых мужей», не носящие особой смысловой нагрузки, тем не менее действительно усиливают антихристианские моменты и придают письму более агрессивный тон: например, слова, относящиеся к Рукн ад-Дину - «наиболее возвышенный среди султанов всей земли, уподобленный ангелам, совосседающим с богом», ...»мусульман, возлюбленных богом»..., «водворить правосудие рода персов»...

Большинство исследователей считает, что «История и восхваления» написаны современником царицы Тамар. Особенно детально в сочинении изложены военные действия, в том числе Шамхорское и Басианское сражения, а также торжественные приемы.

Помимо вышеназванных двух довахтанговских списков «Картлис цховреба», сочинение сохранено и в рукописи Мачабели.

Рукопись Мачабели, переписанная в 1736 году в Москве, интересна тем, что списана со списка царя Арчила Багратиони. Список Арчила является ещё одним довахтанговским списком, который вместе со своим владельцем попал в Россию и был утерян. Следовательно, все три списка фактически содержат довахтанговский текст, восходящий к одному источнику. Высказано мнение, что архстипом в данном случае является т.н. мцхетская КЦ. Но сравнение текстов даже таких списков, которые восходят к одному архетипу, но переписаны в разное время и разными лицами, имеет смысл, т.к. в одном и том же списке один писец может лучше разобрать испорченные строки, чем другой. Интересно заметить, что все списки, содержащие «Историю и восхваления», приводят текст послания одиноково. Наиболее древний из них - список царицы Марии датируется 1633-1645 годами. По оценке исследователей и проведенному по сей день изучению, список царицы Марии, в том числе текст «Истории и восхвалений», хоть и искажённый и порой трудночитаемый, но довольно надежный источник.

Большое значение для уточнения текста «Истории и восхвалений» имеет сочинение Парсадана Горгиджанидзе.

Воспитанник царя Ростома, принявший ислам, Парсадан Горгиджанидзе большую часть жизни провёл в Иране, занимая высокие административные должности. Историческое сочинение П. Горгиджанидзе, написанное в 90-х годах XVII века (до 1694 г.) в Иране, условно делится на 4 части. Эпоху Тамар включает 2-ая часть, написанная в основном с использованием сочинения первого историка Тамар и анонима XIV века. Парсадан Горгиджанидзе пользуется другим, вероятно, более древним списком. Несмотря на то, что текст его также искажён, многие места в нём представлены всё-таки лучше, чем в известных нам, списанных с мцхетской рукописи списках. С помощью «Истории Грузии» Парсадана Горгиджанидзе удается восстановить многие непонятные места «Истории и восхвалений». «Картлис цховреба» не единственный источник Парсадана для этой части. Автор очень часто не согласен

со сведениями «Истории и восхвалений», заменяя их другими. Годы царствования Тамар Парсадан передает более сжато, опуская или расширяя некоторые места. Поход Рукн ад-Дина в его сочинении также пополнен новыми деталями. Несмотря на это, послание оставлено почти без изменения в подзаголовке: «О сельджукском султане Рукн ад-Дине, великом государе» (л. 256).

«Доложили нам, что ты приказала глупым, неразумным и бестолковым грузинам совершить поход, взять меч, лук и стрелы и приняться за истребление мусульман. Как же ты не знаешь, что меч был дан посланнику Мухаммеду и верующим в него. Ныне созываю войско моё, чтоб на всей земле не осталось живого грузина и всех предали бы мечу, кроме поклонившихся моему зонту. Упование ваше - крест, на глазах моих пусть разломают, взамен веру Мухаммеда исповедуют».

По сведениям Парсадана Горгиджанидзе, посол дважды предстал пред царицей. Второй раз к письму он добавил следующие слова: Если отступишься от веры и обратишься в мусульманство, великий султан возьмёт тебя в жены, если же не откажешься от веры, возложи на себя дары, харадж и дань, и султан не тронет тебя. Единственная разница между данным и вышеизложенными вариантами - внесение вместо «ხარჯი» т. е. «наложницы», слова харадж - следует объяснить искажением в рукописи.

Близка по времени к сочинению Парсадана поэма царя Арчила Багратиони (1647-1713) «Спор Руставели и Теймураза», написанная на основе многих источников. Наряду с другими историческими сведениями, в ней есть и письмо Рукн ад-Дина к царице Тамар, изложенное в стихотворной форме:

«Владыка мира я, верующий в Мухаммеда,

Женщинам свойствена неразумность, и ты не исключение.

Приказала грузинам истребить мусульман,

Ныне я велел войску совершить поход против тебя и твоей страны.

Останется в живых лишь тот, кто примет мою веру и

поклонится Мухаммеду,

Другие – погибнут.

Я приказал уничтожить всех полностью, пожать как поле».

От себя посол добавил: «Отступишься от веры, султан возьмет тебя в жены, а нет, быть тебе его наложницей».

Из послевахтанговских сочинений обращает внимание произведение Вахушти Багратиони, составленное в 1742-45 годах. Дав отрицательную оценку труду «учёных мужей», Вахушти на основании широкого круга всех видов источников, совершенно по-новому представил многие страницы истории Грузии, в которой, однако, повторяется текст послания, хоть и несколько короче: «по глупости женской велела ты возложить дань и меч на мусульман, что велено нам, мусульманам. Ныне явился я, богоподобный[3]: если отречешься от Христа, разломаешь иконы и крест и поклонишься в моем присутствии Мухаммеду, останешься в живых, а нет, все погибнете».

Слова посла: «Отрекись от Христа и станешь наложницей султана, в противном случае, будете уничтожены».

Письмо повторяется в компилятивной «Истории Грузии» первой половины XIX века Иоанна Багратиони, сына последнего царя Грузии Георгия XII. Автору знакомы многочисленные грузинские, европейские и восточные источники.

Таким образом, грузинские источники сохранили довольно важное для истории Грузии и государства сельджукидов сведение. Несколько неэтичный, нехарактерный для дипломатических отношений тон послания надо объяснить его содержанием, ставившим целью объявление войны. Показания грузинских источников тем более важны, что в восточных источниках текст послания не встречается. Тем не менее, сведения персоязычного автора XIII века Ибн Биби несомненно, говорят об его существовании. Автор даёт отличную от грузинских источников версию причины похода в Грузию сельджукского султана. По его рассказу, грузинская царица, взойдя на престол, принялась подыскивать себе мужа и остановила свой выбор на сыне сельджукского султана Кылыч Арслана, Рукн ад-Дине.

Получив от нее письмо, султан Кылыч Арслан вызвал к себе сына и спросил его мнение. Будущий султан Рукн ад-Дин на предложение отца ответил следующими словами: «Как может владыка мира считать допустимым послать меня на скамью отдыха, неверия и греха из-за страны Грузии, которая может служить лишь для более низких, земных целей и удобной жизни. Более того, есть надежда, что обещание «бог всем сулит добычу» (Коран 48,20) осуществится при завоевании Грузии. Я желаю предпринять поход и превратить их страну в пепел и пыль, а ту девку в позорных оковах плена, схваченную за волосы и ноги, доставить во дворец султана». Душе и сердцу султана была приятна высокая сознательность своего сына. Он его похвалил и попросил прощения». Как видим, приведенные слова перекликаются с сохранившимся в грузинских источниках текстом послания.

Подведем итоги: Послание Рукн ад-Дина к царице Грузии Тамар наиболее близко к подлиннику в списке «Картлис цховреба» царицы Марии. Документ подтверждается всеми списками, содержащими текст «Истории и восхваления венценосцев». С некоторыми расхождениями он повторяется в исторических сочинениях авторов XVII (Парсадана Горгиджанидзе и Арчила Багратиони), XVIII (Вахушти Багратиони) и XIX веков (Иоанна Багратиони). Более расширенный и видоизмененный вариант представлен в труде «ученых мужей» в начале XVIII века, на который и опирался В. А. Гордлевский, высказывая предположение о недостоверности данного документа.

Литература:

1. В личной беседе редактор Г. Джапаридзе указал на неточность перевода, допущенную практически всеми издателями и переводчиками - «Я, Нукардин, уподобленный ангелам, совосседающий с Богом». И действительно, грузинскому оригиналу соответствует следующий перевод: «Я, Нукардин, султан, возвышенный над всеми, находящимися в поднебесье, уподобленный могуществу ангелов, бывший в согласии с Богом, явленный великим Мухаммедом...».
2. В тексте допущена та же ошибка.
3. В тексте, по всей видимости, пропущены слова «уподобленный могуществу ангелов, бывший в согласии с Богом». Совершенно исключается, чтобы слово «богоподобный» относилось к Рукн ад-Дину.

რუმის სულთანი ალა ად-დინ ქეიყობად I და საქართველო

მკვლევარი ჯასტინ მაკარსი თავის მონოგრაფიაში „ოსმალო თურქები“ (პირველად გამოიცა 1997 წ.). შენიშნავს: „ქეიქავუსის მომდევნო გამგებელმა ქეიყობადმა რუმის სელჩუკთა გამგებლობაში შემოიყვანა აღმოსავლეთ ანატოლიის თურქი ბეგები, განაერცო იმპერია აღმოსავლეთით და ხმელთაშუა ზღვაზე, სომეხი და ქართველი მეფეები მისი ვასალები გახდნენ“ (11, 23). საუბარია რუმის სულთნებზე, ქეიქავუს I-სა (1211-1220) და ქეიყობად I-ზე (1220-1237). თურქი მეცნიერები ალი სევიმი და ერდოღან მერჩილი ნაშრომში „სელჩუკ სახელმწიფოთა ისტორია. პოლიტიკა, ადმინისტრაციული მოწყობა და კულტურა“ ასევე მიიჩნევენ, რომ ქართველი მეფე რუსუდანი იძულებული გახდა სელჩუკთა ვასალობაზე დათანხმებულიყო (12, 465). ალა ად-დინ ქეიყობადის მართვის წლებში რუმის სასულთნომ მართლაც თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია, მაგრამ რამდენად ზუსტია შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ქართველი მეფე სელჩუკი სულთნის ვასალი გახდა? რამდენად შეეფარდება ტერმინი „ვასალი“ იმ წლებში საქართველოსა და რუმის სასულთნოს შორის არსებულ ურთიერთობებს? ვნახოთ, როგორ არის ეს საკითხი გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში და რას მოგვითხრობენ ამის შესახებ ჩვენამდე მოღწეული წყაროები.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამისი მონაკვეთი საერთოდ არ ასახავს ურთიერთობებს ალა ად-დინ ქეიყობადსა და საქართველოს შორის, ხოლო ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინის შემდეგ აქ მონღოლების თავდასხმებზეა მოთხრობილი (3, 545-549).

ნ. ასათიანი „საქართველოს ისტორიაში“ ჯალალ ად-დინის შემდეგ მოკლედ ახსენებს საქართველოს ურთიერთობებს რუმის სასულტნოსთან: „ჯალალ ედ-დინის ხუთწლიანი თარეშის შემდეგ ვიდრე მონღოლები უშუალოდ საქართველოს დაპყრობას შეუდგებოდნენ, ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ რუმელი თურქები და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სამხრეთი ტერიტორიები მოარბიეს, რუსუდანი იძულებული გახდა რუმის სულტანთან ზავი დაედო და მშვიდობის საფასურად თავისი ქალიშვილი თამარი სულტნის მემკვიდრე მელიქ ყიას ედ-დინ ქეიხუსრევზე დაექორწინებინა“ (1,216).

თ. ბერაძე და მ. სანაძე „საქართველოს ისტორიაში“ (წ. I. ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები) ოდნავ ვრცლად ეხებიან საქართველოს ისტორიის აღნიშნულ ფურცელს. ჯალალ ად-დინის შემდგომ წლებში, მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლების მოქმედება საკმაოდ აქტიურია და ვითარების ადეკვატური. ვინაიდან „საქართველოს სამეფო კარის მცდელობას მონღოლების წინააღმდეგ ეგვიპტე გამოეყენებინა (იგულისხმება ქართველი ელჩის მისვლა აიუბიანებთან 1232 წლის აპრილ-მაისში, საფიქრებელია, მონღოლების წინააღმდეგ მხარდაჭერის სათხოვნელად, 6, 195) შედეგი არ მოჰყოლია (2, 196), მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ ხერხს მიმართა: მონღოლები რუმის სასულტნოს წინააღმდეგ წააქეზა და შეეცადა მათი ყურადღება საქართველოდან რუმის სასულტნოზე გადაეტანა. მართლაც, მონღოლთა ლაშქრობამ, რომელსაც ქართველთა რაზმიც ახლდა, რუმის სასულტნოს მოსაზღვრე ტერიტორია დაარბია. ამის შემდეგ მონღოლები ისევე ადარბადაგანში დაბრუნდნენ. განრისხებული რუმის სულტანი კი საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. სელჩუკები იმიერ ტაოში შემოიჭრნენ და ხახულის და თორთუმის ქვეყნები დაიჭირეს. ასეთ ვითარებაში რუსუდანი იძულებული იყო 1233 წ. რუმის სულტნისათვის ზავი ეთხოვა. ზავის პირობები ითვალისწინებდა რუსუდანის ასულის თამარის მითხო-

ვებას სელჩუკ უფლისწულზე ქაიხუსრევზე, რომელსაც ქართული წყაროები ყიას ად-დინის სახელით იცნობდნენ. რუმის სასულტნოსთან დადებული ზავის პირობების თანახმად, ქართველთა ლაშქარმა მონაწილეობა მიიღო 1234 და 1237 წლებში რუმის სულტნის ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლებშიც" (2, 196; 6,196-198).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო ფაქტზე იბნ ბიბის ცნობა პირველად ნ. შენგელიამ შემოიტანა (4, 97). ცოტა ხნის წინ გამოცემულ წიგნში იგივე მკვლევარი ერცლად შეეხო რუმის სასულტნოს ისტორიას, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, რუმის სელჩუკებსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს (5). თუმცა აქ, როგორც ჩანს, არ არის სრულად გათვალისწინებული გასულ წლებში გამოქვეყნებული ქართული გამოკვლევები. ისევე როგორც ადრე, ავტორი ფიქრობს, რომ „დღემდე უცნობი იყო ალა ად-დინ ქეიყობადის ლაშქრობა საქართველოში" (5, 327). მაგრამ ეს ასე არ არის და უკვე არაერთი ქართველი ავტორი შეეხო ალა ად-დინ ქეიყობადის თავდასხმას საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა არა ისე დაწერილებით, როგორც ნ. შენგელია. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ალა ად-დინ ქეიყობადი საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებს დაესხა 1232 წელს, თუმცა ეს არ იყო პირველი შემთხვევა. მისი აზრით, უკვე 1226 წელს სელჩუკებს დაპყრობილი ჰქონდათ ოლთი და სხვა ქართული ციხე-სიმაგრეები (5, 322). ამ უკანასკნელ შეხედულებას, ეფიქრობთ სამართლიანად არ იზიარებს გ. ჯაფარიძე (6, 192). როგორც ნ. შენგელია შენიშნავს, „იბნ ბიბის ცნობით, ერთ კვირაში საქართველოს ცნობილი 30-მდე ციხე-სიმაგრე ხელთ იგდო, ქართველები მძიმე დღეში ჩააყენა. ცოტა ხნის შემდეგ სელჩუკები იქიდან გაგის ციხისკენ გაემართნენ..." იბნ ბიბის ცნობის მოტანის შემდეგ, რომელსაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა, ავტორი სვამს შეკითხვას: „ხომ არ ევალებოდა ქართველებს სელჩუკთა მხარეზე ჯარი გამოეყვანა? რუსუდანის მიერ შეთავაზებული ზავის პირობების საერთო მუხლი ხომ

არ ითვალისწინებდა ჯარის გამოყვანას? ადვილი შესაძლებელია, სწორედ ასე დავალდებული ქართველთა მხედრობა იღებდა მონაწილეობას“ (5, 215).

ჩვენთვის საინტერესო საკითხებს განიხილავს გ. ჯაფარიძე თავის ნაშრომში: „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო“ (6, 196-198). „იბნ ბიბის ცნობით, 629 (1231-32) წ. მონღოლთა ერთი ნაწილი ჩორმაღან-ნოინის მეთაურობით საქართველოს დედოფლის რუსუდანის წაქეზებით, რუმის სასულტნოში შეიჭრა და სივასის სანახებში ფუსერის მოსახლეობა დაარბია... ვფიქრობ, რომ ეს ამბავი 1232 წ. ან ზაფხულის მიწურულს, ან შემოდგომის დამდეგს მოხდა.. მზვერავებმა... აცნობეს მას, რომ სულტნის სამფლობელოში მონღოლების შეჭრაში საქართველოს დედოფლის შეგულიანებამ ითამაშა როლი... იბნ ბიბი სელჩუკთა მიერ აღებულ ციხეთა შორის ასახელებს მხოლოდ ორს - ნიხახს და ხახს (ხახულს)“. „რუსუდანი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა და ქაი-ყუბადიც დასთანხმდა. დატოვა თუ არა მან დაპყრობილი ციხეები - უცნობია. ზავის პირობები ითვალისწინებდა რუსუდანის ასულის, თამარის გათხოვებას ქაი-ყუბადის ვაჟზე - ქაიხუსრაუზე.“

ნ. შენგელია მიიჩნევს, რომ ზავის პირობების ერთ-ერთი მუხლი, ალბათ, ითვალისწინებდა სელჩუკთა მხარეზე ქართველთა სამხედრო ძალების გამოყვანას. მართლაც, უკვე 1234 წ. ქართველთა შენაერთები მონაწილეობდნენ ქაი-ყუბადის ბრძოლებში აიუბიანთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. 1237 წ. შედიოდნენ იმ ლაშქარში, რომლის დაძერასაც რუმის სულტანი აპირებდა ასევე აიუბიანთა წინააღმდეგ ამიდის დასაპყრობად... ქაი-ყუბადს, რომელსაც 1232 წ. ზავი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოუყენებია, ცხადია, საქართველოს ბედი არ აწუხებდა. მას არ გაუწევია რაიმე დახმარება რუსუდანისათვის“ (6, 196-198).

ე. გორდლევსკი კატეგორიულად აცხადებს, რომ ალა ად-დინ ქეიყობადის „ცდა შეელწია ამიერკავკასიაში — საქარ-

თველოში - მარცხით დასრულდა: თუმცა ქართველმა დედოფალმა თავისი ქალი თამარი მისცა სულტნის ვაჟს, ითხოვა რა მისთვის ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნება“ (7, 58).

თურქ მეცნიერს ოსმან თურანს ეკუთვნის სტატია ალა ად-დინ ქეიყობად I-ის შესახებ „ისლამის ენციკლოპედიის“ თურქულ ვარიანტში (13). ავტორი ყველა შესაძლებელ წყაროზე დაყრდნობით წარმოადგენს ალა ად-დინ ქეიყობადის მმართველობის წლებს (13, 646-665). ნ. შენგელიას მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ 1232 წელს საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმის დროს დაპყრობილი იყო გაგის ციხე. ზავის პირობად ავტორი მხოლოდ რუსუდანის ქალიშვილის ყიას ედდინ ქაიხოსროსათვის მითხოვებას ახსენებს. ის შენიშნავს, რომ ანონიმის „სელჩუკ-ნამეს“ მსგავსად, ნიგდელი ყადი აჰმედის მიხედვითაც ეს ზავი, რაც ქეიყობადის ავტორიტეტის აღიარებას ნიშნავდა, იმის შედეგი იყო, რომ მონღოლთა ეს დევნა გაგებული იყო როგორც მონღოლთა დამარცხება (13, 655). ამასთანავე, ოსმან თურანი თავის სტატიაში საქართველოს არ იხსენიებს იმ ქვეყნებს შორის, რომელთა მმართველები ქეიყობადის უზენაესობას აღიარებდნენ. მის სახელზე მონეტას ჭრიდნენ და მის სახელზე ხუტბას აღაელენდნენ. ასეთები, მისი აზრით, იყვნენ: „აიუბიანები, ართუკიანები, არმენიელები და ტრაპიზონის გამგებლები“ (13, 655-657). იგივე ოსმან თურანი თავის სხვა გამოკვლევაში მიიჩნევს, რომ სელჩუკების მიერ საქართველოში ლაშქრობის დროს, ქართველი დედოფლის დამორჩილებით, ალა ად-დინ ქაიყობადმა თავისი ბიძის სულეიმან შაჰის მაგივრად ქართველებზე შური იძია (14, 211).

მსგავს ეჭვებზე პასუხი გასცა ნ. შენგელიამ თავის გამოკვლევაში. მისი აზრით, „რუსუდან დედოფალმა მცირე აზიის სელჩუკთა დინასტიასთან დამოყვრებით შეძლო ქვეყნად მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება... ქართველთა დედოფალი არ დაუმორჩილებია ალა ად-დინ ქეიყობადს... ქართველთა დედოფალი თანასწორუფლებიანობის საფუძველ-

ზე სამშვიდობო მოლაპარაკებებს აწარმოებდა სელჩუკ სულტანთან... აქ რაიმე დამორჩილებასა და უთანასწორო დამოკიდებულებაზე არ შეიძლება ლაპარაკი" (4, 334-5).

იაშარ ბედირჰანი ნაშრომში „სელჩუკები და კავკასია" (9, 275) მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაესხნენ ჯალალ ად-დინ ხორეზმშაჰს გამოდევნებული მონღოლები 1231 წელს აიუბიანების და ართუკიანების მიწებს, ხოლო 1232 წელს კი აღმოსავლეთ ანატოლიაში ჩორმაღან ნოინის მეთაურობით მონღოლთა ერომა დანაყოფმა როგორ შეაღწია სივასის მიდამოებში. შეწუხებულმა ქეიყობადმა ამ თავდასხმის მიზეზის გამოძიება ქემალ ად-დინ ქამიარს დააკალა. ქემალ ად-დინმა არზრუმს მიაღწია, სადაც შეიტყო, რომ მონღოლები ქართველმა მეფემ რუსუდანმა აამხედრა. ქამიარი და მუბარიზ ად-დინი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ. თურქული ჯარის ერომა დანაყოფმა ქალაქი და ციხეები დაიპყრო, რადგან არ უნდოდათ, რომ ჯალალ ად-დინ ხორეზმშაჰის მიერ დაჩაგრული ქართველების წინააღმდეგ კიდევ ძალა ეხმარათ, შეთანხმება შესთავაზეს. შეთანხმების ერთი პარაგრაფით, დედოფალი თანხმობას აცხადებდა დაენიშნა თავისი ქალიშვილი სულთნის ვაჟზე ყიას ედ-დინ ქაიხოსროზე. სულთანმა ალა ად-დინმა ჯალალ ად-დინ ხორეზმშაჰის განდევნის შემდეგ სელჩუკი თურქების საზღვრები ერთი მხრიდან თბილისამდე განავრცო. აიუბიანების მმართველობას ბოლო მოუღო, ხლათი, ბითლისი, ვანი, მალაზგირდი და ადილჯევაზი ქალაქებთან ერთად დაიკავა. შემდეგ ნათქვამია, რომ ხლათის სასუბაშო ქოსე-დაღის ბრძოლამდე არსებობდა. ამ ომის შემდეგ კი მონღოლებმა დაიკავეს ქალაქები ხლათი, ამიდი (დიარბაქირი) მიმდებარე ტერიტორიებით. სომეხი ავტორის მიხედვით, მონღოლებმა ცოტა ხნის შემდეგ ხლათი თამთას - ქართველი მეთაურის პრინც ავაგის დას გადასცეს. თამთა აიუბიანი მალიქ ალ-აშრაფის ცოლი იყო და ჯალალ ად-დინ ხორეზმშაჰის ხელში მოხვდა. შემდეგ კი მონღოლებმა შეიპყრეს და მონღოლ უგედეი ყაენთან გაგზავნეს (იხ. აგ-

რეთვე, 6, 193). ქართველი მეფის ვასალობაზე აქ არაფერია ნათქვამი, ხოლო რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ სელჩუკთა ტერიტორია თბილისამდე განიერცო, ეს იბნ ბიბის არაზუსტი ინტერპრეტაციიდან მომდინარეობს და აშკარა გაზვიადებაა.

ფაქტობრივად, ყველა აქ განხილული ცნობა ეყრდნობა ერთსა და იმავე წყაროებსა და, ძირითადად, იბნ ბიბის მონაცემებს, რომელსაც სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულად კითხულობს, მაგ. ხახულის ნაცვლად, რაც უფრო სწორია, გვხვდება გაგის ციხე, ან ნიხახის ნაცვლად თორთუმი, რაც უფრო მექანიკური შეცდომა უნდა იყოს.

იბნ ბიბი პასაუში „სულთნის ჯარის შესვლა საქართველოში. მხედართმთავრის ქემალ ად-დინ ქამიარის მიერ ქართული ციხეების დაპყრობა“ (8, 166) მოგვითხრობს: „ემირმა ქემალ ად-დინ ქამიარმა და ჩაშნაგირ მუბარაზიდინმა საალყო იარაღები გააწყვეს. ეს საქმე მხოლოდ სხვადასხვა მხრიდან მოსულ ქვეით ძალებს არ დაუტოვეს და მათ 5000 ქვეითიც მიამატეს. ასეთი ძალებით დაიძრნენ საქართველოსაკენ. ერთ კვირაში ცას აწვდენილი ცნობილი 30 ციხე, რომელთა საძირკვლები თევზების სიღრმეზე იყო, სისხლმდენი ხმლების დარტყმით ხელში ჩაიგდეს, მძიმე კომბალიო და მჭრელი ხმლებით ქართველებს მეორედ მოსვლის დღე გაუთენეს. „ალაჰი დაგპირდათ, თქვენს ხელში დიდი ნადავლი გადმოვაო“ (ყურანი), ეს სასიხარულო ცნობა იმ წელს სულთანმა ჯარს აფხაზთა ლაშქრობაში აუსრულა. იქიდან ჰაჰის ციხისაკენ წავიდნენ. მანჯანიკის და ხმლის ძალით ესეც ხელში ჩაიგდეს. (ნიჰაჰის) მოსახლეობამაც იგივე ტკბილი შერბეთი შესვა. ქვის ნატეხებმა, ისრის და შუბის დარტყმამ მათ სამყარო ჭიანჭველის თვალივით ვიწრო მოაჩვენა“. შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ ითხოვა რუსუდანმა ზავი: „აფხაზეთის მეფემ მებრძოლი სულთნის ჯარის მის ქვეყანაში შესვლა და რუმის გმირების მიერ მის საზღვრებში ქალაქის და ციხეების ხელში ჩაგდება როგორც კი

გაიგო, მოსვენება და ხალისი დაკარგა. სამშობლოს საქმეების გამრიგე დიდებულების თათბირი მოიწვია, შემდეგ კი საჭიროდ მიიჩნია სელჩუკი სახელმწიფო პირებისათვის ზავის თხოვნა. ამ აზრით დედოფალმა ემირ ქემალ ად-დინთან მიმოწერის დაწყება ინება. აფხაზ ბეგთაგან ზოგიერთის ცუდი საქციელის გამო ბოდიშის სურვილით წერილი და საჩუქრების საპალნეები გაგზავნა. წერილში ამბობდა, რომ „მე ფადიშაჰის მონათაგანი ვარო. რაც არ უნდა ისურვოს, დავემორჩილები. ფადიშაჰის სიკეთის და კეთილშობილების იმედი მაქვს. თუ ჩემს დანაშაულს მომიტევებს, ჩემი ქვეყნის დარბევას შესაფერისად არ სცნობს და არ იტყვის, რომ მე ამ ჩაგვრის ღირსი ვარ, იმედი მაქვს, რომ მხედართმთავარი ჩემი ქვეყნის დარჩენილ ნაწილს მე დამითმობს და ზავის სიკეთეს და მოწყალებას თუ გამოიჩენს, ჩემი სურვილია, ამის ნათესაობით და საქორწინო კავშირით გამაგრება. მე ვფიქრობ, ჩემი ქალიშვილი, რომელიც სელჩუკის გვარიდან არის და დავითის შთამომავალთაგანია, ჩემ სამშობლოსთან გამეზობლებულ ისლამის მელიქს ღიას ედ-დინ ქაიხოსროს ცოლად მივცე“.

„ყველა შემთხვევაში ძალზე ჭკვიანი და წინდახედული სახელმწიფო პირი რომ იყო, მხედართმთავარი ქემალ ად-დინი დედოფლის თხოვნაზე დათანხმდა და ჯარი უკან გაიხმო. კავკასიის ცნობილი მტკიცე ციხეთაგან 30-40 ციხის დაპყრობის ცნობასთან ერთად, აღებული იარაღი, საბრძოლო აღჭურვილობა, სამხედრო ნადაელი და საქონელი ქონებას და სიმდიდრეს დაადო, ჯარით სასულტნოში გაგზავნა... სულტანმა მხედართმთავრისადმი გაგზავნილ წერილში მადლობა გადაუხადა მას წარმატებისათვის, ჯარისკაცებს მათ საცხოვრებლებში დაბრუნების ნება დართო, თანხმობა განაცხადა დედოფლის წინადადებაზე დანათესავების შესახებ და შეატყობინა მას, რომ შეეწყვიტა აფხაზთა ქვეყანაზე თავდასხმა“.

წყაროებიდან არ ჩანს, თუ რატომ უნდა აემხედრებინა რუსუდანს მონღოლები რუმის სასულტნოს წინააღმდეგ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ განსხვავებული მო-

საზრებებია გამოთქმული, რაც ნაჩვენებია გ. ჯაფარიძის გამოკვლევაში: „კ. კაენი მიიჩნევდა, რომ ქართველებმა დახმარება აღმოუჩინეს დამპყრობლებს, შესაძლოა, იძულებით, მაგრამ ეს შეესაბამებოდა მათ ტრადიციულ მტრობას თურქებთან"... სხვა ნაშრომში კ. კაენი წერდა, რომ ქაიყუბადმა ქართველებს რამდენიმე სასაზღვრო ციხე წაართვა იმ საბაბით, რომ მონღოლთა რეიდი მის სამფლობელოში განხორციელდა ქართველთა ტერიტორიის გავლით. ხ. მუსაევის თანახმად, რუსუდანი მონღოლთა წამქეზებელი და მოკავშირე იყო. ნ. შენგელია აღნიშნავს, რომ რუსუდანმა „მოახერხა საქართველოს ორი მოსისხლე მტრის დაპირისპირება და ერთმანეთზე წასისიანება". შეიძლება ვიკამათოთ და ვიმსჯელოთ ამ შემთხვევაში რუსუდანის დიპლომატიურ ნიჭსა და ალღოზე. ერთი მხრივ, როცა მონღოლები კარს იყვნენ მომდგარნი, მათთან მორიგება და რუმის სასულტნოსკენ მათი წარმართვა გამართლებული იყო, მეორე მხრივ, ფაქტია, რომ როცა მონღოლებმა თავიანთი მსელელობა აღარ გააგრძელეს და უკან დაბრუნდნენ, მცირე აზიის სელჩუკებმა დალაშქრეს საქართველო" (6, 196).

ყველაფრის მიუხედავად, რუსუდანის მოქმედება, მოვლენებიდან გამომდინარე, ერთგვარად ლოგიკური ჩანს. ჯერ კიდევ იასი ჩიმენის ბრძოლამდე, ჯალალ ად-დინის მხარეზე გადავიდა არზრუმის ამირა. ზოგიერთი მკვლევარი (ფალმერაიერი და ა.სევეიდისი - 6, 191) ფიქრობს, რომ არსებობდა კავშირი ხორეზმ-შაჰსა და ტრაპიზონს შორის. ბრძოლაში ჯალალ ად-დინის მხარეზე მონაწილეობდა ოლთისის გამგებელიც, რომელიც ამ ბრძოლაში მოიკლა. ბრძოლის შემდეგ ქაი-ყუბადმა აიღო არზრუმი (ზოგიერთი წყაროს თანახმად ალ-აშრაფთან ერთად, ან სულაც ალ-აშრაფმა დამოუკიდებლად - 6, 192), ხოლო მისმა მოკავშირე ალ-აშრაფმა ხლათისაკენ გაილაშქრა და გზად აიღო ოლთისი, მამრევანი და ბარქრი, რომლებიც იმ დროისათვის ქართველების ხელში იყო (5, 192). მიუხედავად იმისა, რომ გზად მანასკერტში შეჩე-

რებულ ალ-აშრაფს ივანე მხარგრძელმა ხმალი გაუგზავნა გამარჯვების მისალოცად (6,192-93), მშვიდობიანი ურთიერთობები ჯერ შორს იყო. 1232 წლის შემოდგომაზე ქართველებს დასაბრუნებელი ჰქონდათ სელჩუკების მოკავშირე აიუბიანების მიერ მიტაცებული სამხრეთ ტერიტორიები. მათთვის მოკავშირე იქნებოდა ყველა, ვინც მათ ამაში ხელს შეუწყობდა. ამდენად, მათ საკუთარი შეიძლებოდა წაექეზებინათ მონღოლები აიუბიანების მოკავშირე სელჩუკების წინააღმდეგ, მაგრამ მოხდა ისე, რომ თვითონ აიუბიანების და სელჩუკების ურთიერთობა შეიცვალა. მართალია, 629 წ. ჯუმადა ალ-ახირას თვეში (6.IV—4.V.1232 წ.) ხლათის მხარეში მონღოლთა შეჭრის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ეგვიპტის სულტანი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, მაგრამ მას შემდეგ რაც იქნის-იჯლისში მონღოლებმა დატოვეს ხლათი, აიუბიანებიც უკან გაბრუნდნენ (6, 195). შესაძლოა, უკვე ამ დროიდანვე ფაქტობრივად შეწყდა მათი მოკავშირეობა სელჩუკებთანაც. გ. ჯაფარიძის ვარაუდით, მონღოლების შეჭრა სივასის მიდამოებში ზაფხულის მიწურულს ან შემოდგომის დამდეგს მოხდებოდა, რადგანაც მონღოლები შემდეგ მუღანში დაბრუნდნენ გამოსაზამთრებლად. ამას მოჰყვა საქართველოს სამხრეთ ტერიტორიების დალაშქრა სელჩუკების მიერ, რასაც გარკვეული დრო დასჭირდებოდა: წყაროს ცნობით, დაჰყრობილი იყო 30-40 ციხე, გაიმართა საზავო მოლაპარაკება, ხოლო ოქტომბერ-ნოემბერში აიუბიანებმა ხელთ იგდეს ამიდი და ჰისნ ქაიფა დიარ ბაქრში, რამაც გააშწავა მათი ურთიერთობა მოკავშირესთან. შესაძლოა, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სელჩუკებმა შეწყვიტეს ლაშქრობა საქართველოში და შედარებით მალე დატოვეს ქვეყანა. შექმნილ ვითარებაში ქართველების სახით მოკავშირის ყოლა ბევრად უფრო ხელსაყრელი ჩანდა. მართლაც, საქართველოში ლაშქრობის შემდეგ, ალა ად-დინმა ქამიარი ხლათში სალაშქროდ გაგზავნა და ებრძანა „ხლათისა და ბითლისიდან თბილისამდე სომხეთის მთელი ვილაიეთების კვლავ სელჩუკთა ოლქებისათვის შემოერთება“

(8, 406), რაც სრულად ვერ განხორციელდა და ლაშქრობის შედეგად შეერთებული იქნა მხოლოდ სომხური მიწები. სირიელი ავტორი ბარ ჰებრეუსი, იგივე აბუ ლ-ფარაჯი, ხლათის აღებას ალა ად-დინის მიერ იმავე 1232 წლით ათარიღებს (10, 399). მართალია, ამ ავტორის მიხედვით, უკვე 1234 წელს ქართველები სხვებთან (ფრანკები, ბერძნები, არმენიელები და ხვარა'სმელები) ერთად მონაწილეობდნენ სელჩუკების მხარეზე აიუბიანების წინააღმდეგ პალესტინის ლაშქრობაში, ისევე როგორც 1237 წლის ამიდის კამპანიაში (მიდიელები, ხვარაზმელები, ჰუნები, ბერძნები, ფრანკები, არმენიელები (10,400, 402), ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მათ ვასალურ დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორია ერთ ხანს სელჩუკების ხელში რჩებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მცდარია იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქართველი მეფე რუსუდანი რუმის სულთნის ალა ად-დინ ქეიყობადის ვასალი გახდა, თუმცა ძნელია იმ ავტორთა აზრის გაზიარებაც, რომლებიც ქართველების და სელჩუკების ურთიერთობას აღნიშნულ წლებში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განიხილავენ. ამას უფრო არათანასწორუფლებიანი მოკავშირეობის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ნ. ასათიანი, *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე.* მეორე გამოცემა.თბ., 2001.
2. თ. ბერაძე, მ. სანაძე, *საქართველოს ისტორია. ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები,* თბ., 2003.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბ., 1979.

4. ნ. შენგელია, იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეი-ყუბადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), № 1, 1975.
5. ნ. შენგელია, *მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო (XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი - XIII საუკუნე)*, თბ., 2003.
6. გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995.
7. В. А. Гордлевский, *Государство Сельджукидов Малой Азии*. - Избранные сочинения, I, М., 1960.
8. Anadolu Selçuki Devleti Tarihi. Ibni Bibi' nin Farsca Muhtasar Selçuknamesinden, Ankara, 1941.
9. Y. Bedirhan, *Selçuklular ve Kavkasya*. 2000.
10. The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the son of Aaron, the Hebrew Physician commonly known as Bar Hebraeus being the first part of his political History of the world. Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge. Vol. I. English Translation. Oxford University, 1932.
11. J. McCarthy, *The Ottoman Turks. An Introductory History to 1923*. London and New York. 1997.M
12. A. Sevin, E. Merçil, *Selçuklu Devletleri Tarihi. Siyaset, Teşkilat ve* kültür. Ankara, 1995
13. O.Turan, Keykubad I.- Islam Ansiklopedisi, c. VI, 1954.
14. O.Turan, Selçuklular Tarihi ve Türk-Islam medeniyeti, Ankara, 1965.

ერთი ისტორიოგრაფიული ფაქტის შესახებ

XIII საუკუნის საქართველოს ორი მეფის, დავით გიორგი ლაშას ძის და დავით რუსუდანის ძის, მეტსახელების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარი შეხედულებაა შემუშავებული. ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურას შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის შესახებ არსებულ წყაროებს.

ცნობები ქართველთა და მონღოლთა ურთიერთობებზე გვხვდება ქართულ, ლათინურ, სპარსულ, სირიულ, არაბულ წყაროებში. მოვიტან ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტებს ზოგიერთი მათგანიდან.

მოელენათა თანამედროვე თვითმხილველი, ოქროს ურდოში მყოფი იტალიელი პლანო კარპინი მოგვითხრობს: „თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ, რაიმე სადაო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მის გასარჩევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟს მოუხდა. ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი, ხოლო მეორე - დავით - გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. იმ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავისი დედითურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც. მალიქის დედა საქართველოს დედოფალი ... გზაში გარდაიცვალა. მათ კი, მისელის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს; განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებიათ მამის მიერ დავითისთვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერი ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორი-

სო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა. ის დავითს დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს...“[1]. როგორც ვხედავთ, ტექსტში არ არის ნახსენები მეფეების მეტსახელები, თუმცა აღნიშნულია, რომ ლაშას ძე უფროსი იყო.

მეორე თანამედროვე ირანელი ავტორი, ათა მელიქ ჯუვეინი (1226-1283), 1255/3-1260 წწ. შედგენილ თხზულებაში „ქვეყნის დაპყრობის ისტორია“ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „გუიუქ ხანმა ყიზ-მალიქის (ქალ-მეფის – გ.ა.) ძე დავითი მეორე დავითის ბრძანებას დაუმორჩილა“. მოგვიანებით, 1259 წ. სექტემბრის შემდეგ, ჯუვეინი შენიშნავს: „არღუნ ამირი ჯერ საქართველოში წავიდა, რადგან დავით მეფე, შვილი ყიზ-მალიქისა, აჯანყებულიყო“... „როდესაც იგი კვლავ მოვიდა თბილისში, უფროსი დავით მეფეც გადამდგარიყო გადასახადთა ნარჩენის მოთხოვნის გამო და მორჩილების უღელი გადაეგდო კისრიდან“[2]. ამგვარად, აქ კვლავ არის აღნიშნული ლაშას ძის უფროსობა, თუმცა მის სახელად მხოლოდ დავითია მითითებული.

ამავე საუკუნის სირიელი ავტორის გრიგორიუს აბუ ლ-ფარაჯის, იმავე ბარ ჰებრეუსის (1226-1286) გადმოცემით, 644/1246-47 წელს გუიუქ ხანთან თავმოყრილ მრავალ ხელმწიფეთა შორის საქართველოდან (ქურჯისთან) იყვნენ ორი დავითი – დიდი (ალ-ქაბირ) და მცირე (ას-საღირ). 645/1247-48 წელს დავით (დავუდ) მცირე, რომელიც ცნობილი იყო იბნ კიზის ე.ი. ქალის ძედ, დაუქვემდებარეს თბილისის პატრონს დიდ დავითს[3].

ორ დავითს იხსენიებს XIII-XIV სს-ის ირანელი ავტორი რაშიდ ად-დინი (დაიბ. 1247- გარდ. 1318), რომლის თხზულება, „მატიანეთა კრებული“, 1310/11 წ. დასრულდა. ავტორი აღნიშნავს ფაქტს, რომ დედოფლის ვაჟი მეორე დავითს დაუქვემდებარეს. ისტორიკოსი არ იცნობს მათ მეტსახელებს[4].

მთელი ეს ცნობები შეიძლება ასე შეჯამდეს: ორი დავი-

თი, ლაშას და რუსუდანის ძეები, დაამტკიცეს საქართველოს მეფეებად; ასაკის გამო, ერთს დიდი, მეორეს მცირე უწოდეს. და ლაშას ძეს რუსუდანის ძე დაუქვემდებარეს.

ცნობები XIII ს-ის შუა წლების საქართველოს ისტორიის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, არის სომხურ წერილობით ძეგლებშიც.

კირაკოს განძაკეცის (1200-1271) სიტყვებით: „[თათრებმა], როცა დაამარცხეს ჰორომთა სულტანი - მისი [რუსუდანის] სიძე - და აიღეს მრავალი მისი ქალაქი, გაუგზავნეს მას მოციქულად მთავარი ვაჰრამი [და შეუთვალეს, რომ] დამორჩილებოდა [თათრებს]. მან [ვაჰრამმა] უკან წამოსვლისას წამოიყვანა თავისთან ქართველთა მეფის გიორგი ლაშას შვილი, რუსუდან დედოფლის ძმისშვილი, რომელიც [რუსუდანს] გაეყოლებინა თავისი ქალისათვის ბოროტი განზრახვით, მოეკლა ის, რათა რაიმე ზიანი არ მიეყენებინა მისი მეფობისათვის. [მას შემდეგ] იყო [გიორგი ლაშას ძე] სულთანთან დაკავშირებული. წამოიყვანა ვაჰრამმა და ამცნო თათართა ჯარს: ჩვენი მეფის წულია და უსამართლოდ მოკლებულია თავის სამფლობელოს. ხოლო მათ, მის საწინააღმდეგოდ, გაამეფეს ის, ბრძანება გასცეს, ქრისტიანული წესით ეკურთხებინათ, დაქვემდებარებოდა მისი მამის ყველა მთავარი და დამჯდარიყო ქალაქ ტფილისში. წაიყვანეს დიდ-დიდმა მთავრებმა, რომლებიც თათართა მორჩილებაში იყვნენ: ავაგმა, რომელიც მხედართმთავარი იყო, შაჰან-შაჰმა ზაქარიას ძემ, ვაჰრამმა და მისმა შვილმა აღბუღამ და მოიყვანეს მცხეთაში. მოუწოდეს ქართველთა კათალიკოსს და აკურთხეს ის მეფედ. ერქვა მას სახელად დავითი... ხოლო ისინი [ქართველი უფლისწულები] წავიდნენ გუიუგ ღანთან, მან სიყვარულით მიიღო ისინი და განუწესა მათ, რომ ემეფათ რიგით. ჯერ, რომელი უფროსი იყო მათ შორის, დავით ლაშა გიორგის ძეს, ხოლო მისი აღსრულების შემდეგ, თუ კი ცოცხალი იქნებოდა, მეორე დავითს, რუსუდანის შვილს, - მის მამიდაშვილს. როცა მოვიდნენ (დავითები), ჰყვეს ასე იყანეს ძის ავაგის შუამ-

დგომლობით: დაჯდა ლაშას ძე დავითი ქალაქ ტფილისს, ხოლო მეორე დავითი - სვანეთს"[5].

სტეფანოს ორბელიანის (გარდ. 1305 წ.) მიხედვით, „ქართველთა მეფობა ეპყრა ერთ ქალს, სახელად რუსუდანს, (ხოლო) ლაშას დარჩა ერთი ვაჟი, სახელად დავითი, რომლის დაღუპვასაც მრავალი ღონისძიებით ცდილობდა ეს რუსუდანი... მაგრამ ყველაფერს გადაურჩა ღვთის განგებით. გამოიდა და გაიქცა დიდ მეფე მანგუ ღანთან, გამობრუნდა მისგან, მოვიდა და გამეფდა თავის ქვეყანაში, ხოლო რუსუდანი ნახა გარდაცვლილი"[6].

ამავე ხანის მოღვაწის მხითარ აირივანეცის (დაიბ. დაახლოებით 1230 - გარდ. დაახლოებით 1300/1305 წ.) ქრონოგრაფიულ ისტორიაში ორჯერ ეხედებით ორ დავითს, რომელთაც ავტორი ერთ შემთხვევაში იხსენიებს როგორც დავით მცირეს და დავით დიდს[7].

XIII საუკუნის სომეხი ავტორის გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორიის" მიხედვით, სადაც 1220-1270 წლების მოვლენებია გადმოცემული, „მხნე და სახელოვან ქართველთა ჯარს უკვე კარგა ხანია აღარ ჰყავდა თავისი მეთაური და მეფე. ლაშას ქალი რუსუდანი გარდაიცვალა და ქართველები დარჩნენ უპატრონოდ, როგორც სამწყსო, რომელსაც არ ჰყავს მწყემსი. ამ დროს ღვთის განგებით [ქართველებმა] განიზრახეს [გაემეფებინათ] თავიანთი მეფის ძე დავითი, რომელიც საპყრობილეში იჯდა, ჰორომებთან. ქართველთა მთავრებმა შეიპყრეს ჰორომთა ჯარის მთავრები და მიიყვანეს ბაჩუსთან, რომელიც იყო თათართა მეთაური და გამოჰკითხეს წამებით მეფის ძის დავითის შესახებ... როცა დაინახეს იგი თათრის ჯარმა და დიდმა მთავარმა ვარამმა, გაოცდნენ დიდად მისი ცოცხლად ყოფნის გამო და ადიდეს ღმერთი. ქართველთა მეფის ძე დავითი იყო ტანით მაღალი და ვაჟკაცი, მშვენიერი სახისა, შავი წვერით... მიიღეს ბრძანება დიდი ღანისაგან, მოიყვანეს და დასვეს დავითი მისი მამის ტახტზე, თბილისში. ძლიერ გაიხარეს ქართველმა მთავრებმა,

უწოდეს მას „ეახრამული მეფე“, ე.ი. „ეახრამის მიერ მეფედ დასმული“[8]. როგორც ვხედავთ, სომხური წყაროებიდან ის ერთადერთი ასახელებს ლაშას ძის მეტსახელს, რომელსაც აკავშირებს მის მხსნელ ვარამ გაგელთან, მაგრამ სომეხი ავტორები (კირაკოს განძაკეცი, მხითარ აირივანეცი) ასხვაებენ ორ დავითს მათი ასაკის მიხედვით და ერთს უფროსს, ხოლო მეორეს უმცროსს უწოდებენ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ალბათ ქართულ წყაროებს უნდა მიენიჭოს. შემორჩენილია რუსუდანის ძის ხელმოწერილი დოკუმენტები: დავით ბაგრატუნიანი რუსუდანის ძე, დავით ბაგრატიონმან, ძემან მეფეთ-მეფის რუსუდანისამან, მეფეთ-მეფე დავითი[9]. XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ორმეფობის ხანის „მრავალი სიგელი იპოვების“ და თვით მას უნახავს „რომელ სიგლისა თავს სწერია: „მეფენი ბაგრატოანნი“ და „ნებითა ღ[ვ]თისათა, დავით და დავით“ და „ჴელიცა ორთაესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე, და ჩემ დავითსგანცა მტკიცე არს“[10]. ორი დავითის სახელზე დაახლოებით 1261 წლის II ნახევარში მოჭრილ მონეტაზე წარწერაა: „დავით მეფე, მეფეთა მეფე დავითი“[11].

ქართული ისტორიოგრაფია ორმეფობის ხანას რამდენიმე თხზულებით იცნობს, მაგრამ ესენი ყველა ფაქტობრივად ერთ ნაწარმოებზე დაიყვანება – XIV საუკუნის ცნობილი ავტორის ვრცელ თხზულებაზე, რომელსაც პირობითად „ასწლოვანი მატიანე“ (თ. ჟორდანია, რ. კიკნაძე), ხოლო მის ავტორს ასევე პირობითად ჟამთაღმწერელი (ი.ჯავახიშვილი) ეწოდა. ძეგლის შინაარსი იძლევა საფუძველს სხვა და მათ შორის XIII ს-ის ავთენტური წყაროების სავარაუდოდ. როგორც ირკვევა, მოგვიანო ავტორი ხშირ შემთხვევაში არჩევანის წინაშეც კი მდგარა და უპირატესობა ერთი რომელიმე წყაროსათვის მიუნიჭებია. ასე მოქცეულა, მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაშიც. მართალია, მისი ვერსიით „ვითარ ცილობა იყო მეფეთა შორის... ამისთვის დაშთეს მრა-

ვალთა წელთა ყარაყურუმს... მაშინ ინება ყაენმან ყუბილმან, წარმოავლინნა ორნიე მეფენი ძმასა მისსა, ულოს თანა, და მიუმცნო ესრეთ, რათა, უკეთუ სთნდეს, ორთაეეს მისცეს მეფობა, რომელ ყოცა ულო უკანასკნელ, და ესრეთ მოიწიენეს ულოს წინაშე, რომელი იხილა და შეიწყნარა, და ორთაეე მეფობა დაუმტკიცა და მისცა ყოველი სამეფო მათი". მაგრამ იქვე განსხვაეებული წყაროც არის მითითებული. „მოწევნულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყჳს, ვითარმედ: ყარაყურუმს ყოფასა ორთაეე მეფეთასა გუიუქ ყანემან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანისა ძე, დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს. და მე არ შევიწყნარებ ამას"[12].

ამგვარად, XIV ს-ის ისტორიკოსი თავის ნაშრომს სხვადასხვა წყაროზე ამყარებს, რომელთა ნაწილი, შესაძლოა, შემდგომი ხანის მოღვაწეებისთვისაც: ფარსადან გორგიჯანიძის (XVII), ეახუშტი ბაგრატიონისა (XVIII ს.), იოანე ბაგრატიონისათვის (XIX ს.) იყო ხელმისაწვდომი, მაგრამ ამ ისტორიკოსებისათვის ამოსავალი კვლავ „ასწლოვანი მატიანე" რჩება. ამ თხზულების დიდი ნაწილი სანდოდ არის მიჩნეული, მაგრამ იმის გამო, რომ ეს წყარო რამდენადმე დაცილებულია აღწერილ ამბებს, მისი ავტორი, ბუნებრივია, ყოველთვის ვერ ახერხებს მოვლენათა თანმიმდევრობისა და ზოგიერთი დეტალის ზუსტად აღდგენას, ზოგჯერ კი შეგნებულად არღვევს მათ[13]. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო ამბები შეცდომით გადატანილი და მოთავსებულია ცოტა გვიან და სხვა ისტორიულ კონტექსტში. წყაროს მიხედვით, ორი მეფის დამტკიცება მოხდა არა 1246-1247 წწ., გუიუქ ყაენის (1246-1249) დროს[14], როგორც ამას ზოგიერთი თანადროული წყარო მიუთითებს, არამედ ილხანთა სახელმწიფოს არსებობის დროს, ილხან ჰულაგუს (რომელიც აქ ულოს სახელით იხსენიება) გამგებლობის (1256-1264) წლებში. მაგრამ უთუოდ საყურადღებოა განმარტება იმის შესახებ, რომ თუმცა ლაშას

ძე და რუსუდანის ძე „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა“ და „არა წინააღუდგებოდეს ერთმანერთსა“, „უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა, დავითს ეპყრა ლაშას ძეობისათვის, დაღაცათუ უხუცესობისათჳს“[15]. ამავე დროს თხზულებაში არსად არ არის მითითებული ლაშას ძის დავითის რაიმე მეტსახელი. ლაშას ძე დავითი თხზულებაში ყველა შემთხვევაში იხსენიება როგორც შვილი მეფისა ჩუენისა ლაშასი, სახელითა დავით, მეფე დავით, დავით, დავით მეფე. რაც შეეხება რუსუდანის ძეს, იგი იმავე თხზულებაში გარკვეული მოსენტიდან, როგორც წესი, ნარინად იხსენიება. ეს ხდება მას შემდეგ, რაც მემატიანის თანახმად, რუსუდანის ძე დავითი წაიყვანეს ბარდავს, „სადა დაებანაკა ნოინთა“, „ვითარ იხილეს ჩარმაღან, ჩაღატა, იოსურ და ბიჩო, განიხარეს და პატივი უყვეს მეფესა... ესრეთ კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელსა ნარინ დავითობით უწოდეს, ესე იგი არს სეფისპირი დაეით“[16]. ს.-ს ორბელიანი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „პირად ითქმის პირისახე კაცისა“, სეფე – „დიდებულთათჳს“. ამგვარად, XIV ს-ის ანონიმი ავტორი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ რუსუდანის ძეს ნარინი გარეგნობის გამო ეწოდა. „ასწლოვანი მატიანიდან“ ირკვევა აგრეთვე, რომ ნარინი რუსუდანის ძეს დავით ლაშას ძის გამოჩენამდე დაერქვა, ჯერ კიდევ მისი მეფედ დამტკიცებამდე. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ძეგლის გამომცემელმა რ. კიკნაძემ[17].

ძველი „ქართლის ცხოვრება“, როგორც ცნობილია, ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული, ამათგან ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ მხოლოდ მცხეთური ციკლის ხელნაწერებშია შესული. მსგავსი ხელნაწერები თავის დროზე ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო და ზოგიერთი უფრო უკეთ დაცული, ვიდრე ამჟამად არსებული. აღნიშნული არაერთი კონკრეტული მაგალითით დაადასტურა XVII ს-ის მიწურულის ცნობილი ქართველი მოღვაწის, ფარსადან გორგიჯანიძის, საისტორიო თხზულების შესაბამისი მონაკვეთის საგანგებო კვლევამ[18]. ირანში მცხოვრებ ქარ-

თველ ისტორიკოსს ხელთ „ქართლის ცხოვრების“ ნაკლული ტექსტი ჰქონია, მაგრამ მასში მრავალი დღეს დამახინჯებული და გაუგებარი ადგილი თურმე უკეთ იკითხებოდა. გარდა ამისა, მას, როსტომ ქართლის მეფის ტახტზე აღზრდილს, საქართველოს ისტორიის შესახებ სხვა წყაროებიც და მათ შორის ზეპირი გადმოცემებიც შეიძლებოდა სცოდნოდა. ნაცნობი იყო მისთვის სპარსული წყაროებიც. ვნახოთ რას გვაძლევს ეს ტექსტი ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის. მონღოლთა ბატონობის ხანისათვის ფარსადანის ერთადერთი წყარო კვლავ ჟამთააღმწერლის თხზულება რჩება, რომელსაც იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს იმ განსხვავებით, რომ რუსუდანის ძეს ყველგან მეტსახელს ნარინს უმატებს, იქაც კი, სადაც ძირითადი წყარო ამის საფუძველს არ იძლევა: „დასხდეს ტახტსა მამათასა თბილის ქალაქთა შიგან დავით გიორგის მეფის შვილი და ნარინ დავით (ძირითად წყაროშია დავით) რუსუდანის შვილი, ორნივ, მოწევნილ არს ესეც ითქვა, რომე სხვა ვინმე ყოველთააღმწერელი იტყვის, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფაში ორნივე სამეფონი გაუჟვეს და ასრთე გაბრჭვეს, რომე მეფობა ლაშას ძეს დავითს მისცეს და დაუმტკიცეს და რუსუდანის ძე ნარინ დავით (წყაროშია დავით) ღამით გაიპარა და წავიდა აფხაზეთს, მე არ შეეიწყნარებ ამას“... „მრავალი სიგელი იპოვების და თვით მეც მინახავს, რომ სიგელთა თავად სწერია... „ნებითა მღთისათა ჩვენ მეფემან დავით და ნარინ დავით“ (წყაროშია დავით) და ჴელი ორთავესი რთავს: „ჩემის დავითისაგან მტკიცე (და ჩემის დავითისგანცა მტკიცე არს„... და ბოლოს „უმეტესი პატივი და ზეით ჯდომა ლაშას ძეს დავითს მიაპყრობდეს მეფის შვილობისათვის“[19]. (აკლია „დაღაცათუ უხუცესობისათვის“). მეორე დავითს ფარსადანი იხსენიებს როგორც ლაშა გიორგი მეფის ძე დავითს.

იმავე „ასწლოვან მატიანეს“ იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს-ის 40-იანი წწ.), ოღონდ თავისი სიტყვებით. ავტორი არ იცნობს დავით ლაშას ძის არავითარ მეტსახელს,

ხოლო, რაც შეეხება ნარინს, რომელსაც საკმაოდ ხშირად იხსენიებს, მის შინაარსს თავისებურად განმარტავს: „კეთილად შეიწყნარეს და პატივსცეს და უწოდეს ნარინ (ესე არს მისრული) “. ავტორმა იცის, რომ „აქუნდა უპირველესი პატივი დავითს ლაშას ძეობისათვის და ჟამითაცა უხუცესი იყო“[20].

იოანე ბაგრატიონი ძირითადად კელავ „ასწლოვან მატიანეს“ და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას იმეორებს, მაგრამ უმატებს ზოგიერთ ახალ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ, ზეპირ) წყაროს. მან იცის რუსუდანის ძის შერქმეული სახელი ნარინი, რაც შეეხება დავით ლაშას ძეს, იოანეს თანახმად, მას აგრეთვე პაპის სახელით, დავით სოსლანად იხსენიებდნენ. „ნარინ დავით უფრორე ჰსცხოერობდა იმერეთ შინა, ხოლო დავით ლაშას ძე ქართლსა შინა, ვინაიდგან ხნითაცა და მეფობითაცა იყო უფროსნი ნარინ დავითსა ზედა. ამისთვის იმყოფებოდა ქართლშია, რომელ ყაენთან და სხუათა ადგილთაგან მრავალნი მოვიდოდიან ელჩები საქმისათჳს“[21].

სიტყვა „ნარინს“ თავის დროზე ყურადღება მიაქცია მონღოლთა ხანის ისტორიის მკვლევარმა მ. შმიდტმა, რომელსაც მონღოლურ ენაზე დაწერილი მონღოლთა ოთხნაწილიანი ისტორია ეკუთვნის. მან ის განმარტა როგორც კოხტა, დახვეწილი, ჭკვიანი[22].

„ნარინის“ შინაარსი დაწერილებით განიხილა ჯ. გიუნაშვილმა სტატიაში ნარიყალას შესახებ. ამ მონღოლურ-თურქული წარმოშობის სიტყვას შემდეგი მნიშვნელობები აქვს: „წერილი, თხელი, გაწაფული, გულმოდგინე, აკურატული, დეტალური, საფუძვლიანი, მკაფიო; თურქულ-სპარსულში – განსაკუთრებული, ახალი, ნაზი, მოხდენილი, მზიური, ვიწრო, წერილი, წერილად დაკეპილი ხორცი და ცომისაგან მომზადებული ეროვნული კერძი, გადატანითი მნიშვნელობით – შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი ადამიანი“[23]. როგორც ვხედავთ, სიტყვის ზოგიერთი მნიშვნელობა საესებით შეესაბამება უამთააღმწერლისეულ განმარტებას იმის შესახებ, რომ

რუსუდანის ძეს ნარინი მეფური, ე.ი. მოხდენილი გარეგნობისათვის შეერქვა.

XIII ს-ის საქართველოში ორმეფობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „საქართველოს სახელმწიფო თუმცა წინანდებურად მთლიან სახელმწიფოდ და სრულიად საქართველოდ დარჩა, მაგრამ ერთი მეფის მაგიერ ტახტზე ორი მეფე აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი უფროსად, მეორე უმცროსად ითვლებოდა. თითქოს განზრახ ორსავე მეფეს სახელიც ერთი და იგივე, დავითი ერქვა. ასე რომ, მათი გარჩევაც კი შეუძლებელი იყო, თუ რომ თითოეულ მათგანს რაიმე განსხვავებული ნართაული სახელიც არ მიეკუთვნებოდა. მათი თანამედროვენი სწორედ ასე მოიქცნენ და ერთს, უფროს დავით გიორგი ლაშას ძეს, ულუ ეწოდა მეტსახელად, უმცროსს დავით რუსუდანის ძეს კი - ნარინი. ქართველი ჟამთააღმწერლის განმარტებით ულუ ნიშნავდა დიდს, უფროსს, ხოლო ნარინ მონღოლურად თხელს, ე.ი. ამ შემთხვევაში, უმცროსს გამოჰხატავდა“[24]. ქართველი ჟამთააღმწერელი მხოლოდ XIV ს-ის ანონიმს შეიძლება გულისხმობდეს, რომელსაც ეს სახელი პირობითად თვით ი. ჯავახიშვილმა შეარქვა. როგორც დავრწმუნდით, XIV ს-ის ისტორიკოსი არ იცნობს ლაშას ძის მეტსახელს და, ცხადია, ვერ განმარტავს მას, ხოლო ნარინი, მისი აზრით, არა უმცროსი, არამედ სეფისპირია. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა გაგებულიყო როგორც მსგავსი განმარტება, მემატიანის შემდეგი ცნობაა: „იყო ესე ლაშას ძე დავით ტანითა დიდ და ახოვან და სხულ“. „რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ფეროვან და შვენიერ და თმითა თხელ“[25]. მიუხედავად ასეთი გაუგებრობისა, ივ. ჯავახიშვილის აზრი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო ზოგიერთი ნაშრომი მას იმოწმებს როგორც წყაროს[26].

ეს თვალსაზრისი ერთგვარი სხვაობით განმეორდა ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში უძველესი დროიდან

XIX ს-ის დამდეგამდე: ყაენმა „მეფობა დაჳით მეექჳსეს, გიორგი ლაშას ძეს, როგორც უფროსს, მისცა, მაგრამ ამასთანაეე დავით რუსუდანის ძეც მეფედ დაამტკიცა. ერთი მათგანი უფროსად იქნებოდა. მეორე უმცროს მეფედ, ისეეე როგორც თეით მონღოლების სახელმწიფოში ეროი დიდი ყაენი იყო, ხოლო დანარჩენი სამი ჩეეულებრივ ყაენებად ითვლებოდნენ. ეს მოხდა 1247 წელს. შემდეგში, დავით VI-ს, გიორგი ლაშას ძეს, დაჳით ულუ (უფროსი) ეწოდა, ხოლო დავით V-ს, რუსუდანის ძეს - დავით ნარინი (უმცროსი)[27]. არ არის დაზუსტებული, თუ როდის მოხდა ეს.

როგორც ვნახეთ, ქართულმა ისტორიოგრაფიულმა მეხსიერებამ არ შემოგეინახა დაჳით ლაშას ძის ეს მეტსახელი არც შედარებით ამ მოელენებთან ახლო და არც მათგან დროით დაცილებულ ისტორიულ ძეგლებში. მაგრამ იგივე წყაროები ერთხმად ასახელებენ რუსუდანის ძის მეტსახელს – ნარინს, რომელიც მას ჯერ კიდეე ლაშას ძის მცირე აზიაში ყოფნისას დაერქვა. ამაეე დროს, მათი ცნობა ლაშას ძის უპირატესობის შესახებ საესებით ეთანხმება უცხოენოვანი ძეგლების ჩეენებას და არაეითარ ეჭეს არ იწეეს.

მაშ, რა საფუძველი აქვს ივ. ჯავახიშვილის ასე ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას?

1849 წელს მ. ბროსემ გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ კომენტარებით ფრანგულ ენაზე. იმ ხანისათვის არ იყო აღმოჩენილი ძეელი რედაქციის არც ერთი „ქართლის ცხოვრება“ და გამოცემას საფუძვლად დაედო XVIII ს-ის სამი ნუსხა: ე. წ. რუმიანცეეისეული (ხელნაწერთა ინსტ. H-2080), თეიმურაზისეული (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსაელეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი, M.-24, ძეელი შიფრები G-1, M-13) და ფალავანდიშვილისეული (ხელნაწერთა ინსტ. H-988). ამათგან პირეელი სამეცნიერო ლიტერატურაში დაახლოებით 1703 წლით არის დათარიღებული, ხოლო მეორე, თეიმურაზისეული - XVIII ს-ის პირეელი მეოთხედით. უკანას-

კნელის შესახებ ცნობილია, რომ XVIII ს-ის პირველი მეოთხედის დასასრულისათვის მისი მფლობელი იყო ნიკოლოზ რუსთველი, კ. გრიგოლიას ვარაუდით, შემკვეთ-რედაქტორი ან გადამწერი, მესამე – ფალავანდიშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ გადაწერა ზაქარია ხუცესმა წილკნელმა, იმავე ამბროსი ნეკრესელმა, გვარად მიქაძემ 1761 წლისათვის[28]. ფალავანდიშვილისეული ნუსხა მ. ბროსეს გამოცემისათვის ძირითადი ტექსტია. სწორედ აქედან გადაუწერია სვიმონ ტაბიძეს 1839 წელს „ქართლის ცხოვრება“ ბროსესთვის. ფალავანდიშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ XIII საუკუნე წარმოდგენილია აგრეთვე ჟამთააღმწერლის თხზულებით, სადაც სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთ ადგილას ვკითხულობთ: „იყოფოდეს ორნი ესე ულუ დავით და ნარინ დავით“[29].

სიტყვა „ულო//ული-ს“ მონღოლურ-თურქულ ენებში აქვს დიდის, დიადის, უზარმაზარის, უფროსის, ძლიერის, ამაყის, ახოვანის, ზორბას მნიშვნელობები[30]. მსგავსი არაფერი მოიპოვება არც რუმიანცევისეულ და არც თეიმურაზისეულ ხელნაწერებში. სხვა მხრივ თხზულება ფალავანდიშვილისეულ ხელნაწერში არაფრით განსხვავდება სხვებისაგან. აქაც დავით რუსუდანის ძე თითქმის ყველა შემთხვევაში იხსენიება როგორც ნარინი, ხოლო მეორე მეფე როგორც დავითი, ან ლაშას ძე და ა.შ. ეს ნაწყვეტი არ არის ორგანული ტექსტისათვის და აშკარად ჩანართის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ საიდან და როდის უნდა გაჩენილიყო ტექსტში ეს ინტერპოლაცია?

ფალავანდიშვილისეული ნუსხის გადამწერს, მისი ანდერძის მიხედვით, სამი ხელნაწერით უსარგებლია: „სამი დედანი ვნახე, ასე აკლდა: მცხეთისა, მეფისა და ერისთავისა“. ამათგან მცხეთური ხელნაწერი, მართალია, არ არის შემონახული, მაგრამ გვაქვს მისი ციკლის ნუსხები, ე.წ. მარიამისეული (ხელნაწერთა ინსტ. S-30 = და 1697 წლის Q-1219 (ხელნაწერთა ინსტ. Q-1219). ლაშას ძის მეტსახელი არც ერთ მათგანში არ არის. არ არის ის, როგორც აღვნიშნეთ, არც რუმი-

ანცევისეულ ნუსხაში, რომელთანაც კ. გრიგოლია აიგივებს „მეფისას“ ხელნაწერს. გვრჩება ე.წ. ერისთავისა, რომლის შესახებაც ცნობები არა გვაქვს, მაგრამ მსჯელობის საფუძველს გვაძლევს შემდეგი: ს.-ს ორბელიანის ლექსიკონში შეტანილია ნარინიც და ულუც. მაგრამ ეს სიტყვები ლექსიკონის შემდგენელისათვის ანტონიმები არ არის. თუ „ულუ - დიდად ითქმის (ქართლის ცხ.), ნარინის განმარტება ჟამთააღმწერლის თხზულებიდან მომდინარეობს - „მეფის პირია (ქართლის ცხ.)“. სხვათა შორის, ფალავანდიშვილისეულ ნუსხაში დაცით ლაშას ძის მეტსახელი ულუ არ არის განმარტებული. ამიტომ არ არის ცნობილი, იყო თუ არა ჩანართის ავტორისთვის ეს ორი სიტყვა ანტონიმები. თუ გადამწერს ეს ორი სიტყვა ესმის როგორც დიდი და მცირე, მაშინ გაუგებარია, რატომ არ შეცვალა მან უფრო ადრე ტექსტში მოტანილი ნარინის განსხვავებული განმარტება. როგორც ცნობილია, ს.-ს. ორბელიანი ლექსიკონის შედგენაზე 1685-1716 წლებში მუშაობდა. ვინაიდან ორივე სიტყვა მას „ქართლის ცხოვრებიდან“ აქვს ამოღებული, არ არის გამორიცხული, რომ იმ დროისათვის აღნიშნული ჩანართი უკვე იყო კრებულის რომელიმე ნუსხაში, საიდანაც აღმოჩნდა ფალავანდიშვილისეულ და მისი ციკლის ნუსხებში. ესენია ბარათაშვილისეული (ხელნაწ. ინსტ. S-25), რომელიც გადაწერა იოანე დეკანოზმა 1761 წელს და დადიანისეული (ხელნ. ინსტ. S-354), რომლის გადამწერის ვინაობა და თარიღი უცნობია, მაგრამ პალეოგრაფიული და სხვა ნიშნების მიხედვით ამავე პერიოდით თარიღდება. ფალავანდიშვილისეული ნუსხიდან ჩანართი მოხვდა მ. ბროსეს გამოცემულ ტექსტში, მაგრამ მთარგმნელის ეჭვი გამოიწვია: „ულუ მონღოლურად დიდს ნიშნავს, მაგრამ არაეითარი სხვა მინიშნება არ ჩანს, რომ ეს მეტსახელი ლაშას ძეს მიცემოდა, მაშინ როდესაც სომეხი ავტორების მიხედვით, ის ვარამულის სახელს ატარებდა“[31]. მიუხედავად იმისა, რომ დაეჭვების საფუძველი იყო, საფიქრებელია, რომ ისტორიოგრაფიაში ლაშას ძის მეტსახელი სწორედ მ. ბროსეს გამოცემის წყალო-

ბით გავრცელდა. მაგალითად, თ. ჟორდანიას ნაშრომში ორი დავითი იხსენიება როგორც დავით ულუ და დავით ნარინი[32]. ხოლო საბოლოოდ ამ მეტსახელების როგორც დიდის და მცირის გააზრება ი. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა.

ამგვარად, მივიღეთ ის, რასაც აღნიშნავს ჯ. გიუნაშვილი: „თანამედროვენი სეფეს-პირს დავითს გარკვეული მიზეზის გამო უწოდებდნენ მცირეს", რის გამოც „უნდა ვიფიქროთ, „ნარინ-დავითი" გაუტოლდა „სალირ-დავითს", ე.ი. მოხდა ერთგვარი სემანტიკური კონტამინაცია, რის შედეგადაც „ნარინი" გაგებულ იქნა როგორც „მცირე", თუმცა მონღოლურ და თურქულ ენებში ამნაირი გაგებისათვის საფუძველი არ არსებობდა"[33].

ვინაიდან ლაშას ძის დავითის მეტსახელი უცნობია XIV საუკუნის ჟამთააღმწერლისა და მასზე დამოკიდებული თხზულებებისათვის, ის საქართველოში, როგორც ჩანს, პოპულარული არ ყოფილა. მართალია, წყაროთმცოდნეობაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მოგვიანო წყარო უფრო ძველს და უფრო ზუსტ ცნობას შემოგვინახავს, ვიდრე აღწერილ მოვლენებთან დაახლოებული ძეგლი, ფალავანდიშვილისეული ნუსხის ჩანართის შემთხვევაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან იქ ეს ცნობა თავისი წყვეტილი, უადგილო ხასიათის და ტექსტის დანარჩენ მონაკვეთებთან შეუთანხმებლობის გამო უფრო ეჭვს იწვევს, ვიდრე - ნდობას. არ არის გამორიცხული მეორე შესაძლებლობა, რომ ჩანართი ერთი რომელიმე გადამწერის კონიექტურაა, რომელიც, ამასთანავე, არ ემყარება ისტორიულ საფუძველს. ასეთი გაუგებრობის წყარო შეიძლება თვით ჟამთააღმწერლის ნაშრომი გახდა, სადაც ჰულაგუ ყაენი ულოდ იხსენიება, და ეს სახელი ზოგიერთ შემთხვევაში ისეა გადაჯაჭვული დავითთან, რომ ზედაპირულად წაკითხვისას შეიძლება მის სახელადაც კი იქნეს გაგებული. მაგალითად, „მას ჟამსა წარეიდა მეფე დავით ულო ყაენს წინაშე მუღანს". მსგავსი შემთხვევები სხვაც არის.

ამგვარად, წარმოდგენილ დაკვირვებებს შემდეგ დასკვნებამდე მიეყავართ: ზუსტად არ ვიცით, უწოდეს თუ არა თანამედროვეებმა დაით ლაშას ძეს ულუ, ვინაიდან ჩვენამდე მოღწეული წყაროს ჩვენება, რომელიც ამ მეტსახელს შეიცავს, საკითხის დადებითად გადასაწყვეტად რეპრეზენტატულად ვერ ჩაითვლება.

კიდევ უფრო ნაკლები საფუძველია ნარინის და ულუს ანტონიმებად მიჩნევისათვის.

ამიტომ, მიზანშეწონილია დარჩეს აზრი იმის შესახებ, რომ ორ დავითს ეწოდათ უფროსი და უმცროსი, აღინიშნოს, რომ რუსუდანის ძეს დახვეწილი გარეგნობის გამო ნარინიც შეერქვა.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს' ვუწოდებთ, სთარგმნა გ. ქიქოძემ. — *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.* ნაკვ. II, თბ., 1942, გვ. 3, 37. როგორც ვხედავთ, თანამედროვე ავტორი რუსუდანის და გიორგის ვაჟებს შეცდომით ძმებად მიიჩნევს.
2. ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1974, გვ. 22, 25, 51.
3. იხ. მისი თხზულების ავტორისეული, არაბული ვერსია - იბნ ალ-'იბრი, *თარიხ მუხთასარ ად-დ'უვალ,* ბაირუთ, თ.გ. გვ. 256-257 (ჯ. გიუნაშვილი. ტერმინ „ნარიყალას" მნიშვნელობისათვის. — *ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული,* 1976, გვ. 317, სქოლიო 23). აბუ ლ-ფარაჯის თხზულების ერცელი, სირი-

ული ვერსიის ინგლისურ თარგმანში, ორი დავითის მეტსახელებია შესაბამისად, the great და the less, ან the little (The Chronography of Gregory Abu' l Faraj commonly known as Bar Hebraeus, translated from the SYRIAC by Ernest A.Wallis Budge vol. 1. London, 1932, გვ. 403, 411; V. Saint-Martin, *Memoires historiques et geographiques*. t.II, Paris. 1819, გვ. 292). „დავით მცირეს", რომელიც სირიულად ჟღერს როგორც Dawid Zoghoura, ავტორი შეცდომით შიდა იბერიის მეფედ მიიჩნევს (The Chronography, გვ. 403). აღსანიშნავია, რომ რუსუდანის მემკვიდრეს - დავითს, რომელსაც ქართველები, იოანე ბაგრატიონის თანახმად, პაპის სახელს, სოსლან დავითს უწოდებდნენ (იოანე ბაგრატიონი. *ისტორია ქართლისა*. - ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H:2134, ფ. 663, rv. 666 r.), შერქმეული ჰქონდა აგრეთვე სახელი Sain, რაც ნიშნავს კეთილს (Histoire des mongols depuis Tchinguiz-khan jusgu'a Timour Beg on Tamerlan par M., Le Baron C. D'Ohsson, t. III. La Haye et Amsterdam, 1834, გვ. 43, 91, 293).

4. Рашид ад-дин, *Сборник летописей*, т. II, пер. с персидского Ю.П. Верховского, примеч., Ю.П. Верховского, М.-Л. 1960, გვ. 118-120.
5. კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიიდან" მოტანილი ექსცერპტების ქართული თარგმანი სომხურიდან შესრულებულია ნ. შოშიაშვილის მიერ (გრიგოლ აკანელი, *მოსართა ტომის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 119-120; იხ. აგრეთვე Киракос Гандзакеци. *История Армении*, пер. с древнеармянского Л.А. Ханларян, М., 1976, გვ. 180-81, 196.)
6. სტეფანოს ორბელიანის ცნობის ქართული თარგმანი სომხურიდან შესრულებულია ნ. შოშიაშვილის მიერ (გრიგოლ აკანელი. გვ.120); იხ. აგრეთვე სტეფანოს ორბელიანის „ცხორებაჲ ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შე-

სავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978. გვ. 96-97.

7. მხითარ აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, გვ. 32.
8. გრიგოლ აკანელი, გვ. 26-27. ქართულ ტექსტშია „ეარამ დასვი მეფედ". ტექსტი ჩასწორებულია შემდეგი გამოცემით: B. Bedrosian, Armenian Historical sources of the 5-15th centuries. Grigor Aknertsi's History of the .Nations of Archers. - http:/bedrosian.com/hsrces. html (Chapter 8).
9. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, №32, 34, 37, 39, 41, 42.
10. ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 108.
11. Д.К. Капанадзе. *Грузинская нумизматика*, М., 1955, გვ. 75-79; მისივე, *Монеты Грузии*, Тб., 1970. И.Л. Джалаганиа, *Из истории монетного дела в Грузии*, XIII в. Тб., 1958, გვ. 25, 35;
12. ჟამთააღმწერელი, გვ. 107.
13. იქვე, გვ. 27-28.
14. იქვე, გვ. 27-28.
15. იქვე, გვ. 108.
16. იქვე, გვ. 79, ი. ჯავახიშვილი აკეთებს შენიშვნას: სეფისპირი - პირ[მშო]ი? - ქართველი ერის ისტორია, 1966, გვ. 116.
17. იქვე, გვ. 225, II თავის მე-18 შენიშვნა; ამავე ტერმინზე ყურადღება გაამახვილა მ. კიკნაძემ (О связи терминологических разысканий с интерпретацией источников. – *Источниковедческие разыскания*, 1985, Тб., 1988, გვ. 118-120; მისივე, Терминологические разыскания и проблема интерпретации письменных источников (по восточной терминологической лексике грузинских письменных памятников XII-XVIII вв. Автореферат

диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тб.,1993, გვ. 15-16.))

18. რ. კიკნაძე, *ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარაყანდედთანი“*; П.К. Кикнадзе, *Очерки по источниковедению истории Грузии, Парсадана Горгиджанидзе и «Картлис цховреба»* Тб. 1980.

19. ფ. გორგიჯანიძე, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H - 2140, ფ. 60 r.

20. ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 207. როგორც ახლად მოსულს განმარტავს „ნარინს“ ი. კლაპროტიც (V. Saint-Martin, გვ. 292).

21. იოანე ბაგრატიონი, *ისტორია ქართლისა* (ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H:2134, ფ. 663, rv. 666 r.

22. Histoire de la Géorgie. Depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle.Traduite du Géorgien par M. Brosset 1-re partie, II livraison, St.-Pét., 1850. გვ. 540, სქ. 4.

23. ჯ. გიუნაშვილი, დ ასახ. ნაშრ., გვ. 313-318.

24. ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია. - თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. III, თბ., 1982, გვ. 51. ამავე ნაშრომის 1966 წ. გამოცემაში აღნიშნული ნაწყვეტი არ არის შეტანილი. მაგრამ „ნარინი“ და „ულუ“ აქაც გაგებულია როგორც „უმცროსი“ და „უფროსი“ (გვ.116-117; 340).

25. ჟამთააღმწერელი, გვ., 109.

26. თ. აბრამიშვილი, *XIII-XIV სს. დასავლურ ქართული ფულები*, 1959, გვ. 98. არის ზოგიერთი გამონაკლისი, მაგალითად Е.А. Пахомов, *Монеты Грузии*, Тб. 1970, სადაც რუსუდანის ძე დავითი იხსენიება როგორც ნარინი, ხოლო მეორე დავითი - როგორც ლაშას ძე.

27. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე*, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1943, გვ. 208.
28. კ. გრიგოლია, *ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება*, თბ., 1954, გვ. 129.
29. H:988,ფ. 390; ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 220; ჟამთააღმწერელი, გვ. 102.
30. Древнетюркский словарь, М.,1974; Э.В.Севортян. *Этимологический словарь тюркских языков*. გვ. 593.
31. Histoire de la Géorgie, გვ. 38, შენიშვნა 4.
32. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოგრაფიულად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანის მიერ, წიგნი მეორე, ტფ. 1897, გვ. 125, 163, 184-195; იხ. აგრეთვე, სარჩევი XXXVI; იხ, აგრეთვე, ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, წიგნი მეორე, ტ. პირველი, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძის, ტფ., 1897, გვ. 552.
33. ჯ. გიუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 317, სქ. 23.

ПАРАЛЛЕЛЬ ЛЕГЕНДЫ О ТИМУРЕ В СОЧИНЕНИИ ИОАННА БАГРАТИОНИ

Великие завоевания влекли за собой большие перемены в социально-политической и культурной жизни завоевателей и порабощенных ими народов. Неся, с одной стороны, огромные разрушения и ограбление покоренных, с другой, эти завоевания, безусловно, способствовали процессу культурного взаимопроникновения народов. Из завоеванных земель, помимо богатств, победители вывозили в свои страны ремесленников, строителей, художников, ученых. Ратная тема служила одним из основных источников, питавших народные сказания, в которых воспевались самоотверженная борьба за родину, находчивость и мужество героев. Надолго удерживаются в народной памяти и заимствованные мотивы, видоизмененные соответственно национальным особенностям. Нередки случаи, когда в фольклоре того или иного народа можно встретить сказания, в силу определенных исторических условий не сохранившиеся в местах их происхождения. Вместе с письменными источниками фольклор как одна из непосредственных форм отражения действительности помогает осветить многие страницы прошлого, проследить на разных этапах характер внешних взаимоотношений.

Пережив во второй половине XIV в. нашествия грозного Тимура, Иран, Индия, Закавказье, южные степи России, Малая Азия и Сирия долго не могли оправиться от постигшего их бедствия. Обилие письменных источников относительно этого периода необычайно. Личность Тимура давала обильную пищу также и народной фантазии, наделявшей его то чертами героя-победителя, а, нередко, поработителя - тирана и насильника. Грандиозной фигуре среднеазиатского завоевателя отводится важное место в фольклоре многих народов.

Распавшееся в XV в. на отдельные феодальные объединения, государство последних Тимуридов в начале XVI в. окончательно

прекратило существование под ударами кочевников-узбеков. С завоеванием Мавераннахра и Хорасана Мухаммадом Шайбани потомки Тимура подверглись истреблению и изгнанию. Для поддержания славы грозного владыки в самой Средней Азии сложились не очень благоприятные условия. Неудивительно поэтому, что многие предания о Тимуре дошли до нас от других народов. «Сюжет порой может быть занесен извне, но он принимается только в том случае, когда соответствует духу и обычаям тех, кто его усыновляет»[1]. В основе легенды о Тимуре, записанной акад. В. А. Гордлевским в Сивасе, в 1913 г., лежит довольно распространенный в мировом фольклоре сюжет[2]. Традиционные компоненты этого сюжета: вещий сон, животное, птица или насекомое, приводящее к скрытому сокровищу, клад; ставший причиной возвеличения героя.

«Как Тимур-ленг разбогател

Тимур-ленг служил сначала у кузнеца. Однажды кузнец заснул. Вдруг из носа его вылетела муха и села на стену. Тимур-ленг приметил место и ушел, Тимур-ленг разрыл стену и извлек оттуда несметные сокровища. Так он разбогател и постепенно приобрел власть над 952 миллионами жителей в Средней Азии. Оттуда он двинулся в Малую Азию»[3].

Любопытно отметить, что с небольшими расхождениями легенда повторяется в «Истории Грузии» автора первой половины XIX в. Иоанна Багратиони, сына последнего царя Грузии Георгия XII[4]:

«Раз послал мирахор Тимур-ленга к кузнецу, опытному мастеру, который готовил всегда конскую сбрую для государя, и приказал сделать несколько стремян и узд. Пришел к нему Тимур-ленг и заказал снаряжение. Кузнец тот был слишком старым, велел кузнец прийти ему на следующей неделе. В назначенный день Тимур отправился вновь к кузнецу и увидел его спящим на стуле. Тимур не стал его будить и сказал себе: «Стар он, подожду я немного». Сел там Тимур и увидел в это время, как вылез из земли червь в той кузнице,

пополз, приблизился к ноге кузнеца, принюхался, /потом/ поднялся к носу и залез к нему в нос. Спустя некоторое время вылез червь из носа человека и спустился, так же, как прежде, поднялся и пополз и влез в то отверстие. Сказал Тимур: «Что это было?» - и решил купить кузницу. Проснулся тот человек и принес ему снаряжение. Тогда спросил его Тимур, не продаст ли тот кузницу. Он же ответил, что с радостью, если найдется покупатель... Тогда Тимур купил ее и запер дверь той кузницы. И случилось так: однажды ночью в полночь пошел Тимур и открыл ту кузницу, зажег свечу и разрыл землю, откуда вылез червяк, и, обнаружив отверстие, прикрытое железом, открыл и спустился по лестнице. И был дом внизу подобен подвалу и увидел у стены рядом стоящие семь медных кувшинов. Открыл и увидел, что они были наполнены золотом и серебром...»[5].

«История Грузии» Иоанна Багратиони, охватывающая события до 1518г., представляет собой компиляцию. Круг источников, используемых автором, довольно широк и включает грузинские, европейские и восточные сочинения[6]. В связи со сведениями о Тимуре из восточных источников в труде упомянуты следующие: «Джагатайская история», «История Туркестана», «История тюрков», «История монголов», сочинения «персидских писателей», «туркестанских историков», «армянских историков». К сожалению, не всегда возможна их идентификация.

Излагая легенду о Тимуре, Иоанн ссылается на «Историю монголов», т.е. вполне определенный письменный источник, вероятно, не дошедший до наших дней. Во всяком случае, имеющиеся в нашем распоряжении сочинения такого предания не содержат. Известно, что наряду с письменными источниками Иоанн Багратиони часто привлекает устный материал. По его словам, легенду эту подтверждают также черкесы и калмыки. Факт, что грузинский автор обратил внимание и включил в свое сочинение фольклорный материал, не случаен. Кроме того, что грузинской средневековой историографии не чужды всевозможные притчи, пословицы, фрагменты эпических песен[7], основные мотивы самой

легенды находят частые аналогии в фольклоре[8].

Интерес к личности Тимура обусловлен его ролью в истории многих народов и вполне понятен. Но вряд ли где-нибудь вне Средней Азии могла сложиться легенда, относящаяся к столь раннему периоду его жизни. Распространяясь, вероятно, вместе с завоеваниями Тимура, предание, встретив в новых местах благоприятную почву, осталось бытовать. Согласно показаниям «Истории Грузии» Иоанна Багратиони, оно охватило довольно большой ареал, включая и христианские страны.

Примечания

1. П. Лафарг, *Очерки по истории культуры*. М.-Л., 1926, с. 53.
2. S. Thompson, *Motif-Index of Folk-Literature*. Bloomington. Indiana. vol. 1. 1955-1956. p. 455. 456. 386; vol. 2. p. 172. 332. 372; vol. 5. p. 113; В. М. Жирмунский, *Тюркский героический эпос*, Л. 1974, с. 134 (арабская версия сказки «Алпамыш»).
3. В. А. Гордлевский . *Избранные сочинения*, т.I. М., 1960, с. 367.
4. «История Грузии» является заключительной исторической частью обширного энциклопедического труда «Калмасоба». Подробнее о сочинении см.: В. Д. Дондуа, Историко-литературное наследие грузинской колонии в Петербурге. «Калмасоба», называемая грузинской энциклопедией. - *Исторические разыскания*, 1. Тб., 1967, с. 192-223. Существует сокращенный русский перевод энциклопедии: Царевич Иоанн, *Калмасоба, или хождение по сбору*. Пер. с груз., введ. и коммент. В. Д. Дондуа. Тб., 1945; Р. К. Кикнадзе, Некоторые сведения грузинских источников о Тимуре. – *Грузинское источниковедение*, III, Тб., 1971, с. 196-206.
5. Историческая часть «Калмасоба» не издана. Нами использована рукопись Института рукописей им. К.Кекелидзе АН Грузинской ССР (Н 2134), л. 713.

6. Об источниках сочинения см.: К. Кекелидзе, Новые литературные источники для истории Лаша Гиорги. - *Этюды из истории древнегрузинской литературы*. Тб., 1956. с. 283-299 (на груз. яз.); К. Табатадзе, *Борьба грузинского народа против иноземных завоевателей на рубеже XIV-XV веков*. Тб., 1974, с. 22 (на груз. яз.).
7. Е. Б. Вирсаладзе, *Грузинские народные предания и легенды*. М., 1973, с. 28.
8. В частности, данная легенда о Тимуре некоторым образом перекликается с преданием о первом царе Картли - Фарнавазе в сочинении Леонти Мровели «История царей Грузии»: «Увидел Фарнаваз сон: был он в доме безлюдном и хотел выйти вон, но не смог выйти. Тогда вошел луч солнца через окно и обнял стан его, и потянул и вывел его через окно... И вышел в тот день Фарнаваз и охотился в одиночестве и поднял он оленя в поле Дигомском и гнался за ним Фарнаваз. Пустил стрелу и попал в оленя. Пробежал недолго олень и упал у подножья скалы... А у подножья скалы была пещера, и камнями заделан был вход в нее... И вошел он в ту пещеру и увидел там сокровища несметные: золото и серебро и утварь золотую и серебряную несметную... » (Леонти Мровели. История царей Грузии. - сб. *«Картлис цховреба»*. Перевод отрывка приведен в кн. Е. Б. Вирсаладзе. *Грузинские народные предания и легенды*, с. 155-156).

ვახუშტი ბაგრატიონის ერთი ცნობის კომენტარი

თემურ-ლენგის თავდასხმების შედეგად ერთხანს შეფერხებული ოსმალეთის ტერიტორიული ექსპანსია მე-15 ს-ის I ნახევარშივე განახლდა. მურად II-ის (1421-1451) პოლიტიკა ამ თვალსაზრისით დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა. მისი არცთუ ხანმოკლე გამგებლობის მანძილზე მურად II-მ დაიმორჩილა ზოგიერთი ბეილიქი მცირე აზიაში, დაიპყრო ერთ დროს ბიზანტიის მნიშვნელოვანი ქალაქი და პორტი ეგეოსის ზღვაზე - თესალონიკი (სალონიკი), ჩაატარა კონსტანტინოპოლის აღების უშედეგო ცდა 1422 წელს, ჰქონდა ბრძოლები უნგრელებთან და ქრისტიანების კოალიციურ ჯართან, რომელიც ორ მნიშვნელოვან ბრძოლაში დაამარცხა – 1444 და 1448 წელს, მანამდე მათთან წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ. მურად II-ს უკავშირდება დეეშირმეს ინსტიტუტის შემოღება, რომელიც ითვალისწინებდა 3, 5 ან 7 წელიწადში ერთხელ ქრისტიანების ხარჯზე იანიჩართა კორპუსის იძულებით შევსებას. მურად II-ის წლებში სახელმწიფო მოღონიერდა ეკონომიკურადაც; განვითარდა ვაჭრობა და დაწინაურდა ბურსის და ედირნეს (ადრიანოპოლი) მსგავსი ქალაქები. 1432 წელს მოგზაური ბერტრანდონ დე ლა ბროკიერი აღნიშნავდა, რომ ოსმალების ყოველწლიური შემოსავალი გაიზარდა 2.500.000 დუკატამდე და თუ მურად II თავის ყველა შესაძლებლობას გამოიყენებდა, ევროპაში შეჭრასაც ადვილად მოახერხებდა (ჰ. ინალჯიკი, 22). დაახლოებით ასეთი იყო კონსტანტინოპოლის დამპყრობელის, ოსმალეთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სულთნის, მეჰმედ II-ის მამა და მისი მმართველობის წლები. სწორედ მის დროს შეიქმნა ის პირობები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღება 1453 წელს.

მურად II-სთან დაკავშირებით ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „შემდგომად წელსა ქ̃სა ჩ̃უნა,

ქართულსა რ~ლთ, გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი საესენი სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა, და აღაოჭრნეს და მოსწყჳდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღუს პირნი, უკუნ – იქცნენ და წარვიდნენ. ამისი მცნობელი მეფე გიორგი წარვიდა მოსწრაფედ, არამედ ვერა რაჲსაღა ეწია. გარნა მკჳდრნიეე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს“ (ვახუშტი, 284). იგივე ცნობა შესულია აეტორის ქრონოლოგიურ ცხრილშიც (ვახუშტი, 896). „1451 რ~ლთ - მურადბეგის ორმოცდაათმ~ნ კატარღებმ~ნ აფხაზეთი, ცხომი და ზღვისპირნი მოაოჭრნეს...“ აღსანიშნავია, რომ ვახუშტის თხზულებაში სწორედ ეს პერიოდი, ანუ ის, რაც უსწრებდა მურად II-ის გამეფებას და ის, რაც მოსდევდა ოსმალთა სახელმწიფოზე თემურ-ლენგის თავდასხმებს, დეტალების ცოდნით არის გადმოცემული. ვახუშტის ცნობით, „აღიღო სულტანმა მაჰმად კოსტანტინეპოლი ქ~სა ჩ~უნგ, ქართულსა რ~მა, რამეთუ მოკუდა კალეპინ ქ~სა ჩ~უიგ და დაჯდა ძე მისი მუსა. მოკლა მუსა ძმამან თჳისმან მაჰმად ქ~სა ჩ~უიგ და დაჯდა თჳთ მაჰმად, მოკუდა მაჰმად – ქ~სა ჩ~უკბ და დაჯდა ძე მისი მურად, რომლისა კატარღებმან მოსტყუევნნეს ზღუს პირნი. მოკუდა მურად ქ~სა ჩ~უნა და დაჯდა შემდგომად მისა ძე მისი მაჰმად. ამან მაჰმად მეორესა წელსა მეფობისა თჳსისასა წარიღო სამეფო ქალაქი“ (ვახუშტი, 285).

სამეცნიერო ლიტერატურაში ოსმალების მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დარბევის ვახუშტისეული თარიღი - 1451 წელი – ეჭვქვეშ არის დაყენებული, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვა არგუმენტი მოაქვს.

ერთ-ერთი, ვინც შეეხო ამ საკითხს, თურქი მეცნიერი მეჰმედ ფაჰრეთინ კირზიოღლუა, რომელმაც ვახუშტის მითითებული ცნობა სხვა თავდასხმაზე გენუელების მიერ შემონახულ გადმოცემას მიამსგავსა, რასაც ადგილი ჰქონდა 1454 წელს. თურქი მეცნიერის დაკვირვებით, ქართული ქრონიკები

დათარიღებაში ჩვეულებრივ 1-2, ან 4 წლიან უზუსტობას უშვებენ, როდესაც ამა თუ იმ ფაქტს ან უფრო ადრე ან უფრო გვიან ათავსებენ (მ.ფ. კირზიოღლუ, გვ. 1). მ. კირზიოღლუს ეჭვს ისიც უძლიერებს, რომ მურად II 1451 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა, ანუ იმ დროს, როდესაც საზღვაო ლაშქრობის მოწყობა ნაკლებ მოსალოდნელი იყო (მ. ფ. კირზიოღლუ, 4) მ. ფ. კირზიოღლუ სხვა მხრივაც შეეცადა იმის დასაბუთებას, რომ ვახუშტის მიერ მითითებული 1451 წელი არ არის აღნიშნული ფაქტის ზუსტი თარიღი იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოზე თავდამსხმელად ვიგულისხმებთ არა მურად II-ს, არამედ მეჰმედ II-ს, ვინაიდან თავისი მეფობის დასაწყისში ოსმალეთის ეს სულთანი სულ სხვა პრობლემებით იყო დაკავებული. 1451 წლის 10 სექტემბერს ჩანდარლი ჰალილ ფაშამ ვენეციელებთან ძველი მეგობრობის ზავი განაახლა; იმავე წლის 20 ოქტომბერს ოსმალებმა 3-წლიანი ზავი დადეს უნგრელებთანაც, უკვე ზაფხულიდან კი დაიწყეს რუმელი-ჰისარის მშენებლობა. კირზიოღლუს ვარაუდით, მხოლოდ 1451 წლის ზაფხულში შეიძლებოდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამგზავრება, თუმცა ეს მას საეჭვოდ ეჩვენება (მ. ფ. კირზიოღლუ, გვ. 5). მკვლევარი აელებს აქ პარალელს ქართული ქრონიკების მიერ უზუნ ჰასანის 1458 წლის ლაშქრობის ნაცვლად 1456 წლის და კონსტანტინოპოლის დაპყრობის 1453 წლის ნაცვლად 1475 წლის მითითებასთან (მ.ფ. კირზიოღლუ, 5. იხ. სქოლიო 13). ამგვარად, მ. კირზიოღლუს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა სანდოდ არ მიაჩნია. მიუხედავად ამისა, თურქი მეცნიერი, სხვა წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, 1454 წლის თავდასხმას საქართველოს სანაპიროზე ოსმალების პირველ გამოჩენად არ თვლის (მ. კირზიოღლუ, 1-7).

ვახუშტის ცნობის შესახებ ასეთივე დასკვნამდე მივიდა მ. სვანიძე, რომელმაც ამასთანავე მიიჩნია, რომ „კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე (1453) ოსმალთა თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ნაკლებად მოსალოდნელია,

რადგანაც ამ დროს ოსმალეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში მეტად შეზღუდული იყო და ოსმალეთს არ გააჩნდა სათანადო ფლოტი ასეთი დიდი მასშტაბის საზღვაო ოპერაციის ჩასატარებლად“ (მ. სვანიძე, გვ. 112).

ვახუშტის ზემოაღნიშნულ ცნობაში ეჭვი შეიტანა თ. ბერაძემაც, რომელმაც გაიზიარა მ. კირზიოღლუს და მ. სვანიძის მოსაზრება 1451 წლისა და 1454 წლის ცნობათა იგივეობაზე (თ. ბერაძე, 56).

ვახუშტის 1451 წლის ცნობას 1454 წელს აკუთვნებს მ. მახარაძეც (საკანდიდატო დისერტაცია).

დავუბრუნდეთ ვახუშტის ცნობას.

როგორც ვნახეთ, ქართველი ისტორიკოსი ზუსტად მიუთითებს ოსმალეთის სულთნისა და საქართველოს მეფის სახელებს – მურად მეჰმედის ძე და გიორგი, ე.ი. გიორგი VIII, რომელიც, მიღებული დათარიღებით, 1446 წელს ავიდა ტახტზე. მურად II, როგორც აღვნიშნეთ, 1451 წლის თებერვალში გარდაიცვალა. ამდენად, თუკი ოსმალების თავდასხმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მართლაც მურად II-ისა და გიორგი VIII-ის დროს მოხდა, ეს უნდა ყოფილიყო 1446-1450 წლებში. რაც შეეხება 1451 წელს, ამ შემთხვევაში მ. კირზიოღლუს ეჭვი გასაზიარებელია, ვინაიდან იანვარსა და თებერვლის დასაწყისში საზღვაო ლაშქრობა მართლაც ნაკლებად მოსალოდნელია.

რამდენად საფარაუდოა ოსმალების მსგავსი საზღვაო კამპანია 1446-1450 წლებში?

1416 წლის 29 მაისს ვენეციის ფლოტმა გაანადგურა ოსმალური საზღვაო ძალა გალიპოლიში. 1423 წელს ბიზანტიელებმა ჩამოიშორეს სალონიკი და გადასცეს ვენეციას. იმის შიშით, რომ ისინი ასევე ჯაიმეტებდნენ კონსტანტინოპოლს, ოსმალებმა დადეს შეთანხმება ბიზანტიელებთან. ამავე დროს, მურად II-მ ზავი დადო ანატოლიელ გამგებლებთანაც და შეკრიბა ყველა თავისი ძალა, რათა თავს დასხმოდა ვენეციელებს სალონიკში. ვენეციასთან ომი გაგრძელდა. სალონი-

კის აღებამდე, 1430 წლამდე, სწორედ ეს ომი ვენეციასთან გახდა ოსმალეთის ფლოტის გაძლიერების მიზეზი. 1442 წლისათვის ოსმალებს ჰქონდათ 60 გემი გალიპოლიში და მდინარის ფლოტი - 80-დან 100-მდე მსუბუქი გემი - დუნაიზე. ოსმალური საზღვაო ძალების გაზრდამ აიძულა ვენეციელები გაეძლიერებინათ საკუთარი ფლოტი (ჰ. ინალჯიკი, გვ. 21). როგორც ვხედავთ, ოსმალების განკარგულებაში საკმაოდ ძლიერი ფლოტი იყო, რომელსაც, რა თქმა უნდა, შესწევდა ძალა საზღვაო ლაშქრობების მოსაწყობად.

XV ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის დუკას ცნობით „კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მეჰმედ II ადრიანოპოლში ჩავიდა, სადაც მასთან ყველა ქვეყნის მეთაური და ქრისტიანთა ბელადი - ახლო და შორეული - გამოცხადდა, ესალმებოდნენ, უხალისოდ და სურვილის გარეშე ქედს უხრიდნენ, საჩუქრებს მიართმევდნენ, რადგან ეშინოდათ, იგივე თვითონაც არ შემთხვეოდათ. ტირანი კი იჯდა ამაყად, ქედმაღლურად და ტრაბახობდა ქალაქის აღებით, ხოლო ქრისტიანთა ბელადები იდგნენ, თრთოდნენ და იცდიდნენ, რას ეტყოდა ის მათ მომავლის შესახებ. და აი, უპასუხა მან პირველ რიგში სერბიის ელჩს და უბრძანა, რომ მას ყოველწლიურად თურქეთის სახელმწიფოსათვის 12000 ნოემი გადაეხადა, შემდეგ, რომ პელოპონესის დესპოტებს ყოველწლიურად 10000 გადაეხადათ საჩუქრებით, რომ ხიოსს ყოველწლიურად გადაეხადა 6000 ნოემი, მითილენს - 3000; ტრაპეზუნტს და პონტოს ზღვისპირეთის ყველა მაცხოვრებელს ებრძანა, რომ ყოველწლიურად მისულიყვნენ, ქედი მოეხარათ მისთვის, მოეტანათ საჩუქრები და გადაეხადათ ხარკი“ (დუკა..., გვ. 408).

აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით, მ. სვანიძე, ერთი მხრივ, მიიჩნევს, რომ „წყაროში არაა ნახსენები საქართველო და აგრეთვე მოლდავეთი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შავიზღვისპირეთის ქვეყნებს შორის საქართველო და მოლდავეთიც არის ნაგულისხმევი“, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მკვლევარი შენიშნავს, რომ: „ადრიანოპოლში სულთანთან არ

გამოცხადებულან ტრაპიზონის იმპერატორი და საქართველოს მეფის ელჩები“ (მ. სვანიძე, გვ. 108).

მ. კირზიოღლუ დუკას აღნიშნულ ცნობას უფრო აზუსტებს. მან პონტოს ზღვისპირელებში გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის მცხოვრებლები იგულისხმა, თუმცა მისი წყარო ამ შემთხვევაში უცნობია, ვინაიდან მკვლევარი მხოლოდ დუკას უთითებს (მ. კირზიოღლუ, გვ. 1-7).

ინგლისელი ავტორი ს. რანსიმენი კონსტანტინოპოლის დაპყრობისადმი მიძღვნილ ნაშრომში (გამოიცა 1964 წელს) ოდნავ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის: „1453 ზაფხულში სულთნის კარი ადრიანოპოლში გაიცსო მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოების ელჩებით. აგვისტოს დასაწყისში ჩამოვიდა სერბიის დესპოტი გეორგ ბრანკოვიჩი, მას მოჰყვნენ - მორეის დესპოტები დიმიტრი და თომა, ტრაპიზონის იმპერატორის იოანე კომნენისა, სამეგრელოს, იმერეთის, დადიანის მთავრები... სულთანი მათ საკმაო კეთილგანწყობით შეხვდა. ის შემოიფარგლა იმით, რომ თითოეული მთავრისაგან მოითხოვა მისი სიუზერენიტეტის ცნობა და ხარკი გაუზარდა. სერბეთის დესპოტს ახლა მისთვის ყოველწლიურად 12000 დუკატი უნდა გადაეხადა, მორეის დესპოტებს - 10000, მაგონის - 6000, ლესბოსის გამგებელს - 3000, ტრაპიზონის იმპერატორს - მხოლოდ 2000. ელჩებს უნდა მოეტანათ ეს ხარკი სულთნისათვის წელიწადში ერთხელ. მხოლოდ რაინდმა იოანიტებმა თქვეს უარი ვასალურ დამოკიდებულებაზე სულთნისაგან და ხარკის გადახდაზე. მათ განაცხადეს, რომ არაფრით არ შეუძლიათ ამის გაკეთება თავისი ბატონის ნებართვის გარეშე. მეჰმედი მაშინ თავს არ გრძნობდა მზად როდოსის დასამორჩილებლად და რაინდების ელჩები მშვიდობიანად გაუშვა“ (ს. რანსიმენი, გვ. 150). მართალია, როგორც თ. ბერაძე შენიშნავს, ორივე მკვლევარი, ე.ი. მ. კირზიოღლუ და ს. რანსიმენი, დუკას ნაშრომის ერთსა და იმავე ნაწყვეტს ეჯრდნობოდა (თ. ბერაძე, გვ. 56), ს. რანსიმენი ამ შემთხვევაში, დუკას გარდა, კიდევ ორ ნაშრომს იმოწმებს: ერთ-ერთია

Kritovoulos. History of Mehmed the Conqueror, (Princeton, 1954), ხოლო მეორე - F. Babinger, Mehmed der Eroberer und seine Zeit (München 1953). აღსანიშნავია, რომ ფ. ბაბინგერმა 1955 წელს გამოსცა მეჰმედ II-ის დროინდელი წყარო `Kivami Fatihname'i Sultan Mehmed", რომელიც კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის. მითითებული წყაროს თანახმად, 1451 წელს მეჰმედ II-ის სულთნობის დასაწყისში, „ადრე ოსმალეთის ფარგლებში მოქცეული" „ეფლაკი, აფხაზეთი, და ყიეჩაყთა ველი ახალი ოსმალო ფადიშაჰის ტახტზე ასვლის გამო განგაშმა მოიცვა" (კიევამი, 24; დამოწმებულია მ. კირზიოღლუს მიხედვით, გვ. 1). როგორც ვხედავთ, მოტანილი ცნობის მიხედვით, 1454 წლის 18 თებერვლისათვის, როდესაც მეჰმედ II ტახტზე ავიდა, აფხაზეთი ოსმალეთს თითქოს უკვე დაპყრობილი ჰქონდა, რაც ალბათ ერთგვარ გაზვიადებად უნდა ჩაითვალოს, თუნდაც იმის გამო, რომ 1454 წელს ოსმალები კვლავ ესხმიან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს. მიუხედავად ერთგვარი გაზვიადებისა, ეს ცნობა იმაზე მიუთითებს, რომ ოსმალებს აფხაზეთი 1451 წლამდე, თუ დაპყრობილი არა, უკვე დარბეული აქვთ.

იმას, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს ოსმალები კონსტანტინოპოლის დაპყრობამდეც სწვევიან, სხვა წყაროებიც ადასტურებს.

ყირიმისათვის XV ს-ის მანძილზე მიმდინარე ბრძოლაში, როგორც ირკვევა, ვენეციელების, გენუელების და ხანების გარდა უკვე თურქებიც მონაწილეობდნენ. „1418 წელს... ტანის კედლებთან მივიდა ხანი ლიხებარდო (სავარაუდოდ ქერიმბერდი) 100000 კაციანი ჯარის სათავეში... მოკლულთა რიცხვი ვენეციელი ვაჭრების დარბევისას არანაკლებ 640 ადამიანია". აქვე სანუტო იხსენიებს თურქების თავდასხმასაც (ჰეიდი, გვ. 152).

ლაონიკ ხალკოკონდილი გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დაესხნენ ჩრდილო შავიზღვისპირეთს, კერ-

ძოდ გოთიას, თურქები 1446 წელს (ჰეიდი, გე. 158), ანუ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე.

და ბოლოს გადმოცემა, რომელთანაც აიგივებენ ვახუშტის განხილულ ცნობას, - „1454 წელს ზაფხულზე თურქების ფლოტი 56 გემით შეიდა შავ ზღვაში, დაესხა ჯერ მონკასტროს (აკერმანი), რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია, შეტევით აიღო სევასტოპოლი (სუხუმ-კალე) კავკასიის სანაპიროზე და საბოლოოდ ჩაუშვა ღუზა კაფასთან 11 ივლისს“ (ჰეიდი, გე. 157) – მიუთითებს, რომ ოსმალების წინა თავდასხმას საქართველოს სანაპიროზე ტერიტორიის დაპყრობა არ მოჰყოლია, ისევე, როგორც არ მოხდა ეს არც ამ უკანასკნელი კამპანიის შედეგად. ჰეიდის აზრით, „თურქებისათვის ეს ექსპედიცია სანაპიროების დათვალიერებას წარმოადგენდა. ნახევარკუნძულის (იგულისხმება ყირიმი - გ.ა.) საბოლოოდ დატოვებამდე მათ განიარაღებული მოსახლეობისაგან კონტრიბუცია მოითხოვეს“ (იქვე).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას შემდეგი ვარაუდები:

- ვახუშტის განხილული ცნობა ძირითადად სწორია. აქ ეჭვს იწვევს მხოლოდ თარიღი. შესაძლოა, ვახუშტის მიერ მოხსენიებული კამპანია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ყოფილიყო იმავე 1446 წელს ყირიმზე თავდასხმის დროს, რის შესახებაც ცნობას ლაონიკ ხალკოკონდილი გვაწვდის.
- ის, რომ 1454 წლის ცნობაში ოსმალების 56 გემი, ხოლო ვახუშტისთან 50 გემი იხსენიება, ჯერ კიდევ არ მიუთითებს ფაქტების იგივეობაზე, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, 1442. წლისათვის მურად II-ის განკარგულებაში 60 დიდი საზღვაო გემი იყო. ამდენად, ორივე წყაროში მითითებული რიცხვი იმ წლებისათვის საესებით რეალურია;

- ვახუშტის 1451 წლის ცნობის გაიგივებას გენუელების 1454 წლის ცნობასთან, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველი არ გააჩნია.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. თ. ბერაძე - Т.Н. Берадзе, *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии*, Тб., 1989.
2. დუკა - Византийские историки Дука и Франдзи о падении Константинополя. Перевод и предисловие А.С. Степанова. – *Византийский временник*, 7, М., 1953.
3. ვახუშტი - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
4. ჰ. ინალჯიკი - H.Inaljik, *The Ottoman Empire. The Classical Age (1300-1600.)* First published in Great Britain in 1973.
5. მ.ფ. კირზიოღლუ - M.F. Kırzıoğlu. Osmanlılar' in Kavkas - Elleri' ni Fethi (1451-1590). - *Türk Tarih Kurumu Basimevi*, Ankara, 1998.
6. მ. მახარაძე - მ. მახარაძე, *ოსმალეთის პირველი თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე - XV საუკუნის ანტიოსმალური კოალიციები* (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2003.
7. ს. რანსიმენი - С.Рансимен, *Падение Константинополя в 1453*, М., 1983.
8. მ. სვანიძე - სვანიძე მ., ოსმალთა პირველი თავდასხმა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე. – სვანიძე მ., *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. XIV-XVIII სს.*, თბ., 1990.
9. ჰეიდი - Извлечения из сочинения Вильгельма Гейда. История торговли Востока в средние века. Перевод Л.П. Колли. – *Известия, 52*. Симферополь, 1915.

ვახუშტი ბაგრატიონი თავისი ნაშრომის ერთ-ერთ თავში „ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ შემდეგ ცნობას გვაძლევს: „მოიკსენა ალექსანდრე მეფემან შური პირველი. შემოიკრიბნა სპანი, გარდაუვლა ქართლს და აღიღო გორი, ქ`სა ჩ`ფთ, ქართ. რ`ჳზ (1509) და იწყო პყრობად ქართლისა. მაშინ ამავე ქორონიკონს მოუკდენ ჩიხნი იმერეთს და მოარბიეს სრულიად. ესე ესმა ალექსანდრეს ქართლს მყოფს, უკუმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოწყუედად მათდა. არამედ მათ არღარა ესწრა და განემზადებოდა შურისგებად და ბრძოლად ჩიხთა ზედა“ (4.809). იგივე ცნობა არის თავში „ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“: „ხოლო წელსა ქ`სა ჩ`ფთ, ქარ. რ`ჳზ გარდმოვიდა სპითა ალექსანდრე მეფე იმერთა, მოადგა გორს... ალექსანდრემ აღიღო გორი და დაიპყრა თუთ და მოართუეს მორბევა იმერეთისა ჩიხთაგან. უკუნიქცა და წარვიდა იმერეთს“ (4, 392).

ცნობაში მოხსენიებული „ჩიხთა“ შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მ.ბროსემ ეს სიტყვა განმარტა როგორც „ჩერქეზები, რომელთა სახელი, ჩვეულებრივ, იწერება ჯიქი“ (1.18).

თ.ჟორდანიას აზრით, „ჩიხნი უნდა იყვნენ თათარნი (თურქნი) და არა ჯიქნი, როგორც ჰგონებდა ბროსსე“. მკვლევარს მოტანილი აქვს ერთ-ერთი ქრონიკის ცნობა, სადაც ნათქვამია: „ქ`ს: ალექსანდრე მეფემან, ძემან ბაგრატისმან, გორი დაიჭირა და ჩიხთ მოარბიეს იმერეთი. უკუნ იქცა ალექსანდრე იმერეთ და შემდგომად დავით მეფემან დაიპყრო გორი“ (2.326).

მ.სვანიძემ ცნობაში მოხსენიებული „ჩიხები“ აგრეთვე დაუკავშირა ოსმალეთის უფლისწულის, სელიმის, ლაშქრობას დასაელეთ საქართველოში და ამასთანავე გამოთქვა ვარაუდი, რომ, შესაძლებელია, „ჩიხები“ ტრაპიზონში დსახლებული ერთ-ერთი ტომის დამახინჯებული დასახელება იყო“. (11.42)

აღნიშნულ საკითხს სპეციალური სტატია უძღვნა ა. აბდალაძემ, რომელმაც გაიზიარა აზრი „ჩიხთა“ და ოსმალო თურქთა იგივეობის შესახებ, განმარტა სიტყვის მნიშვნელობა როგორც მოუხეშავი, არამზადა, თავზეხელაღებული, ჩხუბისთავი და მოიტანა პარალელური მასალა სომხური ძეგლებიდან, სადაც ოსმალები იხსენიებიან როგორც „ჩითახნი“ (17,73-75).

ის, რომ „ჩიხებში“, მართლაც, ოსმალები იგულისხმებიან, კარგად ჩანს პარალელური მასალითაც. ქართულ ქრონიკებში 1509 წლით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ოსმალთა თავდასხმა თარიღდება. თავდამსხმელები აქ ძირითადად იხსენიებიან როგორც „თათარნი“, ხოლო იმერეთის მეფე აქაც ალექსანდრეა. თუმცა სხვადასხვა წყაროში ამ ფაქტის სხვადასხვა თარიღია აღნიშნული - 1504, 1508, 1509, 1510, 1512, 1513, 1514, 1515 და მეფეთა სახელებიც განსხვავდება.

1508 ქ'კს რჟე აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა. ამავე ქ'კს მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დასწვეს თვესა ნოემბერსა კ [გ?]; ქ'კს რჟე: აქა მეფემან ალექსანდრე გორი დაიჭირა. ამასვე წელსა მოვიდნენ თათარნი; ქუთათისი და გელათი დასწვეს.

1509 ქ'კს რჟზ ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისმან, აღილო გორი;

ქ'კს რჟზ აიღო გორი ალექსანდრე, ძემან ბაგრატისამან თვესა აგვისტოსა ვ; ამავე წელსა ქუთათის თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ. ქუთათისი და საყდარი, სხვანი ეკლესიანი და ციხე ვერ აიღეს და აურაცხელნი ტყუე (ე)ნი წაასხეს, თვე იყო ნოენბერი კგ;

1510 ქ'კს რჟ მოვიდეს თათარნი ნოემბერსა კგ: და დაწვეს საყდარი ქუთათისი და გელათი;

ქ'კს რჟ მოვიდეს თათარნი ნოემბერსა კგ: და დაწვეს საყდარი ქუთათისი და გელათი;

ქ'კს რჟ მოვიდეს თათარნი ნოემბერსა კგ: და დაწვეს ქუთათისი და გელათი.

1513 - ქ~კს სა აქა მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს (2,326-331).

1508 - აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა. ამავე ქორონიკონსა მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწუეს ნოენბრისა კგ-სა (H-3004);

1510 - აქა მოვიდეს თათარნი ნოენბერსა კგ და დაწვეს საყდარი ქუთათისი და გელათი (Q- 252გ);

1512- აქა მოვიდენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს (-103).

1512 - ამ ქორონიკონსა ხუანთქარმან გელათი და ქუთათისი დაწუა (H-381); (5,37, 55, 68,74).

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება ამ ამბავს 1514 წლის მოვლენებში ათავსებს და მეფის სახელსაც ცვლის: „ამ ჟამში წარმოგზავნა ხონთქარმან სპასპეტი თჳისი ლაშქრითა თჳსითა უამრავითა საქართველოსა ზედა ქრისტეს აქათ ჩ~ჯდ; და აღაოხრეს სამცხე; ჩამოვიდეს იმერეთს და დაწვეს ქუთაისი. და მივიდეს გელათსა და დაწვეს გელათი, და აღიღეს ალაფი მრავალი, და ვერღარა დაუდგა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და წარვიდნენ და შეიქცენ თჳსადვე ადგილსა. და შემდგომად შექცევისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და დაიპყრა კუალად იმერეთი“ (3,350). „ქართლის ცხოვრები“-ს გადაკეთებული გაგრძელება ამ ფაქტს 1509 წლით ათარიღებს და მისი ცნობის მიხედვით იმერეთის მეფე ალექსანდრეა: „ქორონიკონ რ~ჟზ: აიღო გორი ალექსანდრე, ძემან ბაგრატისმან, თუესა აგვისტოსი ვ. ამასვე წელსა ქუთათისს თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა და ციხე ვერა აიღეს და აურაცხელნი ტყუენი წაასხეს ქრისტეანენი თუე იყო ნოემბერი კ~გ“ (3,487).

ზემოთ მოტანილი ცნობების გარდა, ვახუშტის თავისი თხზულების სხვა თავში „ცხოვრება სამცხე კლარჯეთისა“ 1512 წლის ამბებში გადმოცემული აქვს ოსმალთა შემოსვლის ფაქტი: „შემდგომად წელსა ქ~სა (ალბათ უნდა იყოს ს~ა)

წარმოაელინა სულტან სულეიმან სარასკარი, რომელ არს თავი სპათა ანუ სპასალარი, სპითა დიდითა და ძლიერითა დაპყრობად გიორგიისად. ესენი მოვიდნენ და მოადგნენ საათაბაგოს. მაშინ მზეჭაბუკ განამაგრნა ციხენი და სიმაგრენი და დახიზნნა ხიზანნი და თუთ განზრახუთა მესხთათა ეზრახა სარასკარსა და მივიდა წინაშე მისსა. ხოლო სარასკარმან პატივით შეიწყნარა და ითხოვა მზეჭაბუკისაგან საზრდელი და ყოლაუზობა იმერეთსა ზედა. ამან მზეჭაბუკ აღუსრულნა ყოველნი და წარუძღუა იმერეთს. ჩავიდნენ და ჰყვეს, რა იგი აღესწერეთ და კუალად უკმოქცეულთა გამოელეს სამცხე-საათაბაგო უენოდ ოსმალთა და წარეიდნენ. ამით დაეზავა ესე მზეჭაბუკ ოსმალთა და აღუთქუა მორჩილება და მსახურება"(4,711).

„რა იგი აღესწრეთ"-ში ვახუშტი, როგორც ჩანს, გულისხმობს იმერეთის ისტორიაში 1512 წლით დათარიღებულ ამავე ფაქტს: "წელსა ქ~სა ჩ~ფიბ, ქარ. ს~, მეფობასა ბაგრატისასა მეორესა, გამოვიდა სპასპეტი სულტან სელიმისა სპითა უამრავითა და მოადგა სამცხეს. ამას გაეგება ათაბაგი მზეჭაბუკ. მოუძღუა და ჩამოიყვანა ფერსათსა ზედა იმერეთს.. ხოლო ბაგრატ მეფე ვერ წინააღუდგა და უკურიდა სიმაგრეთა შინა და დახიზნა იმერეთი. გარნა მოსრულთა ოსმალთა დაწუეს ქუთათისი და გელათი. მერმე მოაოჭრნეს, მოწუეს, მოსრნეს და მოსტყუევნნეს, სადა ვინ ჰპოვნნეს იმერეთსა შინა და უკუნიქცნენ მასვე გზასა ზედა და წარეიდნენ. შემდგომად წარსლვისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მეფე, განაგო იმერეთი და დააშენნა ხიზანნი იმერნი" (4,810). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვახუშტიმ არ იცის, რომ ჩიხნი იგივე ოსმალნი არიან. ზ. ჭიჭინაძე, შესაძლოა, ზეპირ წყაროებზე დაყრდნობით ოსმალთა შემოჭრას 1504 წლით ათარიღებს და ლაშქრობის განსხვაებულ მარშრუტს წარმოგვიდგენს: „1504 წელს ოსმალნი ევროპიელის იარაღით შემოვიდნენ ბათუმზედ; მათ შეუერთდა ათაბაგი მზედ ჭაბუკ დიდი, ოსმალთ სამცხე-საათაბაგო დაიმორჩილეს, ბათუმში გამაგრდნენ, იქი-

დამ გურიაზედ და იმერეთზე წარმოვიდნენ, იმერეთს შეესივნენ, გელათი დასწვეს, ბაგრატის ტაძარიც გაძარცვეს... ამ ომის დროს მზედ ჭაბუკ ოსმალთ გადუდგა, იმერეთს შეუერთდა და ოსმალებს შეებრძნენ. ოსმალნი სასტიკად დაამარცხეს და იმერეთიდან განდევნეს“ (9,5).

როგორც ვხედავთ, წყაროებში, თარიღების გარდა, მეფეების სახელებიც განსხვავებულია. გარდა ამისა, თუ ერთგან მხოლოდ ქუთაისზე ლაშქრობა იხსენიება, სხვაგან საათაბაგოსა და იმერეთზე, ან კიდევ გურიასა და ბათუმზეც. სხვაობა დათარიღებაში მეფეთა სახელებში და ლაშქრობების მარშრუტებში აჩენს ეჭვს, რომ აქ, შესაძლოა, სხვადასხვა თავდასხმაზე იყოს საუბარი. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრება დამკვიდრდა.

ჯერ კიდევ თ.ჟორდანია მიიჩიდა დასკვნამდე, რომ ყველა ამ ცნობაში ერთსა და იმავეზეა ლაპარაკი, ხოლო ყველაზე სანდო თარიღად 1510 წელი მიიჩნია (2, 327).

ამავე საკითხზე ი.ჯავახიშვილის დასკვნით, „თარიღებისა და თავდამსხმელთა ვინაობის განსხვავებების მიუხედავად, ყველანი ერთს ამბავს მოგვითხრობენ და ნამდვილ თარიღად 1509 ან 1510 წელი უნდა ყოფილიყო“ (10,912). მ. სვანიძემ აღნიშნული ფაქტი 1510 წლით დაათარიღა (11.42-43). ამასთან, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად ხდებოდა თურქული წყაროების გათვალისწინება იმის გამოც, რომ მათი დიდი ნაწილი მხოლოდ მოგვიანებით შემოვიდა მეცნიერულ მიმოქცევაში.

ჩვენთვის საინტერესო ფაქტი სულთან სელიმის უფლისწულობის წლებზე მოდის, ხოლო უფლისწულების მოღვაწეობა ნაკლებად შუქდება ოსმალურ ისტორიოგრაფიაში. მიუხედავად ამისა, XVI-XVII სს-ის ყველა ძირითადი ნაშრომი, რომელიც ოსმალეთის ისტორიას ეძღვნება, საქართველოში უფლისწული სელიმის ლაშქრობას იხსენიებს. ამ ძეგლების ინფორმაცია განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც მოცულობით, ასევე შინაარსით, მაგრამ ეს წყაროები ერთმანეთს ავსებენ.

XVI ს-ის ისტორიკოსი ხოჯა სად ედ-დინი არ უთითებს არც თარიღს და არც ადგილს. იგი მხოლოდ ახსენებს ტრაპიზონის ვილაიეთში „სანჯაყბეგად“ ყოფნის დროს სელიმის საქართველოში ჩატარებულ საღვთო ომს. ისტორიკოსს ეკუთვნის შემდეგი ბეითი:

„არც ერთი წამით არ მოუხსნია ხმალი წელიდან,
დაუძლურდა საქართველო მისი ხელიდან,
საქართველო, რომლის დასაწყისი და აღმოსავლეთი
ომის და რბევის ხმით
მას მტკიცედ ეპყრა“.

იმავეს იმეორებს XVII საუკუნის ისტორიკოსი სოლაკ-ზადე, ოღონდ უმატებს შემდეგ ბეითს:

„საქართველო მისი ხელით
განთავისუფლებული რომ იყო,
რა უსამართლობაა, რომ არავისგან
არაფერი აიღო“ (12, 92).

სოლაკ-ზადე, გარდა ამისა, გადმოგვცემს: „ცნობილია და გულებში ხსოვნადაა დარჩენილი, რომ როდესაც მისი უდიდებულესობა შაჰ-ზადე სულთან სელიმ ხანი ტრაპიზონის ვილაიეთში მოვიდა, დიდ დროს ანდომებდა იმ მხარეში საქართველოს მტრებთან ბრძოლას და საღვთო ომს“ (13,58). სელიმი რომ დიდ დროს ანდომებდა საქართველოს პრობლემას, ამას XVII ს-ის თურქი ავტორი მუნეჯიმ ბაშიც იმეორებს: „სელიმი დროის დიდ ნაწილს საქართველოს რბევა-აოხრებას და ყიზილბაშებთან ომებს ანდომებდა“. ამაე დროს ირკვევა, რომ ეს ლაშქრობები სელიმის მამის, სულთან ბაიაზედის, ნებადაურთველად ხდებოდა, რასაც მას დანაშაულადაც უთვლიდნენ (14, 112).

XVI ს-ის ისტორიკოსის ჯელალ ზადეს განმარტებით, უფლისწულმა სელიმმა ტრაპიზონიდან საქართველოში იმის გამო ილაშქრა, რომ ბაიაზედის ბოლო წლებში ქართველები მონის გადასახადს არ იხდიდნენ, ბეგებს აღარ ემორჩილებოდნენ და ყიზილბაშებისაკენ მიიქცნენ. აქვე მას მოტანილი

აქეს სიმღერა, რომელიც ოზანებმა ამ ბრწყინვალე უფლისწულს უძღვნეს:

„წინ, სულთანო სელიმ, ბედი შენსკენაა“ (12,92).

საქართველოში სელიმის ლაშქრობას ეხება XVII ს-ის ავტორი კოჯა ჰუსეინიც, თუმცა ის არ უთითებს არც თარიღს და არც ადგილს: „ეს თვალწარმტაცი ქვეყანა მთლიანად ააოხრეს და სიგრძე-სიგანით გააერანეს. ცხენის ფლოქვებით გათელეს, ტყვედ წამოიყვანეს უამრავი ძე და ასული, ქონების მოხვეჭითა და მიტაცებით საღვთო ომი ალაფის მოპოვებისა და გამდიდრების წყაროდ გადააქციეს. ძველი ოსმალური წესების თანახმად ნადავლის მეხუთედი ღაზიებს უბოძეს და გაუნაწილეს“ (8,8).

როგორც ვხედავთ, არც ერთ იმ წყაროში, რომელიც განვიხილეთ, არ არის დაზუსტებული, თუ რამდენჯერ ილაშქრა სელიმმა საქართველოში. არ არის მითითებული არც ლაშქრობათა ადგილი ან თარიღი.

XVI ს-ის ერთადერთი ავტორი, რომელიც აზუსტებს ადგილს, არის გალიპოლელი მუსტაფა ალი, თურქული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ცნობით, „ადრე, როდესაც ეგვიპტის დამპყრობელი განსვენებული სელიმი უფლისწული იყო, ლაშქარი შეკრიბა და სატახტო ქალაქ ქუთაისში ჩავიდა. დაწვა ეკლესიები, ზარები ბალახით ამოავსო, ქვეყანა დაიმორჩილა, მიიმტკიცა და [ეს ამბავი] მრავალს აცნობა. მათ იმ დროს კისერზე მორჩილების უღელი დაიდეს და ხარაჯები ეპატიათ. იმ დროს მათი მორჩილებაა იმის მიზეზი, რომ ჯიზია მათ არც ამჟამად მოეთხოვებათ“ (12,92). იმავეს იმეორებს XVII ს-ის ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი, როლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო მუსტაფა ალია: „განსვენებული სულთანი სელიმ პირველი, თავისი ბატონიშვილობის დროს, მათ სატახტო ქალაქ ქუთაისში ჩავიდა. მათ მორჩილება გამოაცხადეს და [სელიმ] ბატონიშვილმა ხარაჯები აპატია. ახლა მათ ხარაჯა არ მოეთხოვებათ“ (6,44).

ასეთი ცნობა არის XVII ს-ის მოგზაურთან ევლია

ჩელებისთანაც: „როდესაც შაჰ სელიმ პირველი ტრაპიზონში იყო, ქუთაისის ციხეში იმერეთის ბეგთან კარგი მეგობრობა დაამყარა. როდესაც დამოუკიდებელი ფადიშაჰი გახდა, იმერეთის ოლქს ხარაჯა და ურფის გადასახადი მოუხსნა და გაათავისუფლა. დღემდე თავისუფალი არიან“ (7,298).

XVI ს-ის კიდევ ერთი ავტორი ქეშფი თხზულებაში „სელიმ-ნამე“ აზუსტებს, რომ სელიმ I სამჯერ იყო საქართველოში, მისი ცნობით, „მან ზღვიდან და ხმელეთიდან სიფაჰი განალაგა, საქართველოში სამჯერ ჩავიდა და ის მხარე დაიპყრო“. შემდეგ იგივე ავტორი განაგრძობს: „დღითი დღე მოპოვებული ამ გასაოცარი ნადაელიდან და ტყვეებიდან ბევრი რამ კარის შესაფერი გადაარჩიეს. წერილი დაწერეს და სტამბოლს გაგზავნეს. რომ ჩავიდა, მოიწონეს, უფლისწულს ბრწყინვალე ხალათები და ბევრი ნაწყალობევი უკან მიუბრუნეს, ხელთ არსებული გადმოცემით, საქართველოში ამ წესით სამჯერ ილაშქრა, ეს მხარე დააუძლურა, მთა და ველი მიწასთან გაასწორა“ (12,92; 18,141). მ.ფ. კირზიოღლუ აზუსტებს, რომ სელიმმა ილაშქრა ჭანეთში, აჭარაში, გურიასა და აჩიკბაშში (იმერეთი) (12,92).

სელიმმა რომ არაერთხელ დალაშქრა საქართველოს ტერიტორია, ჩანს სხვა წყაროებიდანაც. ზ.ჭიჭინაძე XVI ს. დამდეგს ოსმალთა რამდენიმე ლაშქრობაზე გვაწვდის ინფორმაციას (9,4-6), თუმცა მისი წყაროები არ არის ცნობილი და მათი შემოწმება არ ხერხდება. თურქი მეცნიერი მ. ფ. კირზიოღლუ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ჰოფას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთ მწვერვალს „სულთან სელიმის მთა“ ეწოდება. ვინაიდან აქ, 1441 მეტრის სიმაღლეზე, თავის დროზე სელიმი გაჩერდა. არის აგრეთვე ცნობა, რომ უფლისწულმა იმ დროს მოახერხა გონიოს ციხის დაპყრობა, რომლის გამგებელმაც ისლამი მიიღო და ციხის გასაღებები ჩააბარა (12,89). თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს დაპყრობა დროებითი მოელენა იყო, ვინაიდან გონიო მე-16 საუკუნის შუა წლებამდე ქართველების ხელში რჩებოდა (15,57).

ქართული წყაროების მიხედვით, არც ერთი ქართველი მეფე თურქებს არ შეხვედრია, არც ალექსანდრე, არც ბაგრატი. ამასვე ამბობს XVI საუკუნის ერთ-ერთი თურქი ავტორი ქემალ ფაშა-ზადე, რომელიც, ამასთან, ერთადერთი თურქული წყაროა, სელიმის ლაშქრობის ზუსტ თარიღს რომ უთითებს: ჰიჯრის 914 წლის დასაწყისში (1508 წლის მაისი-ივნისი) სულთან სელიმ ხანმა საღვთო ომის მიზნით ლაშქრობა მოაწყო. მის ბრწყინვალებას რომ ტრაპიზონის მიდამოებში მყოფი ქაფირები განედევნა, ხელსაყრელ დროს იმ იკლიმთან ჯარი შეკრიბა და ტრაპიზონის მიდამოებში მდებარე ურწმუნოთა მხარეში ჩავიდა, რომელიც გურჯისტანის სახელით არის ცნობილი. „ჩიტი რომ ვერ გადაიფრენს, მონა ვერ გადაადგილდება“, „ისეთი ტყიანი და ვიწრო ადგილია“. ამას მოჰყვება მხარის მოკლე ისტორია, თუ როგორ ცდილობდნენ სხვადასხვა ტომები და ქვეყნები, სეფიანთა ჩათვლით, აღნიშნული მხარის დაპყრობას, მაგრამ - უშედეგოდ. აქვე იხსენიება თამარის დროს ქართველთა გალაშქრება ირანში, დაბოლოს, არის ცნობები სელიმის წარმატებულ ლაშქრობაზე საქართველოში. მართალია, ადგილი არც აქ არის დასახელებული, მაგრამ გადმოცემა ჰგავს სხვა თურქ ავტორთა და ქართული წყაროების თხრობას. თურქი ავტორის ცნობით, იქაური ქართველი გამგებელი შეშინდა, გაიქცა, შესაფერისად არ მოიქცა და ვილაიეთის მფარველობა ვერ მიიღო. ამ ლაშქრობის შედეგად ნადაელი ტრაპიზონში ზღვასავით მიედინებოდა. ამ წარმატების შესახებ დაპყრობის შეტყობინება ფადიშაჰს გაეგზავნა და სელიმს მრავალი წყალობა ებოძა (12, 19-91).

სხვა თურქ ავტორთა თანახმად, როგორც ვნახეთ, სელიმმა ადგილობრივ გამგებელთან კარგი ურთიერთობა დაამყარა, რის გამოც მას ხარკი აპატია. ზ. ჭიჭინაძის ცნობით კი, ქართველებმა მოახერხეს ოსმალთა დამარცხება და განდევნა. რა თქმა უნდა, ყველა ამ წყაროს სიზუსტის ხარისხი ერთნაირი არ არის, მაგრამ ასეთი წინააღმდეგობები გვაფიქ-

რებინებს, რომ შეუძლებელია, ყველა ეს ცნობა მხოლოდ ერთ ლაშქრობას უკავშირდებოდეს. ცხადია, სელიმმა საქართველო და მათ შორის, შესაძლოა, იმერეთიც, რამდენჯერმე დალაშქრა.

შევეხებით კიდევ ერთ საკითხს. ქართული წყაროების დიდი ნაწილის მიხედვით, ოსმალთა შემოჭრისას იმერეთის მეფეა ალექსანდრე, რომელიც იმ დროს ქართლში, ლაშქრობაში იმყოფება. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობა და გორის აღება 1509 წლით არის დათარიღებული. ი.ჯავახიშვილიც ამ თარიღისაკენ იხრება, ვინაიდან 1509 წელს ქრონიკების გარდა უთითებენ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ავტორები და ვახუშტი ბაგრატიონი. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია თვე და რიცხვიც - 6 აგვისტო, რაც მკვლევარის აზრით, თარიღს უფრო დამაჯერებელს ხდის (10, 210-212). 1509 წელი გაიზიარა ვ. გუჩუამაც (16, 34). იმის გამო, რომ იგივე თვე და რიცხვი ქართულ წყაროებში დატოვებულია მაშინაც, როცა აღნიშნული ფაქტი 1508 ან 1510 წლებით არის დათარიღებული, ამ ძეგლთა მონაცემები საეჭვო ხდება. ამასთან, როგორც ვნახეთ, ქართული წყარო ჩვენთვის საინტერესო ფაქტს 1508 წლითაც ათარიღებს. სწორედ ამ თარიღს ეთანხმება თურქი ავტორის ქემალ ფაშა-ზადეს ჩვენებაც, რომლის თანახმადაც ოსმალთა პირველი ლაშქრობა საქართველოში ან მისთვის მზადება 1508 წლის მაის-ივნისში დაიწყო. ეფიქრობთ, თურქულ წყაროს უპირატესობა უნდა მიეცეს. მისი ავტორი აღნიშნული ფაქტების თანამედროვეა. ხოლო თურქული ისტორიოგრაფიის ქრონოლოგია, როგორც წესი, სიზუსტით გამოირჩევა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქუთაისში ჩასვლამდე სელიმი უკვე ნამყოფი იყო საქართველოს სხვა მხარეებში, ჯარის შეკრებიდან - 1508 წლის მაის-ივნისი - იმერეთს ლაშქრობამდე, შესაძლოა, დიდი დრო იყო გასული. ყოველ შემთხვევაში ქართული წყაროების ერთსულოვანი ჩვენებით, ალექსანდრემ ქართლში აგვისტოში ილაშქრა,

ხოლო ოსმალები ქუთაისს ნოემბერში დაეცნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდები:

1. 1508 წლის აგვისტოში იმერეთის მეფე ალექსანდრემ ქართლში ილაშქრა და გორი აიღო.

2. იმავე 1508 წლის მაის-ივნისიდან საქართველოში შემოიჭრნენ ოსმალები უფლისწულ სელიმის წინამძღოლობით. მათ ქვეყნის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხარეების დალაშქერას და ქუთაისზე თავდასხმას რამდენიმე თვე მოანდომეს (23 ნოემბრამდე).

3. 1512 წლამდე სელიმმა საქართველოში რამდენჯერმე (შესაძლებელია, სამჯერ) გაილაშქრა, თუმცა, სხვა ლაშქრობების ზუსტი თარიღები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. Histoire de la Géorgie.Depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle. Traduite du Géorgien par M. Brosset II re partie Ire livraison. St.,-Pétersbourg, 1856.
2. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფ., 1897.
3. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი, დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959.
4. ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - ქართლის ცხოვრება*, IV. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს.ყაუხჩიშვილის მიერ. 1973.
5. მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968.

6. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.
7. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი, თბ., 1971.
8. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლეევით და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ. 1983.
9. ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი 1452-1926 წწ-ში, აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1927.
10. ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, თბ., 1967.
11. მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. XVI-XVII სს.*, თბ., 1971.
12. M. Fahrettin Kırzıoğlu, *Osmanlılar`ın Kafkas Elleri`ni Fethi (1451-1590)*. 2. Bask. Ankara. 1998.
13. ნ. შენგელია, სოლაკ-ზადე საქართველოს შესახებ. – ქართული *წყაროთმცოდნეობა*, IV, თბ., 1973.
14. ე. მამისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV სმეორე ნახევარსა და XVI ს-ში*. თბ., 1981.
15. Т.Н. Бердзе, *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии*, Тб., 1989.
16. ვ. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბ., 1973.
17. ა. აბდალაძე, „ჩიხთა" ვინაობისათვის. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, 1977.
18. Yılmaz Öztüna, *Osmanlı Devleti Tarihi*, I, Istanbul, 1986.

XV საუკუნის დასასრულს ოსმალთა სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მისი ბატონობის ქვეშ გაერთიანებული იყო ალბანეთი, ბულგარეთი, სერბეთი, ბოსნია, თრაკია, საბერძნეთი. ოსმალეთის ვასალები იყვნენ მოლდავეთისა და ვლახეთის სამთავროები, ყირიმის სახანო. XVI საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფომ კიდევ უფრო გააძლიერა ექსპანსია და ადრე დაპყრობილ ტერიტორიებს შეუერთა ეგვიპტე, ტრიპოლი, ალჟირი, მესოპოტამია, უნგრეთის დიდი ნაწილი, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი კუნძულების უმეტესი ნაწილი და დასავლეთი სომხეთი.

ანატოლიაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასა მომთაბარეობას მისდევდა. მხოლოდ XVI საუკუნიდან იწყება მომთაბარე ტომების მასობრივი დასახლება მიწაზე. როგორც ა. დ. ნოვიჩევი აღნიშნავს, მესაქონლეობის მიწათმოქმედებით და ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის ფეოდალურით შეცვლა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა მთელი თურქეთისათვის, რამდენადაც ხელს უწყობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ოსმალეთის ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ის, რომ გლეხს, რომელიც იურიდიულად არ იყო ფეოდალის პიროვნებაზე მიმაგრებული, უხდებოდა უამრავი გადასახადების გადახდა. მათ შორის „ბადი ჰავას“ - ჰაერის გადასახადისაც კი. ოსმალეთში ფეოდალიზმის განვითარებას თან ახლდა მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერება. შიმშილი, ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ყოველივე ეს ერთად აღებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აღშფოთებას იწვევდა, რაც ხშირად აჯანყებებში გადაიზრდებოდა. ანატოლია წარმოადგენდა სოციალურ წინააღმდეგობათა კერას, სადაც მთელი XVI საუკუნის მანძილზე და შემდეგშიც არ წყდებოდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების გამოსვლები. სოციალური მოძრაობები

ანატოლიაში, მოცემულ ხანაში, ოსმალეთის საშინაო ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა. ისტორიოგრაფიაში გარკვეული ყურადღება ეთმობა ამ საკითხის კვლევას. წინამდებარე ნაშრომის მიზანია აღნიშნულ აჯანყებათა ერთ-ერთი რგოლის, კერძოდ, ბოზოქლუ ჯელალის მეთაურობით მომხდარი მოძრაობის შესწავლა. აღნიშნული აჯანყების მიზეზებისა და სოციალური შემადგენლობის გასარკვევად საჭიროა მოკლედ შევეხოთ იმ საშინაო და საგარეო ფაქტორებსაც, რომლებმაც განაპირობეს მისი წარმოშობა და გავრცელება ამასიის, თოქათისა და თურხალის მხარეებში.

ოსმალეთში ოფიციალურ რელიგიას ისლამის სუნიტური მიმართულება წარმოადგენდა. მაგრამ XVI ს-ის დასაწყისის იტალიელი პოლიტიკური დამკვირვებლის, ვენეციელი მარინო სანუტოს ცნობით, ანატოლიის მოსახლეობის დიდი რაოდენობა - 4/5, შიიტი იყო. შიიზმი, უმთავრესად, მოსახლეობის დაბალ ფენებში იყო გავრცელებული და ამიტომ სოციალურ სახეს ატარებდა. შიიზმისა და სუნიზმის წინააღმდეგობის საფარქვეშ მიმდინარე კლასობრივმა ბრძოლამ XVI საუკუნეში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ამ დროს ანატოლიაში რამდენიმე აჯანყება მოხდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნურ ალი ხალიფას (1508 წ.) და, განსაკუთრებით, შაჰ ყულუს ამბოხებები, რომლებიც სულთნის ხელისუფლებამ დიდი ძალების მობილიზაციის შედეგად ჩაახშო. სელიმ I-ის ბრძანებით, მთელს ანატოლიაში მოეწყო შიიტების მასობრივი ჟლეტა. მათი ნაწილი კი რუმელიაში გადაასახლეს. ცენტრალური ხელისუფლება აღნიშნული ღონისძიებით შეეცადა მომავალში აღარ დაეშვა მწვალებლობათა გარსში გახვეულ სოციალურ მოძრაობათა გამეორება. მაგრამ კლასობრივი ბრძოლა არ შეწყვეტილა და ერთ-ერთ გამოვლინებას ბოზოქლუ ჯელალის აჯანყება წარმოადგენდა. „ბოზოქლუ ჯელალის აჯანყება, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იაუზ სელიმის პერიოდის შინაგან მოვლენათა შორის..., იყო... შიიტური მოძრაობა“, - გადმოგვცემს ოსმალეთის

ვრცელი ისტორია. აჯანყების მეთაური, როგორც მიიჩნევენ, უნდა ყოფილიყო ზომიერი შიიზმის (იმამიტობის) მიმდევარი. ფეოდალური ირანი ოსმალეთში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლას მანამდე უჭერდა მხარს, ვიდრე ის არ გასცდებოდა ოსმალეთის ტერიტორიას. საკმარისი იყო, საფრთხე შექმნოდა თვით ირანის ფეოდალურ წყობილებას, შაჰი პირველი გამოდიოდა აჯანყებულების წინააღმდეგ. „ყველგან, სადაც სეფიანთა ხელისუფლება განმტკიცდებოდა, სდევნიდნენ არა მარტო სუნიტებს, არამედ უკიდურეს შიიტებსაც“, - აღნიშნავს ი. პ. პეტრუშევსკი. ოსმალეთში, ვ. ა. გორდლევსკის ცნობით, შიიზმი განსაკუთრებით გავრცელებული იყო ირანის საზღვართან მდებარე რაიონებში, ამასიის რაიონში, სადაც თავს იყრიდა სულთნის პოლიტიკით ყველა უკმაყოფილო და მისგან დამარცხებული მეამბოხე, აქსარაიში და მომთაბარე ტომებს შორის. შიიტური ისლამის მიმდევრები იყვნენ მომთაბარე და ფეოდალებისაგან გამოქცეული გლეხობა, ირანიდან გადმოხვეწილი ყიზილბაშები. სასულიერო სასწავლებლის სტუდენტი-მიურიდები, დერვიშები, შეიხები და წვრილი ფეოდალი-სიპაჰიები.

ანატოლიაში იურუქები ძირითადად ანკარის, აიდინის, ბოლუს, ხუდავენდიგიარის, კასტამონუს, ქიუთაიას, მენთეშესა და სარუხანის მიდამოებში ცხოვრობდნენ. XVI საუკუნიდან დაიწყო იურუქების მომთაბარეებიდან ჩვეულებრივ გადასახადების გადამხდელ გლეხობად - რეაიად გადაქცევის ხანგრძლივი პროცესი. ტომთა ბელადები მიწათმფლობელნი ხდებოდნენ. იურუქები, რომლებიც თანდათან მიწათმოქმედებას იწყებდნენ, სიფაჰიების მიმართ მთელი რიგი ვალდებულებებით იბეგრებოდნენ. მიწაზე იძულებით მიმაგრებას თავისუფალი იურუქები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. იურუქების საფინანსო ადმინისტრაციისადმი დაქვემდებარების აღნიშნულმა პოლიტიკამ გამოიწვია მეჯოგეთა ინტერესების დაახლოება რაიების ინტერესებთან, რამაც განაპირობა ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ფრონტის გაფართოება. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო

იმ ფაქტმაც, რომ მომთაბარე ტომების სარგებლობაში მყოფი მიწები ამა თუ იმ ბინადარი ფეოდალის სამფლობელოს წარმოადგენდა. ეს კი გამოიხატებოდა იურუქების ვალდებულებაში, ეხადათ ამ ფეოდალისათვის გარკვეული გადასახადი. მაგალითად, ბოზდოღანის ტომი ცხოვრობდა მიწებზე, რომლებიც ყარამანის ბეგლარბეგის ხასს წარმოადგენდა. ჰალაბის თურქმანები სულთნის დედის ბაშმალიქზე იყვნენ მიწერილები, ხოლო მომთაბარეები მარაშის თურქმანთა ილბეილის ტომიდან ზულკადრიეს ბეილერბეგის ხასს ეკუთვნოდნენ. მიწათმოქმედ ფეოდალებს და მომთაბარეებს შორის მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლა, რომლის დამახასიათებელი ნიშანი, როგორც ა. დ. ნოვიჩევი აღნიშნავს, შიიზმის სექტანტური ლოზუნგი იყო.

ამგვარად, ფეოდალებისაგან გამოქცეული გლეხობა, მომთაბარე იურუქები, ირანის აგენტი-დერვიშები, რომლებიც მოხერხებულად იყენებდნენ გლეხების უკმაყოფილებას ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებით, შეადგენდნენ ბოზოქლუ ჯელალის აჯანყების ძირითად მასას. ფეოდალებისაგან შევიწროებული სიფაჰიები აგრეთვე თანაუგრძნობდნენ აჯანყებულებს და უმრავლესობა მათთან ერთად გამოდიოდა. შიიზმი იყო ის იდეოლოგია, რომლის ქვეშაც ერთიანდებოდა ყველა უკმაყოფილო.

წყაროებიდან ირკვევა, რომ აჯანყება ბოზოქლუ ჯელალის მეთაურობით მოხდა 1519 წ., დაახლოებით წლის პირველ თვეებში. ზოგიერთი წყარო აჯანყების თარიღად იანვარს ასახელებს: „925 წლის მუჰარემის 26-ე დღეს.. ანატოლიაში, ბოზოქლუს სანჯაყში გამოჩნდა ვინმე კალენდერი, სახელად ჯელალი და ერეტიკული ქადაგებების მეოხებით ბევრი ყაჩაღი და მდაბიო შეაგროვა“ - მოგვითხრობს XVII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსი მუნეჯიმ-ბაში ნაშრომში „საჰაიფ ულ-ახბარ“ – („ცნობათა ფურცლები“, სტამბოლი, 1868). თანამედროვე ისტორიოგრაფიაში კი თარიღად მიჩნეულია აპრილი. იჰ. დანიშმენდი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ოს-

მალეთის ისტორიის ქრონოლოგიური საკითხები, ასკვნის, რომ აჯანყება აპრილში მომხდარა. „იანვარი-მუჰარემის თარიღიც მოიხსენიება, მაგრამ სწორი არ არისო“ - შენიშნავს იგი.

აჯანყების მეთაურის ბოზოქლუ ჯელალის თავდაპირველი საქმიანობის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის XVI ს. ოსმალო ჟამთააღმწერელი საად ედ-დინი თხზულების „თაჯ-უთ-თევარიხ“ („ისტორიათა გვირგვინის“) II ტომში, რომელშიც ისტორიულ მოვლენათა თხრობა 1520 წლამდეა მიყვანილი (სტამბოლი, 1863). ხსენებული მემატიანე ჯელალის პირველად იხსენიებს მაშინ, როდესაც სულთან სელიმ I-ის მიერ შაჰ ყულუს აჯანყების შემდეგ ანატოლიაში შიიტების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ღონისძიების შესახებ მოგვითხრობს. მისი ცნობიდან ირკვევა, რომ ჯელალი უკვე 1513 წ. შიიზმს ფარულად აღიარებდა, მაგრამ მოუხერხებია თავი სუნიტად გაესაღებინა. როგორც საად ედ-დინი მოგვითხრობს: „ანატოლიის ვილაიეთში გამოძიებულ იქნა და ფადიშაჰის ფირმანით ყიზილბაშების მიერ ცნობილი და დამტკიცებული ოვბაშების (ნაძირალების) მრავალრიცხოვანი საზოგადოება ხმლის ლუკმა გახდა“. გარკვეულ შემთხვევებში შიიტები სუნიტებად ინიღბებოდნენ, რათა ძალები გადაერჩინათ და ხელსაყრელ ვითარებაში კვლავ გამოსულიყვნენ სულთნის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ გზით გადარჩენილთა რიცხვს ეკუთვნოდა ვინმე კაცი ჯელალი, რომელიც, როგორც იგივე წყარო გადმოგვცემს, „ურჯულო და წყეულ გზააბნეულთა შორის რჩეული იყო. მაჯნუნისა და აბდალის სამოსში გამოეწყო. ყაჩაღების ჯგუფთან ერთად თოქათის მხარეს გაიქცა და თურხალის ციხის რაიონში ერთ გამოქვაბულში დამკვიდრდა. ამ ქვეყნის მოსახლეობა იმ ბოროტის საიდუმლოთა საიდუმლოს მცოდნე და მიმდევარი გახდა. მათ ფარული ქადაგება და ეშმაკის საზოგადოების შექმნა დაიწყეს“. გამოქვაბულში დასახლებულმა ჯელალიმ, წყაროების თანახმად, ლოცვითა და რწმენით გაითქვა სახელი. ის ქადაგებდა, რომ ამ ქვეყანაზე მოვა მაჰდი, რომელიც ღარიბებსა და გაჭირვებულებს

ბედნიერ ცხოვრებას მოუტანს და მიწაზე თანასწორუფლებიანობას დაამკვიდრებს. ამგვარი ქადაგებით მრავალი მიმდევარი გაიჩინა არა მარტო ღარიბთა შორის, არამედ წერილ მიწათმფლობელებშიც.

„ამასიის მახლობლად თურხალის ციხესთან ჯელალის სახელით ცნობილი ერთი უწმინდური გამოჩნდა, რომელმაც გარშემო ძალიან ბევრი მფლობელი შემოიკრიბა“, - გადმოგვცემს ოსმალური ანონიმური ქრონიკა, რომელიც შედგენილია ამ მოვლენის თანამედროვე ავტორის მიერ და ეწოდება „მამლუქების სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩატარებული ლაშქრობის დღიური“. ხსენებული ქრონიკა შესულია ფერიდუნ ბეის კრებულის („სულთნების მიმოწერა“) I ტომში (სტამბოლი, 1858). ამ ქრონიკაში, მამლუქების სახელმწიფოზე ლაშქრობის დეტალური აღწერის გარდა, მოიპოვება ფრაგმენტული ცნობა ბოზოქლუ ჯელალის აჯანყების შესახებ. თვით აჯანყების მეთაური ჯელალი ბოზოქლის ტომს ეკუთვნოდა და, წყაროების თანახმად, თიმარის მფლობელი უნდა ყოფილიყო. დირლიკის მფლობელი (Dirlik sahibi) ჯელალი, ბუნებრივია, ღარიბთა ინტერესების გამომხატველი ვერ იქნებოდა. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სულთან სელიმ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება. ცბიერმა ჯელალიმ კარგად იცოდა, რომ თავისი ზრახვის გამომჟღავნებით ვერ შემოიკრებდა გარშემო მასებს და ამიტომ უკვე ნაცად ხერხს მიმართა. „ჯელალიმ, რომელიც, როგორც ჩანს, დირლიქის მფლობელი იყო, თავისი თავი მაჰდიდ გამოაცხადა და ამით შესძლო გარშემო ხალხის შემოკრება“, - გადმოგვცემს ოსმალეთის ერცელი ისტორია. ვ. გორდლევსკის აზრით, ღარიბი ხალხის აჯანყებაში მონაწილეობის მთავარი მოტივი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისა იყო. თამაშობდნენ რა შეიხები გლეხების რელიგიურ რწმენაზე, თავს წინასწარმეტყველებად აცხადებდნენ. გლეხები უყოყმანოდ მიჰყვებოდნენ მათ, რადგან სწამდათ, რომ წინასწარმეტყველები შეუმსუბუქებდნენ ცხოვრების პირობებს. როდესაც

ჯელალი დარწმუნდა, რომ მის გარშემო საკმაო ძალა შეიკრიბა, თავი მაჰდიდ გამოაცხადა, გამოვიდა გამოქვაბულიდან და ხალხს ყოველგვარი სიკეთე აღუთქვა.

ზემოხსენებული წყაროებიდან ჩანს, რომ ჯელალის მიმდევართა რიცხვი 20 ათასს აღემატებოდა, რაც ბევრად მეტი იყო ადრე აჯანყებულთა რაოდენობაზე. აჯანყების მონაწილეებს ოსმალეთის ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ყაჩაღებს (ეშკია) და ნაძირლებს (ოებაშებს) უწოდებდნენ.

ჯელალიმ ფეოდალების ერთი ჯგუფის მიმხრობაც შეძლო, ნაწილს კი ამ მოძრაობის ანტიფეოდალური გაქანებისა შეეშინდა და ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე დადგა. ეს იქიდან ირკვევა, რომ აჯანყების რაიონის სიფაჰებმა და ამირებმა ბეგლარბეგთან მოიყარეს თავი, მაგრამ ვერაფერი იღონეს გარდა იმისა, რომ „დივანში მალემსრბოლი აფრინეს, - მოგვითხრობს საად ედ-დინი და იმ გზააბნეული ვერაგის გამარჯვება მოახსენეს". ამასვე ადასტურებს იმავე საუკუნის ოსმალო ჟამთააღმწერელი მეჰმედ ბენ მეჰმედი, რომლის თხზულებას ეწოდება „ნუჰბეთ ულ-თეევარიხ ვე ლ-აჰბარ"/ „რჩეული ისტორიათა და ამბავთა" (სტამბოლი, 1860). „სულთანს აცნობეს, რომ მათი კეთილად დაცული ქვეყანა, (როგორც უწოდებდნენ ოსმალეთს ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში) დამწუხრებულია და შეევიწროებას განიცდის (აჯანყებულებისაგან)". განრისხებულმა სულთანმა აჯანყების ჩახშობა რუმელიის ბეგლარბეგ ფერჰად ფაშასა და ზულკადრიეს ბეგს შეჰსუვარ ოღლუ ალი ბეის დაავალა. ამ შემთხვევისათვის, როგორც წყაროები მოგვითხრობენ, სულთანმა ფერჰად ფაშას „ვეზირობის ხალათი უწყალობა და სიფაჰთა ჯარის მეთაური გახადა" (საად ედ-დინი, მუნეჯიმ-ბაში). ჯელალი მიხვდა, რომ სულთნის მრავალრიცხოვან ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და, რადგანაც გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ირანში თავის შეფარებას თელიდა, სივასისაკენ გაემართა. როდესაც ჯელალი ქარახისარს მიუახლოვდა,

ფერჰად ფაშას ძალებმა მხოლოდ ანკარამდე მიაღწიეს, შეჰსუვარ ოღლუ ალი ბეი კი იმ დროს, გადმოცემის თანახმად, სივასის მახლობლად, საგანგებოდ აჯანყებულებისათვის გზის გადასაჭრელად იყო მისული. შეჰსუვარ ოღლუ ალი ბეი ფერჰად ფაშას აღარ დაელოდა და საკუთარი ძალებით ბრძოლა არჩია. აჯანყებულები სასტიკად დამარცხდნენ. დამარცხების ადგილის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ისტორიკოსები მუნეჯიმ ბაში, საად ედ-დინი, მეჰმედ ბენ მეჰმედი და თანამედროვე ისტორიკოსი ი. უზუნჩარშილი ბრძოლის ადგილად აქშეჰირს მიიჩნევენ, ხოლო ოსმალეთის ერცელი ისტორიის მიხედვით, ბრძოლა ერზინჯანის მახლობლად უნდა მომხდარიყო. XIX საუკუნის ავსტრიელი ისტორიკოსი ი. ჰამერი ამის შესახებ ასე მოგვითხრობს: „შეჰსუვარ-ოღლუ ალი ბეი, ზულკადრიეს გამგებელი დაიძრა (აჯანყებულებისაკენ) და სდია ელბისთანიდან სივასის საზღვრამდე. ჯელალის ქარახისარისაკენ და ფერჰად ფაშას ანკარისაკენ გადაადგილების დროს შეჰსუვარ-ოღლუ დაეწია აჯანყებულებს და გაანადგურა“. ა. დ. ნოეიჩევის აზრით, ბრძოლა შარქი-ქარახისართან უნდა მომხდარიყო. როგორც წყაროები მოგვითხრობენ, ჯელალის აჯანყება შიიტური იყო და ირანის პირდაპირი მხარდაჭერით დაიწყო. ბუნებრივია, დამარცხებულ ჯელალის თავშესაფარი ირანში უნდა ეძებნა.

საფიქრებელია, რომ სულთნის ჯართან მეამბოხეების შეხვედრაც ერზინჯანის მახლობლად ალბათ შარქი-ქარახისართან უნდა მომხდარიყო. „ბრძოლა მეტისმეტად დაუზოგავი იყო. ძახილითა და ალაჰის ხსენებით ზეცა გაყრუედა და მახვილი დასცეს მათ. ბრძოლის ველი გვამებით აივსო. ამ ამბის მოწმე ჯელალი დამუნჯდა და ბრძოლის ველიდან ტურასაით გაიპარა“ - გადმოგვცემს საად ედ-დინი. ბრძოლის ველიდან გაქცეულ ჯელალის შაჰ სუვარ ოღლუ ალი ბეი უკან დაედევნა, შეიპყრო იგი და მისი თავი სულთანს სტამბოლს გაუგზავნა.

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ აჯანყებას განიხი-

ლავს როგორც რელიგიურს, რომელსაც საერთო არაფერი არ ჰქონდა სოციალურ მოძრაობასთან. ოსმალეთის ერცელ ისტორიაში პირდაპირ ნათქვამია: „ბოზოქლუ ჯელალის აჯანყება სხვა არა იყო რა, თუ არა შიიტური მოძრაობა“. ზოგიერთი თურქი მკვლევარი, მაგალითად, ისტორიკოსი ბარდაკჩი ჯემალი, ამ მოძრაობას არა მარტო რელიგიას უკავშირებს, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს, ცდილობს აჯანყებას გამოაცალოს მისი სოციალური არსი, ახასიათებს მას როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელს და ამბობს: „ანატოლიის თურქების ბაბა ისჰაკის, ბორკლუჯე მუსტაფას, შაჰ ყულუს, სუგლუნ ხოჯას, ჯელალის, შაჰ კალენდერის, ყარა იაზიჯისა და კალენდერ ოღლუს მეთაურობით მომხდარ აჯანყებებს სხვა მიზანი არ ჰქონიათ, გარდა თავისი ერის არსებობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისა და ამას 100000-ით სიცოცხლე შესწირეს“. ამ საკამათო აზრს არ იზიარებს თანამედროვე თურქი ისტორიკოსი მუსტაფა აქდაღი, რომელიც თავისი ნაშრომის „ჯელალის აჯანყებები“ შესავალში აღნიშნავს, რომ ბოზოქლუ ჯელალის მოძრაობა თავისი ხასიათით სოციალური იყო, თუმცა ის შიიტური ლოზუნგით მიმდინარეობდა.

აჯანყებამ დიდი კვალი დააჩნია ოსმალეთის სოციალური მოძრაობის ისტორიას. ამ მოვლენის შემდეგ ანატოლიაში ყველა მეამბოხეს ჯელალი და ყველა ამბოხებას ჯელალის მოძრაობა ეწოდა. ამგვარად, აჯანყება ბოზოქლუ ჯელალის მეთაურობით, ისევე როგორც საშუალო საუკუნეების ყველა სოციალური მოძრაობა, რელიგიური ლოზუნგით მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც სხვა შემთხვევებში, მასაც სოციალურ-ეკონომიკური მიზნები ჰქონდა.

აჯანყების ძირითად ბირთვს დაბალი კლასი წარმოადგენდა, თუმცა მასში ანგარებითი ზრახვებით მონაწილეობდნენ მიწათმფლობელი ფეოდალები და თურქმანთა ზედა ფენა, რომელიც ღარიბი თანამეტომეების კლასობრივ ბრძოლას დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად იყენებდა.

XVI ს-ის მეორე ნახევრიდან წყაროებში იხსენიება ბათუმის სანჯაყი, ბათუმის სანჯაყბეგი, ბათუმის საბეგლარბეგო და ბათუმის ბეგლარბეგი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უკვე იმ დროიდან ბათუმი ოსმალეთის შემადგენლობაშია? იმის შესახებ, თუ როდის დაიპყრეს ოსმალებმა ბათუმი, აზრთა სხვადასხვაობაა.

ტ. სტეფანოვის ინფორმაციით, რომლის წყაროც უცნობია, როდესაც 1654 წელს კაზაკებმა გონიო აიღეს, ბათუმი უკვე თურქებს ეკუთვნოდათ. მათ ის ამაზე 100 წლით ადრე აიღეს და მაშინვე ააგეს იქ ძლიერი ციხე (1, 90).

XVI ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს ამაღე ფაქტს ა.ფრენკელი, რომელიც ამასთანავე ბათუმის შესახებ წყაროთა სიმცირეს უსვამს ხაზს. თუმცა, მისი აზრით, ბათუმის მიწების დამოკიდებულება კონსტანტინოპოლზე ამის შემდეგაც ნომინალური იყო (2,58).

დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ აჭარა და ჭანეთი ან თანამედროვე ლაზისტანი იყო კახაბერ გურიელის ხელში, რომელიც 1483 წელს გარდაიცვალა. თურქებმა მას ორიენ მხარე წაართვეს. შემდეგ აჭარა და ჭანეთი როსტომ გურიელის ხელში გადავიდა, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა. მაგრამ მის დროსვე თურქებმა დაიპყრეს აჭარა, ჭანეთი და ააგეს ციხეები ბათუმსა და გონიოში. მამია გურიელმა, მისი აზრით, 1609 წელს განდევნა თურქები იქიდან, მაგრამ მოკლე ხნით (3, 9). იგივე მკვლევარი თავის უფრო ვრცელ ნაშრომში კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და მიიჩნევს, რომ ბათუმი, ისევე როგორც გონიო, თურქებმა როსტომ გურიელს წაართვეს, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა, და მაშინვე ააგეს იქ სიმაგრეები. ყოველივე ამას, დ. ბაქრაძის მინიშნებით, „ქართული მატიანეები მოწმობენ“ (4,23). მკვლევარი ამ შემთხვევაში კონკრეტულად ვახუშტი ბაგრატიონს იმოწმებს, რომლის ცნობა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მნიშვნე-

ლოვნად განსხვავებულია და სრულიადაც არ ადასტურებს ზემოაღნიშნულს.

ნ. დერჟავინი მიიჩნევს, რომ თურქებმა ბათუმში 1549 წელს ააგეს ციხე, რომელიც გახდა საყრდენი სხვა მიწების დასაპყრობად. გურიელმა რამდენჯერმე მოახერხა ციხის უკან დაბრუნება, თუმცა ყოველ ჯერზე მას ისევ თურქები იპყრობდნენ, უკანასკნელად - 1609 წელს, მამია გურიელის დროს, რის შემდეგაც 1878 წლამდე ქალაქი თურქეთის ხელში რჩებოდა (5, 21).

მთელი ეს მასალა, მოყვანილი წყაროების გარეშე, როგორც ჩანს, ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა და შემდგომ შემოწმებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, არის დაწერილი Ch.Quelquejay-ს სტატია ბათუმზე „ისლამის ენციკლოპედიის“ ახალ გამოცემაში (6, 1108). ამასთან, სტატიის ავტორი გამოყენებული ლიტერატურის მონაცემებს ზოგიერთ შემთხვევაში ერთგვარად ცვლის. მისი ინფორმაციით, XV ს-ში კახაბერ გურიელის დროს თურქებმა დაიკავეს ბათუმი და მისი შემოგარენი, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს. საუკუნის შემდეგ თურქები დაბრუნდნენ, მას შემდეგ, რაც გაიმარჯვეს სოხოისტას ბრძოლაში. 1564 წელს ბათუმი კელავ როსტომ გურიელმა აიღო, რომელმაც ის მყისვე დაკარგა. 1609 წელს ის კელავ დაიბრუნა მამია გურიელმა, ხოლო 1627 წლიდან ბათუმი ოსმალთა იმპერიის ნაწილი გახდა (6, 1108). აღნიშნულ სტატიას დაეყრდნო თურქი მეცნიერი დ. აიდინი, რომლის ნაშრომსაც ქვემოთ შევეხებით.

უცნობია ზ. ჭიჭინაძის წყაროებიც, რომელიც 1500, 1504, 1515 და 1519 წლებში ბათუმისათვის ქართველებისა და ოსმალების ბრძოლების დეტალებს გადმოგვცემს. ავტორის ინფორმაციით, ყველა ეს შემთხვევა ოსმალებისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა (7, 4-7).

დ. კობახიძის აზრით, XVI ს-ის 90-იან წლებში ოსმალების სულა გურიის და აჭარის მიმართულებით წარმატებული

გახდა. XVII ს-ის მეორე ნახევარში ქართველებმა დაიბრუნეს ბათუმი, მაგრამ მალე ისევ დაკარგეს. საბოლოოდ ბათუმი თურქეთის სულთანმა 1726 წელს დაიპყრო (8, 9).

ც. აბულაძემ და მ. სვანიძემ აღნიშნული ფაქტი, თურქი მეცნიერის ი. ჰ. უზუნჩარშილის გამოკვლევაზე დაყრდნობით, 1582 წლით დაათარიღეს (9,17), მაგრამ მ. სვანიძემ მოგვიანებით აზრი შეიცვალა და განსახილველი ფაქტი XVIII ს-ში გადაიტანა (ნაშრომი იბეჭდება). 1547 წელს უთითებს ნ.შენგელია (10, 250). ქსე-ში ბათუმზე სტატიის ავტორები მიიჩნევენ, რომ ის ოსმალებმა 1547 წელს დაიკავეს „1564 წელს როსტომ გურიელმა დაიბრუნა, მალე ისევ ოსმალთა ხელში გადავიდა. 1609 წ. მამია გურიელმა გაანადგურა ბათუმში მყოფი ოსმალთა გარნიზონი. მიუხედავად ამისა, ოსმალები კვლავ დაეუფლნენ მას“ (11, 148-149). 1549 წელი აქვს ლ. ურუშაძეს (12, 134). ე. ბრაიერი და დ. ვინფილდი ამ ფაქტს 1547-1552 წლებით ათარიღებენ (13, 345).

განსხვავებული მოსაზრებით, ბათუმი ქართველებმა XVIII ს-ის დამდეგს - 1703-1712 წლებში დაკარგეს (ვ. იაშვილი, ქ. ჩხატარაიშვილი, თ. ბერაძე, გ. ალასანია) (14; 15; 16; 17). ვ. ჯაოშვილის გამოკვლევაში ნათქვამია, რომ თურქები ბათუმის დაპყრობას XVI ს-ის პირველი ნახევრიდან, თითქმის 200 წლის მანძილზე ცდილობდნენ, თუმცა გურიელი ყოველი ასეთი თავდასხმის შემდეგ ქალაქს უკან იბრუნებდა და მხოლოდ 1726 წელს შეძლეს ოსმალებმა იქ საბოლოოდ გამაგრება (18).

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის წინ ჩვენ გამოვთქვით შეხედულება იმის თაობაზე, თუ როდის მოხდა ოსმალების მიერ ბათუმის დაპყრობა, ხოლო იგივე აზრი საკმაოდ დამაჯერებლად დასაბუთდა თ. ბერაძის გამოკვლევაში, უკანასკნელ წლებში გამოცემული ზოგიერთი თურქი მეცნიერის ნაშრომი გვიბიძგებს, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ საკითხს. შესაბამისი წყაროების ხელახალი გადახედვის შესაძლებლობას გვაძლევს, ერთი მხრივ, აღნიშნულ მონოგრაფიებ-

ში გამოყენებული საარქივო დოკუმენტები, ხოლო მეორე მხრივ, მკვლევართა ზოგიერთი დასკვნა, რომელიც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება მათსავე ნაშრომებში მოყვანილ მონაცემებს.

დ. აიდინი ბათუმზე მსჯელობისას, სხვა მასალასთან ერთად, „ისლამის ენციკლოპედიის“ ზემოხსენებულ სტატიასაც იმოწმებს და მისი ავტორის მსგავსად მიიჩნევს, რომ ბათუმი ოსმალებმა პირველად XV ს-ში გურიის გამგებლის კახაბერის დროს, ხოლო მეორედ - 1545 წელს დაიპყრეს. მკვლევარი ამასთანავე შენიშნავს, რომ იმდროინდელი საბუთი მას არ გააჩნია, თუმცა მოჰყავს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს 1545-49 წლებში ბიიკლი მუჰმედ ფაშას შვილის, მუსტაფა ფაშას, ტრაპიზონის სანჯაყბეგად ყოფნის დროს მის მიერ გონიოს ციხის საფუძვლიანად შეკეთების ფაქტს. ციხის შეკეთება 1550 წლის შუა ხანებში მთავრდება. შემდეგ მკვლევარი იძლევა ინფორმაციას ბათუმის სანჯაყის შექმნის შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ ფაქტის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. 1556 წლის 24 აგვისტოს დოკუმენტზე (მუჰიმმე-დან) დაყრდნობით, მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბათუმის სანჯაყი 1549 წლის დეკემბრამდე უკვე არსებობდა და რომ მისი პირველი სანჯაყბეგი ემირ ბეი იყო. აქვე ავტორი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ვინაიდან ბათუმის სანჯაყბეგები გონიოს ციხეში ისხდნენ, ბათუმის სანჯაყბეგი გონიოს სანჯაყბეგადაც იწოდებოდა. დ. აიდინი დაწვრილებით მსჯელობს ბათუმის სანჯაყის ტერიტორიაზე, თუმცა, სათანადო მასალის უქონლობის გამო, ზუსტ საზღვრებს არ უთითებს. იგი აღნიშნავს, რომ ბათუმის სანჯაყის აღწერის და შესაბამისი დავთრის შექმნის დრო ცნობილი არ არის. ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია, რომ 1564 წ. ბათუმის სანჯაყი ხელახლა იქნა აღწერილი, თუმცა შესაბამისი დავთარი მკვლევარმა ვერ მოიძია. მისი აზრით, პრემიერ-მინისტრის არქივის №1032 ბათუმის უთარიღო დავთარი მოგვიანებით იქნა შედგენილი. მისთვის უცნობია, თუ რამდენი კაზასაგან შედ-

გებოდა ბათუმის სანჯაყი. მისი აზრით, ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ შემდგომი წლების მასალებით, რომელთა მიხედვითაც, 1565-1566 წწ-ში ბათუმის სანჯაყი გონიოს ციხის, არჰაევეს და ათინას ნაჰიეებს შეიცავდა. ამავე ავტორის შენიშვნით არც ბათუმის საბეგლარბეგოს შექმნის ზუსტი თარიღია ცნობილი. არსებობს მონაცემები, რომ 1580 წელს მას ფაშის (ფოთის) სანჯაყი მიუერთდა (19, 258-260, 66, 71).

როგორც ვხედავთ, დ. აიდინის ნაშრომში მოყვანილ მასალაში იხსენიება გონიო, გონიოს ციხე, მაგრამ არაფერია იქ ბათუმის აღებასა და ბათუმის ციხის აგებაზე. მართალია, აქ იხსენიება ბათუმის სანჯაყი, მათ შორის ამასიის ზავის შემდგომ წლებში და 1569-1585 წწ. შორის შედგენილი ერზურუმის საბეგლარბეგოს დავთრებში (19, 73-74), მაგრამ ამავე დოკუმენტებში ვერ ვხვდებით გონიოს სანჯაყს, ხოლო, როგორც დ. აიდინი შენიშნავს, ბათუმის სანჯაყი იგივე გონიოს სანჯაყია.

ბათუმი არაერთხელ იხსენიება მეორე თურქი მკვლევრის ბ. ქუთუქოღლუს გამოკვლევაში (20,35,38,75,150,188,191,231). მის ნაშრომში გამოყენებულ და დამოწმებულ სხვადასხვა საარქივო დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ აპირებდნენ ოსმალები ირან-ოსმალეთის ომის დროს, XVI ს-ის 70-80-იან წლებში, ბათუმის გამოყენებას. აქ ხშირია ბათუმის ბეგის ხსენება, რომელიც იგივე ტრაპიზონის ბეგია, ტრაპიზონის და ბათუმის ნავსადგურის, სადაც უკანასკნელი, კონტექსტებიდან გამომდინარე, ან იგივე ტრაპიზონია, ან გონიო. ერთ-ერთ საბუთში არის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს პროვიანტის ტრაპიზონში და ბათუმში ჩატანა, ხოლო შემდეგ დაქირაებული საქონლით მისი ერზურუმში გადატანა (18, 35). ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ ბათუმი იგულისხმებოდეს, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, საჭირო იყო ჭოროხის გადალახვა. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თურქი მეცნიერი მ. ფ. კირზიოღლუ ყველა ანალოგიურ შემთხვევაში ბათუმის ხსენებისას ფრჩხილებში ან ტრაპიზონს, ან გონიოს უთითებს (21,13-16, 19 და სხვ.). ზოგიერთ შემთხვე-

ვაში თურქულ საბუთებში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ტერიტორიის დასაპყრობად ციხეების აგებას (21, 414,; 20,38). ამაეე საბუთებში ასეთ საჯრდენად დიდი ხნის მანძილზე გონიოს ციხე ჩანს.

იმის გასარკვევად, თუ სად გადიოდა შაე ზღვაზე საზღვარი საქართველოსა და თურქეთს შორის, აუცილებელია კიდეე ერთხელ გავადევნოთ თვალი წყაროებს.

ვახუშტი ბაგრატიონი 1546 წლის ამბებში, რასაც 1548 წლის მოელენები მოსდევს, მოგვითხრობს თურქების თავდასხმის შესახებ: „მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა ... მიუღეს გურიელს ჭანეთი, და უწყეს შენება ციხისა ბათომს. ესე აცნობა გურიელმან ლეევან დადიანსა და მეფესა ბაგრატს: „უკეთუ მძლიონ მე, მოიწეევიან თქუენზედაცა, ამისთჳს შემეწიეთ“ ... ხოლო მისლვამდე ამათთა ეწყო გურიელი ოსმალთა და თავდასხმით აოტნა ოსმალნი ჴმელეთსა ზედა და მოსრნა იგინი, და სხუანი შეეიდნენ კატარღებთა შინა და განეიდნენ ჭოროხს იქით. მაშინ მდინარე ჭოროხი მდიდრობდა, რამეთუ მდინარენი განდიდებული იყენენ. ამისთჳს ეერღარა განეიდა გურიელი. მიეიდნენ ოსმალნი, დაუწყეს შენება უმეტესად ციხე გონიოს ... მაშინ მეგრელთა ... უკუნ იქცნენ ფოთიდამ და წარეიდნენ თჳსად ... გურიელს აღუძნდა უკუნქცეეა დადიანისა, რამეთუ ნავებითა თჳსითა არა ძალედვა განსელა გონიას და ბრძოლა ოსმალთა და განმაგრება გურიისა ... ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე გონია და შემოვიდნენ, მოწყუდნეს და მოსტყუეევნეს ჭანეთი და აჭარა, და დაიპყრეს თჳსად, რამეთუ ეპყრა იგინი გურიელსა“ (22, 813-814).

როგორც ეხედავთ, ქართული წყაროს მიხედვით, თურქებმა ბათუმის დაპყრობა ფაქტობრივად ვერ მოახერხეს და დ. ბაქრაძე უზუსტობას უშვებს, როდესაც აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით საწინააღმდეგოს აღნიშნავს. რამდენად ხერხდება ვახუშტის ცნობის შემოწმება სხვა წყაროებით და შეესაბამება თუ არა ის სინამდვილეს?

1550 წ. საქართველოს მიმართულებით ორი ლაშქრობი-

დან ერთ-ერთის გონიოს ლაშქრობად მოხსენიება (19, 70) ალბათ იმაზეც მიუთითებს, რომ საზღვარი იმ დროს სწორედ გონიოზე გადიოდა.

1556 წლის ერთ-ერთი თურქული საბუთის მიხედვით (muhimme 11, გვ.161), „ფათიჰის დროიდან ჭოროხის მდინარიდან ტრაპიზონის სანჯაყია". აქედან ცხადია, ბათუმი საქართველოს საზღვრებში რჩება. აღნიშნული საბუთის მიხედვით, ბათუმის სანჯაყის ცენტრი გონიოა. მაგრამ იმ ხანებში, როგორც ჩანს, გონიოში ყოფნა არცთუ უსაფრთხოა. ამიტომ ბათუმის ბეგს სთავაზობენ ან შებინ კარაჰისარში ან ტრაპიზონში ჯდომას. ამ საბუთით დასტურდება 1556 წლამდე გონიოს ციხის შენების ფაქტი (21, 414-415).

1576 წ. ერთ-ერთი დოკუმენტიდან (muhimme XXVIII, გვ.810) ჩანს, რომ ტერიტორია ჭოროხიდან ფაშის (ფოთის) მდინარემდე ოსმალებს დაპყრობილი არა აქვთ, მაგრამ მისი დაკავება შესაძლებელია (21, 419).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1587 წ. გურიის ტახტზე კვლავ დაბრუნებული გიორგი გურიელი, რომელიც მანამდე ოსმალეთს აფარებდა თავს, საქართველოში შემოსვლამდე სწორედ გონიოში ჩერდება: „დაჯდა გიორგიე გურიელად შეწევნითა ოსმალთათა, რამეთუ მოსრულ იყო სტამბოლიდან და იყოფოდა გონიოს" (22, 820).

მისიონერი ლუი გრანჟე 1615 წ. წერს, რომ 1614 წლის 13 დეკემბერს ზაზა გურიელსა და ფაშას კაცს შორის დაიდო საქართველოს ნაესადგურში, ბათუმში (23, 138).

XVII ს-ის დასაწყისში (1607-1609 წწ.) აინი ალის *რისალეს* მიხედვით, ტრაპიზონის ეიალეთი ტრაპიზონის და ბათუმის სანჯაყებისაგან შედგებოდა. მასში 56 ზეამეთი და 498 თიმარია (24, 23), ასევეა 1653 წელს სოფიელი ალი ჩაუშის მიხედვითაც. ავტორი 554 კილიჩს უთითებს, რაც ემთხვევა აინი ალის მონაცემებს. იგივე ვითარებაა კოჩი ბეის *რისალეში* (9, 17-18). ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმას" გამომცემლის ჩანართში (XVIII ს-ის 30-იანი წლები) აღნიშნულ ეიალეთში მი-

თითებულია სამი სანჯაყი: ტრაპიზონი, გონიო და ბათუმი (15, 170). თუმცა ცნობის შეტანის დროისათვის ბათუმი უკვე მართლაც ოსმალეთს ეკუთვნის, მოყვანილ ცნობაში არსებითად არაფერი იცვლება. პირიქით, აქ კილიჩების რაოდენობაა 454; მათგან 56 ზეამეთი და 398 თიმარია.

ეველია ჩელები ტრაპიზონის ეიალეთში ათაესებს 5 სანჯაყს. ესენია: ჯანჰა (ე. ი. ჯანიკი), ქვემო ბათუმი, ზემო ბათუმი, გონიო და ტრაპიზონი. ამათი ფაშა ტრაპიზონშია ხის. „ტრაპიზონის ლივაში 43 ზეამეთი და 226 თიმარია. ბათუმის ლივაში - 13 ზეამეთი და 72 თიმარი. ტრაპიზონში სულ ოთხას ორმოცდათოთხმეტი საკარგაეია“ (25, 81-82). ამგვარად, ფაქტობრივად, ეველია ჩელებისთანაც 56 ზეამეთია, ხოლო თიმარი უფრო ნაკლები, ვიდრე ქათიბ ჩელებისთან - 298. მიუხედავად ამისა, ამ ერთეულების საერთო ჯამი აქაც იმდენივეა, რამდენიც ქათიბ ჩელებისთან - 454. თუ მოყვანილ რიცხვებს ერთმანეთს შევუდარებთ, აშკარა ხდება, რომ ყველა წყარო ერთსა და იმავე ჩვენებას შეიცავს: 56 ზეამეთი, თიმარები კი - 498, 398, 298, თუმცა საერთო ჯამია ან 554, ან 454. სხვაობა თიმარების ან საერთო რაოდენობაში ალბათ კორექტურული შეცდომებით უნდა აიხსნას.

იმავე ეველია ჩელების თანახმად, „ტრაპიზონის ერთი სახელთაგანია ქალაქი ქვემო ბათუმი“ (95, 82). თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ჩამონათვალში „ჯანჰა, ქვემო ბათუმი, ზემო ბათუმი, გონიო და ტრაპიზონი“, ზოგიერთი პუნქტი, მაგალითად, ზემო ბათუმი და ტრაპიზონი ორჯერ არის დასახელებული. არ არის გამორიცხული, რომ ზემო ბათუმი გონიოს დასახელება იყოს, ხოლო ეველია ჩელების წყარო ერთსა და იმავე პუნქტს ორი სხვადასხვა დასახელებით იძლეოდეს.

ის, რომ ბათუმი და ტრაპიზონი ხშირად ერთსა და იმავეს გულისხმობს, კარგად ჩანს სულთნის მიერ დიდი მოურავის გიორგი სააკაძისადმი გაცემული სიგელითაც. სიგელის მიხედვით ერთი და იგივე პირი ბათუმის ბეგლარბეგიც არის და ტრაპიზონისაც. თუ სიგელის დასაწყისში ნათქვამია, „აწ

ბათუმის ბეგლარბეგი წარჩინებული ემირთა ემირი ომერი", დასასრულს, იგივე პირი უკვე ტრაპიზონის ბეგლარბეგია - „შენ მმართველად დანიშნული ზემოხსენებული ტრაპიზონის ბეგლარბეგი ომერი (26,241). თავის დროზე ქ. ჩხატარაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ XVII ს-ის თურქულ წყაროებში მოხსენიებული „ბათუმის ბეგლარბეგი იგივე ტრაპიზონის ბეგლარბეგია" (27).

ის, რომ ეელია ჩელების ზემოთ განხილულ ცნობებში ბათუმი არ შეიძლება იგულისხმებოდეს, ჩანს სხვა მისი მონაცემებით. თუ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მოგზაური ბათუმს ტრაპიზონის ეიალეთში ათავსებს, სხვაგან ავტორი გვარწმუნებს, რომ საზღვარი ოსმალეთსა და სამეგრელოს შორის გონიოს ციხეზე გადის. მისი ჩვენებით, „გონიოს ციხე ტრაპიზონის ვილაიეთში და ბათუმის სანჯაყში შედის... მაგრამ, რადგან სამეგრელოს მისადგომებზეა და (სახელმწიფოს) ფარგლების დასასრულია, ციხისთავი და ხუთასამდე მეციხოვნე ჰყავს.. ამ ჯარს ლაშქრობა არ ევალება და ციხეს იცავს" (25, 941).

XVII ს. თურქი ავტორის ქათიბ ჩელების მიხედვით, მეგრილის, იგივე გურიის, საზღვარი გონიოს ემიჯნება. ბათუმი საქართველოს ფარგლებშია „ჯიჰან-ნუმას" კავკასიის რუკაზეც, რომელიც 1657-1680-იანი წლებით თარიღდება (15, 55, 136).

ქრ. კასტელის მონაცემებით, რომელიც საქართველოში XVII ს 30-40-იან წლებში იმყოფებოდა, „გურიის ახლოს გონიოს ციხე-სიმაგრე ბატონ ათაბაგებისა იყო. ახლა თურქების ხელშია. აქ არის თურქების ერთი სანჯაყი" (28,171).

XVII ს. 70-იან წლებში საქართველოში მყოფი ჟ. შარდენი დაწერილებით აღწერს გონიოს ციხეს. მისი ცნობით, ტერიტორია გონიომდე გურიელს ეკუთვნის. „30-ში ნაშუადღევს ჩავაღწიეთ გონიოში. მდინარე ფაზისიდან აქამდე ორმოცი მილია. მთელი ეს ნაპირი მაღალი და კლდოვანია. ზოგან ტყით დაფარული, ზოგან - შიშველი. იგი ეკუთვნის გურიის მთა-

ვარს, რომლის ქვეყანა გადაჭიმულია მდინარემდე, რომელიც გონიოდან ნახევარი მილით არის დაცილებული“ (29,259).

1703 წელს საქართველოს გამგებლებმა უარი თქვეს თურქებისათვის ხარკის გადახდაზე, რასაც უკანასკნელთა ლაშქრობა მოჰყვა. თურქი ავტორის მეჰმედ რაშიდის ცნობით, 1703 წელს გაიცა ბრძანება ბათუმის ციხის აშენების შესახებ. აღნიშნული ცდა ამჯერად ოსმალებისათვის წარმატებული აღმოჩნდა (30,24).

1712 წელს აჰმედ III-ის მიერ ბათუმის სანჯაყ-ბეგ აჰმედისადმი ნაბოძები სიგელიდან ირკვევა, რომ ამ წელს დავთარში პირველად შეიტანეს მდ. ჭოროხის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია - კახაბერი, ერგე, ბათომი და ჩაქვი (31, 270-275; 16, 63). ამ დროიდან 1878 წლამდე ბათუმი უკვე ოსმალეთის შემადგენლობაშია.

1804 წელს ლიტვინოვისადმი გაგზავნილ ლევან გურიელის წერილში ნათქვამია: „ხინო და ქობოლეთი რომ დაკარგული გვაქვს, ოცდა ათი წელია, ჩაქვი და ბათუმი რომ დაკარგული გვაქვს, ოთხმოცი წელიწადია. რკინის პალოს აქეთ ჩვენი ყოფილა აჭარა, მაჭახელი სულ ირგელივ, მაგრამ რამდენი წელიწადი არის მას აქეთ, ის ჩვენ არ გვახსომს“ (32,544).

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. Т. Т. Степанов, Исторический очерк вступления русских войск в город Батум 25 авг. 1878 г. - Сб. *Батум и его окрестности.*Батум, 1906.
2. А. Френкель, *Очерки Чурук-су и Батума,* Тифл., 1879.
3. Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджарии. – *Известия Кавказского отдел. Императорского Российского Географического общества.* т.П,1874.
4. დ.ბაქრაძე, *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში,* სანქტპეტერბურგი, 1878.

5. Н.С. Державин, Историко-географический очерк Батумского края. - Сб. *Батум и его окрестности*. Батум, 1906.
6. Ch.Quelquejay.Batumi - *The Encyclopaedia of Islam*. vol.I, New Edition, Leiden-London, 1960.
7. ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი 1452-1926 წწ-ში, აღწერილი და გამოცემული ზ.ჭიჭინაძისაგან, ტფ., 1927.
8. Д.Х. Комахидзе, *Батум*. Тб., 1968.
9. Ц.А. Абуладзе, М.Х.Сванидзе, Реестры Трапезунекого, Чилдырского и Карсского эйялетов - *Тюркологический сборник*, 1975, М., 1978.
10. Н.Н. Шенгелия, Османские документы о крепостях Батуми и Гонио. - *Тюркологический сборник*, 1975, М., 1978.
11. ე. ჯაოშვილი, ი. სიხარულიძე, ე. ბაგრატიონი, ბათუმი. - *ქსე*, II, 1977.
12. ლ. ურუშაძე, *საქართველოს ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში*, თბ., 1994.
13. A. Bryer, D. Winfield, *The Byzantine Monuments and Topography*. vol. I, Washington D.C. 1985.
14. ე. იაშვილი, *აჭარა ოსმალეთის ბატონობის პერიოდში*, ბათუმი, 1948.
15. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ.ალასანიამ. თბ., 1978
16. Т.Н. Берадзе, *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии*, Тб., 1989.
17. ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი). - *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*. თბ., 1972.
18. ე. ჯაოშვილი, *ბათუმი*. 1966.
19. D. Aydin, *Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilatı. Kuruluş ve Genişleme Devri (1535- 1566)*, Ankara, 1998.
20. B. Kütükoğlu, *Osmanlı-Iran siyasi münasebetleri (1578- 1612*,. Istanbul, 1993.

21.M. F. Kırzıoğlu, *Osmanlılar'ın Kafkas Ellerini Fethi (1451-1590)*, Ankara, 1998.

22. ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - ქართლის ცხოვრება* IV, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

23.მ. თამარაშვილი, *ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის.* თბ., 1902.

24.Ayni Ali. *Kanunname-i Ali Osman, Osmanlı devleti arazı kanunlar*, Ankara, 1962.

25. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971.

26. ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი - *ენიმკის მოამბე*, XIII, თბ., 1934.

27. ქ. ჩხატარაიშვილი, ტოპონიმ „ბათომის" და ბათომის მხარის ისტორიისათვის (თეზისები). – *ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესია*, თბ., 1969.

28. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ.გიორგაძემ, თბ., 1976.

29. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975.

30. მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოს და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976.

31. ქ. ჩხატარაიშვილი, საყურადღებო დოკუმენტი საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის. - *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 1976.

32. АКАК т.1.

XVI საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ არცთუ ბევრი მასალაა შემორჩენილი. რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ უკვე „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლები და ვახუშტი ბაგრატიონი, რომელთაც ხარვეზის შევსება ერთეული დოკუმენტის, წარწერისა და ზეპირი გადმოცემის მიხედვით უხდებოდათ. კვლევა მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა, თუმცა არაერთი საკითხი დღესაც მოითხოვს შემდგომ დაკვირვებას, შევსებას ან დაზუსტებას.

ამჯერად შევეხებით XVI-XVII ს-ის პირველი ნახევრის გურიის გამგებელთა თანამიმდევრობას და მათი გამგებლობის ზოგიერთ საკითხს. ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, როსტომ გურიელის გარდაცვალების შემდეგ (1564 წ.) გურიის გამგებელი გახდა მისი შვილი გიორგი, რომელიც ამ მხარეს XVI ს-ის დასასრულამდე განაგებდა, რის შემდეგაც ტახტს რიგრიგობით მისი შვილები ეუფლებიან. ამ დროს დასახელებულია ვახტანგი, რომლის შესახებაც გამოკვლევებში აზრთა სხვადასხვაობაა.

ვინ იყო ვახტანგი?

XVI ს-ის მეორე ნახევარში და XVII ს-ის პირველ ნახევარში გურიის გამგებლად ორჯერ იხსენიება ვახტანგი. 1583-1587 წლების გარდა, ვახტანგ გურიელი ჩანს 1639-1640 წლებშიც. ცნობები ვახტანგ გურიელის შესახებ შემოგვინახა, როგორც ქართულმა, ისე უცხოურმა ნარატიულმა და დოკუმენტურმა წყაროებმა. მაგრამ წყაროების მიმოხილვამდე შევეხებით საკითხის ისტორიას, იმ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია სამეცნიერო ლიტერატურაში გურიელთა თანამიმდევრობის შესახებ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში.

დ. ბაქრაძის ნაშრომზე „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ დართულ გურიელთა სიაში როსტომ გურიელის მომდევნო გამგებლად დასახელებულია ჯერ ვახტანგ გურიელი, ხოლო მის შემდეგ - ქაიხოსრო [1, 240 - 242].

ო. სოსელიას როსტომ I-ის, მამია I-ის ძის (1534-1564) შემდეგ დასახელებული ჰყავს გიორგი II, როსტომ I-ის ძე (1564-1583), ვახტანგ I, გიორგი II-ის ძე (1583-1587), გიორგი II, როსტომ I-ის ძე (1600-1625), სვიმონ II, მამია II-ის ძე (1625) და ქაიხოსრო I, ვახტანგ I-ის ძე (1626-1658)[2,135-136].

ქ. ჩხატარაიშვილს, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „გურიის სამთავრო", გურიელების შემდეგი თანამიმდევრობა აქვს წარმოდგენილი: გიორგი II, როსტომ I-ის ძე (1566-1583), ვახტანგ I (1583-1587), გიორგი II(1587-1600); მამია II, გიორგი II-ის ძე (1600-1625); სვიმონ II, მამია II-ის ძე (1625), მალაქია I, გიორგი II-ის ძე (1625-1639), ვახტანგ II (1639-1640), ქაიხოსრო I, ვახტანგ I-ის ძე (1640-1660) [3, 350-355].

XVII ს-ის პირველ ნახევარში გურიელთა თანამიმდევრობას შეეხო ბ. გიორგაძე. მისი აზრით, ამ წლებში გურიას მართავდნენ 1. მამია გურიელი, 2. სვიმონ გურიელი, 3. მალაქია გურიელი, 4. ვახტანგ გურიელი და 5. ქაიხოსრო გურიელი. აღნიშნული სია ემყარება მისიონერთა ინფორმაციებს, რომლებიც მოვლენების თანამედროვეები იყვნენ და, ამდენად, უფრო კარგად იცნობდნენ ვითარებას, ვიდრე, ვთქვათ, ქართული ნარატიული წყაროები [4, 33].

„პირთა ანოტირებულ ლექსიკონში", რომელშიც მასალა დოკუმენტების მიხედვითაა წარმოდგენილი, გურიელების ოჯახის წევრები (მამაკაცები) არიან: გიორგი (1534-1566), ხოსროთაგანი (1557-1562), მამია (1572-1627), ვახტანგ ბატონიშვილი (1572-1583), მალაქია (1616-1621-1629), მანუჩარი (1601-1627), სვიმონი (1610-1660), ქაიხოსრო (1658-1660) [5, 780-782].

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა.

ქართულ ნარატიულ წყაროებში ვახტანგ გურიელი სულ რამდენიმეჯერ იხსენიება. „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებაში ვკითხულობთ: „ამა მანუჩარს (დადიანს - გ. ა.) ჰყვანდა კახ-ბატონის ალექსანდრეს ქალი ნესტან-დარეჯან, რომელი მიათხოვა დიდის მზითუთა და დიდებითა. ჰყვანდა

მასთან ძე ერთი, რომელსა სახელად ეწოდა ლეონ. შემდგომად შობისა ყრმისა ამის, მომკუდარიყო ქალი იგი და შეერთო ათაბაგის ქალი ქურიე, ცოლ-ყოფილი ვახტანგ გურიელისა, დედა ქაიხოსროსი, რომელი შემდგომად გურიელი იქმნა, და ოდიშს იგი ბატონობდა. და გურიას გიორგი გურიელი მომკუდარიყო და ვახტანგ ძე მისი დამჯდარიყო გურიელად“ [6, 375]. ტექსტის მიხედვით, თამარის პირველი მეუღლე ვახტანგ გურიელი თითქოს გარდაცვლილია, რადგან მისი მეუღლე იხსენიება როგორც ქვრიე. ეს ვახტანგი არ იყო გიორგი II გურიელის ვაჟი, რადგანაც ეს უკანასკნელი ცოცხალი ჩანს მამის გარდაცვალებისას და მის ადგილს იკავებს.

ვახუშტი ბაგრატიონი ასევე არ აკუთვნებს გიორგი გურიელის ოჯახს ვახტანგს. მისი ინფორმაციით „დადიანმან მამიამ... შემოიკრიბნა სპანი და მივიდა გურიას. ამას ეკუეთა გიორგი გურიელიცა და ბრძოლასა იძლია გურიელი და ივლტოდა სტამბოლს. მაშინ დადიანმა მოიყვანა ტომი გურიელთა ვახტანგ და დასუა გურიელად“ [7, 819]. „ამავ წელს მოკუდა გურიელი ვახტანგ, და დაჯდა გიორგიე გურიელად შეწევნითა ოსმალთათა, რამეთუ მოსრულ იყო სტამბოლიდამ და იყოფოდა გონიას“ [7, 820]. 1591 წლის მოვლენებში ისევ იხსენიება ვახტანგ გურიელი, როგორც გარდაცვლილი: „მანუჩარ დადიანმან შემდგომად გლოვისა მოიყვანა ცოლად ქურიე ვახტანგ გურიელისა და ასული ათაბაგისა და იქორწინა მის თანა“ [7, 823].

ამგვარად, ამ მონაცემების მიხედვით, 1580-იანი წლების გამგებელი ვახტანგ გურიელი არ არის გიორგი გურიელის შვილი, ხოლო მისი მეუღლის, თამარის, მეორედ გათხოვებისას, ის დიდი ხნის გარდაცვლილია.

ქართული დოკუმენტური წყაროები არ ადასტურებს ნარატიული ძეგლების ინფორმაციას. ჩვენთვის საყურადღებო ერთ-ერთი უთარიღო საბუთია ვახტანგ გურიელის მიერ გოგიტიძეებისათვის მიცემული სიგელი, რომელიც თავის დროზე დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა. გამომცემელს სიგელის უტყუა-

რობაში ეჭვი არ შეუტანია, თუმცა ყურადღება მიაქცია ქართულ მატიანეებთან მის შეუთანხმებლობას. სიგელში იხსენიებიან გურიის გამგებელი გიორგი, როგორც გიორგი, ხოლო მისი შვილები მამია და ვახტანგი, როგორც გურიელები, ზარზმის საყდრის აშენება შემოქმედში და მისი შემკობა დოკუმენტში ვახტანგ გურიელს მიეწერება: „...მონამან შენმან გიორგის შვილმან პატრონმან გურიელმან ვახტანგ ... მას ჟამსა შ-ა აღვაშენეთ და შევამკეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძუალესა ჩუენსა წ-და ხატი ესე შენი მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩუენისა და ძმისა ჩუენისა გურიელისა მამიას გასამარჯუებლად და ძეთა და ასულთა მისთა საოხად და აღსაზრდელად...“ [1, 117-119].

ქართული წყაროების შეუთანხმებლობაზე მიუთითა ნ. კონდაკოვმაც და აღნიშნა, რომ ვახუშტის შეცდომა ვახტანგის წარმოშობის შესახებ უნდა გასწორდეს [8, 115]. დ. ბაქრაძის და ნ. კონდაკოვის აზრით, სიგელში ვახტანგი ნომინალურ მთავრად, მამია კი - ნამდვილ მთავრად ჩანს [1, 118; 8, 119].

წყაროთა შეუთანხმებლობას ყურადღება მიაქცია ე. თაყაიშვილმაც. მკვლევარი შეეხო გოგიტიძეების სიგელს, რომელიც სანდოდ მიიჩნია [9, 27]; სანდოდ მიიჩნია მან აგრეთვე ქრონიკის 1640 წლის ცნობა ვახტანგ გურიელის გარდაცვალების შესახებაც, ისევე როგორც სინქრონული რუსული წყაროების ცნობები იმავე ვახტანგ გურიელის შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად არავითარი ახსნა არ მოუცია.

ო. სოსელიამ გაიზიარა აზრი საბუთის უტყუარობის შესახებ და შესაძლებლად ჩათვალა, რომ დასახელებულ საბუთში გურიელი მხოლოდ გვარის მნიშვნელობით იყო ნახმარი და არა მთავრის ხელისუფლების მქონე პიროვნების გაგებით, „ან იქნებ იმ დროს (1572) ვახტანგი განაგებდა გურიას ფაქტიურად, მაშინ როცა ნომინალურად გურიის მთავრად გიორგი II ითვლებოდა“ [2, 135].

ე. ბერიძის აზრი გოგიტიძეების სიგელზე დიამეტრულად განსხვავებულია: „გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს სიგე-

ლი არ არის სანდო“ - აღნიშნავს მკვლევარი. საბუთის არასანდოობის ძირითადი არგუმენტები მისთვის ქართული ნარატიული წყაროების მონაცემებია. ერთ-ერთი ხატის წარწერაში ზარზმის ტაძრის მშენებლად მამიას მოხსენიება და ის, რომ საბუთზე ქორონიკონით მითითებული თარიღი - 260, რომელსაც სხვა მკვლევარები კითხულობენ როგორც 1572 წელს, არაერთარ კაეშირში ამ საბუთთან და არც ძეგლის აგებასთან არ არის. აღნიშნული ქორონიკონის მე-14 მოქცევისათვის მიკუთვნება, რაც დ.ბაქრაძისაგან მომდინარეობს, ე.ბერიძეს შეცდომად მიაჩნია, ვინაიდან ფირფიტა, საიდანაც აღნიშნული თარიღი სიგელში მოხვდა, XI ს-ს განეკუთვნება. თვით ძეგლის აგების ზედა მიჯნად მას დასახელებული აქვს XVI-XVII სს. შესაყარი, ხოლო ქვედად - 1578 წ. [10, 125-134].

უფრო დაწვრილებით აღნიშნულ სიგელს შეეხო ქ. ჩხატარაიშვილი. იმის გამო, რომ, მისი რწმენით, გიორგი გურიელის შვილები მხოლოდ XVII ს-ში ხდებიან გურიელები, იგი გოგიტიძეების სიგელსაც და შემოქმედის ზარზმის ტაძრის აგებასაც XVI-XVII სს-ის მიჯნით ათარიღებს. თუმცა მის მიერ სიგელში მოწმეებად მითითებული პირების იდენტიფიკაცია სრულიად უეჭველს ხდის მხოლოდ დოკუმენტის შედგენის ზედა ზღვარს - XVI ს-ის დასასრულს (მამია II-ის დაქორწინება თინათინზე - 1597 წ.) და არა ქვედას [3, 130-136]. მკვლევართა ნაწილმა, მაგალითად, მარი ბროსემ [11, 186-188], ქ. ჩხატარაიშვილმა [3, 352], ვ. გუჩუამ [12, 140], ი. ანთელავამ [13, 29] სარწმუნოდ მიიჩნია ქართული ნარატიული წყაროების ცნობები და 1580-იანი წლების ვახტანგ გურიელი არ ჩათვალა გიორგი გურიელის შვილად, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილი მას გიორგი გურიელის შვილად მიიჩნევს, მაგალითად, დ. ბაქრაძე [1, 241], ო. სოსელია [2, 135], ს. ყაუხჩიშვილი [6, 656 მკვლევარი ვახტანგს მამია გურიელის მამად მიიჩნევს], „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ შემდგენლები [5, 750]; თუ პირველი სამის განკარგულებაში მხოლოდ გოგიტიძეების სიგელი და ნარატიული წყაროები იყო და ისინი მხო-

ლოდ მათზე დაყრდნობით გამოტქვამდნენ თავის ვარაუდს, უკანასკნელებს ამისათვის სრულიად მყარი საფუძველი ჰქონდათ.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი დოკუმენტის პირი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, სრულიად უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ 1580-იანი წლების ვახტანგ გურიელი გიორგი გურიელის შვილია. შეწირულების წიგნში, რომელსაც ხელს აწერს ვახტანგი, ნათქვამია: „გურიელის გიორგის ძემან შვილმან ბატონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩემმან ათაბაგ ქალმან ბატონმან თამარ“ [14].

თუ ეს ვახტანგი გიორგი გურიელის შვილია, ვინ არის 1639-40 წწ. ვახტანგ გურიელი? ქართული ქრონიკის მიხედვით ქ-სა 328-1640 „აქა ვახტანგ გურიელი მიიცვალა. ქაიხოსრო გურიელად დაჯდა“ [9. 27]. თუ ქართული ქრონიკა არ აზუსტებს, ვინ არის ეს ვახტანგი, მისიონერების ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ იგი მანამდე გურიის გამგებლად მყოფი მალაქიას ძმაა. ბ. გიორგაძეს მოტანილი აქვს ჯუდიჩეს სიტყვები: „როცა დადიანმა თავისი მტერი სიმონ-ხანი ბრძოლაში დაამარცხა, სიმონის ბიძა, გურიის მთავარი მალაქია, ამ მხარის მთავრად და პატრიარქად დაადგინა. შემდეგ მან მალაქიას გარდაცვალება რომ შეიტყო, სამფლობელოს დაკარგვის შიშით სასწრაფოდ თავისი ჯარით იქ გაჩნდა, ისე, რომ ვერავის შესძლებოდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დადიანმა დაიპყრო ეს მხარე და სხვათა სურვილის წინააღმდეგ მოითხოვა, რომ მთავრად ყოფილიყო მალაქიას ძმა, მისიონის უდიდესი მტერი ვახტანგი“ [4, 33]. მთავრის, ვახტანგ გურიელის პორტრეტი მოთავსებულია კასტელის ალბომში [4]. ამავე ვახტანგს იხსენიებს რუსული წყაროები. მათი ცნობებით დადიანმა გურიელს აღსაზრდელად მისცა თავისი ქალი [15, IX]. ამგვარად, თუ მისიონერის ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, ვახტანგი ორსავე შემთხვევაში გიორგი გურიელის შვილია, მალაქიას ძმა, ე. ი. 1580-იანი წლებისა და 1639-40 წლებისა

ვახტანგი ერთი და იგივე პირი გამოდის. თავის დროზე ს. კაკაბაძემ გამოთქვა აზრი, რომ ზარზმის „სიგელის მომცემი ვახტანგ გურიელი უნდა იყოს ის პირი, რომელიც გურიელობაში შეუდგა მალაქია კათალიკოსს (1639) და ერთი ქრონიკული ცნობის მიხედვით გარდაიცვალა 1640 წ.“ [16, 204].

როგორ შეეათანხმოთ ყოველივე ეს ქართულ წყაროებთან, რომლებიც ვახტანგს XVI ს-ის 90-იან წლებში გარდაცვლილად მიიჩნევს, ხოლო მის ყოფილ მეუღლეს, თამარს, მანუჩარ დადიანზე დაქორწინებისას ქვრივად იხსენიებს? ასეთი ცნობა ერთ-ერთ ქრონიკაშიც არის შესული: 1592 - „მანუჩარ დადიანმა იქორწინა ვახტანგ გურიელის ქვრიეზე“ [17, 427]. ეს თამარი იხსენიება შემოქმედის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში თავის შვილთან ქაიხოსროსთან ერთად „მოგიჭედინეთ ხატი სახისა თქვენისა... თქვენმან დედოფალმან ათაბაგის ქალმან ბატონმან თამარ თანამეცხედრემან გურიელისა ვახტანგისამან და დავასვენეთ შემოქმედის საფლავსა ზედან გურიელისა ვახტანგისასა და ხსნად სულისა მისისათვის... და ძისა ჩემისა გურიელისა ბატონისა ქაიხოსროსათვის სადღეგრძელოდ...“ [1, 111]. აღნიშნული წარწერა გვიანდელია და მართლაც ეკუთვნის იმ წლებს, როდესაც გურიის გამგებელი ქაიხოსროა, ხოლო ვახტანგი გარდაცვლილია.

შეცდომა მისიონერთა ჩანაწერებში ნაკლებად არის მოსალოდნელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი მოვლენათა თანამედროვეები და თანამონაწილეები არიან, რასაც ვერ ვიტყვით ამ შემთხვევაში ქართულ წყაროებზე. მსგავსი უზუსტობა ქართულ წყაროებში სხვა დროსაც შეინიშნება. მაგალითად, ვახუშტის ლევან II დადიანის და ქაიხოსრო გურიელის და, მარიამი, ქართლის მეფე როსტომთან შეუღლების დროს ქვრივად მიაჩნია [7, 828], მიუხედავად იმისა, რომ კარგად არის ცნობილი მისი პირველი მეუღლის, სიმონის, შემდგომი ბედი, ის, რომ მან საკმაოდ დიდხანს იცოცხლა და არც მარიამს გაუწყვეტია მასთან გარკვეული ურთიერთობა [3, 116].

დავუბრუნდეთ გოგიტიძეების სიგელს და ვახტანგის და მამიას გურიელობის საკითხს. თუ 1574 წლის იანვრის წერილში გურიელად გიორგი იხსენიება [18, 417], ისევე როგორც 1577 წლის აპრილის ბრძანებაში [18, 420, 421], 1578 წლის მარტში ლალა მუსტაფა ფაშა წერილს უგზავნის გურიის მელიქს მამიას [18,428] და არა გიორგის. XVI ს-ის თურქი მემატიანის, მუსტაფა ალის, ცნობით 1579 წელს ლალა მუსტაფა ფაშასთან გორში გამოცხადდა გურიის გამგებლის ძმა მამია [18, 293]. ეს იმას ნიშნავს, რომ გურიელი იმ მომენტში ვახტანგია. როგორც ცნობილია, მუსტაფა ალი ლალა მუსტაფა ფაშას მკივანი იყო და ალმოსაველეთის ლაშქრობის დასაწყისში მას ახლდა. ამდენად, ის საკმაოდ კარგად იქნებოდა ინფორმირებული შემდგომი მოვლენების შესახებაც. თუ ნარატიული წყაროს ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, გამოდის, რომ იმ წლებში გურიელები ხშირად იცვლებოდნენ. ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი ქართული ქრონიკის ჩვენებაც: 1583 წ.- „კვალად გურიას დასვეს ვახტანგ გურიელად. გიორგი განაძეს“ [17, 421]. ე. ი. ეს არ იყო ვახტანგის პირველად ასვლა ტახტზე. იგივე ვითარებაა გიორგი II-ის ტახტზე დაბრუნებისას: 1587 - „კვალად მოკუდა გურიელი ვახტანგ გიორგივე გაგურიელდა“ [17, 426]. „კვალად“ აქ გიორგის დაბრუნებას გულისხმობს. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ქართული ქრონიკა, რომელიც 1591 წელს მამიას გურიელად იხსენიებს - „გურიელს მამიას აფხაზზე გაემარჯვა“ [17, 427]. ო. სოსელიას კომენტარით ამ ცნობაში შეიძლება „გურიელი“ გვარის მნიშვნელობით იყოს ნახმარი [2, 136]. როგორც ვხედავთ, ამ ფაქტის სხვაგვარი ახსნაც შეიძლება, რომ მამია უკვე იყო გურიელი, რაც იმის საფუძველს იძლეოდა, რომ ის შემდგომშიც გურიელად ყოფილიყო მოხსენიებული, კიდევაც თუ უკვე აღარ იყო გამგებელი.

ამდენად, უკვე XVI ს-ის 70-იან წლებში ვახტანგ და მამია გურიელები საკმაოდ აქტიური მოღვაწეები არიან, გურიასაც განაგებენ და გოგიტიძეების სიგელის, ისევე როგორც შემოქმედის ზარზმის ეკლესიის, გვიან დათარიღებას ერთგვარად საფუძველი ეცლება.

1. დ. ბაქრაძე, *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში,* ს.-პეტერბურგი, 1878; ქართული თარგმანი. - თბილისი, 1987.
2. ი. სიხელია, *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* 30, 1954.
3. ქ. ჩხატარაიშვილი, *გურიის სამთავრო* (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1983. ხელნაწერი ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
4. დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ,* ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1976.
5. პირთა ანოტირებული ლექსიკონი I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი, 1991.
6. ქართლის ცხოვრება II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
7. ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
8. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная по высочайшему повелению профессора С.-Петербургского университета Н.Кондакова. Грузинские надписи прочтены и истолкованы Д.Бакрадзе, С.П., 1890.
9. Е.Такайшвили, *Материалы для истории Грузии.* Тифлис, 1895.
10. ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები,* თბილისი, 1970.

11. Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie exécuté en 1847-1848 par. M.Brosset. 2 livraison St.-Petersbourg, 1850.
12. ვ. გუჩუა, სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბილისი, 1973.
13. ი. ანთელავა, *ლევან II დადიანი*, თბილისი, 1990.
14. საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დოკუმენტი 2551-იდ.
15. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 г. 1779 г. С.-П., 1861.
16. ს. კაკაბაძე, იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 ს-ში. - *საისტორიო მოამბე*, I, ტფილისი, 1925
17. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფილისი, 1897.
18. M. Fahrettin Kırzıoğlu, *Osmanlılar'ın Kafkas Ellerini Feth,*. Ankara, 1998.

აინი ალის „რისალე“ როგორც წყარო ოსმალეთის აგრარულ ურთიერთობათა შესწავლისათვის

თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის წყაროებს შორის „რისალეებს“[1] განსაკუთრებული ადგილი უკავია.

XVII ს-ის დამდეგს ოსმალეთში სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისის პირობებში ასეთი სახის რამდენიმე თხზულება შეიქმნა: აინი ალის (1607-1609 წწ.), კოჩი ბეი გორიჯელის (1640-1648 წწ.), ქათიბ ჩელების (1653 წ.) და ჰუსეინ ჰეზარფენისა (1673 წ.). ზოგიერთი მათგანი თარგმნილია სხვადასხვა ენაზე და ჯეროვნად შესწავლილი[2].

ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში არასაკმაოდ და ცალმხრივად არის გაშუქებული აინი ალის „რისალე“ – „ოსმალო ხელისუფალთა კანონები და სახელმწიფო დავთარხანებში დაცული აღწერის დავთრების ძირითადი შინაარსი“[3].

ი. ჰამერი გაკერით იხსენიებს აღნიშნულ ტრაქტატს და ახასიათებს მას, როგორც „დიდი და ზოგადი მნიშვნელობის“ მქონე ძეგლს[4]. მ. ბელენი[5] იძლევა ერთ-ერთი თაეის თარგმანს მოკლე მიმოხილვით. რაც შეეხება ფ. ბაბინგერს[6], იგი აინი ალის შესახებ მხოლოდ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის, საკუთრივ „რისალეს“ კი არ ეხება.

აინი ალის ოსმალეთის სახელმწიფოში მაღალი თანამდებობები ეჭირა (დავთარხანეს უფროსი, სულთნის ხაზინის ზედამხედველი, სახელმწიფოს საბჭოს მდივანი, ეგვიპტის დავთარდარი და სხვ.), რაც მისთვის ხელმისაწვდომს ხდიდა იმ მრავალ ისტორიულ დოკუმენტს, რომლებიც დაედო საფუძვლად აღნიშნულ „რისალეს“.

თხზულება შედგება შესავლის, 7 თაეისა და ბოლოსიტყვაობისაგან. ცალკე ნაწილშია აღწერილი სახმელეთო ჯარისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მდგომარეობა, აღნიშნულია თანამდებობის პირთა ხელფასების ოდენობა. ტრაქტატს

დართული აქვს სულეიმან I-ის (1520-1556 წწ.) და სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) პერიოდში შედგენილი კანუნნამეები. ამით ავტორი თითქოს მოუწოდებს ოსმალთა თანამედროვე გამგებელთ, დაუბრუნდნენ მმართველობის ძველ ტრადიციებს და აღადგინონ სახელმწიფოს ძლევამოსილება. სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის, საგადასახადო სისტემის, ფეოდალურ ურთიერთობათა ზოგიერთი მხარის და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, „რისალეში" მოცემულია რჩევა-დარიგებანი, თუ როგორ დააღწიონ თავი არსებულ კრიზისს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აინი ალის „რისალე" ყველაზე ადრეულია „რისალეს" ტიპის თხზულებებს შორის და, მიუხედავად მცირე მოცულობისა, შესაძლებლობას იძლევა მეტ-ნაკლები სისრულით იქნეს აღდგენილი მაშინდელი ოსმალეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

ტრაქტატში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრარულ საკითხებს კანუნნამეებიდან, მცირე (icmal) და ვრცელი (mufassal)[7] დავთრებიდან, შემოსავალ-გასავლის წიგნებიდან (Ruznamçe)[8] ამოკრეფილი ცნობების საფუძველზე. მასში დაწვრილებით არის აღწერილი ოსმალეთის ადმინისტრაციული დაყოფა, ჩამოთვლილია თითოეულ საბეგლარბეგოში შემავალი სანჯაყები ზეამეთებითა და თიმარებით, განმარტებულია მათი მმართველების უფლება-მოვალეობანი.

აინი ალის „რისალეს" მიხედვით XVII ს-ის დამდეგს ოსმალეთი მსხვილ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა. ასეთ დანაყოფებს საბეგლარბეგოები ანუ ეიალეთები ეწოდებოდა. ავტორი იხსენიებს 32 საბეგლარბეგოს, რომელთაგანაც ცხრას (ეგვიპტე, ბაღდადი, იემენი, აბისინია, ლაჰზა, ტუნისი, დასავლეთ ტრიპოლი, ალჟირი, ბასრა) „სალიანეს" წესით მართავდნენ[9].

საბეგლარბეგოს სათავეში იდგა ბეგლარბეგი, რომელიც ომის შემთხვევაში ვალდებული იყო შემოსავლის ყოველ 5000 ახჩაზე[10] ერთი შეიარაღებული მეომარი გამოეყვანა. აღსანიშ-

ნავია ის ფაქტი, რომ ნაკვეთების მფლობელებს მეომრები არა მიწის ფართობის, არამედ შემოსავლის ოდენობის მიხედვით უნდა გამოეყვანათ.

„რისალეს“ ავტორი დაწვრილებით ჩერდება „ხასებზე“. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს, რომელთა შემოსავალი 100.000 ახჩას აღემატებოდა, ფლობდნენ როგორც ფადიშაჰები და უფლისწულები, ისე - ვეზირები, ოლქების გამგებლები, დავთარდარები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. „ხასების“ შემოსავლის ოდენობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული და ხშირად ძალიან დიდ რიცხვს აღწევდა. აინი ალი ამ კატეგორიის მიწებს სამ ჯგუფად ჰყოფს: 1) სასახლისა და ფადიშაჰის, 2) ვეზირებისა და ბეგლარბეგების, 3) ზაიმებისა და თიმარიოტების კუთვნილი მიწები. „ხასი“ ერთმანეთისაგან შემოსავლის ოდენობით განსხვავდებოდა. ეიალეთის მმართველის „ხასი“ 1,5 მილიონ ახჩას აღწევდა, მაშინ როდესაც სანჯაყის მმართველის „ხასი“ 500000 ახჩამდე შეიძლებოდა ყოფილიყო[11]. რუმელიის ბეგლარბეგის „ხასის“ შემოსავალი 1100000 ახჩას უდრიდა, არზრუმის ბეგლარბეგისა კი - 1200168 ახჩას[12].

წყაროდან ჩანს, რომ მიწის ნაკვეთების სიდიდე ფულადი სახით გამოიხატებოდა, ვინაიდან ოსმალეთის ეიალეთებში ნიადაგი ერთნაირი არ იყო და განსხვავდებოდა მოსავლის ოდენობით. მიწის სიდიდის ამგვარი გამოხატვა ერთადერთ სწორ საშუალებას წარმოადგენდა.

XVII ს-თვის სამხედრო-ლენურმა სისტემამ ოსმალეთში დაკარგა თავისი კლასიკური სახე და განიცადა მთელი რიგი ცვლილებებისა. პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს თიმარებისა და ზეამეთების რიცხვის გაზრდა სახელმწიფოში. თუ XVI ს-ში არზრუმის ეიალეთში 60 ზეამეთი და 2219 თიმარი იყო[13], ჩვენი წყაროს მიხედვით, 122 ზეამეთი და 5151 თეზქერიანი და უთეზქერო[14] თიმარია. ანალოგიური ვითარებაა სხვა ეიალეთებში. ამ პერიოდში, როდესაც ოსმალეთი დაპყრობებს თითქმის აღარ აწარმოებდა, სამხედრო ლენების რაოდენობის ზრდა ძირითადად არსებული თიმარებისა და

ზეამეთების დაყოფით იყო გამოწვეული. ნაკვეთების დაქუცმაცების თავიდან აცილების მიზნით, კანონი ითვალისწინებდა, რომ მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში მიწა უფროს ვაჟს დარჩენოდა[15].

მინიმალური თიმარის (kiliç timar) შემოსავალი „რისალეს" მიხედვით, 3000 ახჩას უდრიდა. მაგრამ იმავე „რისალედან" ჩანს, რომ ფაქტობრივად ქილიჩ თიმარის შემოსავლის ოდენობა 6000 ახჩა იყო. ამავე დროს არსებობდა ისეთი ქილიჩებიც[16], რომელთა წლიური შემოსავალი 1000 ახჩას არ აღემატებოდა. „დადგენილ ქილიჩებში დავთარში სულ მცირე 1000 ახჩაც რომ იყოს აღრიცხული, დამოუკიდებელ ქილიჩად ითვლება"[17].

მიწის სწორად განაწილებისა და ხაზინის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აინი ალი განმარტავს ნაკვეთების განაწილების წესებს და მიწისმფლობელობასთან დაკავშირებულ კანონებს.

„რისალეს" მიხედვით, ზეამეთი და თიმარი განსაზღვრული შემოსავლის მიწის ნაკვეთებია, რომლებიც ლაშქრობებში მონაწილეობისათვის ეძლევა ამა თუ იმ პირს[18]. წყაროში განმარტებულია, თუ რა სახის თიმარები და ზეამეთები იყო სახელმწიფოში და რა რაოდენობის შემოსავალს ითვალისწინებდა თითოეული მათგანი.

მიწის ნაკვეთს, რომლის შემოსავალი 20.000 ახჩას არ აღემატებოდა, მცირე ზეამეთი (kiliç zeamet) ეწოდებოდა, ხოლო თუ შემოსავალი 20.000 ახჩაზე მეტი იყო — ზეამეთი. ჯანსხვაება მათ შორის იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ზეამეთი სახელმწიფოს დარჩებოდა (mahlül)[19], მისი დაყოფა დასაშვები იყო, მცირე ზეამეთის დანაწილებას კი კანონი კრძალავდა.

მსგავსი კლასიფიკაცია არსებობდა თიმარებშიაც, ქილიჩს — ძირითად ნაკვეთს, ემატება წილები (hisse). გეხვდება, როგორც მცირე (icmallı), ისე წილებისაგან წარმოქმნილი თიმარები (hisseli). როდესაც თიმარის შემოსავალი დამატებების

შედეგად 20.000 ახჩას აღწევდა, ასეთი მიწის ნაკვეთი ზეამეთი ხდებოდა.

„რისალეს" ანალიზიდან ჩანს, რომ ოსმალური კანონები შეძლებულთა სასარგებლოდ იყო შედგენილი. თუ ომის შემთხვევაში ზეამეთის მფლობელს, რომლის შემოსავალი 20.000 ახჩიდან 100.000 ახჩას აღწევდა, ყოველ 5000 ახჩაზე ერთი შეიარაღებული მეომარი უნდა გამოეყვანა, მცირეშემოსავლიანი თიმარის მფლობელს (3000-იდან 19999 ახჩამდე) ყოველ 3000 ახჩაზე გამოჰყავდა თითო მეომარი. ასევე იყო შედგენილი კანონები მიწების წყალობის შესახებ. ლაშქრობაში მონაწილეობისათვის თიმარისა და ზეამეთის მფლობელთ ეძლეოდათ დამატებითი ნაკვეთი „თერაქი"[20], რომლის შემოსავალი მისი ქონების ყოველ 1000 ახჩაზე 100 ახჩას უდრიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმ პირს, ვინც მიწის დიდ ნაკვეთს ფლობდა, „თერაქის" მეტი ეძლეოდა. აღნიშნული ფაქტი ხელს უწყობდა მიწების კონცენტრაციას მფლობელთა ერთი ჯგუფის ხელში.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალთა კლასში ქონებრივ დიფერენციაციას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XVI ს-ში. მცირე ნაკვეთების მფლობელების მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო. იმ დროს, როდესაც ცხენის ფასი დაახლოებით 200 ახჩას, ხოლო მისი წლიური საკვები 300-400 ახჩას უდრიდა, წვრილი ფეოდალის — სიფაჰის, წლიური შემოსავალი საშუალოდ 5000 ახჩას ძლივს აღწევდა[21], მაგრამ, თუ წინათ ამ ძირითად თანხას სამხედრო შემოსავალი ემატებოდა, სახელმწიფოს დასუსტების შედეგად მიწის შემოსავალი წვრილი ფეოდალებისათვის არსებობის ერთადერთ საშუალებად იქცა. ასეთ ვითარებაში სიფაჰიები უხალისოდ ასრულებდნენ სამხედრო ვალდებულებებს და ხშირად ოპოზიციაშიც უდგებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას[22].

XVII ს-ის დამდეგისათვის ოსმალეთში იყო შემთხვევები, როდესაც სიფაჰიებს დაკანონებულზე ნაკლები შემოსავლის თიმარები (noksan ile)[23] ეძლეოდათ, ან მათი თიმარი უშემოსავლო (bi hasil) იყო. ბუნებრივია, ასეთი მფლობელები მო-

ითხოვდნენ ომის დროს გამოსაყვანი შეიარაღებული მეომრების რიცხვის შემცირებას[24].

„რისალეს“ დაწერის პერიოდში ოსმალეთში არსებობს მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია და წოდებრივ სიწმინდეს დიდი ყურადღება ექცევა. რაიას შვილი რაია უნდა ყოფილიყო. დაუშვებელი იყო მისთვის თიმარის მიცემა. „რისალეში“ ნათქვამია: „საჭიროა, რომ თიმარი კეთილშობილმა სიფაჰიმ და მისმა შვილმა მიიღონ“[25], თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც, რაიმე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მიწის ნაკვეთი რაიასაც ეძლეოდა: „რაია რომ თიმარის ღირსი გახდეს, ფადიშაჰს უნდა ემსახუროს. ლაშქრობის დროს იბრძოლოს...“[26].

ზეამეთისა და თიმარის მიღების უფლებით ძირითადად სარგებლობდნენ იანიჩართა კორპუსის მეთაურები, ლაშქრის წინამძღოლები, მედროშეები, მედოლეები. დასაშვები იყო ზეამეთისა და თიმარის მიცემა ტომთა ბეგებისთვისაც. „ესენი სანჯაყბეგებად არ ითვლებიან, მხოლოდ ზეამეთის მფლობელები არიან“[27].

მიწის ნაკვეთის წყალობის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ მფლობელს მისი კუთვნილი თიმარისა და ზეამეთის ტერიტორიაზე ეცხოვრა[28]. იგივე ირკვევა კოჩი ბეი გორიჯელის „რისალედან“, რომლის მიხედვით, ასეთ მფლობელთა ლაშქარში შეკრება ადვილი იყო[29]. ძირითადად კი, ფეოდალთა ცხოვრების აუცილებლობა თავიანთ სამფლობელოში, გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა მარტო ლაშქრობაში მათი შეკრების სიადვილით, არამედ მეურნეობის უკეთ წარმართვის საჭიროებით. ყოველი ზაიმი თუ თიმარიოტი ვალდებული იყო მისთვის მიცემულ ნაკვეთზე მეურნეობა ეწარმოებინა და ყოველწლიურად გადაეხადა სახელმწიფოსთვის გარკვეული თანხა. პიროვნებას, რომელსაც თიმარი ერთ სანჯაყში აქვს, თვითონ კი სხვა სანჯაყში ცხოვრობს, თიმარი ჩამოერთმევა და ორი წლის განმავლობაში აღარ დაუბრუნდება[30].

თიმარები ერთმანეთისაგან ფლობის წესითაც განსხვავდებოდა. არსებობდა ისეთი თიმარები, რომლებიც რამდენიმე პირს ეკუთვნოდა. მათი მფლობელები ლაშქრობაში მორიგეობით დადიოდნენ და თიმარსაც ამის მიხედვით ჰქონდა შერქმეული სახელი – „ბენეებეთ თიმარი" (benevbet –მორიგეობითი). „ბენეებეთ თიმარი თუ მაჰლულია, ის კვლავ მათსავე შვილებს ეძლევა. ვაჟი თუ არ ჰყავს, სხვასაც შეიძლება მიეცეს", – განმარტავს აინი ალი[31]. ზოგიერთ შემთხვევაში „ბენეებეთ თიმარი" სიფაჰიებს კერძო საკუთრებად (mülk) ჰქონიათ მიცემული (რუმელიის ეიალეთებში). ანატოლიის ეიალეთებში ყოფილა მულქის მსგავსი ისეთი თიმარები, რომელთა მფლობელები ვალდებული იყვნენ ომის დროს შეიარაღებული მეომარი გამოეყვანათ. მათი გარდაცვალების შემთხვევაში იგივე უფლებები გადადიოდა მათ ვაჟებზე[32].

ოსმალეთის ცხენოსანი ლაშქარი „კეთილშობილი" სიფაჰებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, მთავრობა ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდა დაეინტერესებინა ისინი ომში მონაწილეობით. როგორც კოჩი ბეი მოგვითხრობს, მტრის მოჭრილი თავისა და ერთი ტყვის მოყვანისათვის, სიფაჰის შემოსაელის ყოველ 10 ახჩაზე ერთი ახჩა ემატებოდა. 10-15 მოჭრილი თავისა და ტყვის მოყვანისათვის კი მას ზეამეთს უწყალობებდნენ[33]. აინი ალის თანახმად, სიფაჰის სიკვდილის შემთხვევაში მის ვაჟებს თიმარი იმავე უფლებებით გადაეცემოდათ, მაგრამ განსხვავდებოდა ომში დაღუპულთა და სახლში გარდაცვლილთა თიმარის მემკვიდრეობით გადაცემის წესი. „რწმენისათვის დაღუპულის ვაჟს მეტი წილი მიეცემა"[34]. სიფაჰიები მხოლოდ ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ყოველგვარი შაჲი სამუშაო, როგორიც იყო სანგრების თხრა, ზარბაზნების ზიდვა და სურსათ-სანოვაგის მიწოდება, მათ მოვალეობას არ შეადგენდა.

მიუხედავად გარკვეული პრივილეგიებისა, რაც ომში მონაწილე სიფაჰიებს ენიჭებოდა, ისინი უხალისოდ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს და ჯარი ძირითადად რაიები-

საგან შედგებოდა. ხშირი ანტიფეოდალური გამოსვლების გამო, ოსმალეთის მმართველები ერიდებოდნენ გლეხების შეიარაღებას. „რაია ცხენზე ვერ შეჯდება და ხმალს ვერ შემოირტყამს“, ნათქვამია „რისალეში“[35], მაგრამ ამ პერიოდში ეს წესი, როგორც ჩანს, ხშირად ირღვეოდა. „ახლანდელ დროში, გულისტკივილით მოგვითხრობს აინი ალი, უხეშ და უბრალო ტანსაცმლიანი რაია რომ ჯარისკაცია, თიმარს და მის უფლებებს ვინ დაიცავს და ბრძანებებს ვიღა გაუწევს ანგარიშს“[36].

გარდა ჩამოთვლილისა, „რისალეში“ ეხვდებით „იურთლუკის“, „ოჯაკლიკისა“[37] და „ჰუქუმეთების“[38] სახის მიწის ერთეულებს. დიარბექრის ეიალეთის 19 სანჯაყიდან 6 ქურთ ბეგებს „იურთლუკისა“ და „ოჯაკლიკის“ წესით ჰქონდათ მიცემული[39].

„რისალე“ საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ XVII ს-ის დამდეგის ოსმალეთის სოციალურ სტრუქტურაზეც. ავტორის მიერ დასახელებულია ორი ძირითადი კლასი — ფეოდალებისა და გლეხების. გარდა აღნიშნულისა, წყაროს მიხედვით, შესაძლებელია თვით ძირითად კლასებში სხვადასხვა ფენის გამოყოფა. აინი ალის „რისალედან“ ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთის ფეოდალთა კლასში მკვეთრი დიფერენციაცია არსებობდა. სხვადასხვა სახის მიწის ნაკვეთების არსებობა გულისხმობდა შემოსავლის სხვადასხვა ოდენობას. მეტი შემოსავლის მქონე ნაკვეთები უპირატესობით სარგებლობდნენ. „თუ რომელიმე სანჯაყის ბეგის ჰასი სხვაზე მეტია, იგი უპირატესობით სარგებლობს“, — აღნიშნულია წყაროში[40]. უკვე ეს განსხვავებული დაყოფა ფეოდალთა ერთ ჯგუფს მეორისაგან დამოკიდებულებაში აყენებდა. ამდენად, იქმნებოდა ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი გარკვეული იერარქიული კიბე.

„რისალეში“ ეხვდებით ნახევრად თავისუფალ გლეხებს, რომლებიც სამხედრო ვალდებულებების შესრულებისათვის განთავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისა-

გან. მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ მუსელემები და მომთაბარე იურუქები. ომის დროს ეს გლეხები, გარდა იმისა, რომ 50 ახჩას იღებდნენ, თავისუფალი იყვნენ ომისათვის დაწესებული აყარი'ხი დივანიესა და ცხვარზე შეწერილი ქოიუნ ეერგისის გადასახადებისაგან[41], რასაც მესაქონლე მომთაბარეებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარად, ირკვევა, რომ მომთაბარე ტომების ბინადარ ცხოვრება'ხე გადასვლის პროცესი, რასაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთში XVI ს-დან, „რისალეს" დაწერის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ნათლად ჩანს, აგრეთვე, რომ XVII ს-ის დამდეგს მიწის-მფლობელობასთან დაკავშირებული კანონები სრულიად არ შეესაბამებოდა არსებულ სინამდვილეს. სამხედრო-ლენური სისტემა მწვავე კრიზისს განიცდიდა. არსებული ვითარების მთავარ მიზეზად აინი ალი მიიჩნევს ნაკვეთების არასწორ განაწილებას.

როგორც ირკვევა, თიმარებმა და ზეამეთებმა დაკარგეს სამხედრო ხასიათი და მათი გაცემა ქრთამების, მოსყიდვისა და ყალბი საბუთების საშუალებით ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით აინი ალი ურჩევს ოსმალეთის მმაროველებს, რეგულარულად აწარმოონ ომში მონაწილეთა აღრიცხვა და მიწის ნაკვეთები მხოლოდ ღირსეულებს მისცენ.

კრიზისის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი, რასაც ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს, იყო სულთნის ხელისუფლების დასუსტება. იგი რამდენჯერმე იმეორებს, სულთნის ბრძანებებს აღარავინ ემორჩილებაო: „არა მარტო მაღალი თანამდებობის პირებში, უფრო დაბალ საფეხურზე მდგომთა შორისაც აღარ დარჩნენ ისეთები, რომ ბრძანებებს ანგარიშს უწევდნენ"[42].

სულთნის ხელისუფლების დასუსტებასთან დაკავშირებით ბეგლარბეგებმა მიითვისეს მიწის გაცემის უფლება. ხშირად ერთ ნაკვეთზე რამდენიმე ბარათი იყო გაცემული. ასეთი თიმარი ან ზეამეთი დავის ობიექტი (ნიზალუ) ხდებოდა. ყო-

ფილა შემთხვევებიც, როდესაც გარდაცვლილის ბარათი რაიმე საშუალებით სხვა პირს ჩაუვარდებოდა ხელში. ეს უკანასკნელი ამის საფუძველზე მიწის ნაკვეთს იღებდა. „არ გამოირკვევენ რომ მოკვდა, იმ ბარათს ისე განაახლებენო“ – შენიშნავს აინი ალი[43].

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამხედრო ლენები კარგავდნენ დროებითი მფლობელობისათვის დამახასიათებელ თვისებებს და ფაქტობრივად კერძო საკუთრებაში გადადიოდნენ. ფეოდალები დაუმსახურებლად იგდებდნენ ხელში ნაკვეთებს და აღარ ასრულებდნენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. „ლაშქრობის დროს 10 სიფაჰიდან ერთიც არ ცხადდება, მოსაელის აღების დროს კი ერთის ნაცვლად 10 მოდის“, – აღნიშნულია „რისალეში“[44].

ამგვარი ვითარებიდან თავის დაღწევა, აინი ალის აზრით, შესაძლებელია, „თუ სანჯაყის მფლობელი ჯართან ერთად იელის და სხვას არ დაემორჩილება... ასეთ დროს არეულობაც მოისპობა და ხმლის რაოდენობაც მოიმატებს“[45].

„რისალეში“ მოცემული რჩევების ცხოვრებაში გატარება აღნიშნულ პერიოდში, ცხადია, შეუძლებელი იყო. ადრე თუ ფეოდალები ნადაელის იმედით სიხარულით იღებდნენ ლაშქრობაში მონაწილეობას, XVII ს-ში, როდესაც ომებს არავითარი შემოსავალი აღარ მოჰქონდათ, სიფაჰიები თავს არიდებდნენ სამხედრო მოვალეობის შესრულებას და სხვა, უფრო შემოსავლიან, საქმიანობას ჰკიდებდნენ ხელს: იწყებდნენ ვაჭრობას, მევახშეობას და სხვ. „რისალეს“ მიხედვით, დავთარდარები აღარ ამოწმებდნენ დავთრებს და ვინაიდან ბევრი მიწის ნაკვეთი რამდენიმე პირის ბარათით იყო რეგისტრირებული, ძნელდებოდა ნამდვილი მფლობელის დადგენა. თიმარები რომ სადავოა, ამის მიზეზი, აინი ალის აზრით, „სარეგისტრაციო დავთრების არარეგულარული წარმოებაა“. ავტორი იძლევა რჩევას, რათა სისტემატურად წარმოებდეს ნაკვეთების რეგისტრაცია და სასტიკი კონტროლი დაწესდეს სამხედრო სამსახურის შესრულებაზე[46].

XVII ს-ის დამდეგს ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს ნაწილი, კერძოდ სამცხე-საათაბაგო. დაპყრობილი რაიონები, ძირითადად, 4 ეიალეთში იყო წარმოდგენილი: ჩილდირის (ახალციხის), ტრაპიზონის, ყარსისა და არზრუმის[47]. აღნიშნულ ტერიტორიაზე სულთანმა გააერცელა ოსმალური მიწისმფლობელობის წესები, რასაც მისი სანჯაყებად, ზეამეთებად და თეზქერიან და უთეზქერო თიმარებად დაყოფა მოწმობს.

ამრიგად, აინი ალის „რისალეს" ანალიზით ირკვევა, რომ XVII ს-ის დამდეგისათვის ოსმალეთის სამხედრო-ლენურმა სისტემამ დაკარგა თავისი დამახასიათებელი თვისებები და ხშირ შემთხვევაში იურიდიული კანონები აღარ შეესაბამებოდა არსებულ სინამდვილეს.

სამხედრო-ლენური სისტემის რღვევის შედეგად შეინიშნება სულთნის ხელისუფლების დასუსტება და ფეოდალური არისტოკრატიის გაძლიერება.

„რისალეს" დაწერის პერიოდში ოსმალეთში, გარდა კლასობრივი დიფერენციაციისა, თვით კლასებიც იყოფოდნენ სხვადასხვა ფენად, რის გამოვლინებასაც წარმოადგენდა ფეოდალთა ერთი ჯგუფის ხელში მიწების კონცენტრაციისა და მის პარალელურად, მეორე ჯგუფის გაღატაკების მიმდინარე პროცესი.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. რისალე (رسالہ – ტრაქტატი, გამოკვლევა, მოხსენება) ნიშნავს მსჯელობას რაიმე საგანზე, ან საერთოდ ფილოსოფიური შინაარსის თხზულებას (В. Д. Смирнов, *Кочибей Гемюрджинский и др. османские писатели XVII в. о причинах*

упадка Турции, СПБ., 1873). ფაქალინის ლექსიკონში „რისალე" ახსნილია როგორც პატარა წიგნი, ან მისი დიდი პარაგრაფი.

2. В. Д. Смирнов, დასახ. ნაშრომი; გ. ფუთურიძე, *კოჩი ბეი გორიჯელის „რისალე" როგორც წყარო თურქოსმალეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის*, ისტ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), თბილისი, 1952; A. C. Тверитинова, Второй трактат Кочибея. - *Ученые записки Института востоковедения АН СССР*, ტ. VI. 1953, გვ. 212-268; A.C. Тверитинова, Социальные идеи в турецких дидактических, политико-экономических трактатах XVI-XVII веков. - *Труды 25-го международного конгресса востоковедов*, M.,1963; მ. სვანიძე, ოსმალთა სახელმწიფოს მონათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის კანონები, შედგენილი აინი ალის მიერ, წელი 1018 (1602), მთარგმნელი ჰადიე თუნჯერი, ანკარა, 1962. - *თსუ შრომები*, ტ. 118, 1967.
3. Ayni Ali, Osmanlı Devleti arazi kanunları, sene: 1018 (1602) - *Büğünkü Dile çeviren Hadiye Tuncer*, Ankara, 1962 (ქვემოთ; აინი ალი, რისალე).
4. I. Hammer, *Histoire de l'Eimpire Ottoman*, VIII, Paris, 1837, გვ. 234.
5. M. Belen, *Türkiye iktisadı tarihi hakkında tetkikler*, çeviren M., Ziya, Istanbul, 1931.
6. F. Babinger. *Die Geschichtschreiber der Osmanen und ihre Werke*, Leipzig. 1927.
7. მცირე დავთარში ჩვეულებრივ აღრიცხული იყო დახარკული სოფლები კომლთა რაოდენობის ჩვენებით, თავისუფალი მიწები და აგრეთვე უცოლო, ქვრივი და უმიწო რაიათები (გლეხები), ვრცელ დავთარში კი მცირეზე დაყრდნობით ფიქსირებული იყო როგორც საერთო, ისე თითოეული სოფლის შემოსავლის ოდენობა, კომლზე და

რაიაზე გაწერილი ფულადი და ნატურალური გადასახადები (აინი ალი. *რისალე*, გვ.107).

8. იქვე.
9. ოსმალეთის ზოგიერთ (უმთავრესად განაპირა) ეიალეთში არ არსებობდა „თიმარებად“ და „ზეამეთებად“ დაყოფა. მათი ბეგლარბეგები ფაქტობრივად დამოუკიდებლად მართავდნენ ქვეყანას და სახელმწიფო ხაზინაში მხოლოდ გადასახადების გარკვეულ ნაწილს გზავნიდნენ ყოველწლიურად. ასეთი ტიპის ეიალეთებს „სალიანელი“, ანუ ყოველწლიური ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ის მეორე მეოთხედში ოსმალების მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ საქართველო სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც „სალიანეს“ ქვეყანა (ვ. გაბაშვილი, XVIII ს-ის მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის - *თსუ შრომები*, №91, 1960, გვ. 316; მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგეობა XVI ს-ში – *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, თბ., 1963, გვ. 97-98).
10. ახჩა (آقچه) – ვერცხლის წვრილი მონეტა. პირველად მოჭრეს 1328, ქ. ბურსაში, უდრიდა მისხალის 1/4-ს. XII ს-ის დასაწყისში ერთი ახჩა უდრიდა 1 1/2 კირატს (قيراط) - 1/16 მისხალს.
11. M.Z. Pakalin, *Osmanlı Tarih deyimleri ve terimler sözluğu*, I, Istanbul, 1954, გვ. 750.
12. აინი ალი, *რისალე*, გვ. 95.
13. გ. ტივაძე, *ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI ს-ში*, თბ., 1946, გვ. 143.
14. 1530 წლამდე ბეგლარბეგების მიერ გაცემულ თიმარებს უთეზქერო (tezkeresiz) უნებართვო, ურეკომენდაციო), ხოლო

1530 წლიდან სულთნის ნებართვით გაცემულ თიმარებს, თეზქერიანი (tezkereli - რეკომენდებული) ეწოდებოდათ.

15. აინი ალი, *რისალე*, გვ. 17.

16. ქილიჩ - (kılıç, ხმალი, მახვილი) – მინიმალური შემოსავლის შემცველი თიმარი, ან ზეამეთი, რომელთა დაყოფა აკრძალული იყო. ყოველ ქილიჩზე ფეოდალს ერთი შეიარაღებული მეომარი უნდა გამოეყვანა.

17. აინი ალი, *რისალე*, გვ. 106.

18. იქვე, გვ. 105. აინი ალის „რისალეს" მონაცემებით არ დასტურდება ბულგარელი მეცნიერის ვ. მუტაფჩიევას მოსაზრება იმის შესახებ, რომ თიმარი ყოველგვარ შემოსავალს ნიშნავდა (В.П. Мутафчиева. *Аграрные отношения в османската империя пред XVI-XVII в.* София, 1962, გვ. 46-561). საბჭოთა მეცნიერების ა. ნოვიჩევისა (А. Д. Новичев, К вопросу о феодальных отношениях и положении крестьян в Турции во II половине XVI в. - *Ученые записки ЛГУ*, вып. 12, 1961, გვ. 125) და ა. ტვერიტინოვას აზრით (А. С. Тверитинова, Некоторые нерешённые проблемы в характеристике турецкого феодализма. – Издательство АН СССР, М., 1968, გვ. 159), თიმარი მხოლოდ მიწის ნაკვეთი შეიძლება ყოფილიყო.

19. mahlûl - მემკვიდრეობა, რომელიც ამა თუ იმ პირის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს რჩება.

20. terakki - მიღწევა, გაზრდა.

21. В. П. Мутавчиева, К вопросу об упадке спахийства в конце XVI в начале XVII века. - *Труды 25-го международного конгресса востоковедов*. М., 1963, გვ. 428.

22. В. А. Гордлевский, Внутреннее состояние Турции во II половине XVI века. - *Избранные сочинения*, т. II, М., 1962.

23. Б. А. Цветкова, К исследованию аграрных отношений в Османской империи с конца XVIII века. - *Труды 25-го международного конгресса востоковедов*, М., 1963. გვ. 424.

24. იქვე.

25. აინი ალი, *რისალე*, გვ. 108.
26. იქვე, გვ. 95.
27. იქვე, გვ. 107.
28. იქვე, გვ27.
29. Koçi Bey, *Risalesi*, Istanbul, 1931, გვ. 25.
30. აინი ალი, *რისალე*, გვ. 109.
31. იქვე, გვ. 109.
32. იქვე.
33. კოჩი ბეი, *რისალე*, გვ. 26.
34. აინი ალი, *რისალე*, გვ. 108.
35. იქვე.
36. იქვე, გვ. 109.
37. სასაზღვრო რაიონებში, სადაც არსებობდა სოციალური გაიმოსვლებისა და გარეშე მტრის შემოსევის საფრთხე, ოსმალეთის მთავრობა ადგილობრივი ბეგების მიმართ გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. „იურთლუკისა“ და „ოჯაკლიკის“ უპირატესობა თიმართან შედარებით იმაში მდგომარეობდა, რომ არა მარტო სამხედრო, არამედ ყოველგვარი დამსახურებისათვის გაიცემოდა. „იურთლუკისა“ და „ოჯაკლიკის“ წესით გაცემული მიწის ნაკვეთები მემკვიდრეობით გადადიოდა. სხვისთვის მიცემა აკრძალული იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „იურთლუკისა“ და „ოჯაკლიკის“ წესით მიწის გაცემის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზეც, კერძოდ, აჭარაში. (ა. ავალიანი, *მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში*, ბათუმი, 1960, გვ. 57) და ჩილდირის ეიალეთში (М. Х. Сванидзе, Об юрдлуках и оджаклыках как одной из форм землевладения в Османской империи (на примере Чилдырского эялета), М., 1966. - *Первый конгресс балканских исследований*, София, Сообщения Советской делегации, 1966).

38. Hükümet – მმართველობა, მართვა, მმართველობის ფორმა. აინი ალის განმარტებით, მულქის მსგავსად ასეთი ერთეულების მოსავალი მთლიანად მფლობელის საკუთრებას წარმოადგენდა (აინი ალი, *რისალე*, გვ. 239).
39. აინი ალი, *რისალე*, გვ. 93.
40. იქვე, გვ. 95.
41. იქვე, გვ. 101.
42. იქვე, გვ. 108.
43. იქვე, გვ. 111.
44. იქვე, გვ. 109.
45. იქვე.
46. იქვე, გვ. 110.
47. დაწვრილებით იხ. მ. სვანიძე, *ოსმალთა სახელმწიფოს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის კანონები...*

ИЗ ИСТОРИИ ИНЖЕНЕРНОЙ МЫСЛИ ТУРЦИИ

Волго-Донской судоходный канал, связывающий между собой крупнейшие реки – Волгу и Дон, имеет довольно длительную и интересную судьбу. Несмотря на то, что сближение Волги и Дона в р-не Царицина издавна и неоднократно приводило к попыткам создания искусственого пути для выхода Волги через Дон в открытое Черное море, осуществлению такого проекта каждый раз мешали какие-нибудь исторические перипетии. С веками менялся и развивался проект, обрастая новыми деталями, соответственно развитию техники и потребностям времени.

В 1697 году после присоединения Азова к России, по распоряжению Петра I были начаты работы по устройству шлюзованного канала между реками Иловлей (приток Дона и Камышинской Волги). В связи с этим здесь были проведены первые измерения расхода воды Волги ниже Камышина. Работа, прерванная начавшейся войной со Швецией, была возобновлена через несколько лет. На этот раз соединение бассейна Волги и Верховьев Дона было осуществлено по рр. Оке и Упе. Канал, ввиду неблагоприятных условий плавания по верховьям малых рек, был заброшен. Во второй половине XIX века с новой остротой встал вопрос проведения Волго-Донского канала. В этот период было составлено несколько проектов. Но царская Россия оказалась не в состоянии преодолеть связанные с ними трудности. В 1918 г. соединение Волги с Доном было признано важнейшей задачей. Но прошло еще немало лет, прежде чем она смогла быть решена. В 1927 г. был составлен первый технически обоснованный проект канала. Начало строительства вновь было прервано Второй мировой войной. Проблема снова была рассмотрена в 1944 г. В 1946 г. было принято решение о расширении задачи, ввиду необходимости орошения донской водой южных степей, страдающих от засух. Основными составляющими комплекса Волго-Донских сооружений являются: Волго-Донской судоходный

канал, цимлянский гидроузел, система орошения и обводнения земель по нижнему Дону, Салу и Манычу. Канал открыт 27 июля 1952 г. Длина его 101 км; завершает соединение глубоководными путями Балтийского, Каспийского, Черного и Азовского морей.

***

Рассмотрим одну страницу истории Волго-Донского канала, для чего необходимо коснуться исторических предпосылок, определивших ее причины и исход.

***

После победы Дмитрия Донского над полчищами Мамая (1380 г.) почти одновременно со свержением монгольского ига в Китае (1369 г.), Золотая орда быстро распадалась. Важную роль в этом сыграл и Тимур-ленг, от нашествия которого в 1395 г. Золотая орда так и не смогла оправиться. В XV веке на развалинах империи было образовано несколько феодальных государств в среднем Поволжье - Казанское ханство, в нижним Поволжье – Астраханское ханство, в зап. Сибири - Сибирское ханство. Татаро- монголы завладели также Крымским п-овом. С конца XIII века здесь было создано татарское наместничество, зависимое от Золотой орды. Ко второй четверти XV века относится образование отдельного Крымского ханства.

Вторая половина XV века занимает большое место в истории Турции. В эти годы турки, овладев Константинополем, завершили завоевание Малой Азии. Во второй половине XV века Турция почти полностью овладела Балканским п-овом. К этому же периоду относится еще одно крупное завоевание турков – включение в состав владений султана прибрежной полосы Крыма. В 1475 г. султан отправил к берегам Крыма большой флот, захватив Кафу, Судан, Керчь и другие прибрежные города и крепости вместе с г. Тан на Азовском море, где турки построили крепость Азак (Азов). Степная же часть Крыма и земли в нижнем течении Днестра были переданы Крымскому хану. С завоеванием Крыма Турция оказалась в соседстве со все усиливавшейся и расширявшей свои владения Россией,

что привело к установлению дипломатических отношений между Москвой и Османской Портой в 1492 году.

Свержение татаро-монгольского ига позволило русскому государству приступить к разрешению внутренних и внешних задач. Во второй половине XV века в княжение Ивана III было в основном завершено объединение русских земель и образование централизованного государства. С XIV века Крымское ханство до начала XV века было с Москвой в мирных отношениях. С XV века старый союз между Москвой и ханами обернулся в сильное соперничество. Первым проводником враждебной политики по отношению к Москве был Мехмед Гирей (1514-1523 гг.). Подстрекаемые и поощряемые Турцией, ханы часто устраивали набеги на русские территории. В их претензиях постоянным пунктом оставалось требование помощи в покорении Казани и Астрахани. Иногда они добывались уступок со стороны России в результате нападений. Главный принцип северной политики Турции в этот период: не допустить создания на севере большого государства, угрожавшего его господству на Черном море. Поэтому тенденция к самостоятельности, которую проявляет Крым, считавший себя законным наследником Золотой орды и мечтавший возродить империю с центром в Крыму, встречает со стороны Турции враждебное отношение. Но до поры до времени Турция использует Крымское ханство для борьбы против России. С этой точки зрения рассматривается им и вопрос Астрахани и Казани. Всю первую половину XVI века Казань и Астрахань представляли собой арену борьбы между Россией и Крымом, поддерживаемым Турцией. Все это время ставленники Москвы в Казани менялись ставленниками Турции.

Крупным успехом во внешней политике России, достигнутом в результате преобразований в середине XVI века, было присоединение Казани и Астрахани в 1552-1556 гг. С завоеванием Астраханского ханства вся Волга оказывается в пределах русского государства, что приводит к расширению экономических и культурных связей со странами Средней Азии, Кавказа, Передней Азии, Сибири. В Астра-

хань вели как морские, так и сухопутные торговые пути. Сюда шли купцы из Балха, Бухары, Хорезма, Ирана, Кавказа и даже Индии. Поэтому влияние Москвы усиливается особенно среди купцов. Западный товар попадает сюда московским путем, степной же скот идет на русский рынок. В 50-х годах XVI века, род черкесских племен принимает русское подданство. На сторону России переходят племена, ранее подчинявшиеся Турции. В 1555 г. в союз с царем вступает черкесский бей Кансавук, получивший санджак от падишаха. Четыре года спустя черкесы требуют войско против Крыма и священника для обращения населения в христианство. Царь с поспешностью удовлетворяет их требования.

Большая ногайская орда во главе с Исмаилом признает свою зависимость от Русского государства (1557 г.), часть же переходит в Прикубанье, где складывается Малая Ногайская Орда, вступив в вассальные отношения к Крымскому ханству. В том же году под покровительство России была принята и Кабарда. Получив выход к Каспийскому морю, Россия становится опасной для Ирана. Таким образом, в истории Восточной Европы это переломный момент. С этого периода Турция постепенно уступает свои позиции на Северном Кавказе уже довольно окрепшему Русскому государству. С 50-х годов политическое равновесие здесь явно нарушено в пользу России. Но Турция, хотевшая с ней непосредственного контакта, еще не в состоянии оценить всю серьезность создавшегося положения. Под угрозу России к этому времени попадает и Черное море. Но для выхода к нему препятствием остается Крым, для борьбы с которым Россия еще не обладает достаточной силой. Поэтому хищнические вторжения крымских ханов на территорию России продолжаются и союзником в их борьбе является Турция.

К середине XVI века Турция, достигнув зенита своего могущества, представляет угрозу для многих сильных государств того времени. Союза с ним добиваются европейские страны. Но именно с того времени, как известно, и дают о себе знать первые признаки начавшегося в государстве кризиса. Царствованием Сулеймана I

почти завершается пора блестящих побед и территориальных приобретений в истории Турции. Поражение турецкого флота при Лепанто в войне со Священной Лигой в 1571 г. не единственное внешнее проявление охвативших страну неполадок. За два года до этого политика Турции терпит еще одну неудачу и противником ее на сей раз является Русское государство.

***

Астраханский поход турок в 1569 г. как первое открытое проявление столкновений интересов России и Турции довольно важный момент в истории взаимоотношений этих стран. Имеющиеся об этом событии сведения можно сгруппировать следующим образом: в книгах европейских ученых (здесь, в первую очередь, выделим И. Хаммера) опираются на европейские источники (в основном доклады австрийского и французского послов того времени в Стамбуле), турецких авторов, пользующихся турецкими хрониками (здесь исключение составляет довольно обстоятельная статья Х. Инальджика 1948 года, специально посвященная астраханскому походу турок 1569 года и попытке проведения Волго-Донского канала. Автор по мере возможности, привлекает все имеющиеся в его распоряжении данные, в том числе турецкий архивный материал, и русских историков, источником для которых послужили донесения русских послов в Крыму и в Стамбуле.

Данные турецких историков подразумевают показания Мустафы Али, автора XVI века, в 4-х томной всемирной истории «Кюнх уль-ахбар» («Суть событий»), и историков XVII века Ибрагима Печеви, Кара-Челеби-заде, Кятиба Челеби и Мюнеджима-баши, ставшие источниками для более поздних летописцев. Данные их характеризуются некоторой схематичностью. Они, например, почти ничего не говорят о ходе похода, о количестве войск. Несмотря на то, что последовательность рассказа и образ изложения у них приблизительно одинаковы, нельзя согласиться с мнением Х. Инальджика о том, что все эти авторы самостоятельно пользуются одним и тем же

источником и разница только в объеме сведений. В данных османских историков имеются и существенные разногласия. Так, например, причины похода объясняются у них несколько по-разному: согласно Кятибу Челеби, «Ранее, при султане Селиме II, Казанский татарин обращался с жалобой в Стамбул на Москву и для овладения теми странами убедил объединить две реки каналом». Судя по замечанию Мустафы-Али, что в народе поход назывался Астраханским и Казанским, а также заглавию Ибрагима Печеви, «Астраханский и Казанский поход», данное предприятие ставило довольно широкие цели. Однако, эти историки причиной похода называют лишь создание предварительных условий для завоевания Ирана. Не совпадают их показания насчет расстояния между Волгой и Доном в месте их наибольшего сближения. Если большинство авторов считает это расстояние равным 6 милям, согласно Кара Челеби-заде, оно не превышает 2 милей. Отличается и их отношение к данному предприятию. В основном османские авторы вполне благожелательно относятся к идее проведения канала между Волгой и Доном и причину неудачи видят лишь в предательстве со стороны Крымского хана. Так, например, Печеви, признавая, что «дело это трудное,» тем не менее, не считает его неосуществимым. Слабым руководством и неорганизованностью объясняет это поражение и Кятиб Челеби: «Исполнители не были достойны руководить такой крупной работой. Каждая работа должна иметь своего героя», - говорит он. Не очень далек от этого мнения и современный турецкий ученый Данишменд. Причиной поражения он также считает слабую организацию и всю тяжесть неудачи переносит на не оценивших гениальность идеи Селима II и великого визиря Мехмеда Соколли, ставя, тем не менее, под сомнение его величие: «во всяком случае, - говорит он, - не такой уж Соколли великий, каким его считают». Менее ясна позиция Инальджика, который, ссылаясь на турецких средневековых авторов, совершенно не показывает своего отношения к этому вопросу. В отличие от других средневековых летописцев, историк Али проявляет большую трезвость в оценке этого предприятия. По его мне-

нию, соединение рек Волги и Дона для турок невозможно и автор считает большой беспечностью со стороны великого визиря Мехмеда Соколли браться за эту идею. В целом данные османских историков не дают возможности воссоздать картину астраханского похода 1569 года. Проблемы османских источников восполняются данными русских послов в Стамбуле, Новосельцева (детально касается попытки создания канала), Нагого в Крыму, а также попавшего в плен к османам Семена Мальцева. С описания последнего и передают это событие русские историки Карамзин и Соловьев. Садиков в статье «Поход татар и турок на Астрахань в 1569 г.» (1947 г) добавляет еще и сведения анонимного наблюдателя, который, по его мнению, посланник из польско-литовского государства, Андрей Тарановский.

***

С восшествием на престол неопытного Селима II, управление государством фактически взял в руки энергичный великий визирь Мехмед-паша Соколли. Между находившимися под властью шиитско-сефевидского государства и турками была естественная связь. Неоднократно обращались они к турецким властям с просьбой о помощи против Ирана, получая от них обещание, а иногда и реальную помощь. Вошедшим на престол Селимом II было получено письмо из государства Шейбанидов от Мехмед-хана из Хорезма, который, жалуясь, что персидский шах и московский царь задерживают шедших из Туркестана для совершения хаджжа, просил завоевать Астрахань. В ответном письме падишах обещал освободить людей, задержанных шахом, и изгнать русских из Астрахани. Недовольные властью русских были и среди казанского и астраханского населения. В 1567 году Иван IV по просьбе князя Темрюка построил на реке Тереке при впадении в него реки Сунжи укрепленный городок с постоянным гарнизоном и артиллерией. Факт этот был воспринят в Турции как сигнал к открытому военному вмешательству в кавказ-

ские дела. В начале 1568 года проблема астраханского похода была рассмотрена в Диване как важнейшая. К 1569 году положение изменилось в пользу Турции. В 1568 г. Турция заключила перемирие с Австрией. В том же году Россия вступила в Ливонскую войну, а с 1569 года противники ее Литва и Польша объединяются в Речь Посполитую. с которой заключает союз Турция. В Швеции захватывает престол герцог финляндский Иоанн, известный своими симпатиями к Речи Посполитой. В связи с затруднениями России в Турции на астраханский поход смотрели как на «увеселительную прогулку», уверенные в успехе. С 1567 года было начато исследование местности. В начале 1568 г. в известность о предстоявшем походе был поставлен крымский хан. Изучение местности было поручено второму дефтердару Касым-бею, черкесу по происхождению и большому сторонику этого похода, для чего ему был пожалован Кафский санджак. Несмотря на то, что с 1555 года Турция была с Ираном в мирном перемирии, в сохранении условий которого последний был заинтересован, она не отказывалась от мысли завоевания всего Закавказья. Одним из значительных моментов астраханского похода было проведение канала между реками Волгой и Доном. «Облегчится доставка судов и боеприпасов для войск, находящихся в Дербенте и Ширване; Суда найдут дорогу к берегам Гиляна и Татаристана», – разъясняют османские историки. По мнению Х. Инальджика, одна из основных причин попытки проведения канала была также борьба между Ираном и Турцией. «Обосноваться в Азербайджане для османов постоянно продолжало оставаться наиважнейшей целью. Соколли Мехмед-паша, предприняв в 1569 г. попытку проведения Волго-Донского канала, искал для этого новый путь. Согласно турецкому ученому И. Данишменду, астраханский поход предусматривал следующие задачи: 1. Освободить от русских Астрахань и этим самым отрезать путь к Каспийскому и Черному морям. 2. Положить конец опасностям, угрожавшим Крыму с севера и востока. 3. Присоединить земли между Каспийским и Черным морями и юге Волги и Дона. 4. Обеспечить присоединение Северного и Южного Кавказа. 5.

Овладев Каспийским морем, взять под угрозу Северный Иран. 6. Устранить препятствия для общения со Средней Азией.

В источниках нет единого мнения относительно личности, которой принадлежала идея астраханского похода и попытки создания Волго-Донского канала. По показанию И. Хаммера, инициатором этого грандиозного проекта являлся Касым-бей. Некоторые, сравнительно поздние летописи, связывают проект с именем Мехмеда Соколли. Такого же мнения придерживается и Садиков: «Мысль об этом явилась у великого визиря Мехмеда Соколли», - пишет он. Согласно, вероятно, более достоверным показаниям турецких историков XVI-XVII вв., проект не принадлежит одному человеку, в его создании и обсуждении принимали участие многие «опытные и просвещенные лица». Последнее сведение турецких авторов подтверждается и другими показаниями.

Необходимость похода на север чувствовалась гораздо раньше, уже во времена султана Сулеймана. В 1559 г. казаки совершили нападение на Азовскую крепость с помощью русских. Из Стамбула были посланы войска и приказ об укреплении крепости. Приготовиться к выступлению было велено Кафскому-бею, Крымскому хану, многим санджак-беям в Румелии. Сражения не произошло, казаки не посмели повторить нападение. В 1562 г. было заключено мирное соглашение с Австрией. По сведениям Нагого, в июле 1563 года крымскому хану было сообщено о посылке войска к Астрахани к началу весны, чтобы последний был готов к бою. Согласно проекту, над Доном и Волгой должны были быть построены две крепости и прорыт канал, соединяющий две реки. В районе Астрахани планировалась постройка третей крепости и завоевание этой местности падишахом. Таким образом, здесь впервые появляется идея Волго-Донского канала. Как видим, уже на 6 лет раньше астраханского похода и на 2 года раньше сардарства Мехмеда Соколли, уже существовала идея Волго-Донского канала и похода на север. Поэтому авторы, приписывающие проект Мехмеду Соколли или Касым-бею, допускают неточность. Садиков, хоть и считает, что данная идея

времен султана Сулеймана, но затем он также неправ, приписывая ее Мехмеду Соколли: «В 1563 г. мысль об этом явилась у султана Сулеймана Великого, точнее, у его главного советника Мехмеда Соколли». Должность великого визиря в государстве до 1565 г. занимает Семиз-Али-паша, Мехмед Соколли же сменяет его лишь с этого года. Крымский хан, бывший в перемирии с московским царем, не согласился на это предприятие, сославшись на его трудность. По его мнению, если «даже и смогли бы завоевать Астрахань, то не смогли бы ее удержать». На самом деле, как единогласно повторяют все источники, отказ был вызван страхом усиления влияния Турции и превращения Крыма в ее вилайет. После долголетнего перемирия хан решил устроить поход на Москву, для чего потребовал из Стамбула войско. Старый падишах, готовясь в то время к венгерскому походу, хоть и понимал, что настала пора категорических действий на севере и завоевание Казани и Астрахани важная задача, от данного предприятия воздержался, возможно, не веря в его осуществление.

По результатам, полученным исследованием местности, наименьшее расстояние между двумя реками равнялось 6 морским милям, что приблизительно немного больше 11 километров. Необходимые приготовления были проведены в Стамбуле, после завершения которых войско со всеми припасами было погружено на суда и отправлено из Стамбула в Азовское море. По предположению Инальджика, план задуманного предприятия был следующий: Прежде всего провести канал между Волгой и Доном, перевести суда к Волге, по которой войско и боеприпасы должны были быть доставлены к Астрахани, откуда открывался выход к Каспийскому морю. Согласно русским источникам, в частности, по сообщению некоего Григорьева, остановок предполагалось всего 5: от Кафы до Азова, от Азова до Переволоки, от Переволоки до Волги, по Волге до Астрахани. Если бы не удалось взять приступом астраханскую крепость, то на «старом городище» предполагалось построить «город», т. е. укрепление, где и должны были перезимовать Касим-паша с войском.

Невозможно привести к согласию сведения источников о количестве войск и их посылке к Астрахани. Османские источники не дают насчет этого никаких данных. По показаниям И. Хаммера, отправление войска произошло 4 августа 1569 года. Согласно другим источникам, в августе была послана наиболее значительная часть войска, первая же партия выступила в начале весны. По более достоверным сведениям русских послов, паша выступил в поход 31 мая, соединившись с войском хана в Качалинске 15 августа, суда благополучно достигли Переволоки, где и приступили к проведению канала. Взаимоисключающие данные различных источников относительно действия турецко-крымского войска можно свести к следующему: достигнув Переволоки, турки начали рыть канал, в половине сентября они приблизились к Астрахани, но, не решившись ее взять, остановились далеко, собираясь строить крепость. Количество турецкого войска разными источниками определяется от 10-ти до 20 тыс., Крымского же – от 30 до 50 тыс. Приблизительно численность всех сил можно предположить около 60 тыс. Отступление турок из Астрахани датируется 20 сентября. Если учесть, что проведение канала началось с середины августа, то сведения османских источников, единогласно утверждавших, что работа эта продолжалась 3 месяца и было прорыто ок. 1/3 канала, т. е. до 2-х милей, ненадежны. Некоторые авторы причиной отступления турок считают нападение 30 000 русского войска под командованием князя Серебрякова. Такое сведение, повторяя И. Хаммера, приводит И. Данишменд. Такую же неточность допускает Андрей Тарановский. Согласно более достоверным сведениям, не было никакого сражения. По утверждению Ибрагима Печеви: «Не было даже повода для страха». Основной причиной отказа турок от работы стали крайне тяжелые условия, к чему добавлялось отсутствие четкого плана действий.

Несмотря на то, что в османских источниках поход называется Астраханским, а иногда и Астраханским и Казанским, фактически речь идет только о проведении канала. Сам город Астрахань показан совершенно пустым: «Показался город святых мечетей, бань и

медресе, издавна принадлежавший мусульманскому населению. Оказалось, что в нем не было ни одной живой души». Как известно, русские, после завоевания Астрахани, расположенной на правом берегу, построили новый город на одном из островов, на 10 км. ниже старой Астрахани, на левом берегу Волги, подойти к которому турки не осмелились, так что показания османских источников в данном случае вполне соответствуют действительности.

После Астраханского похода турки долго не предпринимали в этом направлении никаких попыток. Иван IV, не желая обострять отношений с Турцией, также пошел на известные уступки, согласившись на все условия султана: открыть дороги для проезжих мусульман, снести город в Кабарде.

Таким образом, астраханский поход турок 1569 года и попытка создания Волго-Донского канала по создавшейся к тому времени политической ситуации, были заранее обречены на неудачу. Несмотря на то, что непосредственного столкновения Турции с Россией на этот раз не произошло, неудачу турков нужно рассматривать как поражение вполне закономерное и вместе с тем симптоматичное, свидетельствующее о признаках появления сильного противника, способного вытеснить турок с берегов Каспийского и Черного морей. Независимо от целей и исхода предприятия 1569 года наиболее интересен в нем план соединения рек Волги и Дона, как первая попытка идеи, нашедшей осуществление лишь спустя четыре столетия.

თბილისის წარსულიდან*

1578 წელს დაიწყო სპარსეთ-ოსმალეთის ომი, რომლის ერთ-ერთი მიზანი მხარეებისათვის საქართველოს დაპყრობაც იყო. ოსმალეთის ლაშქარმა ლალა მუსტაფა ფაშას სარდლობით ამჯერად აღმოსავლეთ საქართველოში შეღწევაც მოახერხა და თბილისი აიღო. 1580 წელს აღმოსავლეთის მთავარსარდლად დაინიშნა სინან ფაშა, რომელმაც თბილისის ბეგლარბეგის თანამდებობაზე ჰაჯი ბეგ ოღლუ ახმედ ფაშა ვინმე იუსუფ ბეგით შეცვალა.

ქართული ისტორიოგრაფია აღნიშნული პიროვნების იდენტიფიკაციაზე ერთი აზრისაა. მ. სვანიძის ვარაუდით, თბილისის ბეგლარბეგად იმერეთის მეფის შვილი იქნა დანიშნული, რომლის სახელი არა გიორგი, არამედ მამია იყო (1, 141-142).

ვ. გუჩუამ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამის მონაკვეთში იგივე გაიმეორა (2, 135-136). ეს ვარაუდი გაიზიარა ი. ანთელავამ. გამოკვლევაში „ლევან II დადიანი“ მკვლევარი წერს: „1580 წელს დაინიშნა ოსმალთა ლაშქრის ახალი სერასკერი სინან ფაშა. მან თბილისის ბეგლარბეგად დანიშნა გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი იუსუფ სინან ფაშა (მამია). გარკვეულია, რომ ეს მამია უნდა ყოფილიყო იმერეთის მეფის, გიორგის, ვაჟი. მას, როგორც ჩანს, ლალა მუსტაფა ფაშა შეპირებია თბილისის ბეგლარბეგობას, მაგრამ ეს დაპირება არ შეუსრულებია“ (3, 28).

ცნობა თბილისის ბეგლარბეგობის შესახებ რამდენიმე წყაროშ შემოგვინახა. ამათგან ყველაზე ანგარიშგასაწევი ალბათ XVI ს-ის თურქი ისტორიკოსის, გალიპოლელი მუსტაფა ალის მონაცემებია. ავტორი ლალა მუსტაფა ფაშას პირადი მდივანი იყო და მონაწილეობდა აღმოსავლეთის ლაშქრობაშიც. ჩვენთვის საინტერესო მოვლენები გაშუქებულია მის შემდეგ თხზულებებში - მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაშრომში „მოვლენათა არსი“ („ქუნჰ ულ-ახბარ“) და „გამარჯვების წიგნში“ („ნუსრეთნამე“). პირველის მიხედვით, სინან ფაშა

*თანაავტორი თ. კუბლაშვილი

„მდინარე მტკვრის ნაპირზე, ველზე დაბანაკდა და რამდენიმე დღე დაისვენა. თბილისის ყულის ნაწილები მოვიდნენ. თბილისის გამგებლად მყოფ ჰაჯი ბეგ ოღლუ აჰმედ ფაშაზე იჩიენეს. ვინაიდან ის მირლივა იყო, ამის გამო ჩვენი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის სასწრაფოდ თანამდებობიდან გადააყენეს. გიორგი ბეგი, რომელმაც ისლამის ჯარის ყოფილ სარდალს მორჩილება გამოუცხადა, უბედური გიორგი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და დიდი გამგებელი იყო, პატიოსანი ისლამის მიღებით გაბედნიერდა; სარდლის სახელი დაირქვა, მისი მეტსახელი იუსუფი გახდა. მას თბილისის ბეგლარბეგობაც ეწყალობა“ (4, 402). თითქმის იმავეს იმეორებს XVII საუკუნის თურქი ავტორი იბრაჰიმ ფეჩევი, რომელიც ხშირ შემთხვევაში სწორედ მუსტაფა ალის ეყრდნობა: „თბილისის ბეგლარბეგზე რამდენიმე მომჩივანი გაჩნდა. საქართველოს ბეგებიდან კი ყველაზე უფრო გამჭრიახი იყო გიორგი ბეგი, რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის გამოეცხადებინა. ახლა მოვიდა, თბილისის ვილაიეთი ებოძა მას იუსუფ ფაშას სახელით“ (5, 61). იტალიური ქრონიკა განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის: „სინან ფაშამ თბილისის ფაშად დანიშნა ერთ-ერთი რენეგატი ქართველი, რომელიც ქალაქ თბილისის ადრინდელი მფლობელის მსახური იყო“ (6, 41).

XVI ს-ის ავტორის, თომაზო მინადოის გადმოცემით, იუსუფი ეროვნებით ქართველი იყო, „ერთი ქართველი ბატონთაგანი, რომელიც ძველი მტრობის გამო სიმონთან, უკვე მიეცა თურქებს და მათგან ისე მიღებულ იქნა, რომ მიანდო მას სინანმა იმ სიმაგრის დაცვა“ (7, 91).

თომაზო მინადოის ეყრდნობა იოსებ ჰამერი, თუმცა მისგან განსხვავებულ ცნობას გვაწვდის: „მოსახლეობის ჩივილებზე პასუხად ჰაჯი ბეგ ოღლუ აჰმედ-ფაშა ქალაქის გამგებლობიდან გადააყენეს და ეს თანამდებობა ლუარსაბის შვილს გრიგოლს მისცეს. გრიგოლმა, მოხიბლულმა ოსმალთა ბეგლარბეგის თანამდებობით, დატოვა მამისეული მემ-

კვიდრეობა, რომელსაც ცოტა ხნის წინ მისი ძმა სიმონი ფლობდა, შაჰის დროშები სულთნის დროშებზე გაცვალა, ისლამი მიიღო და იუსუფის სახელი დაირქვა“ (8,101).

იმავე ფაქტს ეხებიან თანამედროვე თურქი მეცნიერები.

ბ. ქუთუქოღლუს მოაქვს შემდეგი ინფორმაცია: „თბილისის მცველების ჩივილის გამო ჰაჯი ბეგ ოღლუ აჰმედ ფაშა ბეგლარბეგობიდან გადააყენეს. მის ადგილზე დანიშნულ იქნა გიორგი ბეგი, იმ ქართველ ბეგთაგან, ლალა ფაშას მორჩილების თხოვნით რომ მიმართეს. როდესაც ისლამი მიიღო, მას იუსუფის სახელი მისცეს და ახალი სარდლის ლაკაბი (ტიტული) „სინანი“ უბოძეს“ (9, №III). მასთან არის აგრეთვე ცნობა, რომ სამცხის გამგებლის მანუჩარის გადაყენების შემდეგ, 1582 წელს, იუსუფ ფაშა ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშნეს, ხოლო მანუჩარის შემორიგების და მისი დაბრუნების შემდეგ, იმავე 1582 წელს, იუსუფ ფაშას ყარსის ბეგლარბეგობა მიეცა (9, 122).

მ. ფ. კირზიოღლუს ნაშრომში კი ვკითხულობთ: „დაცვის ჩივილზე ჰაჯი ბეგ ოღლუ აჰმედ ფაშა ბეგლარბეგობიდან გადააყენეს და თბილისის ბეგლარბეგად დაინიშნა ქართლის ბაგრატიონის, სიმონ I ხანის, ისლამზე მოქცეული ძმა (გიორგი) იუსუფ სინან ბეგი“ (10,341).

ამგვარად, 1580 წელს სინან ფაშას მიერ თბილისის ბეგლარბეგად დანიშნული პირის შესახებ ჯერჯერობით ვიცით, რომ

1. მისი სახელი გიორგი ან გრიგოლია;

2. მან მორჩილება ჯერ კიდევ ლალა მუსტაფა ფაშას გამოუცხადა;

3. მიიღო ისლამი;

4. ზოგიერთი წყარო მას ლუარსაბის შვილად და სიმონის ძმად მიიჩნევს.

დავიწყოთ უკანასკნელით.

ქართლის მეფის ლუარსაბის შვილებს და სიმონის ძმებს შორის გიორგი ან გრიგოლი ცნობილი არ არის.

გიორგი ერქვა სიმონის შვილს გიორგი X-ს (1561-1605). მის შესახებ საკმაოდ უხვად შემორჩენილი საბუთები და ისტორიული წყაროები მას სამაგალითო ქრისტიანად წარმოგვიდგენს (11, 250, 252, 326, 360). ამიტომ საფუძვლიანია მ. სვანიძის აზრი, რომელიც გამორიცხავს იუსუფ ფაშას და გიორგი X-ის იგივეობას.

ლალა მუსტაფა ფაშას და სინან ფაშას კამპანიის წლებში გიორგი საქართველოს რამდენიმე გამგებელს ჰქვია: იმერეთის მეფეს (გიორგი II - 1565-1583), გურიის გამგებელს (გიორგი გურიელი - 1564-1583, 1587-1600), ოდიშის გამგებელს (გიორგი დადიანი - 1572-1583) (12, 123). მათ შორის რთული და ზოგიერთ შემთხვევაში მტრული ურთიერთობა იყო, თუმცა დროდადრო ისინი შეთანხმებასაც ახერხებდნენ. საინტერესოა, როგორი ურთიერთობა ჰქონდა თითოეულ მათგანს ოსმალებთან. ისტორიული წყაროები გვიჩვენებენ, რომ სპარსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ ლალა მუსტაფა ფაშამ წერილები გაუგზავნა საქართველოს გამგებელებს. ერთ-ერთი ასეთი წერილის ტექსტი, რომლის ადრესატი დადიანია, გამოქვეყნებული აქვს მ. ფ. კირზიოღლუს. მკვლევარი აქვე აკეთებს შენიშვნას, რომ ასეთივე წერილები გაეგზავნა გურიელს და იმერეთის მეფეს (10, 428).

ბ. ქუთუქოღლუ მუსტაფა ალის „ნუსრეთნამეზე“ დაჟრდნობით აღნიშნავს, რომ ლალა მუსტაფა ფაშას მოწოდებას გამოეხმაურნენ დადიანი და გურიელი, რომლებიც ხარკის გადახდაზე დასთანხმდნენ და ოსმალთა სარდალს ელოდებოდნენ და რომ მოგვიანებით ამ უკანასკნელის ერზურუმიდან გამოსვლის შემდეგ იმერეთის მეფის მორჩილების წერილიც მოვიდა (9, 4243). როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით სამივე - იმერეთის მეფე, გურიელი და დადიანი - თანაბარ მდგომარეობაში არიან.

ქართულ წყაროებში ერთგვარად განსხვავებული ვითარებაა.

მესხურ მატიანეში (XVI ს.) არის ცნობა იმერელთა

წინააღმდეგობის შესახებ: „ენკენის თუეს ერთს იმერელნი შეიბნეს და გაიმარჯუეს და ქართლელნი და ერეკლე ენკენის თუეს ათს შეიბნეს და სრულად ამოსწყუიდეს“ (13,58) (იგულისხმება ლალა მუსტაფა ფაშასთან ბრძოლები). ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად, იმერეთის მეფემ ლალა მუსტაფა ფაშას არამარტო წინააღმდეგობა გაუწია, გაიმარჯვა კიდეეაც მასთან ბრძოლაში: „ამასვე წელს გამოვიდა ლალა ფაშა და ტფილისიდამ ამან ლალა-ფაშამ წარმოავლინა სპანი იმერეთსა ზედა დაპყრობად. ამათ შემოვლეს ქართლი. ამისი მცნობი გიორგი მეფე წარვიდა სპითა მოსწრაფედ და შეუკრა მთა ლიხისა და მოვიდნენ ოსმალნიცა, და უწყეს ბრძოლა იმერთა სიმაგრით გამო და მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა. შემდგომად იძლივნენ ოსმალნი და მოსწყუედდიან იმერნი, აღიღეს ალაფი და მოვიდა გამარჯუებული მეფე გიორგი ქუთათისს“. აღნიშნული ცნობა სინან ფაშას შემოსვლისას 1580 წელს, ისევე მეორდება: „ხოლო რაჟამს მოსლვისა ლალა ფაშისასა მოსრნა გიორგი მეფემან ოსმალთა სპანი და მერმე ქართველთა, მოვიდა აწ სინან ფაშა ქართლსა ზედა. ამან ფაშამან ჰგონა კუალად შუელა ქართველთა გიორგი მეფისაგან. ამისთვის წარმოეელინა ათაბაგი ყუარყუარე... გიორგი მეფისა თანა, რათა ემტეროს სვიმონ მეფესა და ქართლსა“ (14,817-819). ამგვარად, ქართული წყაროების მიხედვით, ომის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს სხვა გამგებლებთან შედარებით იმერეთის მეფე მეტ სიმტკიცეს იჩენს.

საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მუსტაფა ალის „ნუსრეთნამეს“ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას გორში ჩავიდა, მის წინაშე წარსდგნენ იმერეთის მეფის, გიორგის, ძმა და გურიელის ძმა მამია (გამოყენებულია ნურიოსმანიეს ბიბლიოთეკის ხელნაწერი) (10, 293).

მ. სვანიძის გამოკვლევაში მუსტაფა ალის ცნობა, რომელიც ძეგლის ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან მომდინარეობს, განსხვავებულად იკითხება. აქ სარდლის

წინაშე იმერეთის მეფის ძმა მამია გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ქართულ წყაროებში გიორგი მეფის ძმა მამია არაა მოხსენიებული. სამაგიეროდ მ. ბროსეს მიერ შედგენილ ქართველ მეფეთა და მათ შთამომავალთა გენეალოგიურ ცხრილში მითითებულია, რომ იმერეთის მეფეს გიორგის მეორე ცოლის თამარისაგან (შერმაზან დიასამიძის ქალიშვილი) ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: „ალექსანდრე, როსტომი და მამია. ჩვენი აზრით, „ნუსრეთნამეში“ მოხსენიებული მამია გიორგი მეფის ძმა კი არ არის, არამედ მისი შვილი. საფიქრებელია, რომ გიორგი მეფე სწორედ ამ ვაჟიშვილისათვის (მამიასათვის) მოითხოვდა თბილისის გადაცემას და ამ მიზნით იგი გაგზავნა გორში ლალა ფაშასთან და მას მორჩილება გამოუცხადა. მაგრამ... ლალა ფაშამ თბილისის დაპყრობის შემდეგ არ შეასრულა თავისი პირობა და გიორგი მეფის შვილს არ გადასცა თბილისი (ქართლი) საგამგებლოდ“ (1, 142).

ციტატაში მოხსენიებული ალექსანდრე, როსტომი და მამია არა გიორგი II-ის, არამედ გიორგი III-ის შვილები არიან. რაც შეეხება გიორგი II-ს, მის არც ძმას და არც შვილს მამია არ რქმევიათ. მამია ერქვათ დადიანის ძმას და გურიელის შვილს. ამდენად, უფრო სწორი ჩანს იმ ხელნაწერის ჩვენება, რომელიც მამიას გურიელის ძმად მოიხსენიებს.

აღნიშნული მოვლენები გაშუქებულია თომაზო მინადოის და მასზე დაყრდნობით დონ ხუან სპარსელის ნაშრომებში. პირველში ჩამოთვლილია ქართველი გამგებლები, რომელთა შორის იხსენიება იუსუფი „გორის შვილი“: „იუსუფი არის ადგილით, ეროვნებით და რწმენით ქართველი, თუმცა სარწმუნოების მხრივ მთლად მიატოვა ქრისტეს სახელი, ნებიერად დაუახლოვდა თურქებს, შესცვალა ბერძნული რწმენა ბოროტთა შორის უსჯულოზე. აქვს თავისი სასახლე გორი, რომელსაც აქვს თავისი მიწაწყალი დასავლეთით ბაშიაჩუკის მომიჯნავე, ამისგან გამოყოფილი ექსექის ტბით და აღმოსავლეთით დერბენდის მამულით“ (7, 34-35). დონ ხუან სპარსე-

ლის თხზულებაში ძირითადად იგივეა, თუმცა ზოგიერთი რამ აქ უფრო გამოკვეთილია და უფრო გასაგებიც. ავტორის ცნობით საქართველოს „გამგებელთაგან ყველაზე ძლიერები მაშინ ექვსნი იყვნენ. პირველი იყო ლავარზის ქერივი (დესმიტი) და მისი ორი ვაჟი - მირზა მენუჩეჰრი და ალექსანდრე. მეორეები იყვნენ ლაბასაპის ორი ვაჟი - დავითი და სიმონი. მესამე - ლევენდის შვილი, სხვაგვარად ლევენდ-ოღლუ, რომლის ქრისტიანული სახელი ალექსანდრე იყო, ან ჩვენ რომ ვიტყოდით, ისქენდერი, რომელსაც ქვეშევრდომები „დიდს“ უწოდებდნენ. მეოთხე იყო უფლისწული იუსიფი, გორის შვილი. მეხუთე უფლისწული შამხალი, ერცელი მიწების მფლობელი, რომლებიც შირვანის პროვინციასა და გამგებელ ისქენდერის სამფლობელოებს შორის მდებარეობს... დაბოლოს მეექვსე, ძალიან ძლევამოსილი გამგებელი, სახელად ბაშიაჩუკი, რომლის მიწები გამგებელ გორის მიწებს არ ჩამოუვარდებოდა და გამოეყოფოდა მას ესეკიას ტბით.. გამგებელი იუსიფი და მისი მამა გორი, შეუერთდნენ თურქულ ჯარს და იუსიფმა მაშინვე მუსლიმანობა მიიღო“. ცოტა ხნის შემდეგ ეს იუსიფი უკვე თბილისში დავითთან და ისქენდერთან ერთად თურქებს ებრძვის (15, 86, 88). აქ მოხსენიებული ტბა, შესაძლოა, პალიასტომია, ხოლო გორი – გურიელი. აქვე შეიძლება გავიხსენოთ მუსტაფა ალის დახასიათებაც, რომლის მიხედვითაც გიორგი, იგივე იუსუფი, საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და დიდი გამგებელი იყო და ის ფაქტი, რომ იმ წლებში, რომლებსაც დონ ხუან სპარსელის ცნობა ეხება, გურიელი მართლაც ძლიერი გამგებელია და აქტიურად ერევა ოდიშის საშინაო საქმეებშიც (17, 96). სხვათა შორის, *გურიელი* წაიკითხა დონ ხუანის ცნობაში ე. მამისთვალიშვილმაც: „დონ ხუან სპარსელის თქმით, გურიის მთავარი და მისი ვაჟი ოსმალების ჯარში იყვნენ“ (16, 73). თუმცა იგივე მკვლევარი არ აკავშირებს მასთან თბილისის ბეგლარბეგად დანიშნულ გიორგი ბეგს, ხოლო სხვა შემთხვევაში იმოწმებს მ. სვანიძის აზრს, რომლის მიხედვითაც იუსუფი იმერეთის

მეფის გიორგის ვაჟი იყო (16, 207, 179).

ამგვარად, წყაროების ჩვენებას გურიელთან მიეყავართ. როგორც აღვნიშნეთ, იმ წლებში გურიის მთავარი ძირითადად გიორგი გურიელია, რომლის შესახებაც არცთუ ბევრი ცნობაა შემორჩენილი. ვიცით, რომ ის როსტომ გურიელის შვილია, ხოლო მისი შვილები არიან ვახტანგი, მამია და მალაქია. ყოველი მათგანი სხვადასხვა დროს გურიის გამგებელიც იყო. იმისთვის, რომ გიორგი გურიელი იუსუფ ფაშასთან გავაიგივოთ, უნდა დავუშვათ, რომ 1580 წლიდან ის აღარ არის გურიის მთავარი.

როგორც ვახუშტის თხზულებიდან ირკვევა, გიორგი გურიელს მართლაც მოუხდა რამდენიმე წლით გურიის დატოვება და სტამბოლს წასვლა. ისტორიკოსის აზრით, ეს მოხდა 1583 წელს და გრძელდებოდა 1587 წლამდე. საერთოდ სინან ფაშას შემოსვლიდან გურიელის სტამბოლს წასვლამდე ვახუშტი ბაგრატიონი სულ რამდენიმე ცნობას ათავსებს. აშკარად იგრძნობა მასალის ნაკლებობა უკვე მის დროს, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა შედგენისას. ვახუშტი მოგვითხრობს: „შემოიკრიბნა გიორგი მეფემან სპანი და მოიყვანა დადიან-გურიელიცა, სპითა მათითა; ვინაჲთგან აქუნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იყო ხონთქრისა, მიუჴდნენ შიდა ქართლს, ვერა სადა ჰპოვეს ხიზანნი და დაწვნეს სრულიად გაღმა გამოღმართნი. მერმე უკუმოიქცნენ და მოვიდნენ უვნოდ“ (14, 819). ეს ამბავი ვახუშტისთან 1581 წლით არის დათარიღებული, თუმცა უფრო ზუსტი წყაროები ამ ფაქტს 1582 წლით ათარიღებენ (9, 120; 1, 151). მაგრამ დადიანის და გურიელის სახელები არსად და მათ შორის არც ქართულ წყაროებში არ იხსენიება. ამას მოსდევს ცნობა: „ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ... და დაჯდა ძმა მისი მამია დადიანად, არამედ გურიელი გიორგი კუალად არა დასცხრა შურგებად გიორგი დადიანისად. მოიპარა ძე გიორგი დადიანისა მცირე ლევან, პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა, განზრახუთა მამია დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი

უთმინოებითა ტყუეობისათა გარდამოიჭრა ციხიდან, რეცა განლტოლეად და მოკუდა. არამედ ესე მიზეზ ჰყო დადიანმან მამიამ გურიელსა ზედა. შემოიკრიბნა სპანი და მიეიდა გურიას. ამას ეკუეთა გიორგი გურიელიცა და ბრძოლასა იძლია გურიელი და იელტოდა სტამბოლს. მაშინ დადიანმან მოიყვანა ტომი გურიელთა ვახტანგ და დასუა გურიელად". ცნობის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს შხეფის ციხე გურიელს ეკუთვნის. წინააღმდეგ შემთხვეევაში გაუგებარია, როგორ მოახერხებდა ის იქ ლეეანის გამოკეტვას. „ქართლის ცხოვრების" გადაკეთებული გაგრძელება ლეეანის შხეფის ციხეში დატყვეებას მხოლოდ მამია დადიანს მიაწერს (18, 504). ნიკო დადიანის აღნიშენით, გიორგი გურიელმა დადიანის ბიძა დაატყვევა ლიხაურის ციხეში, ხოლო შხეფის ციხეში ლეონი მამია დადიანს დაუტყვეებია (17, 96). როგორც ვხედავთ, ამ მცირე მონაკეეთში ვახუშტისთან რამდენიმე უზუსტობაა დაშეებული, რაც დანარჩენსაც ერთგვარად საეჭვოს ხდის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გამოვთქვამთ შემდეგ ვარაუდებს:

1. ომი გურიასა და ოდიშს შორის, რომელშიც გიორგი გურიელი დამარცხდა, 1580 წელს დაიწყო;

2. ბრძოლაში დამარცხებული გიორგი გურიელი ოსმალთა სარდალთან, სინან ფაშასთან, გამოცხადდა, გამუსლიმდა, სინან იუსუფი დაირქვა და თბილისის ბეგლარბეგი გახდა;

3. 1582 წელს იმერეთის მეფესთან და დადიანთან ერთად ქართლის ლაშქრობაში მონაწილეობდა არა გიორგი, არამედ ვახტანგ გურიელი.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს.*, თბ., 1971.
2. ე. გუჩუა, სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის. კახეთის ურთიერთობა რუსეთთან. სიმონ პირველის მეფობის უკანასკნელი წლები. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბ., 1973.
3. ი. ანთელავა, *ლეონ II დადიანი*, თბ., 1990.
4. მუსტაფა ალი, *მოელენათა არსი.* - სანქტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი. ტ.ნ. გვ. 29-36.
5. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.
6. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987.
7. ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსელთა შორის ოთხ წიგნად აწერილი იოვანე თომა მინადოის მიერ, დაწყებული 1576 წლიდან 1588 წლამდე, თარგმანი პატრი ლაზარე გოზალიშვილისა, ტურინი, 1588 (საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი. – H-149).
8. I. Hammer, *Histoire de l'Empire Ottomane depuis son origine jusqu'a nos jours.* t. septième, 1837.
9. B. Kütükoğlu, *Osmanlı-Iran siyasi münasebetleri*, Istanbul. 1993.
10. M. Fahrettin Kırzıoğlu, *Osmanlıların Kafkas Ellerī nin Fethi (1451-1590)*, Ankara, 1998.
11. პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ,

ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.
12. ვ. გუჩუა. საქართველო 50-70-იან წლებში. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბ., 1973.
13. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ.შარაშიძის, თბ., 1961.
14. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
15. Книга Орудж-Бека Байата, Пер. с английского, Введение и комментарии О.Эфендиева и А.Фарзалиева, Баку, 1988.
16. ე. მაჩისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI ს-ში*, თბ., 1981.
17. ქ. ჩხატარაიშვილი, *გურიის სამთავრო, საკანდიდატო დისერტაცია*, თბ., (ხელნაწერი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).
18. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის განმარტება თურქულ წერილობით ძეგლებში

თურქულმა წერილობითმა ძეგლებმა მრავალფეროვანი ცნობები შემოგვინახეს საქართველოს შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მასალა კარგა ხანია შემოტანილია მეცნიერულ მიმოქცევაში და სათანადოდ კომენტირებული. იმის გამო, რომ, ჩვეულებრივ, ოსმალეთის სახელმწიფოს უფლებები დასაელეთ საქართველოზე ვრცელდებოდა (თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც წონასწორობა ირღვეოდა და თურქეთი აღმოსაელეთ საქართველოში შეაღწევდა ხოლმე), თურქი ისტორიკოსები და მოგზაურები თავის თხზულებებსა და ჩანაწერებში, უპირატესად, მის დასაელეთ მხარეებს აღწერდნენ.

XVII ს-ის თურქულ ისტორიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უკავიათ ქათიბ ჩელებისა და ევლია ჩელების, რომელთა მოღვაწეობა დაახლოებით ერთსა და იმავე ხანას — აღნიშნული საუკუნის შუა წლებს განეკუთვნება. განსხვავება ის არის, რომ ევლია ჩელები მოგზაურია, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნის დათვალიერებას 33 წელი მიუძღვნა. მისი „მოგზაურობის წიგნი“ ძირითადად საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს ეყრდნობა, თუმცა ავტორი პირად შთაბეჭდილებებს უხვად აზავებს წერილობითი წყაროების ცნობებით — ბერძნული და ლათინური, თურქული, არაბული, სპარსული, როგორც თხრობითი, ასევე დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და ფოლკლორული მასალებით. ხოლო ქათიბ ჩელები იყო სწაელული, ფართოდ განათლებული ადამიანი, ენციკლოპედისტი, არაერთი ნაშრომის ავტორი. მის მრავალრიცხოვან თხზულებათა შორის სამში არის ცნობები საქართველოს შესახებ. ერთ-ერთი მათგანი, ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულება „ჯიჰან-ნუმა“ („სამყაროს სარკე“), წყაროთა ფართო წრეს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ თხზულება კომპილაციური ხასიათისაა, ცნობათა სისრულის გამო

მან, როგორც თანამედროვეთა, ასევე მომდევნო თაობათა მაღალი შეფასება დაიმსახურა. საქართველოს და კავკასიის შესახებ, წერილობითი ძეგლების გარდა, ავტორს შეეძლო ზეპირი წყაროებიც ჰქონოდა და ბევრი რამ თვითმხილველთაგან და სანდო პირთაგან გაეგონა, ვინაიდან მონაწილეობდა არზრუმის 70-დღიან ალყაში 1037 (1627-8) წ. და 1045 (1634-5) წ. ერევნის ლაშქრობაში სულთან მურად IV-თან ერთად[1].

საქართველოში ევლია ჩელებიმ 1640-41 და 1646-47 წლებში იმოგზაურა და აღწერა მისი როგორც დასაველეთი, ასევე აღმოსავლეთი ნაწილი[2]. დასავლეთ საქართველოს სამთავროებს ავტორი „გურჯისტანის ვილაიეთს“ უწოდებს, ვინაიდან ოსმალეთის საკუთრებად მიიჩნევს; ცალკე იხსენიებს ჩილდირის ვილაიეთსაც, ე. ი. სამცხე-საათაბაგოს. ძალზე საინტერესოდ აღწერს თბილისს. გეოგრაფიულ აღწერასთან და თანამედროვე ვითარების გაშუქებასთან ერთად ხშირად ისტორიულ მიმოხილვებსაც იძლევა.

ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმაში“ საქართველოს გეოგრაფიული პუნქტები წარმოდგენილია 39-ე და მე-40 თავებში, თბილისი და მდ. მტკვარი - 39-ში, ხოლო აფხაზეთი, იმერეთი (აჩიკ ბაში), ოდიში (დადიანი), გურია (მეგრილ), კახეთი (ზაგემი) და სხვ. - მე-40-ში.

წინამდებარე სტატია ეხება ევლია ჩელებისა და ქათიბ ჩელების ცნობებს *დადიანის, მეგრილის* და *მეგრელისტანის* შესახებ. ქართულ ენაზე ქათიბ ჩელების ცნობათა გამოცემისას, 1978 წელს, ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობა უზუსტობად იქნა მიჩნეული. აღნიშნული იყო, რომ „თუმცა აბუ ბექრთან შედარებით ქათიბ ჩელების მონაცემები უფრო სანდოა, ავტორი მაინც ვერ აღწევს თავს მთელ რიგ უზუსტობებსა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებას“. ამის საილუსტრაციოდ მოტანილი იყო შემდეგი მაგალითი: საქართველოს მხარეთა ჩამოთვლისას ავტორი *დადიანს* (داديان) და მეგრილს (كرل) სხვადასხვა კუთხედ მიიჩნევს. „აჩიკ ბაშს, დადიანს, მეგრილსა და ყველა სხვას, ქართველებს უწოდებენ“. შემდეგ ავტორი

ადგენს თითოეული კუთხის საზღვრებს და განმარტავს: „დადიანი შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს აბაზას მოსაზღვრე ქვეყანაა. მათი გამგებელი ყოველთვის ებრძვის აბაზას. მისი ერთი მხარე ფაშის მდინარეს (ე. ი. რიონს – გ. ა.) აღწევს“. ამგვარად, „ჯიჰან-ნუმაში“ მოხსენიებული *დადიანი* ოდიშია, ხოლო *მეგრილი* მხარეა შავი ზღვის სანაპიროზე; მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ფაშის მდინარე შავ ზღვას ერთვის, საზღვარი გონიოს ემიჯნება, ე. ი. მეგრილი მოთავსებულია რიონსა და გონიოს შორის, ანუ შეესაბამება გურიას[3].

როგორც ცნობილია, სამეგრელოს სამთავროს გურიისაგან მდ. რიონი ჰყოფდა, ხოლო გურიის სამხრეთი საზღვარი მდ. ჭოროხზე გადიოდა. საზღვარი აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ტექსტში მითითებული არ არის, მაგრამ „ჯიჰან-ნუმას“ კაეკასიის რუკაზე, რომელიც არ ეკუთვნის ავტორს და დართულია წიგნის გამოცემის დროს, 1732 წელს, იგი მდ. კელასურზე გადის, ანუ ასახავს ვითარებას XVII ს. 80-იან წლებამდე, რის შემდეგაც საზღვარმა მდ. ენგურზე გადაინაცვლა.

თურქულ წყაროებში, ისევე როგორც სპარსულ წერილობით ძეგლებში, ოდიში, როგორც წესი, გვხვდება არა *მეგრილ*, არამედ *დადიან* ფორმით. ასეა XVIII ს. თურქ ავტორებთან – რაშიდისთან, ფუნდუკლულუ მეჰმედ აღასთან; XVII ს. ირანელ ისტორიკოსებთან – მუჰამედ თაჰერთან, ისქანდერ მუნშისთან[4] და სხვ.

ჩვენთვის მისაწვდომ თურქულ წყაროებში *ოდიშ* ფორმა ორჯერ, ხოლო ფაქტობრივად ერთხელ გვხვდება – XVII-XVIII სს. ავტორის ჩელმი-ზადეს ნაშრომში და აქედან გამომდინარე XVIII ს. ისტორიკოსთან ვასიფისთან, რომელიც თავისი წინამორბედის ჩელმი-ზადეს მონაცემებს ეყრდნობა[5].

ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმაში“ იხსენიება გურიაც (ქჯ): „გურიელის ქვეყანა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ცალკე გამგებელი ჰყავს. 997 (20.XI.1588 - 9. XI. 1589) წელს იმ ქვეყანაში რომ ღაზი-გირეი მივიდა, მოსპო და გაანადგურა შემდეგი ციხეები...“[6] აქ ჩამოთვლილი, დაახ-

ლოებით, 40 დასახელების ციხეებისა და პუნქტების იდენტიფიკაცია, სხვათა შორის, არ ხერხდება. გაუგებარია, რომელი ქვეყანა იგულისხმება. ამავე ავტორის ოსმალეთის ისტორიაში („ფეზლექე") იხსენიება გურია და გურიის გამგებელი, მაგრამ, კონტექსტის მიხედვით, ამ მხარის მდებარეობა გაურკვეველია[7]. არ იცნობს გურიას არც „ჯიჰან-ნუმას" კავკასიის რუკა (1657-80-იანი წწ.), სადაც დასაველეთ საქართველოში დატანილია მხოლოდ აბაზა (ابخا) – აფხაზეთი), სვანეთი (صوان) და მეგრილი (كركى) - აფხაზეთის მეზობლად.

არა აქვს დაზუსტებული გურიის მდებარეობა არც ევლია ჩელების თავის თხზულებაში, თუმცა მას ორჯერ ახსენებს: ერთხელ „გურჯისტანის ვილაიეთის" მხარეების ჩამოთვლისას: „აჩიკ ბაშის, შავშეთის, დადიანის, გურიელის და მეგრელისტანის ბეგები ყველანი ურჯულოები არიან, მაგრამ მურად IV-ის დროს ყველანი დამორჩილდნენ. საფარ-ფაშა ამ მხარის გამგებელი გახდა, ახალციხე მის ცენტრად იქცა. ამჟამად მათგან ყოველ წელს მოდის საჩუქრები". მეორედ იალბუზის მთის აღწერისას: „იალბუზი მეტად დიდი და მაღალი მთაა. გარშემო ოთხი ხელმწიფის (სამფლობელოა) და სამხრეთით აბაზას ტომები სახლობენ. მისი სიგრძე დღის სავალია. ამ მთის ძირას სამეგრელოს, გურჯისტანის, აჩიკ ბაშის, შავშეთის, გურიელის, დადიანის ხალხები სახლობენ"[8].

ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქულმა წერილობითმა ძეგლებმა არ იცის გურიის არსებობა, ან მისი მდებარეობა. XVI ს. I მეოთხედის ერთ-ერთ დოკუმენტში ზუსტად არის მითითებული – „აქედან ქვეით ხეობაში ქუთაისის ქვეყანაა. ეს ის ადგილებია, სადაც სულთან სელიმ-ხანი მოვიდა და საღვთო ომი გადაიხადა (იგულისხმება სულთან სელიმის 1510 წლის ლაშქრობა). უფრო ქვეით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა"[9]. გურიას იხსენიებს მეჰმედ რაშიდი, ვასიფი, როგორც „საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე მხარეს". აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკი, ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმას"

ჩანართების დიდი ნაწილის ავტორი, რომლის გადმოცემით, „გონიოს ლიგა საქართველოს საზღვრებთან მდებარეობს, ზღვის ნაპირზე მდებარე ციხე ყასაბაა. მის საზღვარზე გურიისა და სამეგრელოს ტომებია“[10].

ეკლია ჩელების თხზულებაში, როგორც აღინიშნა, ცნობათა ორი ფენა გამოიყოფა. პირველი XVII ს. 40-იან წლებში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს, ხოლო მეორე ნაწილი ზეპირ და წერილობით წყაროებს ემყარება. ცნობები, რომლებშიც „გურია“ იხსენიება, აშკარად ლიტერატურული წარმოშობისაა. მეორე რიგის მონაცემებში გვხვდება საინტერესო ინფორმაცია სამეგრელოზე. ეკლია ჩელების მიხედვით, სამეგრელოს დიდი ნაწილი „დადიანის ქვეყანაა“. დადიანთან ერთად „მეგრელისტანიც“ იხსენიება – „ურჩი აზნაურების ქვეყანა“, რომელიც „ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია“[11].

გონიოს ციხისათვის ბრძოლის აღწერისას ავტორი რამდენჯერმე იხსენიებს სამეგრელოს და მეგრელებს – „აჰმედ-ფაშამ ყველა მუსლიმი ემირი სათათბიროდ მოიხმო და თქვა: „ეს სამეგრელო ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია“, „მდ. ჭოროხზე ფონით რომ გაედიოდით, საფარ-ფაშამ საქართველოს ჯარით დაიწყო სამეგრელოს ნაჰიეს დერანიეს რბევა-აკლება. ეს რომ დაინახა მეგრელმა მოსახლეობამ, გაქცევა არჩია და მთებში გაიხიზნა. გონიოს ციხის მტკიცე და ძლიერი კედლის აღწერა: „ტრაპიზონის ვილაიეთში და ბათუმის სანჯაყში შედის. ფაშას ცალკე სახასო აქვს. რამდენადაც სამეგრელოს მისადგომებზეა და (სახელმწიფოს) ფარგლების დასასრულია, ამ ჯარს ლაშქრობა არ ევალება და ციხეს იცავს“[12].

უკანასკნელი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ეკლია ჩელები ამ შემთხვევაში სწორედ გურიას გულისხმობს, ვინაიდან გონიოსთან საზღვარი ოსმალეთსა და გურიას შორის გადიოდა. ასევე განიხილავს, როგორც დავინახეთ, ამ საკითხს ქათიბ ჩელები. ამასთანავე, ეს ორი ავტორი ერთმანეთის ნაშ-

რომებით არ სარგებლობენ და, თუ ქათიბ ჩელები თავის თხზულებას, ძირითადად, წერილობით წყაროებზე ამყარებს, რის გამოც იგი არ არის დაზღვეული ანაქრონიზმებისაგან, ეველია ჩელების ცნობები თვითმხილველს ეკუთვნის, რაც აგრეთვე არ იცავს მას უზუსტობისაგან, მაგრამ უკანასკნელი ახსნას მოითხოვს.

სხვადასხვა დროს სამეგრელოს და დასავლეთ საქართველოს სახელები იცვლებოდა. ლეონტი მროველი მეგრელთა წინაპარს, ეგროსს, მთელ დასავლეთ საქართველოს აკუთვნებს. ამგვარად, ლეონტი მროველის თანახმად, დასავლეთ საქართველო, რომელსაც ბერძნულ-ბიზანტიური წყაროები ჯერ კოლხიდას, ხოლო შემდეგ ლაზიკას უწოდებენ, ეგრისია. მოგვიანო ხანისათვის, იმავე ლეონტისა და ჯუანშერის თხზულებებში, ეგრისის მნიშვნელობა უფრო ვიწროც არის. თვით ტერმინი სამეგრელო, დამოწმებული XI ს-ში თხზულების „ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდისა ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისა“ თავისუფალ, ქართულ, ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში, ძეგლის ორიგინალის შესაბამისი კონტექსტის მიხედვით ლაზიკაა, ანუ დასავლეთ საქართველო. დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს ეს ტოპონიმი ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ისტორიის ქართულ რედაქციაშიც (ხელნაწერი 1142 წ.). ანალოგიური ვითარებაა XVI ს-ის მეცნიერისა და მოგზაურის, გერბენშტეინის, ჩანაწერებში[13] და XV ს. იტალიელ ავტორთან, ჯოსაფატ ბარბაროსთან, რომელიც განმარტავს: „სამეგრელო ნაწილია საქართველოსი.. ამ ქვეყნის მმართველს ჰქვია ბედიანი. მას ხსენებულ ზღვასთან აქვს ორი ციხე-სიმაგრე. ერთს ჰქვია ვატი (რაც ბათუმს ნიშნავს) და მეორეს — სევასტოპოლი. ამათ გარდა, კიდევ აქვს სხვა მრავალი კოშკი და გამაგრებული ადგილი“[14]. ფართო მნიშვნელობით ესმის ეს დასახელება XV ს. I ნახევრის ბავარიელ მოგზაურს იოჰან შილტბერგერს, რომლის მიხედვით, სამეგრელოს მთავარი ქალაქი შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ბათუმია[15]. ამასთან დაკავშირებით XIX ს.

II ნახევრის ინგლისელი მოღვაწე ჯ. ტელფერი, რომელმაც თარგმნა ი. შილტბერგერის „მოგზაურობა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში XIV-XV სს“[16], სადაც არის ცნობები საქართველოს შესახებ, გაკვირვებით შენიშნავს, რომ მას არსად შეხვედრია ცნობა, სადაც ლაზისტანში მდებარე ბათუმი სამეგრელოს ნაწილად იხსენიებოდეს[17]. როგორც ჩანს, სწორედ ამ ხასიათის ცნობებმა ავარაუდებინა ი. ჯავახიშვილს, რომ „ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველ წლებში აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროდ არ იყო ქცეული, არამედ აფხაზეთი და სამეგრელო ცალ-ცალკე საგამგეო ქალაქებს წარმოადგენდნენ. აფხაზეთის მთავარ ქალაქად მაშინ ცხუმი ითელებოდა, სამეგრელოს მთავარი ქალაქი მაშინ ბათუმი იყო და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარს მაშინ გურიაც და აჭარაც სჭერია“[18].

საკუთრივ სამეგრელოს აღსანიშნავად ქართულ წყაროებში გვხვდება ტერმინი ოდიში, რომლის პარალელურად დასავლეთ ევროპულ ძეგლებში გავრცელებულია მინგრელია, აღმოსავლური წყაროების მსგავსად, ზოგიერთ სომხურ წერილობით ძეგლში, კერძოდ, არაქელ დავრიჟეცისთან, მისი შესატყვისია დადიანი[19]. თოვმა მეწოფეცი მეგრელს ახსენებს[20]. ზაქარია აგულეცისთან დადიანი, ისევე როგორც ზოგიერთ ავტორთან სამეგრელო, დასავლეთ საქართველოს უნდა გულისხმობდეს – 1680 წ. „ოსმალეთის სულთანმა მეფე მაჰმადმა უბრძანა არზრუმის ფაშა იბრაჰიმს: „შენი ქვეშევრდომებით წადი საქართველოში, დადიანის ქვეყანაში და ეომე შაჰნავაზ ხანის შვილს შაჰნაზარ-ხანსო“[21]. იგულისხმება არჩილ მეფე, რომელიც იმერეთში მეფობდა.

განხილული მონაცემები, ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს შემდეგი დასკვნისათვის: ქათიბ ჩელებისა და ეველია ჩელების ცნობები მეგრისა და მეგრელისტანის შესახებ არ უნდა იყოს გაგებული როგორც უზუსტობა, ან როგორც მხოლოდ ძველი ტრადიციის ხარკი, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს დასახელება იყო ეგრისი, ხოლო

მოგეიანებით სამეგრელო. აღნიშნული ტოპონიმის ფართო მნიშვნელობა, ჩანს, არსებობას განაგრძობდა XVII ს-შიც, რითაც აიხსნება მისი გამოყენება გურიის შესატყვისად ეიწრო, საკუთრივ ოდიშის მნიშვნელობასთან ერთად.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978, გვ. 20-22.
2. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი" თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II., თბ., 1973, გვ. 29.
3. ქათიბ ჩელების ცნობები, გვ. 46.
4. მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოს და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976, გვ. 24; ნ. ჯაველიძე, ოსმალო ისტორიკოსი ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა დასავლეთ საქართველოს შესახებ. – *თსუ შრომები*, 250, 1985, გვ. 156; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 13, 15, 20, 82, 119.
5. ნ. შენგელია-ჯაველიძე, ჩეშმი-ზადე მუსტაფა რაშიდის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №3, 1979, გვ. 137; ნ. შენგელია, ოსმალო ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ – კრ. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III. თბ., 1971, გვ. 303.
6. ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ. 137.
7. იქვე, გვ. 222, 237.

8. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, გვ. 32, ნაკვ. 1, გვ. 273.
9. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 57.
10. ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ. 173.
11. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, 1 გვ. 330.
12. იქვე, გვ. 331.
13. ეს საკითხი სპეციალურად არის შესწავლილი თ. ბერაძის ნაშრომში „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“. – *საქართველოს გეოგრაფიის კრებული*, თბ., 1967. აქ მოტანილი მასალა ამ ნაშრომიდანაა ამოღებული. ტოპონიმის ფართო და ვიწრო მნიშვნელობამ გამოიწვია გ. წულაიას შენიშვნა, რომლის თანახმად ეთნონიმი „მეგრელი“ არ ემთხვევა ეთნონიმ „ეგროსს“. ლეონტი მროველის თხზულებაში პირველი, მისი აზრით, ლაზურ-ჭანურ ტომებს გულისხმობს, ვინაიდან ძველი ქართველი ისტორიკოსი ტრაპეზუნდს სწორედ მეგრელთა ქვეყანაში ათავსებს (Г.В.Цулая, Историческая концепция грузинского историка XI века Леонтия Мровели. – *История СССР*, №4, 1987, გვ. 175-187).
14. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 54.
15. ე. მამისთვალიშვილი, იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ. – *თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები*, I, თბ., 1972, გვ. 166.
16. Н. Г. Меладзе, *Записки английских путешественников как источник по истории нагорья Западной Грузии.* Автореферат на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1991, გვ. 8.
17. ე. მამისთვალიშვილი, *იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ*, გვ. 166.

18. ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III, თბ., 1966, გვ. 435-436.

19. Аракел Даврижеци, *Книга истории*, Пер. с армянского, предисловие и комментарий Л.А.Ханларян. М., 1973, გვ. 109.

20. თოვმა მეწოფეცი, *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1987, გვ. 24.

21. ზაქარია აგულეცი, *დღიური*, ნაწილი II-III, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დაველიანიძემ, თბ., 1979, გვ. 98.

ალაზანი და იორი აღმოსავლურ წყაროებში

XVI-XVII სს-ის სპარსულ და ოსმალურ წყაროებში ხშირად იხსენიება აღმოსავლეთ საქართველოს ორი მდინარე - قنق || قناق || قناق || قنوت (კნკ, კანკ, კნაკ, კნუთ – უნდა იყოს კნუკ) قابور || قابور || قبری (კაბურ, კაფურ, კბრი) ფორმით. ამ თხზულების ავტორები არიან შარაფ-ხან ბითლისი, ჰასან რუმლუ, მუსტაფა სელიანიქი, მუსტაფა ალი (XVI ს.), ისქანდერ მუნში, იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, ეელია ჩელები, მუნეჯიმ-ბაში (XVII ს.) და სხვ.[1]

არც ანტიკურ და არც არაბულ წყაროებში მსგავსი დასახელების საქართველოს მდინარეები არ გეხვდება. მდ. კაპრი იხსენიება რუსი ელჩების 1601-1605 წწ. მოხსენებაში, სადაც აღნიშნულია, რომ როდესაც ალექსანდრე კახთა მეფე შაჰ-აბასისაგან ბრუნდებოდა, მასთან მომავალი «кызылбашские люди сперва стали на рубеже у Капры реки, а Константин царевич приехал с отцом своим в Загем...»[2].

XVII ს. 40-იან წწ. კახეთში რუსი ელჩების (თაევადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის) მოგზაურობის ჩანაწერებში იხსენიება მდ. კან-ი (Кан).[3]

იგივე ჰიდრონიმი გეხვდება ევროპელ ავტორებთანაც – ტ. მინადოისთან (Canac), რ. ნოლსთან, ნ. კონტისან (Chinisco), ი. ჰამერთან (Kanak), ი. კლაპროტთან (Kani oder Ckanick)[4].

კავკასიის 1897 წ. ხუთვერსიან რუკაზე ალნიშნულია მდ. კანიგი (Каныг), ხოლო კავკასიის 1868 წ. რუკაზე - მდ. კონი (Коны)[5].

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში იხსენიება ყანუ-ყობი. საინგილოში ჩაწერილ ერთ-ერთ ისტორიულ თქმულებაში თამარ მეფის შესახებ ბრძოლა შაჰ-აბასსა და თამარ მეფის ჯარებს შორის სწორედ ყანუ-ყობიში მოხდა[6].

ი. შოპენის აზრით, ალაზანი ჰეროდოტესთან ალა-რუდია, პლუტარქესთან, ალბანი, ხოლო მუსლიმები მას კანაკს უწოდებენ[7]. დ. ბაქრაძე ყანი-ყობის მდ. ყარა-სუსთან აიგივებდა[8]. მდ. ყარა-სუ ყარაიის ველზე მოედინება და ერთვის

მტკვარს ჩრდილოეთიდან[9]. წყაროებში მას მწარე-წყალი, ან აჯი-სუ ეწოდება. დ. ბაქრაძის აზრი ყანი-ყობიზე გაიზიარა ა. ხახანაშვილმა, რომელმაც აღწერა თავისი ექსპედიციები კავკასიაში 1892, 1893 და 1895 წწ. ზაქათალის მხარის საზღვრების დასახელებისას ავტორი შენიშნავს, რომ სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ალაზანი და შირაქის ველია, სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი კი ყანუ-ყობი (ან ყარა-სუ)[10].

სპეციალურად მსჯელობენ ამ ჰიდრონიმზე ჯ. გვასალია და თ. თოდრია. მათი აზრით, „წყაროთა ზოგი მონაცემი თითქოს ლაპარაკობს ყანი-ყობის ყაფი-ჩაისთან (ხუთევრსიანი რუკის Капу чай) გაიგივების სასარგებლოდ. ყაფი-ჩაის გაიგივებას ყანი-ყობისთან (Кан) მხარს დაუჭერდა კაეკასიის მხარის 1868 წ. რუკაზე აღნიშნული მდ. სახელწოდება «Коны», რომელიც შეესაბამება ი. ლინევიჩისა და ხუთევრსიანი რუკების ყაფი-ჩაის“. მოტანილია საწინააღმდეგო არგუმენტებიც და კლაპროტის ჩვენებებზე დაყრდნობით, გამოთქმულია ვარაუდი კანიკისა (ან კანისა) და ქურმუხის იგივეობის შესახებ, რომლის მარცხენა შენაკადი, ი. კლაპროტის მონაცემებით, თითქოს ეგრია, ან აგრი-ჩაი, თუმცა სინამდვილეში პირიქით არის. ქურმუხის წყლის ერთი ტოტი ერთვის აგრი-ჩაის. აქვე მკვლევარები კიდევ ერთ ვარაუდს უშვებენ, რომ „კანის ქვეშ არა ერთი, არამედ ორი მდინარე იგულისხმება“[11].

აზერბაიჯანელი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ა. ბაქიხანოვის (1794-1848) ნაშრომში იხსენიება მდ. კანიკ (ალაზანი)[12]. თუ 1934 წ. ისლამის ენციკლოპედიის სტატიაში „შექი“ ვ. მინორსკი ალაზანს კანიკთან კითხვითი ნიშნით აიგივებს, მისივე 1943 წ. ნაშრომში კანიკი ალაზანია ყოველგვარი ეჭვის გარეშე[13].

1601-1605 წწ. რუსი ელჩების მოხსენიებული მდ. კაპრი, ი. ჯავახიშვილის აზრით, იგივე კარპი-ჩაია და „ძველად, ამ მდინარის ზემო ნაწილსაც კაბრის ანუ კაპრის წყალი ერქმეოდა“[14]. მაგრამ ამაზე უფრო ადრე ბ. დორნს უკვე აქვს აღნიშნული, რომ მდ. იორს აგრეთვე კაბრი ერქვა[15].

აზერბაიჯანელი მეცნიერი ა. რახმანი ახმოვანებს ამავე დასახელებას როგორც კიბრი[16]. ასევე აქვს შარაფ-ხან ბითლისის თხზულების მთარგმნელს ე. ვასილიევას, რომელიც ამ შემთხვევაში ა. რახმანის იმოწმებს. შარაფ-ხანთან იხსენიება მეორე ჰიდრონიმიც, რომელიც მთარგმნელს ერთ შემთხვევაში გახმოვანებული აქვს როგორც კანუკი, ხოლო მეორედ, როგორც კანა. კანას და კიბრის იგი განმარტავს როგორც საქართველოს მდინარეებს. ხოლო კანუკთან დაკავშირებით მოაქვს ეელია ჩელების ცნობა იმის შესახებ, რომ მდ. კანიკი მდ. ზანგის ერთვის, რომელიც მტკვრის შენაკადია[17]. შეცდომას, რომელსაც ეელია ჩელები უშვებს, ქვემოთ დავუბრუნდებით.

XVII ს. თურქი ავტორის ქათიბ ჩელების ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებისათვის („ჯიჰან-ნუმა") მოგვიანებით დართულ რუკაზე (თარიღდება დაახლ. 1657-80-იანი წლებით) დასახელება قبق მიკუთვნებული აქვს იორს[18].

შემონახულია ერთ-ერთი ავარული სიმღერა კახეთის დარბევაზე, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ქაბრი იორია".

„გაიდნენ ალაზანს, გაიარეს შირაქი,
გავიდნენ ქაბრსა (იორსა) და
შეიდნენ მამაცნი შიდა-კახეთში"[19].

ამავე სიმღერის ვარიანტში ქაბრის ნაცვლად იორია.

„ალაზნის პირს გარდაიხადა ნამაზი
იორის პირს ილოცა და შეევედრა ალლაჰს"[20].

საქართველოს და კავკასიის შესახებ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობების გამოცემაში შესაბამისი კონტექსტების ანალიზის საფუძველზე ს. ჯიქია მდ. قبق, قبر და قبج-ს განმარტავს როგორც იორსა და ალაზანს. მკვლევარი იმოწმებს ისქანდერ მუნშის, ტომაზო მინადოის, ფარსადან გორგიჯანიძის მონაცემებს. ავარულ სიმღერაზე დაყრდნობით, იგი უფრო მართებულად მიიჩნევს ქაბურ, ვიდრე ქაფურ ფორმას[21].

მუსტაფა სელიანიქის (გამოც. 1960 წ.), ჰასან რუმლუს (1966), ისქანდერ მუნშის (1969, გაგრძელება 1981),

ეელია ჩელების (1971-1973), მუნეჯიმ ბაშის (1968) ქართულ ენაზე მთარგმნელები და შენიშვნების ავტორები (რ. კიკნაძე, ნ. გელაშვილი, ნ. შენგელია, გ. ფუთურიძე) ს. ჯიქიას აზრს იზიარებენ და, როგორც წესი, იმოწმებენ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობათა კომენტარს.

თანამედროვე თურქ ავტორთა (ი. დანიშმენდი, „ოსმალეთის ერცელი ისტორიის“ ავტორთა კოლექტივი, მ. ქირზიოღლუ) გამოკვლევებში კანიკი და კაბრი გაგებულია როგორც მდინარეები ალაზანი და იორი[22]. ასევეა აზერბაიჯანულ საბჭოთა ენციკლოპედიაში და გ. გეიბულაევის გამოკვლევაში[23].

იბრაჰიმ ფეჩევის თხზულების რუსულ თარგმანში ზ. ბუნიატოვი ამ მდინარეებს, რომლებსაც კითხულობს როგორც Габырры და Ганыг (ისევე, როგორც აზერბაიჯანულ ენციკლოპედიაში), განმარტავს ერთ შემთხვევაში, როგორც «местное название р.Иори», მეორე შემთხვევაში როგორც «местное название р. Алазани»[24].

ამგვარად, უმრავლესთა აზრით, კაბრი იორია, ხოლო კანიკი – ალაზანი.

მკვლევართა ნაწილი ანტიკურ და სომხურ წყაროებში მოხსენიებულ ალბანეთის ჰიდრონიმ ან ტოპონიმ ხანი, ხენი, ეხნი-ს[25] აიგივებს კანაკ, კანიკ, განიხ-თან, ხოლო მათ, თავის მხრივ, სამართლიანად უკავშირებს პუნქტს ღანუხ//ღანუყს[26]. დ. მუსხელიშვილის მსჯელობით, „თუკი ვახუშტისეული ლოკალიზაცია სწორია და ქართული ღანუხი არ არის დღევანდელი გეინუკი (Гейнук) კახის აღმოსავლეთით, მაშინ, შესაძლებელია, რომ ეს ტოპონიმიც (ღანუხ-ი) იმავე „ხენის“ მანიშნებელი იყოს“[27].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ღანუხს ორჯერ იხსენიებს: „მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღანუჴით წარსელად რაჭსის პირსა“, „აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხჳ, და მოვიჴდა ღანუჴს“[28]. ორჯერ გეხვდება ეს სიტყვა თამარის პირველ ისტორიკოსთან. ერთ შემთხვევაში

როგორც ტოპონიმი, „შემდგომად ამისა მეორესა წელიწადსა შეიყარა ყოველით სამეფო მისით შემოქცეული ღანუყით ნაჭარმაგევსა". მეორე შემთხვევას – „ჟამსა ღანუყობისასა„[29] ს. ს. ორბელიანი XVIII ს-ში განმარტავს როგორც „გაზაფხულის დროს". აზრი გამეორებულია დ. ჩუბინაშვილთან და ქაროული ენის განმარტებით ლექსიკონში.

იგივე დასახელება არის ვახუშტისთან, არა გეოგრაფიულ აღწერაში, არამედ „ქართლის ცხოვრების" შესაბამის მონაკვეთში[30]. მაგრამ პუნქტი ღანუჯი აღნიშნულია ვახუშტის რუკაზე ალაზნის მარცხენა მხარეს, ბელაქანსა და ვარდიანს შორის.

თამარის ისტორიის შესაბამის მონაკვეთში, რომლის წყაროც „ქართლის ცხოვრებაა", იხსენიებს ღანუჯს ფარსა დან გორგიჯანიძეც (თამარ მეფე და დავით სოსლანი „ჩავიდნენ ყანუხს და იქაური მთა და ბარი, ტყე და ჭალები მოინადირეს" (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა, 2140, 24).

ღანუხი იხსენიება იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში იმ სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლებს შორის, რომლებიც ენისელს მიეწერება[31]. ხოლო „კალმასობაში" ღანუჟი გაგებულია როგორც მდინარე, რომელსაც ავტორი განმარტავს როგორც „აწ იორად წოდებულს"[32]. იგივე აზრი გამეორებულია თხზულების ქართლის ისტორიის ნაწილშიც (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა 2134,613).

თხრობითი წყაროების გარდა, ღანუხი მოხვდა დოკუმენტებშიც, კერძოდ, იხსენიება 1589 წ. ერთ-ერთ გუჯარში[33].

ყანუჟ, კანიკ, ღანუხთან აკავშირებს გ. კიკნაძე ლაგოდეხის რ-ში აღმოჩენილი ვერცხლის თასების წარწერაში მოხსენიებულ „ღამკანუხს"[34].

მდ. იორი, ისევე როგორც მდ. ალაზანი, მიედინება ძირითადად საქართველოში და ნაწილობრივ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მდ. იორი სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე და ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს, ადრე ალაზნის შენაკადი იყო. მდ. ალაზანი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის დიდი ბორბალოს აღმოსავლეთ ფერდობზე, ხოლო მისი ქვემო დინების გასწვრივ გადის საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარი, ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. ადრე ალაზნი მტკვრის შენაკადი იყო.

ქართულ წყაროებში მოხსენიებული დიდი და მცირე ალაზანი – ალაზანი და იორია[35]. ამგვარად, ალაზანი იორსაც ეწოდებოდა. ყოფილა პირიქითაც. თეიმურაზ ბაგრატიონის დავით ბაგრატიონის ისტორიაში მოცემული განმარტების მიხედვით, „ალაზნის მდინარესა დიდი ივერა ეწოდების ძველითა სახელითა“[36]. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთ-ერთ ენციკლოპედიაში მოტანილი ცნობა მდ. ალაზანზე – „ძველი ალაზონიუსი. თბილისის გუბერნიის მდინარე. უერთდება მდ. იორას და ამ დასახელებით ერთვის მტკვარს„[37].

აქედან გამომდინარე, XVII ს. ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის „ჯიჰან-ნუმას“ რუკაზე მდ. იორისათვის კანაკ სახელის მიკუთვნება, რომლითაც ჩვეულებრივ ალაზანი აღინიშნება, შესაძლოა, აღარც ჩაითვალოს შეცდომად[38]. აქვე აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ თუ სტრაბონის მდ. ხანი კანიკია, ე.ი. ალაზანი, ამავე ავტორის ალაზონიოსი, შესაძლოა, იორი იყოს, იგივე მცირე ალაზანი („უწყალო ოღრონჭოღრო კამბიზენე, რომელიც მდ. ალაზონიოსთან არის“)[39].

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, დასახელებები დიდი ალაზანი და მცირე ალაზანი ანუ იორი მიღებულია „ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათჳს, ვინაითგან აქუთ სახელი ერთი – იორა ამ მდინარემ“[40].

ი. შოპენმა და შემდეგ დ. ბაქრაძემ იორის დასახელება დაუკავშირეს წყლის და მდინარის აღმნიშვნელ სიტყვებს ებრაულ, კოპტურ, ისლანდიურ ენებში (იარ, იორ, იარო, სჯორ)[41].

ვახუშტის ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილის გამოცემაში მ. ჯანაშვილი იორ დასახელებას აკავშირებს ივერთან, ხოლო ალაზანი, გამომცემლის აზრით, იმავე ფესვიდან უნდა იყოს, რომლიდანაც წარმოდგნენ სახელები მდინარეებისა არაზი (არახსი, არაქსი), არაგვი, ალგეთი[42].

დ. მუსხელიშვილი იორს უკავშირებს „ბერს“ („ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა“ – ქც I, გვ. 9), ე. ი. ივერ-იბერს. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს მოჰყავს პლინიუსის ცნობა მოსხების ქვეყნის გავრცელების შესახებ მდ. იბერამდე, რომელიც მტკვარს ერთვის“ (V, 29)[43].

ანტიკურ წყაროებში იორი კამბის, კამბიზ ფორმით იხსენიება. თუმცა შენიშნულია გამონაკლისები, როდესაც კამბისი არ ნიშნავს იორს. მაგალითად, პომპონიუს მელასთან ეს დასახელება მდ. არაქსს შეესაბამება[44]. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩანს, ავტორი უზუსტობას უშვებს. აქემენიანთა მეფე კამბისთან (529-523) ამ კამბისის დაკავშირების ვ. სტრუვესეული ცდა[45] საფუძველს მოკლებულია. მკვლევართა უმრავლესობის (პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ჰ. ჰიუბშმანი, ვ. მინორსკი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. გამყრელიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. მელიქიშვილი და სხვ.)[46] დასაბუთებული აზრით, ეს ჰიდრონიმი მომდინარეობს ქართული წყაროების კამბეჩან (არსენ საფარელი), კამბეჩოან (ლეონტი მროველი), კამბეჩოვან, კამბეჩან (სუმბატ დავითის ძე), სომხური წყაროების „ქამბეჭან„, „ქამბეჭ„, „კამბეხჭან„, „კამბეჭ„, „კაპიჭან„, „კამბიჭან„, ანტიკური წყაროების კამბისენედან[47], რაც ეწოდებოდა თანამედროვე ქიზიყის ტერიტორიას, სადაც მდ. იორი გადიოდა. ვახუშტის განმარტებით, ამ ადგილს „ეწოდა პირველ კანბეჩოვანი კანბეჩთა სიმრავლისათჳს“ „კამეჩს“, „კამბეჩს“ დაუკავშირა ეს ტოპონიმი ლ. მელიქსეთ-ბეგმა[48].

XIII-XIV სს. ავტორი რაშიდ ად-დინი იხსენიებს ტოპონიმ გოვბარის گوبارى[49]. იგივე დასახელება گاوبارى ფორმით დასტურდება XIV ს-ის ავტორთან ჰამდალაჰ ყაზვინისთან, რომლის ცნობასაც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს XVII

ს-ის თურქი ავტორი ქათიბ ჩელები. აღნიშნული დასახელება იხსენიება კასპიის ზღვის ნაპირზე მდებარე ქ. მაჰმუდაბადის აღწერისას, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. „მაჰმუდაბადი გაებარის უდაბნოზეა, კასპიის ზღვის ნაპირზე. აშენებულია მონღოლი ყაზან-ყაენის მიერ. მეხუთე სარტყელშია“[50].

სპარსულ-თურქულ-უზბეკური სიტყვა گز (მხ.), ˙گز (მრ.) ნიშნავს ძროხას, ხარს, კამეჩს گاو ან گوی .. შეიძლება ითარგმნოს როგორც ადგილი, სადაც არის ძროხა, ხარი, კამეჩი.

კასპიის ზღვასთან მდებარე რაშიდ ად-დინის და ჰამდალაჰ ყაზვინის გავბარ/გოვბარ-ს ტერიტორიულად არაფერი საერთო არა აქვს საქართველოს საზღვრებში მდებარე კამბეჩოვანთან. მაგრამ მას შინაარსობრივად უახლოვდება. შეიძლება დავუშვათ, რომ კამბეჩოვანსაც სპარსულ ენაზე ასევე ერქმეოდა. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს IX ს-ის არაბ ავტორთან ალ-ბალაზურისთან კამბეჩოვანის ორჯერ მოხსენიება القمبران /კამბარან და القميران /კამიბარან ფორმებით.[51].

گ-ს გადასვლა ჩ-ში სრულიად ბუნებრივია. მაგალითად, კამეჩი, კამბეჩი ქართულში, სომხურში გომეშ, ფალაურში გოვმეშ, გავმეშ, ასურულში გომიშა, ახ. სპარსულში გავმიშ (گاومیش)[52]. ამგვარად, ვიცით კამბეჩოვანის სპარსული და არაბული ფორმები. როგორი სახე შეიძლებოდა მიეღოთ მათ თურქულში? თურქული ენა, როგორც ცნობილია, ვერ იტანს თანხმოვანთა თავმოყრას. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც ხდება თანხმოვანთა l, m, n, r, s, ş, v შეხვედრა თანხმოვნებთან ç, f, h, k, p, t, ş[53]. თანხმოვნების v და b, ან m და b შეხვედრისას ერთ-ერთი ამოვარდებოდა და ამდენად შეიძლებოდა მიღებულიყო ქაბარ ან კაბარ. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ თურქული, სპარსული, რუსული და ქართული წყაროების კაბრი, კაბური, კაფური ქაბრი, მიღებულია ადგილობრივი კამბეჩოვანის სპარსული შესატყვისის ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად თურქულ ნიადაგზე.

დროთა განმავლობაში სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწყებას მიეცა და ყველა ავტორი მას თავისებურად ახმოვანებდა.

გ. გეიბულაევი აღნიშნავს, რომ საველე მასალის მიხედვით, მდ. კაბირრი გამოითქმება როგორც კომბორი[54] (შეადარე ალ-ბალაზურის კამბარანს). ი. შოპენის დაკვირვებით, XIX ს. 40-იან წლებში იორს გამბორი ეწოდებოდა[55], რომელშიც, გ. გეიბულაევის აზრით, გამოიყოფა გამ//კამ, ე.ი. შესაბამისი ტერიტორიის დასახელება კამბისენე (კამბეჩ), და იორი. ასეთ მსჯელობაზე დაყრდნობით, მკვლევარი თარგმნის კომბორს, გამბორს, როგორც „კამბეჩოვანში გამდინარე იორს". მკვლევრის მსჯელობიდან ჩვენთვის მისაღებია ის ნაწილი, რომელიც კომბორს კამბეჩოვანის დასახელებასთან აკავშირებს.

ხალხური ტრადიცია დასახელებას ყანუ-ყობის განმარტავს როგორც „სისხლიან ღელეს", „სისხლიან გუბეს"[56], რაც, ჩანს, მომდინარეობს თურქული სიტყვიდან «кап» — სისხლი და აზერბაიჯანულ დიალექტებში არსებული სიტყვიდან «Гоби» // «гобу» - ტბა, არხი[57].

მეტაფორა „სისხლიანი მდინარე", რომელიც საერთოდ გავრცელებულია ზეპირსიტყვიერებაში, განსაკუთრებით ხშირია ალაზანთან მიმართებაში.

„სისხლის ალაზან ზდიოდა
აღარ ისმებოდ წყალიო",
„წითლად შეღებეს ტიალი
ალაზან წოვათისაო"...,
„ჩალად დაყარეს მკვდარიო
ფარსმის ძირ ჩამოდიოდა
სისხლ-ნარევ ალაზანიო"[58]
„ალაზნის თავსა კლდის თავსა
სისხლის წყარონი დიანა"[59]
„სისხლისა ღვარი გაუშვათ
ალაზანს უფრო სქელია"...[60]
„მესამ-მეოთხე თვე არი,
ალაზან წითლად დისაო"[61].

ასეთი შესიტყვება მაშინაც კი შეინიშნება, როდესაც მოქმედება ალაზნიდან ძალზე შორს ხდება, მაგალითად, ლექსში მსოფლიო ომზე:

„შიგნით გადართულია
რუსი-გერმანის ჯარია,
მუდამ დღეს ზარბაზნები სჭეხს
დის სისხლის ალაზანია“[62].

სისხლთან აკავშირებდნენ კანიკს, როგორც ჩანს, XVII ს-ის თურქი და ევროპელი ავტორებიც.

დავუბრუნდეთ შარაფ-ხან ბითლისის გამომცემლის შენიშვნაში ეღლია ჩელების უზუსტობას. თურქი მოგზაურის ცნობით, მდ. კანიკი, ე.ი. ალაზანი, მდ. ზანგის ერთვის. ეს შეცდომა ერთგვარად კანონზომიერია. სიტყვა ზანგ (Zanj - ჟანგი) სპარსულად გადატანითი მნიშვნელობით სისხლს ნიშნავს. ამის ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი ინგლისელი ავტორის რ. ნოლსის უზუსტობაც, რომლის ცნობითაც, კანიკი, ე.ი. ალაზანი ერთვის მდ. არაქსს[63], რომელსაც სინამდვილეში ერთვის არა ალაზანი (კანიკი), არამედ ზანგი (თანამედროვე რაზდანი).

მაგრამ რამდენად სწორად ესმით ამ ავტორებს დასახელების მნიშვნელობა? ი. შოპენი დასახელება ალაზანს განმარტავს როგორც მთის მდინარეს[64].

ი. ჯავახიშვილი ალაზნის დასახელებას წყალს უკავშირებდა. მოვიტანთ მის ერცელ მსჯელობას ამის შესახებ: „ის გარემოება, რომ ძველ ქართულში დიდი და მცირე ალაზნის სახელები არსებობდა, რომელთაგან მეორე სათავითა და დიდ მანძილზე პირველისაგან სრულებით დამოუკიდებელი მდინარე იყო და თავისი საკუთარი სახელიც იორი ჰქონდა, ალაზნის სახელის ოდინდელს ზოგადს მნიშვნელობას ამჟღავნებს. ამრიგად, ალაზანი, საფიქრებელია, წინათ ზოგადად მდინარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“..., მოსაზრება რომ სრულ ჭეშმარიტებად მისაჩნევი გახდეს, უნდა თვით ამ სახელს ალაზანში ან მთლიანად, ან ნაწილობრივ მაინც

მდინარის ანდა, წყლის, გინდ სასმელის ოდინდელი აღმნიშვნელობის რაიმე კვალი მაინც ჩანდეს. ადიღეურს, ჩერქეზულ-ყაბარდოულ ენოვან ჯგუფს ეს სიტყვა მარტო სასმელის მნიშვნელობით კი არა აქვს დაცული, არამედ წყაროს წყლის სახელებადაც მოეპოვება, უკვე ი. კლაპროტმა განმარტა, რომ ჩრდ. კავკასიის განთქმულ ვეძას სახელი ნარზანი წარმომდგარა ნართზანისაგან და ორი ცალკეული ნაწილისაგან ნართ-ისა და ზან-ისაგან. ზან სასმელს, წყაროს ნიშნავს, ხოლო ნართ ადიღეველთა წარმართულ პანთეონის გმირების სახელია". ალა'ხანიც „საფიქრებელია, რომ ალა-სა და ზანისაგან იყოს შემდგარი და რაკი ბუნებრივია, რომ ზანი აქაც სასმელის, წყაროს და წყლის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ, ამიტომ ნართ-ის მსგავსად ალა ეგების ამ წყლის ან განკუთვნილობის ან კუთვნილების გამომჟღავნებელი იყოს"[65].

ლეზგიურ ენებში წყალი შემდეგი სიტყვებით აღინიშნება: ლეზგიურში დად< *ხად, ტაბასარანულში შად, შიდ, შარ, აღულურში ხ/ედ. შედ. რუთულში ხ/ედ, წახურში ხ/ა/ნ, ბუდუხურში ხ/ად, კრიწულში ხ/ად, ხინალუღურში ხ/უ<ხ/ ვად, არჩიბულში ლ'ან, უდიურში ხე <*ხედ <*ხედ, *ხენ[66]. ვარაუდობენ, რომ ლეზგიურ ენებს (თუ ყველა დაღესტნურ ენას არა) ალბანური წარმოშობა აქვთ[67]. შესაძლოა, ძველ ალბანურ ენაში წყლის მნიშვნელობა იყოს ხენ, უდიურის, ან ხან, წახურის მსგავსად, საიდანაც – უხ[68] ფორმანტის დართვით მიიღებოდა ხან+უხ, ხოლო აქედან, თავის მხრივ, ქართული ღანუხი[69], აღმოსავლური წყაროების კანუკი//კანიკი და ქართული ყანი-ყობი//ყანუ-ყობი. სწორედ ხან-ძირს უკავშირებს განიხ-ს ზოგიერთი აზერბაიჯანელი ავტორიც, რაც საკმაოდ მისაღებ მოსაზრებად მიგვაჩნია[70].

ამგვარად, აღმოსავლურ წყაროებში დადასტურებული საქართველოს განხილული ჰიდრონიმები ადგილობრივი, კავკასიური დასახელებებიდან მომდინარეობს და მათი ძირები ისეთივე ძველია, როგორც საკუთრივ ალაზნისა და იორის.

1. Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*, Перевод, предисловие, примечания и приложение Е.И. Васильевой, I-II, М., 1976, გვ. 361, 531, გვ. 236, 387, ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966 , გვ. 21, 54; ვ. ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, *თსუ შრომები*, №91, გვ. 264; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარს, ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 83, 84, 104, 106; ისქანდერ მუნში, *აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება*, ცნობები საქართველოს .შესახებ, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981, გვ. 28, 32, 54, 56, 73; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 44, 122-126; ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, თბ., 1971, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, I, გვ. 270, II, გვ. 103; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 61, 62; ნ. შენგელია, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. – კრ. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II, 1963, გვ. 137, შენიშვნა 33 და 37.

2. С.А. Белокуров, *Сношения России с Кавказом*, вып 1, СПб., 1889, გვ. 483.
3. Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643, Документы издал и введением снабдил М.А. Полиевктов, Тифлис, 1928, გვ. 123, 161.
4. ი.ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, IV, თბ., 1967, გვ. 283 R.Knolles. *The General History of the Turks*. Oxford, 1631, გვ. 933. I. Hammer. *Histoire de l'empire Ottomane*. t.VII. Paris, 1837, გვ. 86-88. I. Klaproth. *Geographisch-historische Beschreibung des östlichen Kaukasus zwischen den Flüssen Terek Aragwi, Kur und den Kaspischen meere*. Weimar, 1814.
5. ჯ. გვასალია, თ. თოდრია, გვიანფეო დალური ხანის კახეთის სამეფო პოლიტიკური საზღვარი. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, IV, 1971, გვ. 23.
6. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, თბ., 1961. ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძის, გვ. 89-90-91.
7. И. Шопен. *Новые заметки на древние истории Кавказа и его обитателей*, СПб., 1866, გვ. 401.
8. Д. З. Бакрадзе. Заметки о Закатальском округе. - *Записки Кавказского отделения императорского русского географического общества*, кн. XIV, вып. I, 1890, გვ. 249.
9. მ. ბერძნიშვილი. დოკუმენტური წყაროები XVI-XVIII სს. კახეთის სამეფოს საზღვრების შესახებ. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, VI, 1982, გვ. 95.
10. А.С. Хаханов, Экспедиции на Кавказ 1892, 1893 и 1895 гг. – *Материалы по археологии Кавказа*, вып. VII, გვ. 37-38; თ. პაპუაშვილი, *პერეთის ისტორიის საკითხები*, თბ., 1970, გვ. 52.
11. ჯ. გვასალია, თ. თოდრია, *გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვარი*, გვ. 23.
12. Абас-Кули Ага Кудси Бакиханов, *Гюлистан-Ирам*, Баку, 1926, გვ. 3.

13. V. Minorsky, Shekki - *The Encyclopaedia of Islam*, IV, 1934, გვ. 372; მისივე, Tadhkirat al-Muluk, London, 1943, გვ. 166.
14. ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, თბ., 1967, გვ. 290.
15. Б. Дорн, *Каспий*, СПБ., 1890, გვ.66.
16. А. А. Рахмани, «*Тарих-и Алам арай-и абасси*» *как источник по истории Азербайджана*, Баку, 1960. გვ. 66.
17. А. А. Шараф-хан ибн Шамседдин Бидлиси, II, გვ. 236, 397, 1, გვ. 531.
18. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 56.
19. ხალხური სიტყვიერება ე. თაყაიშვილის რედ., წ. I, ტფ., 1918, გვ. 169.
20. იქვე, გვ. 173.
21. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 122-124.
22. I. H. Danişmend, *Kahlı Osmanlı tarihi kronolojisi*,. Istanbul, 1956, 9, გვ. 24; Mufassal Osmanlı tarihi, III, Istanbul, 1959, გვ. 1324, 1325; M. F. Kırzıoğlu, *Osmanlıların Kafkas-Ellerini fethi*, Ankara, 1976, გვ. 99.
23. Азербайчан совет енсиклопедијаси, Бакы, II, 1978, გვ. 544; III,1979, გვ. 35; Г.А. Гейбуллаев, *Топономия Азербайджана*, Баку, 1986, გვ. 88-89; 96-97.
24. Ибрагим эфенди Печеви, *История*. Извлечения по истории Азербайджана и сопредельных стран и областей периода 1520-1640 гг., Перевод с турецкого языка и примечания акад. АН Азербайджанской ССР З.М. Буниятова, Баку, 1988, გვ. 34, 37, 96, 97,
25. თ. ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ*, თბ., 1975, გვ. 127, 299; История халифов Вардапета Гевонда, писателя VIII века, Пер. с армянского К. Па-

тканьяна, СПб., 1862. გვ. 92; Армянская география VII века по Р. Х. Текст и перевод изд. К.П. Патканов, СПб., 1877, გვ. 41.

26. В.В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе - *Вестник древней истории*, №4, 1947, გვ. 218; Ս. Տ. Երեմյան. *Հայաստան ըստ Աշխարհացոյց*, Երեվան, 1963, გვ. 34, 55, 105 (სომხური ტექსტის სათანადო ნაწყვეტი გვითარგმნა ლ. დავლიანიძემ); Г. А. Гейбуллаев, *Топонимия Азербайджана*, გვ. 88.

27. დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, 1977, გვ. 188.

28. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1956, გვ. 334-338.

29. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 20, 44.

30. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 158.

31. იოანე ბაგრატიონი. *ქართლ-კახეთის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 72.

32. იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა*. კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედ., II, თბ., 1948, გვ. 109.

33. საქართველოს სიძველენი, გამომც. ე. თაყაიშვილი, I, 270.

34. გ. კიკნაძე, ვერცხლის ნივთების განძი სოფ. მშვიდობიანიდან. – *საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XXX- ბ.*, 1974, გვ. 86-87.

35. ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 526.

36. თეიმურაზ ბაგრატიონი, *დავით ბაგრატიონის ისტორია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზა და, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1972, გვ. 29.

37. Ф.А. Брокгауз, И. А. Ефрон, *Энциклопедический словарь*, т. I, СПб., 1891, გვ. 348.

38. ეს ფაქტი აღნიშნულია როგორც უზუსტობა შემდეგ ნაშრომებში: იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 124; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 61.

39. თ. ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 127, 133.

40. ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 526.

41. И. Шопен, *Новые заметки на древние истории Кавказа и его обитателей*, გვ. 406; დ. ბაქრაძე, *საქართველო, ისტორიული მიმოხილველი*, თბ., 1871, გვ. 107; მისივე, *ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X ს. დასასრულამდე)*, ტფ., 1889. გვ. 32, 276.

42. ვახუშტი ბაგრატიონი, *საქართველოს გეოგრაფია*, რედ. მ. ჯანაშვილისა. ტფ., 1904, გვ. 131, 132, შენ 231-232.

43. დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 75; Вестник древней истории, №2, 1949, გვ. 298.

44. ს. ჯანაშია. *შრომები*, II, თბ., 1952, გვ. 255; ეს ფაქტი აღნიშნულია აგრეთვე დ. მუსხელიშვილის ნაშრომში „უჯარმა", თბ., 1966, გვ. 33.

45. В.В. Струве, Арийская проблема. - *Советская этнография*, VI-VII, М.-Л., 1947, გვ. 120-121.

46. Пл. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тифл., 1846, გვ. 47; დ. ბაქრაძე. *საქართველო*, გვ. 103. მისივე. *ისტორია საქართველოსა*, გვ. 32, 276; H. Hübschman, *Die altarmenischen Ortsnamen mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens und einer Karte*, Strassburg, 1904, გვ. 211; V. Minorsky, *Shekki*, გვ. 372;

გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 160; Л. М. Меликсед -Бек, Первые Ахемениды и названия рек Закавказья. - *თსუ შრომები*, №91, ალმოსაელეთმცოდნეობის სერია, II, 1960, 247-254; გ. მელიქიშვილი, ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, I, თბ., 1970, გვ. 464.

47. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 33-35.

48. Л.М. Меликсед-Бек, *Первые Ахемениды и названия рек Закавказья.*

49. Рашид ад-Дин, *Сборник летописей*, Перевод с персидского А.К. Арендса под ред. А. А. Ромаскевича, Е. Э. Бертельса и А. Ю. Якубовского III, М.-Л., 1946, გვ. 65.

50. The geographical part of the Nuzhat-al-Qulub composed by Hamd Allah Mustawfi of Qazwin in 740 (1340), Translated by G.Le Strange, Leiden, - London 1919, გვ. 92; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 116.

51. Баладзори, *Книга завоевания стран*, Текст и перевод с арабского П.К. Жузе, Баку, 1927. გვ. 5, 14.

52. Հր Աბաղիան, *Հայերին արմատական բառարան*, Երեվան, 1971, გვ. 575; თ. ჩხეიძე, *ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან*, თბ., 1984.

53. А.Н. Кононов, *Грамматика турецкого языка*, М.,-Л., 1941, გვ. 28.

54. Г.А. Гейбуллаев, *Топонимия Азербайджана*, გვ. 96.

55. И. Шопен, *Кавказ и его обитатели*, СПб., 1943, გვ. 490.

56. ფერია დედოფალი საქართველოსა. – ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961, გვ. 89-90.

57. Р. М.Юзбашев, *Опыт исследования азербайджанских географических терминов*, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата географических наук, Баку, 1962, გვ. 8.

58. ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ. ლექსი „თუშების ბრძოლა ქისტებთან“, გვ. 67; 69, 75.
59. ქართული ხალხური პოეზია, III, თბ., 1974, გვ. 157.
60. ქართული ხალხური პოეზია, IV, თბ., 1975, გვ. 50.
61. ქართული ხალხური პოეზია, VII, თბ., 1979, გვ. 75.
62. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, 1967, გვ. 231-241.
63. R. Knolles, *The General History of the Turks*, გვ. 933.
64. И.Шопен, *Новые заметки на древние истории Кавказа и его обитателей*, გვ. 406.
65. ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორიის შესავალი*, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 54.
66. Удинско-азербайджанский словарь, Баку, 1974, გვ. 221; Б.К. Гигинейшвили, *Сравнительная фонетика дагестанских языков*, Тб., 1977, გვ. 128; Б. Б. Талибов, *Сравнительная фонетика лезгинских языков*, М., 1980, გვ. 323.
67. ე. ჯეირანაშვილი, *წახური და მუხადური ენები*, I, თბ., 1981, გვ. 3.
68. ე. ჯეირანაშვილი. ქურმუხ-ის თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ. – *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XIII, თბ., 1962, გვ. 352-358, შენ. 35, გვ. 358; В.Л. Гукасян, *Фонетические и морфологические особенности ниджского диалекта удинского языка*, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Баку, 1965, გვ. 13.

69.ხ̄ და ღ-ს მონაცვლეობა უცხო არ არის კავკასიური ენებისათვის, მაგალითად, საერთო დაღესტნური ენის სუსტი (ფშვინვიერი) 1 სპირანტები დიდოურში მჟღერდება (ხ̄-ღ; ს-ზ; შ-ჟ), ხოლო დიდოელები ძველთაგანვე ლეზგების მეზობლად იხსენიებიან (Б.К.Гигинейшвили, *Сравнительная фонетика дагестанских языков*, გვ. 118-119; В. Д. Минорский *История Ширвана и Дербенда*, М., 1963, გვ. 160, 191, 192.

70.Г. А. Гейбуллаев, *Топонимия Азербайджана*, გვ. 89; Азербајчан совет енсиклопедјасы, III, გვ. 35.

აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ

XVII საუკუნის თურქული ისტორიოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენლის, აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს საისტორიო მემკვიდრეობა ნაკლებად არის შესწავლილი მკვლევართა მიერ, თუმცა მის ნაშრომებს, როგორც სანდო წყაროს, ხშირად იმოწმებენ იმავე საუკუნის თურქი ავტორები ქათიბ ჩელები და მუსტაფა ნაიმა.

აბდულ აზიზი დაიბადა სტამბოლში 1000 (1591/2 წ.) წელს. მამამისი, ჰუსამ ად-დინი, რუმელიის ყაზიასკერი იყო[1], ისევე როგორც მოგვიანებით მისი უფროსი ძმა, მუჰამედი[2]. ჰუსამ ად-დინის მამა აგრეთვე ყადი იყო, ხოლო პაპამისის, მევლანა ჰუსამ ად-დინის ძმა მუჰამედი სულთან მეჰმედ ფათიჰის დროს დიდი ვეზირია. ყველა ისინი ლიტერატურულ ან მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

აბდულ აზიზმა საკმაოდ კარგი განათლება მიიღო; მამის ადრე გარდაცვალების გამო (1007 წლის მუჰარემი/1598 წლის აგვისტო), მის აღზრდას უფროსი ძმა, მუჰამედი, წარმართავდა. ისტორიკოსმა მრავალი მოულოდნელი მარცხითა და წარმატებებით აღსავსე რთული და საინტერესო ცხოვრების გზა განელო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შემთხვევას, როდესაც მან ხელისუფლების რისხვა დაიმსახურა და თანამდებობა დაკარგა. 1612 წლიდან მოკიდებული, აბდულ აზიზი დაუღალავად მოღვაწეობდა სამსახურებრივ სარბიელზე. აქ მისი ყველაზე დიდი წარმატება იყო შეიხ ულ-ისლამის თანამდებობა (1651 წლიდან), რომელზედაც, ჩვეულებრივ, რუმელიის ყაზიასკერს აწინაურებდნენ (ამ უკანასკნელ თანამდებობაზეა იგი 1634 წლიდან). ამავე თანამდებობაზეა აბდულ აზიზი სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც მუდანიასა და გალიპოლში. ის გარდაიცვალა 1658 წლის 11 იანვარს ბურსაში, დაკრძალულია შეიხ მეჰმედ დევეჯის სასაფლაოზე[3].

აბდულ აზიზის შემოქმედება საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანია. ისტორიული თხზულებების გარდა, მას

ეკუთვნოდა ლექსები და თარგმანები არაბული და სპარსული ენებიდან.

XVII ს-ში ოსმალეთში სხვადასხვა ტიპის ისტორიული ნაშრომები იქმნებოდა. განსაკუთრებით გაერცელებული იყო მსოფლიო ისტორიის ჟანრი. ამ თხზულებათა უკანასკნელი, შედარებით დიდი ნაწილი, ოსმალეთის ისტორიას ეძღვნებოდა. მსოფლიო, თურქ ავტორთა ნაშრომებში, როგორც წესი, აღმოსავლეთით შემოიფარგლებოდა, ისევე როგორც მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურაც უმთავრესად აღმოსავლური იყო. ამ ნაშრომებში მოვლენები ერთნაირი წესითაა გადმოცემული: სულთნების ზეობის წლების ან დინასტიათა ეპოქების მიხედვით. თითოეული წლის დასასრულს მოხსენიებული არიან იმ წელს გარდაცვლილი გამოჩენილი პირები - მეცნიერები, მწერლები, პოლიტიკური მოღვაწეები, სასულიერო პირები. ამ ხანის ისტორიკოსთა უმრავლესობა კომპილატორები არიან. არცთუ იშვიათად, ავტორები ერთი და იმავე წყაროებით სარგებლობენ, რის გამოც მათ თხზულებებში ხშირია მსგავსი ცნობები. დიდი ადგილი ეთმობა ციტატებს ყურანიდან და მონაცემებს წინასწარმეტყველებზე. ამ საუკუნის ყველა ისტორიკოსის ნაშრომი ორიგინალურია იმ ნაწილში, სადაც ავტორები აღწერენ საკუთარი თვალით ნანახ, ან თვითმხილველთაგან მოსმენილ ამბებს. ეს ნაწილები განსაკუთრებით ღირებულია, თუმცა უზუსტობებისაგან ყოველთვის არ არიან დაზღვეულნი. ხშირად, მნიშვნელობას მოკლებული არ არის პირველი, კომპილაციური ნაწილიც, როგორც ერთადერთი საშუალება ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი წყაროს გასაცნობად.

აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ოთხნაწილიანი მსოფლიო ისტორია შედგენილია საყოველთაოდ მიღებული ტრაფარეტის მიხედვით. მასში მოკლედ, ქრონოლოგიურად არის გადმოცემული აღმოსავლეთის ქვეყნებისა და დინასტიათა ისტორია, უმთავრესად მათი პოლიტიკური თავგადასავალი. ნაშრომის სათაურია „როუზათ ულ-აბრარ“ („წმინდანთა ბაღი“). იგი გამოცემულია მხოლოდ ერთხელ, ეგვიპტეში, ბულაკში,

1248/1832-3 წელს. არსებობს მისი მრავალი კარგი ხელნაწერი. ისტორიის პირველი ნაწილი (გვ. 1-98) მთლიანად წინასწარმეტყველებს ეძღვნება. მეორე ნაწილში (გვ. 98-126) საუბარია მუჰამედსა და მასთან დაკავშირებულ სასწაულებზე. მესამე ნაწილში (გვ. 126-338) წარმოდგენილნი არიან მართლმორწმუნე ხალიფები, გადმოცემულია სახალიფოს და აღმოსავლურ დინასტიათა და ქვეყნების ისტორია. მეოთხე, ყველაზე ვრცელი ნაწილი (გვ.338-637) მოიცავს ოსმალეთის ისტორიას 1647 წლამდე. ავტორი ფეოდალური კლასის წარმომადგენელი და ხელისუფლების ინტერესების დამცველია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ნაშრომი სულთან იბრაჰიმ I-ს (1640-1648) ეძღვნება.

ისევე როგორც ამ ხანის მემატიანეთა უმრავლესობა, ყარა ჩელები-ზადე ძირითადად კომპილატორია. მისი წყაროების საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს, რადგან, როგორც წესი, იგი არ ასახელებს გამოყენებულ თხზულებებს და, ჩანს, არასდროს მისდევს მათ სიტყვასიტყვით. საკმაოდ ხშირია მის ნაშრომში ფრაზა: „ზოგიერთ ისტორიულ წიგნში", ხოლო ძალიან იშვიათი - კონკრეტული მითითება გამოყენებულ წყაროზე. რამდენადაც ამ ერთეული შემთხვევების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ჩვენი ავტორი ძირითადად აღმოსავლურარაბული, სპარსული და თურქული საისტორიო თხზულებებით სარგებლობდა.

XVII ს-ის ოსმალურ ისტორიოგრაფიაში პოპულარულია აგრეთვე ოსმალეთის ისტორიის რომელიმე პერიოდისადმი მიძღვნილი თხზულებები. ყარა ჩელები-ზადეს რამდენიმე ნაშრომი სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება. ესენია „თარიხ-ი ფეთჰი რეეან მე ბაღდად" („ერეენისა და ბაღდადის დაპყრობის ისტორია"), მეჰმედ IV-სადმი მიძღვნილი ოსმალეთის ისტორია 1647 წლიდან 1657 წლამდე და „სულეიმან-ნამე", რომელიც მოიცავს სულთან სულეიმან I-ის (1520-1566) ცხოვრებისა და გამგებლობის პერიოდს. გამოცემულია მხოლოდ ეს უკანასკნელი ნაშრომი ბულაკში, 1247/1631-2 წელს[4].

XVII საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარი სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები ისტორიულ მწერლობაში ახალი ჟანრის - „რისალეების“[5] შექმნით აღინიშნა. მათ ავტორთა შორის არის ყარა ჩელები-ზადე. მან შეადგინა ჯერჯერობით გამოცემული რისალე „მირათ უს-საფა“ („სიწმინდის სარკე„).

მართალია, წინა საუკუნეების ავტორთაგან განსხვავებით, XVII ს-ის მემატიანეთა ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი „სადა და ნათელი ენით წერაა“ (ევლია ჩელები)[6], ყარა ჩელები-ზადეს სტილი არცთუ ისე მარტივია. იგი წერს საკმაოდ მაღალფარდოვანი და მხატვრული, არაბული და სპარსული გამოთქმებით დატვირთული ენით, შესაძლებელია, ნაწილობრივ ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ მისი ნაშრომები არ არის თარგმნილი არცერთ ენაზე და ფაქტობრივად შეუსწავლელია.

ყარა ჩელები-ზადეს თხზულებებში გეხვდება ცნობები საქართველოს შესახებაც. ისინი ამჯერად ამოვკრიფეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ „როუზათ ულ-აბრარიდან“ და „სულეიმან-ნამედან“. ამ თხზულებათა ხელნაწერები ჩვენთვის მისაწვდომ სიძველეთსაცავებში არ მოიპოვება, ამიტომ ვეყრდნობით მხოლოდ გამოცემულ ტექსტებს.

ქვემოთ მოტანილი ცნობები თითქმის არაფრით განსხვავდება სელიანიკის, ფეჩევის, ქათიბ ჩელების, სოლაკ-ზადეს, მუნეჯიმ-ბაშისა და სხვა ავტორთა მონაცემებისაგან. ვინაიდან მათი დიდი ნაწილი თარგმნილია და სათანადოდ კომენტირებული, განმეორებების თავიდან ასაცილებლად ყოველთვის არ მოგვაქვს ნაცნობი ტერმინების განმარტება და ბიოგრაფიული ცნობები მოქმედ პირთა შესახებ. წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის გარდა, რიგ შემთხვევაში, მასალა კონკრეტულ ღირებულებასაც ინარჩუნებს, რადგან თანადროულ მემატიანეთა მონაცემებთან შეჯერებისა და ურთიერთშეპირისპირების გზით იძლევა ზოგიერთი ფაქტის დაზუსტების, ან დადასტურების შესაძლებლობას.

წელი 961 (1553/4):

961 წლის მუჰარემი (7.XII.1553 - 5.I.1554 წ.). იმ ზამთარს ალეპოს სატახტო ქალაქში შეჩერდნენ და შეისვენეს. გაზაფხული იყო - საუცხოო დრო. რაკი შაჰი აყვავებული ქვეყნის დაპყრობას აპირებდა, ირანის მიმართულებით მიაბრუნეს სადაგეები და სასწრაფოდ გაემართნენ. ჯუმადა ულ-ეველში (4.IV-3.V.1554 წ.) რუმელიის ტანმაღალი ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა ტაეილი[7] ვეზირის თანამდებობის წყალობით შეამკეს. რაჯაბში (2.VI-1.VII), როდესაც ერევნის ველი დიდებული ამალისათვის მისაწვდომი და გასაჩერებელი ადგილი გახდა, ღვთისგან დაცული ქვეყნის საზღვრისათვის შაჰის მიერ მიყენებული ზიანისა და შევიწროების სამაგიეროდ არეულობისა და ურწმუნოების წყარო - ქარვასლები, მმართველების სასახლეები და ბაღები მოსპეს. მსგავსად ამისა, გაანადგურეს და ნანგრევებად აქციეს ნახჭევანის მორთული და მოკაზმული ნაგებობები და სახლები. ძარცვის დასტურის მიცემის, ოცდღიანი ცეცხლის ჩაქრობისა და ფერფლად ქცევის შემდეგ, გამოსაზამთრებლად არზრუმში მოვიდნენ.

შაბანის თვეში (2.VII-30.VII.1554 წ.) არზრუმის ბეგლარბეგი მუსა ფაშა, ადრე ყარსის შეკეთებისათვის ხელის შეწყობას რომ ცდილობდა, ხელში ჩაუყარდათ უხეირო წარმოშობის ქართველებს, რომლებმაც ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს. მათაც ამ გულადი ადამიანის მოკვლით გაიხარეს. გაიგზავნა რუმელიის ჯარი სეჭბან-ბაშისთან და ვეზირ აჰმედ ფაშასთან ერთად. გაშენებული ვილაიეთები დაანგრიეს. ამგვარი მოქმედებით სარწმუნოების მტერი აშკარად შეშინდა[8].

იმავე თვეში წყეული შაჰის ლაშქარმა, რადგან ღვთისგან დაცული ქვეყნის საზღვარზე იყო გაჩერებული, შუა კერაში ამბოხების ცეცხლი დაანთო. შაჰმა მაღალი სულთნის კარზე ორჯერ გამოგზავნა უდიერად შედგენილი თხოვნა, რათა ამბოხებისა და არეულობის გამო სულთნის პატიების წერილი მიეღო.

ორიეე მხარის რაიას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათ შორის ურთიერთობის გამოსაკეთებლად, სულთანმაც შაჰის მიმართ კარგი განწყობილება გამოამჟღავნა და ღვთის შემწეობით სატახტო ქალაქში გაემგზავრნენ (გვ. 433).

წელი 976 (1568/9):

... რადგან სინან ფაშა ერთ წელზე მეტ ხანს იყო იემენში სრული გამგებელი[9], იემენის ეიალეთი ბაჰრამ ფაშას ჩაბარდა. სინან ფაშას ეგვიპტის ჰუქუმეთი[10] ებოძა და კელავ ეგვიპტისაკენ გაემართა. კაფის ბეგლარბეგმა კასიმ ფაშამ კეთილშობილურ ტახტს მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ კულზუმის ზღვის[11] ნაპირზე დანგრეული ციხის – აჟდარხანის[12] მახლობლად, სადაც მდინარე დონი შაავი ზღვის მიღმა მდებარე ზღვისკენ[13] მიედინება, მისი სათავიდან ორ მილზე მიწის გათხრით მდინარე დონი მდინარე ითილს[14] შეუერთდებოდა; ორი ზღვის შეერთების აზრი აშკარა გახდებოდა; ისლამის გემით ჯარის გაგზავნა და მათ შორის მდებარე საქართველოს, შირვანის და დადიანის[15] ქვეყნის დაპყრობა და ალექსანდრესებურად ზღვის წყვდიადის მსგავსი ურწმუნოთა ქვეყნის სხიემოსილი სარწმუნოებით - ისლამის რელიგიით გაცისკროვნება შესაძლებელი იქნებოდა. ხსენებული ფაშა იმ სამსახურის შესასრულებლად მიავლინეს, რამდენიმე ათასი კაფუკულუ[16] გააყოლეს და სერასკერის მიმართ ერთსულოვნებისა და ერთგულებისათვის ყირიმის ხანსაც მეფური ხალათები და სულთნის ეპისტოლე გაუგზავნეს.

ხანმა მერჰალეები[17] გაიარა. როდესაც იმ ადგილს მიაღწია, ბრძანების თანახმად, საჭირო სამზადისს შეუდგა და ჯარის განსალაგებლად აჟდარახანის ციხის შეკეთებაც დააპირა. იმის შიშით, ვაითუ ღვთისგან დაცული ქვეყნის საზღვარი ჩვენს სამშობლომდე გაგრძელდა, ამ შემთხვევაში (მათ) თანდათან მეტი ადგილები დაიპყრონ და ქვეყანაც ოსმალეთის სამფლობელო ვილაიეთად იქცესო, ხანმა კეთილმოსურნის ნიღბით, წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით,

უადგილო სიცრუე და გაიძვერობა გაიმეორა. ისლამის ჯარი უდაბნოს მსგავს გასხივოსნებულ ველზე აღმოჩნდა. მრავალი დღე, თითქოს უჩინარ ორმოში ყოფილიყვნენ, არც წყალი ჰქონდათ და არც მთვარის მაცოცხლებელი სხივი. გათენებისას მინდვრის მცენარეულის ნამის წვეთებით ენას ისველებდნენ. იმ უწყლო ველზე ნახევარზე მეტი ჯარი მოისპო (გვ. 447).

წელი 986 (1578/9):

მუჰარემის თვეში (10.III-8.IV.1578 წ.) მუდმივად ბედნიერ დედაქალაქს არზრუმის ბეგლარბეგ ხურსევ ფაშასაგან განცხადება წარედგინა იმის შესახებ, რომ ქვეყნის დაღუპვისაგან დაცვის საქმეში შაჰის დაუდევრობის გამო ირანში წესრიგი მოიშალა, ყველა კუთხეში არეულობა დაიწყო და ამბოხების ცეცხლი დაინთო. კვიპროსის დამპყრობი[18] ლალა მუსტაფა ფაშა სერასკერის ხალათით პატივმოსილი საგანგებო ჯარით გამზადებული სალაშქროდ გაემგზავრა.

საფარის თვეში (9.IV-7.V.1578 წ.) ძლიერმა ჯარმა დონის ციხის დაცვას თავი ანება, რადგან ანატოლიის სარდლის თანამდებობიდან გადაყენებულ მეჰში სინან ეფენდის[19] ძლიერი ხელის მქონე მფარველი ანგელოზის სხეულს სიბერე, სისუსტე და უძლურება დაეუფლა. მისი ციხიდან მრავალი მებრძოლი ცბიერი სიკვდილის თავდასხმით დაიღუპა. იმავე თვეში ბედნიერმა სერასკერმა მერჰალეები გაიარა. ირანის მხარის მიდამოებიდან საქართველოში ჩილდირად წოდებულ ველზე კარავი დადგა და ალამი აღმართა[20]. ცნობილი გახდა, რომ ერევნის გამგებელი გუნე, ნახჭევნის თოკმაკ-ხანი, განჯის მმართველი იმამ ყული ხანი, მათი მსგავსი ცხრა ხანი და მეთაური ოცდაოთხი ათასი ყიზილბაშით გამარჯვებულ ლაშქარზე თავდასხმის ფარულ სურვილს შეეპყრო. რადგან სარდალი პირადად თავდადებული მებრძოლი იყო, ალექსანდრესებურად, სასწრაფოდ და მედიდურად კარავში გაჩერდა. მოსახლეობაზე თავდასხმისა და განდევნისათვის რამდენიმე ბეგლარბეგი გაგზავნა და მოქმედებისა და გონების ერთია-

ნობის რჩევა-დარიგებით აღჭურვა. გულადებმა ურჯულო მტერზე რომ გაილაშქრეს და ბრძოლის ცეცხლი დაანთეს, ძლევამოსილ ჯარს წილად გამარჯვება ხვდა. 15 ათასზე მეტი ყიზილბაში მოსპეს და მათი მრავალი მეთაური შეიპყრეს.

ჯემადა ულ-ახერში (5.VIII-2.IX.1578 წ.) მტრის სიფაჩიების რიგებში ქართველ ამირთაგან ყარა-ოღლუდ[21] წოდებული ცნობილი მანუჩარი სულტანთა მხარის გამარჯვების მოწმე რომ გახდა, მთელი ხელქვეითებით მივიდა (მათთან), დამორჩილდა და ისლამის გვირგვინით ამაღლდა[22].

რაჯაბში (3.IX-2.X.1578 წ.) რაიათი სიმდიდრითა და ბრწყინვალებით განთქმულ საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისისაკენ გაგზავნეს. რადგან მათი გამგებელი დაუდ-ხანი[23] წყეულ შაჰთან იყო გაქცეული, მთელი მისი ხელქვეითები წინააღმდეგობის გაუწევლად დაიმორჩილეს.

შაბანში (I.XII-29.XII.1578 წ.) საქართველოს ამირთაგან მამაცი გამგებელი, სახელად ალექსანდრე[24], თბილისში თავისი სურვილით ქვეყნის ვეზირს დამორჩილდა, ისლამის ჯარს საკმარისი სურსათ-სანოვაგე რომ გაუგზავნა, ამის გამო ფაშისაგან პატივისცემა, მეგობრობა, ზრუნვა, იმედი და ნუგეში მიიღო.

წელი 992 (1584):

შაბანის თვეში (6.X-3.XI.1584 წ.) სიმონის[25] გაქცეულმა ძმამ, თბილისის გამგებელმა დაუდ-ხანმა თანდაყოლილი ბედის ჭეშმარიტ გზაზე შემობრუნებით ოსმალებს თაყვანი სცა, დამორჩილდა და დანებდა, რისთვისაც მარაშის ბეგლარბეგობა ეწყალობა (გვ. 460)[26].

წელი 995 (1586/7):

რაჯაბის თვეში (7.VI-6.VII.1587 წ.) ოსმალებმა საქართველოს ქვეყანაში შეაკეთეს დმანისის, ლორეს, გორის და ახალციხის ციხეები[27]. წყეული თაგზააბნეული სიმონი თბილისთან გამაგრდა და მის ველზე არეულობა მოაწყო. სარდალ ფერჰად ფაშასაგან მოვიდა მომართვა და არზა, რომ იმ

სოფლის ბაზრის მაწანწალა არამზადას და უსახლკაროს, შურისძიების მახეში მოქცევის პირობით, საქართველოს მხარე ჰუქუმეთის სახით მისცემოდა წყეული შაჰის მოწინააღმდეგე მაჰმედ-ხანს (გვ. 462-468) [28].

წელი 1008 (1599/1600):

რამაზანში (16.III-14.IV.1600 წ.) ბაკი ეფენდი იმ ქვეყნად გაემართა - გარდაიცვალა 1008 წელს. საქართველოს გამგებელი, სიმონი, მორჩილების, ბრძანების და შინაგანი წესრიგის ფარგლებიდან გამოვიდა; აჯანყება და ამბოხება მოაწყო. რადგან რჯულისა და სახელმწიფოს მტრებთან კავშირსა და ურთიერთობაში იყო, თებრიზის მცველმა, ჯაფარ-ფაშამ, ის არამზადა დაატყვევა, მაგრად შეკრა და ძვირფას ძღვნად სულთანს კარზე მიართვა. იედი-კულეში დაპატიმრებულმა შემდეგ პატიოსანი ისლამი მიიღო (გვ. 488)[29].

წელი 1034 (1624/25):

....ზილყადეს თვეში (5.VIII-3.IX.1625 წ.) მაღალი და ბრწყინვალე კარის კეთილმოსურნეთაგან ქართველმა გამგებელმა, თეიმურაზ-ხანმა, ზემოხსენებული სარდლისაგან დახმარება ითხოვა, რადგან წყეულმა შაჰმა მის წინააღმდეგ 50000-მდე ყიზილბაში გაგზავნა ხანთა-ხანის ყარჩიღას, ერევნის გამგებლის, ემირ-გუნე-ხანის, და შირვანის ვალის, ლუსი-ხანის, მეთაურობით. თეიმურაზს 2000-მდე რჩეული მეომრით აღმოუჩინეს დახმარება. ამ გაბედულმა ადამიანმა ხმლის ცემით ყიზილბაშთა ლაშქარი უდაბურ ველზე ორგზის დაამარცხა და გააქცია. გარდა იმისა, რომ მათ ხელში ჩაუვარდათ მრავალი ათასი მაზანდარანული სასროლი თოფი და ირანული მჭრელი ხმალი, მახვილის მსხვერპლი გახდნენ ყარჩიღაი, ამირ-გუნე, ლუსი და კიდევ სამი მთავარი ხანი. ამ გამოჩენილი პირების თავები სარდლის ხელით სახელმწიფოს დედაქალაქს საჩუქრად გაუგზავნეს (გვ. 561)[30].

წელი 1036 (1626/7):

რაჯაბის თვეში (18.III-16.IV.1627 წ.), როდესაც ცნობილი გახდა, რომ წყეული შაჰის გამოგზავნილებმა ახალციხის სიმაგრე დაიკავეს და ციხე შეიწროებას განიცდიდა[31], არზრუმის მირმირანს აბაზა-ფაშას სერასკერის ბრძანება გაეგზავნა. მანაც 20000-მდე სიფაჰისთან ერთად ციხის წინ კარავი აღმართა. სარდალი ცვალებადი ბუნების იყო, საჭიროების მიხედვით, თავდაპირველი აზრი შეიცვალა და აღნიშნული სამსახურისათვის პასუხისმგებლობა ანატოლიის მცველს ვეზირ დიშლენ ჰუსეინ ფაშას დააკისრა. მორჩილების შესახებ სარდლის კეთილშობილური ბრძანებები დაეგზავნათ რუმელიის, დიარბექირის, სივასის, ყარაბაღის, მარაშის ბეგლარბეგებს და აგრეთვე აბაზა ფაშას. როდესაც ჰუსეინ ფაშამ არზრუმის მახლობლად ილიჯად წოდებულ ადგილზე კარავი აღმართა, ბრძანების თანახმად, აბაზა ფაშას წერილი გაუგზავნა, სადაც მას თანამებრძოლობას სთავაზობდა. აბაზა ფაშამ მაშინვე, იმ ღამესვე არეულობის ქარის აბობოქრებითა და ამბოხების ძლიერი ცეცხლის დანთებით ტრაპიზონიდან არზრუმისაკენ ახალციხის დასაცავად მიმავალი 800 იანიჩარი და იქ მყოფი ნობეთჩიების უმრავლესობა ბასრი ხმლის ლუკმად აქცია. მათი მეთაური დევეჯი მუსტაფა აღა კი, რომელიც დიდი ვეზირი იყო და 53 წლის დასასრულს გარდაიცვალა, ნება-უნებურად თავის ბრძანებასა და ძალაუფლებას დაუმორჩილა. ჰუსეინ ფაშას იანიჩართა ბრძოლის ამბავი შეატყობინეს. მანაც უშიშროებისა და მშვიდობისათვის რაიათი დანიშნა და გაგზავნა. ეს რომ აბაზა ფაშასათვის ცნობილი გახდა, სასწრაფოდ გამოემართა, ძლიერი თავდასხმით ლტოლვილნი უკუაქცია, ჰუსეინ ფაშა შეილით და დიარბექირის მირმირანი ხოსრო ფაშა დახოცა. დიდი ვეზირი, რომელიც ველზე მოვიდა, ბაღდადზე გალაშქრებას აპირებდა და ის-ის იყო თუღი და ალამი უნდა აღემართა, ამ ცნობამ შეაშფოთა. საშინელმა ამბავმა სერასკერის ყურამდე მიაღწია. აუცილებლობის გამო წინასწარ ითათბირეს და სასწრაფოდ იმ მიმართულებით მიაბრუნეს სადაეები (გვ. 565).

წელი 1038 (1628/9):

ზილჰიჯეს თვეში (22.VII-VIII.1629 წ.) საქართველოს გამგებლის თეიმურაზის ძმას მოურავს[32], რომელიც ზოგიერთი სარწმუნო გადმოცემის თანახმად, ყარჩიღაის ამბების მთელი მიზეზი იყო, თავის ძმასთან რაღაც უსიამოვნება მოუვიდა. ადრე ხალილ ფაშამ არზრუმს რომ ალყა შემოარტყა, იმ დროს სარდალთან მივიდა, პატიოსან ისლამში მოექცა, მაჰმუდის სახელით გაკეთილშობილდა და ხოსრო ფაშასათვის წლის მანძილზე საჭირო სამსახურის სამეუფოდ ყარამანის ვიალეთი უწყალობა. ხმა გავრცელდა, რომ ზოგიერთ ადგილას მომხდარ და მოუხდენელ ამბავთა აღსაკვეთად სარდლის სახელზე საჩივრის წერილების დამწერები გაჩნდნენო. გარდა იმისა, რომ სისხლისმღვრელი ხოსრო ფაშას რიდი ჰქონდა, მის მიმართაც ფარული აღშფოთების ნიშნები გამომჟღავნდა. ამიტომ დამსჯელი მახვილის შიშით, მოურავმა სარდალთან შეხვედრას თავი აარიდა. როდესაც უსაფრთხო ადგილისაკენ გაეშურა, კონიიდან ზორ ფაშა გაგზავნეს. მალათიისაკენ წასასვლელი გზაც გადაუკეტეს, ხოლო ალეპოს ველი სერასკერის რაიათის სადგომი გახდა. ასე უმიზეზოდ ამოირიცხა სამყაროში არსებობიდან გულადი ადამიანი თავისი შვილითა და ორმოცამდე ქვეშევრდომით (გვ. 669).

წელი 1044 (1634/5):

რაბი ულ-ახერის თვეში (24.IX-22.X1634 წ.) აღინიშნა, რომ კოტურის უმნიშვნელო ციხე, რომელიც ირანის საზღვარი იყო, მოფარებულ ადგილას მდებარეობდა და ცას ებჯინებოდა, სიმაღლისა და სიმტკიცის გამო გამარჯვებისა და დაპყრობისათვის დიდი ენერგიისა და ფულის ხარჯვას საჭიროებდა. ხოლო აღების შემთხვევაში შენარჩუნება გაძნელდებოდა. ამიტომ ძლევამოსილმა ჯარმა ამაო შეწუხებას თავი აარიდა, მიზნის ადგილისაკენ მიაბრუნეს სადაგები და ხსენებული თეის მე-18 დღეს ვანში ბრწყინვალე კარავი აღმართეს. იმ ადგილას დიდვეზირი მეჰმედ ფაშა რუმელიის ეიალეთის მიერთებით აღამაღლეს და

განადიდეს. გმირობისათვის რამდენიმე დღის განმავლობაში ვანში ზოგიერთს თანამდებობები უბოძეს. ბედნიერი ვეზირის გეგმით ქენან-ფაშა გამარჯვებული ლაშქრით ახალციხის დასაპყრობად და დასამორჩილებლად მიაელინეს_ (გვ. 588).

_ იმავე თვეში, წინა გვერდზე რომ ეწერა (29.IX-22.X), ქენან-ფაშა დაპყრობისათვის გაიგზავნაო, ძლევამოსილი ლაშქრით სასწრაფოდ იმ მხარისაკენ გაემართა, 23 დღიანი ალყის შემდეგ ახალციხე დანებდა და დაკავებულ იქნა. ირგელიე, მის მიდამოებში მდებარე 5-6 უმნიშვნელო ციხეც რომ დაიმორჩილა, ფაშამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქისაკენ მიაბრუნა სადაც[33]. როდესაც ციხეზე მზის სხივი ამოიწერა, გამარჯვებული ლაშქრით აზნაქისად წოდებულ ადგილს ნახევარმთვარიანი ალმით სამყაროს მომრთველი სულთნის წინაშე წარსდგა, სადაც მას მეფური ყურადღება აღმოუჩინეს. მისმა უდიდებულესობამ, ძლევამოსილმა ხელმწიფემ რთული ლაშქრობები გადასდო და ძველი სატახტო ქალაქი დიდებასა და ბრწყინვალებაში ჩაფლო. ქალაქი და მისი მიდამოები სრულად მორთეს, მოკაზმეს და ერთი კვირა გაჩირაღდნებული იყო (გვ. 589).

წელი 1045 (1635/6):

იმავე თვეში (რამაზანი - 8. II-8.III.1636 წ.) გამარჯვების შემდეგ, ბოროტმა შაჰმა ქეთხუდა ზულფიკარი (ქვეყნის) დამცველი ბეგლარბეგები, სუნდუქ-ფაშა, მუმი-ფაშა და მურთაზა, რამდენიმე ამირი, ზოგიერთი გამოჩენილი და მნიშვნელოვანი აღა დაატყვევა, დანარჩენები კი გაუშვა. მმართველობის მოწესრიგების შემდეგ ჰუქუმეთი ქაბალის სახელის დინასტიას გადაეცა. ძველად ბედნიერი ფადიშაჰის უაღრესტოესი ლაშქრის ბანაკისათვის ცნობილი გახდა ერეკანზე თავდასხმის ამბავი. ჯარს ჯერ სულ არ შეუსვენია. რადგან ზამთარი ახლოდებოდა და სადმე მოშორებულ კუთხეში დაბინავება იყო საჭირო, სამეფოს აუცილებელი კეთილდღეობისათვის იანიჩართა აღა შაჰინ-აღა სასწრაფოდ მიაელინეს და ანატოლიის ყველა სერასკერს კეთილშობილური ბრძანებები დაეგზავნათ. ვეზირთაგან მიაელინეს სულთან-ზადე

მეჰმედ-ფაშა და ჯანფოლად-ზადე მუსტაფა ფაშა, რათა ორივე მხრიდან ჯარი გადაეყვანათ. შაჰი რომ ერევნისაკენ გაემართა, სერასკერს დიარბექირში აცნობეს. ისიც, საშიშროების გმირულად დაძლევით, ახალი მთვარის პირველი ღამე ორად რომ იყოფოდა, ძლიერი ყინვის დროს ჭენებით არზრუმის მიმართულებით, ჰასანკალესაკენ გაემართა. იმ მხარისაკენ სასწრაფოდ გაგზავნეს ანატოლიის, ყარამანის, სივასის, ჩილდირის და მარაშის ბეგლარბეგები. ზილყადეში (7.IV-6.V) უსტარი მოვიდა კურთხეული ჯარის საქმიანობაზე, რომ ყარსის მახლობლად მან იშვიათი ხელსაყრელი შემთხვევით დალუპვას თავი დააღწია. საჭიროებისათვის გამოსული ფირმანის თანახმად, იმ მხარეში მდებარე ყარსის, ახალციხის, ჩილდირის და მათი მსგავსი ციხეები შეაკეთეს და დაიცვეს[34]. ამით ისლამის [დაცვის] საქმეში საზღვრების გადაღობვა მთლიანად დასრულდა.

სულეიმან-ნამე

წელი 928 (1521/22):

... არეულობისა და შფოთის მტერის შექმნის ძლიერი სურვილით შეპყრობილ წყეულებს არზა და ცნობა მოუვიდათ, რომ არ არსებობდა უმოწყალო, ქალაქების დამპყრობი მახვილი. ხსენებულ ადგილს (აზნავურის მახლობლად - გ. ა.) დიარბექირის ბეგლარბეგ ხოსრო ფაშასთანაც დესპანი მოვიდა. როდესაც შაჰს აცნობეს, რომ ფერჰად ფაშა ურიცხვი ლაშქრით სივასისაკენ გაემართა, თავდაპირველად დაუყოვნებლივ ერეტიკოსების გაგზავნა განიზრახა. მრავალი გულადისა და თავდადებულისაგან თაყვანი სუსტი სულის ფრინველის გადასარჩენად, უჯანის ველზე შეკრება რომ გადაწყვიტა, დიდებულების საბრძოლველად მახლობელი პირები გაგზავნა.

ასევე დიდი არმენიისა და საქართველოს გამგებელთაგან მანუჩარმა თანდაყოლილი ნიჭის შემწეობით ძველად (მისთვის) საეჭვო ბედის კარს მორჩილებისა და თანხმობის თხოვნით მიმართა. კონსტანტინოპოლის მოხების რიცხვში რომ იყო, დროთა დიდება მოიხვეჭა. საქართველოს გამგებელი იყო წყეული შაჰის კეთილმოსურნეთაგან ერთი ყაჩაღი, სახელად ჯავირი, შაჰს გადაუდგა, კეთილშობილური ზღურბლის მორჩილების უღელი დაიდო და მანუჩარის ხელქვეით რაიასათვის ზიანის მიყენების გამბედაობა ჩაიდინა. ის ბოროტი მეზობელი დაჟინებით მოითხოვდა უსამართლო ხელშეკრულებას. დიდებულ და ბრწყინვალე კარის მსახურს არზა მოუვიდა. ისლამის ერთგულ და მორჩილ მანუჩარსაც (შეატყობინეს), რომ თუ საჭირო იქნებოდა, დახმარებას აღმოუჩენდნენ[35] (გვ. 54).

წელი 956 (1549):

... მისმა უდიდებულესობამ ძლევამოსილმა სულთანმა ღაზავათის დაპირება ინება. ბედნიერი წლის დასასრულს გულადმა მუსა-ფაშამ, არზრუმის ბეგლარბეგმა, რომელმაც საქართველოს დაპყრობის საქმეში დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და იმ მხარეში მრავალი კეთილი საქმე ჩაიდინა, განგების გარდაუვალობით ქართველების ხელით განადგურების საწამლავი დალია. გასულ წელს გაგზავნილ იქნა არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა. იგი ქართველებს დაპყრობის მიზნით დაესხა თავს.

ამ ბედნიერ წელს შაბანის თვის (25.VIII-22.IX.1549 წ.) პირველ რიცხვებში დიდვეზირის გეგმით აჰმედ-ფაშა სერასკერის თანამდებობაზე დანიშნეს. არზრუმის, ყარამანის, მარაშის ბეგლარბეგები, რამდენიმე სანჯაყ-ბეგი და 1000 იანიჩარი ბოლუქების მეთაურებით შფოთისა და არეულობის გამო სალაშქროდ ომში გაემართნენ. გამარჯვებული ლაშქარი მტრის შფოთის მხარეში მოვიდა, 40-ზე მეტი ციხე მიწასთან გაასწორა და ის მხარე, ასე თუ ისე, ეზირს დაუმორჩილა[36] (გვ. 151-153).

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ისტორიკოსის მამას სხვადასხვა დროს ეჭირა აგრეთვე ვალისა და ყადის თანამდებობები. تاريخ ، اسماعيل بليغ افندى بروسه ، ۱۳۰۲ بروسه, , გვ. 314, 316.
2. მუჰამედი დაიბადა 980/1572-3 წ., გარდაიცვალა 1042/1633 წ. იყო მუდარისი, სტამბოლის ყადი, ანატოლიის და რამდენჯერმე რუმელიის ყაზიასკერი (محمد ثريا, سجل عثمانى, ۱۳۰۲ შემდეგ - მეჰმედ სურეია. დასახ. ნაშრ., ტ. IV, გვ. 100). ის პოეტიც ყოფილა. ცნობილია მისი ლექსების კრებული (I. Hammer, *Histoire de l'Empire Ottoman*, IX, Paris, 1887, გვ. 211). ი. ჰამერს საინტერესო მასალა აქვს შეკრებილი ყარა ჩელები-ზადეთა ოჯახისა და, კერძოდ, პირადად აბდულ აზიზის შესახებ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., ტ. IX, გვ. 218, 233, 240, 265, 286, ტ. X, გვ. 338-270, ტ. XI, გვ. 50). მაგრამ მის ნაშრომებში ზოგიერთი უზუსტობაც გვხვდება, მაგალითად, 1597 წლის ამბებში მოხსენიებული ყარა ჩელები-ზადე, როგორც ჩანს, აბდულ აზიზის მამა, ჰამერისათვის (I. Hammer. დასახ. ნაშრ., ტ.VII, გვ. 341) „ამავე სახელის ისტორიკოსის (აქ შეიძლება მხოლოდ აბდულ აზიზი იგულისხმებოდეს. - გ. ა.) ვაჟია“ ასევე უზუსტობა მოსდის მას, როდესაც მოლა მუჰამედს, აბდულ აზიზის ძმას, ოსმალეთის დიდ ისტორიკოსად მიიჩნევს (I.Hammer, *Constantinopolis und der Bosporus*, Zweiter Band, 1822, გვ.25).
3. ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე იხ F.Babinger, *Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke*, Leipzig, 1927, 204-226; F. Babinger, *Abdulaziz Kara Efendi Çelebi-zade*, *Islam Ansiclopedisi*, I, Istanbul, 1958, 64-65; Katib Çelebi, *Keşf el-zunun*, Istanbul, 1941-43, ტ. I, გვ. 300-333; ტ. II, გვ. 922; ქართველ მკვლევართაგან ყარა-ჩელები-ზადეს შემოქმედებას ეხება ნ. შენგელია ნაშრომში: *XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები*, თბ., 1974, გვ. 44-45.
4. ყარა-ჩელები-ზადეს თხზულებების ხელნაწერების შესახებ იხ: G. Flügel, *Die Arabischen, Persischen und Türkischen Handschriften der Kaiserlichkönichen Hofbibliothek zu Wien*, zw. Band. Wien, 1865, 96, 230,

262; Istanbul Kütüphanelcri. Tarih Coğrafya Yazmalari Kataloglari I fasikül, Istanbul, 1943, 4-12; fasikül, 1944, 105-106; fasikül, 1945, 357-361.

5. რისალეს შესახებ იხ А. С. Тверитинова, Социальные идеи в турецких дидактических, политико-экономических трактатах XVI - XVI I веков. – *Труды 25-го международного конгресса востоковедов*, М., 1963.

6. გ. ფუთურიძე, ევლია ჩელები როგორც ისტორიკოსი. – *კრ. აღმოსავლური ფილოლოგია*, II, თბ., 1972, გვ. 220.

7. მეჰმედ ფაშა ტავილი („ტავილ" طول - მეტსახელია, გრძელს ნიშნავს) წარმოშობით ბოსნიელია. თავდაპირველად იყო კაფუჯი-ბაში, 953 (1546-7) წ. გახდა რუმელიის ვალი; შემდგომში იყო ჯარის სარდალი, მეორე ვეზირი, 972 წ. ზილყადეში (31.V-30.VI.1565 წ.) – დიდვეზირი (მეჰმედ სურეია, დასახ. ნაშრ., ტ. V, 1308, გვ. 123.).

8. დაწვრილებით ამ ლაშქრობაზე იხ. მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან*, XVI-XVII სს. თბ., 1971, გვ. 63-67. უფრო დეტალურად და ზუსტად ამავე ამბებს გადმოგვცემს „სულიმან-ნამე", რომლის ცნობები უახლოვდება იბრაჰიმ ფეჩევის, მეჰმედ ბენ მეჰმედისა და ქათიბ ჩელების თხზულებების მონაცემებს. მცირე განსხვავების გამოკლებით, ისინი ერთსა და იმავეს მოგვითხრობენ. ფეჩევის ცნობით, „ქართველ არნაბუდთაგან რამდენიმე ათასი წყეული მოულოდნელად დაესხა თავს არზრუმის ბეგლარბეგს მუსა ფაშას, მოკლა იგი... ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა ეპოვა შემთხვევა და შური ეძია წყეულებზე. ამიტომ ამავე კურთხეულ წელს (ე. ი. 1548 წ. - გ. ა.) ზემოხსენებულ მირმირანს (არზრუმის ბეგლარბეგ მეჰმედს - გ. ა.) ებრძანა გაემგზავროს (იმ მხარეში)". (,۱۲۸۳ ,پچوی ابراهیم تاریخ استانبول - შემდეგში ფეჩევი, *ისტორია*, ტ. I, გვ. 280-281); იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს.ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 26-27). მეჰმედ ბენ მეჰმედის

მიხედვით, „ამას წინათ ქართველმა ურჯულოებმა არზრუმის ბეგლარბეგი მუსა ფაშა მოკლეს. ამაყე დროს საქართველოში გაგზავნეს არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა ლაშქრით“ (محمد بن محمد, نخبة التواريخ و الاخبار - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი, გვ. 531, 60 ბ, 61 ა - შემდეგ: მეჰმედ ბეგ მეჰმედი, *ისტორია*), მომდევნო 956 (1549) წლის ამბებში ამ ავტორებს ჩართული აქვთ ახმედ ფაშას ლაშქრობა და ამ თავდასხმისათვის ერთსა და იმავე მიზეზს ასახელებენ: „რადგან იმ დროს ქართველი ურჯულოები აჯანყებას და არეულობას აწყობდნენ“-ო. იბრაჰიმ ფეჩევი, დასახ. გამოცემები, იქვე). რაც შეეხება „წმინდანთა ბაღის“ ცნობას, მასში, ისევე როგორც სოლაკ-ზადეს ისტორიულ თხზულებაში, არზრუმის მირმირანის მეჰმედის ლაშქრობა გამოტოვებულია (گ. 512 , تاريخ, صولاق زاده, استانبول, ۱۲۹۷. შემდეგ: სოლაკ-ზადე. *ისტორია*; ნ. შენგელია, სოლაკ-ზადე საქართველოს შესახებ. – კრ. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, თბ., 1973, გვ. 59-60). წყაროთა უმრავლესობა (მათ შორის „სულეიმან-ნამე“) ამ ლაშქრობების თარიღად 955-6 (1548-49) წლებს მიიჩნევს.

9. XIX ს-ის თურქი მკვლევრის მეჰმედ სურეიას მონაცემები სინან ფაშას შესახებ ზუსტი არ არის. მისი ნაშრომის მიხედვით, ბაჰრამ ფაშა იემენის ვალი 976 წელს გახდა, მაშინ როდესაც მისი წინამორბედი სინან-ფაშა აღნიშნულ თანამდებობაზე ჩანს 977 წლიდან, 975-977 წლებში კი ეგვიპტის ვალის მოვალეობას ასრულებს (მეჰმედ სურეია. დასახ. ნაშრ., ტ. III, გვ. 109, ტ. II, გვ. 32).
10. მფლობელობის ისეთი ფორმა, როდესაც შემოსავალი მთლიანად გამგებლის საკუთრებაა.
11. კასპიის ზღვა.
12. ასტრახანი.
13. იგულისხმება აზოვის ზღვა.
14. მდ. ვოლგა.

15. საქართველო (گرجستان - „გურჯისთან“) აღმოსავლეთ საქართველოს უნდა ნიშნავდეს, „დადიანი“ - დასავლეთს. „დადიან“ სახელწოდების მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელება აიხსნება იმით, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში მას, ფაქტობრივად, ლევან II დადიანი განაგებდა.

16. ამ შემთხვევაში იგულისხმება იანიჩართა ჯარი.

17. მერჯალე - ერთდღიანი მანძილი.

18. ტექსტში فتح قبوس -ის ნაცვლად, ვფიქრობთ, უნდა იყოს فتح قبرس . قبوس სიტყვა არ არსებობს. ამავე დროს ცნობილია, რომ ირანის ლაშქრობამდე ლალა მუსტაფა ფაშამ კვიპროსი დაიპყრო (მეჰმედ სურეია. დასახ. ნაშრ., ტ. IV, გვ. 377).

19. მეჰში სინან ეფენდი - ანატოლიის ყაზიასკერის თანამდებობაზე იყო 954 წლის შაბანიდან (16.IX-14.X.1547 წ.) 958 წლის შაბანის თვემდე (4.VIII-1.IX.1551 წ.). გარდაიცვალა 986 წელს, საფარის 22-ში (30.IV.1578 წ.) (მეჰმედ სურეია. დასახ. ნაშრ., ტ. III, გვ. 108).

20. ჩილდირის ბრძოლა ოსმალებსა და ირანელებს შორის მოხდა 1578 წლის 9 აგვისტოს (ბრძოლის შესახებ იხ. მ.სვანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 107-108).

21. იგულისხმება მანუჩარ III ქაიხოსრო II-ის ვაჟი, რომელიც ზოგიერთ ოსმალურ თხზულებაში არეულია ყვარყვარე II-ის შვილ მანუჩარ II-ში. ავტორი ორმაგ შეცდომას უშვებს: قاری اوغلو (უნდა იყოს, ალბათ, قرقره اوغلو - ყვარყვარეს ძე). იგი მანუჩარ II-ის მეტსახელად მიიჩნევს (დაწვრილებით იხ. Г. Аласаниа (რეცენზია). *Важный источник по истории Армении. – მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №3, 1975, გვ. 146-147).

22. მანუჩარის მიერ ისლამის მიღებასთან დაკავშირებით ყარა ჩელები-ზადე დაახლოებით იმავე შეცდომას უშვებს, რასაც მეჰმედ ბენ მეჰმედი (ისტორია, 98-ა), ქათიბ ჩელები (كاتب چلبی، جهان نما، قسطنطينيه ، ١١٤٥), გვ. 408; მუნეჯიმბაში (منجم باشی احمد، صحائف الاخبار، استنبول، ١٢٨٥) ტ. III, გვ. 539 - შემდეგში: მუნეჯიმ-ბაში, *ისტორია*); ნ. შენგელია, ოსმალო

ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა-მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. - *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II, თბ., 1968, გვ. 137). როგორც დადგენილია, ეს ფაქტი მოხდა არა ჩილდირის ბრძოლის შემდეგ, არამედ ცოტა გვიან, ლაშქრობის დასასრულს, 1579 წლის 25 ივნისს (მ. სვანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 134).

23. ქართლის გამგებელი 1569-1578 წლებში.
24. კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605).
25. ქართლის მეფე სიმონ I (1556-1569; 1578-1600).
26. ქართული წყაროების მიხედვით, დაუდ-ხანი ოსმალებს ლალა-მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს დამორჩილდა (ახალი ქართლის ცხოვრება. - *ქართლის ცხოვრება*, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 522; პარიზის ქრონიკა, თბ., 1903, გვ. 15; ბატონიშვილი ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, თბ., 1973, გვ. 902), რაც ერთგვარ წინააღმდეგობაშია ოსმალური თხზულებების ჩვენებებთან. დაუდ-ხანი მართლაც ეახლა ოსმალო სარდალს, მაგრამ ეს მოხდა არა ლალა ფაშას თავდასხმის დროს, არამედ შედარებით გვიან, როდესაც სარდალი იყო ფერჰად ფაშა (იხ. გ.ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიკი საქართველოს შესახებ. - *თსუ შრომები*, №92, 1960, გვ. 208).
27. ცნობა ეხება ფერჰად ფაშას მეორე ლაშქრობას საქართველოში. სოლაკ-ზადე და ფეჩევი მას 994 (1585/6) წლით, ხოლო მუნეჯიმ-ბაში და ყარა ჩელები-ზადე 995 (1586/7) წლით ათარიღებენ. (სოლაკ-ზადე, *ისტორია*, გვ. 613; ფეჩევი, *ისტორია*, ტ. II, გვ. 109; ს. ჯიქიას თარგმანში გვ. 78; მუნეჯიმ-ბაში, *ისტორია*, ტ. III, გვ. 560, 571; ნ. შენგელია, *მუნეჯიმ-ბაშის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ* (ინახება საქართველოს შესახებ არსებულ უცხო წყაროთა კომისიაში), ტ. II, გვ. 125). ერთი ვერსიის მიხედვით, ლორე და გორი ფერჰად ფაშამ პირველი ლაშქრობის დროს დაიპყრო (ფეჩევი, *ისტორია*, ტ. II, გვ. 87, თარგმანში: გვ. 77, كاتب چلبى، تقويم التواريخ فسطنطنيه, ١١٤٦ ; სოლაკ-ზადე, *ისტორია*,

გვ. 602), ხოლო უფრო ზუსტი გადმოცემით (მუნეჯიმ-ბაში, ყარა ჩელები-ზადე) გორი დაპყრობილი ჩანს მეორე თავდასხმის დროს - 1587 წელს.

28. იგულისხმება კოკოლა შალიკაშვილი, რომელიც ოსმალების მიერ სამცხის დაპყრობის შემდეგ 1578 წელს ირანელების მხარეზე გადავიდა, გამაჰმადიანების შემდეგ მას მაჰმუდ ხანი ეწოდა; 1587 წელს იგი ხდება ოსმალების მოკავშირე სიმონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში (დაწვრილებით იხ. მ. სვანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 168-9).

29. ჯაფარ ფაშას მიერ სიმონ I დატყვევების შესახებ იხ. მ. სვანიძე, სიმონ I ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის. – კრ. *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, I, გვ. 123.

30. ცნობა ეხება მარტყოფის ბრძოლას (1625 წლის 25 მარტი). როგორც ცნობილია, თეიმურაზს არ მიუღია მონაწილეობა მარტყოფის ბრძოლაში. სხვა წყაროებით არ დასტურდება არც ოსმალების მონაწილეობა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 277-281; მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან*, გვ. 281-284).

31. 1627 წელს ირანელების მიერ ახალციხის ციხის დაპყრობის შესახებ იხ. აგრეთვე იბრაჰიმ ფეჩევი, ტII, გვ. 408, 409, თარგმანში, გვ. 85-87.

32. ტექსტშია „قوروقه“ შესაძლებელია, კორექტურული შეცდომა იყოს. ყარა ჩელები-ზადეს „როუზათ ულ-აბრარი“ ერთ-ერთი წყაროა ქათიბ ჩელების „ფეზლექესი“. გ. სააკაძის უკანასკნელი დღეები „ფეზლექეში“ გადმოცემულია ყარა ჩელები-ზადეს მსგავსად. შესაძლებელია, ყარა ჩელები-ზადეს გავლენითვე აიხსნას ისიც, რომ ქათიბ ჩელებისთანაც მოურავი შეცდომით მიჩნეულია თეიმურაზის ძმად (გვ. 100 , فذلكه، ج ۲، استانبول، ۱۲۸۷
كاتب چلبی ،). გ. სააკაძის უკანასკნელ დღეებზე იხ. აგრეთვე ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. - *ენიმკის მოამბე*, ტ. XIII, 1943.

33. ლაშქრობის შესახებ იხ. ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. - *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან*, თბ., 1957, გვ. 366.
34. 1636 წლის ზაფხულში ოსმალებმა შეაკეთეს ახალციხის ციხე ირანელების თაედასხმის საპასუხოდ (ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 358).
35. ცნობა ეხება მანუჩარ II ურთიერთობას ოსმალებთან. ყვარყვარე II-ის მეფქვსე ვაჟი მანუჩარი XVI ს-ის 20-იან წლებში ოსმალების დახმარებით ცდილობდა წაერთმია ტახტი ყვარყვარე III-ისთვის. ამ ბრძოლის ანარეკლი უნდა იყოს აგრეთვე 923 (1517) წლის ცნობა ჰუსეინისა (გარდ. 1644 წ.) და მეჰმედ ბენ მეჰმედის თხზულებებში ქართველი ამირების მორჩილების შესახებ (Хюсейн, Беда'и ул-векаи'. Удивительные события). Издание текста, введение и общая редакция А. С. Тверитиновой, გვ. 493; მეჰმედ ბენ მეჰმედი, ისტორია, 43-ა). მეჰმედ ბენ მეჰმედი ზუსტად იმეორებს ჰუსეინის ცნობას. მათ ცნობებში მანუჩარი არ იხსენიება, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება.
36. იხ. შენ. 2.

საქართველოს დამოკიდებულება ოსმალეთზე ძალალდზე და რეალობაში

ოსმალეთი საქართველოს XV საუკუნის შუა წლებში გაუმეზობლდა. კონსტანტინოპოლში ოსმალების დამკვიდრების შემდეგ ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის არ შეწყვეტილა. ამ ურთიერთობებში ოსმალეთი უყურო ხშირად თავდამსხმელი და დამპყრობელია, ხოლო საქაროველო დამოკიდებული და ზოგიერთ შემთხვევაში დაპყრობილი ქვეყანა, რომელიც თავს იცავს ფიზიკური განადგურებისა და კულტურული ასიმილაციისაგან.

სწორედ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთ დროს ძლიერი საქართველო იშლება და ერთიანი სახელმწიფოს ნაცვლად სამი სამეფო და რამდენიმე სამთავრო იქმნება. მათ შორის დაუსრულებელი ბრძოლა პირველობისათვის ქვეყნის ხელახალი გაერთიანების ცდების პარალელურად მიმდინარეობს. ამ დაპირისპირებაში გარეშე ძალა და პირველ რიგში ოსმალეთი აქტიურ როლს თამაშობს. საუკუნეების მანძილზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სხვადასხვა ფორმა ყალიბდება - დაწყებული მოკავშირეობით, დამთავრებული ვასალიტეტით, ცალკეული კუთხეების ანექსიით, ინკორპორაციით და ოსმალური ადმინისტრაციის დამყარებით. ყოველივე ეს, თავის მხრივ, სხვადასხვა ვალდებულებას გულისხმობს - მოხარკეობას, სამხედრო ვალდებულებებს - ომის დროს ჯარით და სურსათით დახმარებას, გზების და ციხეების აღდგენა-აშენებას, ციხეებში ოსმალური გარნიზონის ჩაყენებას და სხვ. ოსმალეთი, ყოველივე ამის სანაცვლოდ, საქართველოს მფარველობას და სხვა დამპყრობელთაგან დაცვას ჰპირდება. თუმცა, როგორც ირკვევა, ქართველები უფრო ხშირად არღვევენ შეთანხმებას და ფაქტობრივად დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, ხოლო დამოკიდებულების ზემოჩამოთვლილი ფორმები სხვადასხვა დროს და საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში განსხვავებული ინტენსივობით ვლინდება ან საერთოდ არ შეინიშნება.

1555 წლის ამასიის ზავით ოსმალეთმა და სპარსეთმა შუაზე გაიყვეს საქართველო, რომლის დასავლეთი ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთი - სპარსეთს. ასევე შუაზე გაიყო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო — სამცხე-საათაბაგო. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი ზოგიერთ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოშიც აღწევდა უპირატესობას, ამასიის ზავის პირობები ძირითადად თითქმის უცვლელი დარჩა ერთი სხვაობით: მოგვიანებით ოსმალეთის ხელში მთელი სამცხე-საათაბაგო მოექცა.

ოსმალეთის პირველი თავდასხმები საქართველოს ტერიტორიაზე წყაროებში ნაკლებ აისახა. მეჰმედ II-ის დროს საქართველოში 1454, 1461, 1479 წწ. ლაშქრობების მიმართ ნაკლები ყურადღება იმით აიხსნება, რომ მათ არ ჰქონდათ მძიმე შედეგები საქართველოსათვის და არც ოსმალეთისათვის მოუტანიათ მნიშვნელოვანი წარმატებები, მაგრამ უკვე ამ დროიდან ყალიბდება დამოკიდებულების გარკვეული ფორმები, რომელიც მომდევნო საუკუნეებში უფრო ღრმა და მრავალფეროვანი ხდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალით სამცხე-საათაბაგო უკვე ამ დროიდან ოსმალეთს ხარკს უხდის, რაც, ქართული წყაროს მიხედვით „ძღვენია“ [1, 710].

თეთრბატკნიანთა აგრესიის პირობებში ოსმალეთთან მოხარკეობაზე დამყარებული ურთიერთობა მფარველობის ან, უარეს შემთხვევაში, თავდაუსხმელობის გარანტია შეიძლებოდა ყოფილიყო. ამავე დროს განკერძოების გზაზე შემდგარ ფეოდალს ეს ქართველი მეფისგანაც იცავდა. XVII საუკუნის ოსმალო აეტორი ჯელალ-ზადე უფლისწულ სელიმის საქართველოზე ლაშქრობის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ქართველები ბაიაზედის ბოლო წლებში „მონის გადასახადს“ არ იხდიდნენ და ყიზილბაშებისაკენ მიიქცნენ [2, 92]. მაგრამ გადასახადები სავალდებულო და რეგულარული არც წყაროში (ქეშფი) მოხსენიებული სელიმის სამი ლაშქრობის შემდეგ

გამხდარა [2, 92]. მართალია, 1514 წელს სამცხის გამგებელი ჩალდირანთან ბრძოლაში ჯარით ოსმალების მხარეზე იბრძვის, მაგრამ ძლიერი მეზობლის მხარდაჭერა, როგორც ჩანს, პოლიტიკური ვითარებით და საკუთარი ინტერესებითაც არის განპირობებული. იმ წლებში და შემდეგაც, ოსმალეთის ხელისუფლებას ხშირად უხდებოდა ქართველებისათვის ვალდებულებების შეხსენება, ხარკის აკრეფის მიზნით მოხელეების გაგზავნა, ან რაიმე საჭიროებისათვის გადასახადის ხელახალი დაწესება, ან სულაც გადასახადისაგან მათი გათავისუფლება. მაგალითად, ისკელეს ვილაიეთში სელიმის ზეობის პირველ წლებში 23 ქაფური (ურწმუნო) ფადიშაჰის ბრძანებით ხარაჯისა და ისპენჩესაგან გაათავისუფლეს და თიმარი დაუწესეს აფხაზებისა და მეგრელების თავდასხმებისაგან სასაზღვრო რაიონის დასაცავად [2, 27, 28].

თოფკაფის სასახლის არქივის ფ. 6478/1 დოკუმენტში, რომელიც ჯ. ბაკე-გრამონმა გამოაქვეყნა (თარიღდება 1516 წლით), ხოლო ც. აბულაძემ ქართულ ენაზე თარგმნა, ნათქვამია: „თუ საქართველოს ამბავს გამოიკითხავენ, გასულ წელს... ფადიშაჰის მიერ ტრაპიზონიდან გაიგზავნა ზიმი... დადიანთან და გურიელთან ხარაჯის მოსათხოვნად. ახლა დაბრუნდა უკან და მისი ელჩი დადიანისაგან ხარაჯით დატვირთული მიდის მაღალ სამეფო კარზე“ [3, 48]. ამასთანავე, ირანთან დაპირისპირების გამო, XVI საუკუნის 10-20-იან წლებში ოსმალეთი სხვადასხვა გზით ცდილობს ქართველი გამგებლების მიმხრობას. ასეთ ვითარებაში ქართველები და ოსმალები არაიშვიათად მოკავშირეებადაც გვევლინებიან. მაგალითად, ქართულ წყაროებში არის საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ 1524 წლის შემდგომ „წარმოევლინა სულტანს სულეიმანს სამთა ამათ მეფეთა თანა დესპანი: გიორგი ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევან კახთასა: „რამეთუ ადგილი სჯულისა თქუენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა, აწ მიმინიჭებიეს თქუენდა“ (ესე ჰყო ხონთქარმან, რამეთუ ბრძოდა დასაველით. მეორედ, ვინაჲთგან შიხის ძე ყეენი

და იგი მტრობდნენ, რათა ამით დაიპყრას მან ყოველი საქართველო და არა მიერთნენ შიხსა). ამისნი მსმენნი მეფენი სიხარულით შეკრბნენ სპითა თჳსითა... მისრულთა იერუსალიმსა შინა მყოფთა მოუთხრნეს: „გვაუწყეთ; უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გჳიჩანთ და, უკეთუ სტუმარ, მრაჳალ ხართ... იქმნან ბრძოლა ძლიერი. სძლეს საქართველოსათა, მოსწყჳდნეს და აოტნეს და შეჰყენენ ქალაქად, წარუხუნეს ქალაქი, მოსწყჳდნეს და განდეკნნეს იგინი, ხოლო ნეშტნი დაიპყრნეს და აღიღეს ალაფნი დიდნი და ნატყუენაინი. სცნა ესე ყოველი ხონთქარმან, მოანიჭნა ნიჭნი დიდძალნი და წმიდანი ადგილნი. საფლავი ქრისტესი. გოლგოთა, ბეთლემი და ჯუარის მონასტერი; ხოლო მეფეთა განათავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი და მოვიდნენ თჳს-თჳსსა სამეფოსა შინა“ [1, 401]. გიორგის მეფობის წლები ქართლში (1524-1526) საავსებით ემთხვევა იმ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთში. ბელგრადის და როდოსის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლების ყურადღება გადავიდა ეგვიპტის, სირიისა და არაბეთის ტერიტორიაზე, რომელიც აჯანყებებმა მოიცვა. 1523-25 წლებში მათ მოახერხეს იქ წესრიგის დამყარება და გამგებლების შეცვლა [83, 186-187]. ამ მოვლენების ფონზე ქართული წყაროების ცნობა თითქოს არ არის მოულოდნელი, მიუხედავად ამისა, სხვა წყაროებით ჯერჯერობით არ დასტურდება.

ვერანჩიჩის ცნობით, 1553 წელს „შავ ზღვაში გალერეების გაგზავნის ნამდვილი მიზანი სამეგრელოსა და კოლხეთში მცხოვრები ქართველებისაგან გადასახადის აკრეფა და სასაზღვრო მდინარეებზე საბაჟო კონტროლის დაწესება ყოფილა“ [5, 217, 224]. ამავე ავტორის აზრით, სამეგრელო 1557 წლამდე თავისუფალი ყოფილა გადასახადისაგან. 1557 წელს, როდესაც „სამეგრელოს მთავარმა ოსმალეთის სულტანს ნიჭბიანი გალერები სთხოვა, სანაცვლოდ გადასახადიც კი იკისრა, რომლისგანაც იგი აქამდე თავისუფალი იყო“ [6, 81].

ამასიის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფ-

ლება შეეცადა, როგორც ჩანს, თავისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე და სამცხეზე რეალური გაეხადა, თუმცა ასეთი ცდები ყოველთვის წარმატებული არ იყო.

1556 წელს ტრაპიზონის ბეგისათვის მუსტაფა ფაშასათვის გაგზავნილ ბრძანებაში (Muhimme, II, 161) ნათქვამია, რომ როდესაც გონიოს ციხეს აშენებდნენ, დადიანს და გურიის ეილაიეთებს 10 ათასი ალთუნი ხარაჯა დაუნიშნეს [2, 414].

ურთიერთობების არამშვიდობიან ხასიათზე, რაც გამოწვეული იყო ქართველების დაუმორჩილებლობით, მიუთითებს გაუთავებელი თავდასხმები დასავლეთ საქართველოზე [2, 12-13] და ასტრახანის ლაშქრობამდე 1569 წელს დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა, რაზედაც ცნობა XVI საუკუნის ისტორიკოსს გალიპოლელ მუსტაფა ალის შემოუნახავს [7, 565]. აღნიშნულ ლაშქრობას, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოუღია და სამეგრელოდან და აფხაზეთიდან თავდასხმების შესახებ შემდგომშიც არაერთი დოკუმენტია შემონახული. 1571 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „გაზაფხულზე მუდამ აფხაზები მოდიან“ [2, 28 (Muhimme, XIV, 58,30]. იმავე წელს არჰაევეს, გონიოს და ათინას კელავ დაესხნენ მეგრელები და აფხაზები: გაიტაცეს და დაატყვევეს მოსახლეობა, სურსათი, მოკლეს და დაჭრეს ხალხი, დახოცეს საქონელი და იქაურობას დიდი ზარალი მიაყენეს [2, 28].

1570 წლის ამბებში ანზელ შტეკლი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ქართველები თურქებს ხარკს უხდიან [6,81], თუმცა არ არის დაზუსტებული, რომელი ქართველები და არც ხარკის ფორმა ან რაოდენობაა მითითებული.

1574 წლის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს [Muhimme, XXV, 210], რომ სამეგრელოს და გურიას ყოველწლიური ხარაჯა - 500 ალთუნი ევალებოდათ, მაგრამ ისინი ამ თანხას არ იხდიდნენ და არც ისჯებოდნენ ამის გამო. მაგალითად, გიორგი დადიანს 6 წლის ხარაჯა მიუთვისებია, შემდეგ კი აფხაზებსა

და ჩერქეზებთან ერთად გურიელის სამფლობელოების ძარცვას შესდგომია [2, 417].

მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევის, ევლია ჩელების და ზოგიერთი სხვა ავტორის მიხედვით, სელიმმა ხარაჯისაგან გაანთავისუფლა იმერეთის მეფე და მათ დროსაც იგივე წესი მოქმედებდა. [2, 92, 93; 8, 440 9.1]. ევლია ჩელების ცნობით, იმერეთის მეფე ხარაჯის ნაცვლად ტყვეებს, შევარდნებს და სხვა საჩუქრებს გზავნის. მისი ცნობით ამ ოჯაკლიკის ფასი 606 ათასი ახჩაა [9, 301].

1577 წლის ერთ-ერთ ბრძანებაში ნათქვამია [Muhimme, XXIX, 522], რომ ბაშიაჩუკის (ე. ი. იმერეთის) და გურიის ხალხი ოსმალეთს დამორჩილდნენ. ამის გამო იკრძალება იქიდან ტყვეების გაყვანა და გაიცემა ბრძანება ტყვეების უკან დაბრუნების შესახებ [2, 42011]. 1578 წლის აღმოსავლეთ ლაშქრობის დაწყებამდე ლალა მუსტაფა ფაშას მიერ სამეგრელოს მთავრისადმი გაგზავნილ წერილში ხაზგასმულია შემდეგი სტრიქონები – „რამდენი ხანია შენგან ხარაჯა არ მოსულა, რა არის ასეთი დაგვიანების მიზეზი...“ [Muhimme, XXXII, 2, 195]. ლალა მუსტაფა ფაშას წერილებზე პასუხებში დადიანი და გურიელი თავის მორჩილებას ადასტურებენ და გადასახადებს კისრულობენ [10, 42].

1614 წელს გურიის მთავარსა და ოსმალეთის ელჩს შორის ბათუმში ზავი დაიდო, რომლითაც გურიას ხარკი უნდა ეხადა. ერთი წლის შემდეგ იგივე ნაბიჯი სამეგრელოს მთავარმაც გადადგა [11, 300].

XVII საუკუნის 30-40-იან წლებში რუსეთის ელჩის, ფეოდოტ ელჩინის, ცნობით, სამეგრელო ოსმალეთს აძლევდა 800 არშინ ტილოს და 30-40 ტყვეს [2, 323].

მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, რომელმაც XVII საუკუნის 30-40-იან წლებში 16 წელი გაატარა სამეგრელოში, მეგრელები ოსმალებს ხარკს ორ წელიწადში ერთხელ უგზავნიან, ხოლო ყოველ წელიწადს – ფეშქაშებს,

დადიანი „თავისი ნებით გახდა თურქეთის მოხარკე". ამასთანავე, ლამბერტი შენიშნავს, რომ „მთაფარი არასოდეს არავითარ ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს" და მოაქვს საყურადღებო ცნობა, რომელიც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის სამეგრელოს ოსმალეთზე დამოკიდებულების ხარისხზე. როდესაც სულტან მურადმა ერევნის აღების დროს დადიანს შეუთვალა: „შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგან ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმარო, ამაზე დადიანმა უპასუხა: „არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენი წინაპრების ომში სამსახური. ამიტომ არც ახლა გეახლებითო.. ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა გვეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩვენს საზღვარში ჯარით არ შემოხვიდეთო და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარაჯას და ადვილად შევძლებ ჩემი ჯარით დავიცვა სამთავრო" [3, 24].

ჟ. შარდენი, რომელმაც საქართველოში 1671-1672 წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს, რომ გასულ საუკუნეში ქართველებმა ერთმანეთს შორის „ქიშპობა დაიწყეს. ვინც თურქებთან ახლო იყო, მათგან დახმარებას ღებულობდა. თურქები ჯერ კი ეხმარებოდნენ, მაგრამ შემდეგ თავის მოხარკეებად გაიხადეს ყველა, ერთი მეორის მიყოლებით. იმერეთის მეფის გადასახადი წარმოადგენდა 80 ყმაწვილი - გოგონები და ბიჭები, ათიდან ოც წლამდე, გურიის მთავრისას 46 ასეთივე ყმაწვილი; სამეგრელოს მთავარი იხდიდა ადგილობრივი წარმოების 70 ათას არშინ სელის ტილოს. ხარკი აფხაზებსაც ჰქონდათ დაკისრებული, მაგრამ ისინი მცირე ხნის განმავლობაში იხდიდნენ, ახლა კი სრულიად არ იხდიან... ადრე თურქებს ამ ქვეყნის დაპყრობაზე არ უფიქრიათ... ეს პროვინციები ძველ მდგომარეობაში დატოვეს და დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ტყვეების წყაროდ აქციეს [14, 204].

ფუნდუკლულუ მეჰმედ აღას ცნობით, არზრუმის ბეგლარბეგს ვეზირ ბაკი ფაშას დაევალა საქართველოს ჯიზიას

აკრეფა. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ გურია, „ძველი დროიდანვე წლიურ ხარაჯას იხდიდა“, მაგრამ ისტორიკოსი არ აზუსტებს თარიღს [15, 156, 159].

ოსმალო ისტორიკოსი მეჰმედ რაშიდი XVII საუკუნის დასასრულს გადმოგვცემს, რომ „საქართველოს ქვეყნის მოსახლეობიდან დადიანის, გურიელის და აფხაზი მოსახლეობის აჯანყებულები რამდენიმე წლის განმავლობაში უარს ამბობდნენ ჯიზიას გადახდაზე და ამის გარდა თავს ესხმოდნენ და ძალას იყენებდნენ ისლამის ქვეყნების ზოგიერთ საზღვრის მიმართ“ [16, 21]. პირობების თანდათან დამძიმების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა არსოდეს წყვეტდა წინააღმდეგობას.

1767 წელს დადებული ხელშეკრულებით, როდესაც ოსმალეთმა ცნო იმერეთი თავის მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ, იმერეთს ყოველწლიურად 60 ქალი უნდა გაეგზავნა, თუმცა, იმავე წელს იმერეთის მეფემ ახალციხის ფაშას ხარკზე უარი უთხრა [17, 131].

ის, რომ ქართველები ხშირად არ იხდიდნენ გადასახადს და აჯანყებებს აწყობდნენ, სხვა წყაროებითაც დასტურდება. ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა, რომელიც ერთ-ერთი ამბოხების შესახებ მოგვითხრობს, შენიშნავს, რომ ქართველების ეს აჯანყება პირველი არ იყო: „აჯანყებულან და შემდეგ თვითონვე უთხოვიათ პატიება“ [15, 159]. ჩემში ზადე მუსტაფა რეშიდის აზრით კი ქართველების სიტყვა „ნდობის ღირსი არ არის“. იგი ფიქრობს, რომ „არეულობა და ჯანყი იმ მხარეში მთლიანად არ იქნება მოსპობილი“ [17, 139] და სხვა.

მაგრამ დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელმაც ოსმალებს არაერთხელ დაახევინა უკან, ისინი თანდათან, სხვადასხვა ფორმით მაინც მკვიდრდებიან საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა ეს პროცესი ძალზე ნელია. თუ ლევან II დადიანს XVII საუკუნის პირველ ნახევარში თავი დამოუკიდებლად მიაჩნდა, XVIII საუკუნის დასაწყისში ვითარება განსხვავებულია. 1706 წლის ერთ-ერთი საბუთით, დადიანი თა-

ვის თავს იხსენიებს როგორც „მონა ღთისა (ყმა) ხენთ(ქრისა) დადიანი, გიორგი“. მსგავსი ვითარებაა გურიელთან დაკავშირებითაც, რაც ჩანს 1759, 1776 წლების საბუთებით. ამათგან, პირველში უფრო მძიმე სურათია, ვინაიდან აქ გურიელი თავის თავს „ხანს“ უწოდებს - „მონა ღთისა, ყმა ხონთქრისა, ხანი გურიისა მამია“ (1759) [18, 154; 19, 712, 715; 20 192, 193, 213]. ამასთან, ყველაფრის მიუხედავად, მსგავსი გამოთქმებიც კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს. ის, რომ მამია გურიელის საქციელი აღნიშნული ტიტულის ადეკვატური არ იყო, ჩანს იქიდან, რომ 1765 წელს, როდესაც ოსმალებმა გურია დაიკავეს, მამია გურიელის მაგივრად დასვეს მისი ძმა გიორგი V. ამ დროს ფაშას სამეგრელოს მთავარი დადიანიც დამორჩილდა და ჯარი სურსათით მოუმარაგა [17, 132]. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1517 წლამდე ქართლის მეფე დავითი, რომელიც ირანისაგან თავის დასაცავად მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა, ოსმალეთის სულტნის სელიმისათვის გაგზავნილ არზაში თავის თავს მაღალი კარის მონად და სულტნის მონა-მორჩილად იხსენიებდა (თოფკაფის არქივის 3147 და 5822 დოკუმენტები) [2, 99].

ხშირი თავდასხმების მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური ადმინისტრაცია მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში დამკვიდრდა. ძნელია მ. ფ. კირზიოღლუს აზრის გაზიარება იმის შესახებ, რომ უკვე მეჰმედ II (1451-1481) შავი ზღვის სანაპიროზე დაუპყრობელი და სტამბოლს დაუმორჩილებელი ადგილი არ დარჩენია [2, 93]. ამასთანავე, არ შეიძლება, არ დაეთანხმო ავტორს, რომ სტამბოლის აღების შემდეგ, ოსმალთა შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე ხშირი გახდა. იყო თავდასხმებიც და შეთანხმებებიც, რომლებიც, ჩანს, ხშირად არ სრულდებოდა. კონსტანტინოპოლის დაპყრობის (1453 წ.) მომდევნო წელს (1454) ოსმალებმა უკვე დაესაველეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე განახორციელეს თავდასხმა და სოხუმი დაწვეს [21, 103-115; 22, 56].

ვახუშტის ცნობით, „გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი სავსენი სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა და აღაოჭრნეს და მოსწყუდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღუს პირნი, უკუნ იქცნენ და წარვიდნენ“ [1, 284]. ამ მარბიელი ლაშქრობის მიზეზი იმჯერად საქართველოს სანაპიროზე არსებული გენუელების საეჭვო ფაქტორიები გახდა, ვინაიდან გენუელები იმ დროს ოსმალების მთავარ სამიზნეს წარმოადგენდნენ.

ტრაპიზონის დაპყრობისთანავე ოსმალები კელავ გამოჩნდნენ საქართველოში, საფიქრებელია, ჭანეთის ტერიტორიაზე. ქათიბ ჩელების ცნობით, 865 (1460-1461, 17.10.1460-5.10.1460 წ.) წელს დაიპყრეს კასტამონუ, ტრაპიზონი, სინოპი და საქართველოზე ილაშქრეს [23, 170]. იმავე 1461 წელს კონსტანტინოპოლიდან ევროპაში გაგზავნილ წერილში იხსენიება ოსმალების გამარჯვება კოლხეთში [6, 19; 22, 56]. ოსმალების საქართველოზე გამოლაშქრების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ჩანს, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდაში ქართველი გამგებლების აქტიური მონაწილეობაც იყო [24].

მართალია, 1516, 1523 წლებში ტრაპიზონის სანჯაყის „მუფასალ დირლიკ დავთრებში“, უკვე მოქცეულია ტერიტორია ჭოროხის საზღვრამდე და, ნაწილობრივ, მის ჩრდილოეთითაც, აჭარის საზღვრებში, მაგრამ ეს ადგილები „მარტოლოსების“, ე. ი. ადგილობრივი ქრისტიანების მორჩილებაში რჩება, რომელთაც თითქოს საზღვრების დაცვა მოეთხოვებათ [2, 48-49]. მ. ფ. კირზიოღლუ საკმაოდ ხშირად იმოწმებს 1556 წლის ერთ-ერთ საბუთს (Muhimme, II, 161], რომლის მიხედვითაც „ფათიჰის დროიდან მოყოლებული ჭოროხის მდინარიდან ტრაპიზონის სანჯაყია“ [2], მაგრამ ყოველივე ეს ნაკლებად შეესაბამება რეალობას, ხოლო აღნიშნული ტერიტორიის დაპყრობა მხოლოდ ხანმოკლე დროით თუ ხერხდებოდა.

ამ მხრივ ქართული წყაროები მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის და, ერთგვარად, განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII საუკუნის I ნახევარი) ტერიტორიას გონიოდან რკინის პალომდე (იგივე

კემერ-ბურუნამდე) ჭანეთად ან ლაზეთად მიიჩნევს [1, 689]. მისი ცნობით, ოსმალებმა აღნიშნული ტერიტორია და აჭარა მხოლოდ 1547 წლის ახლო ხანებში დაიპყრეს და მაშინვე აშენეს გონიოს ციხე. მანამდე კი ეს ტერიტორიები ხან სამცხის ათაბეგს, ხან კი გურიელს ეკუთვნოდა. თუმცა მათი დაპყრობის ცდები ოსმალთა მხრიდან ადრეულ შეინიშნებოდა, ჭანეთიც და აჭარაც კელაე ქაროველების ხელში რჩებოდა, ვინაიდან ათაბეგი „ამშვიდებდა... მორჩილებისა პირსა ზედა და სძღვნობდა მარადის", „მხეჭაბუკ დაესაია ოსმალთა მორჩილებისა პირსა ზედა. ამით მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრო თჳთ" [1, 711]. 1535 წელს იმერეთის მეფემ, ბაგრატ III, დაატყვევა სამცხის ათაბაგი, დაიპყრო სამცხე და იქ დარჩა. მანვე აჭარა და ჭანეთი გურიელს გადასცა. „წარვიდა გურიელი და დაიპყრა იგინი" [1, 713]. ქართული წყაროს სიზუსტეს თურქული წყაროებიც ადასტურებს, სადაც გონიოს დაპყრობა სწორედ XVI საუკუნის შუა წლებში იხსენიება. 1550 წლის საქართველოს ლაშქრობა სწორედ გონიოს ლაშქრობად იხსენიება [25, 70]. 1554 წლის ტრაპიზონის ეიალეთის დაეთარში ჭანეთის ტერიტორია ყაზებად და ნაჰიებად იყოფა [26, 293-337], არჰავეს ყაზაში არჰავეს, ლაზის, გონიას (გონიე) ნაჰიებია ჩართული [25, 232]. 1549 წლამდე უკვე ბათუმის სანჯაყიც იხსენიება, რომელიც ფაქტობრივად გონიოს სანჯაყია და არ მოიცავს ბათუმს [25, 71, 258] 1556 წლის საბუთში [Muhimme, II, 161-2] იხსენიება გონიას ციხის აშენების და ბათემის (იგივე გონიოს) სანჯაყის შექმნის ფაქტი [2, 414]. ამიერიდან, ტერიტორია ჭოროხის მიღმა, როგორც ჩანს, ოსმალეთის შემადგენლობაში ექცევა, დანარჩენი სანაპიროს დაპყრობა ძნელად ხდება და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ოსმალები დიდხანს ვერ ახერხებენ ჭოროხის გადალახვას, რაც კარგად ჩანს ერთ-ერთი თურქული დოკუმენტით [1576 წ. Muhimme, XXVIII, 810-2]. აღნიშნულ საბუთში, ბათუმის (იგივე გონიოს) სანჯაყ-ბეგის წერილზე დაყრდნობით, ნათქვამია, რომ თუ ოსმალები ციხისძირის

ციხეს შეაკეთებდნენ, რაც 4 იუქი ან 400 ათასი ახჩა დაჯდებოდა, ყოველ წელიწადს ოსმალეთის ხაზინაში 600 ათასი (6 იუქი) ახჩა შეევიდოდა, ხოლო სიფაჰიები შეძლებდნენ ორი სასანჯაყო ადგილის დაპყრობას მდ. ჭოროხიდან მდ. ფაშამდე. შირვანის გზა მათ ხელში გადავიდოდა და ირგვლივ ქაფირი (ურწმუნო) ბეგები ხარაჯაზე დასთანხმდებოდნენ და დამორჩილდებოდნენ. ქვეშევრდომები აფხაზთა თავდასხმებისაგან განთავისუფლდებოდნენ და სიმშვიდე დაისადგურებდა. ხსენებული სანაპიროდან შემოვიდოდა თეჯხის პროდუქტიდან 100 ათასი ახჩა, ნაცსადგურების გადასახადებისაგან 100 ათასი ახჩა, საბაჟო შემოსავლებიდან 100 ათასი ახჩა, შირვანის ბა'შიაჩუკის (ქუთაისი-იმერეთის) და ლუარსაბის (თიფლისი - ქართლი) ქვეყნებიდან აბრეშუმის გადასახადი 60 ათასი ახჩა, ხოლო მთლიანად 6-ჯერ 100 ათასი ახჩა [2, 419]. მე-17 საუკუნიდან აჭარა ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის შემადგენლობაში ჩანს აინი ალის, კოჩიბეი გორიჯელის, სოფიელი ალი ჩაუშის რისალების, ქათიბ ჩელების და ევლია ჩელების ნაშრომების მიხედვით [27, 20; 28, 299-300; 23; 139; 29; 9, 139]. თუმცა 1609 წლიდან ის ერთხანს ისევ გურიელის ხელშია [1, 724].

როგორც ევლია ჩელები აღნიშნავს, ახალციხე ჯერ კიდევ სელიმმა დაიპყრო, დიდ ვილაიეთად აქცია და ერთ ვეზირს უწყალობა [9, 299], მაგრამ სამხრეთ საქართველოში ასე ადრე ოსმალური ადმინისტრაციის შემოღება სხვა წყაროებით არ დასტურდება. ჟ. ბაკე-გრამონის მიერ გამოქვეყნებული მინისტრთა საბჭოს არქივის ფეკეტეს ფონდის დოკუმენტი - 134 (თარიღდება XVI საუკუნის 30-იანი წლებით) სრულიად მკაფიოდ აჩვენებს საქართველოს საზღვრებს ამ დროისათვის. დოკუმენტში მამირვანის, თორთუმის, აღჯაყალის, ოლთისის, ფანაკის, შავშეთის, არტანუჯის, ახალციხის, მგელციხის, აწყურის მოხსენიება ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამცხე-საათაბაგო ამ დროისათვის დაპყრობილი არ არის [3, 53-57; 30, 153, 157]. პირველად სანჯაყების შექმნის ფაქტი სამცხის ტერიტორიაზე 1536 წლის ამბებში იხსენიება,

როდესაც თურქული წყაროების მიხედვით, თითქოს 3-4 სასანჯაყო ადგილის მოსახლეობამ ვალისა და გამგებლის დანიშვნა ითხოვა [8, 280-28], ხოლო სულტან სულეიმანის 1549 წლის წერილის მიხედვით, 4 სანჯაყი ერთ საბეგლარბეგოდ აქციეს [30, 175-176]. მართალია, ამასიის ზაეით ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დასაყრდენი მიიღეს, რაც 1578/4 წლების კანუნ-ნამეში აისახა [31], ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს (1578-1590) ამ ტერიტორიის დაპყრობა მათ ხელახლა უხდებათ. ახალციხის ეიალეთი 1578-1579 წლებში დაარსდა, თუმცა ამ წლის შემდეგაც ის განაგრძობდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. 1628 წლიდან კი 1829 წლამდე აქ თითქმის ყოველთვის მხოლოდ გამუსლიმებული ადგილობრივი გამგებლები მართავდნენ.

კირზიოღლუს აზრით, მაჭახელი ოსმალებმა ჯერ კიდევ 1479 წელს დაიპყრეს [დამოწმებულია ქემალ ფაშას ცნობა - 2,39], მაგრამ ამას ამ დროს, ჩანს, დროებითი ხასიათი ჰქონდა და შემდგომში მათ აღნიშნული ტერიტორიის დაპყრობა განმეორებით უხდებათ. 1563 წელს მაჭახელის გამგებელმა ისლამი მიიღო და ოსმალებს მიემხრო ლაგვეშ (როგორც ჩანს, დამახინჯებული შალიკაშვილი, საწყისი შა-ს ჩამოცილებით მიღებულია შემდეგი თანხმოვნები - ლკშ; აქედან „კ" არაბული დამწერლობით, როგორც ჩანს, გახმოვანებული იყო ქაფით, როგორც განი), აჰმედ ბეგის სახელით [2, 38-39; 44]. 1573 წლის ერთ-ერთ საბუთში [Muhimme, XXII, 334-2] ლივანის, ფერთექრეკის და მაჭახელის სანჯაყის ბეგები და აჭარის ბეგი აბდურაჰმანი იხსენიებიან [2,44], თუმცა ამ წლებში ადგილობრივი გამგებლების პოლიტიკური ორიენტაცია და რელიგია, ვითარების შესაბამისად, ხშირად იცვლება და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არ წყდება. 1584 წელს დადასტურებულია მაჭახელის ციხის ხელახალი აშენების ფაქტი, ხოლო XVII საუკუნიდან ეს ტერიტორიაც ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაშია [10, 140-141].

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ფაზისი ზღვას შეერ-

თვის ორის ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქებმა 1578 წელს ციხე ააგეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ ხანებში თურქების სულტანი ამურატი ომობდა ირანელებთან, მან აიღო თბილისი და აპირებდა მთელი ირანის დაპყრობას. ამ საქმის შესასრულებლად მას უნდოდა საქართველოს გზა გაეხსნა თავისთვის და დაეჭირა ამ გზის გასაღები – ქალაქი ქუთაისი, რათა ჯერ ზღვით და მერე ფაზისით ჩქარა და ნაკლები ზარალით გაეგზავნა თავისი ჯარები ირანისაკენ. ამ განზრახვით გაგზავნა თავისი გალერები ფაზისში. ხოლო, როგორც კი ეს გალერები მიუახლოვდნენ ქუთაისს, მათ დახვდათ თოფებით შეიარაღებული ჯარი ქართველებისა, რომელიც ჩაესაფრა, სადაც უფრო ვიწრო იყო მდინარე, და ისე ძლიერად დაუწყო თურქებს თოფის სროლა ორსავე ნაპირიდან, რომ აიძულა იგინი მაშინვე თავი დაენებებინათ თავის განზრახვის შესრულებისათვის. უკან დაბრუნებულმა თურქებმა ზემოხსენებულ კუნძულზე ააშენეს ციხე. ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი. სულთანმა ეს ამბავი არც კი იცის. მიზეზი ამის თურქეთის მოხელეთა ანგარებაა. იგინი არ ატყობინებენ ციხის დანგრევის ამბავს სულთანს და იღებენ ჯამაგირს უწინდებურად, თითქოს ციხე არსებობდეს“ [13, 172]. ვახუშტის ცნობით, „რიონის თუალზედ, სამჴრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ“ღკე, ქართუელსა უ“იგ, ნავსადგურობისათჳს, და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით“ [1, 790].

ჟ. შარდენის ცნობით, ციხე 1640 წელს დაანგრიეს [14, 258], ჟ. შარდენი, ფაქტობრივად, არქანჯელო ლამბერტის ცნობას იმეორებს და ამატებს, რომ ფაზისის ციხე-სიმაგრე 1640 წელს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს შეერთებულმა ჯარებმა აიღეს და მიწასთან გაასწორეს. ოცდახუთი ზარბაზანი, რომელიც იქ იყო, იმერეთის მეფის განკარგულებით გადაიტანეს ქუთაისის ციხეში და დღესაც იქ დგას. მაგრამ

ისინი კელავ თურქებს ჩაუვარდათ ხელში, როდესაც მათ ეს ციხე აიღეს...[14, 258-259]. თურქული წყაროები ოსმალების მიერ ფოთის ციხის აგებას 1579 წლით ათარიღებენ, ხოლო ორი წლის შემდეგ, მათ უკვე ახალი, ქვის ციხის მშენებლობა წამოიწყეს [28, 124; 22, 59; 2, 20, 324].

დასავლეთ საქართველოში ოსმალურმა ადმინისტრაციამ ფეხი ვერ მოიკიდა, ვინაიდან ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 1577 წელს ოსმალებმა აფხაზეთის გამგებელი შერვაშიძეები შეირიგეს, როგორც ჩანს, სამეგრელოსაგან დამოუკიდებლობის დაპირებით, 1578 წელს დაარსებულმა სოხუმის საბეგლარბეგომ [2, 9-10] მალე შეწყვიტა არსებობა და არც სოხუმის ეიალეთის დაეთარია დღემდე აღმოჩენილი. აღნიშნული საბეგლარბეგო, მართალია, ჯერ კიდევ იხსენიება 1580 წელს [2, 19-20] და ბათუმის (გონიოს) ყოფილი სანჯაყბეგის ჰაიდარ ფაშას შემდეგ სინან-ფაშა იქ ახალ ბეგლარბეგსაც კი ნიშნავს [31, 113-114], კირზიოღლუს აზრით, სოხუმის საბეგლარბეგო იმავე წელს გაუქმდა. მაგრამ სწორედ იმ დროიდან, როგორც ჩანს, საზღვარმა ოდიშსა და სამეგრელოს შორის ოსმალეთის მხარდაჭერით სამხრეთისაკენ გადაიწია და ასე იყო XVII საუკუნის 80-იან წლებამდე, როდესაც საზღვარი მათ შორის მდ. ენგურზე გავიდა. XVI საუკუნის 30-იან წლებში, თურქული დოკუმენტის მიხედვით, დადიანი (ე. ი. ოდიში) სოხუმამდე ვრცელდება, ხოლო სოხუმის იქით აფხაზეთის ქვეყნები იწყება [3, 57 134, სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ფეკეტეს ფონდი]. 1630 წელს, ჯოვანი ლუკას ცნობით, სოხუმი უკვე აფხაზეთის შემადგენლობაშია და საზღვარი, მდ. აბსიზე გადის, რომელსაც ჯ. გამახარია და ბ. გოგია მდ. გუმისტასთან აიგივებენ, ვინაიდან, მათი შენიშვნით, ძველი სოხუმი ახალთან შედარებით 6 კმ-ით ჩრდილოეთით მდებარეობდა [32, 237-238; 33, 238]. უფრო სწორი ჩანს მდ. აფსის მდ. ბესლეთთან გაიგივება [35, 94-95]. XVII საუკუნის თურქი ავტორის ქათიბ ჩელების ცნობით (XVII საუკუნის

40-იანი წწ.), საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდ. კოდორია [23, 56]. თურქი მეცნიერი მ. ფ. კირზიოღლუ, რომელიც მცდარად მიიჩნევს, რომ სოხუმი ოსმალებმა უკვე 1451-1454 წლიდან დაიპყრეს, ამასთანავე აღიარებს, რომ ოსმალებს იქ 125 წლის მანძილზე არავითარი ოსმალური ადმინისტრაცია არ შემოუღიათ. ამის მიზეზი, მისი აზრით, ცუდი კლიმატური პირობები და იქაური ველური ხალხი იყო [2, 9]. ეინაიდან შაჰი სღეის აღმოსავლეთიდან თავდასხმები სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწებზე არ წყდებოდა და აფხაზები და მეგრელები, თურქული წყაროების მიხედვით, გონიოს ნაპირებს ძარცვაედნენ, რაც არ შეწყვეტილა დასავლეთ საქართველოში ოსმალთა არც 1569 წლის ლაშქრობის შემდეგ, 1571 წლიდან ეს სანაპირო სავაჭრო ბლოკადაში მოაქციეს [2, 14-15] და ამ ადგილებში შეეარდნებზე სანადიროდაც კი სპეციალური ნებართვა გაიცემოდა. აღნიშნულ წელს გაიცა ბრძანება მძარცველების საცხოვრებელ ადგილებზე თავდასხმების მოწყობისა და აფხაზეთის გემებით იარაღის და საბრძოლო მასალის ჩატანის, გაყიდვის და იარაღის კონტრაბანდის აკრძალვის შესახებ [2, 14]. მ. კირზიოღლუ ეყრდნობა ჩელების ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ სოხუმის ეიალეთის გაუქმების შემდეგ იქაური მოსახლეობა ძველებურად მეკობრეობას ეწეოდა.

ლალა მუსტაფა ფაშას სტამბოლში გაგზავნილი წერილის მიხედვით ხაზართა (კასპიის) და შავ ზღვებს შორის ახალი ეიალეთები შეიქმნა შირვანში, თბილისში (ქართლში), გურჯისტანში და სოხუმში [2, 19]. გურჯისტანში სამცხე-საათაბაგო იგულისხმება. ამათგან შედარებით გამძლე სამცხე-საათაბაგოში შექმნილი ერთეული აღმოჩნდა.

ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა XVII საუკუნის მიწურულისათვის გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დააპირა შეიხ ულ-ისლამმა გურიის გადაქცევა თავის მამულად და იმ მიწის დასამუშავებლად ვოევოდა დაანიშნინა, მაგრამ გურიის ხალხი არ დათანხმდა, რომ თავიანთი ქვეყანა შეიხ ულ-ის-

ლამ ეფენდისათვის გადაეცათ და გამოსვლები მოაწყო. „ისინი, ვინც მთავრობის სახელით მოქმედებდა, თუმცა ფიქრობდნენ, რომ ქართველებს ხმლით წესრიგში ჩავაყენებთო, პირველ ბრძოლაშივე დამარცხდნენ. როდესაც შეჯახებისას ბევრი ასკერი დაიღუპა, თავიანთ შეცდომას მიხვდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ“ [15, 159].

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, თბ., 1973.
2. M. F. Kırzıoğlu, *Osmanlıların Kafkas-Ellerini Fethi (1551-1590)*, Ankara, 1993.
3. თურქული წყაროები XVI საუკუნის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევით და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, 1983.
4. Yaşar Yücel, Ali Sevim, *Osmanlı Klasık Döneminin hükümdari Fatih-Yavuz-Kanuni*, 1991.
5. Lajos Tardy, Rapports d'Antal Verancsics, Ambassadeur du roi de Hongrie a Stamboul sur la Georgie (1553-1557, 156721568) - *Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie*, vol. XXVIII, Paris, 1971.
6. ლაიოშ ტარდი, *უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში*, თბ., 1980.
7. Ali Mustafa Ben Ahmed, *Künh ül'-Akhbar*, პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ხელნაწერი.
8. იბრაჰიმ ფეჩეცის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.

9. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართ. თარგ. თბ., 1971.
10. B. Kütükoğlu, *Osmanlı-Iran Siyasi Münasebetleri (1578-1612)*, Istanbul, 1993.
11. გ. ჯამბურია, დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ მესამედში. - *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, 1973.
12. С. Белокуров, Посольство дьяка Феодота Елчина и священника Л.Захарова в Дадианскую землю. - *Чтения в обществе истории и древностей российских при Московском университете*, 2, 1887.
13. არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*. თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938.
14. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსაველეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
15. ნ. ჯაველიძე, ოსმალო ისტორიკოსი ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა დასავლეთ საქართველოს შესახებ. - *თსუ შრომები*, 1985.
16. მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976.
17. ნ. შენგელია-ჯაველიძე, ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 3, 1979.
18. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წ. I, 1959.
19. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977.
20. ა. ბაქრაძე, *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის*, წ. I, 1978.

21. მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები*, 1990.

22. Т. Н. Бердзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, 1980.

23. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, 1978.

24. დ. პაიჭაძე, *ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო*, 1980.

25. Dündar Aydin. *Erzurum Beylerbeyiliği ve Teşkilati kuruluş ve genişleme Devri (1535-1566)*. Ankara, 1962.

26. T.Gökbilgin, *XVI yüzyil başlarında Trabzon Livasi ve doğu Karadeniz Bölgesi - Belleten, XXVI, sayi 1012104*. Ankara, 1962.

27. Ayni Ali, *Osmanli Devleti arazi kanunlar*. Ankara, 1962.

28. მ. სვანიძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს.* 1977.

29. Ц. А. Абуладзе, М.Х. Сванидзе, Реестры Трапезундского, Чилдырского и Карсского эйялетов (1694-1732). - *Тюркологический сборник*, 1978, М., 1984.

30. En.Konukçu, *Selçuklardan Cumhuriyete Erzurum*, Ankara, 1992.

31. ნ. შენგელია, გურჯისტანის 1572-73 წლის კანონ-ნამე. - *ალმოსაკლერი კრებული*, I, თბ., 1960.

32. ი. ტაბალუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XX საუკუნის პირველი მეოთხედი)* თბ., 1986.

33. Дж. Гамахария, Б. Гогия, *Абхазия - историческая область Грузии*, Тб., 1997.

34. Öztuna Yılmaz, Osmanlı Devleti Tarihi. Birinci cild, Istanbul, 1986.

35. ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996.

რელიგიური „შეუწყნარებლობა“ და ეთნიკური ტოლერანტობა შუა საუკუნეებში (საქართველოს მაგალითზე)

გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს ტერიტორიის პოლიეთნიკურობა აქაურ მოსახლეობას ცხოვრების გარკვეულ წესს კარნახობდა – ტოლერანტობას იმ ხარისხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თანაცხოვრება, და შეუწყნარებლობას იმ ხარისხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გადარჩენა.

უხსოვარი დროიდან საქართველოშიც ხალხი ჯგუფებად ცხოვრობდა. ერთად ცხოვრების შედეგად ადამიანებს თავისი ჯგუფისადმი ლოიალურობა უყალიბდებოდათ. გაერთიანებათაგან ზოგიერთი სისხლით იყო შეკავშირებული - „თესლი“. და აქედან გამომდინარე „ნათესავი“, „თვისი“, „თესლ-ტომი“, „ტომი“, „გუარი“, „სახლი„ „გუარნათესაობა“, „მახლობელი“, „მოდგმა“, „ბუნება“, „თემი“, ხოლო გაერთიანებათა ნაწილი მრავალეთნიკური იყო - „კვიდრნი საქართველოსანი“, „ქართველთა შვილნი“, „ერი“.

გაერთიანება იყო როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური, რაც შესაბამის გამოთქმებში აისახება. უკანასკნელი, მაგალითად, საკმაოდ ხშირ შესიტყვებაში „სჯული მამათა ჩუენთა“, ან აქვე შეიძლება გავიხსენოთ ტერმინი „თვისი“, რომელიც სამ თაობას მოიცავს (მამულია, 1976, გვ. 120-135). ნათესავნი სხვადასხვა იყვნენ – „ნათესავნი სპარსთა“, „ნათესავი სომეხი“, „ყოველნი ნათესავნი ბერძენთანი“, „ნათესავი ისმაელისი“, „აგარის ნათესავნი“, „ბუნებით სარკინოზ“. მსგავსი გამოთქმების სიხშირე უძველეს წყაროებში ნათლად წარმოაჩენს ავტორთა მკაფიო ეთნიკურ ცნობიერებას.

უცხო ეთნიკური წარმომავლობისანი ქართულ წყაროებში აღინიშნებოდნენ როგორც „უცხონი“, „უცხონი ნათესავნი“, „უცხოთესლნი“, „მოსულნი“ და სხვ.

„ჩვენ“ და „ისინი“ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი დროიდან თანაარსებობდნენ და მათ შორის ურთიერთობები

სხვადასხვა ხასიათისაა. „უცხონი“ აქ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დროს მოდიოდნენ და სახლდებოდნენ. ზოგიერთმა საუკუნეების მანძილზე კომპაქტური დასახლება შეინარჩუნა. ზოგი ქალაქის მოსახლეობას შეერია და ხელოსნების და ვაჭრების ფენები შეადგინა. ზოგმა კი ან დატოვა ქვეყანა, ან ასიმილაცია განიცადა. უცხოთა მიმართ გრძნობათა და განწყობილებათა სპექტრია წარმოდგენილი, დაწყებული ინტერესით, ცნობისმოყვარეობით და პატივისცემით, დამთავრებული ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ სამყაროში მათი ასიმილაციის ცდებით, ან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით. „უცხოთა ნათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა“, მით უმეტეს, თუ ეს ქვეყანას დამოუკიდებლობის დაკარგვით ემუქრებოდა, უარყოფითი მოვლენაა. უარყოფითი თვისებების, ან უარყოფითი მოვლენის აღსანიშნავად ზოგჯერ სწორედ უცხო ეთნოსის სახელები გამოიყენება. მაგალითად, თამარის ისტორიკოსის გადმოცემით, „შემოვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე.. შევიდა სატანა გულსა სუე უბედურისა რუსისასა, სკუთ-რამე სახელდებულისა“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 331). დაყითის ისტორიკოსთან გვხვდება ტერმინი „თურქობა“, რუსთაველთან - „ნათურქალი“. შეიძლება გავიხსენოთ „წალეკვა“ (გაბაშვილი, 1973, გვ. 92,99). ლაპარაკია ყუთლუ არსლანის გამოსვლაზე მეფის წინააღმდეგ: ქართველი მემატიანის აზრით ეს „უცხო მოსაგონებელია“. ყუთლუ არსლან, „ცხენისა და ჯორის სახედ არა გულისხმის-მყოფელმან, ვითარ მისცემს ნიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“ („ქართლის ცხოვრება“, 325). რყისურბნისის ძეგლისწერა სომეხთა რწმენას იხსენიებს როგორც „შერეულსა რაღსამე უცხოსსა“ (ქრონიკები, გვ. 58).

მაგრამ „უცხოს“ ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს და უცხოთა მიმართ დამოკიდებულება რბილდება საქართველოს სახელმწიფოსადმი მათი ლოიალურობის შესაბამისად. ხშირია უცხოს და მოსულის გადაქცევა მკვიდრად და თვისად. ამისთვის საკმარისი იყო ადგილობრივი კულტუ-

რის მიღება და სახელმწიფოს ერთგული სამსახური. მეფეც კი, რომელიც, ამავე დროს, უმაღლესი ქურუმი, უმაღლესი მსაჯული და მხედართმთავარი იყო (ვაშაკიძე, 1991, გვ. 128-1300 ყორანაშვილი, 1974), რის გამოც ტერმინი მეფე სახელმწიფოს სინონიმად იქცა, შეიძლებოდა უცხო ეთნიკური წარმოშობის ყოფილიყო. სრულიად არ უშლის ხელს უცხოური წარმომავლობა ქართლის მართვაში მირიანს, მას შემდეგ, რაც ის ივიწყებს ყოველივე სპარსულს და შეიყვარებს ყოველივე ქართულს, თუნდაც ლეონტი მროველის ზოგიერთი ცნობა, ამ შემთხვევაში არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. „ჩვენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა, ვითარცა შვილთა გუხედავდი“, - მიმართავენ შუშანიკს ქვეშევრდომები და ამ შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დედოფლის ეთნიკურ კუთვნილებას და მის სომხურ წარმომავლობას. პირიქით, ავტორის მთელი სიმპათია სწორედ შუშანიკის - „დედოფლისა ჩვენისა“ მხარეზეა. ამასთანავე ნათელია, რომ ორ შესაძლებლობას შორის -ხელისუფალი უცხო ძალაა, ხელისუფალი ადგილობრივია და უფრო მეტიც, ადგილობრივ ხელისუფალთა მემკვიდრე - მემატიანეები უპირატესობას მაინც მეორე შემთხვევას ანიჭებენ, თუმცა არც პირველს გამორიცხავენ.

ზოგჯერ „უცხო“ სტუმარია და განსაკუთრებ'ელ მოპყრობას საჭიროებს. საკმაოდ მშვიდობიანია და ეფექტური ურთიერთობა კულტურის სფეროშიც - „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები, ეპოვე და ლექსად გარდაგთქვი, საქმე ქენ საჭოჭმანები“ („ვეფხისტყაოსანი“, 7). გვიან შუა საუკუნეების თითქმის ყველა პოეტი, ასე თუ ისე, განიცდის სპარსული პოეზიის გავლენას.

უცხოთა მიმართ დამოკიდებულებაში ხელისუფლება სახელმწიფოებრივ მიდგომას ამჟღავნებს. ტოლერანტობა ვრცელდება ზუსტად იმ ფარგლებამდე, ვიდრე ის არ უქმნის საფრთხეს ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერებას. უკანასკნელ

შემთხვევაში კი ზოგჯერ იძულებული არიან, შეეგუონ დაპირისპირებულ ძალას შესაფერისი დროის მოლოდინში.

როგორც ირკვევა, ქართველი მეფეები, ხშირ შემთხვევაში, მეტი ხალისით სწორედ უცხოტომელებს აწინაურებდნენ. მეფისაგან განდგომა და მისი ღალატი უცხოტომელებისთვისაც იყო დამახასიათებელი და იქნებ უფრო ბუნებრივიც, მაგრამ „უცხოთა“ და „მოსრულთა“ განდგომას, როგორც წესი, არ მოყვებოდა ქვეყნის დეცენტრალიზაცია, იმ შემთხვევების გარდა, თუ ეს უცხონი არ მოიპოვებდნენ ადგილობრივ მკვიდრთა მხარდაჭერას, რაც მოხდა, მაგალითად, სუზდალელი უფლისწულის საქართველოდან განდევნისას. უცხონი საშიში ხდებოდნენ ომის დროს და განსაკუთრებით მაშინ, თუ დაპირისპირებული ძალა მათი თანატომელები იყვნენ, ან იმავე რელიგიურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. უცხოებს საქართველოს ტერიტორიაზე მემკვიდრეობის უფლებები ან კლანური ინტერესები არ გააჩნდათ გარკვეულ დრომდე, ვიდრე მათი რიცხვი დასაშვებ ზღვარს არ გადასცილდებოდა, როგორც ეს მოხდა ოსების შემთხვევაში XIV ს-ში, ან სომხებისა - XI, ან გვიან შუა საუკუნეებში. დავით კურაპალატის დროს და შემდგომ ხანებში სომეხთა და ქართველთა შორის მომხდარი ზოგიერთი ინციდენტი და დაძაბულობა სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია იმ ხანებში სომხების მნიშვნელოვანი ემიგრაციით და მათთვის მაღალი თანამდებობებისა და სხვა პრივილეგიების მინიჭებით (აბდალაძე, 1982, გვ. 180-181; აბდალაძე, 1988, გვ. 71-133).

ვითარების გამწვავებამდე ქართველი მეფეები და ჯამგებლები, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითონ უწყობდნენ ხელს ქვეყანაში უცხო ეთნიკური მასიების ჩასახლებასა და მათთვის პირობების შექმნას, ახლადმოსულების ასიმილაციის იმედით, რაც მხოლოდ ნაწილობრივ მართლდებოდა. ცნობილია, თუ როგორ ასახლებდნენ დავით აღმაშენებელი, ლევან II დადიანი, ერეკლე II თავის ტერიტორიაზე სომხებს, ებრაელებს, ყივჩაღებს და სხვებს. ამასთანავე, ერეკლე სომხებს

სოციალურადაც აწინაურებდა, აზნაურთა და თავადთა წოდებებს ანიჭებდა და სამოხელეო თანამდებობებზეც ნიშნავდა. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ლევან დადიანმა „სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები, რომლებიც ძლიერ ეტანებიან ვაჭრობას, თავის სამთავროში ხალხის გამრავლებისთვის დადიანი დიდის წყალობით იზიდავს უცხოელებს, განსაკუთრებით, ხელოსნებს. მოსული რომ აღარ წავიდეს აქედან, მთავარი აძლევს სახლს, მიწა ადგილს და ყოველსავე, რაც კი შეეფერება მოსულის წოდებას და მდგომარეობას“ (ლამბერტი, 1938, გვ. 26).

წყაროები გვიჩვენებენ სპარსელი მეცხოვნეების სწრაფი გაქართველების პროცესს. უკვე XVIII საუკუნის შუიდან ბევრი მათგანი ქართულად წერს. მოხელეთა ბეჭდების უმრავლესობა მხოლოდ ქართულწარწერიანია.

ასევე შეიძლება გაედევნოს თვალი სომხების გაქართველებასაც. გვიან შუა საუკუნეებში სომხები მდიგან-მწიგნობრებადაც ინიშნებოდნენ, რადგან მათ უკვე კარგად იცოდნენ ქართული ენა, ხოლო უკვე XVIII ს-ის ბოლოდან გაქართველებული სომხები ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლების ცოლები ხდებიან (ბერძნიშვილი, 1998-1999). შეიძლება გავიხსენოთ სომეხი ტერტერას მაგალითი „დიდმოურავიანიდან“ და სხვ.

ერთგვარად განსხვავებული სურათია იდეოლოგიის, ანუ რელიგიის სფეროში. შუა საუკუნეობრივი ქართული სახელმწიფოს იდეალი - „ერთსამწყსოობა ერთ უფლებულად“, „ერთმთავრობა ერთ უფლებისა ერთისა კაცისასა, ერთისა ღმრთისა და კაცისა სულისა მიერ სრულ კაცად აღმოჩენით აღმოჩენილთა და აღმბრწყინებულსა“ - გამორიცხავს დეცენტრალიზაციას, მრავალხელისუფლებიანობას და რელიგიურ სიჭრელეს. კარგად ჩანს, რომ ძველი ქართლის სამეფოში ურთიერთობა სხვადასხვა კულტურას შორის ყოველთვის მშვიდობიანი არ იყო. ქრისტიანობამდელი შედარებითი ტო-

ლერანტობა, როდესაც მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სხვადასხვა მეფის მიერ აღმართული კერპები, შეიცვალა შეუწყნარებლობით ჰურიათა აბიათარსა ზედა „ქვა დაკრიბეს“ და მხოლოდ მეფემ „განარინა აბიათარ სიკუდილისაგან“ (ქართლის ცხოვრება, 104). ვახტანგმა კი „შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“ (ქართლის ცხოვრება, 162-63). თვით ქართლის მეფე კი ამბობს „სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, და მიესია ფსლითა, და მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინქარან მივეც საპყრობილესა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 163).

„სჯულის ცვლილება“ უარყოფითი მოვლენაა, თუ ამ ნაბიჯს მართლმადიდებელი დგამს. აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას გიორგი სააკაძის, როსტომ მეფის და სხვათა მიმართ ქართულ ქრონიკებში მათ მიერ ქრისტიანობის დათმობაც აძლიერებს. სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა საპირისპირო შემთხვევებში (წმ. რაჟდენის, ევსტატე მცხეთელის, აბო თბილელის და სხვ.). ასეთ დროსაც, ქართველი მემატიანენი „სჯულის ცვლილების დაჯერებით“ მომხრენი არიან.

ერთმორწმუნე ქვეყნისადმი დამოკიდებულება ყველა შემთხვევაში შედარებით შემწყნარებლურია. ვახტანგის ისტორიკოსის აზრით, „ბერძენნი ნათესავნი ღმრთისანი არიან“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 137). ბერძნული სამყაროსადმი თავის მიკუთვნება ქართველი მემატიანეებისათვის ბუნებრივია – „დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვათა ყველა ყოველთა სწავლულებითა სრულიად ბერძენ ხარ“ (ქ. პ. 1,1982, გვ. 462). ქართლის მეფის ვახტანგის ანდერძია – „ნათესავთა ჩემთა და სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხყოფთ და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 182).

მეფის კულტის პირობებში მხოლოდ ერთ შემთხვევაში უშვებენ მემატიანენი მის წინააღმდეგ გამოსვლას, თუ ის

„სჯულსა მამათა“ უღალატებდა და „უცხოურის“ დამკვიდრებას შეეცდებოდა. ფარნაჯომმა თავდაპირველად თავისი კერპი ზადენი აღმართა, მაგრამ შემდეგ, როდესაც „შეიყვარა სჯული სპარსთა, მოიძულეს იგი მკუდრთა ქართლისათა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 59). ქართლის მეფე მირდატი ამბობს: „მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა ფარნავაზიანთა, დაღაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულისა ზედა მამათა თქუენთასა და ვესაე მე ღმერთთთა მპყრობელთა ქართლისათა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 61).

ლაშქარში უცხო წარმოშობის პირთა ყოფნა ჩვეულებრივი მოვლენაა. 5000 მხედრისაგან შემდგარი მეფის პირადი გვარდია მთლიანად უცხოტომელთა ტყვეებისაგან შედგებოდა. მართალია, ეს ინსტიტუტი ბიზანტიიდან იყო ნასესხები და ფაქტობრივად მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს არსებობდა, მაგრამ თვით ინსტიტუტის და მონათა უცხოური წარმოშობა არ არის დანახული, როგორც დაბრკოლება ქართველი მეფის და ქვეყნის ერთგულებისათვის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ეს უცხოტომელები ქრისტიანებად იქცევიან — „ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 258).

უცხოური წარმოშობის ყივჩაყებმა შეადგინეს დავითის რეგულარული ჯარის ბირთვი. ჯარის ეთნიკურად ჭრელი მასა ერთი წესრიგის ქვეშ იყო მოქცეული. მემატიანე ერთგვარი სიამაყითაც აცხადებს, რომ ეს ძლევამოსილი ლაშქარი სხვადასხვაენოვანი ხალხებისაგან შედგებოდა, მაგრამ „ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 270). ასეთი ჰარმონიის მიუხედავად, მშვიდობიანი თანაარსებობის ერთერთ სასურველ პირობად უცხოთა ასიმილაცია და კულტურული ჰომოგენურობა იყო მიჩნეული: „თუთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა“ (ქართლის ცხოვრება, გვ.

258), ან „რაოდენნი ნათესაენი წარმართთანი შეილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა, და დადვა მისთჳს უმეტესი მოსწრაფება“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 271) – ნათქვამია იმავე დავითზე. იდეოლოგიის სფეროში ტოლერანტობის დეფიციტის მიუხედავად, ან იქნებ ამის გამოც სახელმწიფოში მიმდინარე იძულებითი ან ნებაყოფლობითი ასიმილაციური პროცესები, ზოგჯერ წარმატებული, ხშირად შეფერხებული იყო და ტენდენციად, ან დეკლარაციულ პრინციპად რჩებოდა (ლომინაძე, 1966, გვ. 88-89).

ქართულ სამეფო კარზე დაწინაურებულ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პირებს წინადადება ეძლეოდათ, მიეღოთ მართლმადიდებლობა, თუმცა ეს ყველა შემთხვევაში არ ხერხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წყარო ადასტურებს დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას სომხების მიმართ, მათი კულტურული ასიმილაცია მაინც დღის წესრიგში იდგა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამის შესახებ ვიგებთ არა დავითის ისტორიკოსისაგან, არამედ, „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანიდან: „დავითს უყვარდა სომეხთა ტომი, ეკლესიები და ერთი ვინმე რიტორი (მონასტრის) წინამძღვარი ჰახბატ, სახელად სარკავაგი“, მაგრამ დავითის დროს გამართული რელიგიური პაექრობის მიზანი, მეამატიანის აზრით, ის იყო, რომ მეფემ მოისურვა სომეხთა და ქართველთა შეერთებაც, რასაც, როგორც იმავე „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, შედეგი არ მოჰყოლია (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, 1953, გვ. 254-255; დავლიანიძე, 1966, გვ. 242, 253).

სწორედ მართლმადიდებლობიდან გადახრას იხსენიებს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, როგორც „შორეულსა რაჲსამე და უცხოჲსა“. იგივე ძეგლი შერეულ ქორწინებებს სწორედ რელიგიური ნიშნით კრძალავს: „კუალად განვაწესებთ, რათა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა, გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ, ვინაითგან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარი

არის ღთისაჲ დამკვიდრებულსა მის მიერ სულისა მისისა ჩუენ შორის, ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოველად არა მადიდებელ ტაძარი არს ეშმაკისაჲ“ (ქრონიკები, 1897, გვ. 59). აღნიშნული წესი, ცხადია, ირღვეოდა და ეს კარგად ჩანს, პირველ რიგში, სამეფო ოჯახის მაგალითზე. თუმცა „მატიანე ქართლისაჲში“ გადმოცემულ სიუჟეტში ეს ტრაგედიით მთავრდება. შუშანა უარს ამბობს ხაზართა ხაკანის ცოლობაზე და თავს იკლავს: „უმჯობეს არს ჩემთვის სიკუდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 204). მსგავსი ნაბიჯის გადადგმა არასდროს ხდებოდა ადვილად. ყაენი ბერქა ეუბნება დემეტრეს „მამამან შენმან მომცა ასული მისი, დაჲ შენი, სძლად ჩემდა და ცოლად შვილისა ჩემისა, გარნა იგი ვერ ესწრა. აწ ვითხოვ, რათა არა უღირს-იჩინო ვედრება ჩემი და მომცე დაჲ შენი შვილისათჳს ჩემისა. ვითარ ესმა მეფესა, დაუმძიმდა და დიდსა ჭმუნვასა შთავარდა, და სულითა ტკივნეულითა ეძიებდა ღონესა, და სძაგდა წარმართისა ქორწინებად დაჲ მისი ქრისტესაღმსარებელი“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 509).

არსენის მიმართვა მეფე დავითისადმი მთავრდება სიტყვებით: „ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან, ყოველნი მწვალებელნი შეჩვენებულ არიან“ (ქრონიკები, გვ. 71).

მუსლიმთა ხელში მყოფი თბილისი „საესე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა. რამეთუ ოდესმე ყეიან ღაღვავი და თჳნიერ მიზეზისაცა მოსრნიან, რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 267). მიუხედავად იმისა, რომ დავითმა თბილისის მუსლიმებს ყადის ინსტიტუტი შეუნარჩუნა და მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა, ბევრმა მათგანმა მაინც დატოვა ქალაქი (ჯაფარიძე, 1995, გვ. 247). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ გარნისის ბრძოლაში მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ქართველებსა და სომხებს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე კონფლიქტი იყო (აბდალაძე, 1982, გვ. 181).

ურდოში წასვლის წინ დემეტრემ დარბაზი მოიწვია. მეფე შემდეგი სიტყვებით მიმართავს ქართულ პოლიტიკურ ელიტას: „თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი და, აჰა, რაოდენი ქრისტეანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან“.

ქართველები არა მარტო ქრისტიანები არიან, ისინი მართლმადიდებელნი არიან. „სჯული ბოროტის“/„ავის“ საპირისპიროდ, რომელშიც ყველა სხვა რწმენა იგულისხმება, ეს ერთადერთი არის „სჯული კეთილი“. ერთადერთი გამონაკლისია ამ თვალსაზრისით ჟამთააღმწერელი, რომლის იშვიათი ტოლერანტობა მონღოლების და მათი ტრადიციების მიმართ, ალბათ, მისი სამცხიდან წარმომავლობითაც აიხსნება. აღნიშნული კუთხისათვის მონღოლთა მიერ მინიჭებული განსაკუთრებული პრივილეგიების გამო.

ის, რომ ქართველები მართლმადიდებლები არიან და რომ ქართული სახელმწიფო პირველ რიგში მართლმადიდებელთა ქვეყანაა, ამას არაერთგზის ესმება ხაზი სხვადასხვა ფორმით. შეიძლება გავიხსენოთ თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვები: „ყოველთა ქართველთა და მართლმადიდებელთა აღმატებულითა სიხარულითა ამმაღლებელი“, სადაც „ქართველი“ პოლიტიკურ-კულტურული ტერმინია. აღნიშნულ ფაქტს ქართული სამართალიც, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც ასახავს. მაგალითად, აღნიშნულია: „სხვისი ცოლის (ან შვილის) გაყიდვისათვის“ – „თუ ქრისტიანზე მიუყიდნია, მთელი სისხლი უნდა მისცეს. და თუ ურჯულოსათვის მიუყიდნია, ორი სისხლი უნდა მისცეს“ (სამართალი ვახტანგ მეექვსისა, 1981, გვ. 210). ხოლო ვახტანგის სამართლის კრებულში შესული სხვადასხვა ძეგლი, რომელიც სხვადასხვა ხარისხით საქართველოს ტერიტორიაზეც მოქმედებდა, ქრისტიანსა და არაქრისტიანს ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა სიმძიმის სასჯელს ადებს.

გიორგი მცირე ბიზანტიის პატრიარქს ათქმევინებს: „ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყვნენ“ (ქ.ა.I, გვ. 462). პეტრე იბერიელის ცხოვრების ქართულ ტექსტში ვკითხულობთ: „მეფე ვარაზ-ბაკურ იყო მართლმადიდებელი და დიდად ღმრთის მსახური მამისმამეულად და მხურვალე სარწმუნოებასა ზედა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა“ (ქ.ა. 3, გვ 27). პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი ქართველების და მართლმადიდებლების იგივეობას არაერთგან უსვამს ხაზს - „მართლმადიდებელსა ქრისტეანთა სარწმუნოებასა ქართველთასა, რომელთა იგი სწორად აქუს და განუყოფელად მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭეშმარიტთა ბერძენთა ნათესაჲისასა“ (შანიძე, 1986, გვა. 62). ამასთანავე, თამარის დროს, საქართველო უკვე მთელი ქრისტიანული სამყაროს ლიდერობაზე აცხადებს პრეტენზიას. მის სამეფოში „წყალობათა შინა ღმრთისათა იშუებდა ერი ქრისტეანეთა“, „ქრისტეანეთა ორღანონი ხმოვანობდეს კიდით კიდედმდე“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 390, 397).

ცენტრალიზაციისა და კულტურული ჰომოგენურობისაკენ მუდმივი სწრაფვის მიუხედავად, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველ მეფეებს ხშირად კომპრომისებზე წასვლა უხდებოდათ. ალ-ფარიკის ცნობით, დავითმა განსაზღვრა ქართველის, ებრაელისა და მუსლიმის ხიდმა წლიურად, შესაბამისად, 5, 4 და 3 დინარი წლიურად (ჯაფარიძე, 236). ასეთი ტრადიციების შედეგიც იყო ის, რომ რელიგიური სიჭრელე გვიან შუა საუკუნეების საქართველოსთვის ბუნებრივი მოვლენა იყო, რასაც არაერთი მოგზაური უსვამს ხაზს. შარდენის ცნობით, „აქ უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოველებს და ევროპელებს“ (შარდენი, 1975, გვ. 298). უცხო რელიგიების „დევნულობის“ (კერძოდ, კათოლიკების) და უცხო რელიგიებისათვის წინააღმდეგობის (ისლამი) მიუხედავად, XVII ს-ის

დასასრულსაც საამქრო გაერთიანებები (ხელოსნები, ვაჭრები) კვლავ ინტერკონფესიური რჩებოდა. ის, რომ მოსულთა ენობრივი ასიმილაცია (სპარსელები, სომხები) უფრო ადვილად ხერხდებოდა, ვიდრე მათი მართლმადიდებლობაზე გადაყვანა (თუმცა ასეთი შემთხვევებიც შეინიშნება), შუა საუკუნეებში რელიგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

რელიგიის სფეროში სასულიერო წრეების მიერ გაღვივებული მართლმადიდებლობა საქართველოში არამარტო დომინანტურ რელიგიად, არამედ ქართველი ეროვნების ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად რჩებოდა. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს. 40-იან წწ), ისევე როგორც შემდგენელნი „ტრახტატისა ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული... აღწერილი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს 1790 წელს", ქართველი ერის განმსაზღვრელ ნიშანთა ჩამონათვალში ტერიტორიის შემდეგ პირველ ადგილზე, სწორედ, სჯულს ათავსებდნენ. მხოლოდ XIX ს-ში სეკულარიზაციის პირობებში უთმობს რელიგია პირველ ადგილს ენას.

ამგვარად, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, როდესაც არ ემთხვევა ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული საზღვრები და როდესაც ეთნიკური სიჭრელე და ბილინგვიზმი ბუნებრივი მოვლენაა, სწორედ რელიგია რჩება კულტურული ექსპანსიის, ასიმილაციის, ეროვნული და პოლიტიკური კონსოლიდაციის განსაკუთრებით ეფექტურ იარაღად.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ქართლის ცხოვრება, 1996 - ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება") გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილ. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996.

2. ქართლის ცხოვრება, 1953 - ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი, გამოკვლევით და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953.
3. მამულია 1976 – გ. მამულია, აგნატური ჯგუფები ძველ ქართლში და მათი გენეზისი – *იუანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბ., 1976.
4. გაბაშვილი, 1973 – ვ. გაბაშვილი, საქართველო და თურქული სამყარო XI-XII სს-ში – კრ. *აღმოსავლური ფილოლოგია*, 3, თბ., 1973.
5. ქრონიკები, 1897 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 2, 1897.
6. ვაშაკიძე, 1991 – ვ. ვაშაკიძე, *ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან*, თბ., 1991.
7. ყორანაშვილი, 1974 – გ. ყორანაშვილი, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში – ჟურნალი: *საბჭოთა საქართველო*, 3, 1974.
8. აბდალაძე, 1982 – ა. აბდალაძე, *„ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა*, თბ., 1982.
9. აბდალაძე, 1988 – ა. აბდალაძე. *ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI სს-ში*, თბ., 1988.
10. ლამბერტი, 1938 – არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, თარგმნილი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, მეორე გამოც. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938.
11. ბერძნიშვილი – მ. ბერძნიშვილი, ქართველი ერის ჩამოყალიბება, შესრულებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1998-99 წწ. გრანტით. ინახება ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.
12. ჯაფარიძე, 1995 – გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, თბ., 1995.

13. ლომინაძე, 1966 — ბ. ლომინაძე, სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII სს-ში. - კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966.
14. დაელიანიძე, 1966 — ლ. დაელიანიძე, მათეოს ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. - კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966.
15. შარდენი, 1975 — ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ'ხია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
16. ქ. ჯ. 1, 3 — ქართული პროზა, 1, 3, თბ., 1982.
17. შანიძე, 1986 — ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია. — ა. შანიძე, *თხზულებანი*, ტ. 9, თბ., 1986.
18. ვახტანგის სამართალი, 1981 — ვახტანგის სამართალი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981.

თვითიდენტიფიკაცია შუა საუკუნეების საქართველოში (მთელისა და ნაწილის ურთიერთობა)

კონფლიქტი და კონკურენცია გადარჩენის აუცილებელი პირობაა. შუა საუკუნეებში სახელმწიფოს სოციალური, ეთნიკური და კულტურული სიჭრელე, მისი დაცვა სხვადასხვა საშუალებით ხდებოდა: კომპაქტური დასახლების შენარჩუნებით, შერეული ქორწინებების აკრძალვით, სოციალურ კიბეზე მოძრაობის შეფერხებით და სხვ. ეპოქის ნიშანი – ბილინგვიზმი ხშირად სოციალური შინაარსისა იყო. პარალელურად მიმდინარეობდა ასიმილაციური პროცესები და შეინიშნებოდა ეგალიტარული ტენდენციები, რასაც, აგრეთვე, საგანგებო ღონისძიებებით ეწყობოდა ხელი – მთელი ქვეყნის ერთ საკანონმდებლო სივრცეში მოქცევა, ერთი რელიგიის გავრცელება, ღვთისმსახურების ერთ ენაზე შემოღება, ერთი სალიტერატურო ენის აღიარება, დაბალი ფენების წარმომადგენელთა დაწინაურება.

სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიციები საქართველოში პოლიეთნიკურობისა და სოციალური სტრატიფიკაციის პირობებში ქმნიდა საფუძველს შესაბამისი ტენდენციებისათვის – ტოლერანტობისა და დემოკრატიული ელემენტების განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურობა და სოციალური მრავალფეროვნება მთელი შუა საუკუნეებისათვის იყო დამახასიათებელი, გაერთიანების ხანაში, ეპოქის დაკვეთის შესაბამისად, პრიორიტეტულია უნიფიკაციის, ერთგვაროვნების და არა მრავალფეროვნების ხაზგასმა.

წყაროების გამოთქმები „ყოველი ერი“ ან „მამათა ჩვენთა“ თითქმის შეუძლებელს ხდის ამ კლიშეების მიღმა კონკრეტული შინაარსის დანახვას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის წარმოდგენას, თუ ვინ იგულისხმება მსგავს ზოგად განცხადებებში. სათანადო მასალის სიმცირის გამო შეუძლებელია იმის გაგება, თუ რას ფიქრობს ხალხი, უბრა-

ლო ადამიანები, თუმცა კი ერთეული მაგალითებითაც კარგად ჩანს, რომ ხელისუფალთა და მათი ინტერესები და სურვილები იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს და არც ერთიანობის გრძნობაა მათში ისეთივე მძაფრი, როგორც ელიტარულ წრეებში („წარჩინებულებში“). ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირება იშვიათად თუ აისახება ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში. თუმცა კი ცალკეული შემთხვევებიც ნათელს ხდის, რომ ვითარება ამ თვალსაზრისით არც ისე იდეალური იყო, როგორც ზოგჯერ ძველ ისტორიკოსებს უნდათ მისი წარმოჩენა. დაეითის ისტორიკოსის გადმოცემით, თბილისის შემოერთების შემდეგ, ქალაქის მოსახლეობა საკმაო პრობლემებს უჩენდა ხელისუფლებას: „ყეიან ღაეღავი და თჳნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 267). აქ სახეზეა რელიგიური დაპირისპირება. მაგრამ, ამასთან ერთად, სოციალურიც და ეთნიკურიც (მ. გაბაშვილი, 1979). ამბოხებულებისათვის, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება დამპყრობელიც არის.

ქალაქის მოსახლეობის სოციალური, რელიგიური და ეთნიკური დიფერენციაცია და მათ შორის რთული ურთიერთობა ჩანს სხვადასხვა წყაროში (მ. გაბაშვილი, 1973, 8-22; ვ. გაბაშვილი, 1976). დიდი ხანია მიექცა ყურადღება თამარის ე.წ. მეორე ისტორიკოსის თხზულების ცნობას: „ყრმანი განიწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმა მბორგალებითმან ბორგნეულობამან ვერცა თუ კუალი ჰპოვა დღეთა თამარისთა“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 411), სადაც „ყრმა“ გაგებულია როგორც სოციალური ტერმინი (ვ. გაბაშვილი, 1976, 167). საინტერესოა XIV ს-ის ანონიმის უარყოფითი დამოკიდებულება ე. წ. „რინდთა“ მიმართ (ვ. გაბაშვილი, 1966, 57). ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შუა საუკუნეების მანძილზე მოქმედი პრინციპი, რომელიც სოციალური დიფერენციაციის შენარჩუნებას ემსახურებოდა, ხაზგასმულია სხვადასხვა ეპოქის გამოჩენილი მოღვაწეების მსჯელობაში: „რასა ვისცა ბედმა

მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“, ან „პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების, პირველ ყმა ვარ, წასელა მინდა პატრონისა სამსახურად, ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გემართებს ყმასა ყმურად“ („ვეფხისტყაოსანი“). შეიძლება გავიხსენოთ არქანჯელო ლამბერტის დაკვირვებაც სამეგრელოში ხანგრძლივი ცხოვრების დროს: „არავის არ შეუძლია გამოვიდეს იმ წოდებიდან, რომელშიც იგი დაბადებულა. ასე რომ, აზნაურს არ შეუძლია თავადი გახდეს, მსახურს – აზნაური და მიწის მსახური. ყოველი კაცი უნდა დარჩეს თავის წოდებაში, თუნდაც სიმდიდრით გაუსწორდეს კოლხიდის უდიდებულეს კაცს“ (არქანჯელო ლამბერტი, 1938, 27).

მართალია, იყო შემთხვევები, როდესაც დაბალ საფეხურებზე მდგომი პირები მაღალ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ პირადი თვისებების გამო (მაგალითად, მხარგრძელები, ყუთლუ არსლანი, ყუბასარი და სხვ.), მაგრამ ეს, როგორც წესი, წარჩინებულთა უკმაყოფილებას იწვევდა. „კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი“. აფრიდონ „აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაცქმნილი, მიიწია მსახურთუხუცესობამდის“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 324). მაგრამ, როდესაც აჯანყებულები თამარის დროს მათ გადაყენებას ითხოვდნენ, მიზეზად სწორედ მათ სოციალურ წარმოშობას ასახელებდნენ: „აღარ ვეგებით ძუელთა ჭელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა... ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჭმართაგან (ქართლის ცხოვრება, 1996, 324). გიორგი სააკაძის მიმართ აშკარად უარყოფითად განწყობილი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ავტორი, მის ტრაგედიას ასე გადმოგვცემს: „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩუენზედ დიდად უმცირესი არისო. და [უ]მრწემესი გუარითაო. ჩვენ იმათ ცოლნი და შვილნი და თავნი ყმად

რად მივცეთო", – ალაპარაკებს ის ქართველ დიდებულებს (ქართლის ცხოვრება, 1959, 389).

მიუხედავად იმისა, რომ უბრალო ხალხი ძველ ლიტერატურაში ერთეულ შემთხვევებში თუ ჩნდება, ნათელია, თუ როგორ აფასებენ ავტორები მათ მნიშვნელობას. მემატიანეები უბრალო ხალხს საზოგადოების არამარტო განუყოფელ, არამედ ძირითად ნაწილად მიიჩნევენ. ისინი არიან „წურილი ერი" „ერნი სოფლიონი". მათი წარმომადგენლები იხსენიებიან ხან როგორც „ქვეყნის მოქმედნი" ხან „ქვრივ-ობოლნი", ან „გლახაკნი", რომელზეც ზრუნვას ელიტის წარმომადგენელთა აუცილებელ მოვალეობად მიიჩნევენ. მესტუმრე ჯიქურის აღსასრულს „შეკრბეს ყოველნი გლახაკნი და ობოლ-ქურივნი და ევედრნეს მეფესა, რათა მიანიჭოს გუამი ჯიქურისი ამად, რომე მრავალი კეთილი ექმნა მათ ზედა. ისმინა დავით და მისცა გუამი მისი, და მრავლითა გოდებითა წარიღეს"... (ქართლის ცხოვრება, 1996, 476). ჟამთააღმწერლის თხზულებაში სასწორზე იდება, ერთი მხრივ, მეფე, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანა და ერი. ამ დაპირისპირებას ქართველი მეფე და ისტორიკოსი ერის და ქვეყნის სასარგებლოდ წყვეტენ. ასეა ეს დემეტრე II-ის შემთხვევაში, მაგრამ როდესაც ანალოგიურ ვითარებაში დავით VIII საპირისპირო გადაწყვეტილებას იღებს, სრულიად აშკარაა, რომ ჟამთააღმწერლის სიმპათია პირველისაკენ იხრება: „თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი. და, აჰა, ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს. იხილეთ, რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოჴრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან და უკუეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი - მომკლავს... მეწყალის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოს წასლვას" (ქართლის ცხოვრება, 1996, 520-521). მეფის ძალზე დიდი ფუნქციისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ძველი და შუა საუკუ-

ნეების საქართველოში, ერი, ე.ი. ხალხი ბევრად უფრო მეტია და მეფეს მისი სამსახური და მისთვის თაყდადებაც კი მოეთხოვება.

ერი არა მარტო მრავალ ეთნოსთა ერთობლიობაა, არამედ სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომთა სიმრავლეც არის, დიფერენცირებულ თავისუფალთა და დამონებულთა (გ. მამულია, 1987, 108; 190-193). თუმცა ამ ფაქტებს მატიანეებში ნაკლებად ესმება ხაზი და აქა-იქ მხოლოდ მკრთალი მინიშნებებია შემორჩენილი. ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტ ლიპარიტის ძის ბრძანებით გადაწერილ XI ს-ის ხელნაწერის მინაწერით „უფალო, შეიწყალენ და დაიცვენ ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და დიაკონნი, მსახურნი...“ (გ. მამულია, 1987, 21; ქუთაისის სახ. ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1955, 19). როგორც მ. ბერძნიშვილი მიიჩნევს, აქ იერარქიული კიბეა წარმოდგენილი (მ. ბერძნიშვილი, 1970, 96; ვახანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამ. 1939, 85).

გვიან შუა საუკუნეებში ადრე გაბატონებული „მეფე და ყოველი ერის“ ნაცვლად საზოგადოების აღსანიშნავად სხვა, უფრო მრავალფეროვანი გამოთქმები გვხვდება: „აკურთხევდენ დასნი სამღდელონი. აქებდნენ ერნი, ამკობდენ მგალობელნი, ლოცვიდენ გლახაკნი, აღამაღლებდნენ სულნი...“; გაუცვეს ჯარს, სარდლებს, თავადთა, აზნაურთა, გლეხთა, ჯარს ყოველთა„; უბოძეს წყალობა ქართველთა და კახთა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა“ (პაპუნა ორბელიანი, 1981, 106) 233); „მოიწია რა რტიშჩევი ტფილისად, მოინდო ფიცით კახნი თავადნი და გლეხნი და მიენდვნენ... შეიპყრა მან მრავალნი თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი და გლეხნი და წარგზავნა ციმბირად“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, 1983, 87).

განსხვავებული კულტურული და სოციალური ტრადიციების პირობებში საჭვოა ერთნაირი იდენტიფიკაცია და ცენტრალური ხელისუფლებისადმი თანაბარი ერთგულება. ერთ სახელმწიფოში განსხვავებულ ჯგუფებს, როგორც წესი,

ორმაგი ლოიალურობა აქვთ: ერთი საკუთარი ჯგუფისადმი, ერთი ცენტრისადმი. უკანასკნელი, შესაძლებელია, განსაკუთრებით გაერთიანების დასაწყისში, იძულებითიც იყოს. საერთო სამართლის მოქმედების და მეტნაკლები ცენტრალიზაციის პირობებშიც ასეთი ჯგუფები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე განაგრძობდნენ არსებობას, თუმცა კი მათი ლოიალურობის ხარისხი იცვლება სხვადასხვა ვითარებაში. ძველი ქართველი ისტორიკოსების შეხედულებით, „წურილი ერი" თითქოს უფრო ადვილად ექცეოდა უცხო გავლენის ქვეშ და ადვილად სამართაი იყო. გავიხსენოთ თუნდაც ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილი მონაკვეთი „ქართლის ცხოვრებაში", სადაც ვკითხულობთ: „ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თუსსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მოიქცა მრავალ ცეცხლისმსახურებასა" (ქართლის ცხოვრება, 1996, 136). ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემები ერთგვარად ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ პატრიოტიზმი, ლოიალურობა უფრო ელიტის დამახასიათებელია. აშკარად არჩევს ამ თვალსაზრისით სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომთ XVIII სი-ს მწიგნობარი ვახუშტი ბაგრატიონი — „გლეხთა ისტორიის უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა" (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, IV, 292), — მიაჩნია მას. ამასთანავე, გვიან შუა საუკუნეებში დაბალი ფენებისადმი დამოკიდებულება ერთგვარად იცვლება. წერილობით ძეგლებში სწორედ დაბალი ფენის წარმომადგენლების მაღალი ზნეობრიობის არაერთი მაგალითია ნაჩვენები და მათ პატრიოტიზმს ხაზგასმით აღნიშნავენ. პაპუნა ორბელიანის ცნობით, ხუნძახის ბატონთან ბრძოლაში „კახნი შეიბნეს, თავადნი გლეხის კაცისაგან უმჯობეს და გლეხი კაცი თავადისაგან უკეთესად. ეგრე ყოველივე უკეთეს და უკეთესად გაისარჯნენ" (პაპუნა ორბელიანი, 1981, 218). ხშირი ხდება შემთხვევები, როდესაც გლეხი უფრო ერთგული რჩე-

ბოდა თავისი სამშობლოსი, ვიდრე თავადები. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული თავადები მორჩილებას არჩევენ. ზოგიერთი მათგანი „მივიდა მარკიზის წინაშე. იხილეს რა გლეხთა ღალატი თავადთაგან, განრისხდნენ და დაეცნენ თავსა რუსთა ჩუმლაყის ბოლოს“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, 1983, 83). გარკვეული ლიბერალიზაციის მიუხედავად, მანძილი სოციალურ საფეხურებს შორის ძალზე დიდი რჩება. არქანჯელო ლამბერტის შთაბეჭდილებით, სამეგრელოში ბატონის უფლება ბევრად აღემატება იტალიელი თავადების უფლებას, რადგან „აქაურ ბატონს შეუძლია გაასამართლოს თავისი ყმა და ყმას ნება არა აქვს მის განაჩენზე იჩივლოს თვით მთავრის წინაშეც. ბატონს შეუძლია არამც თუ დაატუსაღოს თავისი ყმა, არამედ აწამოს და სასტიკად დასაჯოს. მაგ., მოსჭრას ხელი, ფეხი, ამოსთხაროს თვალები, წაართვას ყოველივე ქონება და მოუსპოს თვით სიცოცხლეც“ (არქანჯელო ლამბერტი, 1938, 28). იმავე აზრისაა ჟან შარდენიც: „ბატონებს თავის ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე განუზომელი უფლებები აქვთ. როგორც უნდათ, ისე ექცევიან მათ. ართმევენ ცოლებს, ბავშვებს; ყიდიან ან სხვაგვარად ბატონობენ მათზე“ (ჟან შარდენი, 1975, 117).

პატრიოტიზმი მოითხოვდა წარსულის ცოდნას, ამისათვის კი აუცილებელი იყო განათლება. ისტორიკოსები სწორედ პატრიოტიზმის და ეროვნული გრძნობების გასაღვივებლად იღწვიან. მაგრამ მათი ადრესატების წრე ძალზე შეზღუდულია. პაპუნა ორბელიანი წერს: „ხელ-ვყავ აღწერად პირველად, რათა არა დავიწყებულ იქმნენ ესევითარნი ამბავნი და მეორედ, შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდნენ ესეოდენთა ჟამთა, ვითარებათა და ქცეულებათა, რომელ კნინღა და არაოდეს ყოფილ არიან ესევითარნი იწროებანი ქართლისანი და მალიადნი ცვალებანი დამპყრობელთა და განმგეთა ქვეყანისა ჩვენისათანი, მწარენი და ძნიადნი მოხარკეობანი, რომელიმე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან“ (პაპუნა ორბელიანი, 1981, 42). გლეხები არ

იგულისხმებიან არც ვახუშტი ბაგრატიონის მკითხველთა სიაში, ვინაიდან ისინი, ისტორიკოსის თქმით, „უწიგნონი“ არიან. მიუხედავად იმისა, რომ მე-18 ს-ში გლეხები უკვე საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი პატრიოტიზმი ეჭვს არ იწვევს, თუ გავითვალისწინებთ ვითარებას განათლების სფეროში, დიდი ილუზია არ უნდა გექონდეს იმის შესახებ, თუ რამდენად იცნობდნენ საქართველოს მკვიდრნი თაყის წარსულს. ჟან შარდენის ცნობით, მის დროს სამღვდელოებაც კი ისეთი გაუნათლებელი იყო, რომ „ძლივს კითხულობენ კონდაკს და ლოცვანს“, „ეპისკოპოსებს შორის ბევრია ისეთი, რომელმაც კითხვა არ იცის“ (ჟან შარდენი, 1975, 138, 140). უცხოელების დაკვირვებებს ქართველი ისტორიკოსებიც ადასტურებენ – „უამთა შინა მეფისა როსტომისათა ფრიად მიდრკა ქუეყანა ქართლისა სწავლისაგან სამღთოთა წერილთასა, რამეთუ კნინღა და თუთ სამღდელონიცა კრებულნი და დასნი არღარა მზრუნველ და მეძიებელ იყვნეს სამღთოთა სწავლათათუს...“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 441).

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ფორმით ელინდება დაპირისპირება მთასა და ბარს შორის. გავიხსენოთ, მაგალითად, მთიელთა აჯანყება XIII ს. 30-იან წლებში, რომელიც, თუმცა სხვა მთიელთა ხელით იქნა ჩახშობილი; ვითარება მონღოლთა დროს, გიორგი ბრწყინვალის საქმიანობა და მისი საკანონმდებლო აქტიურობა, ქრისტიანობის გავრცელების განსაკუთრებული პრობლემები და სხვ.

გაერთიანება, ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვა საკუთარ ჩვეულებაზე უარის თქმას და გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვდა. იმის გამო, რომ ტრადიციების დაცვა ყველასათვის ყველა არ იყო მზად, გაერთიანების იდეა ყველასათვის თანაბრად მისაღები არ იყო. რეპრესიების მიუხედავად („დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი“), ქვეყანაში დიდხანს რჩებოდნენ კულტურის, ცხოვრების წესისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებულნი, რასაც ერთმანეთის გვერდით არსებული წე-

რილობითი და ზეპირი კულტურა თავისებურად ასახავდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უკვე დაძლეულ იქნა „კერპთა სიმრავლე“, რომელიც „ძლევით შემუსრეს“, ხელისუფლებას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უხდებოდა სხვადასხვა გზის ძიება ქვეშევრდომთა ცხოვრების ერთი წესის ქვეშ მოსაქცევად. არჩილმა (VIII ს.) „აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჭეცისბუნებისანი, არამედ ყრუს, მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 198-9); „რომელნიმე... უკანასკნელ მოაქციცნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე უკანასკნელნი დარჩეს წარმართებასაცე შინა ღღეისამომდე“.

ის, რომ განსხვავებულობა და მათ შორის სოციალური სტრატიფიკაცია გულისხმობდა ქვეყნისადმი განსხვავებულ ლოიალურობას, სრულიად ნათელი იყო ძველ მწიგნობართათვის. სოციალურ კიბეზე დაწინაურება და პირობების გაუმჯობესება სასურველ პირობად რჩებოდა, ვინაიდან ამაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული სიმშვიდე ქვეყანაში. ქვეყნის სიმშვიდისათვის აუცილებელი იყო ქვეშევრდომთა თანხმობა: „კაცნო, ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი - ქართლის ცხოვრება, 1996, 309). „ტომნო და ერთნებანო“ (იქვე, 540). თამარის დროს „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი, და გაჴელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა“ [თამარისი] (ქართლის ცხოვრება, 1996, 327) და იქნებ ამის გამოც „ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი“, „იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“ (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე - ქართლის ცხოვრება, 1996, 300). მაგრამ ეს იდეალური სურათი, ცხადია, შორს იყო რეალური ვითარებიდან, ხოლო ეს მოჩვენებითი სიმშვიდე და კე-

თილდღეობა ამ ფეოდალური სახელმწიფოს საკმაოდ მკაცრი ცენტრალიზაციიდან და ხელისუფლების სიძლიერიდან მომდინარეობს. „ერთმთავრობა ერთუფლებასა ეროთისა კაცისასა, ერთისა ღმრთისა და კაცისა სრულისა მიერ სრულ კაცად აღმოჩენით აღმოჩენილსა და აღმობრწყინვებულსა“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 304), „მოუხდა არსთა, მიდთა და სპარსთა ერთ სამწყოობა ერთ უფლებულად“, „ერთსულ და ერთნება“ ყოფნა (გიორგი მერჩულე, 1982, 250), „ერთ სამყსო და ერთისა მწყემისისა“ (შუშანიკის წამება, შეად. იოანე, 10; ნ. ვაჩნაძე, 1997, 21).

წარმატებული სახელმწიფოსათვის სასურველი იყო ქვეყნის ჰომოგენურობა. ქართული წყაროს მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა გაწმინდა ქართლი უცხო და მოსული ნათესავისაგან: „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა– დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 49)... უცხო ძალასთან დაპირისპირება ეთნიკური ნიშნითაც ხდება. ფარნავაზი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თავის თანატომელებს – პირველ რიგში, ქართველებს და, ამასთანავე თავის ნათესავებს – თარგამოსიანებს ეყრდნობა უცხო ძალის – აზოს და ჰრომთა წინააღმდეგ. სწორედ ამ დროიდან, ისტორიკოსის წარმოდგენით, მკვიდრდება დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთისადმი მორჩილების მყარი ტრადიცია, რომელიც მეტ-ნაკლებად გასდევს საქართველოს შუა საუკუნეების მანძილზე. ფარნავაზი „მივიდა ქუჯის თანა და რქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 53). წყაროში ხშირი ხდება გამოთქმა „ყოველნი ქართველნი“.

ტერმინების შესწავლა ნათლად აჩვენებს მათი შინაარსის ცვალებადობას და მათ პირობითობას. მაგ., თუ XIX ს. ტერმინი ერი უკვე ნათესაობასაც გულისხმობს, თავდაპირველად და დიდი ხნის მანძილზე მას ასეთი მნიშვნელობა არ

ჰქონდა. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ერი – მსოფლიო კაცი, ტომი, ნათესავია, ერთი ნათესავი განიყოფების ტომად-ტომად, ხოლო ტომი განიყოფების სახლად-სახლად და სახლი განიყოფების კაცად-კაცად“. დ. ჩუბინაშვილი ტერმინს „ერი“ სხვაგვარად განმარტავს: „ერი - ხალხი, ნათესაობა კაცთა განსაკუთრებული ენითა, შთამომავლობითა და სარწმუნოებითა. სიმრავლე კაცთა ერთად შეკრებულთა, ჯარი...“, მაგრამ ტერმინოლოგიის ცვალებადობის პირობებშიც უცვლელი რჩება ქართველი ტომების უარყოფითი დამოკიდებულება ყოველგვარი დაშლისა და განკერძოებისადმი.

სახელმწიფოს შესაქმნელად და მისი ძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტერიტორიას, მის სიდიდეს და იმ საზღვრებს, სადაც ვრცელდებოდა ცენტრის ხელისუფლება. თანაცხოვრებისათვის აუცილებელი ტერიტორია ძველ ქართულ წყაროებში აღინიშნებოდა როგორც ხევი, ხეობა, საერისთაო, ქუეყანა, ადგილი, ყოველი ქუეყანა („განყენა ხევთა და ქუეყანათა“, „ყოველსა ქვეყანასა ქართლისასა“). ქვეყანას გარკვეული დროიდან სახელმწიფოს მნიშვნელობაც აქვს და მცირე ერთეულისაც. ფარნავაზის შემდგომ ხანებში (ძვ.წ. III ს-ის შემდგომ) XI საუკუნის დამდეგამდე საქართველო არაერთხელ ყოფილა გაერთიანებული. თუმცა გვიან, შუა საუკუნეებშიც კი, როდესაც საქართველო რამდენიმე სამეფოდ და სამთაეროდ იყო დაშლილი, მიზანი კვლავ გაერთიანებული სახელმწიფო იყო – ერთი ენით, ერთი რელიგიით, ერთი კანონით, ერთი ხელისუფლებით, თუმცა უკანასკნელი განსაკუთრებით ძნელად მისაღწევი იყო. ცენტრიდანული ტენდენციები წერილობით წყაროებში ან იგნორირებულია, ან ბუნებრივი გზიდან გადახვევად არის მიჩნეული და იგმობა. თუკი სადმე იხსენიება ქვეყნის სხვადასხვა კუთხე ან სხვადასხვა ჯგუფი, როგორც წესი, ნეგატიურ კონტექსტში – „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 130). „ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს“, როდესაც „მთე-

ულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა... არა ინებეს ნათლისღება... ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახჳლი მათ ზედა" (ქართლის ცხოვრება, 1966, 123).

„ქეეყნის განხეთქა" ზოგადად უარყოფითი მოვლენაა, ეხება ეს ისრაელს (ქართლის ცხოვრება, 1996, 100) თუ ქართლს. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე დიდ დამსახურებად უთვლის თამარს იმას, რომ მან „მეყობა განუხეთქელად დაიცვა" (ქართლის ცხოვრება, 1996, 300). აქვე შეიძლება გაეიხსენოთ დაეითის ისტორიკოსთან მეფის მოვალეობათა ნუსხაში „განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წუნარებისა ღონენი" (ქართლის ცხოვრება, 19696, 268). სახელმწიფოს დაშლა ისეთი ავტორის უკმაყოფილებასაც კი იწვევს, როგორიც არის XIV საუკუნის ანონიმი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი, რომლის საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი მეფეებისადმი აშკარად განსხვავდება სხვა მემატიანეთაგან. და ეს იმ პირობებში, როდესაც მეფე სახელმწიფოს სინონიმი და ცენტრალიზაციისა და ძლევამოსილების ერთგვარი სიმბოლო და გარანტიაა. ისტორიკოსი ძალზე დამწუხრებულია, როდესაც „არღარა იყო ღონე, დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად და აჩინნეს თავადნი სამეფოსანი და განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთათისი — ორად და თავადები და ერისთავნი ურთიერთს შეასწორეს ნიკოფსით დარუბანდამდე. და განყვეს სამეფო საჭურჭლენი,.. და აქა იქმნა განყოფა სამეფოსა, მიერითგან შეიქმნა ორ სამეფოდ" (ქართლის ცხოვრება, 1996, 481).

სეპარატიზმისაკენ მიდრეკილი ფეოდალები „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა მონაკვეთში მემატიანეთა კრიტიკის ობიექტი ხდებიან. ამასთანავე, ყოველგვარი განდგომა, პირველ რიგში, მეფის ღალატად იყო მიჩნეული, თუმცა იმავე მეფის პრეროგატივად რჩებოდა განდგომილთა შენდობაც, თუ ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდა. მაგ., „ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს და

პირველისაებრ აღარ ჩამობრძანდა კახეთიდამ კახი ბატონი ერეკლე ქალაქს და მოსთხოვა ფარეანი მამისა თვისსა ქართველს ბატონს მეფეს თეიმურაზს, ინება ხევსურეთსა დალაშქრა... რა შეიტყეს ხევსურთა, შემოეხვეწნენ ხევსურნი და ითხოვეს დანაშაულისა მიტევება, შეუნდო ცდომა მათი და შემოიერიგა..." ღალატის მაგალითები განსაკუთრებით ხშირი ხდება სახელმწიფოს გაერთიანების ხანაში: „ვითარ წარჰხდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩუეულება ქართლისა აზნაურთა. შეეუბნეს ნაქურდეელთა და საბოტარელთა და მოიყვანნეს ლაშქარნი კახეთით" (ქართლის ცხოერება, 1996, 217). ლაპარაკია ბაგრატ III-ის დროს განხორციელებულ პროცესზე, როდესაც სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამ მონაკვეთის ავტორი თანამედროვეა. ქართლის აზნაურებს ის უარყოფითად იხსენიებს, მაგრამ არჩევს მათ არა ეთნიკური, არამედ გეოგრაფიულ-პოლიტიკური ნიშნით – „ქართლის აზნაურნი". ამ ცნობის გაელენით დავითის ისტორიკოსი „ორგულობას" უკვე ქართველთა გენეტიკურ თვისებად მიიჩნევს. „ქართლის აზნაური" ადგილს უთმობს „ნათესაი ქართველთას". იმ შემდგარ სახელმწიფოში, როდესაც ერის ჩამოყალიბება მეტ-ნაკლებად დასრულებულია, ავტორისათვის ეს ერთი და იგივეა. „ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თუსთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგუთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი" (ქართლის ცხოერება, 1996, 275). „შური ურთერთითა" იყო საქართველოს გაყოფის მიზეზი ვახუშტი ბაგრატიონის აზრით (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, 291). ქვეყნის გაერთიანებისათვის აუცილებელი პირობა იყო გამგებელთა „ერთზრახვა, ერთსულ, ერთნება ყოფნა" (გიორგი მერჩულე, 1982, 250). ხელისუფლების ერთნებად ყოფნის შედეგია საქართველოს გაერთიანება X საუკუნის მიწურულს - „იყო მათ ჟამთა ერისთაჲ

ქართლისა იოანე მარუშის ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი. ამან წარაელინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა: აწყა, რათა გამოისაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თუთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულისწულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესეცე იოანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ. და ვითარცა მოისმინა დავით კურაპალატმან სიტყუა იოანე მარუშის ძისა, წარმოემართა" (ქართლის ცხოვრება, 1966, 216).

მას შემდეგ, რაც ქვეყანა გაერთიანებულია, დაპირისპირება, ძირითადად, გარეშე სამყაროსთან ხდება. ქვეყანას უსათუოდ აქვს საზღვარი. ეს აუცილებელია. ყველა ძველ ავტორს ზუსტი წარმოდგენა აქვს ქვეყნის საზღვარზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაწყებული V ს-დან („შუშანიკის წამება"), დამთავრებული „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებებით. ავტორები ხშირად ამ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას. „საზღვრის პყრობა" ან ზოგჯერ მისი გაფართოება მნიშვნელოვანი პირობაა წარმატებისათვის („ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი, და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს" (ქართლის ცხოვრება, 1996, 66). უკვე შემდეგი მეფეები არმაზელ და აზორკ „იყვნეს კაცნი მჭნენი და შემმართებელნი. და შეითქუნეს ესენი, და განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა" (იქვე). „ქართველთა დაიცვეს ცოცხლებით ძიებისთჳს საზღვართა მათთასა" (იქვე, 69). „სიმჭნითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი", „სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი" (იქვე, 70). მირდატ „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა" (იქვე, 131). „მიეგება საზღვართა ზედა ქართლისა და რანისათა" (იქვე, 132). „ეძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან", „უმეტეს წარმატებასა საზღვართა ჩუენთასა" (იქვე, 137). მეფის მოვალეობათა ჩამონათვალში ერთ-ერთი პირველი ადგილი სწორედ საზღვრის დაცვას უკავია: „ეი-

თარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი_“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 268).

საზღვარი, ბუნებრივია, მუდამ ცვალებადია, რაღაც ისეთი, რისთვისაც მუდმივი ბრძოლაა საჭირო და რაც ყოველთვის შეიძლება გახდეს სხვადასხვა უცხო ტომთა „ყოველთა ნათესავთა უცხოთა“ თავდასხმის ობიექტი. ქართულ წყაროებში უფრო მეტად ლაპარაკია საზღვრის დაცვაზე, ვიდრე მის გაფართოებაზე. ყველა მეფეს დამსახურებად ეთვლებოდა, თუ მას „ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“ (ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე - ქართლის ცხოვრება, 1996, 297). ერეკლე II-ის დახასიათებაში „საზღვართა“ მოხსენიება მემატიანემ აგრეთვე აუცილებლად მიიჩნია – „ასაკით იყო მცირე, მაგრამ სოლომონისა სიბრძნეს არარად მეფობასა საკადრად განაგებდა ყოველთვის საზღვართა კეთილისათა“ (პაპუნა ორბელიანი, 1981, 103).

ისტორიის ქვაკუთხედად იქცა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, რისი მიღწევაც მოკავშირეების გარეშე არ ხერხდებოდა. ამიტომ ფარნავაზ „წარაელინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, უწოდა შვილად თჳსად, და წარმოსცა გჳრგჳნი“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 54). ამ გზით მან ქვეყანას თავისუფლება მოუპოვა, რასაც ლეონტი მროველი მის ქებაშევრდომებს ათქმევინებს: „ეჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგჳიჴადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“ (იქვე, 56), რაც დამოუკიდებლობას ნიშნავდა.

დამოუკიდებლობა ქართულ წყაროებში სხადასხვა გამოთქმით აღინიშნება. ქვეყნის დამოუკიდებლობა იყო პირველ რიგში „დაუმონებელი თავისუფლება“, „არა მიცემა ხარკისა“ („მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დაჲით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“ (დავი-

თის ისტორიკოსი, - ქართლის ცხოვრება, 1996, 250). თამარმა „დაიჭსნნა ხარკისაგან უცხოთესლთასა“ (იქვე, ლაშა-გიორგი დრ. მატ. 298), „ფარსმან განდგა და არღარა მისცა სპარსთ ხარკი“ (იქვე, 130). ხარკის არმიცემასთან ერთად დამოუკიდებლობა ნიშნავდა უცხოელი გამგებლის არეოფნას, დამპყრობელის გაყვანას ტერიტორიიდან: „მოსრნეს ერისთავნი სპარსთანი“, ან „ბრძოლითა მათითა დაიპყრეს ფრიადი ქვეყანანი და განიოტეს აგარის ნათესავნი“ (გიორგი მერჩულე, 1982, 250), მას შემდეგ რაც დაეითმა „არღარა მისცა სულთანსა ხარაჯა, თურქნი ვერღარა დაიხამთრებდეს ქართლს“ (ქართლის ცხოვრება, 1996, 250). პირიქით, ხარაჯის დადება ქვეყნის დაპყრობას ნიშნავდა. თამარის მეორე ისტორიკოსთან რუქნ აღ-დინის წერილის ტექსტში ვკითხულობთ: „ნათესაესა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური“ (იქვე, 399). ხარკის დადების ყოველი ფაქტი ძალზე მტკივნეულად აღიქმებოდა: „ოდეს ურუმთ მცირეთა ეს ქვეყანა ეჭირათ, მაშინ იმათაც დაწერეს და დასდვეს მირი, რომელ არს ხარკი, თორემ არას დროს ერანის ხელმწიფისაგან ქართლის ქვეყანა არ დაწერილიყო. ესე ცოდვათა ჩვენთა დავაბრალოთო (პაპუნა ორბელიანი, 1981, 46). დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგი იყო როგორც ქვეყნის აღწერა, ასევე უცხოური მონეტის მოჭრა, დამპყრობელთაგან თანამდებობებისა და ტიტულების მიღება. თავისუფლების დაკარგვა იყო აგრეთვე „ხელსა უცხოთესლთასა მიცემა“ – „ხელსა უცხოთესლთასა მიცემითა დასასრულ მახვილისა მათისა ქმნითა, ნეშტნი ოდენღა დამიტევნა ისრაელისანი“ (თ. ჟორდანია, 1897, 68).

დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ბრძოლის გარდა, საჭირო იყო ცხოვრების წესის შენარჩუნება, უპირველესად, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ინსტიტუტების, ტრადიციებისა. ამავე დროს ხდება მათი მუდმივი ცვლა, უცხო ინსტიტუტებისა და ტრადიციების მიღება და გათავისება. უცხოსა და საკუთარს შორის არსებული მიჯნა მუდმივად იცვლება, რაც მუდმივ საფრთხეში აყენებს გლობალიზაციის

პროცესში ჩართულ მცირე ერს („დაღაცათუ ნათესაეით ქართველი ხარ, სხეათა კელა ყოელითა სწაელულებითა სრულიად ბერძენი ხარ“, – მიმართავენ გიორგი ათონელს - ქართული პროზა, 1982, 463). ამ საფრთხის მიუხედავად, ქართული კულტურა მუდამ ღია იყო უცხოური კულტურებისათვის, ხოლო საქართველო განსაკუთრებით ძლიერი მაშინ იყო, როდესაც მის ტერიტორიებზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის დამაკავშირებელი გზები გადიოდა. დანარჩენი სამყაროსადმი საქართველოს კუთვნილებას სხვადასხვა გამოხატულება აქვს, მაგალითად, წმინდა რელიკვიების შემოტანა, „ღვთისმშობლის წილხვდომილობის“ იდეა, ორენოვანი მონეტების არსებობა, უცხოური ტიტულები, უცხოური ინსტიტუტების დამკვიდრება, რაც დროთა განმავლობაში ეროვნული ნიშნებით ივსებოდა. მაგ., ამირა, ამიდი, რეისი, მუჰთასიბი ქართლის მოხელეები არიან და თბილისის ამირას ემორჩილებიან. ქართული ეკლესია, რომელიც მე-5 ს-დან ავტოკეფალურია, ქრისტიანული სამყაროს ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ყველა ქრისტიანისათვის აუცილებელ ნომოკანონთან ერთად იგი ხელმძღვანელობს „მცირე სჯულის კანონით“, რომელიც მე-10 ს-ის მიწურულს ექვთიმე ათონელმა შეადგინა ბერძნული კანონებისა და ქართული მასალის საფუძველზე. თვით ქრისტიანობა, რომელიც გარედან არის შემოტანილი, საკუთარი რელიგია ხდება.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ქართლის ცხოვრება, 1996 – ქართლის ცხოვრება (ძველი ქართლის ცხოვრება). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996.

2. ვ. გაბაშვილი, 1973 – ვ. გაბაშვილი, თბილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა ამბოხება 1122-1123 წწ. თბილისში. – კრ. *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*, თბ., 1976.
3. ვ. გაბაშვილი, 1966 – ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (უამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება). - *ნარკვევები მახლობელი აღმოსაელეთის ქალაქების ისტორიიდან*, I, თბ., 1966.
4. მ. გაბაშვილი, 1979 – მ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სოციალური ტერმინოლოგიიდან („ღალვა") – *საქართველოს ისტორიის აღმოსაელური მასალები*, წიგნი II, თბ., 1979.
5. მ. გაბაშვილი, 1973 – მ. გაბაშვილი, თბილისი 1082-1122 წლებში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IV, თბ., 1973.
6. არქანჯელო ლამბერტი, 1938 – არქანჯელო ლამბერტი. *სამეგრელოს აღწერა*. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, მეორე გამოც. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1938.
7. ქართლის ცხოვრება, 1959 – ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
8. გ. მამულია, 1987 – გ. მამულია, *პატრონყმობა*, თბ., 1987.
9. მ. ბერძნიშვილი, 1970 - მ. ბერძნიშვილი. *საქართველო XI-XII სს-ში*, თბ., 1970.
10. ლ. მუსხელიშვილი, 1939 – ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამ., თბ., 1939.
11. პაპუნა ორბელიანი, 1981 – პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
12. თეიმურაზ ბაგრატიონი, 1983 - თეიმურაზ ბაგრატიონი. *ახალი ისტორია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

13. ეახუშტი ბაგრატიონი, 1973 – ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
14. ჟან შარდენი, 1975. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსაელეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა; თბ. 1975.
15. გიორგი მერჩულე, 1982, – ქართული პროზა, I, 1982.
16. ნ. ვაჩნაძე, 1997 – ნ. ვაჩნაძე. *საბროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს.* თბ., 1997.
17. თ. ჟორდანია, 1903 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისათვის. II. თ. ჟორდანიას გამ. ტფ., 1897.

რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში

შუა საუკუნეთა ძეგლების ტიპოლოგიური დახასიათებისათვის მოსამზადებელი სამუშაო პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს იმ ზოგადის გამოვლენას, რაც საერთოა ერთი და იმავე ეპოქის ყველა, ან ზოგჯერ ყველა ეპოქის ძეგლისათვის. სტერეოტიპების შესწავლა, რაც ამ ხანის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია, კერძოდ, მათი ხვედრითი წილისა და მათ მიმართ დამოკიდებულების ცვლის გათვალისწინება სხვადასხვა ძეგლში, მნიშვნელოვან მასალას იძლევა საკლასიფიკაციო ნიშნების დადგენის თვალსაზრისით. ამ კუთხით იწვევს ინტერესს რიცხვებთან დამოკიდებულებაც სხვადასხვა ძეგლში, რაც, მრავალ სხვა პარამეტრთან ერთად, შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხედველობაში ძეგლთა კლასიფიკაციის კრიტერიუმების შემუშავებისას.

განვითარების ადრეულ საფეხურზე კაცობრიობისათვის დამახასიათებელი წინალოგიკური აზროვნება სხვადასხვა სფეროში ვლინდება. აღნიშნულის ერთ-ერთი გამოხატულებაა დამოკიდებულება რიცხვების მიმართ, რასაც საზოგადოების განვითარების პარალელურად თავისი ისტორია აქვს. დასაბუთებულად არის შესწავლილი ის ფაქტი, რომ პირველი ათეულის ყველა რიცხვს (ათის ან ზოგჯერ თორმეტის ჩათვლით) მინიჭებული აქვს მისტიკური მნიშვნელობა სხვადასხვა საზოგადოებაში[1], რაც თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა საფუძველს (ასტროლოგიურ ან რელიგიურ წარმოდგენებს, ადამიანის სხეულის ნაწილთა რაოდენობას და სხვ.) ემყარება და, გამომდინარე კონკრეტული ადგილობრივი ან შეთვისებული რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან, სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა რიცხვის დაწინაურებას იწვევს. პირველი ათეულის რიცხვები, რომლებიც ბუნებრივია მისტიკური აზროვნებისათვის, ძალზე გვიან გადაიქცნენ მხოლოდ მათემატიკის კუთვნილებად და, რადგან საკმაოდ

მაღალი განვითარების საფეხურზეც მისტიკური აზროვნების კვალი არაიშვიათად შეიმჩნევა, რიცხვებიც დიდხანს არ კარგავენ მაგიურ ძალას.

რიცხვებისათვის მისტიკური მნიშვნელობის მინიჭება გაცილებით უფრო ადრინდელი მოვლენაა, ვიდრე დამწერლობა, მაგრამ მისი კვალი საკმაოდ მკაფიოა წერილობითი ძეგლების საფეხურზეც. თითოეულ რიცხვს თავისი ისტორია აქვს, მაგრამ გავრცელების განსაკუთრებით ფართო არეალი ახასიათებთ „სამს“ და „შვიდს“. უძველეს ძეგლებში სწორედ აღნიშნულ რიცხვთა დაწინაურების ფაქტებს ვხვდებით. მაგალითად, ინდური კულტურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლში, ჰიმნოგრაფიულ კრებულში „რიგვედა“[2], რომელიც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება, „სამი“ და „შვიდი“ გამორჩეული რიცხვებია, თუმცა აქვე სხვა რიცხვებიც შეინიშნება – „ორი“, „ხუთი“, „ათი“ და სხვ.: სამადგილიანი, სამნაწილიანი ეტლი, სამბორბლიანი, სამმაგ ზეცაზე, სამი ნათელი სამყარო, სამი მეოთხედი, სამმაგი ციური სივრცე, სამი ზეცა, სამი მიწა, სამი აღთქმა, შვიდპირიანი, შვიდი ფაშატი და სხვ. შუმერულ მითებში გილგამეშზე „შვიდი“ განსაკუთრებული რიცხვია, ხოლო ძველი ბერძნები თავის ერთ-ერთ ღმერთს ჰერმესს ამკობენ ეპითეტით „სამჯერ დიადი“[3], ზოგჯერ სხვადასხვა ტომები ერთსა და იმავე რიცხვებს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, თუ ერთგან რიცხვი „შვიდი“ ბედნიერების მომტანია, იაპონიაში ან ასურულ-ბაბილონურში „შვიდი“ და ყველა მისი ჯერადი უბედურ რიცხვებად ითვლება. ამავე დროს ხშირად ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ ტომებში შეინიშნება ერთი და იმავე რიცხვებისათვის ერთნაირი მნიშვნელობის მინიჭება.

ქრისტიანობა მრავალ სხვა ადრეულ ტრადიციათა შორის რიცხვთა სიმბოლიკის მემკვიდრეც ხდება. საკრალური რიცხვები დამახასიათებელია ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმისათვის, ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში პირველ ოთხ

რიცხვთან ერთად განსაკუთრებით დაწინაურდა „შვიდი“, „თორმეტი“ და „ორმოცი“. ჩამოთვლილ რიცხვებში გაბატონებულია „სამი“, რომლის გვერდით საკმაო სიხშირით გვხვდება „შვიდი“. ჯერ კიდევ ბიბლიის ძველ აღთქმაში, სადაც მრავალი რიცხვია წარმოდგენილი, ზოგჯერ თვალში საცემია „სამისა“ და „შვიდის“ სიხშირე, ძეგლისათვის ტიპურია გამოთქმები „შვიდწილ“, „შვიდგზის“ ან „სამგზის“. აღნიშნული ორი რიცხვი განსაკუთრებით დამახასიათებელია ბიბლიის ზოგიერთი მონაკვეთისათვის. აქ მაგალითად გამოდგება „სჯული“, „რიცხუთაჲ“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ფსალმუნებში რიცხვები არ გვხვდება, ამ უკანასკნელში არის გამოთქმები: „შვიდგზის“, „შვიდწილად“[4]. მკვლევრები ყურადღებას აქცევენ ბიბლიის ახალი აღთქმის დასასრულს მოთავსებულ „აპოკალიპსისსა“ ან „იოანეს გამოცხადებაში“ „შვიდის“ სიმბოლიკას, რომლის გამოყენების ოცდაათამდე შემთხვევას ითვლიან[5].

მისტიკური აზროვნების საფეხური, ბუნებრივია, გაევლილი აქვთ ქართველურ ტომებსაც, რისი გადმონაშთებიც საკმაოდ არის შემონახული, როგორც წერილობით ძეგლებში, ისე ზეპირსიტყვიერებასა და ყოფაში. ის, რომ ქართველები, ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ კაცობრიობის განვითარების საერთო პროცესში, კარგად ჩანს ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩატარებული გამოკვლევებისა და დაკვირვებების შედეგადაც[6]. ადგილობრივ წარმართულ ტრადიციებს შემდგომში უთუოდ ერთვის ლიტერატურული გავლენებიც, კერძოდ, გამოთქმულია ვარაუდები, რომ ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმების ზოგიერთი მონაკვეთი ადრევე ითარგმნა ქართულ ენაზე[7]. ასევე, თითქმის მათი შექმნისთანავე (როგორც ვარაუდობენ, VII ს. შუა წლებამდე), ქართველი მკითხველი გაეცნო ქრისტიანობის ჰიმნოგრაფიულ კრებულებსაც[8], სადაც მკაფიოდ იკვეთება პირველი ოთხეულისა და შვიდის სიმბოლიკა სამის განსაკუთრებული სიხშირის ფონზე. ყოველივე აღნიშნულს შეუძლებელია არ მოეხდინა გავლენა

ისტორიულ მსოფლმხედველობაზეც, რომელიც შუა საუკუნეებში უხვად იკვებებოდა ზეპირსიტყვიერი და სასულიერო ტრადიციებით. ამ ხანის ისტორიოგრაფიის საყრდენი პრინციპები – დუალიზმი და პროვიდენციალიზმი, რომლებიც ყოველგვარ მოვლენას წინასწარ განსაზღვრული ზებუნებრივი კანონზომიერებით ხსნიან, განაპირობებენ ალბათ ისტორიკოსის დამოკიდებულებას რიცხვების მიმართაც. რადგან ყოველი ფაქტი, ან მოვლენა წინასწარ განსაზღვრულია, მათ გამომხატველ ყოველგვარ რიცხვებში (დათარიღება?, გამეფების ასაკი, ლაშქრის რაოდენობა და სხვ.), ბუნებრივია, ყოფილიყო დანახული აგრეთვე ღვთიური განგება, რომელიც მართავს ისტორიულ პროცესს. რა ვითარებაა ამ მხრივ საისტორიო მწერლობაში?

წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც განზოგადებულია ძველი ქართული ისტორიოგრაფიის რიცხვებთან დამოკიდებულებაზე დაკვირვების შედეგები, შემდეგ მასალას ემყარება: „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს, არსენ საფარელის პოლემიკური ხასიათის თხზულებას „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა“, საგვარეულო მატიანეს „ძეგლი ერისთავთა“, გათვალისწინებულია გარდა ამისა XVII-XVIII სს-თა საისტორიო მწერლობა, ხალხური შემოქმედება და მხატვრული ლიტერატურა.

დავუშვათ, რომ გვაქვს რაღაც შემთხვევითი მოვლენები, რომელთა შორისაც არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი და მათი გამოჩენა ქაოტიური და შემთხვევითი ხასიათისაა. ცნობილია, რომ ასეთ მოვლენათა ალბათობა ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ მასივში თითოეული მოვლენის სიხშირე, ან მისი პროცენტული შემადგენლობა თანაბარია. პირიქით, თუ ნაჩვენებია მათი სხვადასხვაგვარი ალბათობა, სიხშირის არაერთგვაროვანი სპექტრი, ან არათანაბარი პროცენტული შემადგენლობა, ეს მკაცრად მიუთითებს იმაზე, რომ მოვლენები არ არის შემთხვევითი, გამოწვეულია მიზეზობრივი კავშირით, სუბიექტურობით და ა.შ. თუ გამოვრიცხავთ ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას გარკვეული რიცხვების მიმართ, მაშინ ტექსტებში რიცხვების გამოჩენა, რომლებიც

შინაარსობრივად მრავალფეროვანია, შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად და მათი განაწილებაც უნდა იყოს დამახასიათებელი შემთხვევითი რიცხვებისათვის, ე.ი. უნდა მიღებული იქნეს ერთგვაროვანი სპექტრი. ამ თვალსაზრისით ჩატარებულია ექსპერიმენტი, რომლის შედეგები ნაჩვენებია შემდეგ სურათზე, სადაც ორდინატაზე გადაზომილია ამა თუ იმ რიცხვის



ნახ. 1

პროცენტული შემადგენლობა (100%-ად მიღებულია ყველა ტექსტში შემხვედრი რიცხვების საერთო რაოდენობა), ხოლო აბსცისაზე ნაჩვენებია შესაბამისი რიცხვები, კერძოდ, ერთიდან ოცამდე. ოცის შემდეგ, რიცხვების იშვიათობის გამო, მასივის გაგრძელება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ. ნახაზზე წყვეტილი ხაზით (ა) ნაჩვენებია რიცხვები, რომლებიც გვხვდება ჰაგიოგრაფიაში. უწყვეტი ხაზი (ბ) აღნიშნავს საისტორიო თხზულებების შესწავლის შედეგებს, ხოლო მრუდი (ც) აღნიშნავს ყველა ტექსტში რიცხვების შეხვედრის გასაშუალებულ ტენდენციას. მრუდი (ც) მიუთითებს, რომ ამ ტიპის ტექსტებში პატარა რიცხვებისათვის დამახასიათებელია უკუპროპორციული დამოკიდებულება მათ სიხშირესთან და დიდი რიცხვებისათვის (5-ზე მეტი) მუდმივი სიხშირე. ნახაზზე,

სადაც გათვალისწინებულია „აღორძინების“ ხანამდელი ყველა ქრონიკა და ამავე ხანის გამოცემული თითქმის ყველა ჰაგიოგრაფიული ძეგლი[10] (12+19), მკვეთრად გამოხატული სარწმუნო მაქსიმუმი გვაქვს – 2-3,7,12, რაც მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს გარკვეული მიზეზი ამ რიცხვების შეხვედრისა, ე.ი. არსებობს რაღაც მიზეზობრივი კავშირი, ანუ ეს რიცხვები არ ემორჩილება შემთხვევით განაწილებას. ნახაზში გამორიცხულია თითქმის თავისუფალი მისტიკური რიცხვებისაგან XVII-XVIII სს-თა საისტორიო მწერლობა, გარდა ერთი გამონაკლისისა – „სწავლულ კაცთა“ ნაშრომისა, – რომელიც გავაერთიანეთ წინა ტექსტებთან მისი შედარებითი სიახლოვის გამო ძველ საისტორიო ტრადიციებთან. თუმცა ნახაზ'ზე რამდენიმე მაქსიმალური რიცხვი გვაქვს, არ არის გამორიცხული ცალკეულ ავტორთა მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე სხვა რიცხვების მიმართაც, რაც არ იქნება ტიპური. ამავე დროს შეცდომაა, ყოველგვარ უზუსტობაში აზროვნების რაღაც სტერეოტიპის დანახვა.

რა შემთხვევაში გამოიყენება აღნიშნულ ძეგლებში რიცხვები და რა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს თითოეულ მათგანს? რიცხვების გამოყენების მოსალოდნელი შემთხვევები ძირითადად შემდეგია:

1) დროის ჩვენება (დათარიღება, ქრონოლოგია); 2) პიროვნებათა რაოდენობა (მათ შორის შვილების, ლაშქრის და სხვ.); 3) ასაკის ჩვენება; 4) გეოგრაფიულ ობიექტთა ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა რაოდენობა (მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, სახლი და სხვ.); 5) მნათობთა და კერპთა რაოდენობა (შვიდი მნათობი, შვიდი კერპი); 6) ღვთაების არსის გამომხატველი რიცხვები (ერთარსება, ქრისტეს ორი ბუნება, ქრისტეს სამი ჰიპოსტაზი); 7) სხვადასხვა მოვლენათა ან ფაქტთა რაოდენობა.

თითქოს, ერთი შეხედვით, ისტორიული თვალსაზრისით ყველა აქ დასახელებულ შემთხვევას თანაბარი შინაარსობრივი დატვირთვა არა აქვს, მაგრამ საკითხის ამგვარად დას-

მა მეთოდოლოგიურად არ იქნებოდა გამართლებული, რადგან კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, თითოეულ შემთხვევას გარკვეულ ვითარებაში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. მიუხედავად იმისა, რომ საშუალოდ ძეგლების შესწავლის შედეგები ემთხვევა და ნახაზზე წარმოდგენილი სურათი ტიპურია აღნიშნული ხანის საისტორიო მწერლობისათვის, თითოეული თხზულება თავისი გარკვეული ინდივიდუალობით ხასიათდება, რაც, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, თავის ახსნას მოითხოვს. გასათვალისწინებელია აგრეთვე, თუ რა მოვლენათა ხარჯზე იზრდება ძირითადად რიცხვთა რაოდენობა ამა თუ იმ ტექსტში. მაგალითად, თუ ორისა და სამის ჭარბი სიხშირე არაიშვიათად (თუმცა არა მუდამ) გამოწვეულია შვილების რაოდენობის ჩვენებითაც (მაგ. „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში), აღნიშნული გამორიცხულია „შვიდისა“ და „თორმეტის“ შემთხვევაში. სხვაგან რომელიმე რიცხვის სიჭარბე აგრეთვე შეიძლება გამოწვეული იყოს რაიმე სპეციფიკური მიზეზით. მაგალითად, არსენ საფარელის პოლემიკური თხზულება, რომლის ძირითადი მიზანია ქრისტეს ორბუნებოვნების მტკიცება, სწორედ „ორი“ რიცხვის სიხშირით ხასიათდება. რიცხვების სიჭარბის თვალსაზრისით განხილული თხზულებები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1) რიცხვი „სამის“ უპირატესი სიხშირით ხასიათდება ჯუანშერის თხზულება „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, „ძეგლი ერისთავთა“, თითქმის ყველა ჰაგიოგრაფიული თხზულება მცირე გამონაკლისით; 2) რიცხვი „ორი“ გამოირჩევა ლეონტი მროველის, არსენ საფარელის, ჟამთააღმწერელის თხზულებებში; 3) „ორი“ და „სამი“ თანაბრად გვხვდება სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. „ერთი“ და „ორი“ თანაბრად თამარის მეორე ისტორიკოსთან; 4) შვიდი — თამარის პირველ ისტორიკოსთან.

არაფერი გარკვეული არ შეიძლება ითქვას ამ მხრივ ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეზე რიცხვების სიმცირის გამო.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტი სიხშირით აღებულ ტექსტებში ხასიათდება რიცხვი „სამი“, რაც აშკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოვლენა არ არის შემთხვევითი ხასიათის.

განვიხილოთ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები, სადაც ჭარბობს რიცხვი „სამი“. პირველი ასეთი ძეგლია ეახტანგ გორგასლის ცხოვრება, სადაც რიცხვი „სამი“ გვხვდება 31-ჯერ სხვადასხვა ფაქტის აღსანიშნავად (გარდა ამისა, რიცხვი „სამი“ შედის ორ და მრავალნიშნა რიცხვების შემადგენლობაში – სამოცი, სამოცი ათასი, სამასი, სამი ათასი, სამასი ათასი და სხვ.); მათ შორის საკმაოა დათარიღებისა და ასაკის აღმნიშვნელი რიცხვები – „შემდგომად სამისა წლისა“ (I-139)[11], და სამის წლის ქალი“ (1,145), „სამ დღე განისუენეს“ (1,156), „და სამ წელ წარტყუენნა“ (1,157), „ბრძოდეს სამ თუე“ (1,160), „წარჴდა ამას შინა წელიწადი სამი“ (I,178), „შემდგომად სამისა წარმოემართა ბრძოლად“ (I,178),“ „დღესა მესამესა მოვიდა გორგასალი მის თანა“ (I,180). განურჩევლად იმისა, რეალურია ეს რიცხვები თუ არა, რის შესახებაც უმეტეს შემთხვევებში, საკონტროლო მასალის ნაკლებობის გამო, თითქმის არაფრის თქმა არ შეიძლება, რიცხვი სამის სიჭარბე თხზულებაში ავტორის სტილის დამახასიათებელია, რაც თუმცა არ გამორიცხავს სიზუსტეს, ამავე დროს მკვლევრის ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს.

შემოწმების შედარებით მეტი საშუალებაა „ქართლის ცხოვრების“ შემდეგ თხზულებასთან დაკავშირებით, ე.წ. „მატიანე ქართლისაში“, სადაც რიცხვი „სამი“ შესამჩნევად ჭარბობს სხვა დანარჩენ რიცხვებს და თავს იჩენს ყოველგვარ ვითარებაში, იქნება ეს ლაშქრის, პიროვნებათა თუ ციხეთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ, წინა ავტორებთან შედარებით, ისტორიკოსს ქრონოლოგია შემოაქვს, რიცხვი „სამი“ აქ საკმაოდ ხშირად დასათარიღებლადაც გამოიყენება. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ავტორს საშუალება აქვს თავიდან აიცდინოს რიცხვები, როგორც იქცევა იგი ზოგიერთ სხვა შე-

მთხვევაში, როდესაც არ იცის, ან არ სურს ზუსტი დროის მითითება: „ეითარ გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე“ (I,264), „გარდაჴდეს ამას შინა ჯამნი“ (I,270), „ეითარ წარჴდეს ამას შინა ჯამნი რაოდენნიმე“ (I,274, 278), „ამას შინა გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე“ (I,276) და სხვ. იგივე შეინიშნება ზოგჯერ ვახუშტი ბაგრატიონთანაც. აღნიშნული ისტორიული მონაკვეთის გადმოცემისას, რომელიც თუმცა ოთქმის უცვლელად იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ცნობებს, შემოკლების დროს, ისტორიკოსი რიცხვებსაც ტოვებს, რადგან უკანასკნელთ, როგორც ჩანს, მისთვის აღარა აქვთ ის მნიშვნელობა, რასაც მათ ადრეული ხანის ავტორი ანიჭებდა. „მატიანე ქართლისას“ ცნობები, სადაც გვხვდება რიცხვი „სამი“ ცალკე ან რომელიმე სხვა რიცხვის შემადგენლობაში, შეიძლება ასე დახარისხდეს: 1. ცნობები, რომელთა გაკონტროლება არ ხერხდება; 2. ცნობები, რომლებიც დასტურდება საკონტროლო მასალით, 3. შედარებით არაზუსტი ცნობები.

„მატიანე ქართლისას“ ცნობები, რომლებშიც მითითებული რიცხვების ზუსტად შემოწმება არ ხერხდება:

1. ცნობა ეხება ხაზართა ერთ-ერთ თავდასხმას ქართლზე, რომლის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, ხოლო სავარაუდოდ 764 წლით ათარიღებენ[12], „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან...“ (I, 294). ვახუშტისთან ამ შემთხვევაში რიცხვი მითითებული არ არის.

2. ცნობა ეხება ბუღა-თურქის შემოსევას: „აღიყვანა მთიულთაგან მძევალნი, კაცი სამასი“...(I,256). ვახუშტისთან რიცხვი კვლავ არ არის.

3. „...და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სამასი“ (I,256)

4. ცნობა ეხება გურამ მამფალის ძეს ნასრას:

„ნასრა შეიპყრო სამნი ციხენი სამცხეს“ (I,261) ვახუშტისთან რიცხვი სამი არ არის.

5. „მოვიდა აბუ-საჯის ძე ტფილისს... და მოადგა უჯარმა-

ოს. შიგა დგა სამასი კაცი " (I,263).

6. აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ძის კონსტანტინეს შესახებ ნათქვამია, რომ ქართლში გამეფების შემდეგ „ეითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა" (I,267).

7. ცნობა ეხება გიორგი II-ს, აფხაზთა მეფეს: „ეუფლნეს სხეათაცა ციხეთა კახეთისათა თჳნიერ სამთა ციხეთა" (I,268). ვახუშტისთან რიცხვი სამი არ არის დასახელებული, მხოლოდ ციხეებია ჩამოთვლილი.

8. ცნობა ეხება აფხაზთა მეფის დემეტრე II-ის ურთიერთობას თავის ძმასთან თეოდოსისთან, რომელმაც ძამელ მთავარ ადარნასესთან შეაფარა თავი. „მაშინ დემეტრე მეფემან გაგზავნა ლაშქარი თჳსი, მოადგეს ციხესა ძამისასა და ჰბრძოდეს სამ თუე ოდენ"...(I,271).

9. ცნობა ეხება ბაგრატ III-ის გამეფებას აფხაზეთს: „ეითარ გარდაჴდა ამას შინა წელიწადი სამი, და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე... გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ... შთაიყვანეს იგი აფხაზეთს" (I,275).

10. „მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს" (I,301).

11. ცნობა ეხება სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის შემოსევას: „თჳთ დადგა თრიალეთს სამ დღე... (ვახუშტისთან რიცხვი არ არის) და ბრძოდეს სამ დღე"...(I,306).

12. კვლავ ალფ-არსლანის ლაშქრობასთან დაკავშირებით: „ხოლო მოიყვანეს სამშულდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კჳრიკე სამ დღე"...(I,307). ვახუშტი რიცხვს არ უთითებს.

13. „აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ ძმა კჳრიკესი" (I,307).

ცნობები, რომლებიც დასტურდება პარალელური მასალით.

1. არაბების ლაშქრობა იაზიდის ძის ხალიდის მეთაურობით: „ხალილ მოვიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს" (I,255). ცნობის სიზუსტეს ადასტურებს არაბი ავტორი იაკუბიც[13].

2. „შემდგომად ამისა (იგულისხმება კეისარ კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალება 1028 წელს) წელსა მესამესა წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი (ბაგრატ IV) აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშჳდობისად ერთობისა“...(I, 294), რასაც მოჰყვა ბაგრატ IV-ისა და ბიზანტიის იმპერატორის ძმისშვილის ელენეს ქორწინება, გიორგი კედრენის ცნობით, 1029-1030 წელს[14].

3. ცნობა ბაგრატ IV საბერძნეთს გამგზავრებაზე: „და დაყო მუნ სამი წელიწადი... მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე [კოსტანტი] მონომახი და [შემდგომად] მიხაელ“ (I, 294). თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტანტინე მონომახი 1054 წელს გარდაიცვალა, ხოლო მიხეილი 1056-1057 წლებში მეფობდა, ცნობა ზუსტია[15].

დაბოლოს ცნობები, რომელთა სიზუსტე ერთგვარ ეჭვს იწვევს ზოგიერთი რიცხვის თვალსაზრისით:

1. ცნობა ეხება ალფ-არსლანის საქართველოში მეორედ შემოჭრას. ქართველი ავტორის ცნობით, პირველი თავდასხმის „შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემოვლო რანი და უგრძნეულად შევიდა ჰერეთად“... სულთანმა ჯერ კახეთში ილაშქრა, ხოლო „შემდგომად სამისა კჳრისა წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა“ (I, 308-309).

ქართველი ისტორიკოსი ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობის თარიღს არ უთითებს, ხოლო მისი მეორედ გალაშქრება, მისი ცნობით, მოხდა „თუესა დეკემბერსა ათსა, დღესა სამშაბათსა, ხოლო ქრონიკონი იყო ორას ოთხმოცდა რვა“ (288-780-1068), რაც 1068 წელს უდრის.

XVII ს. არაბულენოვანი ოსმალო ავტორის მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით აღნიშნული ლაშქრობები 457 და 460 წლის მუჰარემის თვეში (ე. ი. 1064 წლის მიწურულსა და 1065 წლის დამდეგს, ანდა 1067 წლის ნოემბერ-დეკემბერში) მოხდა[16], მაგრამ მუნეჯიმ-ბაშის ცნობა არ შეესაბამება ქართველი მემატიანის ჩვენებას. მუნეჯიმ-ბაშის თანახმად, 1067 წლის ნოემბერ-დეკემბერში სულთანი კახეთისაკენ დაიძრა, იქიდან კი - ქარ-

თლში[17], ხოლო ქართველი მემატიანე საქართველოზე აღნიშნულ ლაშქრობას 1068 წლის დეკემბრით ათარიღებს. იბნ ალ-ასირი და ალ-ჰუსეინი პირველი ლაშქრობის თარიღად 456(1063-4) წელს უთითებენ. სომეხი ისტორიკოსი სამუელ ანეცი თავის ქრონოლოგიურ ტაბულაში ალფ-არსლანის მიერ ანისის აღების თარიღად, რომელიც მოჰყვა საქართველოში ლაშქრობას, 1064 წელს ასახელებს[18]. სპეციალურ ლიტერატურაში ანისის აღების თარიღად მიჩნეულია 1064 წლის 16 აგვისტო. აქედან გამომდინარე, ნ. შენგელიას დასკვნით, საქართველოში პირველი ლაშქრობა ამაეე 1064 წლის ივნის-ივლისით უნდა დათარიღდეს[19]. თუ გავიზიარებთ მიღებულ თარიღსა და ქართველი მემატიანის მეორე ლაშქრობის თარიღს, 1068 წლის დეკემბერს, ინტერვალი ამ ორ ლაშქრობას შორის უდრის ოთხ წელს და არა სამს, როგორც ამას „მატიანე ქართლისა“ უთითებს.

თხზულების ავტორის მიდრეკილება სამი რიცხვისადმი მეღავნდება მის კიდეე ერთ ცნობაში: „მისცა გიორგი მეფემან მძეელად ბაგრატ (ბაგრატ IV) წელიწადისა სამისა... წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძეელად ძე გიორგი მეფისა ჩუენისა. აღუთქუა ფიცითა... ასე აღთქმა, ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოეგზავნნო ძე შენი“ და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლს და წელსა მესამესა გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა“ (I, 288-289). თუ ბაგრატი წელსა მესამესა გამოგზავნეს საქართველოს, მაშინ იგი ბიზანტიაში სამი წელი კი არ ყოფილა, არამედ ნაკლები, რაც ასეც გამოდის იაჰია ანტიოქიელისა და ქართველი მემატიანის თარიღებზე დაყრდნობით. პირველი ზავის თარიღად 1023-24 წლებს უთითებს, ხოლო მეორე ტახტის მემკვიდრის დაბრუნებას 1025 წლით ათარიღებს. ინტერვალი, ამ შემთხვევაში, როგორც ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, ორ წელიწადსა და რამდენიმე თვეს შეადგენს[20]. ზემოაღნიშნულ ცნობაში ერთგვარი შეუსაბამობა შესწორებულია სხვა ძეგლებში, კერძოდ, სუმბატ დავითის ძესთან და ვახუშტისთან – „შემდ-

გომად სამისა წლისა შინაეე წარმოგზაენა“ (I,384). ამასთანავე, ვახუშტისთან ამ ცნობაში „სამი“ მხოლოდ ერთხელ იხსენიება.

ამდენად, თხზულების ანალიზი აშკარას ხდის ავტორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას „სამი“ რიცხვისადმი, რაც ამ შემთხვევაში სრულიად არ არეევს ძირითად დასკვნას ძეგლის სანდოობის შესახებ.

აღებული ნიშნით „ქართლის ცხოერების“ შესწავლა საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ დაეუბრუნდეთ საკითხს „მატიანე ქართლისას“ და სუმბატ დაითის ძის ქრონიკის ურთიერთობათა შესახებ. სუმბატის „ცხოერება და უწყება ბაგრატონიანთა“ ყველა სხვა თხზულებასთან შედარებით უხვი ქრონოლოგიური მონაცემებით ხასიათდება. გარდა ამისა, აქ, თუმცა მცირე რაოდენობით, გეხვდება სხვადასხვა რიცხვი: 1 (ერთხელ), 2 (10-ჯერ), 3 (10-ჯერ), 4 (3-ჯერ), 7 (5-ჯერ), 9 (ერთხელ), 12 (ერთხელ). როგორც ვხედავთ, რიცხვები ორი და სამი თანაბარი სიხშირით ხასიათდება. თუ ძეგლიდან გამოერიცხაეთ „მატიანის“ და აღნიშნული ქრონიკის საერთო მონაკეეთს, დარჩენილ ნაწილში შედარებით ხშირი აღმოჩნდება „ორი“ (9-ჯერ), სამი (6-ჯერ). ამაეე დროს, ეს ცნობები ერთფეროვანია და ძირითადად შეილებისა და და-ძმათა რაოდენობას აღნიშნაეს: „ორნი იგი ძმანი ამათნი“ (I, 373, 374), „სამი ესე ძმანი“ (I, 376), „ორნი ძენი“ (I, 377), „სამნი ძენი“ (I,378) „ძენი... სამნი“ (378), „ძენი ბაგრატ კურაპალატისანი სამნი“ (378), „ძენი ორნი“ (6-ჯერ გვ. 379-381). რაც შეეხება ამ ორი ძეგლის საერთო ნაწილს, აქ თუ სამი ოთხჯერ დასტურდება, ორი მხოლოდ ერთხელ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული ძირითადი წყაროსათვის „სამი“ ტიპური რიცხვია. სწორედ ასეთი თხზულებაა „მატიანე ქართლისა“[21].

ამგვარად, „მატიანე ქართლისას“ და სუმბატის ქრონიკის აღნიშნული ნიშნით შედარება კიდევ ერთ არგუმენტს მატებს იმ მკელევართ (კ. გრიგოლია, ს. ყაუხჩიშეილი)[22], რომელთაც

მიაჩნიათ, რომ სუმბატის ქრონიკა ეყრდნობა „მატიანე ქართლისას“ (რაც არ გამორიცხავს ამავე დროს სხვა წყაროებით სარგებლობასაც) და არა პირიქით, როგორც ამას თელის მეცნიერთა ნაწილი (გ. გელაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. წულაია)[23] თხზულებათა ქრონოლოგიაზე დაყრდნობით (სუმბატის ქრონიკა წყდება, როგორც ვიცით, ბაგრატ IV-ის მეფობის შუა წლებზე, ხოლო „მატიანე“ გიორგი II-ის მეფობასაც მოიცავს). აღნიშნულ დასკვნას მხარს უჭერს მოსაზრება, რომლის თანახმად სუმბატის ქრონიკა (IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში დაიწერა, დაეით აღმაშენებლის მეფობამდე[24]. ჩვენი დაკვირვება არ ეთანხმება არც მესამე ვარაუდს ორსავე ძეგლის ერთი საერთო არქეტიპიდან მომდინარეობის შესახებ (ი.ჯავახიშვილი, შ. ბადრიძე)[25].

ქრონოლოგიური მასალით მდიდარია დავითის ისტორიკოსის თხზულება. ამასთანავე, მონაცემები დაწერილებითი და ზუსტია, რაც თხზულების აუთენტურობაზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, ძეგლში ზოგჯერ თავს იჩენს გარკვეულ რიცხვთა „ტრადიცია“: 3,4,12. ამ რიცხვთა შორის „სამი“ საგრძნობლად ჭარბობს. „სამი“ ავტორისათვის თავისებური ზღვრული რიცხვია: „ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“ (I,333,362), „სამ დღე ნამტკნარსა სისხლისასა აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყუა“. ზოგიერთ ცნობაში „სამის“ უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობია. ანისის აღებისას ავტორი გვამცნობს: „და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მჭედარი წინაშე უდგა, წარემართა და ვითარცა მოიწია, მესამე დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველნი“...(I,344,345).

რიცხვი „სამი“ საკმაოდ ხშირია თამარის პირველ ისტორიკოსთან, მათ შორის დათარიღების შემთხვევებშიც გამოიყენება, მიუხედავად ასეთი ხასიათის ცნობათა სიმცირისა: „სამ დღე ყო ომთა სიმრაველე და ძგერა ჰუნეთა“ (II,6) „სამ დღე დამყოფელმან კართა ანისისთა“ (II,10), „სამ დღე ძაღლი

უჭმელად დამარხეთ“ (II,85) „მესამესა დღესა აღვასრულებ უსისხლოსა მსხუერპლსა“ (II,85), „და დაყენეს სამნი თუენი“ (II,III) და სხვ.

„სამი“ რიცხვის ტრადიცია ცოცხლდება ზოგჯერ XVIII ს. ისტორიკოსთან პაპუნა ორბელიანთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რიცხვებისადმი დამოკიდებულება ძირეულად იცვლება: შედარებით ზუსტი ხდება, მტკიცედ იკიდებს ფეხს და აუცილებელი ხდება ქრონოლოგია: „სამი ურემი მიმაეალი ვისმე გზაზე მოეკლა“ (58)[26], „სამი ათასი თუმანი მოაკლო“ (59), „სამი წელიწადი ჭელმწიფეს თაერიზს არამში ჰყვანდა“ (60), „სამიეე ლეკის ბელადი მულათი ეთხოვნა“ (61) და სხვ. ხშირია მასთან ფრაზა: „სამი დღე და ღამე ლხინი ნახა“ (60), „იყო სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ მეჯლისი და ლხინი უზომო“ (82), „შეიქმნა მეჯლისი სამი დღე და ღამე“ (100), „ლხინი ქალაქსა შინა დღესა სამსა“ (172). ჟამთააღმწერელთან, რომელთანაც, მიუხედავად თხზულების დიდი მოცულობისა, შესამჩნევად კლებულობს მისტიკური რიცხვების რაოდენობა, მაგრამ ჯერ კიდევ არის, გვხვდება იგივე „სამი დღე და სამი ღამე“: „წარმოემართა ესე მორღული უფერჲთა ცხენითა, სამი დღე და სამი ღამე ელო“ (II,271). იგივე ფრაზა დამახასიათებელია ხალხური პოეზიისათვის („სამი დღე და სამი ღამე“ – ტ.III. გვ. 193)[27], ან „სამი დღე“ – III, 223,IV, 100), რომელშიც „სამი“ საერთოდ ყველაზე გავრცელებული რიცხვია – სამკანა თითი, სამი შვილი ყოლებია, სამი ქაჯების ქალიო, სამოცდასამი მხარია, სამოც ლიტრისა რკინისა, სულეთს რო სამნი ხე დგანან, სამჯერ დაუკარ თავია, მესამედ დაობლებულო, სამი წლის ძაღლი სამ წელს გარს ვერ შემოუვლის, სამი ნახტომით ნადირს ეწევა, სამი დაი, დანძმულები, ჩემს კარზე შაიყარენით სამის ბატონის ყმანიო, სამი ააბით დროშაი, სამსავ შააბით ზარიო და სხვ. „სამი“ რიცხვის შესახებ საინტერესოა რ. ბარამიძის დაკვირვება, რომელსაც მკვლევარი X ს. მოღვაწე იოანე ბოლნელის შემოქმედების ანალიზთან დაკავშირებით წარმოადგენს. აღნიშნუ-

ლი აეტორის მიდრეკილება „სამისადმი“, რაც გამოიხატა ეპითეტების, არგუმენტებისა და დებულებების სამგზის გამეორებაში, რ. ბარამიძემ ქრისტიანული სიმბოლიკის გარდა ადგილობრივი წარმართული ტრადიციებითაც ახსნა: „ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ დროინდელ ზღაპრებში სამი ყველაზე გავრცელებული სიმბოლური სახეა, სამი ძმა, სამი მეგობარი, სამი დაჟალება, სამი დაბრკოლება, სამი გზა და სხვ. ასე რომ, ქრისტიანული კულტურის შემოსელას საქართველოში დახვდა სამი სიმბოლიკის დიდი ტრადიცია და ქრისტიანული დოგმა გადაეჯაჭვა წარმართული კულტურის ამ ერთ ფენომენს. ამიტომ სამის სიმბოლიკას ჩვენს სინამდვილეში ეროვნული ელფერი გადაჰკრავს, ის ორგანულად შეუსისხლხორცდა ქართველი კაცის აზროვნებას და მის სულიერ კულტურაში საუკუნეების მანძილზე არა ერთგზის მრავალფეროვნად გამოელინდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად გამსჭვალულია სამის სიმბოლიკით. ასეე შემთხვევითი არაა, რომ სულხან-საბას გასაოცრად უყვარს რიცხვი სამი, რომელიც ხშირად გვხვდება არა მარტო არაკებში, არამედ შეგონებებშიც, გავიხსენოთ მისი ჰიმნი ამხანაგობა-მეგობრობისადმი, რომელშიც მეგობრობის თვისებები სამ-სამად არის ჩამოყალიბებული; ასეე შეგონებები ცხოერების სხვადასხვა მხარეზე „მტერობა სამთა ჰმართებს“, „სამთა ჰმართებენ სიტკბონი, სამნი შერებიან ცუდად, სამთა მართებენ ენათა მრაელობა, სამთა ჰმართებენ გარდახეწა, სამთა ენატრებ სიკედილი, სამნი განიძებიან, სამნი განარისხებენ კაცსა და სხვ. ასე რომ სამის სიმბოლიკა ქართულ მწერლობაში მეტად მრავალფეროვნად გამოვლინდა: როგორც აზროვნების ზოგადი პრინციპების სფეროში, ნაწარმოების იდეური შინაარსისა თუ არქიტექტონიკის მხარეში, ისე მეტაფორების, ეპითეტებისა და მხატვრულ შედარებათა ხმარებაში“[28].

ამდენად, განვითარების ადრეული ეტაპებისათვის ბუნებრივი მისტიკური აზროვნება ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიასთან ერთად მწერლობაშიც, მათ შორის საი-

სტორიო ძეგლებშიც, სხვადასხვა ხარისხითა და ფორმით გამოვლინდა (უფრო დამახასიათებელია ადრეული ძეგლებისათვის, იკლებს „ასწლოვან მატიანეში“ და თითქმის ქრება XVII-XVIII სს. ისტორიოგრაფიაში), რაც ერთგვარად უკანასკნელის ადრეულობასა და ტრადიციულობაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ „შეიდი“ მაქსიმალური რიცხვი მხოლოდ ერთ თხზულებაშია (თამარის პირველ ისტორიკოსთან), ხოლო „თორმეტი“ არც ერთში, ავტორებისათვის ეს რიცხვები ხშირად სასურველი და გამორჩეულია, რაც მკაფიოდ აისახა ცხრილზეც. ამავე დროს, საკმაოდ იშვიათია „ცხრა“ ზეპირსიტყვიერებისაგან განსხვავებით, სადაც „შეიდი“ და „ცხრა“ ხშირად ერთმანეთსაც ცვლიან. მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში „შეიდი წლის ქალი მობრძანდა, თამარი დედუფალია“ (I, გვ. 120)[29], სხვაგან „ლაშარს შემოჴდა თამარი, ცხრის წლისა დედუფალია“ (IV,106). მსგავსი ჩანაცვლება მისტიკური რიცხვების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რადგან „სხვადასხვა რიცხვები ამავე დროს თანაბარი რიცხვებია... სამისა და შეიდის ერთდროული და განურჩეველი გამოყენება მხოლოდ ერთს მოწმობს, მათ სრულ თანასწორუფლებიანობას... ამგვარად სამი იგივე შეიდია, ან ცხრა... თითოეულ რიცხვს თავისი ინდივიდუალობა აქვს, რომელიც არაფერზე არ დაიყვანება და რომელიც უფლებას აძლევს მას ზუსტად შეესაბამოს მეორე რიცხვს, რომელიც არანაკლებ განსაზღვრული ინდივიდუალობისაა“[30]. მისტიკური რიცხვებისათვის დამახასიათებელი აღნიშნული თავისებურება ვლინდება „ქართლის ცხოვრებაშიც“, მაგალითად, როდესაც თამარის ეპითეტად თანაბრად გამოიყენება „სამნათობიერი“ და „შეიდმნათობიერი“, ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ერთი საკრალური, ე.ი. სასურველი რიცხვი მეორე სასურველით იცვლება (მაგალითად, ჟამთააღმწერელი აბუ საიდის ასაკის მითითებისას თორმეტის ნაცვლად შეიდს უთითებს)[31].

აღნიშნულ რიცხვთა შორის კავშირი ზოგჯერ განსაკუთ-

რებით თვალსაჩინოა. ამავე დროს შეინიშნება მათი გამოყენების ერთგვარი კანონზომიერება. მაგალითად, წმ. ნინოს თაყვანისცემულად დაემოწაფნეს „შუდნი დედანი“ (1,102), ხოლო შემდეგ მათი რიცხვი თორმეტამდე იზრდება. „წმინდა ნინო და ათორმეტნი მოწაფენი მისნი“ (I,112). ამავე წმ. ნინოს ცხოვრებაში „მაისსა ერთსა შექმნეს ჯუარნი ესე, და შუდსა ამის თუსასა აღმართნეს“ (1,120). (შვიდი მაისის რიტუალები დღესაც საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში)[32]. ახლად აღმართულ ჯვარს დაადგა სუეტი ნათლისა.... “ და თორმეტნი ვარსკულავნი“ (1,122)... „ვითარცა რა ცეცხლი დგა თაესა ზედა მისსა შუდ წილად მზისა უბრწყინვალესი“ (I,122). ჯვრის სასწაულები შვიდი და თორმეტი დღის მანძილზე ხდება: „შემდგომად შუდისა დღისა აღეხილნეს თუალნი“ (I,123), „შემდგომად თორმეტისა დღისა განიკურნა“ (1,123), „შემდგომად შუდისა დღისა განიკურნა“ (I,124).

რიცხვთა სიხშირე ჟამთააღმწერელთან თხზულებაში გაშუქებული ეპოქის შესაბამისად შესაძლებელია აიხსნას მონღოლთა კალენდრის გავლენითაც, რომელსაც თორმეტწლიანი ციკლი ახასიათებს[33]. აქედანაცაა შესაძლო ფრაზები თხზულებაში, სადაც თორმეტ რიცხვზე განსაკუთრებული მახვილი კეთდება: „რომელ ათორმეტი დღე ოდენ დაყუეს ერთსა ადგილსა ზედა“ (II,222), ან „ბრძოდე ძლიერად, არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე“ (II,232), „ათორმეტჯერ მიეწივნეს და ათორმეტჯერ შეებნეს, და ათორმეტჯერეე ალათემურ მოერია და გააქციენა“ (II, 252), „ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა“, „ათორმეტნი კლარჯეთისანი“ (II, 252), „ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა“, „ათორმეტნი კლარჯეთისანი“ (II,304), „მჯედარი თორმეტი ათასი თანა იყოლია და წინ დააყენა...“, (II,280) და სხვა არა ერთი.

გარკვეული დამოკიდებულება თორმეტი რიცხვის მიმართ ჩნდება თითქოს დავითის ისტორიკოსთანაც, რომელიც გაუგებარია რას გულისხმობს საწყისად, როდესაც დავითის გამეფებისას, 1089 წელს, იცის რა, რომ მისივე დათარიღების

თანახმად, „დიდი თურქობა“ 1080 წელს დაიწყო, შენიშნავს: „ამიერითგან იწყეს ნიადთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვრებისათა აღმოჭურობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თუთოსახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზეჲან ყოველთა მეფობათაგან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა სახელ-მოდგამმან დავით“...(I,323–324).

„ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში, სადაც არც ისე ხშირადაა მეფეთა ტახტზე ასულის ასაკი მითითებული და ამის დადგენა მხოლოდ ირიბი მონაცემებით ხერხდება, აგრეთვე ერთგვარი თავისებურება ელინდება. აღნიშნულ ცნობებთან ერთ სიბრტყეზე შეიძლება განვიხილოთ მონაცემები უცხოელ გამგებელთა მემკვიდრეების შესახებაც. ასეთი შემთხვევაა სულ ორია:

ფარნავაზი „ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა“ (I,25), ადერკი „ოცდაათის წლისა მეფე იქმნა“ (I,35), მირიანი... „შჳდისა წლისა“ (I,64), „დარჩა ვახტანგ შჳდისა წლისა ყრმა“ (I,143), „დაჩი იყო ხუთისა წლისა“ (I,185), „ესე ბაგრატ წელიწდისა ცხრისა მეფე იქმნა“.(I,315). ისტორიკოსის ცნობით, დავით ალმაშენებელი ტახტზე 16 წლისა ავიდა (I,324), ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ჩვენებით, გიორგი ლაშა თორმეტი წლისა იყო. ხოლო ჟამთააღმწერლის მიხედვით, ტახტზე ასვლისას, დედის გარდაცვალების შემდეგ, იგი თვრამეტი წლისაა (I,370, II,151).

„იქმნა ძე მისი (რუსუდანის – გ.ა.) დავით ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა“ (II, 179), „მოკუდა ოლჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე ვითარ შჳდისა წლისა, სახელათ მუსაით“ (II, 324), „რაჟამს წამოსულ იყო მეფე დავით, გამოსულ იყო ლევან და მისვლოდეს კახნი და ექმნა პატრონად მათდა. და იყო ლევან მაშინ წლისა შჳდისა“ (II, 353).

„დარჩა ძე ყრმა თჳსი შჳდისა წლისა შაჰ-ისმაელ“ (I,355).

ამგვარად, ვიღებთ შემდეგ სპექტრს: 5 (ორჯერ), 7 (ხუთ-

ჯერ), 9 (ერთხელ), 12 (ერთხელ), 16 (ერთხელ), 18 (ერთხელ), 27 (ერთხელ), 30(ერთხელ).

მიღებული ინფორმაცია ადასტურებს ძირითად დასკვნას „შვიდი" რიცხვისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ, მიუხედავად დამამტკიცებელი მასალის სიმცირისა. თუ გავითვალისწინებთ ცნობათა საერთო რაოდენობას, ასეთი მაჩვენებელიც რეპრეზენტატულად შეიძლება ჩაითვალოს. შემოწმება, სადაც კი შესაძლებელია, ცხადყოფს, რომ არც ერთი აღნიშნული შემთხვევა არ არის სარწმუნო. მაგალითად, არაზუსტად არის მიჩნეული „ქართლის ცხოვრების" ცნობები მირიანის გამეფების თარიღის შესახებ[34]. ოლჯათ-ყაენის ვაჟი აბუ-საიდი მამის გარდაცვალებისას თორმეტი წლის იყო და არა შვიდის, რაც ამბის თანამედროვეს, როგორადაც არის მიჩნეული ჟამთააღმწერელი[35], თითქოს უნდა სცოდნოდა. არ არის ზუსტად მითითებული არც შაჰ-ისმაილის ასაკი მამის გარდაცვალებისას. თუ გავითვალისწინებთ მის დაბადების წელს, 1486 წელს, როდესაც მამამისი ჰაიდარ-შაჰი მოკლეს, 1488 წელს, იგი ორი წლისაა და არა შვიდის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აე-გიორგის ვაჟის ლევანისა და შაჰ-ისმაილის ასაკს არ უთითებს შეცსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრება".

„შვიდ" რიცხვთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების" თხზულებათა მრავალ ცნობას შორის, კერძოდ ლეონტი მროველთან, ვახტანგის ცხოვრებაში, თამარის პირველ ისტორიკოსთან, ჟამთააღმწერელთან, არის როგორც სანდო, ასევე არასარწმუნო მონაცემებიც. უკანასკნელთა რიგში შეიძლება ვახსენოთ ჟამთააღმწერლის მიერ მოთხრობილი დავით ლაშას ძის შვიდწლიანი ზღაპრული თავგადასავალი უცხოეთში. საქართველოდან წარგზავნილებს დავით გიორგის ძე სწორედ შვიდი წლის შემდგომ წარუდგინეს, რაც უნებურად მოგვაგონებს იოანე დამასკელის მითითებას იმის შესახებ, რომ თუ „შჯდი ყოველსაეე აწინდელსა ჟამსა ცხადჰყოფს, ღმრთივ-მზრახველი დავით მერვისათჳს რაჲ გალობდეს, შემ-

დგომად მკუთრეთით აღდგომისა ყოფადისა მის დაწყნარებისათჳს გალობს“ და რომ „აღდგომიდან მერვე დღე, განახლების დღე, მოციქულთათვის მაცხოვრის ჩვენების დღეა“[36]. რიცხვების შესახებ მსჯელობს იოანე პეტრიწი, რომელიც გამოყოფს 3 და 7 „ბუნებითთაცა ზედა იხილო მემექმეობაჲ ნამეტ რიცხჳსა ამის, რომელ არს სამი; რამეთუ ჩჩული პირველ სრულ ქმნისა საშოსა შინა უკუეთუ დააკლდეს სრულქმნისაგან თთჳსა მეცხრისა, და... მერვესა ნაკუეთსა შორის იშვეს თთუესა, რომელ არს მერვე, და არ დარჩების, ხოლო მეშჳდესა შორის ნაკუეთსა თთჳსისა იშვეს, კეთილ იქმნების და დარჩების. ამისთჳს რომელ მესამედ სახუედრი ხატი არის პირველისა მის სამისაჲ მეშჳდე, და თუ ვითარ რამეთუ ესთა რომელ პირველი მეტ რიცხჳ სამი, ხოლო მეორე მეტ რიცხჳ ხუთი, არამედ მესამედ მეტ რიცხუად თჳთ ესე, ყოელად განთქმული შჳდი, რომელ არც შობს და არცა იშობების. ვინა სადა ყოველმან იტალიელთა წვალებამან ვითარ ქალწულსა პატივსცა და მიემსახურა“[37].

ყოველივე ზემოაღნიშნული, ეფიქრობთ, აისახა ქართულ წერილობით ძეგლთა ცნობებში „შვიდი სამეფოს“ შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურასთან. ცნობა „შვიდი სამეფოს“ შესახებ საკმაოდ ხშირად იპყრობს მკვლევართა ყურადღებას ძირითადად „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით. აღნიშნული პოემის გარდა იგი მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ ორ ძეგლში: „ისტორიანი და აზმანი“ და ლაშა გიორგისდროინდელი ჭემატიანის თხზულება და აგრეთვე სამართლის ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც თუმცა თამარის პირველ ისტორიკოსს ეყრდნობა. სხვადასხვა დროს საკითხს შეეხნენ კ. კეკელიძე[38] „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზის დროს, რომელმაც ამ შემთხვევაში წყაროდ მიიჩნია სპარსული ლიტერატურა, სადაც „შვიდი“ რიცხვი მეტად გავრცელებულია, პ. ინგოროყვა, ა. კიკვიძე[39], რომლებიც სხვადასხვაგვარად შეეცადნენ ცნობისათვის რეალური საფუძველი მოეძებნათ შესაბამისი

ხანის ქართულ სინამდვილეში, ი.ჯავახიშვილი[40], რომელმაც, უმთავრესად, ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ასპექტზე, კერძოდ იყო თუ არა აღნიშნულ ეპოქაში დამოუკიდებელი სამეფოები საქართველოში, ვიდრე რიცხობრივ მხარეზე. გარდა ამისა, საკითხს გვერდს ვერ უვლის ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც ასე თუ ისე ეხება ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურას. „ოთხისა“ და „შვიდის“ სიმბოლიკას „ვეფხისტყაოსანში“ ყურადღება მიაქცია გ. იმედაშვილმაც[41].

აღნიშნულ ხანაში, რომელსაც განეკუთვნება ზემოდასახელებული წერილობითი ძეგლები, როდესაც ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ერთმანეთისაგან გამიჯნული ისეთი კატეგორიები, როგორც ფილოსოფია, რელიგია, ისტორია, მხატვრული ლიტერატურა და სხვ., როდესაც საისტორიო და ფილოსოფიურ ნაშრომებშიც კი ზოგჯერ ფორმა ჭარბობს შინაარსის საზიანოდ, როდესაც იმდენად ძლიერია ტრადიციის ძალა, რომ გამოგონილს არაიშვიათად რეალურზე მეტი დამაჯერებლობა აქვს, გამართლებული არ არის რომელიმე ისტორიული ქრონიკისა ან თუნდაც სამართლის ძეგლის მიმართ ზედმეტი ნდობა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, არც შემდეგი შეიძლებლობაა გამორიცხული, რაც ა. კიკვიძემ სრულიად მიუღებლად მიიჩნია, „რომ თამარის ისტორიკოსს ეს იდეა სპარსული რომანებიდან უსესხებია და თავისი შრომა, რომელიც რეალურ ისტორიულ ცხოვრებას გადმოსცემს, მას შაბლონურ გადმოცემებზე დაუმყარებია“. წყაროს სანდოობის დასაბუთებლად არგუმენტად არ გამოდგება არც მისი კუთვნილება სამართლის ძეგლთა ჯგუფისადმი, რის გამოც, იმავე მკვლევრის აზრით, „მას არ შეეძლო შეეწყნარებინა სპარსული რომანების შაბლონი – „შვიდი სამეფო“, თუ შვიდი სამეფო საქართველოს რეალური პოლიტიკური ცხოვრების გამომხატველი არ ყოფილიყო“[42].

ჯ. სტეფნაძის აზრით, მეფეთა ტიტული – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა, შაჰან-

В качестве примера проанализируем результат объединения выборок I и II. Образовалась новая выборка объема $N_{I,II} = N_I + N_{II} = 915+888 = 1803$; со «словарем» $u¤(N_{I,II}) = 246$ и частотным спектром $u¤_1(N_{I,II}) = 75$; $u¤_1(N_{I,II}) = 43$; $u¤_3(N_{I,II}) = 24$ и т. д. Если этот спектр подставить в формулу Калинина (2) приняв $N_0 = 1803$, N=915 и $u¤(N_0)=246$, то получим $u(915) = 194{,}24$, что на 2,24 больше действительного «словаря» на выборке I ($u¤(915) = 192$. Аналогичный расчет для выборки II дает $u(888)=191{,}90$, что на 1,10 меньше действительного значения $u¤(888)=193$. Полученные расхождения чрезвычайно малы и, безусловно, могут быть объяснены случайными причинами, однако для полноты картины вычислим доверительный интервал для данного случая.

Учитывая, что объемы N_I и N_{II} очень близки друг к другу,

можно вычислить одно общее значение $s^2d(N)$, полагая $N = \frac{1}{2}N_{I,II} = 901{,}5$. При этом $(1-\frac{N}{N_0}) = 0{,}5$; процесс вычисления представлен в табл. 3 (см. табл. 3)

Таблица 3

j	$0{,}5^j$	$(1-0{,}5^j)\,0{,}5$	u_j (N_I,N_{II})	[3] X [4]	S
1	0,5	0,25	75	18,25	18,25
2	0,25	0,1875	43	8,0625	26,8125
3	0,125	0,1094	24	2,6256	29,4381
4	0,0625	0,0586	15	0,8790	30,3171
5	0,0313	0,0303	17	0,5151	30,8322
6	0,0156	0,0154	9	0,1386	30,9708
7	0,0078	0,0077	9	0,0693	31,0401
8	0,0039	0,0039	3	0,0117	31,0518
9	0,0020	0,0020	1	0,0020	31,0538
10	0,0010	0,0010	4	0,0040	31,0578
11	0,0005	0,0005	5	0.0025	31,0603
12	0,0002	0,0002	3	0,0006	31,0609
13	0,0001	0,0001	1	0,0001	31,0610

Дальнейшие члены суммы в столбце 5 очень малы и ими можно пренебречь, приняв последнее число в столбце 6 за значение $s^2d(N)$; тогда доверительныїї интервал для d(N) равен $1{,}96\sqrt{31{,}06} = 10{,}92$, что значительно больше по абсолютному значению наблюденных разностей $d(N_I)$= 2,24 и $d(N_{II})$=1,10. Таким образом, подтверждается гипотеза о том, что выборки I и II действительно выбраны из общей статистической совокупности.

Результаты аналогичных вычислений для всех 10-ти обследованных пар выборок приведены в таблице 4 (см. табл. 4).

Таблица 4

Пара выборок	(N_0)	$u\square(N_0)$	$u\square(N_1,)$ $u\square(N_2)$	$u(N_1,)$ $u(N_2)$	$d(N_1,)$ $d(N_2)$	Доверительный интервал 1,96 s	Можно ли считать данную пару выборок взятой из одной совокупности?
(I, II)	1803	246	192 193	194,24 191,90	2,24 - 1,10	±= 10,77	да да
(I, III)	1820	263	192 219	206,25 205,40	14,25 -13,60	± 11,26	нет нет
(I, IV)	1799	270	192 218	209,85 206,95	17,85 -11,05	± 11,63	нет да
(I,V)	1841	261	192 204	207,69 207,21	15,69 3,21	± 11,03	нет да
(II, III)	1793	265	193 219	207,36 208,88	14,46 -10,12	± 11,28	нет да
(II, IV)	1772	273	193 218	207,30 206,92	14,30 -11,08	± 11,83	нет да
(II, V)	1814	257	193 204	204,25 207,38	11,25 3,38	± 10,74	нет да
(III, IV)	1789	279	219 218	218,87 216,88	- 0,13 - 1,12	± 11,68	да да
(III, V)	1831	267	219 204	213,53 215,26	- 5,47 11,26	± 10,80	да нет
(IV, V)	1810	270	218 204	217,09 213,40	13,09 - 4,60	± 11,13	нет да

Характерной особенностью данного способа вычислений является наличие двух ответов на основной вопрос в последнем столбце, при том в ряде случаев ответы противоречат друг другу. Только для двух пар выборок - (I, II) и (III, IV) совпадают положительные отве-

ты (напомним, что каждая из этих выборок взята из заведомо одного текста!) и лишь для одной пары (I, III) совпадают отрицательные ответы. Правда, из некоторых общих соображений, наличие хотя бы одного отрицательного ответа можно считать достаточным, чтобы отвергнуть гипотезу о том, что данная пара выборок взята из одной совокупности, но все же хотелось бы иметь единую меру степени статистической близости двух выборок друг к другу.

В качестве такой меры можно использовать квадратичную форму:

$$c = \frac{1}{1-r^2}\left(\frac{(\delta N_1))^2}{\sigma_1^{\,2}} - 2r\frac{\delta(N_1)\delta(N_2)}{\sigma_1\sigma_2} + \frac{\delta(N_2))^2}{\delta_2^{\,2}}\right)$$

где (6)

$$r = -\frac{1}{\sigma_1\sigma_2}\left(\hat{\upsilon}(N_0) - \left(N_0 - \frac{N_1 N_2}{N_0}\right)\right)$$

в частном случае $N_1 = N_2 = \frac{1}{2}N_0$

$$r = \frac{\hat{\upsilon}(N_0) - \upsilon(\frac{3}{4}N_0)}{\sigma_1\sigma_2} = -\frac{1}{\sigma_1\sigma_2}\sum_{j=1}^{\infty} 0{,}25^j\hat{\upsilon}_j(N_0)$$

Величина *c* для выборок, взятых из одной совокупности, имеет распределение c^2 (хиквадрат) с двумя степенями свободы. Это позволяет, вычислив *c*, определить вероятность Q того, что наша пара выборок выбрана из одной статистической совокупности[27]. Распределение c^2 с двумя степенями свободы приведено в таблице 5.

c	q	c	q	c	q
0,0010	0,9995	0,446	0 ,80	4,605	0,100
0,0020	0,9990	0,713	0,70	5,991	0,050
0,0100	0,9950	1,022	0,60	7,378	0,025
0,0201	0,9900	1,386	0,50	9,210	0,010
0,0506	0,9750	1,833	0,40	10,597	0,005
0,1030	0,9500	2,408	0,30	13,816	0,001
0,2110	0,9000	3,219	0,20	15,202	0,0005

В качестве примера вычислим величину C и определим Q для пары выборок I, II. Сперва найдем коэффициент корреляции r, для простоты вычислений объемы выборок в данном случае мы принимаем равными друг другу:

j	$0,25^j$	$u_j(N_0)$	$0,25^j u_j(N_0)$	S
1	0,25	75	18.75	18,75
2	0,0625	43	2,6875	21,4375
3	0,0156	24	0,3744	21,8119
4	0,0039	15	0,0585	21,8704
5	0,0010	17	0,0170	21,8874
6	0,0002	9	0,0018	21,8892
7	0,0001	9	0,0009	21,8901

Дальнейшее наращивание числа членов суммы существенно изменить результат уже не может. Полученное число 21,89 нужно разделить на произведение , которое в общем случае определяется

по формуле (5); в нашем случае мы принимаем эти величины равными друг другу (в силу чрезвычайно малого отличия объемов выборок друг от друга), их произведения (т. е. квадрат) равен 31,06 (см. табл. 3). Отсюда

$$r = -\frac{21,89}{31,06} = -0,7048$$

Все остальные величины, входящие в формулу (6) уже известны, при этом считаем $s^2_1 = s_1$ $s_2 = s^2_2 = 31,06$; $d(N_1)$ и $d(N_2)$берем из таблицы 4.

$$c = \frac{1}{1-(-0,7048)^2}\left(\frac{2,24^2}{31,06} - 2(-0,7048)\frac{2,24.(-1,10)}{31,06} + \frac{-1,10)^2}{31,06}\right) = 0,1762$$

Из таблицы 5 находим, что эта величина лежит между величинами 0,1030 и 0,2110, которым соответствуют вероятности Q 0,95 и 0,90 соответственно. Это значит, что вероятность того, что наши две выборки, I и II, выбраны из единой генеральной совокупности, лежит между этими величинами.

Аналогичные вычисления для всех остальных пар выборок собраны в таблице 6.

Таблица 6

Пары выборок	c	Интервал q
(I,II)	0,1762	0,950-0,900
(I, III)	6,9050	0,050-0,025
(I, IV)	18,9185	<0,0005
(I, V)	22,8019	<0,0005
(II, III)	6,2307	0,050-0,025
(II, IV)	5,5710	0,100-0,050
(II, V)	12,6069	0,005-0,001
(III, IV)	0,0669	0,975-0,950
(III, V)	4,5967	0,200-0,100
(IV, V)	6,5562	0,050-0,025

Как видно из таблицы, высокие вероятности Q обнаруживают только две пары выборок - (I, II) и (III, IV), каждая из которых выбрана заведомо из одного текста. Все остальные пары выборок, включая и те, в которые входит контрольная выборка V, заведомо отличная от остальных текстов, обнаруживают весьма малые вероятности быть выбранными из общей генеральной совокупности. Это значит, что тексты СЛ и ИВ обнаруживают примерно такие же статистические отличия друг от друга, как и от сочинения историка царя Давида.

С содержательной точки зрения это следует интерпретировать как весьма малую вероятность того, что тексты СЛ и ИВ принадлежат одному автору. Иными словами, проведенный нами количественный анализ не подтверждает генетического единства рассматриваемых отрезков 1156-1207 и 1207-1317. Конечно, не исключается возможность их общей редакции, которая, придав им черты некоторого внешнего сходства, тем не менее, не изменила статистической структуры используемых в них ПСГК.

В заключение рассмотрим один вопрос, который, возможно, уже беспокоит читателя. Получены некоторые формальные числовые показатели, которые характеризуют степень статистической близости (или статистического различия) текстов. Но в чем именно эта близость (или эти различия) заключаются? Каковы содержательные отличия этих текстов друг от друга, наличие которых выявляет статистический анализ?

Как ни странно, но ответ на такой, казалось бы, вполне законный вопрос, в данном случае дать в принципе невозможно. Нельзя сказать, например, что для текстов СЛ характерны такие-то ПСКГ, а для текстов ИВ - такие-то. Чтобы читатель мог почувствовать природу обнаруживаемых различий, проведем более детальный их анализ.

Возьмем пару выборок, сильно (по нашим вычислениям) отличающихся друг от друга, например, I и IV ($c=18{,}92$; $Q<0{,}0005$) и проанализируем, за счет чего получается разница между прогнозами

$d(N_I)$ и $d(N_{II})$ по формуле Калинина (2) с объема $N_{I,\ IV} = N_I + N_{IV} = 1772$ на объемы N_I ($d(N_I)$) и N_{IV} ($d(N_{IV})$) в табл. 4). Для этого вычислим ожидаемые значения разностных спектров $u_j(N_I\text{-}_{IV})$ и u_j (N_{IV} - $_I$) (j= 1,2...). Разностные спектры двух выборов объемом N_1 и N_2 образуются из чисел ($N_{2\text{-}1}$), каждое из которых обозначает число разных элементов, каждый из которых встретился ровно j раз в выборке N_1 ни разу не встретившись в выборке N_2 и чисел $u_j(N_{2\text{-}1})$ каждое из которых обозначает число разных элементов, каждый из которых встретился ровно j раз на выборке N_2, ни разу не встретившись на выборке N_1. Именно сумма всех членов разностного спектра образует ту «прибавку» «словаря», которая образуется при объединении выборок (например, при объединении выборок I и IV объем «словаря» нарастает со 192 до 270, см. табл. 1 и 4).

Если известен частотный спектр объединенной выборки (в нашем случае (I, IV), то можно теоретически вычислить ожидаемые разностные спектры составляющих ее выборок в предположении, что эти выборки выбраны действительно из одной совокупности[28].

$$\upsilon_j(N_{1\text{-}2}) = \left(\frac{N_1}{N_1 + N_2}\right)^j \hat{\upsilon}_j(N_1 + N_2) = \left(\frac{N_1}{N_0}\right)^j \hat{\upsilon}_j(N_0),$$

где

$N_0 = N_1 + N_2$

Дисперсия членов разностного спектра при этом равна:

$$\sigma^2\upsilon_j(N_{1\text{-}2}) = \left(\frac{N_1}{N_0}\right)^j \left(1 - \left(\frac{N_1}{N_2}\right)^j\right)\hat{\upsilon}_j(N_0) \qquad (8)$$

Полуширина доверительного интервала, как обычно, определяется как ± 1,96s.

Вычислим ожидаемые разностные спектры для выборок 1 и IV по данным их объединения друг с другом и сравним их с фактическими разностным спектрами этих выборок. При этом, для упрощения вычислений, будем предполагать, что $N_I = N_{IV} = 899{,}5$ и $\frac{N_1}{N_{1\text{-}II}} = \frac{N_{II}}{N_{IV}} = 0{,}5$ (точный подсчет показал, что разница между

ним и нашим упрощением весьма невелика) (см. табл. 7).

Значимые отклонения D_I и D_{IV} фактических значений $u_j(N_{I-IV})$ и $u_j(N_{IV-I})$ от теоретических вычислений $u_j(N_{I-IV})= u_j(N_{IV-I})$ отмечены в таблице звездочками*. Легко видеть, что самые большие отклонения наблюдаются на одноразовых ПСГК (j=1); D_I=11, D_{IV}=-12). Отсюда понятна незаконность вопроса: какие из этих однократно употребленных ПСГК являются «лишними», а какие «характерными» для того или иного текста? Используемый метод чувствителен только к их количеству, качественно же все они совершенно равноправны.

Правда, с ростом j появляется возможность качественного анализа наблюдаемых расхождений. Так, например, из таблицы 7 видно, что в выборке I имеется один 11-разовый элемент (j=11), которого нет в выборке IV, а в выборке IV - 2 таких элемента, которых нет в выборке I. Но тут мы уже находимся в зоне действия обычных статистических методов, фиксирующих достоверность различий между частотами достаточно частных элементов; вклад же их в общий прирост объема «словаря» при объединении наших выборок очень невелик.

На первый взгляд, мы сталкиваемся с парадоксальным явлением: анализ употребительности частых элементов не привел к сколько-нибудь отчетливым результатам, различия между выборками «потонули» в широких доверительных интервалах; в то же время использованный в данной работе метод, чувствительный, в основном, к употребительности редких элементов, выявил очень четкую картину, а доверительные интервалы оказались узкими.

По-видимому, существующие языковые нормы, а также вариации этих норм, действующие в зоне наиболее употребительных элементов, таковы, что тонкие индивидуальные различия, характеризующие авторский стиль, в ряде случаев просто не выявляются на фоне этих норм и их вариаций. Эти различия могут лежать именно в области редких элементов, общего их разнообразия, что и выявляет использованный в данной работе анализ. Так, например,

четко фиксируемая разница между текстами СЛ и ИВ заключается в том, что в выборках III и IV из ИВ больше разных ПСКГ, чем в таких же по объему выборках I и II из СЛ, и это различие статистически значимо (см. табл. 2), оно устойчиво фиксируется для всех «перекрестных» пар выборок (I, III); (II, III); (I, IV); (II, IV), когда одна выборка берется из СЛ, а другая - из ИВ.

таблица 7

j	$0{,}5^j$	$0{,}5^j(1-0{,}5^j)$	$u\square_j(N_{I,IV})$	$u\square_j(N_{I-IV}) = u\square_j(N_{IV-I})$	s^2	1.96 s	$u\square_j(N_{I-IV})$	DI	$u\square_j(N_{IV-I})$	DIV
1	0.5	0.25	94	47	23,5	± 9,5015	36*	11*	59*	- 12*
1	0.25	0.1875	38	9.5	7.125	± 5,2318	8	1,5	8	1.5
3	0.125	0.1094	26	3.25	2,8444	± 3,3056	4	0.75	5	1.75
4	0.0625	0.0586	19	1,1875	1,1134	± 2,0681	2	0.81	4*	-2,81*
5	0.0312	0.0303	11	0.3437	0,3333	± 1,1315	0	0.34	1	0,66
6	0,0156	0,0154	13	0.2031	0.2002	± 0.8770	0	0,20	1	0.80
7	0,0078	0.0078	9	0,0703	1,0703	± 0,5193	0	0,07	0	0,07
8	0.0039	0.0039	6	0.0234	0,0234	± 0.2998	0	0,02	0	0,02
9	0.0020	0.0020	3	0,0060	0.0060	± 0.1518	0	0.01	0	0.01
10	0.0010	0.0010	2	0.0020	0,0020	±.0.0877	0	0.002	0	0.002
11	0,0005	0.0005	5	0.0025	0.0025	± 0,0980	1*	1,00*	2*	1,997*

Может показаться странным, что для объема («словарного запаса» u (N) и для числа разных редко встречающихся ПСГК $u\square_j$ (N) получились такие узкие доверительные интервалы, в то время как в зоне частых ПСГК доверительные интервалы получились широкими. На наглядно - содержательном уровне этот кажущийся парадокс можно объяснить следующим образом: появление каждого нового,

ранее не встречавшегося в тексте ПСГК представляет маловероятное событие, и, когда нас интересует число таких событий, то появление значительного числа «лишних» (сверх ожидаемого) событий оказывается очень маловероятным. Если же эти «лишние» события все же произошли, то им следует приписать не случайное происхождение (т. е. различие в тех статистических совокупностях, из которых взяты анализируемые выборки). Формальный анализ устойчивости числа редких событий в относительно малых выборках можно посмотреть в работах[29].

Здесь следует сказать о проблеме, которая несколько выходит за рамки непосредственной задачи данной работы. При проведении нашего анализа мы исходили из гипотезы о том, что статистика ПСГК устойчива, индивидуальна для данного автора, при переходе же к другому автору она меняется. Как ни правдоподобно выглядит эта гипотеза, она нуждается в проверке. Поэтому в данном исследовании было просчитано пять элементарных выборок и десять их парных сочетаний друг с другом, чтобы убедиться во взаимной непротиворечивости получаемых оценок. Однако, для того, чтобы данный метод можно было бы применять уверенно в тех или иных случаях, нужно предварительно убедиться в действительной справедливости этой гипотезы, для чего необходим широкий «фронтальный» обсчет разнообразного материала, авторская принадлежность которого точно известна. Только после того, как будет выяснена действительная устойчивость статистики ПСГК внутри разных текстов одного автора и ее изменение при переходе к другому автору, метод можно будет применять без организации специальных мер по контролю получаемых результатов.

Литература:

1. В литературе предложены и другие даты смерти Тамар и вступления на престол ее сына Георгия IV, что в данном случае не существенно.
2. Е. С. Такайшвили. *Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения»*, т. II, вып. I, СМОМПК, XXXVI, Тифлис, 1906, с. 65.
3. Ф. Д. Жордания, *Хроники и другие материалы по истории и литературе Грузии*, I, Тбилиси, 1892, XLVI - LI (на груз. яз.).
4. ФЛ. Жордания. Критический разбор второй части «Картлис цховреба» (Сочинение анонима XIV в.), в кн.: *Хроники и др. материалы по истории и литературе Грузии*, III. Тбилиси, 1967, (на груз. яз.).
5. И. А. Джавахишвили, Грузинский анонимный историк XIV в. - В кн.: Древнегрузинская историческая литература. *Сочинения*, т. VIII, Тбилиси, 1977 (на груз. яз.), с. 246-262.
6. Там же, с. 248-249.
7. К. Г. Григолия. Грузинский анонимный историк XIV в. (Жамтаагмцерели) и научное значение его сочинения. - В кн.: *Грузинская историография*, т. I, Тбилиси, 1968, с. 68 (на груз. яз.).
8. И. А. Джавахишвили, Картлис цховреба. - В кн.: *Древнегрузинская историческая литература*, с. 308-309.
9. Р. К. Кикнадзе. *Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгнджанидзе и «Картлис цховреба»*, Тбилиси, 1980, с. 45.
10. Опираемся в данном случае на статью Ф. Д. Жордания «Критический разбор второй части «Картлис цховреба», изданную после смерти исследователя в 1967, с. 563.
11. Там же.
12. Н. А. Бердзенишвили. *Вопросы истории Грузии*, IX. Тбилиси, 1979, с. 201.
13. К. Г. Григолия, Грузинский анонимный историк XIV в. и научное значение его сочинения, с. 87.

14. Подробнее об истории изучения ИВ см. Р. К. Кикнадзе, Очерки по источниковедению истории Грузии, с. 38-42.
15. Ф. Д. Жордания. *Хроники*, I. с. 289.
16. Ф. Д. Жордания. *Критический разбор второй части «Картлис цховреба»*.
17. При цитировании был использован перевод ИВ, выполненный К. С. Кекелидзе. Страницы указаны по следующему изданию: Картлис цховреба, подготовил к изданию по всем основным рукописям С. Г. Каухчишвили, т. II. Тбилиси, 1959 (на груз. яз.), а также История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе. - В кн. *Этюды по истории древнегрузинской литературы*. Тбилиси, 1973.
18. И. А. Джавахишвили. *Грузинский анонимный историк XIV в.*, с. 251; Ш. А. Хантадзе. К историографической характеристике «Картлис цховреба». - В сб.: *Грузинская историография*, Тбилиси., 1971, с. 226.
19. Л. И. Бородкин, Л. В. Милов, Л. Е. Морозова. К вопросу о формальном анализе авторских особенностей стиля в произведениях древней Руси. - В кн.: *Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях*. М., 1977. Метод использован и описан также в статье М. С. Чхартишвили. Краткая и пространная редакции «Жития Нино». *Мацне* (серия истории), № 1, 1980, с. 96-106 (на груз. яз.).
20. М. Г. Борода, И. Ш. Надарейшвили. Ю. К. Орлов, Р. Я. Читашвили, О характере распределения информационных единиц малой частоты в художественных текстах. - В сб.: *Семиотика и информатика*, вып. 9, М., 1978.
21. Подробнее см. в статье Л. И. Бородкина, Л. В. Милова, Л. Е. Морозовой. *К вопросу о формальном анализе авторских особенностей стиля в произведениях древней Руси*.
22. «Необычайную силу» стилистических канонов, способных иногда брать верх над авторскими особенностями построения текста,

отмечают Л. И. Бородкин, Д. В. Милов и Л. Е. Морозова в уже цитировавшейся работе (с. 322); заметим, что проведенный ими анализ относится именно к группе частых ПСГК.

23. Ю. К. Орлов, Р. Я. Читашвили. Проверка статистической однородности в относительно малых выборках. *Сообщения АН ГССР* (в печати).

24. В. М. Калинин. Функционалы, связанные с распределением Пуассона и статистическая структура текста. - *Труды математического института им. Стеклова*, LXXIX, «Наука», Москва, 1965.

25. Ю. К. Орлов. Статистическое моделирование речевых потоков. – *Вопросы кибернетики*, вып. 41. - Статистика речи и автоматический анализ текста. М.-Л., 1978. с. 66-99.

26. Ю. К. Орлов, Р. Я. Читашвили. *Проверка статистической однородности...*

27. Строго говоря, величина ,Q имеет несколько иной смысл, но в данном случае можно принять наше определение.

28. В. М. Калинин. Функционалы, связанные с распределением...

29. Ю. К. Орлов, Р. Я. Читашвили. О распределении частотного спектра в малых выборках из распределений с большим числом возможных событий. - *Сообщения АН ГССР*, 108, № 2, 1982; Ю. К. Орлов, Р. Я. Читашвили. Некоторые проблемы статистического оценивания в относительно малых выборках. - *Сообщения АН ГССР*, 108, № 3, 1982.

ქართველი ერის ჩამოყალიბება

RONALD GRIGOR SUNY
THE MAKING OF THE GEORGIAN NATION
Indiana University Press
Bloomington and Indianapolis, 1988, 1994.

ნაშრომის ავტორია ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ერის თეორიის სახელმოხვეჭილი ექსპერტი და კავკასიის რეგიონის აღიარებული ავტორიტეტი. იგი გამონაკლისია იმ თვალსაზრისით, რომ განსხვავებით მრავალთაგან, რომელთა ნაშრომები ასე მოზღვავდა უკანასკნელ წლებში და რომელთა ინტერესი კავკასიის მიმართ გამოწვეულია მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, ან უფრო ხშირად, ეთნოკონფლიქტებით, არ არის პოლიტოლოგი. იგი არის ისტორიკოსი-მკვლევარი, რომელსაც, ამასთანავე, გაელილი აქვს კარგი სკოლა და მისი ნაშრომი ერთ ტომში წარმოგვიდგენს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე, თუმცა მკვლევრის ინტერესი უმთავრესად ფოკუსირებულია ახალ ისტორიაზე, იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებას სწორედ აღნიშნულ ხანას უკავშირებს და, ალბათ, იმის გამოც, რომ ითვალისწინებს სოციალურ დაკვეთას იმ საზოგადოებისა, რომელიც უფრო მეტად აწმყოსა და მომავალზეა ორიენტირებული, ვიდრე წარსულზე. ასეთი დისპროპორცია თანამედროვე ისტორიის სასარგებლოდ ახალია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რომლის ძირითად ინტერესს სრულიად გასაგები მიზეზების გამო დიდი ხნის მანძილზე საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორია წარმოადგენდა, ე.ი. ქვეყნის წარსული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე. უკანასკნელ წლებში ვითარება შეიცვალა. დაი-

წერა არაერთი ნაშრომი, მაგრამ ხარვეზი ახალი ისტორიის კელევის საქმეში ჯერაც არ არის ამოვსებული. ამ მხრივაც, წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი მოვლენაა, ხოლო მისი ავტორი რონალდ სიუნი სწორედ ის მეცნიერია, რომელიც უცხოურ ქართველოლოგიაში აგრძელებს ვ. ალენის, კ. თუმანოვის, დ. ლენგისა და სხვათა ტრადიციებს. ამავე დროს, წიგნის ავტორი არის ბრწყინვალე ლექტორი, ე.ი. ადამიანი, რომელსაც მრავალი ამერიკელი არა მარტო კითხულობს, არამედ დიდი ინტერესით და ნდობით უსმენს.

როგორც წინასიტყვაობიდან ვიგებთ, ბ-ნ სიუნის კომპეტენტური კონსულტანტები ჰყოლია, საქართველოში სამჯერ ყოფილა, ლიტერატურასაც საკმაოდ გასცნობია და, საერთოდ, ძალზე შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებია. წიგნის პოპულარობა და გაელენა უკვე არაერთ ნაშრომში იგრძნობა და სწორედ ამის გამო საჭიროდ მიეიჩნიე, გავაცნო მკითხველს და ავტორსაც უკმარისობის და ერთგვარი დისკომფორტის გრძნობა, რომელსაც იწვევს წიგნის ზოგიერთი ადგილი და რაც, სამწუხაროდ, ამცირებს ამ ზოგადად უდავოდ საინტერესო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას.

წიგნის ერთ-ერთი ძირითადი თეზისი პირველსავე გვერდზეა ჩამოყალიბებული. ავტორი არწმუნებს მკითხველს, რომ „ის ტერიტორია, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, ისტორიის უმეტესი დრო გაყოფილი იყო ორ ძირითად ნაწილად“, ხოლო თვით ტერმინი „საქართველო“ არ გამოიყენებოდა XI საუკუნემდე, როდესაც ეს ქვეყანა პირველად გაერთიანდა“ (გვ. 3). აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინი „საქართველო“ პირველად X საუკუნეშია დამოწმებული, მაგრამ უფრო ადრე, ზუსტად იმავე მნიშვნელობით (ე.ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს) გამოიყენებოდა ტერმინი „ქართლი“. ცხადია, დასაწყისშივე შექმნილ განწყობილებას ძნელად თუ შეცვლის წიგნის 32 გვ. გაკეთებული შენიშვნა, რომ XI ს-ის დასაწყისში, საქართველოს გაერთიანება პირველი ყოფილა „რომაელების მოსვლის შემდეგ“, ან მე-11 გვ.

მოტანილი „ქართლის ცხოვრების“ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა საქართველოს გაერთიანება ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფის ფარნავაზის მიერ, რასაც თვით წიგნის ავტორი ეჭვით უყურებს. და თუმცა ძნელად მოიძებნება მსოფლიოს რუკაზე სახელმწიფო, რომელიც ისტორიის უმეტესი დრო გაერთიანებული იყო, ავტორს ეს, როგორც ჩანს, საქართველოს განსაკუთრებულ თვისებად მიაჩნია. სწორედ ბ-ნ. რ. სიუნის გაელენით უნდა აიხსნას ზოგიერთ სხვა ნაშრომშიც იმის ხაზგასმა, რომ საქართველო პირველად XI საუკუნეში გაერთიანდა და ისიც მცირე ხნით, ხოლო დანარჩენი დრო გაყოფილი იყო ორ ძირითად ნაწილად (იხ. მაგ. Sh. Hunter. *Transcaucasia in Transition*, 1955, გვ. 111). არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ფარნავაზის (ძვ. წ. III ს.) შემდგომ ხანებში XI საუკუნის დამდეგამდე საქართველო არაერთხელ ყოფილა გაერთიანებული, რაც წიგნის ავტორს გამორჩა მხედველობიდან. მაგალითად, 1) ფარსმან ქველის დროს (II ს.) ქართლის სამეფოს გავრცელებამ შავ ზღვამდე რომის იმპერატორ ადრიანესთან კონფლიქტი გამოიწვია; 2) ვახტანგ გორგასალის დროს (V ს.) ქართლის სამეფომ დასავლეთ საქართველო და ჰერეთი მოიცვა; 3) ქართლის ერისმთავრების დროს (VII-VIII სს.) მათი ერთ-ერთი რეზიდენცია ქუთაისი იყო, ხოლო აფხაზთა ერისთავი მათ ექვემდებარებოდა. სტეფანოს ერისმთავარი იხსენიება როგორც „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა უფალი“; 4) აფხაზთა მეფეები (VIII-IX სს.), რომლებიც ქუთაისში ისხდნენ, ფლობდნენ აგრეთვე შიდა ქართლს და ჯავახეთს. ხოლო ქუთაისი საქართველოს სატახტო ქალაქი იყო 1122 წლამდე.

საქართველოს ისტორიის ბ-ნ სიუნისეული წაკითხვიდან გამომდინარეობს ის კომენტარებიც, რაც ქვეყნის ყოველ გაერთიანებას ერთვის: რომ ეს „გაერთიანება ხანმოკლე იყო“ (გვ. 3, 44, 45); ხოლო, თუ რაიმეს შემოიერთებდნენ, ავტორი ჩქარობს, გააფრთხილოს მკითხველი, რომ ეს მხოლოდ დრო-

ებით მოხდა (გე. 33,37). საერთოდ, ძლიერების ხანის მეფეების დახასიათებისას ყურადღება უფრო მეტად იმაზეა გამახვილებული, რა ვერ მოახერხეს მათ (გე. 39), ვიდრე იმაზე, თუ რა მოახერხეს, ხოლო გაერთიანებული ქართული სახელმწიფო (XI ს. დასაწყისში) დახასიათებულია როგორც „აშკარად დეცენტრალიზებული სამეფო", სადაც დიდ გამგებლებს წარმატებით შეეძლოთ შედავებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებაში მეფეს (გე. 33). თვით დავით აღმაშენებლის მეფობაც კი, რომელიც აქვე მოტანილი მასალის მიხედვით ნაკლებად იძლევა საფუძველს პესიმიზმისათვის, მინორულ კილოზე მთავრდება. მოტანილია ცნობილი ამერიკელი მედიევისტის სპიროს ერიონისის სიტყვები, თუ თითქოს როგორ იყო მოსახლეობისაგან დაცლილი და ეკონომიკურად გაჩანაგებული საქართველო დავითის სიცოცხლის დასასრულს; რომ მოსახლეობა იმ დროს მხოლოდ „ჰერეთის, სომხითის, ტაშირის, ჯავახეთის და არტაანის ციხეებსა და ქალაქებში იყო" (გე. 37). სხვათა შორის, ეს ის სპ. ვრიონისია (და ნაშრომიც იგივეა), რომლის აზრითაც „კომნენებისა და ლასკარების ღონისძიებებს მომთაბარეთა დათრგუნვის საქმეში არასოდეს მიუღწევიათ იმ წარმატებებისათვის, რასაც ქართველმა მეფეებმა მიღწიეს" (S. Vryonis. The Decline of Medieval Hellenism in Asia Minor and the Process of Islamisation from the Eleventh Century through the Fifteenth Century. Berkeley. Los Angeles. London, 1971, გე. 284).

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ასეთი შეჯამების შემდეგ აღარ არის გასაკვირი ალექსანდრე I დიდის მეფობის მკაცრი შეფასება, რომელსაც, წიგნის მიხედვით, სრულიადაც „არ დაუმსახურებია ხალხის მიერ მინიჭებული ეპითეტი - დიდი" (გე. 45). ლაპარაკია მეფეზე, რომელმაც არა მარტო მოახერხა საქართველოს შერყეული მთლიანობის აღდგენა თემურ-ლენგის გამანადგურებელი თავდასხმების შემდეგ, არამედ წაართვა თურქმენებს და შემოიერთა ლორე და სივნიეთი (თოვმა მეწოფელი) და შევიდა ისტორიაში აქტიური სააღმშენებლო საქმიანობითაც.

აღნიშნულის ფონზე კანონზომიერია ალბათ ისიც, რომ უკვე პალეოლითის ხანაში გამოყენებულია ტერმინები სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი (გვ. 4,5), რაც სრულიად გაუმართლებელია ისევე, როგორც მიუღებელია 1804 წელს დარიალის ხეობასა და მთიანეთში მიმდინარე აჯანყების გაშუქებისას ოსეთის ხსენება, თუნდაც რომ ასეთი შემთხვევები დადასტურებული იყოს წყაროებში. ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ აჯანყებამ ოსებით დასახლებული სოფლებიც მოიცვა (გვ. 84).

არც წყაროებით და არც წიგნში მოტანილი მასალით არ დასტურდება ავტორის წარმოდგენა XI საუკუნის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციაზე. არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ აღვნიშნოთ ის ფაქტები, რომელთა ნაწილი წიგნშიც არის შეტანილი: რომ ბაგრატ II-მ წარმატებით დაძლია ფეოდალური სეპარატიზმი, დასაჯა რატი ბაღვაში, აღკვეთა ტბელების წინააღმდეგობა, თმოგვის ციხეში დაამწყვდია ბაგრატიონი უფლისწულები – სუმბატი და გურგენი და შეიერთა კახეთ-ჰერეთი. ბაგრატ IV-მ გაიმარჯვა ლიპარიტ ბაღვაშზე. გიორგი II-მ დაამარცხა ერისთავები. დავით IV აღმაშენებელმა საერთოდ გააუქმა საერისთავოების ნაწილი (კლდეკარი, კახეთის). მანვე სრულყო და განამტკიცა საქართველოში ძველი დროიდან არსებული მმართველობის საუწყებო სისტემა უხუცესებით სათავეში. უხუცესები სხვადასხვა დარგს განაგებდნენ. მათი ნაწილი უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდა, ნაწილი კი – უხუცეს-ვაზირს. ყველაფერი ეს აშკარად მოწმობს ხელისუფლების ძლიერ ცენტრალიზაციას.

გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იზიდავდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, რამაც იმთავითვე განაპირობა ქვეყნის ეთნიკური სიჭრელე და მისი მოსახლეობის ტოლერანტობა. მაგრამ უკვე ძვ.წ. III საუკუნის დამდეგიდან, როდესაც მოხდა დასავლეთის აღმოსავლეთისადმი დაქვემდებარება და ქართლი შედგა რო-

გორც გაერთიანებული სახელმწიფო, გამოიკვეთა უკანასკნელისათვის აუცილებელი პირობები და შემუშავდა ის ძირითადი პრინციპები, რაც საქართველოს ისტორიის ღერძად იქცა. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის კონცეფციით, რომელიც, ბუნებრივია, წარსულის გამოცდილებას ემყარება, სახელმწიფოებრიობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული დამოუკიდებლობა, ერთიანი ტერიტორია, ერთი სახელმწიფო ენა (ფარნავაზმა ძვ.წ. III ს-ში „განაერცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა"), ერთიანი სარწმუნოება, საერთო ისტორიული მეხსიერება, ანუ ეთნიკური თვითშეგნება. აქ ჩამოთვლილი თითქმის ყველა ნიშანი, დაწყებული ძვ. წ. III საუკუნიდან, აშკარად, თუ ტენდენციის სახით, მეტნაკლებად საქართველოს მთელ ისტორიას გასდევს მაშინაც, როდესაც ის ერთიანი და ძლიერია, მაშინაც, როდესაც საგარეო ფაქტორის გამო, ქვეყანა დაშლილია სამეფოებად და სამთავროებად. აღნიშნული ნიშნების არსებობა ან მათკენ სწრაფვა სახელმწიფოებრიობის და მონარქიის გადარჩენას ემსახურებოდა, რაც XIX საუკუნემდე, თუ არ ჩაეთვლით VI საუკუნიდან ირანელთა და ნაწილობრივ არაბთა ბატონობის გარკვეულ მონაკვეთს, გაერთიანებულ, ან ზოგჯერ დანაწევრებულ საქართველოში მოხერხდა.

იმ ერ-სახელმწიფოში, რომლის მკვიდრნი იყვნენ ქართლოსის შთამომავალები, თავს კარგად გრძნობდნენ „ქართველთა ნათესავნიც" და „უცხონიც", რომლებიც დროთა განმავლობაში უკვე ქართველებად იწოდებოდნენ. გაერთიანებულ და ძლიერ საქართველოში ეთნონიმი „ქართველი" კულტურულ-პოლიტიკურ ტერმინად იქცა და აღნიშნავდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც მის ინტერესებს ემსახურებოდა (ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები.* 1990, გვ. 381-396; დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის - *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.* თბ.,

1993, გვ. 366). აქ, საკუთრივ ქართველების გარდა, უცხო ეთნოსის წარმომადგენლებიც ზოგჯერ პირადი დამსახურებისათვის და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მაღალ თანამდებობებზეც ინიშნებოდნენ, ხოლო ოპოზიცია - სახელმწიფოსა და მეფის ინტერესების მოღალატეები - ისჯებოდა, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, იქნებოდა ეს ქართლის მთავარეპისკოპოსი, ბერძენი მიქაელი (V ს.), ქართველი დიდებულები გუზანი, ლიპარიტი (XII ს.), სუზდალელი უფლისწული (XII ს.), თუ ოსები (XIV ს.), განდევნილნი სახელმწიფოდან. მაგრამ, ისევე, როგორც ძველად, სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საფუძველს და მიზანსაც პირველ რიგში ქართული ენა და კულტურა წარმოადგენდა. თუმცა იმ ქართულ სამეფოში ქართულ ენასთან და მართლმადიდებლობასთან სხვა ენები და კონფესიებიც მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ასეთ მრავალხმიანობის ტრადიციულ პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოში ცალკეული პირების ეთნიკური ძირების ძიება ყოველთვის კონსტრუქციული საქმე არ არის, მაგრამ ბ-ნი რ. სიუნი, სამწუხაროდ, სწორედ ამ გზით მიდის. ამასთანავე, მისი ცნობები ზოგჯერ მცდარია, ალბათ იმის გამოც, რომ აქ, ამ ნაწილში, იგი, წყაროების ნაცელად, ხშირად სამეცნიერო ლიტერატურას ეყრდნობა, ეს უკანასკნელი კი ზოგჯერ არაზუსტი ან არასრულია.

მაინც რა არის, ავტორის აზრით, ის თუნდაც მოკლე ხნით გაერთიანებული სახელმწიფო და რა უდევს საფუძვლად მის გაერთიანებას. ეს სუსტი და არამყარი გაერთიანება, ნაშრომის მიხედვით, არის „აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა და სხვადასხვა მუსლიმ ხალხთა მრავალეროვანი იმპერია“ (გვ. 37). მაგრამ აქ წარმოდგენილი სურათის მიხედვით, ქართველთა წელილი ამ სახელმწიფოში შედარებით მოკრძალებულია, ვინაიდან ძირითად საქმიანობას ქვეყანაში არაქართველები ეწევიან.

ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, წიგნის ავტორის აზრით, „საქართველოში ყველაზე ძლიერი პირი ერისთავთ-ერისთავი

ლიპარიტ ორბელიანია“ (გვ. 33). ცოტა ქვემოთ ვიგებთ, რომ ორბელიანები, ისევე როგორც მხარგრძელები, „სარწმუნოებით სომხები არიან, ხოლო წარმოშობით არაქართველები“ (გვ. 40). აქ, მართალია, მოტანილია ე. ალენის სიტყვები, მაგრამ ავტორი მათ, როგორც ჩანს, უკრიტიკოდ იზიარებს. წიგნში ნათქვამია, რომ სწორედ ორბელიანები და ზაქარიან-მხარგრძელები „ავრცელებდნენ სომხურ გაელენას სამეფოს აღმოსავლეთ პროვინციებში“ მონღოლთა ბატონობის წლებში, ხოლო რუსუდანის მეფობის ხანაში „საქართველოსა და სომხეთში ყველაზე ძლევამოსილი ადგილობრივი წარმომადგენლები იყვნენ მეფის ათაბაგი ავაგ ზაქარიანი (მხარგრძელი) და კახეთის აზნაური ეგარსლან ბაკურციხელი“ (გვ. 37). უფრო ადრე, როდესაც საუბარია დემნას აჯანყებაზე, ნათქვამია, რომ მისი მომხრეები იყვნენ „ქართველი და სომეხი დიდებულები, ორბელიანები და თორელები“ (გვ. 37). აქ მთლად ნათელი არ არის, რომელია მათ შორის ქართველი და რომელი-სომეხი. კონტექსტიდან გამომდინარე, ავტორს სომხებად, ჩანს, თორელები მიაჩნია, თუმცა როგორც დავინახეთ, არც ორბელიანების უცხოურ წარმოშობაში ეპარება ეჭვი.

ერთ-ერთი ცნობა ეხება რუსუდანის ხანას, როდესაც ჩრდილოეთ სომხეთი მთლიანად საქართველოს შემადგენლობაშია და ავაგ მხარგრძელიც, ცხადია, საქართველოს სამეფოს ათაბაგია, და ამ ფაქტს ეჭვქვეშ ვერ დააყენებს ვერც ის, რომ, მაგალითად, ივანე მხარგრძელი ზოგიერთ შემთხვევაში თავის თავს „საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარს“ უწოდებს (მ. თამარაშვილი. *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*. ზ. ალექსიძის და ჯ. ოდიშვილის რედ., გამომც. „კანდელი“, თბ., 1995, გვ. 475).

სხვადასხვა წყაროდან ვიცით, რომ ორბელები, და არა ორბელიანები, როგორც ეს ბ-ნ რ. სიუნის მიაჩნია, XII-XIII საუკუნეების უძლიერესი ქართული ფეოდალური საგვარეულოა. ესენი იყვნენ ამირსპასალარები, მანდატურთუხუცესები და ათაბაგები. გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებაში დემნას

მხარეზე მონაწილეობისათვის ორბელები ამოწყვეტილ ან განდევნილ იქნენ. ზოგიერთი მათგანი სომხეთში დასახლდა და ორბელიანი გახდა. სომხეთში დასახლებულ ორბელიანთა შთამომაგლის სომეხი ავტორის სტეფანოს ორბელიანის გადმოცემით ერთი ორბელი - ივანე, უკვე თამარ მეფის დროს დაბრუნდა საქართველოში. დაბრუნების შემდეგ ამ გვარის წარმომადგენლები სწრაფად იბრუნებენ პრივილეგიებს და მაღალ თანამდებობებს ეუფლებიან, მაგრამ მათი გვარი კვლავ ორბელია. რაც შეეხება ორბელიანის გვარს, საქართველოში ის გვიან, მხოლოდ XVII-XIX სს-შია ცნობილი, როგორც ქაჩიბაძე-ბარათაშვილი-ყაფლანიშვილის განშტოება (გ. ჯამბურია. *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან.* თბ., 1955, გვ. 81).

სტეფანოს ორბელიანი თავის წინაპრებს, ორბელებს, ბაღვაშთა შთამომავლებად მიიჩნევს. ზოგიერთი მკვლევარი მათთანვე აკავშირებს მამიკონიანებს, თუ ასეთი გაიგივების საფუძვლად საკმარისია მამიკონიანთა და ორბელიანთა შესახებ საერთო ლეგენდების არსებობა. ამავე დროს, თვით მამიკონიანებთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება მათი ქართული წარმოშობის შესახებ (ნ. ადონცი, კ. თუმანოვი). აღსანიშნავია, რომ ბაღვაშები და ორბელები, რომელთა შორის გარკვეული კავშირი ივარაუდება, საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა დროს იხსენიებიან. თუ ბაღვაშთა გვარი დავით აღმაშენებლის ხანაში წყდება, ორბელები მოგვიანებით ჩნდებიან. ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ IV-ის თანამედროვე ლიპარიტი ბაღვაშთა გვარს მიეკუთვნება, ისევე როგორც მისი შთამომაელები, და მათ შორის დავით აღმაშენებლის თანამედროვე ლიპარიტი და მისი ძე - რატი. ბაღვაშები საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ქართული გვარია. არგვეთის, ხოლო შემდეგ კლდეკარის მფლობელები, ამ გვარის წარმომადგენლები ზოგჯერ მართლაც ოპოზიციაში ედგნენ მეფეებს, რაც საბოლოოდ აღკვეთა დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთაოს გაუქმებით. ამდენად, ბაღ-

ვაშთა გვარის უგულებელყოფა აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიაში სრულიად გაუმართლებელია.

თორელები აგრეთვე XII-XIV საუკუნეების საქართველოს დიდგვარიანი ფეოდალები არიან. სხვადასხვა დროს ისინი იყვნენ ერისთავთ-ერისთავები, ამილახვრები, ამირსპასალარები, მეჭურჭლეთუხუცესები. მათი წარმოშობის ვარაუდით (ნ. შოშიაშვილი, კ. თუმანოვი), თორელის სახლი გამრეკელთა საგვარეულოდან წარმოიქმნა. ფეოდალიზმის ეპოქაში დიდგვარიანთა სეპარატიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ მხრივ, ორბელები და თორელები გამონაკლისნი არ არიან. შეიძლება დავასახელოთ ჯაყელები, სურამელები, არაგვის ერისთავები და სხვ.

რაც შეეხება მხარგრძელებს და არა ზაქარიან-მხარგრძელებს, როგორც ეს წიგნშია, სომეხი ავტორების კირაკოს განძაკეცის და ვარდან დიდის ინფორმაციით, რასაც მეცნიერთა უმრავლესობა ეჭვქვეშ არ აყენებს, ისინი წარმოშობით ქურთები იყვნენ, ხოლო სარწმუნოებით, მონოფიზიტები. XII საუკუნის დასასრულიდან მხარგრძელები გვარით, ენით, კულტურით, დამწერლობით და სარწმუნოებით ქართველები არიან და საქართველოს სახელმწიფოს ემსახურებიან. XII საუკუნის დასასრულს ივანე მხარგრძელმა დიოფიზიტობა მიიღო. ასევე დიოფიზიტია მისი ვაჟი ავაგ მხარგრძელი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გახდა ათაბაგი - ამირსპასალარი. დიოფიზიტები იყვნენ, აგრეთვე, ზაქარია მხარგრძელის შთამომაელები.

წიგნში მოტანილია ცნობა დიდგორის ბრძოლაზე, რომლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში განუზომელია. სწორედ ამ ბრძოლაში წარმატების შედეგად მოხერხდა მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის დამარცხება და თბილისის შემოერთება დანარჩენი საქართველოსათვის. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ყველაფერი, რაც ამ ბრძოლას უკავშირდება, საქართველოს ისტორიის მკვლევრის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. და აი, ნაშრომის 36-ე გვ.-ზე ავტორი

გვატყობინებს, რომ „1121 წლის 12 აგვისტოს ქართველები თავის სომეხ, ყიეჩაღ, ოს და შირვანელ მოკავშირეებთან ერთად, მოულოდნელად (!) თავს დაესხნენ მუსლიმანებს დიდგორის მახლობლად და მოიპოვეს ის, რაც საქართველოს ისტორიაში ცნობილია, როგორც „ძლეული საკვირველი“.

დიდგორის ბრძოლა არცერთი მხარისათვის არ იყო მოულოდნელი. მუსლიმანები დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდნენ საქართველოში შემოსაჭრელად, რისთვისაც უზარმაზარი კოალიციური ლაშქარი შექმნეს, ხოლო მეფე დავითი, თავის მხრივ, - მათ შესახვედრად. წიგნის ავტორი ამ შემთხვევაში არ უთითებს წყაროს, რაც ძალზე სამწუხაროა. საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ცნობილი ძეგლი, რომელიც გვაწვდის შედარებით დეტალურ ცნობას აღნიშნულ ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის შემადგენლობაზე, არის XII საუკუნის პირველი ნახევრის სომეხი ავტორის მათეოს ურჰაეცის ნაშრომი, ხოლო მისი მონაცემები განსხვავდება ბ-ნ რ. სიუნის ინფორმაციისაგან. თავისთავად, საქართველოს ჯარში სომეხთა და შირვანელთა მონაწილეობაში არაფერია უცნაური. ცოტა გვიან ეს ბუნებრივიც არის და წყაროებითაც დასტურდება. სხვათა შორის, მათეოს ურჰაეციც აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი აღმოჩნდა „მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი“, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, უკვე დიდგორის ბრძოლის შემდეგ მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხები მართლაც მიიღებდნენ ბრძოლაში მონაწილეობას და ეს არ გამორჩებოდა მხედველობიდან XII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს, თუ როგორ ააშენა დავითმა „სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“. რაც შეეხება დიდგორის ბრძოლას, მათეოს ურჰაეცის გადმოცემით, დავითი აქ წარსდგა „40.000 ძლიერი და მამაცი ვაჟკაცით და ომში ნაცა-

დი მეომრით. ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარი ხაფჩახთა (ყიე-ჩაღთა) მეფისაგან 15.000, მამაცი და რჩეული კაცი ალანთა ტომისაგან - 500 კაცი, ხოლო ფრანგი 100“ (ლ. დაელიანიძე. მათეოს ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. - კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 242-253).

წიგნის პირველ ნაწილში - „ქართული მონარქიების აღმოცენება და დაცემა“, რომელიც სამი თავისაგან შედგება - 1. ქართველი ერის წარმოქმნა; 2. ქრისტიანული საქართველო; პირველი ათასწლეული; 3. ქართული სამეფოების დიდი ღამე - რამდენიმე ცნობა მოითხოვს შემდგომ დაკვირვებასა და კორექტირებას. მე-8 გვ. აქემენიანთა სპარსეთის მე-18 სატრაპიაში შემავალ სასპერებს, მატიენებს და ალაროდიებს ავტორი ურარტულ და სხვა ჰურიტულ ნარჩენებად მიიჩნევს, თუმცა ამავე გვერდის დასაწყისში სამართლიანად განმარტავს, რომ ჭოროხის ზემო წელში მცხოვრები სასპერები პროტო-ქართველური ტომები იყვნენ. წიგნში - ფარნავაზიანთა დინასტია წყდება ამაზასპ II-ის მეფობაზე, არშაკიდების დინასტია - 284 წელს, ხოლო მირიანი (284-361) ირანის მეფის შვილად არის მიჩნეული. აქ იხსენიებიან ფარსმან II, ფარსმან III და კვლავ უკრიტიკოდ არის გაზიარებული „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ცნობა ქართლის მე-4 მეფის ფარნაჯომის ხანიდან ძვ.წ. I საუკუნის ჩათვლით სომხების ჰეგემონიის შესახებ. საერთოდ, ამ ხანის მეფეთა შესახებ ავტორი არ ითვალისწინებს ქართველ მკვლევართა შეხედულებებს და იმ ნაშრომებს ეყრდნობა, რომელთა მონაცემები ზოგიერთ შემთხვევაში მოძველებულია. აქ გამეორებულია ვახტანგ გორგასლის სიკვდილის კ. თუმანოვისეული თარიღი - 522 წ., რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის უარყოფილი. სასურველი იყო, ავტორს გაეთვალისწინებინა ქართველ მეცნიერთა ნაშრომები ქართლის ეკლესიის ისტორიის შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი ლეონტი მროველი მიკუთვნებულია VIII საუკუნეს, XI საუკუნის ნაცვლად. სხვათა შორის, იგივე პიროვნება 1066 წლის თრეხვის

ხეობის გამოქვაბულში აღმოჩენილი ქვაჯვარის წარწერის ავტორია.

წიგნში აღნიშნულია, რომ „693 წელს არაბებმა კელაე აიღეს ქართლი-იბერია და არმენია. ხაზარი მოკავშირეების დახმარებით“ მოტანილია ცნობა სომეხთა გამოსვლის შესახებ არაბი გამგებლის მარვან იბნ მუჰამადის წინააღმდეგ ბიზანტიელების დახმარებით VIII საუკუნის დასაწყისში (გვ. 28). აქ ზუსტი არ არის ცნობა იმის შესახებ, თითქოს ხაზარები არაბთა მოკავშირეები იყვნენ. პირიქით, ხაზარები არაბთა მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ და ამიერკავკასიაში არაბთა დამკვიდრებამ მათ შორის ახალი დაპირისპირება გამოიწვია. არმენიის არაბი გამგებელი VIII საუკუნის დასაწყისში არა მარვან იბნ მუჰამადია, არამედ მუჰამად იბნ მარვანი, რომელმაც 701-702 წ. დიდი ხნით დაიმორჩილა არმენია. გამართლებული არ არის ქართლის ქართლი-იბერიად მოხსენიება. ქართლი და იბერია, როგორც ეს ავტორსაც კარგად მოეხსენება, ერთი და იგივეა, ხოლო ამ ორმაგმა დასახელებამ გაუცნობიერებელი მკითხველი შეიძლება დააბნიოს და აფიქრებინოს, რომ აქ ისევ რაღაც დროებით გაერთიანებაზეა საუბარი.

იმის გამო, რომ ნაშრომში საქართველოს ისტორიის ისეთი ძირითადი საკითხი, როგორიც არის სახელმწიფოებრიობა, დამახინჯებულად არის წარმოდგენილი, ყველაფერში, რაც მასთან არის დაკავშირებული, შესაბამისი ხარვეზები შეინიშნება.

შეუძლებელია, დაეთანხმო შეხედულებას, რომ ქართველები XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დამდეგს იყვნენ „ჯერ კიდევ დაშლილი, დამარცხებული, ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი“ და „ფაქტობრივად გაქრობის წინაშე მდგარი“ ხალხი, რომელსაც, „თუ არ ჩაეთელით ზოგიერთ თავადსა და სასულიერო მოღვაწეს, ნაკლებად ჰქონდა ეროვნული თვითშეგნება“ (გვ. 114). ასეთ დასკვნას არ უჭერს მხარს ამავე ნაშრომში წარმოდგენილი ცნობები XIX საუკუ-

ნეში რუსეთის წინააღმდეგ ანტიკოლონიური აჯანყებების შესახებ, რამაც მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვა.

კიდევ უფრო უცნაურია ზოგიერთ შემთხვევაში მსჯელობა ქართული კულტურის შესახებ. ავტორის აზრით, „იმ დროს, როდესაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსული ლიტერატურა იფურჩქნებოდა ეკატერინე II-ის მფარველობის ქვეშ და სომეხთა ეროვნულ აღორძინებას საფუძველი ჩაეყარა ვენეციაში კათოლიკე ბერების (მხითარისტი მამების) მიერ, საქართველო ჯერ კიდევ საფრთხეში იყო ჩავარდნილი ოსმალეთის და ირანის იმპერიების მხრივ. მიუხედავად ამისა, სტამბა შეიქმნა თბილისში 1749 წელს და სამი ათეული წლის შემდეგ სასულიერო პირმა გაიოზმა გახსნა სკოლა საქართველოს დედაქალაქში, სადაც რუსულს ასწავლიდა. სამწუხაროდ, ინტელექტუალური გამოცოცხლების ეს მომხიბვლელი ცდები შეწყდა ირანელების მიერ თბილისის დანგრევით 1795 წელს (გვ. 123). შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ „XX საუკუნის ისტორიკოსი ი. ჯავახიშვილი ერთგვარად აზვიადებს, როდესაც საუბრობს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ძლიერ აღმაფლობაზე XVIII საუკუნეში“ (გვ. 123). უფრო მეტიც, თითქოს საკუთარი წარსულისადმი ინტერესი ქართველებს უცხოელებმა გაუღვიძეს: ალ. დიუმამ, მ. ბროსემ და სხვ.

დავიწყოთ იმით, რომ ის, რომ ქვეყანა დაპყრობილია (ამ შემთხვევაში საქართველო თურქეთისა და ირანის მიერ), აფერხებს, მაგრამ ყოველთვის არ გამორიცხავს ეროვნულ თვითშეგნებას და ეროვნული კულტურის განვითარებას. ამის კარგი მაგალითია, სხვათა შორის, სომეხი ხალხი, რომელსაც დიდი ხნის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა არ უშლიდა ხელს, თუნდაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეზრუნა თავის კულტურაზე. პარადოქსია, მაგრამ დამპყრობლებში გათქვეფის შიში ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ამძაფრებს ეროვნულ თვითშეგნებას. ირანელთა და თურქთა მოძალება XVI-XVIII საუკუნეებში, ერთის მხრივ, გამოვლინდა კულტურულ

ურთიერთგაელენებში, მეორეს მხრივ, ყოველგვარი სპარსულისა და ე.ი. უცხოსაგან დაცვის აუცილებლობის შეგრძნების უკიდურესობამდე გამძაფრებაში. მთელი XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ქართული ენის დაცვა და ეროვნული მოტივის წინ წამოწევა იყო. ის, რომ იმ დროს გამოგონილი უარყოფითი მოელენად არის მიჩნეული საკუთარი თავის უკეთ შეცნობის სურვილით არის ნაკარნახევი. ღირსეულ ნაწარმოებად ქართულ ენაზე შექმნილი ის ორიგინალური ნაშრომი ითელებოდა, სადაც აწმყოსა თუ წარსულში მომხდარი ნამდვილი ამბავი იყო გადმოცემული. ხოლო ამ პრინციპის დამრღვეეი, თუნდაც ისეთი სიმაღლე, როგორიც რუსთაველი იყო, კრიტიკის ობიექტი ხდებოდა. სწორედ ამ ხანის ზოგიერთი მოღვაწის აზრით, გენიალური პოეტი ამაოდ იმიტომ დაშერა, რომ თავის პოემაში გამოგონილი ამბავი აღწერა, ხოლო გმირებად უცხოტომელები გამოიყვანა.

XVII საუკუნეში საისტორიო მწერლობის აღორძინება, რასაც საფუძველი საისტორიო პოემებით ჩაეყარა, გაგრძელდა ფარსადან გორგიჯანიძისა და „სწავლულ კაცთა“ შემოქმედებაში, რომელთაც არა მარტო ხელახლა გადაწერეს და შეაფასეს ძველი „ქართლის ცხოვრება„„ არამედ დაუმატეს მას XIV-XVII საუკუნეების ისტორია. ადრე ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნება, რა თქმა უნდა, ვერც აღა-მაჰმად-ხანის თაედასხმამ შეანელა.

საერთოდ, ისეთ ფაქიზ საკითხებზე მსჯელობისას, როგორიც ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული კულტურაა, არ უნდა იყოს გამოტოვებული ალბათ ის ფაქტი, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი„„ სტეფანე პაოლინის შედგენილი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძის დახმარებით, გამოვიდა რომში 1629 წელს. მას სხვა ქართული წიგნებიც მოჰყვა. 1705 წელს არჩილ II-მ მოსკოვის სტამბაში ქართული შრიფტით ქართული სამბეჭდაო გამართა. 1709 წელს ვახტანგ VI-მ სტამბა გახსნა თბი-

ლისში, რომელმაც 1723 წელს ოსმალთა შემოჭრამდე იარსება, მაგრამ 1737 წელს ბეჭდვის საქმე ნაყოფიერად გაგრძელდა რუსეთში. იმავე დროს იწერებოდა „ქართლის ცხოვრების“გაგრძელებები, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის საქართველოს ისტორიები. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა ისეთი მონუმენტური ნაწარმოები, როგორიცაა ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორია, ქრონოლოგიური, გენეალოგიური, გეოგრაფიული ნაწილებით და ევროპულ დონეზე შესრულებული რუკებით. ვახუშტი ბაგრატიონის აზრი მისი თანამედროვე ქართველების ეროვნულ თვითშეგნებაზე დიამეტრალურად განსხვავდება ბ-ნ რ. სიუნის წარმოდგენისაგან. XVIII საუკუნის ისტორიკოსის რწმენით, „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხს და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს „ქართველი“(ვახუშტი. - ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1974, გვ. 291).

წიგნში მოხსენიებული სასულიერო პირი გაიოზი არის ცნობილი ქართველი მოღვაწე, თელავის სასულიერო სემინარიის დამაარსებელი, რექტორი და ქართული სტამბის შემქმნელი მოზდოკში. მასვე დაწერილი აქვს ქართული ენის გრამატიკა და საქართველოს ისტორია.

მთელი ეს კულტურული და ეროვნული აღმავლობა პოლიტიკური კონსოლიდაციის ფონზე მიმდინარეობდა. ბ-ნ რ. სიუნის წიგნში ნახსენები ქართლ-კახეთის გაერთიანების გარდა 1762 წელს, უნდა აღინიშნოს 1758 წელს დადებული სამხედრო ხელშეკრულება სოლომონ I-სა და ერეკლე-თეიმურაზს შორის, რომელიც განახლდა 1773 წელს; 1790 წელს აღმოსაველეთ და დასაველეთ საქართველოს სამხედრო კავშირის გამო შექმნილი „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს„.

ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ XIX საუკუნის შუა

წლებში ვორონცოვის გამგებლობის დროს საქართველოს კულტურული ცხოვრება გააქტიურებულია, მაგრამ იმის გამო, რომ მას ფაქტები შერჩევით აქვს მოტანილი, მკითხველს ერთგვარად მრუდე წარმოდგენას უქმნის რეალურ ვითარებაზე. აქ ნათქვამია, მაგალითად, რომ ვორონცოვმა რუსული თეატრი ააშენა, მოიწვია იტალიური ოპერა (გვ. 93); 1846 წელს გამოიცა „კავკაზი“ (რუსულ და სომხურ ენებზე) და «Кавказский календарь» (გვ. 93). ცნობილია, რომ ცარიზმი ყველანაირად უწყობდა ხელს რუსული ენის გავრცელებას და დამკვიდრებას თავის კოლონიებში, მაგრამ ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცდები ყოველთვის წარმატებული არ იყო, განსაკუთრებით ძველი კულტურის ხალხებში. ადგილობრივ მოსახლეობას ბრძოლა საკუთარი თავის გადასარჩენად არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია. ეს მოძრაობა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა: შეიარაღებული აჯანყებითა თუ ეროვნულ კულტურაზე ზრუნვით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დაპყრობილი იყო, ამ ძველი მწიგნობრული ტრადიციების ქვეყანაში ქართული წიგნი, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიცემოდა.

1819 წლიდან თბილისში გამოდის „საქართველოს გაზეთი„ შემდეგ „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით. 1828 წელს თბილისში დაიწყო გაზეთ „ტფილისსკიე ვედომოსტი„-ს გამოცემა პ. სენკოვსკის რედაქტორობით და მისი ქართული ორეულის – „ტფილისის უწყებანი„-ს, ს. დოდაშვილის რედაქტორობით. 1832 წლიდან მის დამატებად გამოდის „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი„. 1838 წელს დაიწყო „ზაკაკაზსკი ეესტნიკი„-ს გამოცემა, ხოლო მისი ქართული ორეული დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოდის 1845 წლიდან „კავკასიის მხარეთა უწყებანი„-ს სახელწოდებით, პ. იოსელიანის რედაქტორობით. ქართული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი ცენტრები არსებობს იმ დროს პეტერბურგსა და მოსკოვში. აქა-იქ ბ-ნ რ. სიუნის წიგნშიც შეხვედებით თეიმურაზ ბაგრატიონის, დ. ჩუბინაშვილის, ფრანგი

მ. ბროსეს და სხვათა სახელებს. სწორედ მ. ბროსემ 1841 წელს, ზ. ფალაქანდიშვილთან და დ. ჩუბინაშვილთან ერთად ქართულ ენაზე გამოსცა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და თარგმნა ის ფრანგულ, და არა რუსულ ენაზე, როგორც ეს ბ-ნ რ. სიუნის მიაჩნია (გვ.125).

რაც შეეხება თეატრს, 1845 წელს მართლაც დაარსდა თბილისში რუსული თეატრი, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ გ. ერისთავის თაოსნობით აღორძინდა ქართული თეატრი, რომლის ტრადიციები გაგრძელდა 60-იანელების ხელშეწყობით. ეს ფაქტები წიგნში თითქმის არ არის აღნიშნული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა ეს არ იცის და სწორედ ამიტომ მისი წარმოდგენა ქართული კულტურის შესახებ აღნიშნულ ხანაში არა მარტო არასრული, არაზუსტიცაა.

საერთოდ, 418 გვერდიან წიგნში XVIII საუკუნემდე ისტორიას 59 გვერდი ეთმობა, რის შემდეგაც იწყება რუსეთის გამგებლობის ხანა. აღნიშნული მონაკვეთი ერცელია მოცულობით და ტევადია შინაარსობრივად. სწორედ აქ, ამ ნაწილში ყველაზე კარგად ჩანს ბ-ნი რ. სიუნი, როგორც დახელოვნებული პროფესიონალი, კარგი თეორიული მომზადებით, რომელსაც ხელეწიფება სხვადასხვა სახის წყაროებსა და ლიტერატურაზე მუშაობა, დიდი მასალის სისტემატიზაცია, რთულ პრობლემებში გარკვევა და, ამასთანავე, მხატერულად წერა, რის გამოც მისი წიგნი დიდი ინტერესით იკითხება.

დაწვრილებით და დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ როგორ დაინგრა რამდენიმე წელიწადში ქართული სახელმწიფოებრიობა და მასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები და შეიქმნა მართვის ახალი სისტემა, რომელმაც წარმოშვა ახალი კლასები და საზოგადოების ახალი სტრუქტურა.

წიგნის მეორე ნაწილში „საქართველო რუსეთის იმპერიაში“ შემდეგი თავებია: 1. რუსეთის გამგებლობა და ქართული საზოგადოება; 2. ემანსიპაცია და სენიორალური საქართველოს დასასრული; 3. პოლიტიკური საზოგადოების აღმო-

ცენება; 4. მარქსიზმი და ეროვნული ბრძოლა; 5. ცარისტული საქართველოს დასასრული. აქ ნაჩვენებია XIX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდგომ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარე, რუსეთთან შეერთების დადებითი და უარყოფითი მხარეები, კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მიგრაციული პროცესები, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა, პოლიტიკური მოძრაობის მიზეზები და სპექტრი. საქართველოს მოვლენები გაშუქებულია რუსეთში და კავკასიაში მიმდინარე პროცესების ფონზე და მათთან მჭიდრო კავშირში. საკითხთა ამ ფართო ქსელში საკმაოდ გამჭვირვალედ იკითხება თეზისები: ქართველი ერი ფაქტობრივად რუსეთის შემადგენლობაში და ინდუსტრიული ურთიერთობების პირობებში ყალიბდება. ქართველებს არ ჰყოლიათ ეროვნული ბურჟუაზია და ინდუსტრიალიზაცია საქართველოში და, ამგვარად, ქართველების ერად ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა ძირითადად სომხების დამსახურებაა. აღნიშნული პროცესის დაჩქარებას, ე.ი. ქართველების ერად ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სომხებთან დაპირისპირებამ. მაგრამ ქართველმა ხალხმა არ დაუფასა მათ დამსახურება. სომეხი ხალხი ქართველებს არ უყვარდათ და სდევნიდნენ მას, რაც გაგრძელდა საბჭოთა წლებშიც. ეს თემა წიგნის დიდ მონაკვეთს ლაიტმოტივად გასდევს და ავტორი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მასალით ან ზოგჯერ მის გარეშეც ცდილობს ამ აზრის დასაბუთებას.

პირველ რიგში, არაერთ ნაშრომში გავრცელებული და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის მანძილზე გაბატონებული აზრი, რომ ერად ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებაა, ყველა შემთხვევაში თავიდან შემოწმებას საჭიროებს.

ბევრის და მათ შორის ქართველი ხალხის ისტორიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი

პროცესი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოებრიობასთან. ამ თვალსაზრისით, გარდამტეხი მომენტები სწორედ სახელმწიფოს სიძლიერის ხანაში შეინიშნება. რაც შეეხება XIX საუკუნეს, ქართველი ერის კონსოლიდაციას სწორედ იმ დროს არაერთი დაბრკოლება გადაეღობა. მართალია, ქვეყანა კვლავ გაერთიანდა და შეიქმნა საერთო ბაზარი; ამასთანავე, გაჩნდა უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა რუსეთის ცენტრებში, მაგრამ, ერთი მხრივ, სოციალურ-დემოკრატიული და მარქსისტული მოძრაობა კოსმოპოლიტური სულისკვეთებით და ეროვნულის უარყოფით, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება მეგრული, სვანური, აფხაზური და სხვ. ანბანების შექმნაც იყო, ცხადია, უფრო შემაფერხებელი, ვიდრე ხელშემწყობი ფაქტორებია. ის, რომ ამ რთულ ვითარებაში მაინც გადასძლია ეროვნულმა იდეოლოგიამ, რის გამოც შეიქმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), სწორედ ეროვნული ტრადიციების სიძველის და სიცოცხლისუნარიანობის შედეგია. პარადოქსულად და ცინიკურადაც კი ჟღერს ავტორის სიტყვები, რომ თითქოს რუსეთის გამგებლობის ხანაში „საქართველომ შეიძინა ნაციონალიზმის მრავალი ატრიბუტი„ ხოლო „ქართველები სახელმწიფოებრიობისათვის მოამზადა“ (გვ. 180-181), ვინაიდან სახელმწიფოებრიობა მათ სწორედ მეფის რუსეთმა გაუუქმა, ხოლო მისი აღდგენის სურვილი ვერ გაუნელა ვერც რეპრესიებმა, ვერც უმაღლესი ფენის ნაწილის გადაბირებამ და იმპერიის სამსახურში ჩაყენებამ, ვერც ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობით მანიპულირებამ, ვერც ხელოვნური ასიმილაციის პოლიტიკამ და სხვ.

ეთნიკური დაპირისპირება ერის კონსოლიდაციის თვალსაზრისით, ცხადია, გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ ძალზე საკამათოა მოსაზრება, თითქოს საქართველოში XIX საუკუნეში სოციალურ ნიადაგზე დაპირისპირება რამდენადმე გადამწყვეტი შეიძლება ყოფილიყო ქართველი ერის ჩამოყალიბებისათვის. ასეთი დაპირისპირება, პირიქით, ეროვნული

თვითშეგნების გამოვლენა და შედეგი იყო, და არა მიზეზი.

რაც შეეხება სომხების განსაკუთრებულ მისიას საქართველოში. სომხური მოსახლეობა საქართველოში ჭარბად იყო. ეს უდავო ფაქტია. XII-XIII საუკუნეებში ჩრდილოეთ სომხეთის შემოერთებამ საქართველოსათვის სომეხი ხალხი არა მარტო ფიზიკურ მოსპობას გადაარჩინა, არამედ ხელი შეუწყო სომხური ფეოდალური საგვარეულოების აღორძინებას და მათი კულტურის შემდგომ განვითარებას. ძნელბედობის გამო სომხები მოგვიანებითაც სახლდებოდნენ საქართველოში, მაშინაც კი, როდესაც სომხეთის მიწები ჩამოსცილდა საქართველოს. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ომებისა და სხვადასხვა თავდასხმების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით მცირდებოდა, ქართველი მეფეები და მთავრები თვითონ უწყობდნენ ხელს სომეხთა ჩამოსახლებას საქართველოში და მათთვის კარგი პირობების შექმნას (დავით აღმაშენებელი, ლევან II დადიანი, როსტომი, ერეკლე II და სხვ), ვინაიდან მათში არავითარ საფრთხეს არ ხედავდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად, სომეხთა რაოდენობა მაინც არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორი შთაბეჭდილების შექმნასაც ცდილობს წიგნის ავტორი. 1800 წლისათვის სომხები საქართველოს მოსახლეობის 6,0% შეადგენდნენ, იმ დროს, როდესაც ქართული მოსახლეობაა 79,4% (ვ. ჯაოშვილი. *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში.* თბ., 1984, გვ. 79). სომხური მოსახლეობის ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი რუსეთის საგანგებო პოლიტიკამ, რომელმაც ისინი დიდი რაოდენობით გადმოასახლა თურქეთიდან (XIX ს. I ნახევარი), ხოლო მოგვიანებით (XIX ს. II ნახევარი, XX ს. დასაწყისი) ეს რიცხვი თურქეთიდან დევნილებით შეივსო. ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი. ის, რომ საქართველოს ვაჭრობაში და ხელოსნობაში მათი წვლილი დიდი იყო, ესეც არაერთხელ აღინიშნა ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში. მაგრამ წიგნში ყოველივე ეს ერთგვარად გამარტივებულად, ცალმხრივად და ტენდენციურად არის წარმოდგენილი.

ავტორი ატყობინებს მკითხველს, რომ „ურბანული კულტურა და ეკონომიკა არსებითად უცხო იყო ქართველებისათვის და მთელი ვაჭრობა და მრეწველობა ემიგრანტული ელემენტის, პირველ რიგში, სომეხთა ხელში იყო„„ რომ შრომის განაწილება ქალაქსა და სოფელში ორ განსხვავებულ ხალხს შორის ხდებოდა (გვ. 86-87). „საქართველოში, ყოველ შემთხვევაში XVI საუკუნიდან და უფრო ადრეც, კომერციული კაპიტალი ძირითადად თბილისის და გორის სომეხ ვაჭართა ხელში იყო. ებრაელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ცხინვალში, ალიში, მძოვრეთში და სხვა ადგილებში, შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ„. ამან „წარმოშვა ქართველი თავადების ფარული სიძულვილი ვაჭართა მიმართ, კიდევაც თუ მათი მეფე სომეხ მოქალაქეებს უჭერდა მხარს“ (გვ. 88-89). შემდეგ ავტორი ხაზს უსვამს კონფრონტაციას „ორ წამყვან სოციალურ და ეთნიკურ გაერთიანებას შორის - ქართველ თავადაზნაურობასა და სომეხ ბურჟუაზიას - და ამ ორი კლასიდან აღმოცენებულ ინტელექტუალურ ელემენტსა და რუს არისტოკრატიას შორის“ (გვ. 95. იგივე 139-140). „ქართველი ხალხის ეროვნული ფორმირება და მათი საკუთარი ეთნიკური თვითშეგნება, - ავტორის აზრით, - ნაწილობრივ გამოიკვეთა სხვა ეროვნებებთან კონტაქტებით და მათთან ხშირი კონფრონტაციით„. „ძირითადი მასტიმულირებელი ქართველთა თვითგამორკვევისათვის XIX საუკუნეში სომხებთან გაძლიერებული კონტაქტი იყო, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დომინირებდნენ ქართულ ურბანულ ცენტრებში “ (გვ. 114;132). აღნიშნულია, რომ საქართველოში „ლიბერალიზმს ვიწრო სოციალური ბაზა ჰქონდა, ძირითადად, სომხურ ბურჟუაზიასა და ინტელიგენციაში“ (143 გვ.). „ტრადიციული სენიორალური საზოგადოების რღვევამ და მიწის მფლობელი თავადაზნაურების დაქვეითებამ, რომელიც თან სდევდა ამ პროცესს, ტრადიციული ქართული ელიტა პოლიტიკურ იმპოტენტად აქცია. ამავე დროს, სომხური ბურჟუაზიის აღმავლობამ და კავკასიელთა დაბალი კლასების ახალმა მკვეთრმა

იზოლაციამ ქალაქების უღარიბეს უბნებში, ნაციონალისტუ რი იდეალი ერთიან სოციალურ წყობაზე კლასობრივი კონ ფლიქტების გარეშე სევდიან ოცნებად აქცია“ (გვ. 144). არა ერთხელ არის გამეორებული, რომ „ქართველები ეკონომიკუ რი კიბის ძირში რჩებოდნენ და თითქმის პოლიტიკური არე ნის გარეშე“ (გვ. 145) და სხვა.

აზრი, რომ ურბანული და სავაჭრო ტრადიციები უცხო იყო ქართველებისათვის, არც მთლად ზუსტია. შორსაც რომ არ წავიდეთ, ე.ი. უძველეს დროში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთისა და ჩრდილოეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი გზები გადიოდა, რაც ხელს უწყობდა აქ ვაჭრობის გაერცელებასაც და ქალაქების მშენებლობასაც, სპეციალურ გამოკვლევებში გარკვეულია, რომ XVII-XVIII საუკუნეების ამქრები საქართველოში ადრე არსებული ანალოგიური გაერთიანებების მემკვიდრეა (კ. კუ ცია. *ამქრები XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალა ქებში. თბ., 1984; დ. კაციტაძე. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებ თან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურ თიერთობის ისტორიიდან XVII-XVIII საუკუნეებში*, თბ. 1992).

ძველ საქართველოში ვაჭართა წოდება საკმაოდ წარმო მადგენლობითი იყო. მათ შორის იყვნენ დიდვაჭრები, ხოლო მათ საქმიანობას ვაჭართუხუცესი განაგებდა. გარდა იმისა, რომ ქულბაქები იყო ქალაქებში, მაგალითად, თბილისში (და ვით აღმაშენებლის ანდერძი 1123/24), მონასტრებს აგრეთვე თავისი ქულბაქები ჰქონდათ (მაგ. შიომღვიმის მონასტერს, ატენის სიონს). თვით დიდი ფეოდალებიც კი მიმართავდნენ ვაჭრობას, მაგალითად, კახა თორელმა (ერისთავთ-ერისთავმა და მეჭურჭლეთუხუცესმა) 1259/60 წელს ირანში იყიდა „ბაღ დადური ალაფი“ და შემდეგ საქართველოში გაყიდა, რითაც 60000 თეთრზე მეტი მოიგო. ვაჭართა გადასახადი ბაჟი სა ხელმწიფოს შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. საკმარისია, გაეცნო შესაბამის წყაროებს და დარწმუნდები, რომ ვაჭრობა არა მარტო XVI საუკუნემდე არ იყო უცხო

ქართველებისათვის, არამედ გვიან შუა საუკუნეებშიც. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია. მთებიდან ჩამოდიან სვანები. ქართლიდან მოდიან ქართლელები და ირანელები. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ„. ადამ ოლეარიუსის და იან სტრეისის თანახმად, ისფაჰანის გარეუბან ჰასანაბადში ცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, რომელთა შორის შესანიშნავი ვაჭრებიც იყვნენ, ისევე, როგორც სომხებს შორის„. ტავერნიეს მიხედვით, თავრიზში განუწყვეტელი ვაჭრობაა გაჩაღებული თურქებთან, არაბებთან, ქართველებთან, მეგრელებთან, სპარსელებთან“ (დ.კაციტაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 24, 39). პეისონელის ცნობით, თბილისში მოვაჭრე ხალხი არიან ქართველები, სომხები და სპარსელები (გ. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბ., 1982, გვ. 300). დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა თურქეთთან, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასთან, რუსეთთან, ირანთან, აზერბაიჯანულ სახანოებთან, ხოლო ბაზრობა-ქალაქობებზე თურქი ან გამაჰმადიანებული ქართველი ვაჭრები სჭარბობდნენ (Н.Бердзенишвили. *Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.)*. Тб., 1938. გვ. 6). ძალზე საყურადღებოა ბარონ როზენის ინფორმაცია, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა აქტიური იყო ვაჭრობა მთელ საქართველოში XIX საუკუნის 30-იან წლებში, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ მეგრელები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმელი მეგრელები, იმერლები, ოსები, სომხები, ებრაელები (AKAK,VIII, გვ. 183). შესაბამისი წყაროებით ირკვევა „ქართული ამქრების“ მრავალეროვნულობა. განსხვავებით მეზობელი ქვეყნებისაგან (სომხეთი, თურქეთი, ირანი), სადაც პროფესიული ჯგუფები ეროვნული ნიშნით დგებოდა, ქართულ ამქრებში გაერთიანებული იყვნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ირანელები, თურქები. XIX საუკუნეში აქ ჩნდებიან რუსები და ევროპელებიც (კ.კუცია. დასახ. ნაშრ. გვ.19, 134-137). შესაძლოა, სომეხთა წვლილი ვაჭრობასა და

ხელოსნობაში თანდათან უფრო შესამჩნევი ხდებოდა, რის გამოც ტერმინმა „სომეხი“ დროთა განმავლობაში სოციალური მნიშვნელობა შეიძინა, თუმცა თვით ტერმინი გულისხმობდა გრიგორიანობის ყველა აღმსარებელს, განურჩეველად ეთნიკური კუთვნილებისა. ამავე დროს, ქართველების ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა და სამხედრო საქმე იყო. სწორედ უკანასკნელის და ამასთანავე დახვეწილი დიპლომატიის წყალობით გახდა შესაძლებელი იმ უაღრესად რთულ გარემოცვაში სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. სოციალური სტრატიფიკაცია ეთნიკური პრინციპით საქართველოში გარკვეულ დრომდე საგანგებო პოლიტიკის განხორციელებით ეფექტური საშუალება იყო ეთნოკონფლიქტების და ასიმილაციის თავიდან ასაცილებლად.

სომეხთა რაოდენობა ქვეყანაში, როგორც უკვე აღინიშნა, თანდათან იზრდებოდა. თუ XVI საუკუნის შუა წლებში ქართველი მამასახლისის გვერდით მხოლოდ ჩნდება „მელიქის“ თანამდებობა, რომელიც სომხური მოსახლეობისათვის იხსენიებოდა, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ეს ორი თანამდებობა შეერწყა და მელიქ-მამასახლისის სახელწოდება მიიღო. თუმცა XVII საუკუნის ავტორის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „ქართლში ქართველები მრავალნი და ძრიელნი არიან და სომეხნი ცოტანი და უღონონი,,, უკვე საკმარისად არიან იმისათვის, რომ პიეტრო დელა ვალეს 1627 წელს აქაურ თავად-აზნაურებზე ეთქვა, ესენი ხელოსნობას და ვაჭრობას არ კადრულობენ, „არამედ ამისთანა საქმეების აღსრულებას უტოვებენ უცხოელებს, როგორც სომხებს, ურიებს, რომლებიც მათს ქვეყანაში ბლომად არიან“ (მ. თამარაშვილი. *პასუხად სომხის მწერლებს*, თბ., 1904, გვ. 88). მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ უკვე XVI საუკუნემდე ვაჭრობა საქართველოში მაინცდამაინც სომხების ხელში იყო. XVII საუკუნის 70-იან წლებში ერთ-ერთი კათოლიკე წერდა, რომ საქართველოში „უცხო ვაჭრები მოდიან, გარნა ბოლოს დროს სპარსელებმა ტფილისი საქართველოს დედა-ქალაქი განადი-

დეს და გააცნეს იგი სომხებით, რის გამო დაიწყო ცოტა ვაჭრობა“ (მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.* თბ., 1902, გვ. 250).

იმის გასარკვევად, თუ როდიდან იწყება სომხების აქტიურობა ვაჭრობაში, საყურადღებოა XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ფრანგი მოგზაურის ტურნეფორის ცნობა. მისი აზრით, სომხები ვაჭრებად შაჰ აბას I-მა აქცია, რომელმაც ისინი დიდი რაოდენობით გადმოასახლა სომხეთიდან და ჯერ ისფაჰანში, ხოლო შემდეგ მის ცნობილ გარეუბანში ჯულფაში დაასახლა (ჟ. პ. დე ტურნეფორი. *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში.* ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1988, გვ. 104-105).

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ქალაქები არ იყო თავისუფალი და ისინი მეფის ან ფეოდალების საკუთრებას წარმოადგენდნენ, ხოლო ძირითადი მოსახლეობა მათივე ყმები იყვნენ. ასეთი ვითარება ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა, აქტიურად ჩარეულიყო ქალაქურ ცხოვრებაში და დაერეგულირებინა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ და ეთნიკურ ფენათა ურთიერთობა. ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის სომეხი ვაჭრები აზნაურებიც ხდებოდნენ და დიდი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ, ვინაიდან ისინი საქართველოს მოქალაქენი და მისი ორგანული ნაწილი იყვნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ყველგან, როგორც წესი, სომხური წარმოშობის ქალაქის მოხელეების, ვაჭრების, ხელოსნებისა და მათი სახლის კაცების ვინაობა გვარის აღმნიშვნელი ქართული ფორმებითაა დასახელებული (ვ. გაბაშვილი. იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის. - *თსუ შრომები,* 116, თბ., 1965, გვ. 335, 336); კ. კუცია, დასახ. ნაშრ. გვ. 48), ხოლო უმრავლესობამ სომხური ენაც არ იცოდა და ქართულად ლაპარაკობდა (გ. მაისურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 285-326).

ყველა ვაჭარი, რომელიც საქართველოდან გადიოდა,

წყაროებში იხსენიება, როგორც „ქართველი ვაჭარი“ და ძნელიც არის მათი ეთნიკური წარმოშობის დადგენა, ხოლო მათ უფლებებს ქართული სამართალი და ქართველი მეფე იცავდა, ზოგიერთ შემთხვევაში მაშინაც კი, როდესაც მათი მოქმედება მაინცდამაინც არ პასუხობდა სახელმწიფო ინტერესებს. მაგალითად, 1698 წელს, როდესაც ვაჭრები და მედუქნეები გამოდიან თბილისში მეფის მფარველობის ქვეშ მყოფი ახალი კონკურენტების, კათოლიკე მისიონერების, წინააღმდეგ, მეფე და ხელისუფლება იძულებული არიან დათმობაზე წავიდნენ და შეზღუდონ კათოლიკეების საქმიანობის სფერო (მ.თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, გვ. 228-297). მეფეს, თავის მხრივ, ხელოსნების და ვაჭრების და, მათ შორის, სომხების სახით საიმედო დასაყრდენი ჰყავდა. ეს კარგად ჩანს იესე ბარათაშვილის ნაშრომიდან (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), სადაც სომეხი მოქალაქეები ებრძვიან მას ერეკლე II-ის მოწინააღმდეგის ზაალ ორბელიანის მიმხრობისათვის. ასეთმა პოლიტიკამ, ცხადია, შეუწყო ხელი საქართველოში სომეხთა წარმატებებს ვაჭრობის დარგში. საინტერესოა ზოგიერთი მეცნიერის დაკვირვება. მაგალითად, რუსი ეთნოგრაფი პროფ. პ. კოვალევსკი წერს, რომ სომხები განსხვავდებიან თავისი საქმიანობით იმ ქვეყნების მიხედვით, სადაც ცხოვრობენ და აღნიშნავს, რომ ერევნის, ნახიჭევნის, შემახის, შექის, განჯის და ორდუბადის სომხები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობას და ძალზე უმნიშვნელოდ ვაჭრობას, მხოლოდ იმდენად, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ“ (П.И. Ковалевский. *Кавказ*, I, С.П., 1914, გვ. 296). ვითარება შეიცვალა XIX საუკუნეში, მეფობის გაუქმების, ქართული ფეოდალური სისტემის რღვევის და რუსული გამგებლობის დამყარების შემდეგ. ახალმა პირობებმა ერთმანეთს დაუპირისპირა არა მარტო სოციალური ფენები, არამედ ეთნიკური ჯგუფებიც. სომხები, რომლებიც ადრე საქართველოში გაბნეულები იყვნენ (ვახუშტი ბაგრატიონი, გიულდენშტედტი), უკვე კომპაქტურ მოსახლეობას ქმნიან. მაგა-

ლითად, სამცხე-ჯავახეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად რუს მოხელეთა გადაწყვეტილებით, თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები უმრავლესობად იქცნენ (ი. ჯავახიშვილი. 1926 წელს წაკითხული მოხსენება. - *ნობათი*, 1993, 1, გვ. 63). საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში კი თურქეთიდან დევნილები ქალაქის მოსახლეობას ერწყმიან. 1897-1902 წწ. საქართველოში 55 ათასი სომეხი მოვიდა. მარტო თბილისში 1897-1910 წწ. სომხების რაოდენობა გაიზარდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე (ვ. ჯაოშვილი. *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში*, თბ., 1984, გვ. 228-9). ურჩი და ძნელად დასამორჩილებელი ქართველებისაგან განსხვავებით, რუსეთის ხელისუფლებას ისინი გარკვეულ დრომდე სანდო დასაყრდენად ჰყავდა მიჩნეული და საგანგებო პირობებს უქმნიდა მათ.

ანტიქართულმა კამპანიამ ყველა სფერო მოიცვა. 30-იანი წლების დასასრულიდან XIX საუკუნის მანძილზე სხვადასხვა მეცნიერები იმის დასაბუთებასაც ცდილობდნენ, რომ თითქოს უდარდელ და ზედაპირულ ქართველებს არც ეთნიკური თვითშეგნება ჰქონდათ და არც თავის წარსულზე უფიქრიათ, ხოლო მათი პირველი მატიანე დაიწერა XVIII საუკუნეში ძველი სომხური „ქართლის ცხოვრების“ საფუძველზე. მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა ნაშრომებში შუქი მოეფინა „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ისტორიას და დასაბუთდა ოპონენტთა შეხედულებების უსაფუძვლობა.

ყველაფერი ეს მიმდინარეობდა საქართველოში ერთგვარი დაძაბულობის ფონზე, ვინაიდან თანდათან რაოდენობრივად და უფლებრივად გაძლიერებული ამქრები მთლიანად დაეუფლნენ ბაზარს და გააქტიურეს ბრძოლა მისი შენარჩუნებისათვის. იმდროინდელ პრესაში და ოფიციალურ პირთა ჩანაწერებში კარგად ჩანს, თუ როგორ ულობავდნენ სომხები გზას ქალაქისაკენ დანარჩენ მოსახლეობას და როგორ იკა-

ვებდნენ ქართველი ან სხვა ეროვნების მუშათა ადგილს თბილისში, სადაც ადრე მთელი საქართველოს მშრომელები იყრიდნენ თავს, რომლის მიზეზი, ი. სტალინის აზრით, ის არის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის სომეხთა მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც აფერხებს ჯერ კიდევ მოუმაგრებელ ქართულ ბურჟუაზიას და ანტისომხური ნაციონალიზმისკენ უბიძგებს ამ უკანასკნელს“ (ა. სონღულაშვილი. სოფელი დიღომი საუკუნეთა კვალდაკვალ, 1995, გვ. 19,20).

ყოველივე ამის მიუხედავად, არანაირი შეტაკებები საქართველოს მოქალაქე ქართველებსა და სომხებს შორის ისტორიაში ცნობილი არ არის, თუ არ ჩავთვლით 1197 წლის ფაქტს, როდესაც რელიგიურ ნიადაგზე დაეის გამო ქართველებს თბილისში სომეხთა ტაძარი დაუწვავთ, რისთვისაც ქვეყნის მეფეს თამარს ქართველებისათვის ტაძრის აღსადგენად 100000 დინარი გადაუხდევინებია, ხოლო თითოეული კაცის სისხლის საფასურად - 1000 დინარი (Л. Меликсет-беков. О междоусобице в Тбилиси в 1197 году по поводу кривой пасхи. - *Известия Кавказского Историко-Археологического Института*, т.III, Тифлис, 1925). მართალია, აღნიშნული შემთხვევა განვითარების სხვა საფეხურზე, კერძოდ, აგრარულ საზოგადოებაში მოხდა, მაგრამ ტოლერანტიზმის მყარი ტრადიციების გამო, ეთნიკური დაპირისპირება ინდუსტრიულ საქართველოშიც საკმაოდ მშვიდობიანი ხასიათისა იყო.

არის, პირიქით, თანადგომის საინტერესო მაგალითები. 1876 წელს თბილისის თავის დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით შექმნილმა დეპუტაციამ დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს წარუდგინა თხოვნა, დაეცვათ თურქეთის სომხები (Гр.Чалхушьян. *Армянский вопрос и армянские погромы в России* (*Панисламизм*). Ростов-н-Дону, 1905, გვ.15).

თუ რატომ აღმოჩნდა საქართველოში ეაჭრობა და კაპიტალი სომხების ხელში, ამის ერთგვარ ახსნად წიგნში იკითხება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და სხვადასხვა ადგილას მოტანილი ციტატები ოფიციალურ პირთა, თუ მეც-

ნიერთა ნაშრომებიდან — გენერალ სიპიაგინისა, თუ ბარონ ანდრეი როზენის, ინგლისელი ედმუნდ სპენსერისა თუ ს. მაქსიმოვას ან პ. კოვალევსკის (გვ. 76-77, 118, 119). ყველა ამ ციტატის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორი შრომისუუნაროები, ზარმაცები, გონებაჩლუნგები, ზედაპირულები, მფლანგველები და არაპატრიოტები იყვნენ ქართველები და როგორი გონებაგამჭრიახები, შრომისმოყვარენი, ანგარიშიანები, მომჭირნეები და ქვეყანაზე მზრუნველები - სომხები. მსგავსი ციტატების ასე ამოგლეჯით მოტანა ისტორიული რეალობის აღდგენას არ ემსახურება. ავტორსაც კარგად მოეხსენება, რომ საპირისპირო ციტატების დაძებნაც შეიძლება. რად ღირს თუნდაც არქანჯელო ლამბერტის დაკვირვება, რომელიც წერს: „ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ კოლხიდელებზე, რომ სხვადასხვა ხალხი, რომელიც მოდის მათ ქვეყანაში, ასწავლის მათ მხოლოდ ბიწიერებას და ვერაგობას. მართლაც, ბერძნებს, სომხებს, თურქებს, რუსებს და აფხაზებს შემოაქვთ აქ უფრო მეტი ბიწიერება, ვიდრე სავაჭრო საქონელი“ (დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53). ან გავიხსენოთ წიგნში შოვინისტ მწერლად მოხსენიებული ვ. ველიჩკოს მიერ სხვადასხვა წყაროში დაძებნილი ინფორმაცია სომხებზე, ცხადია, არაობიექტური პიროვნების მიერ, ტენდენციურად შერჩეული მასალა და შეეუდაროთ ეს ამავე ნაშრომში ქართველების დახასიათებას. თვით ბ-ნ სიუნის მიერ დამოწმებულ ავტორებსაც ხომ ბევრად უფრო მეტი აქვთ ნათქვამი დადებითი ქართველებზე, ვიდრე - უარყოფითი. მაგრამ ნაშრომში პირველმა, სამწუხაროდ, ასახვა ვერ ჰპოვა. მაგალითად, რუსი ეთნოგრაფი პროფ. პ. კოვალევსკი ხაზს უსვამს ქართველების გარეგნულ სილამაზეს, მათ არტისტულ, პოეტურ ბუნებას, ნიჭიერებას და ამასთანავე აღნიშნავს: «Торговли не любят» (გვ. 236), «несомненно не имели своей буржуазии» მაგრამ შემდეგ აგრძელებს «ныне имеретины весьма успешно восполняют этот грузинский пробел и очень вытесняют армян в Тифлисе и как в области домовладения, так и в области торговли,

промышленности и строительства. Ещё немного времени такой борьбы и Тифлис окажется грузино-имеретинским городом». ციტატაში ნახსენები ბრძოლა, სრულიად მშვიდობიანი, იწყება მას შემდეგ, რაც მიწა, უფლება და ფუნქცია დაკარგული ქართველი გლეხობა და წვრილი თავადაზნაურობა ქალაქს მიაწყდა, სადაც მათ დახვდათ უკვე საკმაოდ მომძლავრებული სომხური ბურჟუაზია და გულქვა და დაუნდობელი სომეხი მევახშე, რომელიც ყველანაირად, ხშირად უპატიოსნო გზითაც კი, ცდილობდა ქვეყნის სიმდიდრის ხელში ჩაგდებას.

წიგნში არაერთხელ ხაზგასმული ქართველების პოლიტიკური ცხოვრების მიღმა დარჩენის ფაქტი, რასაც აქ ერთგვარი ინდიფერენტიზმის, კონფორმიზმის და უუნარობის ელფერი აქვს, ცხადია, მხოლოდ მართვის სადავეებს შეიძლება გულისხმობდეს. ამ თვალსაზრისით, დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობლების უპირატესობა სრულიად ბუნებრივია. მაგრამ ქართველების პოლიტიკური აქტიურობა ახალ ვითარებაში სხვა მიმართულებით წარიმართა, პოლიტიკურ პარტიებში, შემდეგ რუსეთის დროებით მთავრობაში, ამიერკავკასიის სეიმში, ხოლო მოგვიანებით ფედერაციისა და საკავშირო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში.

ნაშრომის 134 გვერდზე 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიამ 1878 წელს შემოიერთა „ბათუმის ირგვლივ მდებარე ისტორიული ქართული რეგიონი, ისევე როგორც ყარსისა და არდაჰანის მხარეები, რომლებსაც სომხები განიხილავდნენ როგორც თავის ისტორიულ მამულს“ (იხ. აგრეთვე გვ. 284, 285). არტანის საკითხი არც ისე მარტივია. არტანის მხარის ქალაქი, რომელსაც ქაჯთა ქალაქი, შემდეგ ჰური, ხოლო უფრო მოგვიანებით ერუშეთი (IV 4 ს.) ეწოდებოდა, ლეონტი მროველის ცნობით (XI ს), მცხეთოსის ძემ ჯავახოსმა ააგო. ფარნავაზის დროს (ძვ. წ. III ს.) არტანი, კოლა და ჯავახეთი წუნდის საერისთაოს შეადგენდნენ. მირიან მეფის დროს (IV ს.) ერუშეთში ეკლესიის შენება დაიწყო. კონსტანტინემ მისცა

მირიანს ქრისტეს სამსჭვალნი, რომლებიც ერუშეთში იყო, ვახტანგ გორგასალმა (V ს. მეორე ნახევარი) ერუშეთის საეპისკოპოსო დააარსა. ერუშნელი ეპისკოპოსი არტანის მხარის მღვდელმთავარი იყო. თამარის სამეფოში (XII-XIII სს.) არტანში სანაპირო საერისთავო იყო, ხოლო მოგვიანებით ის სამცხის ათაბაგთა სამთავროში შედიოდა. ერუშნელი ეპისკოპოსი, რომელიც არტანის მღვდელთმთავარი იყო, იხსენიება აგრეთვე XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხაში. XVI საუკუნეში თურქებმა არტანი ორ ნაწილად დაყვეს - დიდ არტაანად, რომელიც გურჯისტანის ვილაიეთში შევიდა და პატარა არტაანად, რომელიც ყარსის ეიალეთის შემადგენლობაში იყო. 1878 წელს არტანი რუსეთს შეუერთდა. 1918 და 1921 წწ. ის ორჯერ მიიტაცა თურქეთმა და ამჟამად მის შემადგენლობაშია (არტაანი, - ქსე. I, თბ., 1975, გვ. 586-7). XVII საუკუნის თურქი ავტორის ქათიბ ჩელების ცნობით („ჯიჰან-ნუმა„) დიდი არტაანიც და პატარა არტაანიც ახალციხის ეიალეთშია მოთავსებული, ხოლო ნაშრომის ჩანართში, რომელიც აბუ ბექრ იბნ ბაჰრამს ეკუთვნის, პატარა არტაანი ყარსის ეიალეთშია, მაგრამ, ამავე ავტორის აზრით, თვით ყარსის ეიალეთი ქართულია“ (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ., 1978, გვ. 138-139. არტაანის შესახებ დავა იხ. ვ. ნოზაძე. *საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო*, თბ., 1989, გვ. 69-73).

მოკლედ, მაგრამ არსებითად სწორად არის გაშუქებული I მსოფლიო ომში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პოზიცია. მაგრამ აქ უკვე შეინიშნება ქართველების დადანაშაულების ერთგვარი ტენდენცია ინერტული პოლიტიკის და იმის გამო, რომ მათ არ დაუჭირეს მხარი სომხებს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში. ამ იმთავითვე განწირულ ავანტიურაში თვით სომხეთი რუსეთმა მოტყუებით ჩაითრია, როცა დაპირდა მათ დამოუკიდებლობას და ავტო-

ნომიას რუსეთის ფარგლებში, რაც, სხვათა შორის, წიგნში აღნიშნული არ არის (იხ. გვ. 178-179). მართალია, აქ ნათქვამია, რომ „რუსეთის მთავრობამ მისცა თბილისის თავს ხატისოვს 245.000 რუბლი მოხალისეთა რაზმების შესაქმნელად“ და აღნიშნულია, თუ როგორ „მწარედ გაუცრუვდათ სომხებს რუსეთის პოლიტიკის იმედი“ („როდესაც 1916 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა აღმოსავლეთ ანატოლია, მას შემდეგ, რაც ოსმალეთის მთავრობამ სომეხთა გენოციდი მოაწყო, რუსი მოხელეები სერიოზულად განიხილავდნენ გეგმას „სომხეთი სომხების გარეშე„), მაგრამ უფრო მეტად ყურადღება იმაზეა გამახვილებული, თუ როგორ ღრმავდებოდა უფსკრული სომხებსა და ქართველებს შორის. ბ-ნ რ. სიუნის აშკარად არ მოსწონს ქართველების მოქმედება აღნიშნულ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანის მოღვაწეების და მოვლენების მონაწილეების მოგონებებში ქართველების გაწონასწორებული პოლიტიკა, რომლის გატარება ძალზე რთული იყო, შეფასებულია როგორც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი საშუალება (ი. ჯაფახიშვილი. 1926 წელს წაკითხული მოხსენება: ნ. ჟორდანია. *ჩემი წარსული*, თბ., 1990, გვ. 71). არ შეიძლება არც იმ ფაქტის იგნორირება, რომ ფრთხილი პოლიტიკის მიუხედავად, ქართული ნაწილები და ქართული ოფიცრობა ამ ომში იბრძოდნენ და ზოგჯერ წარმატებითაც.

ნაშრომის III ნაწილში „რევოლუციური და საბჭოთა საქართველო„, რომელიც შემდეგ თავებს მოიცავს — 1. რევოლუცია და რესპუბლიკა, 2. ბოლშევიკური საქართველო, 3. სტალინის რევოლუცია, 4. სტალინიზმი საქართველოში, 5. საქართველო და საბჭოთა ნაციონალისტური პოლიტიკა სტალინის შემდეგ, 6. ქართული გზა დამოუკიდებლობისაკენ- ქართველების მუხანათობის და სომხების მტერთან პირისპირ დატოვების თემა ღრმავდება. ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც 1918 წლის დასაწყისში რუსეთის არმია წავიდა ფრონტიდან, „თებერვლის დასაწყისში თურქეთის ჯარმა ომამდელი საზღვრის გადაკვეთა დაიწყო და სერიოზული საფრთხე შე-

ექმნათ კავკასიის ხალხებს. ერთადერთი, ვინც მას წინააღმდეგობა გაუწია, არარეგულარული სომხური ნაწილები იყო“ (გვ. 191). ცხადია, ავტორი გულისხმობს იმას, რომ ამ ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელები და ქართველები. რუსეთის ჯარების წასვლის შემდეგ ფრონტის დაცვა მართლაც სომხების ხელში აღმოჩნდა, ვინაიდან საომარი მოქმედებები სომხეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და იმის გამოც, რომ ცოტა ადრე რუსების დახმარებით მხოლოდ მათ მოახერხეს შეიარაღებული ნაწილების შექმნა, თუმცა რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არც მათ შეეძლოთ. თურქებმა ადვილად დაამარცხეს სომხური ახლადშექმნილი ნაწილები და აიღეს ერზინჯანი, ბაიბურთი, მამახათუნი და ერზერუმი (ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრ, გვ. 16). სპეციალური კომისიის, კერძოდ, გენერალ გერასიმოვის მონაცემებზე დაყრდნობით, იმ ამბების მომსწრე პ. გელეიშვილი (ყარიბი) დეტალურად მოგვითხრობს არზრუმის უბრძოლველად დატოვების შესახებ და მოაქვს ჯარის მეთაურის გენერალ ანდრანიკის სიტყვები: «Я очутился среди предателей и изменников. Прошу освободить меня от назначенной вами должности начальника сводного армянского отряда навсегда»... არზრუმში დარჩენილ მცირერიცხოვან დამცველთა შორის იგი ასახელებს სომეხ ოფიცერ აკოპიანს, პოლკოვნიკ ალექსანდროვს, კაპიტან მიკულინს, რამდენიმე რუს ოფიცერს და ოთხ ქართველს - მდივანს, ზუხბაიას და კიდევ ორ პირს გვარად ხუციშვილს. სომხური ნაწილების ასეთი საქციელი მას ახსნილი აქვს სომხების თურქებთან და ქურთებთან ტყვედ ჩავარდნის განსაკუთრებული შიშით მათ შორის არსებული სიძულვილის გამო“ (П. Гелашвили (Кариби). О «Красной книге» гр. Чалхушьяна. Тб., 1920, с. 193-197).

საერთოდ, წიგნის ამ მონაკვეთში ბ-ნ რ. სიუნის ყურადღების ცენტრში უფრო მეტად სომხები ექცევიან. სწორედ მათ თანაუგრძნობს ავტორი, როდესაც გვაცნობებს, რომ,

თუმცა მათ მოახერხეს (1918 წლის აპრილში) ერევნის დაპყრობის თავიდან აცილება, მაგრამ „მალე მიტოვებული აღმოჩნდნენ ქართველების და აზერბაიჯანელების მიერ„„ ქართველებმა „მიიღეს გერმანელების მიერ შემოთავაზებული დახმარება და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს“ (გვ. 192). ქართველების დანაშაული სომხების წინაშე ამ მოკლე ინფორმაციიდან ნათელი არ არის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1918 წლის 9 აპრილიდან მიმდინარე ომში, რომელიც ოფიციალურად 13 აპრილს დაიწყო, ქართულ-სომხური მოხალისე რაზმები ერთად იბრძოდნენ თურქეთის რეგულარული ჯარის წინააღმდეგ. თურქებმა დაიკავეს ოზურგეთი, ბათუმი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე, ხოლო 20 მაისს უკვე ლორესა და თბილისისაკენ მიიწევდნენ (ვ. ნოზაძე, გვ. 26-29; ზ. ავალიშვილი. *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლებში. საერთაშორისო პოლიტიკა*. გვ. 43). თუ აქ იგულისხმება კავშირი გერმანელებთან, არსებობს მონაცემები, რომ პირველად ამის აუცილებლობა იმ წერილში აღინიშნა, რომელიც ბათუმის დელეგაციის ხელმძღვანელის სახელზე სეიმის დაშნაკცუთიუნის ფრაქციამ გამოგზავნა (1918 წ. 18.V) «Если охрана не будет германская, немедленно в Эриванской губернии вспыхнет пожар армяно-татарской резни». თუმცა ნათელი იყო, რომ გერმანელების დახმარება უანგარო არ იქნებოდა, გერმანელთა დელეგაციის ხელმძღვანელის ფონ-ლოსოვის წინადადებას, თურქებთან შუამავლობის შესახებ, აქტიურად მხარი სწორედ სომხებმა დაუჭირეს, რაც ჩანს სხდომის ჩანაწერიდან (П. Гелашвили, (Кариби), გვ. 220-225). გენერალ ფონ-ლოსოვის აზრითაც, გერმანიას უნდა მიეხედა მხოლოდ საქართველოსა და სომხეთისათვის, რომელთა წარმომადგენლებმა დახმარებისათვის მიმართეს მათ“ (ზ.ავალიშვილი, გვ. 93). ასეთი ნაბიჯი ერთადერთი გამოსავალი იყო შექმნილი ვითარებიდან, ვინაიდან დღის წესრიგში იდგა საქართველოს და განსაკუთრებით

სომხეთის და სომეხი ერის ფიზიკური გადარჩენის საკითხი„„ რომელმაც გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო„„ - ირაკლი წერეთლის სიტყვებით, - მაგრამ იძულებული გახდა თავისი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი მტრისათვის მიეცა“ (ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრ. 32).

ძალზე გამარტივებულად არის წიგნში წარმოდგენილი 1918 წლის ქართულ-სომხური სამხედრო კონფლიქტი, „ამიერკავკასიიდან თურქული ჯარების გასვლის შემდეგ, ქართულმა ძალებმა დაიკავეს ჩრდილოეთ ლორეს ნაწილები და ახალქალაქი და სომხები დაიძრნენ სამხრეთ ლორესა და ბამბაკისაკენ. ტერიტორიული დავის შესახებ მშვიდობიანი გადაწყვეტილების ცდები ჩაიშალა და 1918 წლის დეკემბერს დაიწყო ბრძოლები“ (გვ. 202). ამავე დროს, აქ დაწერილებით არის ჩამოთვლილი რეპრესიული ღონისძიებები, რომელსაც, ავტორის ცნობით, მიმართეს ქართველებმა სომხების მიმართ — „გაზეთების დახურვა, ქალაქის სათათბიროს დაშნაკი დეპუტატების დაპატიმრება, ფულის გამოძალვა სახელმწიფოს უშიშროების საბაბით“ (გვ. 202). გასაგებია, რომ ბ-მა რ. სიუნიმ სრულიად შეგნებულად აარიდა თავი ამ არცთუ სასიამოვნო გვერდს ორი მეზობლის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიიდან. ტერიტორიული პრეტენზიები სომხების მხრიდან არ იყო ახალი. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომამდე, მათ მოითხოვეს ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა და გუმბრთან შეერთება. სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობა სომხები იყვნენ, რამდენიმე სხდომაზე განიხილა ბორჩალოს საკითხი და მიზანშეუწონლად ცნო მისი დაკმაყოფილება (1913 წ.). ასეთივე შედეგით დასრულდა ახალქალაქის საკითხზე მსჯელობაც (1914).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღნიშნული პრობლემები მწვავედ დაისვა. სომხების აზრით, ტერიტორიის დაყოფას საფუძვლად ეთნიკური პრინციპი უნდა დასდებოდა და ამის გასატარებლად ისინი სხვადასხვა ხერხს მიმართავ-

დნენ. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა სომხეთის ფანტასტიური რუკები, რომელთაგანაც ერთ-ერთზე სომხეთის ფარგლებშია ბათუმი, ვინაიდან ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი სჭირდებოდა, ახალციხე, მცხეთა და თბილისი, ხოლო მეორეზე – ბათუმი და ახალციხე საქართველოშია, ახალქალაქი – სომხეთში. თურქებისაგან ხსნის იმედით სომხური რაზმები დენიკინსაც მიემხრნენ, რომელიც, როგორც ცნობილია, აქტიურად იბრძოდა აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთის საქართველოდან ჩამოსაცილებლად (ი. ჯავახიშვილი. 1926 წელს წაკითხული მოხსენება. ნ. ჟორდანია. *ჩემი წარსული*, გვ. 114. ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42-47). ქართველები მოითხოვდნენ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, ანუ თბილისის გუბერნიის საქართველოდ ცნობას, თუმცა, თანდათან სულ უფრო მეტად იხრებოდნენ დათმობისაკენ. მათი ინიციატივით მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობის ნაცვლად, სომხებმა სრულიად მოულოდნელად დაიწყეს საომარი მოქმედება (Армяно-грузинский вооруженный конфликт. Баку, 1919; Из истории армяно-грузинских отношений 1918 г. Тифлис, 1919; ს. კილაძე ერთი ომის დოკუმენტური ქრონიკა ანუ რა მოხდა 1918 წლის დეკემბერში – *ახალგაზრდა იველიელი*, 1990, მაისი, 22-24-29).

რაც შეეხება თითქოსდა რეპრესიებს სომხების მიმართ, ამის შესახებ მოვუსმინოთ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, რომელიც საკმაოდ თვითკრიტიკულია: „არ ვიცავდით ყველა ფორმის თავისუფლებას, არც პრესის, არც აგიტაციის. ის გაზეთები, რუსული და სომხური, რომელნიც ჩვენს დამოუკიდებლობას არ იცავდნენ, დავხურეთ და სამაგიეროს გამოცემის ნება არ მივეცით. პრესა იყო თავისუფალი მხოლოდ დამოუკიდებლობის და დემოკრატიის ბატონობის ფარგლებში. ვინც ამ ორ ძირითად დებულებას ებრძოდა, ის იდევნებოდა. მამულები ჩამოვართვით, მაგრამ მათ პატრონებს ყოველნაირ შეღავათებს ვაძლევდით და სახელმწიფო სამსახურში ფართო კარებს ვუღებდით, მონასტრების სამღვდელოებას ფულით ვეხმარებოდით„. რა თქმა

უნდა, ის, რაც აქ არის ნათქვამი, ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპებს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ დროს საქართველო ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაშია. ახლადშექმნილ სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის, ერთი მხრივ, თურქეთი, მეორე მხრივ, თეთრი და წითელი რუსეთი, რასაც ემატება სხვა მეზობლების ტერიტორიული პრეტენზიები და ძალზე რთული საშინაო ვითარება.

„ყველა ერის ინტერესებს თანასწორად ვიცავდით, - გაიგრძობს ნ. ჟორდანია – ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით. აუცილებელი შეიქმნა შინაგანი ზავი, ერთა უმცირესობის დედაერთან ქართველობასთან სოლიდარობა, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, რაიცა შესრულებულ იქნა არა ცარიელი პროპაგანდით, არამედ შესაფერი უფლებების გათანასწორებით. არც ერთ ერს არ წამოუყენებია ასეთი მოთხოვნები, რომელიც არ ყოფილიყო დაკმაყოფილებული. ამით აიხსნება ის იშვიათი მოვლენა, რომ წმინდა სომხებით დასახლებულ ახალქალაქის მაზრაში არჩევნების დროს სომხურმა ნაციონალურმა პარტიამ დაშნაკმა მიიღო გაცილებით ნაკლები ხმა, ვინემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ“ (ნ. ჟორდანია, გვ. 104, იხ. აგრეთვე ვ. ნოზაძე, გვ. 60). არჩევნების შედეგებს არაერთი წყარო ადასტურებს. რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ ახალქალაქის მაზრა მხოლოდ სომხებით იყო დასახლებული, ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს. 1886 წლის აღწერის მიხედვით, ახალქალაქის მაზრაში, რომელიც მოიცავდა ჯავახეთს, დღევანდელ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, 59496 სულიდან 6617 - რუსი, 691 – ქურთი, 42301 - სომეხი, 6081 ქართველი და 3690 – სხვები იყვნენ (Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893). ფართო უფლებებს სთავაზობდა ეროვნულ უმცირესობებს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომელიც წიგნში საერთოდ არ იხსენიება. ავტორი არა მარტო არ არკვევს სიმართლეს ამ შემთხვევაში, ყველანაირად

განუმტკიცებს მკითხველს წარმოდგენას ქართველებზე, როგორც გამოუსწორებელ შოვინისტებზე. (223 გვ.). იგი კვლავ უბრუნდება საქართველოს დამოუკიდებლობის წლებს და ხაზს უსვამს „სომხების მიმართ მტრობის გამოცდილებას„ მიუხედავად იმისა, რომ წყაროები სულ სხვაგვარად აშუქებს მოვლენებს.

საკმაოდ უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს ნაშრომში წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში 1921 წლის თებერვალში (გვ. 209). ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები სამხრეთით თურქებთან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ან თბილისის მისადგომებთან რუსებთან თავგანწირული ბრძოლები, რომელშიც, ჯარის გარდა, თითქმის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა და რის გამოც დაგეგმილი 19 თებერვლის ნაცვლად ქალაქში შესვლა 25 თებერვალს მოხერხდა. მხოლოდ ალყაში მოქცეულ თბილისში დიდი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად იქნა მიღებული ქალაქის დატოვების ძალზე მძიმე გადაწყვეტილება.

საქართველოს ხელახალი დაპყრობა რამდენიმე წინადადებით არის გადმოცემული, თუმცა სრულიად ნათელი სიმბოლიკით, მენშევიკები გარბიან და თავის მომხრეებს უბარებენ დაიცვან დედაქალაქი, გარბიან ჯარისკაცებიც და ყრიან იარაღს, ხოლო ქალაქის დამცველებად კვლავ რჩებიან სომხები, მაგალითად, 10 წლის გურგენ მირზოევი და მისი ძმა, რომლებიც სათუთად ახვევენ გაქცეული ქართველების თოფებს ტილოში და ფლავენ თავის ეზოში. ათი წლის გურგენ მირზოევმა „გაიგო, რომ სასოწარკვეთილმა მენშეევიკმა ლიდერებმა სიტყვით მიმართეს თავის მიმდევრებს დაეცვათ დედაქალაქი ოკუპანტებისაგან, ვიდრე ქალაქს დატოვებდნენ. როდესაც მათ გაქცეული ჯარისკაცები მიყვნენ, რომლებიც ყრიდნენ იარაღს, გურგენმა და მისმა ძმამ რუბენმა აკრიფეს შაშხანები, ფრთხილად გაახვიეს ტილოში და ჩაფლეს თავის ეზოში“ (გვ. 209). საესებით გასაგებია ამ შემთხვევაში ავტორის ემოცია, ვინაიდან ამ ეპიზოდის გმირი გურგენ მირზოევი

მისი მამაა, მაგრამ რა ვუყოთ მკითხველს, რომელიც ამ სურათის მიხედვით ვერავითარ წარმოდგენას რეალურ ვითარებაზე ვერ შეიქმნის.

საბჭოთა წლებში საქართველოში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ბევრი უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ აქ, ავტორის წარმოდგენით, შედარებით უკეთესი პირობები იყო. ქვეყნის სათავეში მყოფი ი. სტალინი და ლ. ბერია აძლევდნენ მას საჩუქრად ტერიტორიებს, უბრუნებდნენ მის ეკლესიას ავტოკეფალიას, ინდობდნენ რეპრესიების წლებში (მაგ. 1933-1934 წწ. გვ. 267), იცავდნენ ქართულ ენას და ლიტერატურას და ყველანაირად უწყობდნენ ხელს მის განვითარებას. ასეთი პოლიტიკით გასაქანი მიეცა ქართველების შოვინიზმს და შეუგუებლობას ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, რომელთა შორის ავტორი დაჟინებით ასახელებს აჭარლებს (გვ. 290, 318, 321), თუმცა თვითონვე განმარტავს ერთ-ერთ სქოლიოში, რომ „აჭარლები მუსლიმანი ქართველები არიან და აქვთ თავისი საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში, მაგრამ ქართველები ირწმუნებიან, რომ ქართველებსა და აჭარლებს შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავებაო...“ (გვ. 399).

განსაკუთრებით დაჩაგრულები კი აქ ისევ სომხები ჩანან. „ვინაიდან საქართველო კულტურულად უფრო ქართული გახდა სტალინის პერიოდში, არაქართველი უმცირესობები ამისთვის საფასურს იხდიდნენ. სომხები, განსაკუთრებით ის ინტელექტუალები, რომლებიც ადრე თბილისს იყენებდნენ როგორც სომხურ კულტურულ ცენტრს, აიძულეს გადასულიყვნენ ერევანში. სომხური კულტურული ძეგლები, განსაკუთრებით თვალსაჩინო მათ შორის სომეხ მწერალთა პანთეონი ხოჯევანქში, დახურეს. სხვა უმცირესობები აგრეთვე შეეიწროებული აღმოჩნდნენ. როდესაც სსრკ-ს მუსლიმანი ხალხების არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით, ხოლო შემდეგ კირილიცით, შემოღებულ იქნა ახალი აფხაზური ანბანი ქართულის საფუძველზე“ (გვ. 282).

დაეიწყოთ უკანასკნელი ცნობით. უკვე X ს-ზე ადრე აფხაზეთში ღვთისმსახურების ენა – ბერძნული შეიცვალა ქართულით, რომელიც სამწერლობო ენად რჩებოდა XIX ს-შიც. პირველი აფხაზური ანბანი კირილიცის საფუძველზე შექმნა რუსმა მეცნიერმა, გენერალმა პ. უსლარმა 1862 წელს, ვინაიდან, რუსეთში შემუშაებული აზრის თანახმად, „აფხაზური დამწერლობის შექმნა არა თვითმიზანი, არამედ ეკლესიის და სკოლის საშუალებით ქართულზე მოთხოვნილების შესუსტების საშუალება“ იყო (ე. ვეიდენბაუმი). მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზური ბგერების გადმოცემა რუსული ანბანით ძნელად ხერხდებოდა, გაკეთდა მისი გამარტივების რამდენიმე ცდა. მაგალითად, 1892 წელს სწაველულმა კ. მაჭავარიანმა და კლასიკური აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელმა დ. გულიამ შექმნეს ამ ანბანის ახალი ვარიანტი. შემდეგ ცნობილი ენათმეცნიერი ნ. მარი შეეცადა იგივე გაეკეთებინა ლათინურის საფუძველზე, მაგრამ არც ეს ცდა გამოდგა დამაკმაყოფილებელი, რის შემდეგაც 1938 წელს დ. გულიამ ქართველი მეცნიერების ა. შანიძისა და ს.ჯანაშიას დახმარებით შეადგინა ახალი აფხაზური ანბანი ქართული ასოებით. 1954 წელს შეიქმნა ახალი აფხაზური ანბანი კელავ რუსული ანბანის გამოყენებით. მთელი ეს ისტორია წიგნში, რა თქმა უნდა, არ არის გადმოცემული. აქ ნახსენებია მხოლოდ ქართული ანბანის შემოღება და საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ ქართულ 33 ასოს 6 ახალი დაუმატეს, ამ აქტის არაბუნებრიობის ხაზგასასმელად. თუმცა ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა მანიპულაცია დასჭირდა იმავე მიზნით რუსულ ანბანს, რატომ იყო კირილიცა უფრო ბუნებრივი აფხაზური ენისათვის, რომლის ფონეტიკა ბევრად უფრო ახლოა ქართულთან, ან რატომ იყო აფხაზებისათვის ქართული ანბანის შემოღება, რომლითაც ისინი საუკუნეების მანძილზე ნებაყოფლობით სარგებლობდნენ, უფლებების მეტი შეზღუდვა, ვიდრე, მაგალითად, რუსული ანბანის იძულებით შემოღება.

284 გვ-ზე ნათქვამია, რომ „1943 წელს სტალინმა უბრძა-

ნა აღედგინათ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია„. ასეთი განცხადების გაკეთებისას აჯობებდა ალბათ უშუალოდ დოკუმენტის მითითება, თუ კი ასეთი არსებობს. მოტანილი ცნობა საეჭვოა, ვინაიდან უზუსტობას შეიცავს და კომენტარს მოითხოვს.

I. საქართველოში არასოდეს შერიგებიან 1811 წელს რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, მუსლიმანთა მრავალსაუკუნოვან ბატონობას გადაურჩა. დიდი ხნის ბრძოლამ შედეგი გამოიღო მხოლოდ 1917 წლის 12 მარტს, როდესაც სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადებული ქართული ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთის დროებითმა მთავრობამ ორჯერ დაადასტურა. მაგრამ იმავე წლის 14 ივლისს, სინოდმა დააკანონა მსოფლიო ეკლესიის მიერ უკანონოდ მიჩნეული ფილეტიზმი, ე.ი. ავტოკეფალია არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული პრინციპით (კალისტრატე ცინცაძე. *ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში.* გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მიხ. ქავთარიამ. თბ. 1994, გვ. 266-267). ამდენად, 1917 წლის ავტოკეფალიის აღდგენის გადაწყვეტილება, რაც ბ-ნ რ. სიუნის წიგნში საერთოდ არ არის აღნიშნული, არავის არ გაუუქმებია, თუმცა კი მისი მოქმედება შეზღუდული იყო და მხოლოდ ქართველებზე ვრცელდებოდა.

II. გასაბჭოების შემდეგ სასულიერო ფენა და მორწმუნეები განსაკუთრებით განიცდიდნენ რეპრესიებს, ვინაიდან მათთვის საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა (ი. კვესელავა. ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში 1921-1925 წწ. - მაცნე, ისტორიის სერია, 1979, 1, გვ. 73-84). მართალია, ოფიციალურად რელიგია აკრძალული არ იყო, სხვადასხვა დროს მაინც იხურებოდა და ინგრეოდა ეკლესიები, მათ შორის ვანქის, თბილისში, ახლანდელ თავისუფლების მოედნის მახლობლად ბაზრის მიდამოებში, იქ, სადაც ამჟამად სომხური სკოლაა. არც მასთან ერთად გა-

უქმებული სომხების სასაფლაო იყო გამონაკლისი, საიდანაც ზოგიერთი მიცვალებული ხოჯევანქის სასაფლაოზე გადაასვენეს, რომელიც ამჟამადაც მოქმედია. იგივე ბედი იმ ხანებში ქალაქის ცენტრებში მდებარე სხვა სასაფლაოებსაც ეწია, მაგალითად, ვერის, რომლის დანგრეული საფლავების ქვებითაც შემდეგ სადგურისკენ მიმავალი ქუჩა ააშენეს.

მართალია, 1939 წლიდან სტალინ-ჰიტლერის პაქტის შემდეგ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა შეიცვალა, სრულ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ვინაიდან იმ პერიოდში სტალინმა ზოგიერთი ტერიტორიის ანექსია გადაწყვიტა, დასავლეთზე შთაბეჭდილების მოხდენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. ამაზე მიზნით გადაიდგა ნაბიჯები ეკლესიის მისამხრობად. ომის დროს ეკლესიის მეთაურებმა მხარი დაუჭირეს მთავრობას, უკანასკნელმა კი სასულიერო პირებს პეტერბურგისა და მოსკოვის დაცვისათვის ჯილდოები დაურიგა. გახსნეს ეკლესიათა გარკვეული რაოდენობა და მოამარაგეს ისინი ზეთით ხატების ნათურებისათვის. მოსკოვის რადიომ შემოიღო რელიგიური საათების გადაცემა. დაიწყეს შეზღუდული რაოდენობით რელიგიური წიგნების ბეჭდვა და აღდგომის აღნიშვნის ნებაც დართეს. იმ წლებში გახსნეს ისლამური რელიგიური აკადემიები ბურსასა და ტაშკენტში. მუსლიმანებს ყურანის გამოცემის, ხოლო მათ ერთ-ერთ ჯგუფს მექის მონახულების ნება მიეცათ (David E.Pomell. *Antireligious Propaganda in the Soviet Union. A study of Mass Persuation*. Cambridge, Massachusetts and London, 1975, p. 29.) სწორედ ამ ტალღაზე იქნა მიღებული 31.X 1943 წლის აქტი, რომლის თანახმად, რუსეთის ეკლესიამ პირველად ოფიციალურად ცნო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა ფილეტიზმის გარეშე. საერთო ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცნობა ორაზროვან შთაბეჭდილებას ტოვებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ი. სტალინის ქართულ წარმოშობას.

ასევე საერთო კონტექსტის გარეშეა მოტანილი 289 გვ-

ზე ინფორმაცია კავკასიის ზოგიერთი ხალხის – ჩეჩნების, ინგუშების, ბალყარების, ყარაჩაების, ყალმუქების, ვოლგის გერმანელების, ყირიმელი თათრების, ხოლო საქართველოდან მესხეთის თურქების იძულებითი გადასახლების შესახებ. აღნიშნულია, რომ აპირებდნენ აფხაზების გადასახლებასაც (სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია სათანადო დოკუმენტი და წიგნიდან არა ჩანს, რამდენად სანდო მასალას ეყრდნობა ავტორი. მაგრამ ასეთი ცნობის მოტანისას არ იქნებოდა, ალბათ, უადგილო წიგნში სადმე არც იმის აღნიშვნა, რომ ნ. ხრუშჩოვის წლებში ქართველების გადასახლების იდეაც გაჩნდა). ნათქვამია, რომ ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქიდან საქართველოს შემოუერთეს ტერიტორია, როგორც ქლუხორის ოლქის ნაწილი, სადაც 2000-ზე მეტი ქართველი იქნა ჩასახლებული, 1943 წლის დეკემბერს. ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა, 1944 წელს. საქართველოს იმ დროს ჩეჩენ-ინგუშთა ავტონომიური რესპუბლიკის ნაწილიც შემოუერთეს. მაგრამ არ არის აღნიშნული, რომ საქართველო გამონაკლისი არ იყო და გადასახლებულთა ტერიტორიები სხვებსაც მიუერთეს. თუმცა სხვებისგან განსხვავებით, ქართველებმა, როდესაც რეაბილიტირებულები სამშობლოში დაბრუნდნენ, ნებაყოფლობით დაუტოვეს მათ საკუთარი სახლები პირუტყვით და საქართველოში წამოვიდნენ. კარგი იქნებოდა, ბ-ნ რ. სიუნის ამ დროებით უსამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად, რომელიც 1956 წელს ისევ შეიცვალა, ისიც აღენიშნა, რომ საბჭოთა წლებში საქართველომ სამუდამოდ დაკარგა თავისი ტერიტორიის 18.498,59 კვ.კმ. (ლ.თოიძე. *ინტერვენციაც. okupaციაც ძალდატანებითი გასაბჭოებაც. ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის.* თბ., 1991, გვ. 197), ხოლო მის დარჩენილ 69,7 ათას კვ.კმ-ზე სამი ავტონომიური ერთეული იყო შექმნილი. წიგნში არაფერია ნათქვამი მათი გაჩენის მიზეზებსა და ვითარებაზე, მაგრამ ხაზგასმული და გაკრიტიკებულია საქართველოს რესპუბლიკის ცენტრის ჩარევის ფაქტები მათ

შინაურ საქმეებში (გვ. 305,308).

საქართველოს დემოგრაფიული სურათის წარმოჩენისას ბ-ნ რ. სიუნის მთელი ყურადღება გადააქვს 1959 წლის და შემდგომ აღწერაზე, სადაც შეინიშნება ქართველების პროცენტული ზრდა. აქ მხოლოდ რბილად არის აღნიშნული, რომ ქართველი ერის დემოგრაფიული კონსოლიდაცია წაბორძიკდა სტალინის წლებში და რომ 1897 წლიდან ქართველების კლების ტენდენცია შეინიშნებოდა. სხვათა შორის, აქ მოტანილი 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები — ქართველები - 66, 3%, სომხები -9,2%, რუსები - (გვ. 299) — მთლად ზუსტი არ არის. უფრო დასაბუთებული მოსაზრებით, ეს ციფრებია 69,4%, 10,3%, 5,3% (ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 112). მაგრამ წიგნში მოტანილი ცხრილებიც კი არ ადასტურებს აგრესიულ ქართულ ნაციონალიზმს, რომელზედაც ავტორი ბევრგან საუბრობს (გვ. 289,298). ბ-ნ რ. სიუნის წიგნში წარმოდგენილი 1897, 1926, 1939, 1959, 1970, 1979 წლების ცხრილი საქართველოს დემოგრაფიული ვითარების სრულ სურათს ვერ ქმნის და თვით ავტორის განცხადებას იმის შესახებ, რომ სომეხთა და რუსების ხვედრითი წონა ეცემოდა, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება.

დავუბრუნდეთ ციტატას იმის შესახებ, რომ „საქართველო კულტურულად უფრო ქართული გახდა სტალინის პერიოდში“ (გვ. 282), „რომ საქართველო ქართველების პრივილეგიების დაცვის ადგილი იყო„„ სადაც „სომხები, აფხაზები, ოსები, აჭარლები, ქურთები, ებრაელები და სხვ. ბიუჯეტის წილისათვის შეჯიბრში გაცილებით არახელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ“ (გვ. 290). იგივე გაგრძელდა შემდეგაც (გვ. 305-318).

მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა იზრდებოდა იქ ჩასახლებული სომხების, ბერძნების, რუსების და გერმანელების ხარჯზე. ქართველების ხვედრითი წონა ქვეყნის მოსახლეობაში საგანგაშოდ მცირდებოდა. ეს

ტენდენცია XX საუკუნეშიც გაგრძელდა. 1800-79,4, 1832-75,9, 1865-73,8, 1886-72,4, 1897-69,4, 1926-66,8, 1939-61,4 XX საუკუნის 30-იან წლებში მიგრაცია განსაკუთრებით ინტენსიური იყო. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდნენ რუსები, უკრაინელები, ოსები. გაიზარდა სომხების რიცხვი ძირითადად სომხეთის რესპუბლიკიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე. ბერძნების, ებრაელებისა და აზერბაიჯანელების რიცხვის ზრდას მათი ოჯახების ტრადიციული მრავალშვილიანობა განაპირობებდა. 1939 წლისათვის პირველად ისტორიის მანძილზე ქართველები თავის ქვეყანაში 2/3-ზე ნაკლები აღმოჩნდნენ (ვ. ჯაოშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 140-14). პარალელურად, 1939 წლის ჩათვლით, თითქმის ყველა აღწერა გვიჩვენებს სომხების და რუსების ხვედრითი წონის ზრდას, რომელთა წინააღმდეგ ავტორის მცდარი წარმოდგენით, განსაკუთრებით იყო მიმართული ქართული ნაციონალიზმი (გვ. 289, 298, 309,318). 1800-6,0; 1832-9,4; 1865-9,5; 2,0; 1886-10,5; 2,6; 1897-10,3; 1926-11,5; 3,6; 1939-11,7; 8,7; (ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 79,112,139).

წიგნი შავ ზღვაზე არ წარმოადგენს ზღვის ისტორიას და მისი ავტორი არ არის ისტორიკოსი, თუმცა ისტორიულ ექსკურსებს აქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს არის მგზავრის ჩანაწერები, შეკრებული ხოგიერთი წერილობითი წყაროს ცნობით, თვითმხილველთა მონათხრობით, ავტორის ბიოგრაფიული მონაცემებით და მისი მსჯელობით, და მაინც წიგნი არ არის მგზავრის უბრალო ჩანაწერები. აქ მკითხველი იგებს, რომ ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება შავი ზღვის მიმართ იმით არის გამოწვეული, რომ მამამისი, 18 წლის ბიჭი, იმ ბრიტანული გემის გარდმარინი იყო, რომელსაც 1920 წელს ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვების შემდეგ ნოვოროსისკიდან დამარცხებული დენიკინის თეთრი არმია გაჰყავდა. მრავალი წლის შემდეგ, 1991 წლის აგვისტოში, ბიზანტინოლოგთა კონგრესზე რუსეთში ყოფნისას ავტორი აღმოჩნდა პუტჩის მოწმე, რასაც სსრ კავშირის დაშლა მოჰყვა. ხოლო ამ ორ მოვლენას შორის მთელი ეპოქაა მოქცეული - საბჭოთა კავშირის ისტორია. ამიტომ წიგნის შინაარსი ბევრად სცილდება შავ ზღვას. ავტორის ინტერესის საგანი ხდება სახელმწიფოს დაშლის მიზეზები, მიგრაციები, ასიმილაციური პროცესები, ურთიერთობები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, დაპირისპირება სხვადასხვა დონეზე, უმცირესობების ბედი, რომლებსაც ჰქონდათ ან არ ჰქონდათ თავისი საკუთარი პოლიტიკური მმართველობა, ეროვნული პოლიტიკა სახელმწიფოში, კონფლიქტები სსრ კავშირის დაშლის შემდეგ და სხვადასხვა ხალხების კულტურების თანაარსებობის პერსპექტივა, ერების ჩამოყალიბების პროცესი და ნაციონალიზაციის პრობლემა ძალზე მკაფიოდ არის კონცენტრირებული შავი ზღვის ირგვლივ. ნილ ასჩერსონი დასაწყისშივე აცხადებს, რომ მისი მიზანი არ იყო შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყნის მიმოხილვა, საგანგებოდ, თურქეთს, ბულგარეთს და რუმინეთს ნაკლები ყურადღება მიექცათ, ვიდრე ისინი იმსახურებენ. იგი მოიყვლის ყირიმს, ოდესას, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს, სადაც, მისი განმარტებით, პონტოელი ბერძნები ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ არის ლაზური მოსახლეობა, ხოლო მისი გზის დასასრულს „პაწაწინა აფხაზეთია“, რომელიც „საქართველოს მხოლოდ 1992 წელს გამოეყო“. „მე შეეცადე შემეფასებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობის რეალობა და არარეალობა ყოველივე იმის საწინააღ-

მდეგოდ, რაც მანამდე მოგზაურობისას შეეიტყვე", - წერს ნილ ასჩერსონი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს აინტერესებს არა იმდენად შავი ზღვისპირეთში მდებარე სახელმწიფოები, რამდენადაც აქ დასახლებული ხალხების და ერების ბედი. ამასთანავე, ერის ან ნაციის ის გაგება, რომელიც იკითხება წიგნში, ერთგვარად განსხვავდება ამჟამად ნაციონალიზმის პრობლემატიკაზე არსებული ლიტერატურაში გაბატონებული აზრისაგან, რომელიც ნაციას ახალი ისტორიის კუთვნილებად მიიჩნევს. ნილ ასჩერსონის შეხედულებით, ნაციები ნებისმიერ სახელმწიფოზე ბევრად უფრო ადრე არსებობდნენ, მათ შორის ნაცია-სახელმწიფოებზე და იარსებებენ მაშინაც, როდესაც ნაცია-სახელმწიფოები ისტორიას ჩაბარდება. ასეთი მიდგომიდანაც გამომდინარე სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა წიგნში ნაციის ჩამოყალიბების საქმეში იგნორირებულია. სახელმწიფო აქ ფაქტობრივად განიხილება როგორც ძალადობის მექანიზმი და ერთმანეთის გვერდით მცხოვრები და ერთმანეთის მიმართ მტრულად და უნდობლად განწყობილი ხალხების შემაკავშირებელი ძალა. სახელმწიფო, ავტორის აზრით, ჰომოგენურობით, ერთი ხალხით, ხელს უწყობს ასიმილაციის პროცესებს და მიმართულია მრავალფეროვნების წინააღმდეგ. იგი პატარა ერებისა და მათი თვითგამორკვევის თავგამოდებული მომხრეა და იბრძვის მათ გადასარჩენად. ამიტომ მთელი მისი სიმპათია მცირერიცხოვანი ხალხების მხარეზეა. ამავე მიზეზით იგი უპირისპირდება ყველას, ვინც, მისი აზრით, ელობება პატარა ერებს და ცდილობს მათ ასიმილაციას. მათ რიცხვში, ავტორის წარმოდგენით, არიან ქართველები, რომელთა მიმართაც ავტორის არცთუ კეთილი განწყობა სრულიად გამჭვირვალეა მთელ მის ნაშრომში.

შავი ზღვისპირეთზე მსჯელობისას საქართველო, როგორც შავ ზღვის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, საერთოდ გამორჩენილია. წიგნში პრიორიტეტულია შავიზღვისპირეთის პოლიეთნიკურობის თემა სხვადასხვა ეპოქაში.

პოლიეთნიკურობის იდილიურ სურათს, ავტორის აზრით, აქ მხოლოდ ქართველები არღვევენ, რომლებიც მუდამ სხვისი მიწის დაპატრონებას, მათთვის კულტურის წართმევას და მათ ასიმილაციას ცდილობდნენ.

წიგნის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველის მობილიზება გაქრობის პირას მდგომი კულტურების გადასარჩენად. ძალზე კეთილშობილური მიზანია, მაგრამ საინტერესოა, როგორია ავტორის მუშაობის და კვლევის მეთოდები, წყაროები, მისი ცოდნა ამა თუ იმ საკითხზე და ობიექტურობა?

„შავი ზღვა" რამდენიმე წლის მანძილზე იწერებოდა. თუმცა მისი შექმნის იდეა, როგორც ავტორის შემდეგ გაუცნობიერებია, მას ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში გასჩენია, შავ ზღვაზე მიხეილ როსტოვცევის კლასიკური ნაშრომის გაცნობის შემდეგ „ირანელები და ბერძნები სამხრეთ რუსეთში". ავტორი ასახელებს კიდევ რამდენიმე წიგნს და ავტორს, რომელთა გავლენაც მას განუცდია და განსაკუთრებით გამოყოფს ტომ ნაირნს, ნაციონალიზმის პრობლემების ცნობილ მკვლევარს. აღსანიშნავია, რომ კონსულტანტების სიაში, სადაც დიდი პატივისცემით არიან დასახელებული ენტონი ბრაიერი - ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯორჯ პიუიტი - ლონდონის აღმოსავლეთმცოდნეობის და აფრიკათმცოდნეობის სკოლის დოქტორი, რამდენიმე რუსი და უკრაინელი მეცნიერი, მათ შორის მუზეუმების დირექტორები, გერმანელი მეცნიერი ეოლფგანგ ფოიერშტაინი, ვერ ვხვდებით ვერცერთ ქართველს. ამ არცთუ შემთხვევითმა ფაქტმა აშკარად მოახდინა გავლენა ავტორსა და მის წიგნზე. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ავტორს საგანგებოდ მხოლოდ აფხაზები და აფხაზეთი აინტერესებს, სადაც ის ომის დასრულების შემდეგ ჩავიდა, შეხვდა და ესაუბრა ოფიციალურ პირებს, ასევე უბრალო ხალხს და ამ ცალმხრივი ინფორმაციით შეიქმნა წარმოდგენა არა მარტო კონფლიქტზე, არამედ კუთხის წარსულსა და აწმყოზე. ამგვარად, წიგნის წერას ის უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებებითა და განწყობილებით

შეუდგა და ეს არცთუ ობიექტური მიდგომა და განწყობილება წიგნის სხვადასხვა ადგილას იჩენს თავს.

ავტორის ყურადღების ფოკუსში ექცევა ყველა ის ხალხი, ვინც სხვადასხვა დროს რეპრესიები განიცადა სსრკ-ში. ეროვნულ პოლიტიკაზე მსჯელობისას არაერთხელ ახსენებს სახელმწიფოს მეთაურებს იოსებ სტალინს და ლავრენტი ბერიას, რომელთა უშაუალო ხელმძღვანელობითაც ხორციელდებოდა წლების მანძილზე ეს უსამართლო აქციები. ავტორი მათ მიმართ აშკარად და სრულიად სამართლიანად უარყოფითად არის განწყობილი, მაგრამ ძნელია დაეთანხმო მას, როდესაც ის ცდილობს ეს მოქმედებები ლიდერების ეთნიკური და ეროვნული კუთვნილებით ახსნას, რომლებიც ნაშრომში იხსენიებიან როგორც „დიდი ქართველი“ ან „ყველაზე გამოჩენილი მეგრელი“, ვინაიდან იმ წლებში თვით ამ მეთაურების თანატომელები არანაკლებ ჩაგვრას განიცდიდნენ და ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი. საერთოდ, ხალხების დეპორტაციის პრაქტიკა რუსეთის იმპერიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ბევრად უფრო ძველი, ვიდრე დასახელებული პირების მოღვაწეობის წლები, რაც, ნაწილობრივ, ამ წიგნშიც გამოჩნდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩრდილოეთ კავკასიელებისა და ყირიმელების ბედი გასულ საუკუნეში, რომელთა დიდ ნაწილს სამშობლოდან წასვლა მოუხდა. შეიძლება გავიხსენოთ ვოლგისპირეთის გერმანელების გადასახლების გეგმაც, რომელიც ჯერ კიდევ I-ლი მსოფლიო ომის დროს გაჩნდა. ლენინის დროს დაწყებული რეპრესიები შემდგომშიც გაგრძელდა და მისი აქტიური გამტარებლები იყვნენ ძერჟინსკი, იაგოდა, ეჟოვი, რომლებსაც ბევრად მეტი სისხლი ჰქონდათ დაღვრილი, ვიდრე სტალინს და ბერიას, რაც, ცხადია, უკანასკნელთა დანაშაულს არანაირად არ ამსუბუქებს.

ერთ-ერთი შეხვედრა ქართველებთან მკითხველს წიგნის იმ ნაწილში უხდება, სადაც ავტორი 1949 წლის 14-15 ივნისის ღამეს ბერძნების გადასახლების შემზარავ ამბავს გადმოსცემს: თუ როგორ მოხდა 100000 კაცის გასახლება რამდე-

ნიმე საათში და მათი გამგზავრება დახურული მატარებლებით, სადაც ბევრი მათგანი დაიღუპა. ავტორი სვამს შეკითხვას, რა იყო ამის მიზეზი, და დასძენს, რომ ზუსტი პასუხი ამ შეკითხვაზე არც დღეს არსებობს, თუმცა თვითონ ამის ერთ-ერთ ახსნას ქართველების ინტრიგასა და შურში ხედავს. არაერთხელ არის გამეორებული, რომ გადასახლებული ბერძნების სახლებს და კარ-მიდამოს სწორედ ქართველები დაეპატრონენ და, ამგვარად, ხელოვნურად გაზარდეს ქართული მოსახლეობის რიცხვი აფხაზეთში. აქვე მოტანილია ნაწყვეტი ფაზილ ისქანდერის რომანიდან „სანდრო ჩეგემიდან“, სადაც ერთ-ერთ აფხაზს სთავაზობენ ასეთ მიტოვებულ სახლს ორი ღორის ფასად, მაგრამ მას შემდეგ, რაც სანდროს მამა, სოფლის პატრიარქი, განუმარტავს თავის შვილს, თუ რატომ არ შეიძლება ამ სახლში შესვლა, ის ამაზე უარს ამბობს. „ადრე თუ სისხლის ამღები თავის მტერს მოკლავდა, ის მის ტანსაცმლის ღილსაც კი არ ახლებდა ხელს, მიიტანდა გვამს მტრის სახლთან, დადებდა მიწაზე და დაუძახებდა ოჯახს, რომ წაეყვანათ მიცვალებული“. „შენ შეგიძლია იყიდო ის სახლი, მაგრამ მე იქ ფეხს არასოდეს დაუდგამ და არც შენ გადმოგიშვებ ჩემი სახლის ზღურბლზე“, - ეუბნება მამა შვილს. ამ მხატვრული ნაწარმოების ციტირებით, რასაც ნაკლებად აქვს კავშირი რეალობასთან, ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებაში ავტორს სიმპათია-ანტიპათია თავიდანვე აშკარად არის გაცხადებული.

საქართველოს კიდევ ერთი ხსენება, აგრეთვე, არცთუ სასიამოვნო კონტექსტში ადასტურებს ავტორის მყარ წარმოდგენას ქართველებზე. ჟურნალისტი იხსენებს, თუ როგორ გაძარცვეს სამხედრო ფორმიანმა მძარცველებმა თურქეთიდან ნაცაჭრით მომავალი მგზავრები აქ, ქობულეთთან. მართალია, იგი შენიშნავს, რომ ისევე, როგორც საეაჭრო გზების უმრავლესობა, ეს გზაც სახიფათოაო, მაგრამ წიგნში მოტანილი კონკრეტული მაგალითი მხოლოდ საქართველოსთან არის დაკავშირებული და, ცხადია, მკითხველსაც ამ ქვეყნისადმი

შესაბამისად განაწყობს. ამასთანავე შევნიშნავთ, რომ წიგნის ავტორის მოგზაურობისას ეს გზა მართლაც სახიფათო იყო. თუმცა საქართველოსათვის ეს არცთუ ბუნებრივი ვითარება, რაც მოჰყვა აქ სამოქალაქო ომს, ძველი სახელმწიფოს ნგრევას და ახლის დამკვიდრებას, დიდხანს არ გაგრძელებულა და ამჟამად წესრიგი და უსაფრთხოება აქ დიდი ხნის აღდგენილია.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ლაზების პრობლემაზე. იგი სამართლიანად თვლის, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები და ჰემშინები არ არიან თურქები, ისინი უძველესი ეთნოსები არიან. მათ აქვთ თავიანთი სალაპარაკო ენები, რაც არ არის თურქული. მათ აქვთ საკუთარი მითები, ჩვეულებები, ჩაცმის მანერა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ლაზები ავტორს არ მიაჩნია ადგილობრივ მოსახლეობად და იგი მსჯელობს იმაზე, თუ როდის უნდა გადმოსახლებულიყვნენ ისინი დასავლეთ საქართველოდან. მისი ვარაუდით, ლაზების დიდმა ნაწილმა დატოვა თავისი ქვეყანა კოლხეთი და კავკასია არაბთა შემოსევების შედეგად, დაახლოებით 1000 წლის წინ, შუა ბიზანტიურ პერიოდში, ხოლო მოგვიანებით, 1864 წლის შემდეგ, როდესაც „რუსეთმა საბოლოოდ გატეხა კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტომების წინააღმდეგობა“ და დასახლდა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქვე ავტორი შენიშნავს, რომ მცდარია ზოგიერთი ლაზის წარმოდგენა, თითქოს ისინი ტრაპიზონის ჩრდილო-აღმოსავლეთით დასავლეთიდან გადმოსახლდნენ. აქვე საუბარია მათი გაქრობის საფრთხეზე თურქეთში. მაგრამ, როგორც ირკვევა, ავტორს განსაკუთრებით აღელვებს საქართველოში დარჩენილი ლაზების ბედი. იგი სწორედ შენიშნავს, რომ ლაზური ქართველურ ენათა ოჯახს ეკუთვნის, რომელიც შეიცავს აგრეთვე ქართულს, მეგრულს და სვანურს. მიუთითებს, რომ მეგრული განსაკუთრებით ახლოსაა ლაზურთან. როგორც ჩანს, ორივე ხალხი მეზობლად ცხოვრობდაო დაახლოებით 1000 წლის წინათ, „შავი ზღვის“ აღმოსავლეთ ნაპირზეო. ერთიანი კოლხური

ნაცია, ავტორის აზრით, არასდროს არსებულა. აქ მოტანილია სტრაბონის და სხვა ანტიკური წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ დიოსკურიის ბაზარზე 70-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობდნენ (თუმცა აღნიშნული ცნობა დიოსკურიაში ჩასულ ხალხსაც გულისხმობს) და ნათქვამია, რომ პოლიეთნიკურობის ტრადიცია ამ ტერიტორიაზე ამჟამადაც გრძელდებაო. მაგრამ, ნილ ასჩერსონის დაკვირვებით, ეს განსხვავება და, მათ შორის, ლაზების, ისევე როგორც მეგრელების, ქართულ პოლიტიკოსებს და ინტელექტუალებს აღაშფოთებს. ავტორის აზრით, ისინი შეცდომით მიიჩნევენ, რომ ქართული მათი მშობლიური ენაა. ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური უფრო დიალექტებია. საწინააღმდეგო არგუმენტები და ცდები - შეუქმნან ამ ენებს დამწერლობა და გრამატიკა - იხშობა, როგორც რუსეთის პოლიტიკა, რომლის მიზანია ქართული კულტურის დაყოფა და დამოუკიდებლობისათვის ძირით გამოთხრა. ავტორის ინფორმაციით საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა გააფთრებული დავა ქართულსა და მეგრულ ენებზე - უნდა ისწავლებოდეს თუ არა მეგრული სკოლებში და თუ უნდა ისწავლებოდეს, რომელი დამწერლობით და არის ეს საერთოდ ენა, თუ ქართული გლეხური ჟარგონი? შემდეგ ავტორი დიდსულოვნად აცხადებს, რომ მისთვის ადვილი გასაგებია (კიდეეაც თუ არ არის მისაღები) ქართული კულტურული იმპერიალიზმი და ქართული პარანოია სეპარატისტულ მოძრაობაზე საქართველოში, რაც საგანგებოდ არის გაღვივებული შორეული მოსკოვიდან. უფრო შესაშფოთებელია, ავტორის აზრით, მეგრული ინტელექტუალებისა და პოლიტიკოსების გააფთრებული მონაწილეობა ბრძოლაში იმის წინააღმდეგ, რომ მათი საკუთარი ენა ამაღლდეს სალიტერატურო ენამდე. აქ მაგალითად დასახელებული არიან „რევოლუციამდელი მეცნიერი თედო ჟორდანია“ და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ავტორის აზრით, ორივე თავდადებული ქართველი პატრიოტები იყვნენ, რომლებისთვისაც ყველაფერი, სწრაფი და ტოტალური ასიმილაციის

გარდა, გაერთიანებული ქართველური დანიშნულების ღალატს ნიშნავდა. აქვე მოტანილია ლავრენტი ბერიას მაგალითი, საქართველოს კომპარტიის თავკაცის 30-იან წლებში და სტალინის საიდუმლო პოლიტიკის უკანასკნელი, ყველაზე საშინელი უფროსის, „ყველა მათგანზე უფრო ცნობილი მეგრელის“. „მან ამოწყვიტა ქართველი ინტელიგენციის ნაღები და აგრეთვე მათი ოჯახები, მაგრამ არც საკუთარი ხალხისადმი გამოუჩენია სიყვარული. პირიქით, მის დროს მეგრული კულტურის ქართულთან ინტეგრაცია დაჩქარდა“, - აღნიშნავს ნილ ასჩერსონი.

გერმანელი მეცნიერის ეოლფგანგ ფოიერშტაინის მოღვაწეობა, რომელიც არ არის არცერთი უნივერსიტეტის ჰერ-პროფესორი და არც ჰერ-დოქტორი, მაგრამ ძალზე დაკავებულია იმით, რომ ქმნის ნაციას და კერძოდ ლაზურს, ავტორის განსაკუთრებულ პატივისცემას და აღფრთოვანებას იწვევს. იგი ყვება, თუ როგორ შეუქმნა ამ დაუღალავად მოღვაწე პიროვნებამ ლაზებს ანბანი, შემდეგ სახელმძღვანელო, თუ რა ხიფათისა და დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა ამ გზაზე და რა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას გაქრობის პირას მდგომი პატარა ხალხისათვის. მთელი ეს ისტორია თავდება ციტატებით ჯ. ჰიუიტის ნაშრომიდან, რომელიც ასაბუთებს მეგრელებისათვის დამწერლობის შექმნის აუცილებლობას, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბიხურის მსგავსად, მას დაღუპვას უწინასწარმეტყველებს. იმავე აზრს იმეორებს ნილ ასჩერსონი ლაზური ენის შესახებაც, რომელიც დამწერლობის გარეშე გაქრება და მასთან ერთად „პატარა, მაგრამ უნიკალური ხალხის გული შეწყვეტს ცემას“. მისი დაკვირვებით, ფოიერშტაინისათვის, ისევე როგორც ჰიუტისათვის, მეცნიერი არ არის ფოტოაპარატი და მეცნიერის მოღვაწეობა გაქრობის პირას მყოფი კულტურის წინაშე არა მარტო ის არის, რომ აღწეროს, არამედ დაუპირისპიროს კეთილგონიერება და თქვას: „ეს დასასრული არ არის გარდაუვალი. არის გადარჩენის გზა და მე შემიძლია მასზე მიგითითო“. ამას ემატება

ინფორმაცია, რომ 1994 წლის დამდეგს ახალგაზრდა ლაზებმა სტამბოლში გამოსცეს ჟურნალი „ოგნი“, დაწერილი თურქულად და ლაზურად. მისი რედაქტორი დაპატიმრებულია და ელის გასამართლებას სეპარატიზმის ბრალდებით. ჟურნალის მეორე ნომერი რამდენიმე კვირის შემდეგ გამოიცა. ის უფრო მკაფიოდ, ვიდრე მანამდე, მოუწოდებდა ბოლო მოღებოდა ლაზური კულტურის ასიმილაციას. ერთ-ერთმა გამომცემელმა თქვა: ახალი ერა დაიწყოო“.

მთელ ამ მსჯელობაში, რომელიც ასე დაწვრილებით გადმოვეცით, არის რაციონალური მარცვალი და კეთილშობილური მიზნებიც, მაგრამ გარდა იმისა, რომ ინფორმაცია დღეისათვის ნაწილობრივ მოძველებულია, თვალშისაცემია სხვადასხვა ხალხების განვითარების თავისებურების აშკარა უგულებელყოფა.

ავტორი იცნობს ჰერდერის კონცეფციას სოციალურ განვითარებაში ენის გადამწყვეტი როლის შესახებ, აღნიშნავს, სხვათა შორის, რომ აქ განსხვავებულობა და განსაკუთრებულობა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ პრაქტიკაში არასწორად იყენებს ამ ცოდნას. მას წარმოდგენა არა აქვს და არც უნდა, რომ ჰქონდეს ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიაზე და ქართული ენის როლზე ამ პროცესში; რომ მეგრული და სვანური ლინგვისტური თვალსაზრისით დამოუკიდებელი ენებია, მაგრამ სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებს უთანაბრდება; რომ სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ქართველი ხალხი ინსტინქტურად გრძნობდა ლიტერატურული ქართული ენის მნიშვნელობას, შეძლებისდაგვარად შეჰქონდა თავისი წვლილი მისი განვითარების, გამდიდრების და დაცვის საქმეში, სათუთად გამოატარა საუკუნეებში და ხან „ქებათა ქება“ უძღვნა, ხან კი არცთუ დიდი ხნის წინ ძეგლიც კი დაუდგა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ცნობილ ტრიადაში, რომელიც ქართველ ხალხს უძველესი დროიდან გადარჩენის აუცილებელ პირობად მიუჩნევია - „ენა, მამული,

სარწმუნოება“ პირველ ადგილზე ილია ჭავჭავაძემ სწორედ ენა დააყენა, გაითვალისწინა რა ხანგრძლივი და მყარი ტრადიცია. ის, რასაც ნ. ასჩერსონი „ქართულ კულტურულ იმპერიალიზმს“ უწოდებს, საესებით მისაღები აღმოჩნდა საქართველოს ყველა კუთხისათვის საუკუნეების მანძილზე, ხოლო მათთვის დამატებით დამწერლობის შექმნის ცდები ყოველთვის გარედან მომდინარეობდა. საერთოდ, ქართველების, მეგრელების და სვანების ვითომდა „განსხვავებულობა“ პირველად რუსეთის ხელისუფლებამ შენიშნა და მე-19 ს. მეორე ნახევარში მსოფლიო პროცესების კვალდაკვალ საქართველოში ეროვნული თვითგამორკვევისაკენ სწრაფვის ვითარებაში დაიწყო „ზრუნვა“ ქვეყნის სხვადასხვა კუთხისათვის განსხვავებული ანბანის შესაქმნელად. თუმცა, ამ ცდებმა არა მარტო „ინტელექტუალების“ და პოლიტიკოსების, არამედ ნებისმიერი კუთხის წარმომადგენლების ოდნავი მხარდაჭერაც ვერ ჰპოვა და პირიქით - წინააღმდეგობას წააწყდა. მანამდე კი შუა საუკუნეებში სამეგრელოს მთავრის კანცელარიაში საქმისწარმოება ქართულ ენაზე ხდებოდა და სწორედ აქ შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი. ასეთივე ვითარება იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დეცენტრალიზაციის ხანაშიც კი. ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიის არმცოდნე ავტორისათვის ყოველივე ეს, ცხადია, გაუგებარი და აუხსნელი დარჩა.

არ არის სწორი ბრიტანელი ავტორი, როდესაც ლაზებს თურქეთში დღევანდელი დასახლების ადგილზე 1000 წლის წინ მოსულებად თვლის. მან არ იცის, რომ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, ანტიკური წყაროების მიხედვით, მეგრულ-ჭანური მოსახლეობით იყო დასახლებული, ხოლო თვით ლაზები ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ახ. წ. მიჯნის ავტორთან მემნონთან არიან მოხსენიებული, ძვ. წ. I საუკუნის 80-იან წლებში მითრიდატეს ომებთან დაკავშირებით.

ჩვენ სრულიად არ გვინდა დავამციროთ ვოლფგანგ ფოიერშტაინის კეთილშობილური მისია ლაზური ენის გადარჩე-

ნის საქმეში, მაგრამ გვინდა შევახსენოთ ნილ ასჩერსონს, რომ გერმანელი მეცნიერი არ იყო პირველი, რომელმაც ლაზური ენის შესწავლა დაიწყო და ამ საქმეში პრიორიტეტი ქართველ მეცნიერებს ეკუთვნის. ჯერ კიდევ 1907 წელს, ლაზური ტექსტების შესწავლის მიზნით, ამ მხარეში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა და შექმნა ნაშრომი (Н. Марр, Грамматика чанского языка - СПБ, 1910). 1917 წელს ლაზეთში სპეციალურად იმოგზაურა მეორე ქართველმა ენათმეცნიერმა იოსებ ყიფშიძემ, რომლის ჩანაწერები დღემდეა შემორჩენილი. მონოგრაფია ჭანურ-მეგრულ ფონეტიკას მიუძღვნა სერგი ჟღენტმა, რომელმაც ჭანური ტექსტები გამოსცა. დღეს ლაზურ ენაზე წარმატებით მუშაობენ გ. კარტოზია, ნ. ქუთელია და სხვები. არანაკლები ყურადღება ექცევა ლაზების ეთნოგრაფიასაც. გვინდა შევახსენოთ ჩვენს ავტორს, რომ ლაზური დამწერლობა ქართული ანბანის ბაზაზე, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება ამ ქართველურ ენას, დიდი ხანია შექმნილია და მას ხელახალი გამოგონება არ სჭირდება. ყურადღების გარეშე არ არის დატოვებული არც მეგრული ენა. გამოქვეყნდა მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სისტემატურად ქვეყნდება ენათმეცნიერული გამოკვლევები და ტექსტები. იგივე შეიძლება ითქვას სვანურ ენაზეც.

აფხაზეთისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში ძალზე მოკლე ისტორიული ექსკურსი მკითხველს თითქმის ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ შეუქმნის მხარის წარსულზე. აქ ვერ ნახავთ რაიმე მინიშნებას კუთხის სახელმწიფოებრივ ან ეკლესიურ კუთვნილებაზე, მიგრაციულ ტალღებზე ჩრდილოეთიდან გვიან შუა საუკუნეებში, რომელიც მე-19 საუკუნეშიც აქტიურად გაგრძელდა და რამაც მთლიანად შეცვალა აქ დემოგრაფიული და კულტურული ვითარება, საზღვრის მოძრაობაზე. ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ საზღვარმა აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ენგურზე (რის შესახებაც ინფორმაციას წიგნში რამდენჯერმე ვხვდებით), მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულს და ისიც დროებით გადაინაც-

ელა, რასაც მოჰყვა ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი, ძირძველი ქართული მოსახლეობის ნაწილის თურქებზე ტყვედ გაყიდვა, ხოლო ნაწილის განდევნა. ადგილზე დარჩა მხოლოდ დაახლოებით 15-20%, რომელიც, დღევანდელი გალის რაიონის გამოკლებით, თითქმის მთლიანად გააფხაზდა. მანამდე კი საზღვარი ჯერ ანაკოფიასთან, მოგვიანებით - კელასურზე, ხოლო შემდეგ ღალიძგაზე გადიოდა. თუმცა, ფაქტობრივად, არც XVIII საუკუნიდან გადიოდა საზღვარი მდინარე ენგურზე, რადგანაც მდინარე ენგურისა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია, ე.წ. სამურზაყანო, თითქმის ყოველთვის სამეგრელოს სამთაეროში შედიოდა. მხოლოდ 1867 წელს, სოხუმის ოლქის შექმნის შემდეგ, საბოლოოდ შევიდა მასში, მოგვიანებით კი - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც თანამდებობის თუ სხვა პრივილეგიების მოსაპოვებლად მიმდინარეობდა ქართველების გააფხაზების პროცესი. არაფერი ეს ავტორმა არ იცის. ამიტომ გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ ქართველები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ 1864 წლის შემდეგ გაჩნდნენ, ძალით დაიკავეს რა ხან აფხაზი მუჰაჯირების, ხან კი დეპორტირებული ბერძნების ადგილები.

ბრიტანელ ჟურნალისტს საერთოდ მცდარი წარმოდგენა აქვს მხარის დემოგრაფიულ ვითარებაზე. მისი აზრით, სოხუმში, ისევე როგორც გუდაუთაში, გაგრაში, ოჩამჩირესა და სხვა ქალაქებში აფხაზები უმცირესობად იქცნენ და რომ სოხუმში ქართველები მხოლოდ ბერძნების გასახლების შემდეგ (1949 წ.) გაჩნდნენ. საკმარისი იყო, ავტორს ჩაეკითხა ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ ჩატარებული აღწერის მონაცემები და დარწმუნდებოდა, რომ ვითარება სხვაგვარი იყო. კერძოდ, 1886 წლის აღწერის თანახმად, სოხუმში, რომელიც იმ დროისათვის პატარა დასახლება იყო, დომინირებული მოსახლეობა იყო რუსები - 119, ქართველები - 112, ბერძნები - 93, სომხები - 53 და სხვა. იმ დროისათვის იქ მხოლოდ 3 აფხაზი ცხოვრობდა. ხოლო მთლიანად სოხუ-

მის ოლქში ქართველები შეადგენდნენ 41,7%, აფხაზები 30,4% (ეს რიცხვი ხელოვნურად არის გაზრდილი სამურზაყანოში მცხოვრები ქართველების ხარჯზე) ბერძნები - 13,2%, სომხები - 10,5% და სხვა. ის, რომ სოხუმი ქართული ქალაქი იყო, ამას პიეტრო ჯერალდის, სებასტოპოლისის, იმავე სოხუმის კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ, კენტერბერიის არქიეპისკოპოსის და ინგლისის იერარქებისადმი 1330 წელს მიწერილი წერილიც ადასტურებს. XIII-XV სს. ევროპული წყაროებით კარგად ჩანს, რომ აფხაზები სოხუმში პირველად 1454 წელს გამოჩნდნენ, ისიც, როგორც თავდამსხმელები.

მართალია, ნ. ასჩერსონი არ ასახელებს წყაროს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, მაგრამ დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ბერძენი კოლონისტების მოსვლის დროს ძვ. წ. მე-6 ს-ში აფხაზები უკვე ცხოვრობდნენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და რომ 1931 წელს სტალინმა - „დიდმა ქართველმა" ეს ტერიტორია საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად აქცია. თუმცა ელემენტარული ობიექტურობა მოითხოვდა იმის აღნიშვნას, რომ იგივე პროცესები საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებზეც მიმდინარეობდა და რომ სტალინის ქართული წარმოშობა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. არ არის სწორი ავტორის წარმოდგენა აფხაზეთის ძველი მოსახლეობის შესახებ. ბერძენი კოლონისტები შავი ზღვისპირეთში ძვ. წ. VIII-VI სს. მოვიდნენ, ხოლო ის ტომი, რომლებსაც მეცნიერთა ნაწილი დღევანდელი აფხაზების წინაპრებად მიიჩნევს, წყაროებში მხოლოდ ახ.წ. I-II სს-დან ჩანან. თუმცა არსებობს მეორე აზრიც, რომლის მიხედვითაც დღევანდელი აფხაზების წინაპრები არიან ჩრდილოკავკასიელი ტომების შთამომავლები, განსხვავებული კულტურით, რომლებიც ძირითადად გვიან შუა საუკუნეებში არიან ჩამოსულნი. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა - ჯერ ეგრისის („კოლხეთის", „ლაზიკის"), შემდეგ აფხაზთა სამეფოს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს, მოგვიანებით კი - იმერეთის

სამეფოს ნაწილი იყო.

საერთოდ მთელი ეს ნაწყვეტი აფხაზეთზე განსაკუთრებული სუბიექტურობით და ცალმხრივობით გამოირჩევა და არც არის გასაკვირი. ზემოთ მოხსენიებული ჯ. ჰიუტის გარდა, ნ. ასჩერსონის ინფორმატორები არიან, მისი ცნობით, აფხაზეთის ინფორმაციის მინისტრი ნათელა აგრბა, მისი მშობლები და ახლობლები, ყველა მათგანს განათლება მოსკოვში აქვთ მიღებული და თუმცა ბევრმა არც კი იცის აფხაზური და მხოლოდ რუსულად საუბრობს, ისინი ამას არ განიცდიან. ძალზე უცნაურად გამოიყურება ის, რომ საქართველოში ყოფნისას ავტორმა არ მიიჩნია საჭიროდ მიემართა თუნდაც ერთი „განათლებული" ქართველისათვის და მისგანაც მიეღო ინფორმაცია და არ შემოესაზღვრა თავისი წყაროები მხოლოდ რამდენიმე აფხაზის მონათხრობით და ფაზილ ისქანდერის რომანებით. განსაკუთრებით კმაყოფილია ავტორი აფხაზების ეროვნული პოლიტიკით და ტოლერანტობით, რომელიც არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს აფხაზურ ენას, მაგალითად, რუსულთან შედარებით. ესენი ორივე სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული. აფხაზებს, ნ. ასჩერსონის ინფორმაციით, შენარჩუნებული აქვთ ქართული სკოლები, ისინი ზრუნავენ ქართულ კულტურაზე და ქართველებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე, ქართველებისაგან განსხვავებით, რომლებიც, წიგნში წარმოჩენილი სურათის მიხედვით, ვერაფრით ეგუებიან განსხვავებულობას. კარგი იქნებოდა, თუ ავტორი მიუთითებდა, სად აღმოაჩინა მან ქართული სკოლები ომის შემდეგ, გალის რაიონის გარდა, თანაც ისეთები, რომლებსაც აფხაზეთის მთავრობა ინახავს. მართალია, ავტორი ზოგადად შენიშნავს, რომ ძალადობა და სისასტიკე ომის დროს ორივე მხრიდან იყო დაშვებული, მაგრამ დაწვრილებით ჩერდება მხოლოდ ერთ ფაქტზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია სოხუმელი მასპინძლებისაგან აქვს მიღებული, თუ როგორ დაწვეს ქართველებმა ეროვნული მუზეუმი და დატოვეს აფხაზები მათი წარსულის გარეშე. ნაკ-

ლებად აწუხებს მას აფხაზების მიერ მოწყობილი გენოციდის დროს ათასობით დახერეტილი და განდევნილი ქართველის და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ბედი. არ არის ზუსტი წიგნში მითითებული ლტოლვილთა რიცხვი 150000. მათი რიცხვი სულ ცოტა - 250000.

ნილ ასჩერსონის ძირითადი შთაბეჭდილება შავი ზღვის სანაპიროზე ასეთია. უძველესი დროიდან დღემდე აქ იყრიდა თავს და ხვდებოდა ერთმანეთს სხვადასხვა დასავლური და აღმოსავლური გავლენა, ნარევი ცივილიზაცია. მათ შორის არის ქალაქი სოხუმი, ბათუმი და ფოთი, რომლებიც ოდესღაც კოლხეთს ეკუთვნოდნენ და მიაღწიეს სსრ კავშირის დასასრულს როგორც ადგილებმა, სადაც ერთად ცხოვრობდა ხალხი სხვადასხვა ენით, რელიგიით, საქმიანობით და წარმოშობით. ავტორს არ აინტერესებს, რა ხდებოდა ამ დიდ შუალედში. მისი შთაბეჭდილებით, შავ ზღვაზე ხელისუფლება არ იყო კონცენტრირებული. ის დანაწილებული იყო სხვადასხვა გაერთიანებებს შორის. უზენაესი გამგეობის ტიტული შეიძლებოდა ჰქონოდა კაცს ან ქალს, რომლებიც წარმოშობით პასტორალური ველის მომთაბარეები იყვნენ - თურქი, ირანელი ან მონღოლი. ადგილობრივი მმართველობა და ეკონომიკა შეიძლებოდა ჰქონოდათ ბერძენ, ებრაელ, იტალიელ ან სომეხ ვაჭრებს. სამხედრო ძალა ჩვეულებრივ დაქირაებული, შეიძლებოდა ყოფილიყო სკვითური ან სარმატული, კავკასიური ან გოთური, ვიკინგური ან ანგლო-საქსური, ფრანგული ან გერმანული. ხელოსნებს, ხშირად ადგილობრივ ხალხს, რომლებმაც შეითვისეს ბერძნული ენა და ჩვეულები, ჰქონდათ საკუთარი უფლებები და მხოლოდ მონები იყვნენ ხელისუფლების გარეშე.

მოტანილ ნაწყვეტში თითქოს იღვიძებს ბრიტანელი, იმპერიალიზმის ხანიდან, რომელიც ადგილობრივ ხალხებს ზემოდან დაჰყურებს. ამასთანავე, მისი ცოდნა სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. მაგალითად, შავი ზღვის საქართველოს სანაპირო, თუ არ ჩაეთვლით ანტიკური ეპოქის და

შუა საუკუნეების ცალკეულ მონაკვეთებს, ექვემდებარებოდა სახელმწიფოს, იყო ეს კოლხეთი, შუა საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფო, თუ ქართული სამთავროები. გარდა ამისა, საქართველოს, რომელიც ფეოდალური ქვეყანა იყო, არასდროს სჭირდებოდა უცხოელები თავისი საზღვრის ნაპირის დასაცავად, მით უფრო, რომ მას ამისათვის საკუთარი სამხედრო გემები გააჩნდა. საინტერესოა, რომელ წყაროებზე დაყრდნობით იძლევა ავტორი ცნობას შავიზღვისპირეთში ფრანგებისა და გერმანელების ყოფნის შესახებ. ერთადერთი, ფრანგები, ბურგუნდიელების სახით, საქართველოს ნაპირებზე 1446 წელს გამოჩნდნენ, მაგრამ მათი დესანტი პირველსავე დღეს დაპატიმრებული იქნა გურიის მთავრის მიერ. უცნაურია ისიც, რომ კაცი, რომელსაც, ალბათ, დათვალიერებული აქვს აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ქართული არქიტექტურული ძეგლები, საერთოდ უარყოფს ადგილობრივ შემოქმედებას, კულტურას, საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის ფაქტორს.

ამგვარად, ნილ ასჩერსონის გამორჩეული ნიჭიერების მიუხედავად, მისი წიგნი შავ ზღვაზე, კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებული პასაჟები, წარმოადგენს საიმისო ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს გამოკვლევა. აქ დაშვებული შეცდომების მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ისტორიის სრული უგულებელყოფა და ავტორის უკიდურესი სუბიექტურობა. ჟურნალისტს, რომელიც შოტლანდიიდან არის, როგორც ჩანს, გაუჭირდა საქართველოს ვითარებაში გარკვევა ფსიქოლოგიურადაც, ვინაიდან ის თავიდანვე და უსაფუძვლოდ ხედავდა მსგავსებას შოტლანდია-ინგლისის და საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობებში. შოტლანდიისაგან განსხვავებით, რომელიც ინგლისმა ხანგრძლივი ბრძოლის და ცდების შემდეგ დაიპყრო და წაართვა მას დამოუკიდებლობა, აფხაზეთი მუდამ იყო ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი და უფრო მეტიც: VIII საუკუნის დასასრულს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება სწორედ აფხაზეთი-

დან დაიწყო. სიტყვა ქართველი, რომელიც პოლიტიკური ტერმინი იყო და არა ეთნიკური, თანაბრად ნიშნავდა საქართველოს ყველა მოქალაქეს და, მათ შორის, აფხაზსაც.

მაგრამ ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან საქართველოს და დიდი ბრიტანეთის მთელი ისტორიის მოყოლა დაგვჭირდება, რაც მკითხველს თვითონაც შეუძლია ამოიკითხოს შესაბამის წიგნებში.

The best Scottish book of 1995 about Georgia and Georgians

In 1995 the book *Black Sea* by Neal Ascherson from Edinburgh – who was awarded Journalist of the year in 1986 – won the 1995 Saltire Scottish Book of the year Award. In 1996, the book was republished. *Black Sea* is written with strong emotions, and makes an impact on its readers. It is a large volume (306 pp.). We intend to draw reader's attention only to the evidence about Georgia, one of the most ancient Black Sea coastal countries. Georgia and Georgians are mentioned in the book several times in different ways: Colchis, Colchs, Mingrelia, Mingrelians, Svans, Lazi, and Abkhazia. The author obviously has doubts about affiliation of the latter with Georgia and except for Sukhumi does not consider it as a part of Colchis, which in his opinion was located around Phasis and to west-eastern cost of the Black Sea. Meanwhile, comparing the Greek and Roman as well as Georgian sources, one can see, that Colchis (later Lazica) in the ancient times, the same Egrisi, comprised entire eastern as well as southeastern cost of the Black Sea. The author mentions Georgian, Svan, Mingrelian, Abkhaz and Lazuri languages and he is much concerned about their fate except for Georgian language.

Black Sea is not a history of the sea and its author is not a scholar. However, historic surveys here are largely presented. This is a record of a traveler, complemented by stories of the observers, by autobiographic data of the author and his speculation on different issues. However, this is not a simple record of a traveler, and a "guide-book" either. Special sentiments of the author towards the Black Sea are evoked by his father's story. The latter, "a boy of eighteen", was a gardemarine of the "British battleships" moving "out to sea carrying General Denikin's defeated White Army on their foredecks" (12). Many years later the author himself, being a participant of the World Congress of Byzantinologists and making post-Congress tour of historic sites in Crimea, witnessed the putsch, followed by dissolution of USSR. Between

those two events, there was a whole epoch – the entire history of the Soviet Union. The content of the book goes far beyond the Black Sea.

The author zeroes in on the reasons of dissolution of the Soviet Union, migrations, assimilation processes, relations in a multi-ethnic society, confrontations on different levels, the fates of minorities, who had or didn't have sovereignty, national policies of the state, conflicts after the dissolution of USSR, the prospect for the coexistence of different peoples and cultures, making of nations and the nationalism issue in general.

In the author's opinion all of these problems are concentrated around the Black Sea. Neal Ascherson warns the reader at the very beginning that his goal was not survey of all Black Sea costal countries. For instance, "Turkey, Bulgaria and Romania all get less attention than deserve" (p. 10). After Crimea Odessa, Turkey he mentions Pontic "Greeks once lived and tiny Lazi people still does". His last point was "tiny Abkhazia, which broke away from Georgia only in 1992", and as the author asserts he "tried there to measure the reality or unreality of Abkhazian independence against all that I had learned on the journey until then".

We can say that the author is concerned not about the states around the Black Sea but more about fate of the peoples and the nations, who live there. It should be noted that definitions and perceptions of nationhood, which are introduced in the book, go against the dominant idea of the related scholarly literature. The latter considers a nation as affiliated with the modern history. According to Neal Ascherson, nations emerged much earlier than any state and among them a nation-state did, and will exist when "the nation-state has passed into history" (p. 241).

Proceeding from such an interpretation the role and significance of a state in nation-making process is ignored. The state here is considered as a machine of violence and the impeding force of people living together and being hostile to each other, since "peoples who live in communication with other peoples, for a hundred or a thousand years, do not always like them – may, in fact, have always disliked them". (p.9)

The state with homogeneity, one state language, one religion, one people helps assimilation processes and is against cultural diversity.

He is a devoted supporter of minorities, votes for their self-determination and is fighting for their survival. That is why all his sympathy is on their side. By the same reason he is against all those, who impede development of minorities and try to assimilate them. Among them, by his perception, are Georgians to whom he evidently is not well-disposed and this is transparent throughout the book. Not accidentally, when introducing the Black Sea region, the author omits Georgia. Priority of the book is the issue of multi-ethnicity of the Black Sea region in different epochs, which was in harmony. "on a smaller sale, where towns like Sukhum and Poti and Batumi on the coast of what was once Colchis, which began as Greek colonies and survived until the end of the Soviet period as sites where peoples of many different languages, religions, trades and descents lived together" (p. 8) The only force, who broke ideal picture of multi-ethnicity, were Georgians, who all the time tried to seize the foreign land, to assume other's culture, to assimilate small ethnic groups.

The main goal of the book is to mobilize the readers for saving cultures, which are at risk. A rather noble goal. The question raised is: what are the methods, the sources, knowledge of different issues and impartiality of the author?

Black Sea was being written during several years. However, its idea came to his mind, as the author understood later, after reading a classic book *Iranians and Greeks in South Russia* by Michael Rostovtsev. The author mentions several more books and scholars, by whom he was influenced and especially singles out Tom Nairn, the distinguished researcher of nationalism issue. It is noteworthy, that in a list of advisers, in which with respect are mentioned Anthony Bryer, professor of Birmingham University, Dr.George Hewitt of the School of Oriental and African Studies in London, several Russian and Ukrainian scholars, among them are directors of the museums, German scholar Wolfgang Feurstein, is no Georgian scholar. This not accidental fact evidently made

impact on the author and his book. On the Georgian cost of Black Sea the author is interested just in Abkhazians and Abkhazia, where he came after the war in the early 1990s, talked with the officials, common people and, based on this, one-sided information, made picture not only of ongoing conflict, but also of the past and the present of the region. Thus, writing of the book he started with the formed opinions and disposition and his partiality is traceable in different contexts of the book.

The author focuses on different peoples, who were oppressed and purged in different times in USSR. Considering national policy, the author many times mentions heads of that Communist state Josef Stalin and Lavrenti Beria, under whose direct leading were carried out those atrocities and unjust actions. The author expresses a negative approach towards them. However it is not easy to share his arguments when he tries to explain all those events by ethnic and national affinity of the leaders, who are mentioned in the book as "great Georgian", or "the most outstanding Mingrelian", as in those years compatriots of those leaders where oppressed not less than others. The author very well knows this too.

The tradition of deportation of peoples in Russia was usual and started much earlier than the activities of those leaders. One can partially see this in the present book. One example is the fate of north Caucasians and Crimeans in the 19th century, the greater part of whom was forced to leave the motherland. It should be mentioned that the plan of deportation of Germans from the Volga region, was created during WW I. Purges, which started in Lenin's times, was going on later and its leaders were Dzerzhinski, Yagoda, Ezhov, who shed much more blood, than Stalin and Beria. The latter, of course, does not serve as an excuse.

One time the reader meets with Georgians in the book when the author tells a story about the expulsion of Greeks in 1949. According to the author, "the Greeks lived in the North cities especially Odessa, Rostov and Sevastopol, in the coastal towns and villages of hills of central Georgia. On 14 and 15 of June, at night, "about 100,000 people were seized. Their villages were surrounded in darkness by NKVD

special troops and they were given only a few hours to pack. Many of them... perished on the sealed trains". The author puts forth the question: "Why was this done?" And gives an answer: "There is no clear answer even today. Stalin's fear of war in the Black Sea, his memories of the 1919 intervention, Georgian intrigue and envy...The Greeks had been envied by their neighbors". Several times is repeated that abandoned houses were taken by the Georgians – "Mingrelians were compulsorily moved into Abkhazia to take over the farms and houses left by the deported Pontic Greeks" (246), and when Greeks went back to Georgia "their houses and farms had been sold off or confiscated after 1949" (192) . Thus, the number of Georgians in Abkhazia artificially increased according to the book. Here we have an excerpt from the novel by Fazil Iskander *Sandro of Chegem*, which relays about one example of deportation: One abandoned house was offered to one Abkhaz for the price of two pigs, but since Sandro's father, the patriarch of the village explained his son why he couldn't take the house, the latter rejected the offer: "...before, if a blood avenger killed his enemy, he touched not button on his clothes. He took the body to the enemy's house, laid it on the ground, and called to his family to come out and take in their dead man clean... You can buy this house, but I will never set foot in it, nor will you ever cross the threshold of my house". In quoting this novel, which has less in common with reality, sympathy of the author in confrontation between Abkhazians and Georgians is evidently manifested.

The following mention of the Georgians again in an unpleasant context once again demonstrates firm opinion of the author about Georgians. The journalist relates how near Kabuleti (a name heard in Russian pronunciation, the same Kobuleti) few miles into Georgia, bands of armed robbers in military uniforms ambush the bus convoys and strip the passengers of their treasure". By the way, he notes, that "Like most of trade routes it is dangerous". But, unfortunately the only example presented in the book is connected with Georgia and will create related feelings and disposition of the readers toward the country. It should be

noted, that in times of the author's travel that route was risky. However, such a situation, which existed after the civil war and the collapse of the old system and establishing of new one, is not natural for Georgia. It did not last a long time and order as well as security were restored shortly.

The author considers the Lazi issue in depth. He fairly thinks, that "Lazi and their neighbors, the Hemshinli are not Turks. They have their own spoken languages, which are non-Turkic. They have their own myths and customs and ways of dressing and their own magic". As we see in the book, the author does not consider them as indigenous population, discussing the time of their coming from western Georgia. By his perception, a great part of the Lazi abandoned their country Colchis and the Caucasus, and moved round the south-eastern corner of the Black Sea to their present territory in what is now Turkey". He supposes that this migration was a result of Arab invasion of the Caucasus and took place about a thousand years ago, in the middle Byzantine period", and later after 1864 "since Russia eventually broke resistance of north-eastern Caucasian tribes". The author notes hereby, that it is the wrong perception of some Lazi that they had come to northeastern of Trebizond from the west. Here author discusses the danger of their disappearance in Turkey. However, as we see, he is particularly concerns about fate of the Lazi people, who were left in Georgia. He is correct when says that Lazuri language belongs to Kartvelian family of languages, which comprises also Georgian, Mingrelian and Svan. He notes that Mingrelian is especially close to Lazuri. It seems both peoples were neighbors, approximately 1,000 years ago, on the Black Sea eastern cost.

A united Colchian nation, in the author's opinion, never existed. He cites evidence from Strabo and other antique sources, that in Dioscuria over 70 languages were spoken"(no matter that the evidence implies not only local population) and is said that tradition of multi-ethnicity is still there at the moment. But by the observations of Neal Ascherson "their distinctiveness – like that of the Mingrelians –is resented by Georgian politicians and intellectuals, who insist, inaccurately, that Georgian is their "mother-tongue" and that

Mingrelians, Lazuri and Svanetian are mere "dialects". Arguments to the contrary, and attempts to provide these languages with a written literature and grammar, are shouted down as tokens of Russian cultural subversion, designed to undermine and divide Georgian culture and independence" (p. 200). By his information "The row about Mingrelian and Georgian – whether Mingrelian should be taught in schools, and if so in what script, and whether it is a "language" at all or just a peasant argot of Georgian has been raging for a century. " "It is fairly easy to understand (if not to accept) Georgian cultural imperialism and Georgian paranoia about separatist movements within Georgia which are deliberately fomented from distant Moscow. What is much more startling is the furious involvement of Mingrelian intellectuals and politicians in the fight to prevent the upgrading of their own tongue to a literary language". As an example here are mentioned "pre-Revolutionary scholar Tedo Zhordania and the first Georgian President Zviad Gamsakhurdia". By the author's characteristicism, "both men were frantic Georgian patriots, for whom anything short of total assimilation was treachery to the joint Kartvelian destiny."(p.202). Lavrenti Beria is also mentioned head of the Communist Party in Georgia," "Stalin's last and most terrible head of the secret police", "the most famous Mingrelian of them all", "He exterminated the flower of Georgia's intellectuals. But he showed no favor to his own people. Quite the opposite: in Beria's time, the forcible integration of Mingrelian culture with Georgian was hurried forward." (202).

The activity of the German scholar Wolfgang Feurstein, who is not a professor of any university and is not a Herr-Doctor either, but who is very busy with creating a nation, deserves particular respect and admiration of the author. He retails how an alphabet was created for Lazi people, later on textbook by this tirelessly working man, what obstacles and danger were overcome by him on that road and how important was all done for the dying people. This story ends by quote of J. Hewitt's work. The latter alleged necessity of creation of Mingrelian alphabet, otherwise foresees perishing of Mingrelians like Ubychs.

The same perception Neal Ascherson has in case of Lazuri language, which without a script will disappear, and "with it the heart of a small but unique human group will cease to beat." By his observation, for Feurstein as well as for Hewitt, a scientist is not a camera and the scientist's duty to a vanishing culture is not only to record but also to offer wisdom and to say "This end is not inevitable. There is a way to survive, and I can point you towards it" (p. 208-9) All this is complemented by the information, that by the beginning of 1994 young Lazi published a journal "Ogni", in Turkish and Lazuri , that its editor is arrested and now faces charges of "separatism". The second issue was published a few weeks later. That time it more clearly called for an end to the assimilation of Lazi culture. One of the Publishers said: "A new age has dawned".

In this long excerpt, which we presented here there is some rational kernel and the noble goals. But putting aside the fact that some data is obsolete today, one can obviously see that peculiarities of nation-making process among different nations are ignored.

Being aware of Herder's concept about decisive role of language in social development, the author notes by the way that uniqueness and distinctiveness here are very important, however this misuses knowledge in practice. He has no idea and doesn't want to know the history of the making of the Georgian nation and the role of Georgian language in this process, that Megrelian and Svanetian even if they are languages (still a disputable issue) by socio-linguistic viewpoint are equal to dialects of the Georgian language; Georgians, living in different times, in different regions instinctively felt significance of literate language, which was Kartuli (Georgian), common for Megrelian, Svan, and Lazi peoples and as far as possible all jointly contributed to its development, enriching and protecting it, tenderly carried it throughout the centuries, sometimes dedicating "Praising" to it, recently even erected a monument, consecrated to "mother-tongue". Not accidentally in well-known triad, which was considered by all Georgian peoples as only condition for survival, "language, motherland, and creed" – Ilia Chavchavadze put in

the first place – language, taking into consideration durable and firm tradition. What Neal Ascherson called "Georgian cultural imperialism seemed pretty acceptable for all regions in Georgia during the centuries. All attempts at creating additional alphabets always came from outside. The apparent uniqueness and distinctiveness of Georgians, Megrelians, Svanetians, first noticed by the Russian power in the second half of the 19th century, along with world processes and the aspiration towards national self-determination in Georgia and immediately started to create different alphabets for different groups. However, those attempts did not meet support of the latter and then not only among intellectuals, but among common people either. On the contrary, those activities always met with resistance. Before that and throughout the Middle Ages work in the Chancellery of the Megrelian prince was done in Georgian and one unique manuscript of Shota Rustaveli's poem "Knight in the Panther's skin" was created there. The same situation was in times of political decentralization of the country. All this was left incomprehensible and inexplicable for the author, who has less information about whole process of the making of the Georgian nation.

The author wrongly considers Lazi people in Turkey as those who had come there 1,000 years ago. According to the sources, Megrel-Chan population inhabited the entire southeastern Black Sea coast. The Lazi properly are mentioned in connection with the Mithridates wars in the border of the 1st century by Memnon.

